1982

საუნჯე

1982
6

38
720

ანრი მატისი

ქალი მწვანეში წითელი მიხაკით

საუნჯე

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
ალმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ
ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო
კოლეგია

6
(51)
ნოემბერი
დეკემბერი
1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

კნუტ ჰამსუნი. მისტერიები. რომანი. დასასრული.
თარგმნა თამარ აბრამიშვილმა 3
ეუჯენიო მონტალე. ლექსები.
თარგმნა ნოდარ გურეშიძემ 106
ევგენი ნოსოვი. გამარჯვების წითელი ღვინო.
მოთხრობა. თარგმნა დოდო სანიკიძემ 108
შარლ ბოდლერი. ლექსები. ფრანგულიდან
თარგმნა გივი გეგეჭკორმა 138
ბანგ ვიეტი. ლექსები. თარგმნა ზურაბ კუხიანიძემ 139
ვასილი შუკშინი. აბანოსა და ბოსტნის უფალი.
მოთხრობა. თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ 146
თანამედროვე უკრაინული პოეზიიდან.
თარგმნა რაულ ჩილაჩავამ 152
თანამედროვე ბერძნული პოეზიიდან.
თარგმნა ემზარ კვიტაიშვილმა 158
თანამედროვე ლიტვური პოეზიიდან.
თარგმნა ხუტა გაგუამ 166
რუთ ზერნოვა. ქალაქური რომანსი. მოთხრობა.
თარგმნა მადონა ცქიტიშვილმა 174
სუზენ ჰილი. გამზრდელი. მოთხრობა. ინგლისურიდან
თარგმნა მერი ამაშუკელმა 182
პლატონი. დიალოგები. ძველბერძნულიდან თარგმნა
ბაჩანა ბრეგვაძემ 204
ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი. წერილები. 1787-1811 წწ.
გერმანულიდან თარგმნა ნონა კალანდარიშვილმა 273
თომას მანი. ჰუმანიორა და ჰუმანიზმი. გერმანულიდან
თარგმნა ლია თაყვარელიამ 314
ნიკოლოზ კენჭოშვილი. ჰინდური ნოველის
ისტორიიდან 318

მთავარი რედაქტორი:
მუხრან მაჭავარიანი
პ. მგ. მდივანი:
ნანა დარჩია
სარედაქციო კოლეგია:
ჯემალ აჯიაშვილი
მზია ბაქრაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
გურამ გოგიაშვილი
გიორგი ნიშნიანიძე
მაგალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახუშტი კოტეტიშვილი
რომან მიმინოშვილი
ოთარ ნოდია
ნიკო ყიასაშვილი
თამაზ ჩხენკელი
დავით წერედიანი

«САУНДЖЕ»
ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ АЛЬМАНАХ НА ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ
№ 6
1982
ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ
ТБИЛИСИ
УЛИЦА ДАДИАНИ, 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეკანზე: ანრი მატისი. პოლონელი ქალი

მხატვრული რედაქტორი გ. წერეთელი. მხატვარი ა. ვართაგავა. ტექრედაქტორი ე. წულეისკირი.
გად. წარმ. 15. 08. 82 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 28. 12. 82 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/32.
სააღრ. თ. 24,84 სასტ. თ. 28 სააღრიცხვო გატ. 29,04 ტირ. 10.000 შეკვ. № 2460
ფასი 2 მან.
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, 380008, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, Ленина № 14.

კნუტ ჰამსუნი

მისტერიები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომანი

თარგმნა თამარ აბრამიშვილმა

17925

XII

ნავსადგურიდან ქალაქისკენ გასწია პირბადიანმა მანდილოსანმა. ახლახან ნავსადგურში შემოსულ თბომავალს ჩამოჰყოლოდა და ახლა პირდაპირ სასტუმრო „სენტრალისკენ" მიეშურებოდა.

ზუსტად ამ დროს ნაგელი შემთხვევით ფანჯარასთან იდგა და ქუჩას გადაჰყურებდა. მას აქეთ, რაც სასტუმროში დაბრუნდა, დაბრუნებით კი ნაშუადღევს დაბრუნდა, მოუსვენრად წრიალებდა ოთახში და მხოლოდ ხანდახან თუ წამოდგებოდა, რათა ჭიქა წყალი გადაეკრა. ავადმყოფურად წამოლეწოდა სახე, თვალებიც ხურვებაშეყრილივით ულაპლაპებდა. ასე გაუთავებლად სცემდა ბოლთას და სულ ერთ საფიქრალს, დაგნისთან შეხვედრაზე ფიქრობდა.

ერთი პირობა თავიც კი დააჯერა, შემიძლია წავიდე და ყველაფერი დავივიწყოო. ჩემოდანი გახსნა, იქიდან რაღაც ქაღალდები, სპილენძის საზომი ხელსაწყოები, ფლეიტა, ნოტების ფურცლები და ტანსაცმელი ამოყარა, ახალთახალი ყვითელი კოსტიუმიც ამოიღო, ზუსტად ისეთი, ზედ რომ ეცვა, მერე ადგა და რაც რამ ჩემოდანში დარჩა, ისიც იატაკზე მოფანტა. დიახაც წავა! აქ გაჩერება უკვე შეუძლებელია, ბაირაღებს აღარ ჰკიდებენ, ქუჩები თითქოს ჩაკვდაო. აბა, რაღა აკავებს აქ? ან რა ეშმაკად შემოეხეტა ამ მიყრუებულ ქალაქში, აქ, ამ კრაზანების ბუდეში, უბადრუკი კაცუნებით დასახლებულ სოროში, სადაც ყველა ყველაფერში ცხვირსა ყოფს?..

მაგრამ მშვენივრად იცოდა, არსად წამსვლელი რომ არ იყო და მხოლოდ თავს იტყუებდა და ინუგეშებდა. ნაგელმა დაუდევრად ჩაყარა ყველაფერი ისევ ჩემოდანში და თავპირჩამობნელებულმა თავის ადგილზე დადო. აი, მაშინ დაიწყო სირბილი ოთახში, გონდაკარგულივით აწყდებოდა აქედან იქით, იქიდან აქეთ, კარიდან ფანჯარას, ფანჯრიდან ისევ კარს, ქვევით კი საათი დინჯად ითვლიდა დროს. აგერ ექვსიც ჩამორეკა...

* დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე" № 5.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

ერთ წუთს ფანჯარასთან შედგა და შემთხვევით მოკრა თვალი პირბადიან მანდილოსანს, რომელიც სწორედ ამ დროს სასტუმროს კიბეზე ამოდიოდა. ნაგელს სახე ეცვალა, ზარდაცემულმა იტაცა თავში ხელი. თუმცა, რა საკვირველია? მასაც ისეთივე უფლება აქვს აქ ჩამოსვლისა, როგორც თვითონ ნაგელს. რა მისი საქმეა? ახლა სულ სხვა საზრუნავი აწუხებს და საერთოდ, ამ ქალსა და ნაგელს შორის ყველაფერი გათავებულია — [illegible] არიან.

თავი აიძულა დამშვიდებულიყო. სკამზე დაჯდა, იატაკიდან გაზეთი აიღო და ცხვირი ისე ჩარგო, ვითომ კითხულობდა. ორი წუთიც არ გასულიყო, სარამ ოთახის კარი შემოუღო და რაღაც ქაღალდი მიაწოდა. ქაღალდზე ფანქრით „კამა“ ეწერა, მხოლოდ ერთი სიტყვა — „კამა“! ნაგელი ადგა და ქვევით ჩავიდა.

მანდილოსანი დერეფანში იდგა; პირბადე კვლავ ჩამოფარებული ჰქონდა ნაგელმა უხმოდ დაუკრა თავი.

— გამარჯობა, სიმონსენ! — ხმამაღლა უთხრა აღელვებულმა ქალმა.

„სიმონსენ“ — თქვა მან. ნაგელიც აღელდა, მაგრამ მაშინვე დაიოკა თავი და სარას გასძახა:

— სად შეიძლება ორიოდე წუთს სიტყვის სათქმელად შევიდეთ?

სარამ სასადილოს მეზობელ ოთახზე მიუთითა და როგორც კი ნაგელმა კარი მიხურა, ქალი სავარძელში ჩავარდა. ეტყობოდა, ძალიან ღელავდა.

და გაიმართა მათ შორის არეულ-დარეული, ბუნდოვანი, ქარაგმული საუბარი, რომელიც მხოლოდ მათთვის იყო გასაგები, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებისგან შედგებოდა და წარსულს ეხებოდა. აშკარა იყო, უწინ ხვდებოდნენ და კარგადაც იცნობდნენ ერთმანეთს. პაემანმა ლამის ერთ საათს გასტანა. მანდილოსანი დანიურად უფრო უქცევდა, ვიდრე ნორვეგიულად.

— მაპატიე, სიმონსენი რომ გიწოდე, — უთხრა მან, — ძველი, სასაცილო , საყვარელი სახელი! რამდენი რამ იმალება ამ სახელში და თან რა სასაცილოა! ყოველთვის, როცა კი გულში ამ სახელს ვახსენებ, ცოცხალივით მიდგახარ თვალწინ.

— როდის ჩამობრძანდით? — ჰკითხა ნაგელმა.

— ახლახან, სულ რამდენიმე წუთია, თბომავლით... და ახლავე წავალ...

— ახლავე?

— გამოტყდით, — უთხრა ქალმა, — ხომ გაგიხარდათ, ახლავე რომ ვაპირებ წასვლას. ნუთუ გგონიათ, ვერ ვამჩნევ?.. სუნთქვა მეკვრის, გული მეკუმშება. მომეცით ხელი, აი, აქ დამადეთ, არა, უფრო ზევით! აბა, რამე მაინც მითხარით! მე უარესად შევიქენი. ამ ბოლო ხანს აშკარად გამიუარესდა მდგომარეობა. მეტყობა? თუმცა რა, სულ ერთია! ცუდად გამოვიყურები? მითხარით, ნუ გერიდებათ. ალბათ გაწეწილი ვარ? იქნებ, გეჩვენებათ, რომ უბრალოდ ჭუჭყიანი ვარ, ჭუჭყიანი! აბა, რა იქნება, მთელი დღე-ღამეა გზაში ვარ... თქვენ კი ერთი ბეწოთიც არ გამოცვლილხართ, როგორც იყავით ისევ ისეთი ცივი ხართ, ისევ ისეთი... სავარცხელი არა გაქვთ?

— არა... მაინც რამ ჩამოგიყვანათ აქ, რამ..

— იგივე, ზუსტად იგივე მინდოდა მეკითხა თქვენთვის: რამ ჩამოგიყვანათ ამ ღვთისგან მივიწყებულ ადგილას, აქ რას უდგახართ? თქვენ გეგონათ, ვერ მოგაგნებდით?.. აგრონომად ასაღებ არა თავს? ჰა-ჰა-ჰა, ნავსადგურში ერთ კაცს შევხვდი და იმან მითხრა, აგრონომიაო. თურმე, ნუ იტყვი, მავან

ფრუ სტენერსენის ბაღში რაღაც მცენარეებსაც კი დასტრიალებდი თავზე, ო, თუ არ ვცდები წითელ მოცხარს. ბაღში უსერთუკოდ დადიოდი და ზედიზედ ორ დღეს მიწას უჩიჩქნიდი ბუჩქებს. არა, მოგონება არ ჰქონდა! პირდაპირ ყინულივით მაქვს ხელები, ყოველთვის ასე მემართება, როცა აღელვებული ვარ, ახლა კი ისე ვღელავ. შენ კი, თუმც უწინდელ[illegible] სიმონსენი დაგიძახე და გახარებული და ბედნიერი ვარ, ერთი ბ[illegible]ოდეები. დღეს დილიდანვე, როცა ჯერ კიდევ კაიუტაში ვიწექი, სულ ვფიქრობდი, როგორ შემხვდება, ნეტა. შენობით თუ მაინც მომმართავს და ლოყაზე მომეფერება-მეთქი. თითქმის ეჭვიც არ მეპარებოდა, ასე იქნებოდა, მაგრამ გამოდის, შევცდი. ოღონდ, იცოდეთ, მე სულაც არ გთხოვთ, ახლა მოიქცეთ ასე, მხოლოდ მინდა, რომ იცოდე. ახლა სულ ერთია, უკვე აღარ გამახარებს... მითხარით, ერთთავად რატომ ახამხამებთ თვალებს? იქნებ იმიტომ, როცა გელაპარაკებით, თქვენ სულ სხვა რამეზე ფიქრობთ.

— დღეს, მართლაც, რაღაც ვერა ვარ გუნებაზე, ვერა ვარ კარგად, კამა. არ შეგიძლიათ პირდაპირ, ქარაგმების გარეშე მითხრათ, რისთვის მომძებნეთ? ღმერთმანი, ამით დიდად დამავალებდით. — აი, ეს მიუგო პასუხად.

— იმას მეკითხებით, რისთვის მომძებნეთო? — შეჰყვირა ქალმა. — ღმერთო, როგორ მწარედ მატკენთ ხოლმე გულს! იქნებ შეგეშინდათ, ფულის სათხოვნელად ჩამოვიდაო; იქნებ გგონიათ, მე მხოლოდ ერთი მიზანი მაქვს — გაგატყაოთ! ნუთუ არ იცით, დღეს რა რიცხვია, რა დღეა? ხომ არ დაგავიწყდათ, დღეს თქვენი დაბადების დღეა?

აცრემლებული დაეცა მის წინ მუხლებზე, ნაგელის ხელებში ჩარგო სახე, მერე გულში ჩაიხუტა.

ნაგელი საოცრად შეძრა ასეთმა ვნებიანმა სინაზემ, რომელსაც უკვე აღარ ელოდა. ქალი მიიზიდა და მუხლებზე დაისვა.

— მე არ დამვიწყებია შენი დაბადების დღე, — უთხრა ქალმა, — ყოველთვის მემახსოვრება. შენ არ იცი, რა ხშირად ვტირი, როცა ღამე შენზე ფიქრით ძილი მიკრთება.. ჩემო საყვარელო ბიჭო, შენ ისევ ისეთი წითელი ტუჩები გაქვს! რა აღარ გავიხსენე, შენკენ რომ მოვდიოდი! ნეტავ, ისევ ისეთი წითელი ტუჩები აქვს-მეთქი?.. რა შეშფოთებული აცეცებ თვალებს! იმედი მაქვს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოთმინება დაგელია. არა, შეიცვალე, ვერ ვიტყვი, მაგრამ თვალებს ისე აცეცებ, თითქოს ერთი სული გაქვს, თავიდან მომიშორო. მოდი, შენ გვერდით სკამზე ჩამოვჯდები, ალბათ, ასე უფრო მოგეწონება. ძალიან, ძალიან ბევრ რამეზე მინდა მოგელაპარაკო და დროს დაკარგვა არ შეიძლება, იმიტომ რომ თბომავალი მალე გავა. მაგრამ შენ ისე გულგრილად ზიხარ, სულ თავგზა მებნევა. რა ვითხრა ისეთი, რომ გაიძულო ყურადღებით მომისმინო. კაცმა თქვას, სულაც არ მემადლიერები, ეს დღე რომ გავიხსენე და ჩამოვედი... ბევრი ყვავილი მიიღე? თუმცა, ეჭვიც არ მეპარება, მიიღებდი. რა თქმა უნდა, ფრუ სტენერსენსაც გაახსენდებოდი? მითხარი, როგორი შესახედავია ეგ ფრუ სტენერსენი, ვისი გულისთვისაც აგრონომად ასაღებ თავს? ჰა-ჰა-ჰა, პირდაპირ შეუდარებელი ხარ!.. ფული რომ მქონოდა, ყვავილებს მეც ჩამოგიტანდი, მაგრამ სწორედ ახლა გროშიც არ გამაჩნია. ღმერთო ჩემო, ნუთუ არ შეგიძლია ამ ორიოდე საცოდავ წუთს მაინც მისმინო? როგორ შეიცვალა ყველაფერი! გახსოვს, ერთხელ... არა, რა თქმა უნდა, არ გახსოვს, ან რა აზრი აქვს, გაგახსენო! აი, ერთხელ კი შორი-

დანვე იცანი ჩემი შლაპის ფრთა და სირბილით შემომეგებე. ხომ მართალს ვამბობ, შენც ხომ იცი, რომ ასე იყო? აი, მაშინ, ქალაქის მოლოდინზე რომ ვსეირნობდი. ოღონდ მე უკვე დამავიწყდა, რატომ გავიხსენე ის ფრთის ამბავი. ღმერთო ჩემო, ველარ მომისაზრებია, როგორ უნდა მომეტრიალებინა ეს ამბავი შენს წინააღმდეგ, თუმცა თავიდან ძალიან სარწმუნოდ მეჩვენა. რა მოხდა, რატომ წამოხტი?

ნაგელი, მართლაც, უცბად წამოვარდა, თითის წვერებზე შემდგარმა გადაჭრა ოთახი და ერთბაშად გამოაღო კარი.

— სასადილოდან ერთთავად გირეკავენ და გირეკავენ, სარა, — თქვა მან.

როცა მობრუნდა და უწინდელ ადგილზე დაჯდა, კამას თავი ჩაუქნია და წასჩურჩულა:

— ვგრძნობდი, კარს უკან იდგა და ჭუჭრუტანიდან გვითვალთვალებდა.

კამა გაცეცხლდა.

— გვითვალთვალებდა და გვითვალთვალოს! — შესძახა მან. — თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, ჩემს გარდა, რატომ ყველას და ყველაფერს აქცევთ ყურადღებას? უკვე თხუთმეტი წუთია, თუ მეტი არა, აქ ვზივარ და ისიც კი არ გითხოვიათ, პირბადე გადაიგდეთო. ოღონდ არ გაბედოთ და ახლა არ მთხოვოთ! აზრადაც არ მოგდით, რა საშინელებაა, როცა ამ სიცხეში სქელი პირბადე გაფარია. თუმცა, ახია ჩემზე! რას მოველოდი? მშვენივრად გავიგე, მოახლეს რომ ჰკითხეთ, სად შეიძლება ორიოდე წუთით შევიდეთო. მხოლოდ ორიოდე წუთითო, სწორედ ასე თქვით. ეს კი იმას ნიშნავს, იმედოვნებდით, ორიოდე წუთში მომიშორებდით თავიდან. არა, არ გსაყვედურობთ, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, როგორ მეწყინა. ღმერთო, შენ მიშველე!.. რატომ მოხდა, რომ ვერაფრით დაგივიწყე! ვიცი, ჭკუაზე არ ხარ, ნამდვილი შეშლილის თვალები გაქვს... დიახ, ასე ამბობენ, გამიგია, მჯერა კიდეც და მაინც არ შემიძლია შენი დავიწყება. ექიმ ნისენსს მიაჩნია, რომ გიჟი ხარ, ალბათ ასეცაა, რადგან ამისთანა მიყრუებულ ქალაქში დასახლებულხარ და აგრონომად ასაღებ თავს. მოფიქრება არ გინდა! თან კლავინდებურად ეგ რკინის ბეჭედი გიკეთია თითზე და მხოლოდ ამ ჭყეტელა ყვითელ კოსტუმს იცვამ, შენს გარდა რომ ამქვეყნად კაციშვილი არ ჩამოიცვამდა ტანზე.

— ექიმმა ნისენმა მართლა თქვა ჩემზე, გიჟიაო? — ჰკითხა ნაგელმა.

— დიახ, ექიმმა ნისენმა პირდაპირ ასე თქვა! გინდა გითხრა, ვისთან თქვა?

დუმილია. ნაგელი ერთი წუთით ჩაფიქრდა, მაგრამ მაშინვე გამოფხიზლდა და ჰკითხა:

— გულწრფელად მითხარით, ფული ხომ არ გჭირდებათ, კამა? ხომ იცით, ახლა შემიძლია, ხელი გაგიმართოთ.

— არასოდეს, — შეჰყვირა ქალმა. — არასოდეს, გესმით! ღმერთო ჩემო, ვინ მოგცათ უფლება ამდენი შეურაცხყოფა მომაყენოთ?

დუმილია.

— არ ვიცი, — თქვა ნაგელმა, — რას ვუზივართ აქ და რად ვტანჯავთ ერთმანეთს...

მაგრამ ქალმა გააწყვეტინა და აქვითინებულმა ანგარიშმიუცემლად დაიწყო ლაპარაკი:

— ვინ ვის ტანჯავს? მე თქვენ თუ თქვენ მე? ღმერთო, როგორ შეიცვალე ამ ორიოდე თვეში, სულ ვეღარა გცნობ! მხოლოდ იმიტომ ჩამოვედი რომ... არა, უკვე აღარ მაქვს იმედი, რომ ჩემს სიყვარულს უპასუხებ, ხომ იცი, მე იმათ არ ვგავარ, ვინც თავს დაიმცირებს, შეგეხვეწება, მაგრამ მაინც ვიმედოვნებდი, მოწყალედ მომექცეოდი... ღმერთო, რა უსიხარულო ცხოვრება მაქვს! მინდა გულიდან ამოგიგლიჯო, მაგრამ არ შემიძლია, უკვე მიზიდავ და ფეხთ გივარდები. გახსოვს დრამენსვეინში სეირნობისას ვილმცის ძაღლი რომ მომვარდა და შენ დაარტყი? არადა თვითონ ვიყავი დამნაშავე: შევკივლე, მეგონა, უნდა მიკბინოს-მეთქი, მაგრამ თურმე კბენა კი არა, გათამაშება უნდოდა მხოლოდ და როცა შენ დაარტყი, გაქცევის ნაცვლად მუცელზე განრთხმული მოხოხდა და წინ გაგვიწვა. მაშინ შენ ატირდი, ძაღლს ეფერებოდი და მალულად ცრემლს იწმენდდი. ჰო, ჰო, ასე იყო. სამაგიეროდ ახლა არ ტირი, თუმცა... ოღონდ ეს ამბავი იმიტომ კი არ გავიხსენე, რომ ჩემს თავს ძაღლს ვადარებ. იმედი მაქვს, ამას მაინც არ იფიქრებ. ღმერთმა უწყის, რა აზრი მოგივა თავში! აბა, რა ვიცი, რას წარმოიდგენ! ო, მე კარგად ვიცნობ მაგ გამოხედვას! იცინი კიდეც. დიახ, დიახ, მშვენივრად დავინახე, იცინი! პირში დამცინი! ჰა, მაშ ინებე, ყველაფერს გეტყვი... არა, არა, მაპატიე, ისე მაქვს სასო წარკვეთილი! შენს წინ განადგურებული ქალია. სულ გავნადგურდი, გამომიწოდე ხელი! რატომ არ გინდა შემინდო ერთადერთი შეცდომა. კარგად თუ დაფიქრდები, დამეთანხმები, რომ არც ისე დამნაშავე ვარ. რა თქმა უნდა, ცუდად მოვიქეცი იმ საღამოს, რომ არ მოვედი, თუმცა ბევრჯერ მომეცი დათქმული ნიშანი. მეძახდი, მე კი არ ჩამოვდიოდი; ღმერთმა ხომ იცის, როგორ ვნანობ! მაგრამ შენ ტყუილად გგონია, რომ ის ჩემსას იჯდა. მართალია, იმ დღეს კი იყო ჩემთან, მაგრამ შენ რომ მეძახდი, უკვე წასული იყო. მე ხომ ყველაფერში გამოგიტყდი და გთხოვ, შემიბრალო, მაპატიო. ოღონდ, რა თქმა უნდა, მაშინვე უნდა გამეგდო, გეთანხმები, ყველაფერში გეთანხმები, არ უნდა... არა, არ მესმის... აღარაფერი მესმის.

დუმილია. სიჩუმეში მხოლოდ კამას სლუკუნი და დანა-ჩანგლის ჩხაკუნი ისმოდა სასადილოდან. ქალი ვერაფრით დამშვიდებულიყო და პირბადის ქვეშ ცრემლს იწმენდდა.

— აბა, წარმოიდგინე, ის ისეთი უსუსურია, — განაგრძო მან, — სულ არ შეუძლია, თავისი სიტყვის გატანა. დროდადრო მაგიდაზე მუშტს მიბრახუნებს და ჯანდაბას მგზავნის; დიახ, ხელაღებით მლანძღავს; უხეშად მექცევა, გამაკოტრეო, მიყვირის, მაგრამ ამისთანა აყალ-მაყალის მერე მთლად უბედურდება და ბოლოს მაინც ვერ მელევა. რა ვქნა, როცა ვხედავ, რა უსუსურია. მაინც ვერ ვტოვებ, თუმცა ვერ ვიტყვი, ტკბილი ცხოვრება მაქვს-მეთქი... ოღონდ, თუ შეიძლება ნუ მიბრალებ. როგორ ბედავთ ჩემს შებრალებას, ნუთუ სულ დაკარგეთ სირცხვილი! იგი მაინც ბევრსა სჯობია და სხვებზე მეტი სიხარული მომანიჭა, ყოველ შემთხვევაში, თქვენზე მეტი. მე იგი გულწრფელად მიყვარს, ასეც იცოდეთ! აქ იმიტომ არ ჩამოვსულვარ, მისთვის ცილი დამეწამებინა. როცა შინ დავბრუნდები, ფეხთ ჩავუვარდები და ვთხოვ, შემინდოს, რაც აქ ვილაპარაკე. დიახ, პატიებას ვთხოვ!

— ძვირფასო კამა, — უთხრა ნაგელმა, — ცოტაოდენი გონიერება მაინც გამოიჩინეთ! ნება მომეცით, დაგეხმაროთ, გთხოვთ! მე მგონი, გჭირდებათ

ხელის გამართვა, ნუთუ უარს მეტყვით? არ არის კარგი, რომ უარობთ, როცა ასე გულით გთავაზობთ.

და საფულე ამოიღო.

— არა, ხომ გითხარით, არა-მეთქი! — შეჰყვირა მოთმინებიდან გამოსულმა კამამ. — თქვენ რა, არ გესმით? ეს რა კაცი ხართ!

— მაშ რა გინდათ? — შეეკითხა მოლად გოგნებულ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი სკამზე დაჯდა და ტირილი შეწყვიტა. ეტყობოდა, უკვე ნანობდა გაფიცხებას.

— ყური მიგდე, სიმონსენ.. ნება მომეცით, კიდევ ერთხელ გიწოდოთ სიმონსენი და, თუ არ გაჯავრდებით, კიდევ რაღაც მინდა გკითხოთ. ეს რა უცნაური აზრი მოგსვლიათ? ამ სოროში რამ დაგასახლათ? მოდი და გაგიკვირდეს ამის შემდეგ, ხალხს ჭკუაზე შეშლილი რატომ ვგონივარო. უკვე გადამავიწყდა კიდეც ამ უბადრუკი ქალაქის სახელი და სანამ გონებას არ დავძაბავ, ვერც გავიხსენებ, თქვენ კი აქ არხეინად დასეირნობთ, კომედიას თამაშობთ და აქაურებს თქვენი ახირებული საქციელით აოცებთ! ნუთუ მეტი თავშესაქცევი ვერაფერი ნახეთ!.. თუმცა ეს, რა თქმა უნდა, ჩემი საქმე არ არის, მხოლოდ იმიტომ გეუბნებით, რომ ძველი... არა, მირჩიეთ მაინც, რა მოვუხერხო ამ ხველას? ვგრძნობ, საცაა ყველაფერი ჩამწყდება! როგორ გგონიათ, ისევ ხომ არ უნდა მივმართო ექიმს? ღმერთო ჩემო, თუმცა რა ექიმზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, როცა ჯიბეში ერთი ერეც კი არ მიგდია!

— კი მაგრამ, აკი გითხარით, მთელი სულით და გულით მზად ვარ დაგეხმაროთ, საჭირო თანხა გიბოძოთ-მეთქი. დაე, სესხად იყოს და ოდესმე უკან დამიბრუნებთ.

— ოჰ, კაცმა რომ თქვას, სულაც რა მნიშვნელობა აქვს, ვეჩვენები თუ არა ექიმს, — ჯიუტი ბავშვივით მაინც თავისას გაიძახოდა ქალი, — რომ მოვკვდები, ვინ დამიტირებს? — მაგრამ უეცრად, თითქოს გონს მოეგო და თავს მოერიაო სიტყვა შუაზე გაწყვიტა და უკვე სულ სხვა კილოზე განაგრძო, — თუმცა რა, თუ კარგად ავწონ-დავწონით, ვითომ რატომ არ უნდა გამოგართვათ ფული? მართლაც და, თუ წინათ ვიღებდი, ახლა რატომ არ უნდა ავიღო? მე ხომ ისეთი მდიდარი არა ვარ, რომ მხოლოდ რაღაც... ჰო მაგრამ, თქვენ სულ ისეთ დროს მთავაზობდით, როცა ძალიან აღელვებული ვიყავი და წინასწარ იცოდით, უარს გეტყოდით. დიახაც, ასე იყო! მიუხედავად იმისა, რომ ახლა ფული უამრავი გაქვთ, მაინც ცდილობდით დაგეზოგათ და განზრახ იქცეოდით ასე! გგონიათ, ვერ შევამჩნიე? ახლა კვლავაც რომ შემომთავაზოთ ფული, ამას მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გააკეთებთ, რათა დამამციროთ და მერე ნიშნი მომიგოთ, ბოლოს და ბოლოს მაინც იძულებული იყო აეღოო. მაგრამ ეგ არ გიშველით, ამ ფულს ავიღებ და გულწრფელადაც დაგიმადლებთ. ღმერთმა ქნას, მეტად აღარ მომიწიოს, შენ გთხოვო რამე! ოღონდ იცოდეთ, დღეს ამისთვის, ერთი სიტყვით, ფულის გულისთვის არ ჩამოვსულვარ, გინდ დამიჯერეთ, გინდ არა. მაინც არა მგონია, ისეთი სულმდაბალი იყოთ, ამაში ეჭვი შეგეპაროთ. მაინც რამდენი შეგიძლია მომცე, სიმონსენ! ღმერთო, ყველაფერი ასე ახლოს ნუ მიგაქვს გულთან, და მერწმუნეთ, ყოველი ჩემი სიტყვა მართლა...

— რამდენი გჭირდებათ?

— რამდენი მჭირდებაო! ღმერთო, ხომ არ გამასწრებს თბომავალი? მე იქნებ ბევრიც მჭირდება, მაგრამ... იქნებ ასობით კრონიც, ოღონდ...

— ყური მიგდეთ! სულაც ნუ იგრძნობთ თავს დამცირებულად, რომ ფულს მართმევთ. თუ მოისურვებთ, შეგიძლიათ დაიმსახუროთ. თქვენ შეგიძლიათ ფასდაუდებელი სამსახური გამიწიოთ, თუ შეგკადრებთ და გთხოვთ...

— თუ შემკადრებ და მთხოვ! — შესძახა სიხარულისგან აღტაცებულმა ქალმა, რომ ასეთი გამოსავალი გამოჩნდა, — ღმერთო ჩემო! ეს რა სათქმელია?! რა სამსახურია? რა სამსახურია, სიმონსენ? ყველაფერზე მზადა ვარ, ჩემო საყვარელო!

— თბომავალი ორმოცდახუთ წუთში გადის, მაშასადამე, ეს დრო თქვენს განკარგულებაშია.

— დიახ, აბა, რა უნდა გავაკეთო?

— მანდილოსანი უნდა მოინახულოთ და ერთი დავალება შეასრულოთ.

— მანდილოსანი მოვინახულო?

— ნავსადგურთან ცხოვრობს, ერთსართულიან პატარა სახლში. სარკმელზე ფარდები არ აფარია, ხოლო რაფაზე თეთრყვავილიანი ქოთნები დგას. მანდილოსანს მარტა გუდე ჰქვია — ფრეკენ გუდე.

— მაშ, ეს ისაა და არა ფრუ სტენერსენი?

— იცით რა, თქვენ ცდებით. ფრეკენ გუდე, ალბათ, ორმოციოდე წლის იქნება... სამაგიეროდ ამ ქალს სავარძელი აქვს, მალაჩხურგიანი ძველი სავარძელი, რომელიც უსიკვდილოდ მინდა შევიძინო და აი, თქვენ შეგიძლიათ დამეხმაროთ... აგერ, თქვენი ფული. აიღეთ და შეინახეთ, მე კი ამასობაში ყველაფერს აგიხსნით.

გარეთ უკვე ბინდდებოდა. მდგმურები ხმაურით გამოდიოდნენ სასადილოდან, ნაგელი კი ისევ იჯდა მეზობელ ოთახში და დაწვრილებით უხსნიდა კამას, როგორ მოქცეულიყო. დიდი სიფრთხილეა საჭირო, მაღალფარდოვანი სიტყვებით არაფერი გამოვაო. კამა თანდათან აღფრთოვანდა, დავალების იდუმალება აღტაცებას ჰგვრიდა და ერთი სული ჰქონდა, მალე შესდგომოდა საქმეს. ქალი ხმამაღლა კისკისებდა და რამდენჯერმე იკითხა, იქნებ სხვა სამოსი გადამეცვა ან ცხვირზე სათვალე დამეკოსებინაო. მგონი, ნაგელს იდესღაც წითელი შლაპა უნდა ჰქონოდა. აი, სწორედ ახლა გამოადგებოდა...

— არა, არა, არავითარი ფანდი არაა საჭირო. თქვენ მხოლოდ სავარძლის მოყიდვა სთხოვეთ, თქვენი საქმე — ფასის მომატებაა. შეგიძლიათ ორას კრონამდე გაზარდოთ ფასი, დაე, იყოს თუნდაც ორას ოცი. ამასთან, სავსებით დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, სავარძელს მაინც ვერ ჩაიგდებთ ხელში. ეგ სულაც ნუ შეგაწუხებთ.

— ღმერთო ჩემო, რამდენი ფულია! რატომ ვერ ვიყიდი ორას ოც კრონად?

— იმიტომ რომ უკვე ვთხოვე, რაც არ უნდა მოხდეს, სავარძელი მე შემინახონ.

— სიტყვაზე რომ დამიჭიროს?

— ეგ არ მოხდება. აბა, ახლა კი წადით!

წასვლისას ისევ სთხოვა, სავარცხელი და შეშფოთებულმა ჰკითხა, კაბა ხომ არ დამეჭმუჭნაო.

— არ მომწონს, პოლ რომ იმ ფრუ სტენერსენთან ზიხარ, — კეკლუცად, უთხრა ქალმა, — ამას ვერ ავიტან, დავიტანჯები. — და კვლავ შეამოწმა, ფული საიმედოდ თუ შევინახეო. — რა კეთილი ხარ, ამდენი ფული

რომ მომეცი! — შესძახა მან, ერთი ხელის გაკვრით გადიგდო პირბადე და შიგ შუა ტუჩებში აკოცა, თან კი სავსებით შეეპყრო იმ უცნაურ საქმეს, ნაგელმა რომ მიანდო.

— როგორ შეგატყობინო, თუ ყველაფერი მოგვარდა? — მოდი, კაპიტანსა ვთხოვ, თბომავლის საყვირი სამის ნაცვლად ხუთჯერ დაახყვიროს. ხედავ, არც ისე სულელი ვარ. არა, ჩემი იმედი შეგიძლია გქონდეს! ხომ იცი, მაგრამ უბრალო რამეს ვერ აგისრულებ, როცა შენ... იცი რა, მაინც ფულის გულისთვის არ ჩამოვსულვარ შენთან, მერწმუნე! აბა, ახლა კი ნება მომეცი, ერთხელ კიდევ გადაგიხადო მადლობა! ნახვამდის, ნახვამდის!

და ისევ შეამოწმა, ფული ხომ საიმედოდ შევინახეო.

ნახევარი საათის შემდეგ ნაგელმა მართლაც გაიგონა, რომ თბომავალმა ხუთჯერ ზედიზედ დაიყვირა.

XIII

გავიდა ორი დღე.

ნაგელი თითქმის არ გამოსულა ნომრიდან. მოღუშული და გაწამებული, ავადმყოფს ჰგავდა. ხმას არავის სცემდა, სასტუმროს მოსამსახურეებსაც კი არაფერს სთხოვდა. ცალი ხელი შეხვეული ჰქონდა. ერთ ღამეს, როცა ჩვეულებისამებრ, ლამის დილამდე იხეტიალა და მერეღა დაბრუნდა სასტუმროში, ხელი ცხვირსახოცით ჰქონდა შეხვეული. ნავსადგურში დაგდებულ ფარცხს ფეხი წამოვკარი და ხელი გავიჭერიო, თქვა.

ხუთშაბათს დილიდანვე სცრიდა და ცუდმა ამინდმა ნაგელს კიდევ უფრო გაუფუჭა გუნება, მაგრამ მას შემდეგ, რაც ლოგინშივე გადაიკითხა გაზეთი და საფრანგეთის პარლამენტში ატეხილ აურზაურზე იცინა, უცბად თითები გაატკაცუნა და ფეხზე წამოხტა. ჯანდაბას ყველაფერი! ქვეყანა დიდი, ჭრელი და მხიარულია! ქვეყანა მშვენიერია და კაცმა გული არ უნდა გაიტეხოს!

ჩაცმა არც მოეთავებინა, ზარი დარეკა და სარას აცნობა, საღამოს სტუმრების მოწვევას ვაპირებ, ხუთი-ექვსი კაცი იქნება, სულ ისეთი მხიარული, დარდიმანდი ხალხი, როგორიც ექიმი სტენერსენი, ვექილი ჰანსენი და ადიუნქტი არიანო. ცოტა თავი თუ არ გაირთო კაცმა, ამ ჩვენ ცოდვილ მიწაზე ძალიან მოსაწყენია ცხოვრება.

ნაგელმა მაშინვე დაგზავნა მოსაწვევი ბარათები. მაიცამ უპასუხა, მოვალო. რწმუნებული რეინერტიც დაპატიჟა, მაგრამ არ მოვიდა. ხუთი საათისთვის უკვე ყველამ მოიყარა თავი ნაგელის ოთახში. დილიდან გადაუღებლად წვიმდა. ძალიან მოღრუბლული იყო, ამიტომ მაშინვე ბუხარი გააჩაღეს და ფარდები ჩამოაფარეს.

და აი, დაიწყო დიდრაჯული ქეიფი, ატყდა ყურის წამღები ხმაური, ღრიანცელი და ისეთი ვაკხანალია გაჩაღდა, მთელ ქალაქს რამდენიმე დღე ესღა ჰქონდა სალაპარაკოდ...

გამოჩნდა თუ არა მაიცა, ნაგელმა შემოსვლა არ აცალა, მაშინვე მივარდა და მოუბოდიშა, ბოლოს რომ ვნახეთ ერთმანეთი, ზედმეტი დავროშეო. გრძნობით ჩამოართვა ხელი და მერე სტუდენტ ეიენს გააცნო, რადგან სტუმართაგან მხოლოდ ის არ იცნობდა მაიცას. მაიცამ ჩურჩულით გადაუხადა

მადლობა ნაგელს ახალი შარვლისთვის, ახლა თავით ფეხამდე ახლებში ვარ გამოწყობილიო.

— ქილეტი ჯერ არ გაქვთ.

— დიახ, მაგრამ არცა მჭირდება. გრაფი ხომ არა ვარ?! გარწმუნებთ, მართლა არ მინდა ქილეტი.

ექიმ სტენერსენს სათვალე გასტეხოდა და ამიტომ პენსნე ეკეთა, რომელიც წამდაუწუმ უვარდებოდა ცხვირიდან.

— არა, რაც არ უნდა თქვან, — განაცხადა მან. — ჩვენს დროებას თავისუფლება მოაქვს. აბა, დახედეთ არჩევნების შედეგებს და უწინდელს შეადარეთ!

ყველანი ბევრს სვამდნენ. ადიუნქტი უკვე ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა სიტყვებს, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ზედმეტი გადაეყლურწა. ადვოკატ ჰანსენს აქ მოსვლამდე აშკარად მოესწრო ორიოდე ჭიქის გადაკვრა და ახლა, ფეხი შემოდგა თუ არა, რაღაც მიკიბ-მოკიბა და ჩვეულებისამებრ, ექიმს შეედავა.

იგი, ჰანსენი, სოციალისტია; იგი, თავის მხრივ, თუ შეიძლება ასე ითქვას, წინსვლის მომხრეა, მაგრამ არჩევნების უკმაყოფილოა. ვითომ რა თავისუფლება მოგვიტანეს? არა, იქნებ ვინმემ გააგებინოს? ჯანდაბას არჩევნები! კარგი თავისუფლების ეპოქა კია, კაი ეშველოს! ან განა ისეთი კაცი, გლადსტონი რომაა, ყოვლად სამარცხვინოდ არ ებრძოდა პარნელს რაღაც სასაცილო წვრილმანისთვის, ეგრეთ წოდებული, მორალური შეხედულების გამო, რომელიც, მოგეხსენებათ, ჩირადაც არ ღირს? ჯანდაბამდის გზა ჰქონია ყოველგვარ მორალს!

— რა ეშმაკად ლაქლაქებო, ასეთ აბდაუბდას! — მაშინვე იფეთქა ექიმმა. — თქვენ რაო, საერთოდ უარყოფთ მორალს? ხალხს თუ მორალს წავართმევთ, რაღა უბიძგებს წინ? იძულებულნი ვართ, ვიეშმაკოთ, ყველა ღონე ვიხმაროთ, რომ ხალხი განვითარების გზაზე დავაყენოთ... აი, ამიტომაა აუცილებელი, ყოველთვის პატივი ვცეთ მორალს. — თავად ექიმი დიდად აფასებს პარნელს, მაგრამ თუ გლადსტონს პარნელი უღირსად მიაჩნია, მაშინ მის აზრს მაინც უნდა გაეწიოს ანგარიში. ვის, ვის და, გლადსტონისთანა კაცს ამისთანების რაღაცა გაეგება. თუმცა ბატონი ნაგელი, ჩვენი ღირსეული მასპინძელი, სხვა აზრისაა და გლადსტონს იმასაც კი დანაშაულად უთვლის, ყოველთვის სუფთა სინდისი აქვსო. ჰა-ჰა-ჰა, ღმერთო შემინდე და სასაცილოზე მეტია!... ბატონო ნაგელ, თქვენ, მგონი, არც ტოლსტოის წყალობთ მაინცდამაინც? ფრეკენ ჰელანისგან შევიტყვე, დიდად არაფრად აგდებსო.

ამ დროს ნაგელი სტუდენტ ეიენს ესაუბრებოდა. ექიმის ნათქვამს ყური მოკრა თუ არა, მაშინვე მიუბრუნდა და უპასუხა:

— რაღაც არ მაგონდება, ფრეკენ ჰელანთან ოდესმე ტოლსტოიზე მესაუბროს. მე იგი დიდ მწერლად მიმაჩნია, მაგრამ ფილოსოფიაში ყეყეჩია... — მცირე ხნით გაჩუმდა და განაგრძო: — მოდით, ამ საღამოს თავს ნება მივცეთ, თუ საჭიროა, შიგადაშიგ მკვახე სიტყვაც გავურიოთ. ვიმედოვნებ, უარს არ იტყვით. აქ ხომ მანდილოსნები არ არიან — მამაკაცთა სუფრაა. შევთანხმდით? ახლა ისეთ გუნებაზე ვარ, ლამისაა ნადირივით ვიბრდღვინო.

— თუ ღმერთი გწამთ, რას გვერიდებით, — იტკიცა ექიმმა, — მოდით და ასეც ვთქვათ: ტოლსტოი ყეყეჩია.

— დიახ, დიახ, დაე, ყველამ ის თქვას, რასაც ფიქრობს, — მოულოდნელად შეჰყვირა ადიუნქტმა, რომელიც სწორედ იმ ზომამდე იყო მისული, კაცს რომ ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად.. — არავითარი შეზღუდვა, ექიმო, თორემ ავდგებით და პირდაპირ გაგაგდებთ, ასეც/იცოდეთ. ყველას თავისი აზრი აქვს. აი, სტეკერი, მაგალითად, პირწავარდნილი არამზადაა და დავამტკიცებ კიდეც ამას... დიახ, დავამტკიცებ!

ყველას გაეცინა და ორიოდე წუთი მაინც გავიდა, სანამ ისევ ტოლსტოიზე საუბარს მიუბრუნდებოდნენ. ეჰვი არ არის, ტოლსტოი დიდი მწერალი, დიდი მოაზროვნეა!

უცბად ნაგელი ჭარხალივით გაწითლდა.

— არა, სულაც არ არის დიდი მოაზროვნე! პირიქით საოცრად ორდინარული ინტელექტი აქვს. რაც შეეხება მის მოძღვრებას — ხსნის არმიის უნდილ ქადაგებებს ერთი მისხლითაც ვერ ამეტებს. აბა, სხვა რომელი რუსი გაითქვამდა ასე სახელს, აქაოდა ორიოდე გლეხს ჩექმის დაკერება ასწავლაო, თუ ზურგს აზნაურის ტიტული, ძველი წარჩინებული გვარიშვილობა და კრიალა მანეთების მილიონიანი ქონება არ გაუმაგრებდა? მოდით, მაგას ლობია ვიმხიარულოთ. თქვენ გადღეგრძელებთ, ბატონო გრეგორდ!

ნაგელი საუბარსა და საუბარს შორის, დროს იხელთებდა თუ არა, მაიცას ჰიქას უჰახუნებდა და საერთოდ, მთელ საღამოს დიდი პატივით ეპყრობოდა. კიდევ ერთხელ მოუბოდიშა იმდღევანდელი სულელური ლაყბობისთვის და სთხოვა, ყველაფერი დაივიწყეთო.

— რაც გინდათ თქვით, ქედს მაინც ვერ მომახრევინებთ, — განაცხადა ექიმმა და გაიყინჩა.

— ხანადახან ერთი სული მაქვს, ყველას შევედავო, — თქვა ნაგელმა,— ამ საღამოს კი, რომ იტყვიან, ეშმაკი შემიჯდა. ალბათ იმიტომ, გუშინწინ რაღაც ისე მეწყინა, ადვილად ვერ მოვინელებ, ან იქნებ ამ საძაგელი ამინდის ბრალიცაა — საშინლად მოქმედებს ჩემზე. ბატონო ექიმო, თქვენ ყველაზე უკეთ გამიგებთ ამას და იმედი მაქვს, მაპატიებთ კიდეც... რაც შეეხება ტოლსტოის, გამოგიტყდებით, გენერალ ბუტსზე დიდი გონების კაცად არ მიმაჩნია. ორივენი მქადაგებლები არიან და არა მოაზროვნენი; დიახ, მხოლოდ მქადაგებლები. ორივენი უკვე მზა პროდუქციას ატრიალებენ, სხვის აზრებს ავრცელებენ და არა თავისას; ხელმეორედ, იაფად ასაღებენ უკვე არსებულ, ნასესხებ აზრებს და ამის გამოისობით მთელი ქვეყანა ხელში უჭირავთ. ჰოდა, თუ კაცმა გადამყიდველობას მიჰყავი ხელი, სარგებელი მაინც ნახე, ტოლსტოის კი უზარმაზარი ზარალი მოსდის. ერთხელ ორმა მეგობარმა ნაძლევი დადო: ერთი ეუბნება მეორეს — ერთი გასროლით ოც ნაბიჯზე ხელიდან კაკალს გაგაგდებინებო. დიახ, თორმეტ შილინგზე დაენაძლევა, რომ ისე მარჯვედ ესროდა კაკალს, მეგობარს არაფერს დაუშავებდა. ჰოდა, ადგა და ესროლა, ესროლა ძალზე უხეიროდ, მეგობარი ხელში დაჭრა და, კაცმა სიმართლე არ უნდა დაუკარგოს, ამ საქმეს კი მართლაც ბრწყინვალედ გაართვა თავი. დაჭრილმა ერთი კი დაიგმინა, მაგრამ უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და შესძახა: „წააგე, ჩამოყაჭე თორმეტი შილინგი!“ და თორმეტი შილინგი მიიღო. ჰა-ჰა-ჰა... „ჩამოყაჭე თორმეტი შილინგი!“ სწორედ ასე თქვა... ღმერთო ჩემო, ტოლსტოი, რომ იტყვიან, გველის ტყავში ძვრება, ოღონდ კი ამქვეყნად ყველანაირი ადამიანური სიხარული ჩაკლას და ეს სოფელი უფ-

ლისა და მოყვასის სიყვარულით მოაპირთავოს. პირდაპირ სირცხვილით ვიწ-ვი... იქნებ, თავხედობაშიც ჩამომართვათ — ვილაც უბადრუკი აგრონომი გრაფის მაგივრად სირცხვილით იწვისო, მაგრამ, მერწმუნეთ, ზუსტად ასეა... არაფერს ვიტყოდი, ტოლსტოი რომ ჭაბუკი იყოს, მაშინ მისთვის ცდუნების თავიდან არიდება დიდი ჯაფა იქნებოდა და იმისთვის რომ ხალხს უქადაგა და ზნეკეთილად ეცხოვრა, საკუთარ თავთან ნამდვილი იმის გამოცხადება მოუწევდა. მაგრამ იგი ხომ ღრმა მოხუცია, ყველა სასიცოცხლო იმპულსი კარგა ხანია ჩაუქრა და მის სულში ადამიანურ ვნებათა და სურვილთა კვა-ლიც კი აღარ დარჩა. შეიძლება ვინმე შემომედავოს—მაგას რა ხელი აქვს მის მოძღვრებასთანო. დიახაც რომ აქვს, და თანაც როგორ! შენ შენი ცხოვრება უკვე მოგიჭამია და ახლა მიხრწნილი, მეტისმეტ სიამეთაგან მოყირჭებული და გულარძნილი მისდგომიხარ ჭაბუკს და ეუბნები: უარყავ ამა ქვეყნის ცდუნება-სიო! ჭაბუკიც ყურად იღებს შენს მოწოდებას , ვერც იმას უარყოფს, რომ საღვთო წერილიც ამასვე უქადაგებს, მაგრამ ჭაბუკი სიამეთ ზურგს მაინც არ აქცევს და სცოდავს, სცოდავს მთელ ორმოც წელიწადს — ასეთია ბუ-ნების კანონი. მერე კი, ორმოცი წელი რომ გაიფრენს და ჭაბუკი ბერი-კაცად გადაიქცევა, ისიც შეკაზმავს თავის ბეხრეკს, გაძვალტყავებულ ხელ-ში ჩაბღუჯულ ჯვარს ზეაღმართავს, მე მომბაძეთო, დაიწყებს ძახილს და ისიც მოითხოვს ჭაბუკებისგან — განუდგნენ ამა სოფლის ყველა სიამეთ, სულ ერ-თიანად აიღონ ხელი! ჰა-ჰა-ჰა! ჭეშმარიტად უკვდავი კომედიაა, სულ მეო-რდება და მეორდება! ტოლსტოი მართობს. პირდაპირ აღტაცებული ვარ, კიდევ რამდენ სიკეთეს თესავს ეს ბერიკაცი: ბოლოს და ბოლოს აუცილებლად და-იმკვიდრებს სასუფეველს! მაგრამ მთავარი ის არის, იგი ზუსტად ისე იქცევა, როგორც მანამდე იქცეოდა მრავალი და მრავალი სხვა ბერიკაცი და მის შემდეგაც ბერიკაცები სწორედ ასევე მოიქცევიან. ვიმეორებ, ეს არის მთა-ვარი.

— სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ნება მომეცით, გაგახსენოთ, დიახ, ნება მომეცით, გაგახსენოთ — ტოლსტოიმ ჩაგრულთ და ღატაკთ ჭეშმარიტი მე-გობრობა გაუწია. ნუთუ, თქვენის აზრით, ეს არაფერს ნიშნავს? აბა, დამისა-ხელეთ თუნდაც ერთი ბატონი ჩვენში, ტოლსტოივით რომ შეეწირა თავი მდა-ბიოთათვის, მათთვის, ვინც საზოგადოების ყველაზე დაბალ საფეხურზე დგას? მხოლოდ თავკერძა ადამიანი — ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვთვლი — თუ უწოდებს ტოლსტოის მოძღვრებას სულელურს მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხი მის მოძღვრებას არ მისდევს.

— ბარაქალა, ექიმო! — ისევ აღრიალდა ადიუნქტი, რომელსაც ალგზნე-ბისგან სახე წამოჭარხლოდა. — ოღონდ უფრო უკმეხად გამოთქვით, უფრო უხეშად ილაპარაკეთ! ყველას აქვს უფლება, თავისი შეხედულება დაიცვას! რაც მართალია, მართალია,თავკერძა კაცი ხარ, თავკერძა! და დავამტკიცებ კი-დეც....

— თქვენ გაგიმარჯოთ! — უთხრა ნაგელმა, — ნუ დაივიწყებთ, რისთვი-საც მოვიყარეთ თავი. მაშ, თქვენ, ექიმო, გგონიათ, მართლა უნდა აღვფრთო-ვანდეთ იმ კაცით, ვინც მილიონის ქონებას ფლობს და ქველმოქმედებისთვის ათ მანეთს სწირავს? ღმერთმანი, თქვენი არაფერი მესმის — არც სხვებისა; შეიძლება მე ვარ სხვანაირი. რომ მომკლათ, მაინც ვერ დაგეთანხმებით, რომ

ვინმე — მით უმეტეს მილიონერი — აღფრთოვანების ღირსია, რადგან მოწყალებას იძლევა.

— ჩინებულია! — ცოტა არ იყოს, წაქეზებით შესძახა ვექილმა. — მე სოციალისტი ვარ, მეც გეთანხმებით.

ამ სიტყვებმა ექიმს საბოლოოდ გაუწყვიტა მოთმინების ძაფი და ნაგელს უყვირა:

— ნება მიბოძეთ, გკითხოთ, თქვენ რა, მართლა ასე კარგად იცით, ზუსტად რა თანხას სწირავს ტოლსტოი ღარიბებს ყოველდღიურად ანდა ყოველწლიურად? არა, ეს უკვე მეტისმეტია! მამაკაცთა წრეშიც კი არ შეიძლება ყველაფრის თქმა.

— აი, ტოლსტოიც ფიქრობს, — მიუგო ნაგელმა, — რომ ყველაფერს საზღვარი აქვს — ასევე ქველმოქმედებასაც! ამიტომაც დააკისრა თავის ცოლს, მკაცრად ადევნოს თვალი, რათა იმაზე მეტი არ გასცეს, რაც საერთოდ მიღებულია. ჰა-ჰა-ჰა! ეჰ, მოდით, ამაზე ნურაფერს ვიტყვით... ყური მიგდეთ! რატომ ვიძლევით ხოლმე კრონს? იმიტომ რომ კეთილები ვართ, თუ უბრალოდ კაცთმოყვარეობა გვინდა გამოვიჩინოთ? ჩემის აზრით, ამის თქმა გულუბრყვილობაა და მეტი არაფერი! ზოგს არ ძალუძს, არ გასცეს. რატომ? იმიტომ, რომ გაცემისას ნამდვილ ნეტარებას განიცდის — რა თქმა უნდა, წმინდა წყლის ფსიქიკურს. ამ დროს ლოგიკას ყურს არავინ უგდებს; ისინი ამას ჩუმად აკეთებენ, საქვეყნოდ გამოტანა სძაგთ, რადგან ამით სიამოვნება მოაკლდებათ. აძლევენ ფარულად, სწრაფად, ხელაცახცახებულნი, თან კი საოცარ ნეტარებას განიცდიან; რატომ — თავად ვერ გაუგიათ. ამ ადამიანებს უეცრად, სრულიად უმიზეზოდ, დაუოკებელი მოთხოვნილება უჩნდებათ, რაღაც გასცენ; უცნაური, გულისშემკუმშველი გრძნობა იპყრობთ — უეცარი, დაუძლეველი სურვილი, რომელიც ისეთი ძალით იფეთქებს ხოლმე, თვალი ცრემლით ენამებათ. იმიტომ კი არ იძლევიან, რომ გულკეთილები არიან — იძლევიან ბუნებრივი მიდრეკილების გამო, იმ ნეტარებისთვის, რომელსაც ამ დროს განიცდიან: ასეთი ხალხი ცოტა როდია! გულუხვებზე აღტაცებით ლაპარაკობენ ხოლმე — ვიმეორებ, ეტყობა მე სხვანაირი ბუნებისა ვარ, რადგან გულუხვი ხალხი აღტაცებას არ მგვრის — ერთი ბეწოთითაც არა. ეშმაკმა დალახვროს, ვის არ ურჩევნია გასცეს, ვიდრე აიღოს? ნება მიბოძეთ, გკითხოთ, ამქვეყნად ერთი კაცი თუ მოიძებნება, გაჭირვებულის ხელის გამართვას, გაჭირვებას რომ ამჯობინებდეს? აი, თუნდაც თქვენ, ექიმო, ამას წინათ მენავემ რომ გადაგიყვანათ, თქვენ არ იყავით, ხუთი კრონი რომ აჩუქეთ — შემთხვევით მოვკარი ყური. აბა, რატომ მიეცით ხუთი კრონი? რა თქმა უნდა, იმიტომ არ მიგიციათ, კარგი, ღვთის საამებელი საქმე ჩაგედინათ— ეგ აზრი, ალბათ, მაშინ თავში არც მოგსვლიათ; მგონი, არც მენავე უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც გაჭირვებული, მაგრამ ის ხუთი კრონი მაინც მიეცით; მიეცით მხოლოდ იმიტომ, რო მშეუცნობელ იმპულსს დაემორჩილეთ, რაღაც გაგეცათ და სხვა გაგეხარებინათ... მე მგონი, ქველმოქმედებით აღტაცება საერთოდ უღირსი და უმაქნისია. ვთქვათ, ქუჩაში მიდიხართ და ყველაფერი — ამინდი, გამვლელ-გამომვლელი, სულ ყველაფერი თქვენს გუნებაზე მოქმედებს. უეცრად თქვენს ყურადღებას ვიღაცის სახე, ბავშვის ანდა მათხოვრის, ვთქვათ, მათხოვრის სახე იპყრობს და კანკალი მოგერიათ. სულს უცნაური გრძნობა სჭვალავს, ფეხს მიწაზე სცემთ და შუა ქუჩაში ჩერდე-

ბით. ამ სახემ რატომღაც შეგძრათ. უხმობთ მათხოვარს, პირველივე ჰიშკარს ალებთ, ეზოში შეგყავთ და ხელში ათკრონიანს აჩეჩებთ. „თუ რამე წამოგცდა, ერთი სიტყვაც რომ დაძრა ამაზე, იცოდე მოგკლავ". — ჩურჩულით ეუბნებით, ალელვებისგან კბილებს აკრაჭუნებთ და თქვენთვის იმხელა მნიშვნელობა აქვს, ყველაფერი საიდუმლოდ დარჩეს, ლამისაა იტიროთ. უმნიშვნელო რამ შეიძლება მუდამდღე დაგემართოთ და ერთ მშვენიერ დღეს თქვენც იქნებ ისეთ შავ დღეში ჩავარდეთ, ჯიბეში ერთი ერეც არ გიჭყაოდეთ. რა თქმა უნდა, ამას ჩემს თავზე არ მოგახსენებთ, ერთს ვიცნობდი, ასეთი ჩვეულება რომ ჰქონდა; თუმცა ერთსაც ვიცნობდი და ორსაც, ასე რომ იქცეოდა. დიახ, დიახ, გასცემ მხოლოდ იმიტომ, რომ არ შეგიძლია არ გასცე და სხვა არაფერი! ოღონდ, იცოდეთ, ძუნწები არ მყავს მხედველობაში. ეჭვი არ არის, ძუნწი, დაქიმითულ-დახარბებული კაცი მართლა მსხვერპლს იღებს, როცა რაიმეს გასცემს. ამიტომაც მწამს, როცა ასეთი კაცი თავის თავს აჯობებს და ერთ ერეს გაიღებს, უფრო მეტი პატივისცემის ღირსია, ვიდრე მე და თქვენ, როცა ჩვენს სიამოვნებას ერთ კრონსა ვსწირავთ. მომიკითხეთ ტოლსტოი და გადაეცით, ჩირადაც არ ვაგდებ მის გულისამრევ, შარაზე გამოფენილ სიკეთეს, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ მთელ სარჩო-საბადებელს არ გასცემს, თუმცა არც მაშინ... მომიტევეთ, თუ ვინმე თქვენგანი გავანაწყენე. სიგარას ხომ არ ინებებთ კიდევ, ბატონო გრეგორდ? თქვენ გაგიმარჯოთ, ბატონო ექიმო!

დუმილია.

— როგორ გგონიათ, ცხოვრებაში მაინც რამდენ კაცს მოაქცევთ თქვენს რჯულზე? — ჰკითხა ექიმმა.

— ბარაქალა! — შეჰყვირა ადიუნქტმა. — ადიუნქტი ჰოლტანი მხარს გიჭერთ, ბარაქალა!

— მე მოვაქცევ? — ჩაეკითხა ნაგელი. — არც რამდენს, არც ერთს. მე რომ მაგისთვის მომეკიდა ხელი, სულ მალე შიმშილით სული ამომხდებოდა. ოღონდ ის ვერ გამიგია, რატომ სხვებიც ჩემსავით არ ფიქრობენ. გამოდის, ყველაფერში მტყუანი ვყოფილვარ. კეთილი, მაგრამ ხომ არ შეიძლება ყველაფერში მე ვტყუოდე. შეუძლებელია, ყველაფერში მტყუანი ვიყო.

— ჯერჯერობით თქვენგან ერთხელაც არ მსმენია, ვინმეს ან რაიმეს აფასებდეთ, — უთხრა ექიმმა. — ნეტა, ამქვეყნად ერთი კაცი თუ მაინც მოიძებნება, თქვენს თვალში რომ ფასი ექნება.

— ნება მიბოძეთ, ერთი რამ აგიხსნათ, სულ ორიოდე სიტყვით აგიხსნით. აი რა გინდოდათ გეთქვათ: ერთი ამას დამიხედეთ, ყველას ათვალწუნებით ესაუბრება, აი ნამდვილი ხატი ქედმაღლობისა, არავის არაფრად აგდებს. მაგრამ თქვენ სცდებით. მართალია, ჩემი გონების თვალი შორს ვერა სწვდება, ხელი ბევრ რამეზე არ მიმიწვდება, მაგრამ მაინც შემეძლო ასეულობით დამესახელებინა საყოველთაოდ აღიარებული, ჩვეულებრივი ხალხი — ისინი, ვისი სახელებიც ქვეყანაზე ქუხს, ყური გამომიჭედელს ამ სახელებით... მაგრამ მერჩია კი დამესახელებინა ორი, ოთხი, ექვსი სულის დევგმირი, ნახევრად ღმერთი, ნამდვილი ბუმბერაზი, ჭეშმარიტ ფასეულთა შემქმნელი, კიდევ ყურადღებას მივაპყრობდი იმ თავისებურ, სრულიად უცნობ კეთილშობილ გენიოსებს, რომელთაც არავინ ახსენებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, დიდხანს ვერ ცოცხლობენ და ჭაბუკები და უსახელონი კვდებიან. იქნებ

ესენი უფრო მეტიც დამესახელებინა, მაგრამ ერთი რამ კი მტკიცედ ვიცი — ტოლსტოი უეჭველად დამავიწყდებოდა.

— ყური მიგდეთ, — უთხრა ექიმმა, რომელიც თავს იცავდა და სურდა, დავისთვის ბოლო მოეღო; მხრებიც კი აიჩეჩა. — თქვენ მართლა გგონიათ, რომ შეიძლება ტოლსტოივით ქვეყანაზე გაითქვა სახელი და დიდი მოაზროვნე არ იყო? უდავოდ თავშესაქცევად ლაპარაკობთ, მაგრამ, არსებითად, ეგ ყველაფერი სისულელეა. დიახ, ისეთ სისულელეს ამბობთ, ყურში არ შეიშვება.

— ვაშა, ექიმო! — აღრიალდა ადიუნქტი ჰოლტანი. — დაე, ჩვენმა მასპინძელმა ცოტა სული მოგვათქმევინოს, ცოტა სული მოგვათქმევინოს...

— ადიუნქტმა შემახსენა, რომ, მართლაც, ვერა ვარ კარგი მასპინძელი,— ღიმილით თქვა ნაგელმა. — მაგრამ ახლავე გამოვსწორდები. ბატონო ეიენ, თქვენ ჭიქა არც კი შეგივსიათ? რატომ არ სვამთ?

საქმე ის იყო, რომ ამ ხნის მანძილზე, სტუდენტი ეიენი უძრავად იჯდა და ყურდაცქვეტილი უსმენდა საუბარს — რა არის, ერთი სიტყვაც არ გამოეპაროსო. ისე გაეტაცა დავას, ცნობისმოყვარეობისგან თვალმოწკურული, მთლად სმენად ქცეულიყო. ამბობდნენ, სხვა მრავალი სტუდენტივით ისიც რომანსა წერს არდადეგების დროსო.

სარა შემოვიდა და, ვახშამი მზადააო, აცნობა. ვექილმა, რომელიც სკამზე მოკალათებულიყო და ერთი პირი კიდეც წაეთვლიმა, თვალი ჭყიტა და სარას დანახვაზე აშკარად გახალისდა. როცა მოახლე კარს მიეფარა, წამოხტა, ჭიბის თავზე წამოეწია და დაუფარავი აღტაცებით უთხრა:

— სარა, უნდა გითხრათ, რომ მშვენიერი რამა ხართ!

მერე ოთახში შემობრუნდა და ვითომც აქ არაფერიაო, ისევ ისე სერიოზულად დაჯდა თავის ადგილზე. ძალზედ მთვრალი იყო. როცა ექიმი სტენერსენი მის სოციალისტურ შეხედულებებს დაექცეერა, დავის თავი აღარა ჰქონდა. კარგი სოციალისტი კია, თქვენ ნუ მომიკვდებით! სოციალისტი კი არა, მყვლეფავია; უბადრუკი შუამავალია ამა ქვეყნის ძლიერთა და უუფლებოთა შორის, რომელსაც სხვების კინკლაობა აჭმევს პურს და ფულს ისეთი საქმის დაცვისთვის იღებს, რომლის კანონიერებაში ეჭვიც არავის ეპარება. მერე მოდის ასეთი კაცი და კიდევ სოციალისტობაზე დებს თავს!

— ჰო, მაგრამ, მთავარი პრინციპია, პრინციპი! — ლუღლუღებდა ვექილი.

— პრინციპია!..

და ექიმმა ძალზე გამქირდავად მოიხსენია ვექილ ჰანსენის პრინციპები. სანამ სტუმრები სასადილოში ჩადიოდნენ, სულ თავს ესხმოდა, მის ვექილობას აბუჩად იგდებდა და საერთოდ, სოციალიზმის წინააღმდეგ ილაშქრებდა. აგერ, თავად ექიმი, ზოგ-ზოგებივით ცარიელ სიტყვებს კი არ სჯერდება, სულით-ხორცამდე მემარცხენეთა ერთგულია! მაინც რა არის სოციალიზმის პრინციპები? მაგაზე ეშმაკიც კი კისერს მოიტეხს! და ექიმმა თავისებურად გაუტია: სოციალიზმი, მოკლედ თუ გამოვხატავთ მის არსს — მდაბიოთა შურისძიებაა. ერთი ნახეთ, რას წარმოადგენს სოციალიზმი, როგორც მოძრაობა! სოციალისტები — ამას დაბეჯითებით ამბობს — ბრმა და ყურდახშულ ცხოველთა ჯოგია, რომელიც აქასქასებული მიჰყვება ბელადის კვალს! ახლა საკუთარ ცხვირს იქით თუ ამჩნევენ რამეს? არა, იმათ საერთოდ არა აქვთ ფიქ-

რის უნარი, თორემ კარგა ხნის წინ გადმოვიდოდნენ მემარცხენეთა მხარეზე და რამე ხეირიან, პრაქტიკულ საქმეს მოეკიდებოდნენ. ისინი კი მთელ სიცოცხლეს უაზრო ფართიფურთში ატარებენ და აუხდენელ ოცნებებს ემოტინებიან. ფუჰ! ერთი გადახედეთ, ვინ არიან სოციალიზმის ბელადები? — ლატაკები, გაძვალტყავებული მეოცნებენი, რომლებიც თავიანთ მანსარდებში ხის ტაბურეტებზე ჩამომსხდარან და სამყაროს სრულქმნაზე ტრაქტატებს აწერწიკებენ! რა თქმა უნდა, შეიძლება ძალიანაც რიგიანი ხალხი იყოს — აბა, ცუდს ვინ იტყვის კარლ მარქსზე? — მაგრამ მაგ მარქსაც კი ჯდომისა და წერის მეტი არაფერი უკეთებია. იჯდა და მხოლოდ თეორიულად, ასე ვთქვათ, კალმის მოსმით სპობდა სიღარიბეს დედამიწაზე. გონების თვალი მოავლო ყველა ჯურის სიღარიბეს, ყოველგვარი ხარისხის სიღატაკეს; მისმა გონებამ მთელი კაცობრიობის სატანჯველი დაიტია. სულაგიზგიზებული აწებს კალამს მელანში, გვერდს გვერდზე აცხობს, რიცხვებით ავსებს დიდ ფურცლებს, ართმევს ფულს მდიდრებს და ღარიბებს ურიგებს, ანაწილებს და ანაწილებს უზარმაზარ თანხებს, ატრიალებს მთელი მსოფლიოს ეკონომიკას, მილიარდებს უყრის გაოცებულ ღარიბებს და ამას აკეთებს წმინდა მეცნიერულად, მხოლოდ თეორიულად! ბოლოს და ბოლოს კი ირკვევა, რომ გულუბრყვილოდ გატაცებული, ძირის-ძირობამდე მცდარ პრინციპს — ხალხთა თანასწორობას ეყრდნობოდა! ფუჰ! ეს ხომ აბსოლუტურად მცდარი პრინციპია! ჰოდა, ამას იყო გადაყოლილი, იმის მაგივრად, რამე სასარგებლო მოღვაწეობისთვის მოეკიდა ხელი, მხარში ამოსდგომოდა ლიბერალებს და მათთან ერთად ებრძოლა რეფორმებისა და ჭეშმარიტი დემოკრატიის განმტკიცებისთვის.

ყოველ ჭიქაზე ექიმი სულ უფრო და უფრო ფიცხდებოდა, პირდაპირ ქადაგად დაეცა და თავის შეხედულებათა უმცდარობას ამტკიცებდა. სუფრაზე, ვახშმობისას, კიდევ მეტად გაცეცხლდა; ბევრი შამპანური შესვეს და ყველა არევის გუნებაზე დადგა, ნაგელის გვერდით მჯდარი მარტაც კი, აქამდე რომ ხმა არ გაუღია, საუბარში ჩაერია და დროდადრო ერთ-ორ სიტყვას ჩაურთავდა ხოლმე. ადიუნქტი სარგადაყლაპულივით იჯდა, განძრევისა ეშინოდა და ყრუსავით გაჰყვიროდა, ჟილეტზე კვერცხი ჩამოისხი და ადგილიდან ვერ ვიძვრიო. თოთო ბავშვივით უსუსური იყო. ბოლოს სარა შემოვიდა და ადიუნქტის ჟილეტს მიხედა. გვერდით მჯდარმა ვექილმა დრო იხელთა, ქალიშვილი გულში ჩაიხუტა და ჩქმეტა დაუწყო, აი მაშინ კი აირია მონასტერი, ყველა ფეხზე წამოხტა და კაცი ვერ გაიგებდა, ვინ რას აკეთებდა.

ამასობაში ნაგელმა უბრძანა, ერთი კალათა შამპანური აეტანათ ნომერში. მალე საზოგადოება სუფრიდან აიშალა. ხელიხელ გადახვეული ადიუნქტი და ვექილი გრძნობამორეულნი მღეროდნენ. ექიმი ისევ სოციალიზმს მისდგა, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, კიბეზე პენსნეს გამოეთხოვა: ისევ დაუვარდა — რატომ მეათეჯერ არა — და გაუტყდა. ორივე მინა ნამსხვრევებად იქცა. ექიმმა ჩარჩო ჯიბეში ჩაიდო და მთელი საღამოს სანახევროდ დაბრმავდა. ამან საშინლად გაანაწყენა და კიდევ მეტად გალიზიანდა. იგი ნაგელს მიუჯდა გვერდით და ენამწარედ უთხრა:

— თუ არ ვცდები, თქვენ მორწმუნე უნდა იყოთ, არა?

ექიმმა სრულიად სერიოზულად ჰკითხა და ახლა, აშკარა იყო, პასუხს

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ელოდა. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ დასძინა, კარლსენის დაკრძალვაზე რომ გაგვესაუბრეთ, მორწმუნე კაცად მეჩვენეთო.

— მე ადამიანის რელიგიურ ცხოვრებას, საერთოდ რელიგიურ ცხოვრებას ვიცავდი და არა მაინცდამაინც ქრისტიანობას, — მიუგო ნაგელმა. — თქვენ ირწმუნებოდით, ყველა თეოლოგი ჩამოსახრჩობია, რატომ?“ — გკითხეთ მე. თქვენ მიპასუხეთ: იმიტომ, რომ თავისი დრო უკვე მოჭამეს“. აი, ამაზე ვერ დაგეთანხმეთ . რელიგიური ცხოვრება უდავო ფაქტია. თურქი შესძახებს „დიდ არს ალაჰი!“ და თავისი სარწმუნოებისთვის კვდება, ნორვეგიელი მუხლმოყრილი დგას საკურთხეველთან და დღესაც კი ქრისტეს სისხლით იღებს ზიარებას. ყველა ხალხი ეთაყვანება თავის ძროხის ზანზალაკს და ამ რწმენით ადამიანები ნეტარად განუტევენ სულს. საქმე ის არის, როგორ გწამს და არა, რა გწამს...

— პირდაპირ მაოცებს, რას ლაპარაკობთ, — გულისწყრომით შეესიტყვა ექიმი. — კიდევ ერთხელ ვეკითხები ჩემს თავს, იქნებ შენიღბული მემარჯვენეა-მეთქი? თქვენს დროში აურაცხელი წიგნი გამოდის, რომლებიც თეოლოგებსა და სასულიერო წიგნებს აკრიტიკებენ; სულ უფრო მეტი და მეტი მწერალი ილაშქრებს ქადაგებათა კრებულებისა და თეოლოგიურ ნაწარმოებთა წინააღმდეგ. თქვენ კი მაინც არ იხევთ უკან და ისიც არ გსურთ აღიაროთ, ქრისტეს სისხლით ზიარების კომედიამ ჩვენს საუკუნეში ყოველგვარი აზრი დაკარგა. უბრალოდ, არ მესმის, რას ფიქრობთ.

ნაგელი მცირე ხნით ჩაფიქრდა და მიუგო — აი, რას ვფიქრობ: ვის რაში სჭირდება — მაპატიეთ კი, იქნებ, უკვე გკითხეთ ეს — ჰოდა, აი, წმინდა პრაქტიკული თვალით რომ შევხედოთ, ვის რაში სჭირდება, ცხოვრებას მთელ პოეზიას, ყველა ოცნებას, მისტიკის მშვენიერებას და თუნდაც, სიცრუეს რომ ვაცლით? თქვენ უწყით სად არის ჭეშმარიტება? ჩვენ ხომ სიმბოლოთა წყალობით მივიწევთ წინ და ამ წინსვლის დროს ვცვლით სიმბოლოებს... მაგრამ, მოდით, დავლიოთ, თორემ ლაპარაკის მეტს არაფერს ვაკეთებთ.

ექიმი ადგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. გაბრაზებულმა დახედა კართან აკეცილ ფიანდაზს და უმალ ჩაიმუხლა, რომ გაესწორებინა.

— აბა, რა მოხდებოდა, ცოტა ხანს მაინც გეთხოვებინა სათვალე, ჰანსენ, შენ ხომ, სულ ერთია, მაინც ზიხარ და ყვინთავ, — გულმოსულმა უთხრა ექიმმა, რომელიც საბოლოოდ კარგავდა მოთმინებას.

მაგრამ ჰანსენი სათვალეს არ შეელია. განაწყენებულმა ექიმმა ზურგი აქცია და ისევ ნაგელს მიუჯდა გვერდით.

— არა, ეგ სულ სისულელეა, თქვენი თვალით რომ შეხედოს კაცმა, ეგ ყველაფერი უაზრობაა და მეტი არაფერი, — უთხრა მან. — თუმცა, იქნებ, ნაწილობრივ მართალიც იყოთ: აგერ, ჰანსენს შეხედეთ! ჰა-ჰა-ჰა, მაპატიე, რომ შენზე ვიცინი. ჰანსენ, ვექილო და სოციალისტო ჰანსენ! გამოტყდი, ხომ გიხარია გულის სიღრმეში, როცა ორი პატიოსანი მოქალაქე ერთმანეთს წაეკიდება? აბა, ვინ დაგიჯერებს, რომ მართლა შეეცდები მათ მორიგებას და მაშასადამე, ერთ შილინგსაც ვერ მიიღებ! კვირას კი ისევ წაბრძანდები მუშათა კავშირში და ორ ხელოსანსა და ერთ ყასაბს ლექციას წაუკითხავ სოციალისტურ სახელმწიფოზე. „დიახ, საზღაურს ყველა შრომის მიხედვით მიიღებს, — ეტყვი შენ,— ყველაფერი სამართლიანად იქნება მოწყობილი, ნაწყენი არავინ დარჩება“. მაგრამ ამ დროს ყასაბი დგება, ყასაბი, რომელიც, ღმერთო

მომკალი, თქვენისთანებთან შედარებით, ნამდვილი გენიოსია, დიახ, ჰოდა, აი დგება და კითხულობს: „პირადად მე მომხმარებლური მადა ბიფთმად მოვაჭრისა მაქვს, მაგრამ, როგორც მწარმოებელი, ერთი საწყალი ყასაბი ვარ და მეტი არაფერი", — აბა, მაშინ რაღას იზამ? გამოტყდი, ხომ გასცოფდები სიბრაზისაგან? მიდი, მიდი, ახვრინდი, მაგაში კი, იცოცხლე, მაგარი ხარ!

ექიმი მთლად დათვრა, ენა ებორკებოდა, თვალები [illegible]. მცირე ხნის დუმილის შემდეგ ისევ მიუბრუნდა ნაგელს და პირქუშად განაგრძო:

— თუმცა, სულაც არ მგონია, რომ მხოლოდ თეოლოგებმა უნდა მოიკლან თავი. ეშმაკმა დალახვროს, უკვე დიდი ხანია დროა, ყველანი მოუსავლეთში გავემგზავროთ, კაცობრიობას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო, დედამიწა კი თუნდაც ჯანდაბას გადაკარგულა!

ამ დროს ნაგელი მაიცას უჭახუნებდა ჭიქას. ექიმი პასუხს ვერ ღირსა, ამან მთლად გააცეცხლა და შეჰყვირა:

— თქვენ რა, არ გესმით, რას ვამბობ? უკვე დიდი ხანია დროა, ყველანი მოუსავლეთში წავიდეთ-მეთქი, თქვენც, გესმით?! თქვენც!

ექიმი პირდაპირ გაცოფდა.

— დიახ,— შეეხმიანა ნაგელი, — მაგაზე ბევრჯერ მიფიქრია, მაგრამ პირადად მე ვაჟკაცობა არ მყოფნის. — დუმილია. — დიახ, არ ვიცრუებ და არ ვიტყვი, თითქოს ახლა მეყოფა-მეთქი სულის სიმტკიცე, მაგრამ წინასწარ მოვიმზადე საიმედო საშუალება და ყოველთვის თან დამაქვს — ნაგელმა ჟილეტის ჯიბიდან ამოიღო ნახევრად დაცლილი პატარა ბოთლი, რომელსაც ზედ „შხამი" ეწერა, და სტუმრებს აჩვენა.

— ციანიდის მჟავაა, უძლიერესი! — თქვა მან. — მაგრამ ჩემს ძალას აღემატება, ვაჟკაცობა არ მეყოფა. ბატონო ექიმო, თქვენ, რა თქმა უნდა, გეცოდინებათ, საკმარისია თუ არა ეს დოზა? ნახევარი უკვე ვცადე ერთ ცხოველზე და, რომ იცოდეთ, შესანიშნავად იმოქმედა: ცოტაოდენი კრუნჩხვა, დრუნჩის სასაცილო ძიგძიგი, ორი-სამი ამოქშენა და გათავდა. ერთი სიტყვით, შამათი სამ სვლაზე.

ექიმმა ბოთლი აიღო, შეხედა, რამდენჯერმე შეანჯღრია და უთხრა:

— საკმარისია, საკმარისზე მეტიცაა. კაცმა რომ თქვას, წესით ეს ბოთლი უნდა ჩამომერთმია, მაგრამ რადგან ვაჟკაცობა არ გყოფნით, მაშინ...

— დიახ, არ მყოფნის.

დუმილია. ნაგელმა ბოთლი ისევ ჟილეტის ჯიბეში ჩაიდო. ექიმს სულ უფრო და უფრო ეკიდებოდა სასმელი, ნება-ნება წრუპავდა ჭიქიდან, ამღვრეული, გაყინული თვალებით იყურებოდა აქეთ-იქით და პირდაპირ იატაკზე აფურთხებდა. უცბად ადიუნქტს დაუყვირა:

— ჰეი, ჰოლტან, როგორ გაქვს საქმე? შეგიძლია თქვა: „იდეების ასოციაცია?" მე უკვე აღარ შემიძლია. ძილი ნებისა.

ადიუნქტმა თვალი გაახილა, გაიზმორა, ადგა, ფანჯარასთან მივიდა და ქუჩას მიაშტერა თვალი. როცა კვლავ გააბეს საუბარი, დრო იხელთა და გაიპარა. კედელ-კედელ გაილალა, კარი გააღო და ისე სწრაფად გაძვრა, ვერავინ შეამჩნია. ადიუნქტი ჰოლტანი ყოველთვის ასე ტოვებდა ხოლმე საზოგადოებას.

მაიცაც ადგა წასასვლელად, მაგრამ მასპინძელმა სთხოვა, კიდევ ცოტა

ხანს დარჩიო, და ისევ დაჯდა. ვექილ ჰანსენს ეძინა. მხოლოდ სამი კაცი იყო ჯერ კიდევ ფხიზელი — სტუდენტი ეიენი, მაიცა და ნაგელი. საუბარი ლიტერატურაზე ჩამოაგდეს. ექიმი თვალმილულული უსმენდა, მაგრამ თავად კრინტი აღარ დაუძრავს და მალე ჩაეძინა კიდეც.

სტუდენტი ფრიად ნაკითხი აღმოჩნდა და თურმე განსაკუთრებით უყვარდა მოპასანი. განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ მან ქალის სულის ჯურღმულებში შეაღწია? როგორც სიყვარულის პოეტი ხომ თვალუწვდენელ მწვერვალზედა დგას. ახლა რა ლაღად ასახავს, რა საოცრად იცნობს ადამიანის გულს! სასაცილოდ გაცეცხლებული ნაგელი მაშინვე პირში წვდა. მაგიდაზე მუშტს აბრახუნებდა, ყვიროდა, მთლად გააცამტვერა მწერლები, მხოლოდ რამდენიმე თუ დაინდო. ეტყობოდა, სრულიად გულწრფელად იყო განრისხებული, ისე გაფიცხდა, სულს ძლივს ითქვამდა და პირზე ქაფიც კი მოადგა.

— პოეტები, პოეტები! განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ მათ ადამიანის სულის ჯურღმულებში შეაღწიეს! აბა, ვინ არიან ეგ პოეტები, ეგ ქედმაღალი და ყოყლოჩინა ამპარტავნები, ჩვენ დროში რომ ამისთანა ძალაუფლება იგდეს ხელთ? ეგენი ხომ საზოგადოების ტანზე გაჩენილი წყლულები, მუწუკები არიან; შეშუპებული, დაჩირქებული წყლულები, რომლებსაც სითუთად, ფრთხილად უნდა მიეკარო, ლამის თაყვანისცემით უნდა შეეხო, იმიტომ რომ მაგარ ხელს ვერ იტანენ. დიახ, დიახ, პოეტებს უნდა ელოლიავო, განსაკუთრებით ყველაზე უგუნურებსა და უვიცებს, ასე ვთქვათ, ყველა უწმინდურს, თორემ, ღმერთმა დაგვიფაროს, განაწყენდებიან და საზღვარგარეთ გაუტევენ! ჰა-ჰა-ჰა, დიახ, საზღვარგარეთ! ღმერთო კეთილო, რა კომედიაა! მაგრამ თუ გამოჩნდა ის ჭეშმარიტი ზეშთაგონებული მგოსანი, ვისაც სულში უჟღერს მუსიკა, ნაძლევს ჩამოვალ, იმ თქვენს უხეშ რომანისტ-პროფესიონალ მოპასანს გაცილებით წინ დააყენებენ. იგი ბევრს წერდა სიყვარულზე და დაამტკიცა, რომ ისეთი წიგნების შეთხზვა შეუძლია, კარგად რომ საღდება. რაც მართალია მართალია. აი პატარა, მაგრამ თვალისმომჭრელ ვარსკვლავს, ჭეშმარიტ პოეტს. ამ სიტყვის მთელი სიგრძე-სიგანით, ალფრედ დე მიუსეს, ვისთვისაც სიყვარული შაბლონური გრძნობა არ არის, ვისთვისაც იგი მისი გმირის სულში ახმიანებული გულისწამლები, ნაზი და ფრთიანი გაზაფხულის მელოდიაა, ალფრედ დე მიუსეს, ვისი სიტყვებიც ყოველ სტრიქონს ასხივოსნებენ, აი ამისთანა პოეტს ორჯერ ნაკლები თაყვანისმცემელი ჰყავს, ვიდრე იმ თქვენს არარაობა მოპასანს თავისი ვულგარული და უსულო თეძოების პოეზიით...

ნაგელმა თითქოს აიწყვიტაო. საბაბი ნახა და ახლა ვიქტორ ჰიუგოს დაესხა თავს და საერთოდ, მსოფლიოს ყველა დიდი მწერალი ჯანდაბას გაგზავნა. თუ ნებას მისცემენ, ერთ პატარა მაგალითს მოიყვანს, რათა დაამტკიცოს, რომ ერთი მსოფლიოში სახელგანთქმული პოეტის ლექსებში სიტყვების ცარიელი რახარუხია. ინებეთ: „დაე, შენი მახვილიც ისეთივე მსახვრელი იყოს, როგორც შენი უკანასკნელად ნათქვამი „არა". ყურს ურიგოდ არ ხვდება, არა? თქვენ როგორ გგონიათ, ბატონო გრეგორდ?

ნაგელი ყურადღებით აკვირდებოდა მაიცას, თვალი არ მოუცილებია, ისე გაიმეორა ეს არაფრისმთქმელი ფრაზა. მაიცამ არ უპასუხა, მხოლოდ

ცისფერი თვალები გადმოკარკლა და დაბნეულმა დიდი ყლუპი მოსვა თავისი ჭიქიდან.

— ვილაცამ იბსენი ახსენა, — კვლავინდებურად ფაცხაფუცით განაგრძო ნაგელმა, თუმცა იბსენზე ხმა არავის გაუღია. — ჩემის აზრით, ნორვეგიაში სულ ერთი მწერალია, მაგრამ იგი არამც და არამც იბსენი არ [illegible]. იბსენს მოაზროვნეს უწოდებენ, მაგრამ როგორ შეიძლება იაფფასიანი [illegible] ჭეშმარიტი აზრისგან ვერ განვასხვაოთ! მსჯელობენ იბსენის დიდებაზე. ჩვენ ხომ ყური გამოგვიჭედეს მის ვაჟკაცობაზე ლაპარაკით, მაგრამ რაღაცით მაინც ხომ უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისგან სიტყვით ვაჟკაცობა და საქმით ვაჟკაცობა, მყვირალა ოჯახური ჯანყი და უანგარო, თავდადებული რევოლუციური მისწრაფება? პირველი მხოლოდ თეატრში გვაოგნებს, მეორე კი მთელ ცხოვრებას ასხივოსნებს. ნორვეგიელ მწერალს, რომელიც შუბის მაგივრად დაუღალავად იბრძვის საკემსავი ნემსით, არ შეიძლება ჭეშმარიტი ნორვეგიელი მწერალი ერქვას. მაგრამ რას იზამ, თუ გინდა ვაჟკაცი ჭიანჭველას სახელი გაგივარდეს. სულ უნდა იფაფხურო. რა სასაცილოა მორიდან ამ ფაფხურის ყურება! ნაპოლეონის ბრძოლის ველებზე რომ ყვირილი და ხმაური იყო, იმაზე ნაკლები აურზაური კი არ არის ატეხილი ამ ასპარეზზე; არც თუ ნაკლები მამაცობაა საჭირო, სამაგიეროდ საფრთხე და რისკი იმდენია, რამდენიც ფრანგული დუელის დროს. ჰა-ჰა-ჰა!.. არა, ვისაც აჯანყება განუზრახავს, ლიტერატურული ღირსშესანიშნაობა კი არ უნდა იყოს. არც გერმანელი პროფესორებივით წმინდა წყლის განყენებული მოვლენა, არამედ ქმედითი ადამიანი, რომელიც მზადაა პირველი შეიჭრას ცხოვრების ორომტრიალში, იბსენი რევოლუციურ აღმაფრენას არასოდეს შეუტყუებია თხელ ყინულზე, ხოლო ტრიუმში ნაპოვნ ცხედარზე მსჯელობა ვიწრო საუწყებო უბადრუკ თეორიად გამოჩნდება თუ მას ცოცხალ, ცეცხლიან საქმეს დაუპირისპირებ, თუმცა, იქნებ ერთი ალხანა იყოს და მეორე ჩალხანა, რადგან ჩვენ ყველანი ისეთ ქალურ საქმიანობას ვეთაყვანებით, წიგნების თხზვა რომ ჰქვია და ხალხის [illegible] გამოსაწყვეტადაა გამიზნული. თუმცა რა უსარგებლოც არ უნდა იყოს წიგნების თხზვა, ლევ ტოლსტოის უსირცხვილო ფილოსოფიაზე მეტი აზრი მაინც აქვს. ჯანდაბას ყველაფერი!

— ყველაფერი? ყველაფერი ჯანდაბას?

— დიახ, თითქმის. თუმცა ჩვენც გვყავს პოეტი — ბიორნსონი ზეშთაგონების ჟამს. მიუხედავად ყველაფრისა, იგი ერთადერთია. მიუხედავად ყველაფრისა...

— და განა ტოლსტოისთვის წაყენებულ ბრალდებათა უმეტესობა ბიორნსონსაც არ ეხება? განა ბიორნსონი არაა მქადაგებელი, დაწესებულ ზნეობრივ კანონთა დამცველი, ერთი ჩვეულებრივი [illegible] ბერიკაცი, პროფესიონალი მწერალი თუ რა ვიცი კიდევ რა?..

— არა! — შეჰყვირა ნაგელმა. გაცხარებული იქნევდა ხელებს და თავგამოდებით იცავდა ბიორნსონს. — სულაც თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ამგვარ მსჯელობას ელემენტარული ადამიანური გრძნობა ეწინააღმდეგება, ტოლსტოისა და ბიორნსონის გვერდი-გვერდ დაყენება თუნდაც იმიტომ არ შეიძლება, რომ ამას ერთი საწყალი აგრონომის უბადრუკი გონებაც კი უჯანყდება. ჯერ ერთი, ბიორნსონი ტოლსტოიზე ნაკლები გენიოსი არ არის. იგი, ნაგელი, ჩვეულებრივ ვულგარულ გენიოსებს დიდად არაფრად აგდებს. დი-

ახ, ღმერთია მოწამე, რა ნაკლებად აფასებთ მათ, მაგრამ მაინც უნდა ვაღიაროთ, ტოლსტოიმ მათ დონეს მიაწია, ბიორნსონმა კი შეუდარებლად წინ გაუსწრო. თუმცა ეს ტოლსტოის სულაც არ უშლის ხელს, გაცილებით უკეთესი წიგნები წეროს, ვიდრე ბიორნსონის წიგნთა უმეტესობაა. დიახ, ასეა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? კარგ წიგნებს ხომ დანიელი კაპიტნები, ნორვეგიელი მხატვრები და ინგლისელი ქალებიც წერენ; მეორეც, ბიორნსონი რაღაც განყენებული ცნება კი არ არის — იგი ადამიანია, გამაოგნებელი პიროვნებაა! დიახ, იგი ცოცხალი კაცია, სისხლისა და ხორცისგან შეთხზული, მისი ხმა მძლავრად ისმის ამ ჩვენს ცოდვილ დედამიწაზე და იმას ორმოცჯერ მეტი სასიცოცხლო სივრცე სჭირდება, ვიდრე უბრალო მოკვდავს. იგი არ ცდილობს სფინქსივით გამოეცხადოს ხალხს, პირს არ იბურავს დიდებითა და იდუმალებით, როგორც ტოლსტოი თავის ტრამალზე ანდა იბსენი თავის კაფეში. მისი გული ქარტეხილიან ტყესა ჰგავს, იგი ყველგანაა და კაფე „გრანდის" ბრბოში გარეულს, ბრწყინვალედ ძალუძს საკუთარი თავის გამჟღავნება, იგი შექმნილია, ასე ვთქვათ en masse, ბუმბერაზულად ძლიერი სულის პატრონია და იმ იშვიათ კაცთაგანია, რომელნიც ბელადებად იბადებიან. ტრიბუნიდან ერთი ხელის გაქნევით შეუძლია ატეხილი სტვენის ალაგმვა. მის თავში გამუდმებით იბადებიან ახალ-ახალი აზრები, იქაურობა ევიწროებათ და გარეთ ილტვიან; იგი იმარჯვებს ტრიუმფალურად და სცდება უხვად, მაგრამ ორივეჯერ მისი პიროვნება, მისი სული წარმოჩინდება. ბიორნსონი ჩვენი ერთადერთი შთაგონებული, ზეგარდმო მადლით ცხებული მგოსანია. მის სულში უცბად რაღაც ახმიანდება, რომელიღაც სიმი დაიწყებს ბუბუნს — თითქოს თავთავი აშრიალდაო, როცა ზაფხულის თაკარებაში ნიავი ჩამოუქროლებს უეცრად — ჰოდა, გუგუნებს და გუგუნებს თავისთვის ქვავის ყანა და მალე აღარაფერი ისმის ამ გუგუნის გარდა; ასე გვხიბლავს მისი სულის ყოველგვარი ძვრა და ფერისცვალება — გენიოსის სულის ძვრა და ფერისცვალება. ბიორნსონთან შედარებით, მაგალითად, იბსენის შემოქმედება წმინდა წყლის კანტორული, მექანიკური სამუშაოა. იბსენის ლექსებში ყურით მოთრეულ რითმების მეტი არაფერია, პიესები კი ხის მასას, აქტებად დაყოფილ ნახერხის გროვას ჰგავს. ვის რა ეშმაკად უნდა... თუმცა კმარა იმაზე ლაპარაკი, თქვენ გაგიმარჯოთ, ბატონებო...

ღამის ორი საათია. მაიცა ამთქნარებს. მთელი დღის ნაჯაფარს რული ჩაოდება. ნაგელის გაუთავებელმა ყბედობამ მოღალა და კვლავ დგება წასასვლელად. როცა ყველას გამოეთხოვა და კარამდე მიჩანჩალდა, ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ კვლავ შეაყოვნა — შემთხვევა, კაცმა თქვას, სრულიად უმნიშვნელო იყო, მაგრამ შემდგომში უზარმაზარი მნიშვნელობა მიენიჭა: ექიმს გამოელვიძა, ძილ-ბურანში გაიზმორა და რადგან კარგად ვერ ხედავდა, მაგიდაზე რამდენიმე ჭიქა გადააყირავა; ყველაზე ახლოს ნაგელი იჯდა და მთლად გაიწუწა შამპანურით. ნაგელი წამოხტა, სველი მკერდი სიცილით ჩამოიბერტყა და „ვაშა" დასძახა.

მაიცა მყისვე მიეშველა, ფაციფუცით მივარდა ნაგელს. ჯერ ხელსახოცს სტაცა ხელი, მერე ცხვირსახოცი ამოიღო და ნაგელის სამოსის წმენდას მოჰყვა. ყველაზე მეტად ჟილეტი დაუსველდა. ჟილეტი რომ გაეხადა, სულ ერთი წუთით რომ გაეხადა, ყველაფერი უმალ მოწესრიგდებოდა, მაგრამ ნაგელმა ჟილეტის გახდა არ ისურვა. ხმაურზე ვექილსაც გამოელვიძა და თუმ-

ცა წარმოდგენა არ ჰქონდა რა ხდებოდა, იმანაც „ვაშას“ ღრიალი ატეხა. მაიცა ისევ შეეხვეწა ნაგელს, ქილეტი გაიხადეო, მაგრამ ნაგელმა მხოლოდ თავი გადააქნია. მერე უეცრად შეხედა მაიცას და აშკარად დაეტყო, რაღაც აზრმა გაუელვა თავში. მყისვე გაიძრო ქილეტი და მაიცას გაუწოდა.

— აი, გეთაყვა, გაიშრეთ და დაიტოვეთ, — უთხრა მან. — [illegible] ხომ არ გაქვთ ქილეტი. ჩუმად იყავით, არ ღირს სალაპარაკოდ! სულით და გულით გიძღვნით, ჩემო კარგო.

და რადგან მაიცა სულ უარობდა, ქილეტი იღლიაში ამოუჩარა, კარი ყურთამდე გაუღო და ოთახიდან მეგობრული კინწისკვრით გააგდო.

მაიცა წავიდა.

ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, ეიენის გარდა, რომელიც კართან ყველაზე ახლოს იჯდა, ვერავინ ვერაფერი შეამჩნია.

სიმთვრალისგან გულმოცემულმა ექიმმა იქ მყოფთ შესთავაზა, დანარჩენი ჭიქებიც დავამსხვრიოთო. ნაგელსაც არ უუარია და ამ ოთხმა მოწიფულმა მამაკაცმა თავის შესაქცევად ჭიქების მსხვრევას მიჰყო ხელი. მანამ ახეთქებდნენ კედელზე ჭიქებს, სანამ სულ არ დალეწეს. მერე ისევ შეუდგნენ სმას. ახლა უკვე პირდაპირ ბოთლიდან სვამდნენ, მთვრალი მეზღვაურებივით რაღაც სიმღერებს ბღაოდნენ და ფერხულს უვლიდნენ. ღრეობამ დილის ოთხ საათამდე გასტანა. ექიმი გალეშილი იყო. უკვე კარში გადიოდნენ, რომ სტუდენტი ეიენი ნაგელს მიუბრუნდა და უთხრა:

— ოღონდ, რასაც ტოლსტოიზე ამბობთ, იგივე შეიძლება ითქვას ბიორნსონზეც. თანმიმდევრულად არ აფასებთ...

— ოხო-ხო-ხო! — ექიმი გადარეულივით ხარხარებდა. თანმიმდევრობას ითხოვს!... ამ დილაუთენია! აბა, მითხარით, ჩემო კარგო, შეგიძლიათ თქვათ „ენციკლოპედისტებიო“ „იდეების ასოციაციაზე“ როგორღა ხართ? წავედით: როგორმე მივიყვანთ სახლამდე... ხა-ხა-ხა-ხა. ამ დილაუთენია!..

წვიმამ გადაიღო, მაგრამ ცა ისევ მოღრუბლული იყო და მზე არა ჩანდა. მიუხედავად ამისა, უქარო ამინდი იდგა და ეტყობოდა, თბილი დღე იქნებოდა.

XIV

მეორე დღეს, დილაადრიან, მაიცა ისევ მივიდა სასტუმროში. ფეხაკრეფით შევიდა ნაგელის ოთახში, მაგიდაზე საათი, რაღაც ქაღალდები, ფანქრის ნალევი და საწამლავიანი ბოთლი დადგა და უნდოდა ისევ უჩუმრად გალაღულიყო, რომ ამ დროს ნაგელმა გაიღვიძა და მაიცა იძულებული გახდა აეხსნა, რატომაც მოვიდა.

— ესენი თქვენი ქილეტის ჯიბეში ვნახე, — უთხრა მან.

— ქილეტის ჯიბეში? ოჰ, დიახ, ეშმაკმა დალახვროს, მართალია, მართალი! რომელი საათია?

— რვა, მაგრამ თქვენი საათი გაჩერებულია, არ მომიმართავს.

— იმედია, ციანიდის მჟავა არ დაგილევიათ?

მაიცამ გაიღიმა და თავი გააქნია.

— არა, — უთხრა მან.

— გემოც კი არ გაუსინჯეთ? მომეცით ერთი დავხედო. ბოთლი ნახევრამდე იყო სავსე.

მაიცამ ბოთლი მიაწოდა, რათა ნაგელს თავისი თვალით დაენახა, რომ შიგ ისევ იმდენი მჟავა ესხა.

— კეთილი, მაშ, თქვენ ამბობთ, რვა საათიაო, ა[illegible]ქტო, მართლა, გრეგორიდ, სანამ არ დამეიწყებია, ვიოლინოს ხომ ვერ მიშოვით სადმე? ვსინჯავ ერთი, მინდა ვისწავლო... რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სისულელეა... აი რა: ჩემთვის არ მინდა, ერთ ნაცნობს მინდა ვაჩუქო. ყოველ მიზეზგარეშე უნდა მიშოვოთ ვიოლინო; თუნდაც მიწა გახეთქეთ, მაგრამ მიშოვეთ!

მაიცა ძალიან შეეცდება. ვინ ვინ და, ერწმუნეთ, მაიცა ყოველ ღონეს იხმარს, საწადელი აუსრულოს.

— დიდი მადლობა. გამომიარეთ, როცა კი მოგესურვოთ, გზა უკვე იცით. კარგად იყავით.

ერთი საათის შემდეგ ნაგელი უკვე იმ ტყეში იყო, რომელიც პასტორის სახლს ეკვროდა. წუხანდელი თავსხმის მერე მიწა ჯერაც არ გამშრალიყო. მზე ძლივს ჰიატობდა ღრუბლებში და ვერ აცხუნებდა. ქვაზე ჩამოჯდა, თვალი გზას დააშტერა და სილაზე მაშინვე ნაცნობი ნაკვალევი შენიშნა. ახლა თითქმის დარწმუნებული იყო, ნაკვალევი დაგნის ეკუთვნოდა და ქალი ქალაქში წასულიყო. დიდხანს ელოდა ამაოდ. მერე გადაწყვიტა, წინ შევეგებებიო და ქვიდან წამოდგა.

მართლაც, არ შემცდარა. ტყის პირას შეხვდა. დაგნის ხელში წიგნი ეჭირა — სკრამის „ჰერტრუდა კოლბიორსენი".

ცოტა ხანს წიგნზე წაისაუბრეს და მერე ქალმა უთხრა:

— წარმოგიდგენიათ, ძაღლი მოგვიკვდა.

— ნუთუ? — კითხვა შეუბრუნა ნაგელმა.

— რამდენიმე დღის უკან. უკვე გაცივებული იყო, როცა ვნახეთ. არ მესმის, რა დაემართა.

— მე რომ მკითხოთ, დიდი საძაგელი ძაღლი გყავდათ. გთხოვთ, მაპატიოთ, მაგრამ ყოველთვის მძაგდა ცხვირაპრეხილი ბულდოგები, ღრუნჩი რომ უტიფარ კაცს მიუგავთ. როცა ვინმეს უყურებდა, ლაშებს ისე ჩამოუშვებდა ხოლმე, გეგონება, გულზე მსოფლიო სევდა შემოსწოლიაო. არ დაგიმალავთ, მოხარული ვარ, რომ ჩაძაღლდა.

— როგორ არ გრცხვენიათ...

მაგრამ ნაგელმა ნერვიულად გააწყვეტინა სიტყვა. აშკარად ეტყობოდა, რატომღაც არ უნდოდა ამაზე საუბარი. უცბად, არც აილო, არც დაილო და ვიღაც კაცზე წამოიწყო საუბარი, რომელიც ოდესღაც შეხვედროდა და საოცრად თავშესაქცევი კაცი ყოფილიყო. იმ კაცს ცოტა ენა ებმოდა და არცა მალავდა, პირიქით, თვალში საცემად რომ გაეხადა, განგებ ა-აბლუკუნდებოდა ხოლმე. თანაც ქალებზე ძალზე უცნაური აზრისა იყო. პირველ რიგში, ყოველთვის ერთ მექსიკურ ამბავს ყვებოდა, რომელიც განსაკუთრებით სასაცილოდ გამოუდიოდა. ერთ ზამთარს თურმე დიდი ყინვები დაიჭირა, ყინვა პირდაპირ ხეთქავდა თერმომეტრებს; ხალხი შინიდან არ გამოდიოდა, მაგრამ ერთ დღეს ამ კაცს მაინც მოუწია მეზობელ ქალაქში გამგზავრება. გზა უდაბურ ადგილზე გადიოდა, მხოლოდ კანტიკუნტად ხვდებო-

და რაღაც შენობები, სუსხიანი ქარი სახეს უწვავდა. ჰოდა, აი, ამ ენით აუწერელ ყინვაში ერთი ქოხიდან, რომელიც უკან ჩამოიტოვა, ვიღაც შილიფად ჩაცმული ქალი გამოვარდა და ყვირილით გამოუდგა. „ცხვირი მოგყინვიათ, ცხვირი! სულ გაგთეთრებიათ!“ ქალს ხელში ციცხვი ეჭირა და კაბის სახელოებიც აკაპიწებული ჰქონდა. დიახ, ფანჯრიდან სრულიად უცხო კაცი დაინახა, რომელსაც ყინვისაგან ცხვირი გათეთრებოდა, ჰოდა, სახლში შეიტოვა და უკან გამოუდგა, რომ გაეფრთხილებინა. ჰა-ჰა-ჰა! არა, თუ გაგიგიათ ასეთი რამ ოდესმე! ასე სახელოდაკაპიწებული დგას სუსხიან ქარში. მარჯვენა ლოყაზე კი პატარა თეთრი ლაქა უჩნდება და ნელ-ნელა მთელ ლოყას ედება. მართლა ძნელი დასაჯერებელია, არა? მაგრამ, მიუხედავად ამ შემთხვევისა და ქალური თავგანწირვის ბევრი სხვა მაგალითისა, რომელიც ჩვენმა ენაბლუმ მრავალი იცოდა, ამ საკითხში მაინც საკვირველ უჯიათობას იჩენდა. ქალები უცნაური და გაუმაძღარი ხალხიაო, მეუბნებოდა, თუმცა იმას კი აღარ ამბობდა, მაინც რატომ მიაჩნდა ქალი ასეთ უცნაურ და გაუმაძღარ არსებად. ვერ წარმოიდგენ, რა აზრი არ მოუვათ ხანდახან თავშიო, იტყოდა ხოლმე, და ამისთანა ამბავს ყვებოდა: „ერთ ჩემს მეგობარს ყმაწვილი ქალი უყვარდა, მგონი კლარა ერქვა. რას აღარ აკეთებდა, ოღონდ ამ ქალბატონის გული მოეგო, მაგრამ ამაოდ. თუმცა ლამაზი და სავსებით წესიერი ყმაწვილი იყო, კლარას მისი სახელის გაგონებაც არ უნდოდა. ამ კლარას და ჰყავდა, საოცრად გონჯი, გვერდმოქცეული და კუზიანი არსება. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, ჩემმა მეგობარმა აიღო და სწორედ იმას სთხოვა ხელი. ღმერთმა უწყის, რატომ მოიქცა ასე, ანგარების გამო თუ, მიუხედავად სიმახინჯისა, მართლა შეუყვარდა. არა, თუ მიხვდებით, რა ქნა კლარამ? აი, სწორედ აქ იჩინა თავი ქალურმა ბუნებამ. კლარას ისტერიკა ემართება. კლარა შმაგდება: „ჩემი შერთვა უნდოდა, ჩემი!— გაკივის იგი, — მაგრამ ვერ მიართვეს! არ მინდა, არა, არაფრის გულისთვის არ გავყვები! თქვენ როგორ გგონიათ, შეირთო იმ კაცმა კუზიანი და, რომელიც, როგორც ეტყობოდა, ძალიან უყვარდა? არა! საქმეც ისაა, რომ არა. კლარამ არ დაუთმო კუზიანს! რადგან თავდაპირველად მისი შერთვა უნდოდა, ახლა გვერდმოქცეულ მახინჯსაც აღარ მიიღებდა, თუმცა არა მგონია, კიდევ ვინმეს შეეთავაზებინა იმ საბრალოსთვის ხელი და გული. ასე რომ, ჩემმა მეგობარმა ორმაგი ფიასკო განიცადა“. იმ ენაბლუმ ასეთი ამბები ურიცხვი იცოდა და, სწორედ იმიტომ რომ ენა ებმოდა, ძალიან თავშესაქცევად ყვებოდა. თუმცა, საერთოდ, უცნაური კაცი იყო, თავი ხომ არ შეგაწყინეთ?

— არა, —მიუგო დაგნიმ.

— ჰო, იმას ვამბობდი, ძალიან უცნაური კაცი იყო-მეთქი. ისეთი ხარბი და ხელმრუდი იყო, რომ შეეძლო მატარებელში ვაგონის სარკმელზე ტყავის ღვედი აეჭრა და თან წაეღო, აქაოდა, შინ რამეში გამომადგებაო. დიახ, სულ იოლად შეეძლო ამისთანა ოინის ჩადენა. ამბობენ, ერთხელ წვრილმან ქურდობაზეც წაასწრესო. მაგრამ ამასთან ერთად, თუ მოეგუნებებოდა, უზომოდ ფანტავდა ფულს. ერთხელ, მაგალითად, ეტლებით დიდი სეირნობის მოწყობა მოეგუნება. სამწუხაროდ, იმ ქალაქში ნაცნობი არავინ ჰყავდა და ამიტომ მხოლოდ თავისთვის იქირავა ოცდაოთხი ეტლი. ოცდასამი ცარიელი ეტლი წინ მიუძღოდა, ბოლო ოცდამეოთხეში კი თავად იჯდა და ქვეითად მოარულ ხალხს მე-

დიდურად გადაჰყურებდა. თუმცა, იჯდა რომელია? მამა-ღმერთივით ამაყად გამოჭიმულიყო, აქაოდა ,შემომხედეთ, რა დიდებული ამალა მახლავსო!..

ნაგელი სულმოუთქმელად ლაპარაკობდა, ერთი ამბიდან მეორეზე ხტებოდა, მაგრამ მოწონება ვერ დაიმსახურა: დაგნი უგულისყუროდ უსმენდა. მაშინ კი უეცრად გაჩუმდა და გონი მოიკრიბა. რა ეშმაკად როშავს ამდენ სისულელეს? ტაკიმასხარად გამოჰყავს თავი! რაღაც მოყინულ [illegible] და ოცდაოთხ ეკიპაჟზე სულელური ლაყბობით ართობს ყმაწვილ მანდილოსანს და თანაც სატრფოს! და უეცრად მოაგონდა, რომ ერთხელ უკვე ჭამა სირცხვილი, როცა უკბილოდ იხუმრა ესკიმოსზე და ამის გახსენებაზე სახეზე სისხლი მოაწვა, გააზრიალა და ნაბიჯი შეანელა. რა ემართება, რატომ არ ძალუძს თავის მოთოკვა! რა სირცხვილია! ამდენი სისულელის როშვითა და თავის გამასხარავებით ერთ წუთში წყალში ყრის ყველაფერს, რისთვისაც მრავალი კვირის მანძილზე მიუღწევია. ღმერთო ჩემო, რას იფიქრებს.

— მაშ, რამდენი დღე დარჩა კიდევ საქველმოქმედო ბაზრამდე? — ჰკითხა მან.

ქალმა გაუღიმა და უთხრა:

— სულ რატომ ლაპარაკობთ და ლაპარაკობთ?.. ასე რატომ ღელავთ?

მოულოდნელობისაგან ნაგელი დაიბნა, შეცბუნებულმა შეხედა დაგნის და მიუგო:

— ფრეკენ ჰელან, უკანასკნელად რომ შევხვდით, დაგპირდით, თუ კვლავაც გნახავდით, ყველაფერზე ვილაპარაკებდი, გარდა იმისა, რაც ამიკრძალეთ. ვცდილობ, სიტყვა არ გავტეხო. ჯერჯერობით ამას ვახერხებ.

ყრუდ ლაპარაკობდა და გული გამალებით უძგერდა.

— დიახ, — მიუგო ქალმა.— პირი პირია, პირი პირია. — და ეს სიტყვები ისე გაისმა, თითქოს თავის თავს უფრო ეუბნება, ვიდრე ნაგელსო.

— სანამ შევხვდებოდით, მანამდე გადავწყვიტე, როგორმე შემესრულებინა დანაპირები. ვიცოდი, აქ შეგეყრებოდით.

— საიდან იცოდით?

— გზაზე თქვენი ნაფეხურები ვნახე.

ქალმა ახედა, მაგრამ ხმა არ გაუღია. ცოტა ხნის შემდეგ კი უთხრა:

— ხელი შეხვეული გაქვთ. რა მოგივიდათ?

— თქვენმა ძაღლმა მიკბინა, — მიუგო მან.

იდგნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ.

ნაგელმა ხელი ხელს ჩააჭიდო და თუმცა ხმის ამოღება საშინლად უჭირდა, უთხრა:

— ყოველდღე მოვდიოდი აქ, ტყეში. სანამ დავიძინებდი, ყოველღამე თქვენი ფანჯრების წინ ვიდექი. მაპატიეთ, ამით ხომ არაფერი დამიშავებია. ამიკრძალეთ, მაგრამ, რა ვქნა, მაინც მოვდიოდი. თქვენმა ძაღლმა მიკბინა, თავის სიცოცხლეს იცავდა; მე მოვკალი, შხამი მივეცი, იმიტომ რომ, როცა მოვიდოდი ხოლმე და თქვენს სარკმლებს ძილი ნებისას ვუსურვებდი, ყოველთვის მიყეფდა.

— აი, თურმე რა ყოფილა! მაშ, თქვენ მოკალით ჩვენი ძაღლი?

— დიახ, — მიუგო მან.

დუმილი ჩამოვარდა. კვლავინდებურად უძრავად იდგნენ და ერთმანეთს უყურებდნენ. ნაგელი სულს ძლივს ითქვამდა.

— ოღონდ კი გნახოთ და უფრო საზარელ საქმესაც ჩავიდენ. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ ვიტანჯები, დღენიადაგ თქვენზე ვფიქრობ. არა, ამას ვერ მიხვდებით! ხალხში ვტრიალებ, ვსაუბრობ, ვიცინი, მხიარულ ორგიებს ვაწყობ — წუხელ ჩემთან დილის ოთხ საათამდე შემორჩნენ სტუმრები და ბოლოს იქამდე მივედით, ჭიქები დავლეწეთ — მაგრამ მაშინაც კი, როცა სხვებთან ერთად ვსვამ და ვილხენ, სულ თქვენზე ვფიქრობ და ლამისაა სასო წამერთვას. სხვა აღარაფერი მაინტერესებს, უბრალოდ, არ ვიცი რა მეშველება. შემიბრალეთ და კიდევ ორ წუთს გაჩერდით, რაღაც მინდა გითხრათ. გთხოვთ ნუ შეშფოთდებით, არც დაშინებას ვაპირებ თქვენსას და არც ცდუნებას. მაგრამ უნდა გელაპარაკოთ, სხვანაირად არ შემიძლია.

— ვხედავ, გონს ვერ მოსულხართ, — სუსხიანად უთხრა ქალმა. — თქვენ ხომ დამპირდით...

— დიახ, შეიძლება, კარგად არ მახსოვს, ალბათ, დაგპირდით. მაგრამ ისე ძალიან მიჭირს გონს მოსვლა, ისე უხეიროდ გამომდის... კარგით, კარგით, ჭკვიანად ვიქნები, შეგიძლიათ მენდოთ, ოღონდ, იწამეთ ღმერთი და მითხარით, როგორ მოვახერხო? მასწავლეთ. ერთხელ კინაღამ სახლში შემოგივარდით. მზად ვიყავი, კარი შემომემტვრია და, თუნდაც მარტო არ დამხვედროდით, პირდაპირ თქვენთან შემოვსულიყავი. მერწმუნეთ, მთელი ძალ-ღონით ვებრძოდი ჯადოს. ოღონდ კი თქვენი მონობისგან თავი დამეხსნა და რა აღარ დაგწამეთ; სხვათა თვალში განქიქებდით, მაგრამ არ ეგონოთ, ამას იმიტომ ჩავდიოდი, შური მეძია. არა, უნდა გამიგოთ, რომ სამანამდე ვიყავ მისული და ვცდილობდი, ცოტათი მაინც მენუგეშებინა თავი; რამენაირად კბილის კბილზე დაჭერა მესწავლა და იოტის ოდენად მაინც შემენარჩუნებინა ღირსება. წასვლაც მინდოდა, მინდოდა, მაგრამ ვერ შევძელი. ბარგის ჩალაგებაც დავიწყე, მაგრამ თავი მივანებე და ვერსადაც ვერ წავედი. როგორ წავიდე?! აი, თქვენ რომ სადმე წასულიყავით, უკან გამოგიდგებოდით, თუ ვერ დაგეწეოდით, მაინც გამოვყვებოდი თქვენს ნაკვალევს და იმის იმედად, რომ ბოლოს და ბოლოს სადმე გიპოვიდით, დაუღალავად გეძიებდით, ხოლო როცა დავინახავდი, ყველა ჩემი მცდელობა სულ ამაოა, თანდათან მცირეს და მცირეს დავჯერდებოდი და იმითღა გავიხარებდი გულს, იქნებ, ისეთ ვინმეს შევხვდე, ვისთანაც ადრე ყოფილა-მეთქი, ვთქვათ დობილს, ოდესღაც რომ თქვენთვის ხელი ჩაუკიდია ანდა ვისთვისაც ბედნიერ დღეებში შეგიღიმიათ. აი, ასე ვიცხოვრებდი. აბა, თქვით, განა შემიძლია სადმე წავიდე? თანაც ახლა ზაფხულია. ეს ტყე ჩემი ტაძარია. ყველა ჩიტი მცნობს, ყოველ დილით მხვდებიან აქ, კოპწია თავს გადახრიან და შემომცქერიან. არასოდეს დამავიწყდება პირველი საღამო, როცა აქ ჩამოვედი, თქვენს პატივსაცემად მთელი ქალაქი როგორ იყო ბაირაღებით მოკაზმული. ამან ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა და უცნაური თბილი გრძნობა აღმიძრა გულში, მაგრამ ნაპირზე გადმოსვლის ნაცვლად, მოხიბლულივით ვცქმდი ბოლთას გემბანზე და ბაირაღებს შევცქეროდი. დიახ, საოცარი საღამო იყო მაშინ... თუმცა, მერეც არაერთხელ უჩვეულოდ კარგად მიგრძვნია თავი. ყოველდღე დავდივარ ამ გზაზე, ხანდახან, დღევანდელივით, ბედი შემეწევა და თქვენს ნაფეხურებს დავინახავ ხოლმე, მაშინ კი მანამდე გელით, სანამ შინ არ დაბრუნდებით. აქვე, ტყეში ვიმალები, ლოდთან გავწვები ხოლმე და გელოდებით. უკანასკნელად რომ ვისაუბრეთ, მას უკან ორჯერ დაგინახეთ, თანაც ერთხელ

ექვს საათს გიცადეთ. ექვსი საათი ლოდს უკან ვიყავი გაწოლილი, წამოდგომისა მეშინოდა, ვაითუ უეცრად გამოჩნდეს და თვალი მომკრას-მეთქი. ღმერთმა უწყის, სად იყავით იმ დღეს იმდენხანს...

— ანდერსენებთან ვიყავი, — მოულოდნელად მიუგო ქალმა.

— დიახ, შეიძლება, მე კი მაინც ბოლომდე გელოდით. მარტო არ იყავით, ძალიან კარგად გხედავდით და ჩემი ლოდიდან სალამი გიძღვენით. არ ვიცი, რა აზრმა გაგიელვათ იმ წუთში, მაგრამ თავი მოაბრუნეთ და იმ ლოდს გადმოხედეთ, სადაც მე ვიწექი...

— მისმინეთ... თქვენ ისე შეკრთით, თითქოს ახლა სასიკვდილო განაჩენის გამოტანას გეპირებოდეთ...

— ასეც არის, მშვენივრად ვხედავ, თვალებში ფოლადის სუსხი ჩაიყენეთ.

— დიახ, ამას მართლაც ბოლო უნდა მოეღოს, ბატონო ნაგელ! თქვენ რომ კარგად დაფიქრებულიყავით, თვითონ მიხვდებოდით, რომ არცთუ კეთილშობილურად ექცევით მას, ვინც წასულია. ხომ მართალია? აბა, მის ადგილზე წარმოიდგინეთ თავი... რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მეც ძალიან მიმძიმს. მაინც რა გნებავთ ჩემგან? ნება მომეცით, ერთხელ და სამუდამოდ გითხრათ: სიტყვას არ გავტეხ. მე იგი მიყვარს. იმედი მაქვს, ახლა თქვენთვის ყველაფერი გასაგებია. ცოტა უფრო შეიკავეთ თავი. თუ სათანადო პატივისცემით არ მომეპყრობით, მართლა აღარ ვისურვებ თქვენს ნახვას. ამას სრულიად გულწრფელად გეუბნებით.

დაგნი ღელავდა, ტუჩები უცახცახებდა, თავს ძალას ატანდა, როგორმე ცრემლი შეეკავებინა და რადგან ნაგელი დუმდა, დასძინა:

— შეგიძლიათ სახლამდე გამაცილოთ, თუ გნებავთ, კარამდე მიმყევით, რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ ისეთს არაფერს ჩაიდენთ, რომ ორივეს სანანებლად გაგვიხდეს. მადლობელი ვიქნები, თუ რამეს მიამბობთ, მე მიყვარს მოსმენა.

— დიახ, — ხმამაღლა, ისეთი ზეიმითა თქვა ნაგელმა, თითქოს სულ გარდაიქმნაო, — დიახ, ოღონდ კი თქვენთან ვიყო! რა თქმა უნდა, ახლავე მოგყვებით... როცა მიბრაზდებით ,ასე მგონია, ცივ წყალს მასხამთ, თავით-ფეხამდე ვიყინები.

დიდხანს საუბრობდნენ უმნიშვნელო ამბებზე. ისე ნელა მიდიოდნენ, თითქოს არ იძვროდნენ ადგილიდან.

— რა სურნელი დგას, რა სურნელი დგას! — თქვა ნაგელმა. — როგორ აბიბინდებიან ხოლმე ნაწვიმარზე ბალახი და ყვავილები! არ ვიცი გიყვართ თუ არა ხეები? ალბათ, უცნაურად მოგეჩვენებათ, მაგრამ ტყეში როცა ვარ, ყოველ ხესთან რაღაც იდუმალ, ნათესაურ კავშირს ვგრძნობ, თითქოს ოდესღაც მეც ტყის სისხლი და ხორცი ვიყავი. აი ახლაც ვდგავარ, გარშემო ვიყურები და თითქოს რაღაც ბუნდოვანი მოგონებები ჩამჩურჩულებენ და ერთიანად მიპყრობენ. ცოტა ხანს შეჩერდით! ყური დაუგდეთ! გესმით რა თავგადაკლული გალობენ ჩიტები? მზეს შეჰხარიან. მთლად გადირივნენ, თითქოს ვერ გვხედავენო, ზედ გვაფრინდებიან.

ისევ განაგრძეს გზა.

— სულ თვალწინ მიდგას ის სურათი, ჩემს წარმოსახვაში რომ აღბეჭდეთ — ნავი და ცისფერი აბრეშუმის იალქანი,მცხრალ მთვარეს რომ ჰგავს,—

თქვა დაგნიმ. — ისეთი ლამაზია! როცა ცა ახლანდელივით მაღალი და ლურჯია, მეც მეჩვენება, რომ ტალღებზე ვირწევი და ვერცხლის ანკესით ვთევზაობ.

— დიახ, მართალი ხართ, ასეთ ნავში ჯდომა თქვენ უფრო შეგფერით, ვიდრე მე.

როცა თითქმის ტყის ნახევარი გალიეს, ქალმა დაუფიქრებლად ჰკითხა:

— რამდენ ხანს აპირებთ აქ დარჩენას?

და მაშინვე ინანა რომ ჰკითხა, მოუნდა უკანვე წაეღო ეს სიტყვები, მაგრამ მყისვე დამშვიდდა, რადგან ნაგელმა გაიღიმა და პირდაპირ პასუხს თავი აარიდა. დაგნი მადლობელი დაურჩა. ეტყობა, ნაგელმა შენიშნა; რომ ქალს თავად ეჩოთირა თავისი კითხვა.

— მე ხომ იქ ვცხოვრობ, სადაც თქვენ, — მიუგო მან. — აქ მანამდე დავრჩები, სანამ ფული მეყოფა, — და დასძინა, — ერთი სიტყვით, არც თუ დიდხანს.

ქალმა შეხედა, თავადაც გაიღიმა და უთხრა:

— არც თუ დიდხანს? მე კი გავიგე, მდიდარი ხართ.

ნაგელს კვლავ ისეთი იდუმალი სახე დაედო, ადრეც რომ ხშირად ჰქონია და მიუგო:

— მდიდარი ვარ? ყური მიგდეთ, ქალაქში ჩემზე ხმები დადის, მდიდარიაო. სახელდობრ კი, ვითომ ჩემი მამული კარგა გვარიანი ფული ღირს, მაგრამ ეს სულ ტყუილია. გთხოვთ, ნუ დაიჯერებთ, ზღაპარია. არავითარი მამული მე არა მაქვს, ერთი ხელისგულისოდენა მიწაა და ისიც, მარტო მე კი არა, ჩემს დასაც ეკუთვნის; თანაც რაც არის, იმდენჯერ არის დაგირავებული და იმდენი ვალი ადევს, ფაქტიურად გაუფასურებულია. მერწმუნეთ, წმინდა წყლის სიმართლეს ვამბობ.

ქალმა უნდობლად ჩაიკისკისა და უთხრა:

— ჰო, მე უკვე ვიცი, როცა საქმე თქვენზე მიდგება, მხოლოდ სიმართლეს ამბობთ.

— არ გჯერათ? ეჭვი გეპარებათ ჩემს ნათქვამში? რახან აგრეა, ნება მიბოძეთ, მოგიყვეთ. თუმცა ჩემთვის სამარცხვინო იქნება, მაგრამ მაინც ნება მიბოძეთ, ყველაფერი თავიდან მოგიყვეთ. თქვენ, ალბათ, იცით, რომ მე ქალაქში ყოფნის პირველსავე დღეს ხუთი მილი გავიარე ფეხით, რომ მეზობელ ქალაქში ჩავსულიყავი. იქიდან სამი დეპეშა გამოვუგზავნე საკუთარ თავს, სადაც კარგა გვარიან ფულზე და ფინეთში მდებარე მამულზე იყო ლაპარაკი. დეპეშები რომ მივიღე, გახსნილი დავყარე ჩემს ნომერში, რამდენიმე დღე ეყარა იქ, რათა ყველას გაეგო სასტუმროში, ახლა ხომ გჯერათ? განა ჩემი საჩხო-საბადებელი თვალთმაქცობა არ არის?

— თუ კვლავ ცილს არ სწამებთ საკუთარ თავს.

— კვლავ ცილს ვწამებ? სცდებით, ფრეკენ, ღმერთი მოწამეა, არ ვსტყუი. აი, ასეა საქმე.

დუმილია.

— კი მაგრამ, რად გინდოდათ, რატომ უგზავნით საკუთარ თავს დეპეშებს?

— იცით რა, ყველაფერი რომ დაწვრილებით მოგიყვეთ, ძალიან გამიჭიანურდება... თუმცა შეიძლება ორი სიტყვითაც ითქვას: იმად მინდოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ხალხისთვის თვალში ნაცარი შემეყარა, რომ ამ ქალაქში ყველას ყურადღება მიმეპყრო. ჰა-ჰა-ჰა, აი ყველაფერი ჩაგიკაკლეთ.

— ტყუით!

— გეფიცებით, არ ვტყუი!

დუმილია.

— უცნაური კაცი ხართ. ღმერთმა უწყის, რას ელტვით. ჯერ იყო, გვერდით მომყვებოდით და... დიახ, თავდავიწყებით მიხსნიდით სიყვარულს; მაგრამ დამცდა თუ არა სიტყვა, კეთილგონიერი იყავით-მეთქი, უმალ სხვა კაცად იქეცით — თაღლითად, მატყუარად, ცრუპენტელად და კიდევ, ღმერთმა უწყის რად... რა საჭიროა ამდენი ხრიკი? მერწმუნეთ, არც ერთი და არც მეორე, გულზე არ მეკარება. მე მეტისმეტად ზომიერი ბუნების ადამიანი ვარ. მთელ მაგ გენიალურობაზე ხელი არ მიმიწვდება.

ქალმა უცბად შეურაცხყოფილად იგრძნო თავი.

— განსაკუთრებული გენიალურობის გამომჟღავნება ამ წუთში სულ არ დამიპირებია. ჩემთვის ხომ ყველაფერი დაკარგულია. ღირს კი, ტყუილუბრალოდ გავისარჯო?

— მაშ, დროს მოიხელთებთ თუ არა, რაღას მიყვებით ყოველგვარ უმსგავსობას საკუთარ თავზე? — განრისხებულმა შეჰყვირა ქალმა.

ნაგელმა დინჯად, დარბაისლურად მიუგო:

— შთაბეჭდილება რომ მოვახდინო თქვენზე, ფრეკენ.

კვლავ იდგნენ და ერთმანეთს შეჰყურებდნენ. ნაგელმა განაგრძო:

— ერთხელ უკვე გითხარით რამდენიმე სიტყვა ჩემს მეთოდზე. თქვენ მეკითხებით, — იმის მაგივრად რომ დავფარო, რატომ ვამხელ ჩემს საიდუმლოს, თითქოს და, ჩემდა საზიანოდ. გიპასუხებთ: ამას განგებ, გამორჩენის მიზნით ვაკეთებ. მე მგონია, თუმცა თქვენ უარყოფთ, ჩემმა გულღიაობამ მაინც არ შეიძლება გარკვეული შთაბეჭდილება არ მოახდინოს თქვენზე. ყოველ შემთხვევაში, ვიმედოვნებ, ცოტაოდენ პატივისცემას მაინც იგრძნობთ ჩემდამი იმის გამო, რომ ასე დაუნდობელი გულგრილობით ვამხელ საკუთარ თავს. იქნებ, ვცდებოდე, შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ რა გაეწყობა. კიდეც რომ ვცდებოდე, თქვენ ჩემთვის მაინც დაკარგული ხართ და დასაკარგავი არაფერი დამრჩენია. დიახ, კაცი შეიძლება ჩემს დღეში ჩავარდეს, ეს სასოწარკვეთაა, ვა-ბანკზე წასვლაა. თავად გეხმარებით, რომ ბრალი დამდოთ და, რაც შემიძლია, ვცდილობ. გადაჭრითა მკრათ ხელი, საბოლოოდ უარმყოთ. რატომ ჩავდივარ ამას? იმიტომ რომ სულს მიმღვრევს ჩემს სასარგებლოდ ვთქვა რამე და ასეთი უბადრუკი გზით მივაღწიო საწადელს. ჩემს სიცოცხლეში ენა არ მომიტრიალდება საამისოდ. იქნებ, თქვათ, სამაგიეროდ ეშმაკობით, არაპირდაპირი გზით ცდილობთ მიაღწიოთ იმას, რასაც სხვები, მიამიტური გულღიაობით აღწევენო. ოჰ... თუმცა, არა, თავს არ დავიცავ. უწოდეთ ამას თვალის ახვევა, რატომაც არა, ძალიან შესაფერისი სიტყვაა. თავადაც დავუმატებ, რომ ეს, რა თქმა უნდა, მოტყუებაა. კეთილი, მაშ, თვალთმაქცობა იყოს, თავს არ ვიმართლებ. მართალი ხართ, თვალთმაქცობა ძვალსა და რბილში მაქვს გამჯდარი. მაგრამ ერთი მითხარით, ვინ აღარ ტყუის. ფარულად თუ აშკარად, ყველა ტყუილს იშველიებს და თუ ეს ასეა, განა ორივე ერთი არ არის? რადგან თვალთმაქცობა, თუნდაც ფარული, მაინც თვალთმაქცობაა... ვატყობ, ჩემს საყვარელ ბედაურს მოვახტი და ცოტა ხანს

სიამოვნებით გავაჭენებდი... მაგრამ არა, არ ვიზამ. ღმერთო, როგორ დამქანცა ყველაფერმა! გულში ვამბობ: დაე, მოხდეს, რაც მოსახდენია, დაე! წერტილი!..

აბა, ვინ იფიქრებდა, მაგალითად, რომ ექიმ სტენერსენის ოჯახში ყველაფერი რიგზე არ არის? თუმცა მე არ ვამტკიცებ, ასეა-მეთქი, უბრალოდ, გეკითხებით, განა ვინმეს თუნდაც ეჭვის ნასახი აღეძრება [illegible]სეულ ოჯახზე? სულ ორნი არიან: ცოლი და ქმარი, შვილები არ ჰყავთ, [illegible]ული საზრუნავი არაფერი აქვთ, და მაინც, ხომ არ მიეტმასნათ ვინმე მესამე? ღმერთმა უწყის, მაგრამ შეიძლება მაინც იყოს ვიღაც მესამე— ყმაწვილი კაცი, ოჯახის მეტისმეტად გულშემატკივარი მეგობარი — რწმუნებული რეინერტი. აბა, რას იტყვით? იქნებ, ორივეს ბრალია. გამორიცხული არც ის არის, რომ ექიმმა ყველაფერი იცის და, მიუხედავად ამისა, შეცვლა არაფრის ძალუძს. ყოველ შემთხვევაში, წუხელ ბევრი სვა და ისე მობეზრდა ამქვეყნად ყველაფერი, ისე მობეზრდა, რომ გვთავაზობდა, კაცობრიობა ციანიდის მჟავათი მოვსპოთ, დედამიწას კი ჯანდაბამდის გზა ჰქონიაო! საცოდავი! მაგრამ ექიმი ერთადერთი არ არის, ვინც სიცრუის ანკესზეა წამოგებული, ჩემზეც, ნაგელზეც კი რომ აღარაფერი თქვას კაცმა, ვინც ყელთამდე სიცრუის ჭაობშია ჩაფლული. ანდა რა იქნება, მაიცა რომ დაგისახელოთ? კეთილი სული, წმინდანი, მარტვილი! კარგის მეტს ვერაფერს იტყვი, მაგრამ მე თვალყურს ვადევნებ. გეუბნებით, ეჭვი მაქვს-მეთქი მასზე. ახლა არ იკითხავთ, რატომ არ ვაცილებ თვალს, რად ვუთვალთვალებ სახლის კედელს ამოფარებული, როცა ღამის ორ საათზე ბრუნდება შინ ყოვლად უწყინარი სეირნობიდან?! რატომ ვაკვირდები, როგორ დაათრევს ტომრებს, როგორ ესალმება ხალხს ქუჩაში? არც რატომ, ჩემო კარგო ფრეკენ, არც რატომ! უბრალოდ მაინტერესებს, მიყვარს და მახარებს რომ ამ საყოველთაო სიცრუეში შემიძლია უმწიკვლო, წმინდა ადამიანად დავსახო. მხოლოდ ამიტომ ვახსენე და, რა თქმა უნდა, თქვენც მიმიხვდით. ჰა-ჰა-ჰა... და თუ ახლა ჩემს თავს ავიღებთ.. .არა, არა, არ მინდა, ჩემს თავზე ლაპარაკი აღარ მინდა! რაზეც გნებავთ, ოღონდ ჩემზე კი არა!

ეს ისე უშუალოდ, ისე გულმართლად და სევდიანად აღმოხდა, ქალი თანაგრძნობით განიმსჭვალა. მიხვდა — მის წინ გაწამებული, გატანჯული სული იდგა, მაგრამ, რადგან ნაგელი მაშინვე შეეცადა ამ შთაბეჭდილების გაქარწყლებას, გადიხარხარა და კვლავ ფიცს მოჰყვა, ამქვეყნად ყველაფერი თვალთმაქცობააო, გულთბილი გრძნობა უმალ გაუქრა.

— თქვენ რაღაც ბილწი ნართაული გადაჰკარით ფრუ სტენერსენს, — მკვახედ უთხრა ქალმა. — სულმდაბლობაა. ნაკლებ უხამსადაც რომ გეთქვათ, მაინც სულმდაბლობა იქნებოდა. არც ის საბრალო ხეიბარი — მაიცა დაინდეთ. რა გეთქმით, პირწავარდნილი რაინდი ხართ! უმსგავსი, უღირსი საქციელია!

ქალმა გზა განაგრძო და ნაგელიც მიჰყვა. არაფერი უთქვამს, თავდახრილი მიდიოდა. მხრები რამდენჯერმე შეუთრთოლდა და დაგნიმ შენიშნა, ორი კურცხალი ჩამოუგორდა ლაწვებზე. ნაგელი შებრუნდა, რომ ცრემლი დაემალა. სტვენით ცდილობდა რომელიღაც ჩიტის მიტყუებას.

ცოტა ხანს უჩუმრად მიდიოდნენ. დაგნის გული მოულბა, უკვე ნანობდა სასტიკ სიტყვებს. რა იცის, იქნებ ნაგელი მართალია. იქნებ ამ კაცმა უფრო მეტი შენიშნა ერთ-ორ კვირაში, ვიდრე თავად წლების მანძილზე?

კვლავ ჩუმად მიდიოდნენ. ნაგელი სავსებით დამშვიდდა და გულგრილად ერთობოდა თავისი ცხვირსახოცით. პასტორის კარ-მიდამო უკვე სულ ახლოს იყო.

— ძალიანა ხართ დაკბენილი? შეიძლება დავხედო? — ჰკითხა უეცრად დაგნიმ.

რა იყო ეს? ყურადღება გამოიჩინა, რომ ოდნავ მაინც ყნუკეშებინა, თუ ნაგელის განწყობა გადაედო. ასე იყო თუ ისე, დაგნიმ ეს სიტყვები გულთბილად, აღელვებულმაც კი უთხრა და გაჩუმდა.

აი, მაშინ ნაგელმა ვეღარ დაიოკა თავი. როცა ქალი მის ხელზე დაიხარა, როცა ისე ახლოს დაიგულა, რომ მისი თმისა და ყელის სურნელი მისწვდა, ვნებამ დარია ხელი და ცნობისმიმხდელ წადილს მისცა თავი. ჯერ მარჯვენა ხელი მოხვია, მერე კი, როცა ქალმა თავის დახსნა სცადა, ორივე. ღამის ხელში ჰყავდა ატატებული და დიდხანს, ნაზად იკრავდა გულში. ანაზდად იგრძნო, ქალი მოეშვა და გაყუჩდა. დაგნი რაღაცნაირად უცბად დამძიმდა, მიეხუტა და დაბინდული თვალებით ახედა. ღმერთო, რა ტურფა იყო! ნაგელი ჩასჩურჩულებდა, რომ იგი საოცრებაა, საოცრებაა და რომ სიცოცხლის ბოლო წუთამდე მხოლოდ იგი ეყვარებოდა. ერთმა კაცმა უკვე მოიკლა თავი მისი გულისთვის და თვითონაც მზად იყო მის ერთ სიტყვაზე, წარბის შეხრაზე მომკვდარიყო: ოჰ, როგორ უყვარს! სულ უფრო და უფრო მძლავრად იკრავდა გულში და უსასრულოდ იმეორებდა: „მიყვარხარ, მიყვარხარ!"

ქალი აღარ უძალიანდებოდა, ოდნავ გადაეხარა თავი ნაგელის მარცხენა მკლავისკენ. ნაგელი ვნებიანად კოცნიდა, ნაზ, საალერსო სიტყვებს ჩასჩურჩულებდა. აშკარად გრძნობდა, ქალი თავად ეკვროდა გულში და კოცნისას უფრო მაგრად ხუჭავდა თვალებს.

— მოდი ხვალ ხესთან, იმ ხესთან გამოდი, ხომ გახსოვს... ვერხვი... გამოდი ჩემთან, დაგნი, მიყვარხარ! მოხვალ? როცა გინდა, მაშინ მოდი, შვიდ საათზე... — ქალს არ უპასუხია და მხოლოდ ეს უთხრა:

— ახლა კი გამიშვით.

და ნელა დაიხსნა თავი მისი მკლავებიდან.

ცოტა ხანს გაოგნებული იდგა, თვალებს აცეცებდა, სახეზე კი სულ უფრო და უფრო დიდი ტანჯვა ეხატებოდა, მერე ტუჩები აუცახცახდა, ძლივძლივობით მივიდა ბილიკთან დაგდებულ ლოდზე და დაჯდა. დაგნი ტიროდა.

ნაგელი დაიხარა, ჩუმად ეუბნებოდა რაღაცას. გავიდა რამდენიმე წუთი. უეცრად სიბრაზისგან გაფითრებული დაგნი ფეხზე წამოხტა, მუშტადშეკრული ხელები გულზე მიიკრა და გაშმაგებულმა დაუყვირა:

— უნამუსო! ღმერთო ჩემო, რა უნამუსო ხართ! ალბათ, თავადაც არ იცით, რა უნამუსო ხართ, ეს როგორ ჩაიდინეთ!

და ისევ ატირდა.

ნაგელმა კვლავ სცადა დაემშვიდებინა, მაგრამ ამაოდ. ნახევარ საათს იდგნენ ქვასთან და ფეხს ვერ იცვლიდნენ.

— კიდევ პაემანზე მოსვლას მთხოვდით, — უთხრა ქალმა, — თვალით აღარ დამენახოთ, თქვენთან შეხვედრა აღარ მინდა! უნამუსო კაცი ხართ!

ნაგელი შენდობას ევედრებოდა. მუხლებში ჩაუვარდა, კაბის კალთას უკოცნიდა, მაგრამ ქალი გაიძახოდა, უნამუსო, უსირცხვილო კაცი ხართ, უღი-

რსად მომექეცითო. ეს რა გაუკეთა? მოშორდეს, მოშორდეს აქაურობას! არ გაბედოს გვერდზე გაყოლა, ნაბიჯიც კი არ გადმოდგას!

დაგნი შებრუნდა და სახლისკენ გასწია.

ნაგელმა მაინც დააპირა გაყოლა, მაგრამ ქალმა მბრძანებლურად აღმართა ხელი და უთხრა:

— არ გაბედოთ! გესმით არ გაბედოთ!

ნაგელი იდგა და უყურებდა, როგორ დასცილდა ქალი, მაგრამ, თუმცა აუკრძალეს, მაინც გამოუდგა და კვლავ შეაჩერა.

— არაფერს დაგიშავებთ, — უთხრა მან.— მაგრამ სულ ერთი ბეწო სიბრალული მაინც იქონიეთ! ხედავთ, თქვენს წინა ვდგავარ და, ოღონდ ჩემი თავი მოგაშოროთ, მზადა ვარ მოვკვდე. ერთი სიტყვა საკმარისია და თავს მოვიკლავ. ხვალაც თუ შეგხვდით, ხვალაც იგივეს გეტყვით. მაგრამ თქვენ შეგიძლიათ მოწყალე მექმნეთ და სამართლიანად მომექცეთ. ბოლოს და ბოლოს გაიგეთ, მე მთლიანად თქვენს ხიბლს ვემორჩილები და ძალა არ შემწევს წინ აღვუდგე. ბრალი იმაში თუ მიმიძღვის, ცხოვრების გზაზე რომ შემომეყარეთ. ღმერთს ვთხოვ, ჩემსავით არასოდეს გატანჯულიყავით!

შებრუნდა და ბარბაცით გასწია ქალაქისკენ.

მიდიოდა და, ტანდაბალს, მეტისმეტად განიერი მხარ-ბეჭი უცახცახებდა. ვერაფერს ხედავდა ირგვლივ, გზად შემოყრილ ხალხს ვეღარა სცნობდა და მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს, როცა მთელი ქალაქი გაიარა და სასტუმროს კარს მიადგა.

XV

ამის შემდეგ ორ-სამ დღეს ქალაქში აღარ გამოჩენილა. სასტუმროში მისი ნომერი დაკეტილი იყო. ხეირიანად არავინ იცოდა, სად იყო; ჩრდილოეთისკენ მიმავალ თბომავალს გაჰყოლოდა. შეიძლება მხოლოდ იმიტომ გაემგზავრა, რომ გული გადაეყოლებინა.

დილაადრიან დაბრუნდა, როცა ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა. ჩატეტკილ სახეზე ეტყობოდა, უსიამოვნო ღამე გამოევლო.

მიუხედავად ამისა, მაშინვე სასტუმროში არ გაუწევია და სანაპიროზე კარგა ხანს სცემდა ბოლთას. მერე მისთვის უცნობ გზას გაუყვა, რომელიც ნავმისადგომის შორეული კუთხისკენ მიდიოდა და საიდანაც ის-ის იყო ბოლქვები ამოისროლა ორთქლის წისქვილმა.

თუმცა არც წისქვილთან შეყოვნებულა და საერთოდ, ეტყობოდა, სანაპიროზე მხოლოდ დროს მოსაკლავად დაბორიალებდა. ორი საათის მერე, როცა ბაზარი ნება-ნება გამოცოცხლდა, ნაგელი უკვე იქ იყო. ფოსტის კანტორასთან, კუთხეში იდგა და ყურადღებით უთვალთვალებდა გამვლელ-გამომვლელს. დალანდა თუ არა შორიდანვე მარტა გუდეს მწვანე კაბა, შესახვედრად გაეშურა და მიესალმა.

ბოდიშს იხდის, მაგრამ იქნებ უკვე გადაავიწყდა? ნაგელი ჰქვია, სავარძლის თაობაზე იყო მისული ქალთან, ძველი სავარძლის თაობაზე. რაო, ხომ არ გაუყიდია უკვე?

არა, არ გაუყიდია.

ჩინებულია. იმედოვნებს, ამ ხნის მანძილზე არავინ მისულა და მეტი არ შეუძლევია. ვინმე კოლექციონერი ხომ არ მისულა?

დიახ, მასთან...

— ოჰ, ღმერთო ჩემო, ნუთუ ვინმე იყო? რას ბრძანებთ? მანდილოსანი? ოჰ, სად აღარ გადაეყრები ამ მანდილოსნებს, ყველგან ცხვირს ყოფენ! მაშ, ჩასწვდა ყურში თქვენი უნიკალური სავარძლის ამბავი და მაშინვე დათრევა მოისურვა! ნამდვილი ქალური უტიფრობაა! რამდენი შემოგთავაზათ? ძალიან გაზარდა ფასი? ეშმაკმა დალახვროს, მე ხომ იმთავითვე გითხარით, არაფრით უკან არ დავიხევ-მეთქი!

ნაგელის იერიშმა მარტა მთლად გაოგნა და სხაპასხუპით მიუგო:

— არა, რას ბრძანებთ, სიამოვნებით მოგცემთ.

— მაშინ, ნება მომეცით, ასე, რვა საათისთვის შემოგიაროთ და საქმეც მოვათავოთ.

რა თქმა უნდა, თუ ნებავს, შემოიაროს, მაგრამ უმჯობესი ხომ არ იქნება, თვითონ მარტამ მიუტანოს სასტუმროში სავარძელი? ჰოდა, კიდეც მოათავებდნენ...

არა, არა, არავითარ შემთხვევაში! ასეთ ძვირფას ნივთს ძალიან სათუთად უნდა მოეპყრას კაცი. ეგეც არ იყოს, არც უნდა, უცხო თვალმა დაინახოს, რა შეიძინა. ზუსტად რვა საათზე მიაკითხავს. ჰო, მართლა, კიდევ კარგი, გაახსენდა, უნდოდა გაეფრთხილებინა, სავარძელს მტვერი არ გადაწმინდოს და, მით უმეტეს, ღმერთი არ გაუწყრეს და არ გარეცხოს! მთავარია, წვეთი წყალი არ მოხვდეს!

ამის შემდეგ ნაგელი სასტუმროში გაიქცა. შედგა თუ არა ფეხი ნომერში, გაუხდელად მიეგდო საწოლზე და უმალ ისე ღრმად ჩაეძინა, საღამომდე ფეხიც არ გაუნძრევია.

ნავახშმევს მაშინვე ნავსადგურისკენ გასწია. ზუსტად რვა საათზე მარტა გუდეს პატარა სახლს მიადგა, კარზე მიუკაკუნა და შევიდა.

აშკარად ეტყობოდა, ოთახი ის-ის იყო მიელაგებინათ. მორეცხილი იატაკი ჯერაც არ გამშრალიყო, ახლად გაწმენდილი ფანჯრები ბრწყინავდა, მარტას მძივებიც კი დაეკიდებინა. ჩანდა, ელოდა.

ნაგელი მიესალმა, დაჯდა და დაუყოვნებლივ დაიწყო მოლაპარაკება. ქალი ახლაც ჯიუტობდა, უწინდელზე მეტად დაიჟინა, ისე, უფასოდ წაიღეთო. მაშინ კი გაცეცხლდა ნაგელი, დაემუქრა, ამ ორას კრონს სახეში მოგაყრი და სავარძლიანად გავიქცევიო. ახიც იქნება, იმიტომ რომ დაიმსახურა! არა, ამისთანა თავქარიან ადამიანს პირველად ხედავს. ანაზდად მაგიდაზე მუშტი დასცხო და ქალს ჰკითხა: ჭკუიდან ხომ არ შეიშალეო.

— იცით რა, — უთხრა და ყურადღებით დააცქერდა, — რაღაც საეჭვოდ ჯიუტობთ. გულახდილად მითხარით, არაკეთილსინდისიერი გზით ხომ არ ჩაგიგდიათ ხელში ეგ სავარძელი? არ დაგიმალავთ და რა ხალხთან აღარ მქონია საქმე, სიფრთხილეს თავი არ სტკივა, თუ ეგ სავარძელი რაიმე ხრიკით ანდა შეცდომის გამო ჩაგივარდათ ხელში, მაშინ არ მინდა.. მომიტევეთ კი, თუ სწორად ვერ გავიგე თქვენი სიკერპე.

და დააფიცა, სიმართლე მითხარითო.

ამ ეჭვმა ქალი მთლად დაათრგუნა; შეშფოთებულმა და შეურაცხყოფილმა, უმალ თავის მართლება დაიწყო: სავარძელი პაპაჩემმა იყიდა და აგერ, ასი წელიწადია ჩვენს ოჯახში დგასო. არა, ნაგელს ნუ ეგონება, თითქოს ქალი რამეს უმალავს. და მარტას თვალზე ცრემლი მოადგა.

კეთილი, თუ ასეა, მაშინ ამ გაჭიანურებულ ვაჭრობას ბოლო უნდა მოეღოს და წერტილი დაესვას. ნაგელმა საფულეს ამოსაღებად ჯიბეში ჩაიყო ხელი.

ქალმა მისკენ წაიწია, რომ კვლავ შეეჩერებინა, მაგრამ ნაგელს ყურადღება აღარ მიუქცევია, მაგიდაზე ორი წითელი ქაღალდის ფული და [illegible] შეინახა.

— ინებეთ, — თქვა მან.

— ორმოცდაათ კრონზე მეტს მაინც ნუ მომცემთ, — შეევედრა ქალი და თავგზააბნეულმა ორჯერ გადაუსვა თავზე ხელი, თითქოს სთხოვდა, დამითმეო, არც კი შეუმჩნევია, რას აკეთებდა, მაგრამ თმაზე ხელი გადაუსვა და სთხოვა, ორმოცდაათ კრონზე მეტს ნუ მომცემთო. ამ უცნაურ არსებას ისევ ცრემლი ადგა თვალზე.

ნაგელმა თავი ასწია და შეხედა. ამ ღარიბ-ღატაკმა ქალმა, საქველმოქმედო საზოგადოების ხარჯზე რომ ცხოვრობდა, ამ ორმოცი წლის ჭაღარა ქალწულმა, რომელსაც შავი გიზგიზა თვალები ჰქონდა, სახით კი მონაზონს ჰგავდა, თავისებური, უცხო სილამაზით უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ნაგელზე და ერთ წუთს შეყოყმანდა. ქალის ხელი ხელებში მოიმწყვდია, ალერსიანად მოუთათუნა და უთხრა:

— ღმერთო ჩემო, რა საოცრება ხართ!

მერე უმალ უშვა ხელი და საჩქაროდ წამოდგა.

— ვიმედოვნებ, საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, თუ სავარძელს თან წავიღებ? — ჰკითხა ნაგელმა და სავარძელი მიიჩოჩა.

ქალი აშკარად აღარ უფრთხოდა. დაინახა თუ არა, ნაგელმა სავარძლის ძველ, მტვრიან გადასაკრავზე ხელი დაისვარაო, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და გაუწოდა.

ფული ისევ მაგიდაზე იდო.

A propos, — უთხრა ნაგელმა, — ხომ არ აჯობებდა, რაც შეიძლება საიდუმლოდ შეგვენახათ ჩვენი გარიგება? აბა, რა აუცილებელია, მთელმა ქალაქმა გაიგოს? შევთანხმდით?

— დიახ, — ფიქრიანად მიუგო ქალმა.

— თქვენს ადგილზე, ამ ფულს საჩქაროდ შევინახავდი, ოღონდ ჯერ სარკმელს ჩამოვაფარებდი რამეს, ჰო, თუნდაც ამ ქვედაკაბას.

— ძალიან ხომ არ ჩამობნელდება, — ყოყმანით თქვა ქალმა, მაგრამ მაინც აიღო ქვედაკაბა და სარკმელს ჩამოაფარა, ნაგელიც შეეშველა.

— თავიდანვე ასე უნდა გაგვეკეთებინა, — უთხრა მან, — არ ივარგებს თქვენთან რომ დამინახონ.

ქალი გაჩუმდა. მერე ფული მაგიდიდან აიღო და ნაგელს ხელი გაუწოდა. მადლობის გადახდა უნდოდა, მაგრამ ხმა ვერ გაიღო.

ნაგელს დიდხანს ეჭირა მისი ხელი და მერე უეცრად უთხრა:

— ნება მომეცით, ერთი რამ გკითხოთ: გეტყობათ, გაჭირვებით გაგაქვთ თავი; ასე, ყოველგვარი შემწეობისა და დახმარების გარეშე ცხოვრება... რამე დახმარებას იღებთ?

— დიახ.

— მაპატიეთ, საყვარელო ფრეკენ, ასე რომ ჩაგეძიეთ, მაგრამ თუ იყნოსეს, რაღაც დანაზოგი გაუჩნდაო, მაშინვე, არა თუ დახმარებას შეგიწყვეტა-

ვენ, მთელ ფულს ჩამოგართმევენ; დიახ, უბრალოდ აიღებენ და ჩამოგართმევენ... აი, რატომაა აუცილებელი, სავარძლის ამბავი საიდუმლოდ შეინახოთ. მე გამოცდილი კაცი ვარ და კეთილი რჩევა მინდა მოგცეთ: ხმა, კრინტი, კაციშვილს ნუ ეტყვით ჩვენს გარიგებაზე... ჰო, მართლა, ახლაღა მომივიდა აზრად — უფრო წვრილი ფული უნდა მომეცა, რომ დახურდავება არ დაგჭირდეთ.

დიახ, ყველაფერზე ფიქრობს, ყველაფერს ითვალისწინებს. ნაგელი კვლავ ჯდება და წვრილ ფულს ითვლის. კაცმა რომ თქვას, ხეირიანად არცა თვლის, უბრალოდ, რაც კი ჯიბეში წვრილი ფული აქვს, მაგიდაზე ყრის, ერთად აგროვებს და ქალისკენ მიხვეტავს.

— ესეც ასე, ახლა კი შეინახეთ, — ეუბნება იგი. ქალი პირს იბრუნებს, გულისპირზე თასმებს იხსნის და ფულს ინახავს.

და თუმცა ქალმა თავი უკვე მოიწესრიგა, ნაგელი რატომღაც ისევ ზის და სხვათაშორის ეკითხება:

— ჰო, რა მინდოდა კიდევ მეთქვა... შემთხვევით მაიცას ხომ არ იცნობთ?

ნაგელმა შენიშნა, ქალი მთლად წამოენთო.

— რამდენჯერმე შევხვდი, — განაგრძო ნაგელმა, — და შევეთვისე. მე მგონი საიმედო, ოქროკაცი უნდა იყოს. ვიოლინო მიშოვე-მეთქი, დავავალე და ეჭვი არ მეპარება, მიშოვის კიდეც. თქვენ როგორ გგონიათ? თუმცა, ვინ იცის, კარგად არც იცნობთ?

— პირიქით.

— ჰო, მართლა, აკი მაიცა მომიყვა, რომ კარლსენის დაკრძალვისთვის ყვავილები თქვენგან იყიდა. მაშ, იცნობთ, არა? იქნებ, კარგადაც? მითხარით, რა აზრისა ხართ მასზე? როგორ გგონიათ, შემისრულებს დავალებას? როცა კაცს ჩემსავით მილეთის ხალხთან გიხდება საქმის დაჭერა, ძალაუნებურად მათი ასაავალ-დასავალის ცოდნაც გმართებს. ერთხელ, მხოლოდ იმიტომ, რომ უნამუსო კაცს მივენდე, კარგა გვარიანი ფული დავკარგე. ჰამბურგში მომივიდა ეს.

და, ვინ იცის, რატომ, ნაგელი გრძელი ამბის მოყოლას იწყებს ვიღაც კაცზე, ვისი გამოისობითაც დიდი ზარალი ნახა. მაგიდაზე ხელდაყრდნობილი მარტა კვლავინდებურად წინ უდგას. ქალი თვალში საცემად ღელავს, ბოლოს და ბოლოს ვერ ითმენს და აწყვეტინებს:

— არა, არა, ასე ნუ ლაპარაკობთ მასზე!

— ვისზე ნუ ვლაპარაკობ?

— იუჰანესზე, მაიცაზე.

— მაიცას იუჰანესი ჰქვია?

— დიახ, იუჰანესი ჰქვია.

— მართლა?

— რა თქმა უნდა.

ნაგელი დუმს. ის ამბავი, რომ მაიცას იუჰანესი ჰქვია, სხვა გზით წარმართავს მის აზრებს და მცირე ხნით გამომეტყველებაც კი ეცვლება. კარგა ხანს ზის დაფიქრებული და მერედა ეკითხება:

— რატომ უწოდებთ იუჰანესს და არა გრეგორდს ანდა მაიცას. რაღა მაინცდამაინც იუჰანესს ეძახით?

ქალი მორცხვად ხრის თვალს და ეუბნება:

— ბავშვობიდანვე ვიცნობთ ერთმანეთს...

დუმილია.

ბოლოს ნაგელი ხუმრობანარევ კილოზე, განგებ გულგრილად ამბობს:

— იცით, მე მგონი, მაიცას ძალიან უნდა უყვარდეთ. მართლა, მართლა, იმ წუთში თვალში მოხვდება კაცს. გულახდილად გითხრათ, [illegible] ება. თუმცა, უნდა გამოვტყდე, ამ შემთხვევაში მაიცას [illegible] სდის, რძეშეუშრობელი ლლაპი ხომ არ არის, თან, რაც არ უნდა იყოს, ხეიბარია. თუმცა, ღმერთო ჩემო, აბა, ქალებს რას გაუგებ! უცბად რაღაც მოეხუშტურებათ და პირველ შემხვედრს ყელზე დაეკიდებიან ნებაყოფლობით. არა, რომელი ნებაყოფლობით, სიხარულით, აღფრთოვანებით ნებდებიან. ჰა-ჰა-ჰა! აი, ასეთები არიან ქალები! ათას რვაას ოთხმოცდაექვს წელს თვითონ შევიქენი მოწმე, ჩემი წრის ქალიშვილმა მამამისის შიკრიკი აირჩია ქმრად. ეს ამბავი არასოდეს დამავიწყდება. ბიჭად ედგათ დუქანში, თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის პირტიტველა ლლაპი იყო. რაც მართალია მართალია, კარგი თვალტანადი ყმაწვილი კი იყო, ვერაფერს ვიტყვი. ჰოდა, სწორედ ამ ლინლლიან ბარტყს დაეძგერა ჩვენი ვნებაწაკიდებული ქალბატონი და საზღვარგარეთ წაიყვანა. ნახევარი წლის შემდეგ კი, როცა უკან დაბრუნდა, თქვენ წარმოიდგინეთ, სიყვარულის ნასახიც აღარ შერჩენოდა. დიახ, რაღა თქმა უნდა, ძალზე საწყენია, მაგრამ სიყვარულმა ჭირი მოგჭამათ. რამდენიმე თვეში მოწყენილობისგან კინაღამ სული ამოხდა, მაგრამ გათხოვილი იყო და რა ექნა, როგორ მოქცეულიყო? ჰოდა, თითქოს უცბად აიწყვიტაო, ყველას და ყველაფერს მიაფურთხა და სტუდენტებში, რომ იტყვიან, პირდაპირ ხელიდან ხელში გადადიოდა, არც მაღაზიის გამყიდველებისთვის დაუწყვეტია გული, მოკლე ხანში ფრიად სამარცხვინოდ გაითქვა სახელი და „ტკიპა" შეარქვეს. ცუდი ამბავია არა? მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, იმარჯვა და ერთხელ კიდევ გააკვირვა ქვეყანა. ორი წლის თავაწყვეტილი ლრეობისა და ტკბობის შემდეგ ერთ მშვენიერ დღეს ნოველების შეთხზვას მიჰყო ხელი, მწერალი გახდა და ამბობენ, დიდი ნიჭის პატრონიაო. ორ წელიწადს სტუდენტებსა და გამყიდველებში ტრიალი საოცრად კარგი გაკვეთილი შეიქნა მისთვის. მათ იგი, ასე ვთქვათ, ჩამოაყალიბეს და ჩემმა ნაცნობმაც კალამს მოჰკიდა ხელი. სხვათა შორის, მას შემდეგ, ჩინებულად წერს, ჰა-ჰა-ჰა! უნდა გითხრათ, ნამდვილი ეშმაკის ფეხია!... თქვენ, ქალები ყველანი ასეთები ხართ. ხომ ხედავთ, იცინით, მაგრამ არ მედავებით, სულ არ მედავებით. ჩვიდმეტი წლის ხელზე მოსამსახურე ბიჭზე ჰკუასა კარგავთ. დარწმუნებული ვარ, მაიცას რომ ცოტა ხელი გამოელო უცოლოდ არ დარჩებოდა. რაღაც აქვს ისეთი, რომელიც კაცებზედაც კი ახდენს შთაბეჭდილებას. აი, მაგალითად, ჩემზე, საოცრად უბიწო გული აქვს და არც ხმაში შემინიშნავს ოდესმე სიყალბე. ხომ ასეა? თქვენ ალბათ, ხუთი თითივით იცნობთ მას? ბიძამისზე რას ამბობენ, ნახშირით მოვაჭრეზე? მე მგონი, გაქნილი ბებერი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, გული არ მიგივა. ისე ვატყობ, მთელი ვაჭრობა მაიცას ზურგზე გადადის. თუ მართლაც ასეა, ძალაუნებურად იბადება კითხვა: რატომ არ უნდა წამოიწყოს მაიცამ საკუთარი პატარა საქმე? მოკლედ, ჩემი აზრით, ოჯახი რომ ჰყავდეს, მაიცა მის რჩენას შეძლებდა... თავს აქნევთ?

— არა, არ ვაქნევ.

— მაშ, მოთმინება დაგიკარგავთ და მესმის კიდეც თქვენი. უბრალოდ,

მოგბეზრდათ ჩემი ლაქლაქის მოსმენა ვილაც კაცზე, რომელიც სულაც არ გენაღვლებათ. ყური მიგდეთ, იცით რა გავიფიქრე? ოღონდ, თუ ღმერთი გწამთ, არ გამიბრაზდეთ, მერწმუნეთ, კარგის მეტი არაფერი მსურს, რომ კარგად ჩარაზეთ ხოლმე კარი! ასე შეშინებული ნუ შემომცქერით... ნუ ფრთხილით და უნდობლად ნუ მეკიდებით, საყვარელო ფრეკენ. მხოლ[illegible]ლოდ ის მინდა გირჩიოთ, ბრმად ნუ მიენდობით ხალხს. მით უმ[illegible]ცა ფული გაგიჩნდათ. მართალია ყური არასოდეს მომიკრავს, ქალაქში ურიგო რამ მომხდარიყოს, მაგრამ, როგორც იტყვიან, სიფრთხილეს თავი არ სტკივა... ორი საათისთვის ქუჩაში უკვე კუნაპეტი ღამეა. მე კი, სწორედ ორი საათი იქნებოდა, ამ დღეებში ვიღაცის ფეხის ხმა გავიგონე ჩემს ფანჯრებთან. დიახ, თქვენ წარმოიდგინეთ, ასე იყო. ვიმედოვნებ, რჩევისთვის ნაწყენი არ დამირჩით... აბა, კეთილად მენახეთ. მოხარული ვარ, რომ სავარძელი ბოლოს და ბოლოს მაინც შევიძინე. კარგად იყავით, ძვირფასო მარტა.

და ნაგელმა ხელი ჩამოართვა, წირთხლთან ისევ შემობრუნდა და უთხრა:

— იცით რა, ყველას უთხარით, რომ სავარძელში ორი კრონი მოგეცით — არც ერთი შილინგით მეტი, თორემ შემწეობას მოგიხსნიან. არ დაგავიწყდეთ. შემიძლია გენდოთ, არა?

— დიახ, — დაეთანხმა ქალი.

ნაგელი წავიდა და სავარძელი წაიღო. სახეგაბრწყინებული მიდიოდა. სიამოვნებისგან ხვნეშოდა, ხმამაღლა იცინოდა. ერთი სიტყვით, ნამდვილი თაღლითივით იქცეოდა, თითქოს ვიღაც კოხტად გაეცუროს. „ღმერთო, ალბათ, ახლა როგორ უხარია, — აღელვებული ჩურჩულებდა თავისთვის. — ჰა-ჰა-ჰა! ამდენი სიმდიდრის შემყურე, ამაღამ, ალბათ, თვალს ვეღარ მოხუჭავს".

სასტუმროში მაიცას შეხვდა, რომელიც მას ელოდებოდა. რეპეტიციიდან მოსულიყო და იღლიაში აფიშების გრაგნილი ამოეჩარა. დიახ, ცოცხალი სურათები, ეტყობა, ჩინებული გამოვა. რამდენიმე ისტორიულ სცენას წარმოუდგენენ საზოგადოებას და მეტი ეფექტი რომ მოახდინონ, ნაირფერი ფარნებით გაანათებენ. თვითონაც მონაწილეობს. მართალია, მხოლოდ სტატისტად, უკანა რიგში იდგება.

რა დღეს იხსნება საქველმოქმედო ბაზარი?

ხუთშაბათს, ცხრა ივლისს, დედოფლის დაბადების დღეს, მაგრამ მაიცამ ამ საღამოსვე უნდა გააკრას აფიშები, ნება დართეს, ერთი სასაფლაოს კარზეც გააკრას... თუმცა აქ ვიოლინოს საქმეზე შემოიარა. ვერ იშოვა. ქალაქში მხოლოდ ერთადერთი რიგიანი ვიოლინოა, მაგრამ არ იყიდება. ორღანისტის საკუთრებაა და თავად სჭირდება, ბაზრობის გახსნაზე აპირებს კონცერტში მონაწილეობის მიღებას, რაღაც-რაღაცები უნდა დაუკრას.

რას იზამ, რადგან ასეა, რა გაეწყობა.

მაიცა წასვლას აპირებს, ქუდი უკვე ხელში უჭირავს, როცა ნაგელი სთავაზობს:

— თითო ჭიქა ხომ არ დაგველია? იცით, დღეს კარგ გუნებაზე ვარ, ბედი მეწია. ჩემი მრავალი დღის მცდელობა ბოლოს გამარჯვებით დაგვირგვინდა. ისეთი უნიკალური სავარძელი შევიძინე, ნაძლევს ჩამოვალ, ჩვენს ქვეყანაში. მისი ბადალი არც ერთ კოლექციონერს არ ექნება. აგერ, შეხედეთ! თუ იცით, ამ სასწაულის ფასი? ძველი ჰოლანდიელი ოსტატის ნახელავია, მეორეს ვერსად შეხვდებით! ღმერთმანი, რა უნდა მომცენ, ვინმეს დავუთმო?! თუ

საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, მაღარიჩი გადავიხადოთ. თუ ნებას მომცემთ, მოახლეს დავურეკავ. არა? კი მაგრამ, აფიშების გაკვრას ხომ ხვალაც მოასწრებთ... ღმერთო, დღეს რა ბედი მეწია! თქვენ, ალბათ, არც იცით, რომ მე კოლექციონერიც ვარ და აქ ჩემი კოლექციის შესავსებად ვცხოვრობ. ნუთუ თქვენთვის არაფერი მითქვამს ჩემს ძროხის ზანზალაკებზე. ღმერთო ჩემო, მაშ, თქვენ ჩემზე არაფერი გცოდნიათ! მე, რა თქმა უნდა, ასტრონომი ვარ, მაგრამ ამქვეყნად სხვა რამეც მაინტერესებს. ორას სამოცდაექვსი ზანზალაკი მაქვს შეგროვილი! მათი შეგროვება ათი წლის წინათ დავიწყე და ახლა, მადლობა ღმერთს, პირველხარისხოვანი კოლექცია მაქვს. ეს სავარძელი კი, არ იკითხავთ, როგორ ვიშოვე? პირდაპირ იღბალი მომივიდა. ერთ მშვენიერ დღეს მივდივარ ქუჩაში, ვეშვები ნავსადგურისკენ, ერთ პატარა სახლს რომ ჩავუარე და ჩემი ჩვეულებისამებრ ფანჯარაში შევიხედე, გავშეშდი: ვხედავ სავარძელს და უმალ ვატყობ, რა განძიცაა. ვაკაკუნებ, შევდივარ სახლში, იქ ვიღაც ხანგადასული, მთლად გაჭაღარავებული ქალი მხვდება... ჰო, რა ქქვია? თუმცა, სულ ერთია, რა მნიშვნელობა აქვს, იქნებ, არც იცნობთ. მგონი, ფრეკენ გუდეს ეძახიან. მარტა გუდე თუ რაღაც ამგვარი... ჯერ დიდ უარზე იდგა, არა ვყიდიო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც გავტეხე და აგერ, სავარძელი უკვე ხელთა მაქვს. მაგრამ, რაც ყველაზე წარმოუდგენელია, რომ იტყვიან, მუქთად ჩავიგდე ხელში. მართალია მაგიდაზე ორი კრონი დავუგდე, მაგრამ ისიც ისე — უფრო ჩემი სინდისის დასამშვიდებლად და კიდევ იმიტომ, მერე არ ენანა. არადა, სავარძელი რამდენიმე ასეული კრონი ღირს. ოღონდ ეს, რა თქმა უნდა, ჩვენ შორის დარჩეს. სულ არ მეამება, ჩემზე რომ ცუდი ხმები დაიყაროს. თუმცა რა, სასაყვედურო არაფერი მჭირს. ფრეკენ გუდეს წარმოდგენაც კი არა აქვს, როგორ უნდა მოაგვაროს თავისი საქმე, მე კი, კოლექციონერსა და კომერსანტს, მისი ინტერესების დაცვა სულაც არ მევალება, მთლად ჩერჩეტი უნდა იყო კაცი, ამისთანა სარფიანი საქმე ხელიდან გაუშვა, ასე არაა? სწორედ ამას ჰქვია, ასე ვთქვათ, ბრძოლა არსებობისთვის... ახლა კი, როცა გაიგეთ ყველაფერი, ჩემთან ერთად შესვამთ ერთ ჭიქა ღვინოს.

მაგრამ მაიცა კვლავინდებურად ირწმუნებოდა, წასასვლელი ვარო.

— ძალიანა მწყინს, — უთხრა ნაგელმა. — მე კი მიხაროდა, მეგონა, წავისაუბრებთ-მეთქი. აქ, ამ ქალაქში თქვენ ერთადერთი კაცი ხართ, რომელიც ცნობისმოყვარეობას მიღვიძებს, ერთადერთი, რომელთანაც დაახლოება მსურს. ჰა-ჰა! გეყურებათ, დაახლოება მსურს. მაშ, თქვენ იუჰანესი გქვიათ? ჩემო კარგო მეგობარო, ეგ მე დიდი ხანია ვიცოდი. გაცილებით ადრე წუხანდელზე, როდესაც ჩემთან შემთხვევით ახსენეს თქვენი სახელი... ასე რამ შეგაშინათ? მართლა და მართლა, რა მოხდა... პირდაპირ რაღაც უბედურება მჭირს — ყოველთვის ვაშინებ ხალხს. არა, არა, ნუ უარყოფთ, შეძრწუნებულმა შემომხედეთ. ვერ დავიჩემებ, მაგრამ მგონი, შეკრთით კიდეც.

ამასობაში მაიცა კართან მივიდა, ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, სანამ გამოეთხოვებოდა და წავიდოდა. საუბარი მისთვის აშკარად სულ უფრო და უფრო მტანჯველი ხდებოდა.

— დღეს ექვსი ივლისია? — მოულოდნელად ეკითხება ნაგელი.

— დიახ, — პასუხობს მაიცა და კარის სახელურს ჰკიდებს ხელს.

ნაგელი დინჯად უახლოვდება, წინ აეტუზება და ზურგზე ხელდაწყობილი, ჩაციებით ჩაჰყურებს თვალებში.

— ექვს ივნისს სადღა იყავით? — ჩურჩულით ეკითხება იგი.

მაიცა არ პასუხობს, კრინტსაც არა ძრავს. ნაგელის გამსჭვალავი მზერა და ავბედითი ჩურჩული თავზარსა სცემს. ვერაფრით მიმხვდარა, რას ნიშნავს ეს უცნაური, ამოუხსნელი კითხვა ერთი თვის წინანდელ ფურცელზე. იგი ერთბაშად აღებს კარს და დერეფანში გარბის. ერთხანს ადგილზე წრიალებს, ვერაფრით მოუმხრია საითაა კიბე, ნაგელი კი ღია კარში დგას და უკან მისძახის:

— არა, არა, ეს სულ ბოდვა, რაღაც სიგიჟე იყო. გთხოვთ, დაივიწყოთ... სხვა დროს აგიხსნით... სხვა დროს...

მაგრამ მაიცას არ ესმის. სანამ ნაგელი რამეს მიაძახებდა, მან უკვე ჩაირბინა კიბე, უკანმოუხედავად გავარდა ქუჩაში, გადაჭრა ბაზრის მოედანი, ბაკამდე მიჩლახუნდა, პირველსავე მოსახვევში შეუხვია და გაქრა.

ერთი საათის შემდეგ, საღამოს ათზე, ნაგელმა სიგარას მოუკიდა და სასტუმროდან გამოვიდა. ქალაქი ჯერ არ ჩაწყნარებულიყო. პასტორის სახლისკენ მიმავალ გზაზე ხალხი სასეირნოდ გამოფენილიყო, ახლომახლო ქუჩებიდან კი თამაშში გართული ბავშვების ჟივილ-ხივილი ისმოდა. ქალაქის მცხოვრებთ ზაფხულის წყნარი, თბილი საღამო გასტკბობოდათ, სახლის პარმაღზე ჩამომსხდარნი, ხმადაბლა მუსაიფობდნენ ან მეგობრულად ეხმიანებოდნენ მეზობლებს.

ნაგელი სანაპიროსკენ დაეშვა. დაინახა როგორ აკრავდა მაიცა აფიშებს ფოსტის, ბანკის, სკოლისა და სატუსაღოს კედლებზე... გულმოდგინედ, მოვალეობის გრძნობით აღსავსე მუშაობდა! ახლა რა ხალისიანად ირჯებოდა, სულაც არ დაგიდევდათ, რომ გვიანი იყო და კარგა ხანია უნდა მოესვენა. ნაგელმა მაიცას ჩაუარა, მიესალმა, მაგრამ არ შეჩერებულა...

ლამის ნავსადგურამდე იყო მისული, უკნიდან ვიღაცის აღელვებული ხმა შემოესმა. მიიხედა და მარტა გუდე დაინახა. ქალი წამოეწია და აქოშინებულმა უთხრა:

— მაპატიეთ, თქვენ ძალიან ბევრი ფული მომეცით.

— საღამო მშვიდობისა! — მიუგო ნაგელმა. — თქვენც სასეირნოდ გამოხვედით?

— არა, ქალაქში ვიყავი. სასტუმროსთან გელოდებოდით. ძალიან ბევრი ფული მომეცით.

— ოჰო! რაო, იწყება ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო?

— არა, თქვენ უბრალოდ შეცდით! — შეჰყვირა სასოწარკვეთილმა ქალმა. — ორას კრონზე მეტი იყო.

— მერედა რაო? მართლა გადმოგაყოლეთ რამდენიმე ზედმეტი კრონი? კეთილი, დამიბრუნეთ.

ქალმა საკინძის გახსნა დაიწყო, მაგრამ მაშინვე დაბნეულმა მიმოიხედა. არ იცოდა, რა ექნა. ბოლოს და ბოლოს ისევ ბოდიში მოიხადა. გარშემო ძალიან ბევრი ხალხია, ფული კი ისე გულმოდგინედ შეინახა, ქუჩაში ამოღება უხერხულია.

— არცაა საჭირო, — საჩქაროდ მიუგო ნაგელმა, — მე თვითონ შემოვივლი თქვენსა. ნებას მომცემთ, შინ გეწვიოთ?

და ერთად გაუდგნენ გზას მარტას სახლისკენ. გამვლელები ცნობისმოყვარე თვალს აყოლებდნენ.

ოთახში ნაგელი ისევ ძველ ადგილას, ფანჯარასთან დაჯდა, რომელსაც კვლავ ქვედაკაბა ჰქონდა ჩამოფარებული. სანამ მარტა ფულს ამოიღებდა, ნაგელი ჩუმად იყო. მაშინღა გაიღო ხმა, როცა მარტამ ფული გაუწოდა, — რამდენიმე გაქექილი ქაღალდის ფული, რომელსაც ჯერ კიდევ ქალის სხეულის სითბო გამოჰყოლოდა და რომლის დატოვების უფლება ქალს პატიოსნებამ ერთი ღამითაც კი არ მისცა. ნაგელმა სთხოვა, ეგ ფული თქვენი იყოსო.

მაგრამ, ეტყობა, ქალს ისევ შეეპარა ეჭვი მის განზრახვაში. გაუბედავად შეხედა და უთხრა:

— არა... არ მესმის თქვენი...

მაშინ კი ნაგელი წამოხტა და კარისკენ გაემართა.

— სამაგიეროდ მე ჩინებულად მესმის თქვენი და ამიტომ დაუყოვნებლივ მივდივარ. ახლა დამშვიდდით?

— დიახ... არა, კართან ნუ დგახართ!

ქალმა ხელიც კი გაიწოდა მის შესაჩერებლად — როგორ ეშინოდა ამ უცნაურ არსებას, ვინმეს არ ვაწყენინოო!

— თუ ასეა, თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს, — უთხრა ნაგელმა, რომელიც ჯერაც ფეხზე იდგა. — თუ მოისურვებთ, დიდად გამახარებთ და მეც შევეცდები, სამაგიერო გადაგიხადოთ. გთხოვთ ხუთშაბათ საღამოს საქველმოქმედო ბაზრის გახსნაზე მოხვიდეთ. ხომ მომანიჭებთ ამ სიამოვნებას? თქვენც გამხიარულდებით, იქ უამრავი ხალხი იქნება, ჩახჩახა სინათლე, მუსიკა, სიცილი, ცოცხალი სურათები... გთხოვთ, მოხვიდეთ. არ ინანებთ! იცინით? რატომ გეცინებათ? ღმერთო ჩემო, რა ქათქათა კბილები გაქვთ!

— მე ხომ არსად დავდივარ, — მიუგო ქალმა, — რამ გაფიქრებინათ, რომ იქ მოსვლას გავბედავდი. ან რა აზრი აქვს? რად გინდათ, მოვიდე?

ნაგელმა გულახდილად აუხსნა, ეს აზრი უკვე დიდი ხანია, ორი კვირის წინ მომივიდა თავში, მერე რატომღაც გადამავიწყდა, ახლა კი უეცრად ისევ მომაგონდაო. მხოლოდ ის უნდა, ქალი ბაზრობაზე მოვიდეს, ღღესასწაულს დაესწროს; უნდა, იქ ნახოს, მაგრამ თუ ქალს არა სურს, ახლოსაც არ გაეკარება, სიტყვას არ ეტყვის. სულ არ აპირებს მის შეწუხებას, ასეთი რამ აზრად არ გაუვლია. უბრალოდ გაუხარდება, თუ ქალი ერთხელ მაინც გაერევა ხალხში, გაუხარდება, თუ მის სიცილს გაიგონებს, გაყმაწვილებულს იხილავს. აუცილებლად უნდა მოვიდეს, ძალიანა სთხოვს!

ნაგელმა მარტას შეხედა. როგორ უმძაფრებდა თეთრი თმა მწველ, შავ თვალებს! ერთი ხელით საკინძის ღილს აწვალებდა და ეს თხელი, ნაზი ხელი მაჯაზე რომ ორი ცისფერი ძარღვი დაუყვებოდა, არც ისე სუფთა, მონაცრისფრო ხელი, საოცრად გულისამაჩუყებელი და კდემამოსილი მიჩანდა.

— დიახ, — თქვა ქალმა, — იქ ალბათ მხიარულება იქნება...

მაგრამ მას ხომ იმ საღამოსთვის შესაფერისი კაბა არა აქვს, ერთი რიგიანი ქვედაკაბაც არ გააჩნია...

ნაგელმა შეაწყვეტინა: წინ კიდევ სამი დღეა, ხუთშაბათამდე ყველაფერი მოესწრება, დრო საკმაოა... აბა, გადაწყვეტილია?

ბოლოს და ბოლოს მარტა მის ნებას დაჰყვა.

— აბა, როგორ შეიძლება ასე ცოცხლად თავის დამარხვა? — უთხრა ნა-

გელმა. — იცოდეთ, ეგ კარგს არაფერს მოგიტანთ. თანაც ასეთი თვალების და კბილების პატრონი... არა, არა, მართლა ცოდვაა! ეგ [illegible] კრონი კი: მაგიდაზე რომ დევს, სწორედ საკმარისი იქნება კაბისთვის... დიახ, დიახ, სიტყვა არ გამაგონოთ!.. — ქალი ნაგელის ხათრით დაჰყვა [illegible]ხირებას. ნაგელი კვლავინდებურად მოწიწებით, თავაზიანად [illegible] და ქალისთვის შეშფოთების საბაბი არ მიუცია. მარტამ კარამდე მიაცილა, კვლავ თვითონ გაუწოდა ხელი და ზეიმზე მიწვევისთვის მადლობა გადაუხადა. დიდი ხანია აღარსად ყოფილა და სულ გადაეჩვია საზოგადოებას, მაგრამ ეცდება კარგად მოიქცეს.

დიდი ბავშვი, პირობას დებს, რომ კარგად მოიქცევა! განა ეს არის მთავარი?...

XVI

ხუთშაბათიც მოვიდა. ცრიდა, მაგრამ საქველმოქმედო ბაზრის გახსნას მაინც დიდძალი ხალხი დაესწრო. უკრავდა მუსიკა, მოედანზე არა მარტო მთელ ქალაქს მოეყარა თავი, მეზობელი სოფლებიდანაც ბლომად ჩამოსულიყვნენ — აბა, ასეთ იშვიათ გასართობს ხომ არ გამოაკლდებოდნენ.

დაახლოებით საღამოს ცხრა საათი იყო, როცა ნაგელი ბაზრობაზე მივიდა. დარბაზში უკვე ნემსი არ ჩავარდებოდა. იქვე, კარებში გაჩერდა და ვილაცის სიტყვას მიუგდო ყური. გაფითრებული იყო და ჩვეულებისამებრ ახლაც ყვითელი კოსტუმი ეცვა, ოღონდ ხელი აღარ ჰქონდა შეხვეული — ეტყობა, ჭრილობა მოშუშებოდა.

წინ, სცენასთან ექიმ სტენერსენსა და მის ცოლს მოჰკრა თვალი, მათგან ოდნავ ხელმარჯვნივ კი მაიცა და ცოცხალი სურათების სხვა მონაწილენი იდგნენ, მაგრამ დაგნი მათ შორის არ ჩანდა.

სანთლების ალისგან დარბაზში აუტანელი სიცხე იდგა და ისეთი სივიწროვე იყო, ნაგელს სულ მალე გარეთ გასვლა მოუნდა. კარში რწმუნებულ რეინერტს შეეჩეხა და მიესალმა. რეინერტმა ძლივს დაუკრა თავი. ნაგელმა გვერდით ჩაუარა და დერეფანში კედელთან გაჩერდა.

უეცრად ისეთ რაღაცას ხედავს, რაც მერეც დიდხანს იპყრობს მის ფიქრებს და ენით აუწერელ ცნობისმოყვარეობას უღვიძებს. მისგან ხელმარცხნივ, პალტოების დასაკიდებლად გამოყოფილი ლამპით განათებული მომცრო ოთახის კარი გამოღებული იყო და ნაგელი საკიდართან დაგნი ჰელანს ხედავს, რომელიც კაუჭზე ჩამოკიდებულ ნაგელის პალტოსთან ფათურობს. შეცდომა შეუძლებელია — მის მეტს მთელ ქალაქში არავის აქვს ასეთი ყვითელი საგაზაფხულო პალტო. ეგეც არ იყოს, მშვენივრად ახსოვს სადაც დაკიდა. ქალი თითქოს რაღაცას ეძებდა, ან ისე იჭერდა თავს, თითქოს რაღაცას ეძებდა, თან კი გულმოდგინედ სინჯავდა ნაგელის პალტოს. ნაგელმა უმალ იბრუნა პირი, რომ დაგნის უეცრად თვალი არ შეესწრო მისთვის.

ამ უცნაურმა ამბავმა ნაგელი ააფორიაქა. ნეტა, რას ეძებდა, რა უნდოდა მის პალტოსთან? სულ ეს უტრიალებდა თავში და ვერა და ვერ დამშვიდებულიყო. ვინ იცის, იქნებ ფიქრობს, მისგან ყველაფერი მოსალოდნელიაო და ახლა სურდა გული დაეჯერებინა, რომ ნაგელს ჯიბეში რევოლვერი არ ედო. ეგების წერილი ჩაუდო?

ერთ წუთს ეს ბედნიერი „ეგებისიც“ კი ირწმუნა.

არა, არა, ქალი თავის პალტოს ეძებდა მხოლოდ და სხვა ყველაფერი უბრალოდ დაემთხვა. ანდა როგორ გაივლო გულში, აუბდენელი ახდებოდა! მოჰკრა თუ არა თვალი ნაგელმა, დარბაზში შესული დაგნი სცენისკენ მიიკვლევდა გზას, მაშინვე გულაძგერებული მივარდა თავის პალტოს, მაგრამ ჯიბეში ბარათი ვერ იპოვა, ცხვირსახოცისა და ხელთათმანებს მეტი შიგ არაფერი იდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზიდან ტაშმა იქუხა. ფოგტმა სიტყვა დაამთავრა და საქველმოქმედო ბაზარი გახსნა. ხალხი დერეფნებსა და მეზობელ ოთახებს მოედო. იქ შედარებით ნაკლებად ცხელოდა, ყველანი კედლის გასწვრივ ჩამოსხდნენ და გრილი სასმელების სმას მიჰყვეს ხელი. მიმტანი ქალებივით ჩაცმული რამდენიმე იქაური ქალიშვილი. რომელთაც თეთრი წინსაფრები აეფარებინათ, ხოლო მკლავზე ხელსახოცები გადაეკიდათ, ჭიქებით გაჭედილი ლანგრებით მიმოდიოდნენ ხალხში.

ნაგელი დაგნის ეძებდა, მაგრამ იგი არსადა ჩანდა. ფრეკენ ანდერსენსაც თეთრი წინსაფარი აეფარებინა. ნაგელი მიესალმა და ღვინო მოჰკითხა, ქალმა კი ერთი ბოთლი შამპანური მოუტანა.

ნაგელმა გაოცებულმა შეხედა.

— თქვენ ხომ სხვას არაფერს სვამთ, — ღიმილით მიაგება ქალმა.

ამ ოდნავ გამკილავმა ყურადღებამ ნაგელი ცოტა მაინც გამოაცოცხლა. სთხოვა, დამეწვიეთო და ქალიც, თუმცა საქმე ყელთამდე ჰქონდა, სიამოვნებით მიუჯდა გვერდით. ნაგელმა თავაზიანობისთვის მადლობა გადაუხადა, ჩაცმულობა უქო და აღტაცებული დარჩა ძველებური გულსაბნევით, რომლითაც ქალს გულამოჭრილი კაბის საკინძე დაემცნია. ძალიან თვალწარმტაცი იყო. ნიღაბივით უძრავ სახეზე ნერვი არ შეუთრთოლდებოდა. საუბრისას საოცრად ფლობდა თავს და მის გვერდით გულდაჯერებისა და სიმშვიდის გრძნობა იპყრობდა კაცს. ნამდვილი მაღალი წრის ბანოვანი იყო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

როცა ფრეკენ ანდერსენი წამოდგა, ნაგელმა უთხრა:

— ამ საღამოს აქ ერთი მანდილოსანი უნდა მოსულიყო, რომლის მიმართაც მინდა ცოტაოდენი ყურადღება მაინც გამოვიჩინო. ფრეკენ გუდეზე მოგახსენებთ, მარტა გუდეზე. არ ვიცი, იცნობთ თუ არა. მგონი უკვე მოვიდა. ვერ აგიწერთ, როგორ მინდა, რითიმე გავახარო. იგი ისე ეულად ცხოვრობს. მაიცამ ცოტა რამ მიამბო მასზე. როგორ გგონიათ, ფრეკენ, ურიგო ხომ არ იქნებოდა, აქ, ჩვენს მაგიდასთან მოგვეწვია; რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ თქვენ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ.

— რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ! — მიუგო ფრეკენ ანდერსენმა. — სიამოვნებით გეახლებით თავად და მოვიყვან, მე ვიცი სადაცაა.

— მაგრამ, ვიმედოვნებ, თქვენც დაბრუნდებით?

— დიახ, გმადლობთ.

სანამ ნაგელი იჯდა და იცდიდა, ბუფეტში რწმუნებული რეინერტი, ადიუნქტი და დაგნი შემოვიდნენ. ნაგელი წამოდგა და თავი დაუკრა. მიუხედავად სიცხისა, დაგნიც გაფითრებულიყო. მოკლესახელოიანი სპილოსძვლისფერი კაბა ეცვა. ყელზე მსხვილი, მეტისმეტად მსხვილი ოქროს ძეწკვი შეება და ძალზე არ უხდებოდა. დაგნი ერთ წუთს კართან შეჩერდა, ცალი ხელი ზურგს უკან ეჭირა და ნაწნავის ბოლოს აწვალებდა.

ნაგელი მიეახლა. სიტყვაძუნწად, მაგრამ გულფიცხად შესთხოვდა, მიეტევებინა, რაც პარასკევს მოხდა. აღარასოდეს, აღარასოდეს მისცემს განრისხების საბაბს და ქალს ამის მეტად არაფრის პატიება აღარ მოუწევს. ხმადაბლა ელაპარაკებოდა და ზუსტად ის უთხრა, რისი თქმაც საჭირო იყო.

დაგნიმ მოუსმინა, შეხედა კიდეც, ხოლო როცა ნაგელი გაჩუმდა, მიუგო:

— ხეირიანად არც კი მესმის, რაზე მელაპარაკებით, მე ყველაფერი დამავიწყდა, მინდა დავივიწყო.

გულგრილად შეავლო თვალი და წავიდა.

დარბაზიდან გამოჭრილ გრუხუნს სასულე ორკესტრისას, რომელიც განსაკუთრებით ცუდად უკრავდა, ხალხის ჟრიამული, ფინჯნებისა და ჭიქების წკრიალი, ბოთლებიდან ამომხტარ საცობთა ტკაცუნი, ყვირილი და ხარხარი ერთვოდა ზედ.

ფრეკენ ანდერსენი და მარტა, როგორც იყო, გამოჩნდნენ, მაიცაც თან ახლდათ. ყველანი ნაგელის მაგიდას შემოუსხდნენ და თხუთმეტიოდე წუთი გაატარეს ერთად. დროდადრო ვილაც ყავას მოითხოვდა ხოლმე და ფრეკენ ანდერსენიც იძულებული იყო, ამდგარიყო და მიერთმია. ბოლოს და ბოლოს იმდენი საქმე გამოუჩნდა, ნაგელის მაგიდასთან აღარც მიბრუნებულა.

ამასობაში კონცერტიც დაიწყო: ვოკალურმა კვარტეტმა რამდენიმე სიმღერა შეასრულა, სტუდენტმა ეიენმა ხმამაღლა წაიკითხა საკუთარი ლექსი, ორმა მანდილოსანმა ოთხი ხელით დაუკრა ფორტეპიანოზე, ხოლო ორღანისტი პირველად მოევლინა საზოგადოებას მევიოლინედ. დაგნი კვლავ თავის მეინახეებთან იჯდა. მაიცას ვილაცამ უხმო და ფინჯნებისა და ჭიქების მოსატანად გაგზავნა, თან დაავალეს, რაც შეიძლება ბევრი ბუტერბროდი დაუკვეთეო — ამდენ ხალხს აღარაფერი ჰყოფნიდა. როცა მარტა პირისპირ დარჩა ნაგელთან, წამოდგა და წასვლა დააპირა, აბა, მარტო ხომ არ იჯდება ნაგელთან ერთად, რწმუნებულმა ისედაც რაღაც თქვა მათზე და ფრეკენ ჰელანი გააცინა. არა, ღმერთმანი, უმჯობესია წავიდეს.

ნაგელმა მაინც დაიყოლია ერთი ყლუპი ღვინო კიდევ შეესვათ ერთად. მარტა შავად იყო მოსილი. ახალი კაბა მოხდენილად შემოკვალთოდა ტანზე, მაგრამ არ უხდებოდა. შავი აბერებდა ქალს, ახშობდა მისი სახის თავისებურებას და მეტისმეტად თვალშისაცემად ხდიდა ჭაღარას. მხოლოდ თვალები უკიაფებდა და მღელვარებისგან ლოყაატკეცილს, სიცილის დროს თვალწარმტაცად უყმაწვილდებოდა სახე.

— აბა, ხომ მხიარულ გუნებაზე ხართ? — ჰკითხა ნაგელმა. — მოგწონთ აქაურობა?

—დიახ, გმადლობთ, — მიუგო ქალმა, — ძალიან მომწონს.

ნაგელი მარტასართობდა, ესაუბრებოდა, ცდილობდა შეეთვისებინა. ქალმა ბევრი იცინა ნაგელის მონაყოლზე, რომელიც მან იქვე, სახელდახელოდ შეთხზა, თუ როგორ იშოვა თავისი კოლექციის ერთ-ერთი უიშვიათესი ნივთი — ძროხის ზანზალაკი. ნამდვილი განძია, ფასდაუდებელი საუნჯეა! ძროხის სახელიც კი იყო ზედ ამოტვიფრული. იმ ძროხას ეისტეინი ერქვა და თუ სახელს დავუჯერებთ, ხარი უნდა ყოფილიყო.

მარტამ კისკისი მორთო. სულ გადაავიწყდა სად იჯდა, ბავშვივით ირწეოდა სკამზე და უდარდელად, გულიანად იცინოდა ამ უმარილო ოხუნჯობაზე. სიხარულისგან პირდაპირ ნათელი გადასდიოდა სახეზე.

— იცით, მგონი მაიცა თქვენზე ეჭვიანობს, — უთხრა ნაგელმა.

— არა, — ყოყმანით შეეპასუხა ქალი.

— მე კი ასე მომეჩვენა. თუმცა, მართლა ძალიან მსიამოვნებს თქვენთან ერთად ყოფნა. თქვენი სიცილი გულს მიხარებს.

ქალმა არაფერი მიუგო და თვალები დახარა. საუბარი განაგრძეს. ნაგელი შემობრუნდა, რომ დაგნის მაგიდა თვალთახედვიდან არ გაეშვა.

გავიდა რამდენიმე წუთი. ფრეკენ ანდერსენი მობრუნდა, ორიოდე სიტყვით გაესაუბრათ, თავისი ჭიქიდან ერთი ყლუპი ღვინო მოსვა და ისევ გაიქცა.

უეცრად დაგნი სკამიდან წამოდგა და ნაგელის მაგიდასთან მივიდა.

— რა მხიარულ გუნებაზე ხართ, — უთხრა მან და ხმა შეუკრთა. — საღამო მშვიდობისა, მარტა. რაზე იცინოდით ასე გულიანად?

— ვერთობით, როგორც შეგვიძლია, — მიუგო ნაგელმა, — ვლაყბობ, რაც ენაზე მომადგება, ფრეკენ გუდე კი იმდენად გულკეთილად მეპყრობა, სიცილსაც არ მამადლის... ერთ ჭიქა ღვინოს ხომ არ მიირთმევდით ჩვენთან ერთად?

დაგნი დაჯდა.

დარბაზიდან ტაშის ხმა გამოვარდა. მარტამ დრო იხელთა და წამოდგა, აქაოდა, მინდა ვნახო, რა ხდებაო. ნელ-ნელა შორდებოდა მათ, ბოლოს კართან შემობრუნდა და გადმოსძახა: „თვალთმაქცი გამოდის. ამას კი ვერ გამოვტოვებ!" და გაქრა.

დუმილია.

— თანამეინახენი მიატოვეთ, — უთხრა ნაგელმა და სურდა განეგრძო, მაგრამ დაგნიმ შეაწყვეტინა:

— თქვენ კი თქვენმა მანდილოსანმა მიგატოვათ.

— დიახ, მაგრამ დაბრუნდება. რა მომხიბლავია დღეს ფრეკენ გუდე. არა? მართლაც, ბავშვივით ვერთობა ამ საღამოს, ხომ მართალია?

დაგნის პასუხი არ გაუცია, მხოლოდ ჰკითხა:

— წასული იყავით?

— დიახ.

დუმილია.

— მართლა ასე გეხალისებათ აქ ყოფნა?

— მე? ხეირიანად არც კი მესმის, რა ხდება ირგვლივ. სამხიარულოდ არ მოვსულვარ.

— მაშ, რისთვის მოხვედით?

— რა თქმა უნდა, მხოლოდ იმისთვის, რომ თვალი შემევლო თქვენთვის — შორიდან. გამოსაუბრების იმედიც კი არა მქონდა...

— აჰა! და მაგის გულისთვის მოიყოლიეთ თან მანდილოსანი?

ნაგელმა ნართაული ვერ გაიგო, შეხედა და დაფიქრებულმა მიუგო:

— თქვენ რა, ფრეკენ გუდეს გულისხმობთ? ღმერთმანი, არ ვიცი, რა გიპასუხოთ. იმდენი მიამბეს მასზე. ყოველთვის მარტოდმარტო ზის სახლში, მარტოა წლიდან წლამდე, მთელ სიცოცხლეს უსიხარულოდ ატარებს. მე არ მომიყვანია, უბრალოდ მინდოდა, ცოტათი გამერთო აქ, რომ მოწყენილი არ ყოფილიყო. სულ ეს არის. ფრეკენ ანდერსენმა მოძებნა და ჩემს მაგიდასთან მოიყვანა. ღმერთო, რა მწარეა მისი ხვედრი! ტყუილად კი არ გათეთრებია...

— ხომ არ გგონიათ... იქნებ, მართლა წარმოიდგინეთ, რომ ვეჭვიანობ? ნუთუ მართლა? თუ ასეა, სასტიკად ცდებით! მშვენივრად მახსოვს თქვენი მონაყოლი იმ ჭკუამცდარზე, რომელიც მარტო სეირნობდა ოცდაოთხი ეტლით. იმ კაცს, როგორც თქვენა თქვით, ენა ე-ებმოდა და ერთ ქალიშვილზე, მავან კლარაზე იყო შეყვარებული. დიახ, საკმაოდ დაწვრილებით მახსოვს. მაშ ასე, კლარას იმ ენაბლუს სახელის გაგონებაც კი [illegible], მაგრამ არც ის მოისურვა, რომ მისი კუზიანი და შეერთო ცოლად. ღმერთმანი, არ ვიცი, რატომ მომიყევით ეგ ამბავი, ალბათ, თავად უკეთ მოგეხსენებათ, მე კი, აბა, რაში მენაღვლება, მაგრამ, იცოდეთ, მაინც ვერ მაეჭვიანებთ. თუ ამ საღამოს მაგასა ცდილობთ, ტყუილად დაშვრით — ვერ ეღირსებით, ვერც თქვენ, ვერც ეგ თქვენი ენაბლუ!

— ღმერთო ჩემო, — წამოიძახა ნაგელმა, — არა მჯერა, რომ მაგას სერიოზულად ამბობთ.

დუმილია.

— სულ ტყუილად, სრულიად სერიოზულად გეუბნებით, — მიუგო დაგნიმ.

— მაშ, მართლა გგონიათ, რომ მდომოდა გეეჭვიანათ, ასე მოვიქცეოდი? ორმოცი წლის ქალს მოვისვამდი გვერდით და თქვენი გამოჩენისთანავე არხეინად გავუშვებდი... არა, ეტყობა, სულელი გგონივართ.

— აღარც ვიცი... რა მეგონოთ. ერთი კი ვიცი, რაღაცნაირად მოახერხეთ. დამიახლოვდით და ჩემს სიცოცხლეში ყველაზე მძიმე წუთები განმაცდევინეთ. თავად აღარაფერი გამეგება ჩემი თავისა. არ ვიცი, ჭკვიანი ხართ თუ ჭკუაზე შცდარი, არც ვაპირებ მაგის გარკვევას. რაში მენაღვლება?!

— რა თქმა უნდა, — დაუდასტურა ნაგელმა.

— ან რატომ უნდა მენაღვლებოდეს? — განაგრძო მისი მორჩილებით გაალმასებულმა დაგნიმ. — ღმერთო ჩემო, რა მესაქმება? თქვენ მე უგვანად მომექეცით და ამის მერე ისევ მე უნდა მენაღვლებოდეთ! მიუხედავად ამისა, რაღაც უცნაურ, ნართაულებით სავსე ამბავს მიყვებით? დიახ, დარწმუნებული ვარ, განგებ მომიყევით იმ კლარასა და მის კუზიან დაზე, სწორედაც, განგებ! რატომ არ მანებებთ თავს? ამ საღამოზე არ გეუბნებით, დღეს თვითონ მოვედი თქვენთან, საერთოდ რატომ არ მასვენებთ-მეთქი, აი, იმასაც, ახლა თქვენს მაგიდასთან რომ შევრჩი და ორიოდე სიტყვა გითხარით, რა თქმა უნდა, თქვენებურად ახსნით: თითქოს თავს ვერ მოვერიე, თითქოს ჩემთვის ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს...

— ძვირფასო ფრეკენ, თქვენ ცდებით, მე არაფრის იმედი არ მაქვს.

— იმედი არ გაქვთ? აბა, რა ვიცი, რომ მართალს ამბობთ? არა, სულაც არა ვარ დარწმუნებული. მე თქვენ მაეჭვებთ, არ გენდობით, მზად ვარ ყველაფერი დაგწამოთ, შეიძლება უსამართლოდ გეპყრობით, მაგრამ დაე, ერთხელ მეც გატკინოთ გული. ისე გავწამდი თქვენი ქარაგმებით, ჩაცივებით...

ნაგელი დუმდა და ჭიქას მძიმედ ატრიალებდა ხელში. როცა ქალმა უთხრა, შენი არაფერი მჯერაო, მიუგო:

— მე ეს დავიმსახურე.

— დიახ, — გაიმეორა დაგნიმ. — თქვენი არაფერი მჯერა. მაგ მხარ-ბეჭმაც კი დამაეჭვა. ეჭვი მეპარებოდა, ეგ თქვენი ფართო მხარ-ბეჭი თერძის ნახელავი უნდა ყოფილიყო. არ დაგიმალავთ და გეტყვით, ახლახან გასახდელ-

ში თქვენს პალტოს ვსინჯავდი; მინდოდა გამეგო, მხრები ხომ არ ჰქონდა დაბამბული. მართალია, ამჯერად ტყუილად შემეპარა ეჭვი — პალტოს მხრები დაბამბული არა აქვს — მაგრამ, მაინც არაფერში გენდობით და რა ვქნა, რომ ვერაფერი გამიწყვია. დარწმუნებული ვარ, არაფერს მოგერიდებოდით, ოღონდ რამდენიმე გოჯით იმაზე მაღალი გამოჩენილიყავით, ვიდრე ხართ; სიმაღლით კი, მოგეხსენებათ, ვერ დაიკვეხნით. ეჭვიც არ მეპარება, რომ შეიძლებოდეს, ყველა ღონეს იხმარდით ამის მისაღწევად. ღმერთო, ან როგორ უნდა გენდოთ? მაინც ვინ ხართ, მითხარით? რისთვის ჩამოხვედით ჩვენს ქალაქში? თანაც სხვისი გვარით ცხოვრობთ. თქვენ ხომ სიმონსენი ხართ, მხოლოდ და მხოლოდ სიმონსენი. სასტუმროში მითხრეს ეს ამბავი. თურმე ვილაც მანდილოსანი გწვევიათ, ეტყობა, თქვენი ახლობელი იყო და სანამ გაფრთხილებას მოასწრებდით, სიმონსენი გიწოდათ. ღმერთო ჩემო, რა სასაცილო და თან რა საზიზღრობაა ყველაფერი! ქალაქში ლაპარაკობენ, პატარა ბიჭებს თავის შესაქცევად სიგარებს ურიგებს და აწევინებსო, ამბობენ, რომ ქუჩაში აყალმაყალს აყალმაყალზე სტეხთ, რომ ბაზარში ვილაც მოახლეს აედევნეთ, დიახ, ყველას თვალწინ აედევნეთ. აი, ამის შემდეგ თქვენ კიდევ ბედავთ და არ მასვენებთ, კვალდაკვალ დამდევთ... ყველაზე მეტად სწორედ ის მტანჯავს, რომ გაბედეთ და...

დაგნი გაჩუმდა. მღელვარებისგან ტუჩები ჯერაც უთრთოდა. გაცხარებული ლაპარაკობდა და, ეჭვი არ არის, გულწრფელი იყო — იმას ამბობდა, რასაც ფიქრობდა და კაცს არ ინდობდა. ნაგელი ერთხანს ჩუმად იყო, მერე კი უთხრა:

— მართალი ხართ, ბევრი ტანჯვა მოგაყენეთ... რა თქმა უნდა, კაცს რომ მთელი თვე დღენიადაგ უთვალთვალებ, როცა ყოველ მის ნაბიჯსა და სიტყვას უკირკიტებ, ნაკლის შემჩნევა და მერე მისი ხელზე დახვევა ძნელი არაა. მაგრამ ამ დროს სულ იოლად შეიძლება შეცდე კიდეც. თუმცა, მთავარი ეს არ არის, გეთანხმებით. ქალაქი პატარაა, ყველას თვალში ვხვდები, ათასი თვალი მიმზერს და ყოველ ჩემს ნაბიჯს განსჯის, ამას ვერსად გავექცევი, არც მე ვარ ისეთი, როგორიც უნდა ვიყო.

— ღმერთო ჩემო, — წამოიძახა დაგნიმ, — რა თქმა უნდა, ქალაქი რომ პატარაა და სწორედ ამიტომ იპყრობთ ყველას ყურადღებას, ამას რა ლაპარაკი უნდა. დიდ ქალაქში თქვენს გარდა ბევრი სხვაც იქნებოდა საყურადღებო.

თავდაპირველად ასეთმა სალმა და სუსხიანმა შეხურებამ ნაგელი გულწრფელად აღაფრთოვანა. თქმაც დააპირა, მაგრამ დროზე მოეგო გონს — ქალი მეტისმეტად აღგზნებული, მეტისმეტად მტრულად იყო განწყობილი. გარდა ამისა, იგი აშკარად ღირსეულად ვერ აფასებდა ნაგელს და ამან თავმოყვარეობა შეულახა — მაინც ვინ ჰგონია? სრულიად ორდინარული ადამიანი, რომელიც შემთხვევით ჩამოვიდა მათ ქალაქში და მარტო იმიტომ იპყრობს ყურადღებას, რომ უცხოა და ყვითელი კოსტიუმი აცვია? — და გულნატკენმა მიუგო:

— ის კი არ უთქვამთ, რომ მინა მეეკის საფლავის ქვაზე უხამსი ლექსი წავაწერე? იქნებ, ესეც დაინახა ვინმემ? თანაც მართალი იქნებოდა, ცამდე მართალი. ისიც მართალია, რომ თქვენს აფთიაქში, დიახ, თქვენი ქალაქის აფთიაქში სამარცხვინო სენის წამალს ვკითხულობდი და ამ სენის სახელი

ქაღალდზე დავწერე, მაგრამ რეცეპტი არ მქონდა და წამალი არ მომცეს. კიდევ რა? სანამ არ დამვიწყებია, ბარემ ამასაც გკითხავთ: განა მინუტას არ უთქვამს თქვენთვის, რომ ერთხელ ორასი კრონით ვაცდუნებდი, ოღონდ ჩემი შვილის მამად გაესაღებინა თავი? ესეც წმინდა წყლის სიმართლეა, მაიცა დამიდასტურებს... სხვა რამეც შემიძლია გაცნობოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ნუ შესწუხდებით, საკმარისია, — გამომწვევად შეაწყვეტინა დაგნიმ, სუსხიანად ახედ-დახედა და მოაგონა ყალბი ტელეგრამები, არარსებული მემკვიდრეობა, ვიოლინოს ბუდე, სულ თან რომ დაათრევს, თუმცა შიგ საკრავი არ უდევს და არც დაკვრა იცის. თუ რამ ცუდი იცოდა მასზე, ყველაფერი წვრილად ჩამოუთვალა. არც ის დავიწყნია, ნაგელმა რომ უთხრა, მედალი უღირსი გზითა მაქვს ნაშოვნიო. ყველაფერი ახსოვდა და დაუნდობლად ახლიდა პირში. ყოველმა წვრილმანმა მისთვის უცბად განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და ნაგელს აგრძნობინა, თუ წინათ მეგონა, საკუთარ თავს ცილსა სწამებდით, ახლა ყველა თქვენი ცუდი საქციელის და ქვენა გრძნობების მართლა მჯერაო. — ჰოდა, მიუხედავად ამისა, მაინც ცდილობთ მახეში გამაბათ, მოსვენება დამიკარგოთ, ღმერთმა უწყის, რა აღარ ჩამადენინოთ. უსირცხვილო და უნამუსო ხართ, არც თქვენ თავს ინდობთ და არც მე და მხოლოდ ერთ რამეს აკეთებთ, გამუდმებით იხდით ბოდიშს...

დაგნის ექიმმა სტენერსენმა შეაწყვეტინა სიტყვა; ფრიად შეურვებულმა — იგი საქველმოქმედო ბაზრის ერთ-ერთი მოთავეთაგანი იყო და მთელი სულით და გულით ასრულებდა თავის მოვალეობას — ერთი წუთით შემოირბინა და ისევ სადღაც გაქრა.

— საღამო მშვიდობისა, ბატონო ნაგელ, — გადმოსძახა ექიმმა, — გუშინდელი საღამოსთვის მადლობას გწირავთ, წარმოუდგენელი რამ იყო!.. თქვენ კი მოემზადეთ, ფრეკენ ჰელან, მალე ცოცხალი სურათები დაიწყება.

და ექიმი გაქრა.

დარბაზში ისევ გაისმა მუსიკა და ხალხიც ახმაურდა. დაგნიმ წამოიწია და დარბაზში გაიხედა, მერე ნაგელს მიუბრუნდა და უთხრა:

— მარტა ბრუნდება.

დუმილია.

— არ გესმით, რა გითხარით?

— მესმის, — უგულისყუროდ მიუგო ნაგელმა. თავჩაქინდრული იჯდა და ისევ ლვინიან ჭიქას ატრიალებდა ხელში, თუმცა ზედ ტუჩი არ დაუკარებია; სულ უფრო და უფრო დაბლა ხრიდა თავს.

— ჩუ... — დაცინვით უთხრა დაგნიმ. — გესმით მუსიკა? ხომ მართალია, როცა ასეთ მუსიკას უსმენ, გინდა შორს, ვთქვათ, მეზობელ ოთახში იჯდე და ხელში სატრფოს ხელი გეჭიროს — განა ასე არ მითხარით ერთხელ? მგონი, ისევ ლანერის ვალსს უკრავენ და ახლა, როცა მარტა მოვა...

მაგრამ, ეტყობა, უცბად ინანა მწარე სიტყვები, გაჩუმდა, თვალებში სითბო ჩაუდგა და ნერვიულად გადააწვა სკამის ზურგს. ნაგელი კვლავ თავჩაქინდრული იჯდა. დაგნი ხედავდა, როგორ ძალუმად ებერებოდა მკერდი. ქალი ადგა, ჭიქა აიღო და სანამ წავიდოდა, მოუნდა გამოსათხოვრად ორიოდე თბილი სიტყვა ეთქვა, რომ ოდნავ მაინც გაექარწყლებინა უსიამოვნო შთაბეჭდილება; დაიწყო კიდეც:

— აბა, ახლა კი დროო...

ნაგელმა მზერა სტყორცნა, ერთბაშად წამოდგა და ჭიქა ასწია. უხმოდ დალიეს. ჩანდა, რა ძალ-ღონის დატანებით ახერხებდა, როგორმე ხელების ცახცახი შეეკავებინა, რა ძვირად უჯდებოდა მშვიდი იერის შენარჩუნება. და აი, კაცი, რომელსაც ქალი სულ ახლახან აბუჩად იგდებდა, რომელიც განადგურებული და გასრესილი იდგა მის წინ, უეცრად სუსხიანი თავაზიანობით მიმართავს:

— ჰო, მართლა, ფრეკენ, იქნებ სიკეთე გამოგეჩინათ... მე, ალბათ, ამის მეტად ველარ გიხილავთ... ჰოდა აი, იქნებ, კეთილ ინებოთ და როცა მოახერხებთ, თქვენს საქმროს გაახსენოთ, იგი ორი წლის უკან მაიცას ორ თბილ პერანგს შეპირდა, მაგრამ მერე, ეტყობა, გადაავიწყდა. მომიტევეთ, სხვის საქმეში რომ ვერევი, მაგრამ ამას მხოლოდ და მხოლოდ მაიცას გულისთვის ჩავდივარ. იმედი მაქვს, თავხედობას მაპატიებთ. გადაეცით, რომ ორ შალის პერანგზეა ლაპარაკი, ეჭვი არ მეპარება, უმალ გაიხსენებს.

დაგნი თავლაფდასხმულივით იდგა, გაოგნებულს, საპასუხოდ სიტყვა ვერ ეპოვა და მაგიდაზე ჭიქის დადგმაც კი დავიწყებოდა. სულ ერთ წუთს იდგა ასე გაქვავებული. აგერ, უკვე დაეუფლა თავს, გააფთრებული, რისხვით სავსე მზერა სტყორცნა ნაგელს, გამანადგურებელი პასუხი ეწერა თვალებში, მერე ზურგი აქცია და წავიდა. ჭიქა კართან მდგარ მაგიდაზე დადო.

ეტყობა, მთლად გადაავიწყდა, რომ რწმუნებული და ადიუნქტი ისევ ელოდნენ.

ნაგელი დაჯდა. კვლავ აუცახცახდა მხრები, კრუნჩხვით შემოიჭდო თავზე ხელი. განადგურებული იყო, მაგრამ მარტა რომ მივიდა, მადლიერმა ღიმილმა გაუსხივოსნა სახე და ქალს სკამი მიუმარჯვა.

— რა კეთილი ხართ, რა კეთილი ხართ! — შესძახა მან. — დაჯექით, გეთაყვა, შევეცდები არ მოგაწყინოთ. თუ გინდათ, ურიცხვ ამბავს გიამბობთ. თქვენ ოღონდ გვერდით მომიჯექით და ნახავთ, როგორ ვიმხიარულებთ. ძალიანა გთხოვთ, აბა, ძვირფასო! მოისურვებთ თუ არა, მაშინვე წახვალთ, ოღონდ, ნებას ხომ მომცემთ, გაგაცინოთ? არასოდეს გატკენთ გულს, არასოდეს! ღვინოს არ დალევთ, თუნდაც სულ ცოტას? რამე ძალიან სასაცილო ამბავს გიამბობთ და თქვენ ისევ იცინებთ. ისე გამიხარდა, რომ მობრუნდით, ღმერთო, როგორ მიხარია, როცა იცინით. თქვენ ხომ ყოველთვის სერიოზული ხართ. ეტყობა, დიდი ვერაფერი მხიარულება იყო დარბაზში. იქ ისეთი აუტანელი სიცხე დგას, უმჯობესია ცოტა ხანს აქ ვისხდეთ. გთხოვთ, დაბრძანდით!

მარტა ყოყმანობდა, მაგრამ ბოლოს მაინც დაჯდა.

და აი, ნაგელი ლაპარაკს იწყებს. სეტყვასავით ისვრის ანეგდოტებს, ნაირნაირ სასაცილო ამბავს, ყბედობს, რაც მოხვდება და როგორც მოხვდება, ენას არ აჩერებს, ყვება ხურვებაშეყრილივით, რაღაც მიძალებითაც კი, ეშინია, თუ გავჩერდი, ქალი ადგება და წავაო. წითლდება, ფითრდება, დაძაბულობისგან ოფლს ასხამს და აზრის მოსაკრებად უსუსურად იჭერს თავზე ხელს. მარტას კი ჰგონია, ნაგელი განგებ ოინბაზობს და გულუბრყვილოდ კისკისებს. ქალი ხალისდება, გაციებული გული უთბება და თანდათან ისიც ებმება საუბარში. რა სათნო და მიამიტია! ნაგელმა რომ უთხრა, ამქვეყნად სიცოცხლე ძალიან უბადრუკიაო, მიუგო: „სიცოცხლეს გაუმარჯოს"! და ეს იმ ქალმა თქვა, რომელიც კვერცხებსა ჰყიდდა ბაზარში და წლიდან-წლამდე ხმელა პურით გაჰქონდა თავი!... არა, სიცოცხლე არც თუ ისე ურიგოა, ხანდახან კი სულაც ჩინებულია!

სიცოცხლე ხანდახან სულაც ჩინებულიაო, თქვა მან!

— დიახ, მართალსა ბრძანებთ, — მიუგო ნაგელმა. — ახლა კი ცოცხალი სურათები ვნახოთ. მოდით, აქვე, კარში დავდგეთ და მაშინ, თუ მოისურვებთ, ისევ მაგიდას მივუსხდებით. ხედავთ მანდედან? თუ ვერ[illegible]

მარტამ გაიცინა და უარის ნიშნად თავი გაიქნია.

გამოვიდა თუ არა სცენაზე დაგნი, ნაგელის ხალისი უკვალოდ გაქრა. მზერა გაეყინა, მხოლოდ დაგნის ხედავდა, საითაც დაგნი გაიხედავდა. ნაგელიც იქით იყურებოდა, თვალითა ნთქავდა, მის სახის გამომეტყველებას აკვირდებოდა, ისიც კი შენიშნა, მკერდზე დამცნეული ვარდი რომ უთრთოდა. დაგნი ყველაზე უკან იდგა, მაგრამ, მიუხედავად გრიმისა და სხვა სამოსისა, მაინც ადვილად იცნობდით. შუა სცენაზე მჯდარი ფრეკენ ანდერსენი დედოფალს ასახიერებდა. წითელი ფარნებით განათებული მთელი პლასტიკური ჯგუფი, იქლიკანტური კოსტუმებისა და რეკვიზიტის გამომზეურება, საკმაოდ ძნელად ამოსაცნობი ალეგორია გახლდათ, რომლის შექმნაც ექიმ სტენერსენს დიდ ჯაფად დაუჯდა.

— რა ლამაზია! — შესძახა მარტამ.

— დიახ... რა არის ლამაზი? — ჰკითხა ნაგელმა.

— ცოცხალი სურათი... ვერ ხედავთ? საით იყურებით?

— მართლაც, ძალიან ლამაზია!

და ქალს რომ ეჭვი არ აელო, მხოლოდ ერთ წერტილს მიშტერებიაო, ნაგელმა წარმოდგენის მონაწილეებზე დაუწყო გამოკითხვა, მაგრამ მარტას პასუხს ყურს თითქმის არ უგდებდა. სცენას მანამ უცქერდნენ, სანამ წითელი შუქი არ ჩაქრა და ფარდა არ დაეშვა.

ხუთივე ცოცხალი სურათი ხანმოკლე შუალედებით ერთმანეთს მიჰყვა. თორმეტმა რომ ჩამორეკა, მარტა და ნაგელი ისევ დარბაზის კარში იდგნენ და უკანასკნელ სურათს უყურებდნენ. ბოლოს ფარდა დაეშვა, კვლავ გაისმა მუსიკა და ორივე თავიანთ მაგიდას მიუბრუნდა.

მარტას გულკეთილობამ სძლია და წასვლაზე კრინტი აღარ დაუძრავს. რამდენიმე ქალიშვილი წიგნაკით ხელში მაგიდებს შორის დადიოდა და ლატარიის ბილეთების ნომრებს იწერდა. ამ ბილეთებით თოჯინის, საქანელას, ჩაის პატარა მაგიდის და დასადგმელი საათის მოგებაც კი შეიძლებოდა. ყურთასმენა არ იყო, რადგან ხალხი ერთმანეთს აღარ ერიდებოდა და ყველა ხმამაღლა საუბრობდა. დარბაზში და მეზობელ ოთახებშიც ისეთი გნიასი იდგა, თავი ბირჟაზე გეგონებოდა. დღესასწაული მხოლოდ ღამის ორ საათზე მთავრდებოდა.

ფრეკენ ანდერსენი კვლავ ნაგელის მაგიდას მიუჯდა. ოჰ, იგი ისე დაიქანცა, ისე დაიქანცა! დიდი მადლობა, სიამოვნებით დალევს, ოღონდ, მხოლოდ ნახევრად შეავსეთ, გეთაყვა. დაგნისაც ხომ არ დავუძახოთ?

და დაგნის მოსაყვანად გაიქცა. მაიცაც მათ მოჰყვა.

შემდეგ კი აი რა ხდება.

მათ ახლო-მახლო ვილაცამ მაგიდა გადააყირავა და ჭიქებმა და ფინჯნებმა იატაკზე მოიღო ზრიალი. დაგნიმ შეჰკივლა და მარტას სტაცა ხელი. მართალია, უმალ გაიცინა და ბოდიში მოიხადა, მაგრამ ძლიერი ღელვისგან სახეზე წამოანათა. ძალიან იყო აღგზნებული, მკვახედ, მჭახე ხმით იცინოდა, თვალები კი არაბუნებრივად უბრწყინავდა. უკვე ჩაეცვა პალტო, წასვლას აპირებდა და მხოლოდ ადიუნქტსღა ელოდა, რომელსაც, ჩვეულებისამებრ, უნდა გაეცილებინა.

ადიუნქტი კი კვლავ რწმუნებულთან ერთად იჯდა. მთელი საღამო სკამიდან
არ დაძრულა და უკვე გვარიანად შებრუჟულიყო.

— ბატონი ნაგელი სიამოვნებით გაგაცილებს, — უთხრა ფრეკენ ანდერ-
სენმა.

დაგნიმ გადაიხარხარა. ფრეკენ ანდერსენმა გაოცებულმა ახედა.
— ოჰ, არა, — მიუგო დაგნიმ, — ბატონ ნაგელთან წასვლას ვეღარ გავ-
ბედავ. ძალზე უცნაური ფანტაზიები მოსდის თავში. ერთხელ, ოღონდ ჩვენს
შორის დარჩეს, პაემანის დანიშვნაც კი მთხოვა. ღმერთმანი! ხის ქვეშ, მითხ-
რა, დიდი ვერხვის ქვეშ, ამა და ამ ადგილასო. არა, ბატონი ნაგელი ჩემთვის
ფრიად სახიფათო კავალერია. წარმოგიდგენიათ, ამ საღამოს დაჟინებით მთხო-
ვდა რაღაც შალის პერანგებს, რომლებსაც ვითომ ჩემი საქმრო შეპირებია
გრეგორდს. თავად გრეგორდმა კი ამის შესახებ თურმე არაფერი იცის. ჰა-ჰა-ჰა,
აბა, ამაზე რას იტყვით?

იგი სიცილით წამოხტა, ადიუნქტთან მიირბინა და რაღაცა უთხრა. ეტყო-
ბა, სთხოვა, გამაცილეო.

მაიცა აღელდა. უნდოდა რაღაც ეთქვა, აეხსნა, მაგრამ ენა დაება და შეში-
ნებული შესცქეროდა ხან ერთს, ხან მეორეს. მარტაც კი გაოცებული და დათ-
რგუნვილი იჯდა. ნაგელმა ორიოდე სიტყვით ჩუმად გაამხნევა და ისევ შეავსო
ჭიქები. ფრეკენ ანდერსენი უმალ მოეგო გონს და საქველმოქმედო ბაზარზე
ჩამოაგდო სიტყვა: წარმოგიდგენიათ, ზღვა ხალხი მოაწყდა, ხარჯი კი არც თუ
ისე დიდი იყო...

— მითხარით, ვინ არის ის მანდილოსანი, ჩანგზე რომ უკრავდა? — ჰკი-
თხა ნაგელმა. — ბაირონისეული მზეთუნახავი, თმაში რომ ვერცხლის ზოლი
გასდევდა.

— სტუმრადაა ჩამოსული. ნუთუ ასე ლამაზია?
დიახ, ძალიან ულამაზება და იმ ბანოვანის ამბის გამოკითხვა დაიწყო, თუ-
მცა, ყველა ხედავდა, ფიქრით სულ სხვაგან დაჰქროდა. რაზე ფიქრობდა? რა-
ტომ გადაუსვა შუბლი უცბად მწარე ნაოჭმა? ჭიქას კვლავ ნება-ნება ატრია-
ლებდა ხელში.

დაგნი მობრუნდა და ფრეკენ ანდერსენის სკამს უკან დადგა. იგი ხელთათ-
მანს იკრავს და წრფელი, წკრიალა ხმით ამბობს:

— არა, მაინც რატომ მინიშნავდით პაემანს, ბატონო ნაგელ? რა გინდო-
დათ? იქნებ, ახლა გამაგებინოთ?

— დაგნი, გონს მოდი! — ჩურჩულებს ფრეკენ ანდერსენი და ფეხზე დგე-
ბა. მაიცაც დგება. ყველა ძალზე უხერხულად გრძნობს თავს. ნაგელი დაგნის
ახედავს, აღელვება მაინცდამაინც არ ეტყობა, მაგრამ ყველა ხედავს, რომ იგი
ჭიქას დგამს, ხელს ხელზე აჭდობს და მძიმედ ითქვამს სულს: რას იზამს, რას
ნიშნავს ეს წამიერი ღიმილი, სახეზე რომ გადაურბინა? ყველას გასაოცრად,
იგი მშვიდად პასუხობს დაგნის:

— მეკითხებით, პაემანს რატომ მინიშნავდითო? იქნებ, უმჯობესია, არ გი-
თხრათ, ფრეკენ ჰელან? ისედაც ბევრი უსიამოვნება მოგაყენეთ. ძალიან ვწუ-
ხვარ და, ღმერთმა ხომ იცის, რას არ გავიღებდი, ოღონდ ეს არ მომხდარიყო.
ხოლო პაემანზე რატომაც გთხოვდით მოსვლას, ეგ თავადაც მოგეხსენებათ: მე
არ დამიმალავს თქვენთვის. თუმცა, იქნებ, საჭიროც იყო. გთხოვთ, დიდსულო-
ვნება გამოიჩინოთ. მეტს ვერას გეტყვით.

ნაგელი გაჩუმდა. არც დაგნის გაუღია ხმა. ეტყობა, სულ სხვა პასუხს ელოდა. ამ დროს ადიუნქტიც გამოჩნდა. სწორედ დროზე მოვიდა, რომ მტანჯველი დუმილი დაერღვია. მაგრად იყო შექეიფიანებული და ფეხი ეშლებოდა.

დაგნიმ ადიუნქტს ხელი გამოსდო და ორივემ კარისკენ გასწიეს.

მათი წასვლის შემდეგ ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა და კვლავ გაიბა ხალისიანი საუბარი. მარტა უმიზეზოდ კისკისებდა, შიგადაშიგ [illegible] შემოჰკრავდა ხოლმე. ხანდახან მოეჩვენებოდა, ძალიან ბევრს ვიცინიო, გაჩუმდებოდა და ლოყაატკეცილი, ირგვლივ შეშფოთებულ თვალს მოავლებდა, ხომ არავინ მიყურებსო. ნაგელი აღტაცებული იყო იმ მომხიბლავი კრძალულობით, ქალს რომ დროდადრო ბოჭავდა. ოღონდ კი გაემხიარულებინა, თავგადაკლული ოინბაზობდა და კბილებში საცობგარჭობილმა, „ჩვენი ძველი ნოეც" კი იმღერა.

მათ სუფრას ფრუ სტენერსენიც შეუერთდა. განაცხადა, აქედან ფეხს არ მოვიცვლი, სანამ ყველაფერი არ დამთავრდებაო. პროგრამაში კიდევ ერთი ნომერი — ორი აკრობატის გამოსვლა იყო და ქალს აუცილებლად სურდა ენახა. დიახ, ყოველთვის ბოლომდე რჩება. ამისთანა გრძელ ღამეებში, როცა სახლში ბრუნდება და მარტო რჩება, სევდა შემოაწვება ხოლმე. იქნებ, ყველანი დარბაზში გასულიყვნენ აკრობატების საყურებლად?

მართლაც წამოიშალნენ და დარბაზში გავიდნენ.

გასასვლელში ვიღაც მაღალი წვეროსანი კაცი შემოეყრებათ, რომელსაც ხელში ბუდეში ჩადებული ვიოლინო უჭირავს. ეს ორღანისტია, თავისი ნომერი შეუსრულებია და ახლა შინ მიდის. წვეროსანი ჩერდება, ესალმება მათ და მაშინვე ვიოლინოზე იწყებს ლაპარაკს ნაგელთან. დიახ, მაიცა იყო მასთან ვიოლინოს თაობაზე — ყიდვა უნდოდა. სამწუხაროდ, გაყიდვა არასგზით არ ძალუძს. იგი მემკვიდრეობით ერგო და მისთვის ძალიან ძვირფასი და საყვარელია. თუ სურს, აჩვენებს, ეს ჩვეულებრივი ვიოლინო არაა... და ფრთხილად ხსნის ბუდეს.

და აი, ყველა ხედავს ალისფერ ქალაღაიაში გახვეულ კოპწია წაბლისფერ საკრავს, რომელსაც სიმებქვეშ ბამბა უფენია.

რა მშვენიერია, არა? აგერ ეს სამი იაგუნდის პაწია ასო კი გუსტავ ადოლფ ქრისტენსენს ნიშნავს. არა, ასეთი საკრავის გაყიდვა ნამდვილად ცოდვაა! აბა, უამისოდ როგორ გალიოს დღენი, როცა გულს სევდა შემოაწვება? მაგრამ თუ ნაგელს უნდა, ცოტა ხანს დაუკრას, ორიოდე აკორდი აიღოს, მაშინ სხვა საქმეა...

არა, დაკვრას არ აპირებს.

მაგრამ ორღანისტმა უკვე ამოიღო ბუდიდან საკრავი და სანამ აკრობატები ბოლო ვარჯიშს ასრულებდნენ, ხოლო ხალხი ტაშს უკრავდა, იგი სულ ამ იშვიათ ვიოლინოზე ლაპარაკობდა, რომელიც, აგერ უკვე მეოთხე თაობაა, მამიდან შვილზე გადადის.

— თავად ნახეთ, ბუმბულივით მსუბუქია, გამომართვით...

დიახ, ნაგელი ეთანხმება, — მართლაც, ბუმბულივით მსუბუქია. შეავლო თუ არა ხელი ვიოლინოს, მაშინვე აქეთ-იქით შეატრიალა და სიმებს შეეხო. მერე მცოდნე კაცივით განაცხადა: მიტელვალდერია. თუმცა, მიტელვალდერი რომ იყო; დიდი მიხვედრა არ უნდოდა, რადგან დეკის შიგნით ფირმის სახელწოდება მოჩანდა. მაშ, რაღად უნდოდა, მცოდნე კაცის სახე რომ მიიღო? როცა აკრობატებმა სცენა დატოვეს და ხალხმა ტაშის კვრა შეწყვიტა, ნაგელი უცბად წამოდგა, უჩუმრად, უხმოდ გაიწოდა ხელი ქამანისკენ და თუმცა იმავ წუთს

დარბაზში ხალხი შინ წასასვლელად წამოიშალა, ყურადღებას არ აქცევს ხმაურს და ყაყანს, და დაკვრას იწყებს. ქრიამული ნელ-ნელა ცხრება. დარბაზში სიჩუმე ისადგურებს. ამ ჯმუხმა, ჭუჭყიანი ყვითელ კოსტიუმში გამოწყობილმა ბეჭბრტყელმა კაცმა ყველა უზომოდ გააოცა. ან რას უკრავდა? რაღაც რომანსს, ბარკაროლას, რომელიღაც საცეკვაოს, ბრამსის უნგრულ საცეკვაოს, რაღაც ვენებიან პოპურის. მჭახე, ქინიანმა ხმებმა შეძრა დარბაზი. ნაგელმა მკერდზე გადახარა თავი, რაღაც იდუმალი იყო ამ კაცში, თანაც ისე მოულოდნელად, გამოუცხადებლად დაიწყო დაკვრა! შუა დარბაზში, ჩაბნელებულ ადგილას დადგა, ახლა კიდევ მისი უცნაური გარეგნობა და ფენომენალური ტექნიკა — ყველაფერმა ამან ხალხი გააოგნა, რაღაც ზღაპრულ არსებად მოაჩვენა იგი. ნაგელი რამდენიმე წუთს უკრავდა და ამ ხნის მანძილზე არავინ შერხეულა. ადგილიდან ფეხი არავის მოუცვლია. აგერ, აჟღერდა პათეტიური ნოტები, ველურმა, ლაგამაწყვეტილმა ხმებმა გამოგლიჯა სივრცე; ნაგელი თითქო გაქვავდაო, მხოლოდ ქამანი დაქროდა სიმებზე. მხოლოდ ნიკაპი სულ უფრო მძლავრად აკრავდა მხარს ვიოლინოს. ამ მოულოდნელი გამოსვლით მან თითქო ერთი დაკვრით მოინადირა გულგრილი ქალაქელები და მეზობელი სოფლებიდან ჩამოსული გლეხები. ვერ წარმოედგინათ, საერთოდ როგორ შეიძლებოდა, ასეთი რამ მომხდარიყო. ეჩვენებოდათ, თითქოს იმაზე უკეთ უკრავდა, ვიდრე სინამდვილეში და, თუმცა ნაგელი თავაწყვეტილი უკრავდა. ეგონათ, კაცის ყური ამაზე უკეთესს ვერაფერს მოისმენსო. უეცრად რამდენიმე დისონანსური აკორდი აიღო, ვიოლინომ დაიწივლა და ისე გულსაკლავად აკივლდა, რომ ყველა გაოცებული გაშეშდა. მერე სიმებმა ორ-სამჯერ კიდევ დაიწივლეს და ნაგელმა ერთბაშად შეწყვიტა დაკვრა. ვიოლინო დაეშვა და ყველაფერი გათავდა.

კარგა ხანი გავიდა, სანამ ხალხი გონს მოვიდოდა. დარბაზი ტაშმა შეაზანზარა. „ვაშა“, ყვიროდნენ, სკამებზე ხტებოდნენ და ისე გაჰყვიროდნენ :„ვაშა“. ორღანისტმა თაყვანისცემით გამოართვა ვიოლინო, მიესათუთა და რუდუნებით ჩადო ბუდეში. მერე ნაგელს ხელი ჩამოართვა და დიდხანს უხდიდა მადლობას. დარბაზში ხალხი თავდავიწყებით გაჰყვიროდა. მოირბინა აქოშინებულმა ექიმმა სტენერსენმა და შესძახა:

— ეშმაკმა დალახვროს, მეგობარო, აკი უკრავთ! უკრავთ და თანაც როგორ! — და ნაგელს მაგრად ჩამოართვა ხელი.

ფრეკენ ანდერსენი, რომელიც ნაგელის ახლოს იჯდა, გაკვირვებულად შეჰყურებდა.

— აკი ამბობდით, არ ვუკრავო?

— არც ვუკრავ, — მიუგო მან, — გულწრფელად მოგახსენებთ. აბა, ეს რა დაკვრაა. რომ იცოდეთ, რა დილეტანტურად ვუკრავდი; უბადრუკი მიბაძვა იყო, მეტი არაფერი. არა, ხომ ნამდვილივით ჟღერდა? ჰა-ჰა-ჰა, მიყვარს ხალხის გაცურება. აბა, სწორედ მოვერიდები!.. მაგიდასთან ხომ არ მიებრუნებულიყავით? გეთაყვათ, სთხოვეთ ფრეკენ გუდეს, ჩვენთან ერთად წამოვიდეს.

ყველანი ბუფეტისკენ გაემართნენ. ხალხი ჯერ ისევ ამ საიდუმლოებით მოცულ კაცზე ლაპარაკობდა, ყველა რომ ასე განაცვიფრა. რწმუნებული რეინერტიც კი მივიდა ნაგელთან და თავის დაკვრით უთხრა:

— ნება მომეცით, მადლობა გადაგიხადოთ. ამ რამდენიმე დღის წინ პატივი დამდეთ და ვახშმად მიმიწვიეთ, მაგრამ საქმე მქონდა და ვერ გეახელით. დიდად გმადლობთ ყურადღებისთვის.

— ასეთი შემზარავი აკორდებით რატომ დაამთავრეთ? — ჰკითხა ფრეკენ ანდერსენმა.

— აბა, რა ვიცი. ასე გამოვიდა, ეშმაკს კუდი მოვუძეწკე.

ექიმი სტენერსენი შეუერთდათ და ისევ ქათინაური უთხრა ნაგელს. ნაგელმაც კვლავ მიუგო, ეს სულ თაღლითობა და ზედაპირული მსმენელისთვის გამიზნული სიცრუე იყოო. რომ იცოდნენ, რა ცუდად დაუკრა — თითქმის არც ერთი ორმაგი ნოტი სუფთად არ ჟღერდა. ესმოდა, რომ შეცდომით უკრავდა, მაგრამ ვერაფერი გაახერხა. იმდენი ხანია აღარ დაუკრავს...

ნაგელის მაგიდას ხალხი სულ უფრო და უფრო ემატებოდა. უკანასკნელ წუთამდე ისხდნენ და მაშინღა წამოიშალნენ, როცა სანთლების ჩაქრობა დაიწყეს.

ნაგელმა მარტას თავი დაუკრა და წასჩურჩულა:

— ნება მომეცით, გაგაცილოთ. რაღაც უნდა გითხრათ.

დანახარჯი სახელდახელოდ გაისტუმრა, ფრეკენ ანდერსენს ღამე მშვიდობისა უსურვა და მარტას გაჰყვა. მარტას პალტო არ ეცვა, ხელში მხოლოდ დახეული ქოლგა ეჭირა და ცდილობდა შეუმჩნევლად წამოეღო. გარეთ რომ გამოვიდნენ, ნაგელმა შენიშნა, რა სევდიანი თვალი გამოაყოლა მაიცამ; სახე უჩვეულოდ გაფითრებოდა.

პირდაპირ მარტას პაწია სახლისკენ გასწიეს. ნაგელი გზაში სულ აქეთ-იქით იყურებოდა, და, როცა დარწმუნდა, ვერავინ გვხედავსო, უთხრა:

— ძალიან დაგიმადლებდით, თუ სულ ერთი წუთით შემიყვანთ სახლში.

მარტამ აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

— უკვე ძალიან გვიანია, — მიუგო მან.

— ხომ გახსოვთ, მე შეგპირდით, არასოდეს და არაფრით არ გატკენთ-მეთქი გულს — უნდა მოგელაპარაკოთ.

ქალმა კარი გააღო.

შინ რომ შევიდნენ, მარტამ სანთელი აანთო, ნაგელმა კი ამასობაში სარკმელზე კვლავ რაღაც ჩამოაფარა და მერე ჰკითხა:

— აბა, როგორ არის საქმე, კარგი დრო გაატარეთ?

— ოჰ, დიახ, გმადლობთ! — მიუგო ქალმა.

— მოხარული ვარ, მაგრამ სხვა რამ მინდა გითხრათ. აქ, ჩემთან ახლოს დაჯექით და ნუ შეშინდებით. პირობა მომეცით, რომ ჩემი არ შეგეშინდებათ, კარგით? დავკრათ ხელი?

ნაგელმა ხელი დაუჭირა და უთხრა:

— თქვენ მართლა არ ფიქრობთ, რომ გეცრუებით, გატყუებთ? არა? ჰო, მაშინ აი, რას გეტყვით... არა, მართლა არ გგონიათ, რომ მოგატყუებთ?

— მართლა არა მგონია.

— მაშინ ყველაფერს თანმიმდევრობით აგიხსნით... ოღონდ, გჯერათ ჩემი? იმის თქმა მინდა, სავსებით, ბოლომდე მენდობით თუ არა? რა სისულელეა? ნეტა რას ვროშავ... საქმე ისაა, თქმა მიჭირს... დამიჯერებთ, მაგალითად რომ გითხრათ, მომწონხართ-მეთქი? თუმცა, ეს, ალბათ, თავადაც შენიშნეთ. მაგრამ კიდევ უფრო მეტი რომ გითხრათ... ერთი სიტყვით, რომ გითხრათ, ჩემი ცოლი გახდით-მეთქი, დიახ, ცოლი: აი, უკვე ითქვა სათქმელი. სწორედ ცოლი და არა საცოლე... ღმერთო ჩემო, როგორ დაფეთდით! არა, არა, ხელს ნუ გამომტაცებთ, ყველაფერს თანმიმდევრობით აგიხსნით და უკეთ გაი-

გებთ, ოღონდ თავს ნუ დაირწმუნებთ, თითქოს მოგეყურათ. მე მართლა წრფელი გულით, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გთხოვთ ხელს და მერწმუნეთ, თქვენი შერთვა სრულიად სერიოზულად მაქვს განზრახული. ერთი წუთით დაიჯერეთ, რომ შეიძლება ასეთი რამ მოხდეს და, ნება მომეცით, განვაგრძო. მაშ ასე, რამდენი წლისა ხართ? თუმცა ეს კი არ მინდოდა მეკითხა — მე ოცდაცხრა წლისა ვარ, ქარაფშუტობა აღარ შემშვენის. თქვენ კი, ალბათ, ხუთი-ექვსი წლითა ხართ ჩემზე უფროსი. ამას არავითარი...

— მე თორმეტი წლით ვარ თქვენზე უფროსი, — მიუგო ქალმა.

— თორმეტი წლით! — შესძახა ნაგელმა. აღფრთოვანებული იყო, რომ ქალს მთლად არ აბნეოდა თავგზა და ყურს უგდებდა. — მაშ, თორმეტი წლით ყოფილხართ უფროსი. ამას რა სჯობია, მშვენიერია! ნუთუ ფიქრობთ, რაღაც თორმეტი წლის სხვაობამ შეიძლება გზა გადაგვიღობოს? რა სისულელეა, საყვარელო! რა მნიშვნელობა აქვს, თუნდაც სამგზის თორმეტი წლით იყოთ უფროსი, თუკი მიყვარხართ და თუკი ყოველი ჩემი სიტყვა წრფელია. დიდხანს ვფიქრობდი ამ ნაბიჯზე, უფრო სწორად, არც ისე დიდხანს, ყოველ შემთხვევაში, ორი-სამი დღე ვიფიქრე, არ გატყუებთ, გევედრებით, იწამეთ ღმერთი და დამიჯერეთ. ეს დღეები სულ ამაზე ვფიქრობდი, ღამეებს თეთრად ვათენებდი. თქვენ ისეთი საოცარი თვალები გაქვთ, გნახეთ თუ არა, უმალ მომნუსხეს. ასეთ თვალებს ქვეყნის დასალიერში გავყვები. საერთოდ თვალებს ამოუხსნელი ძალა აქვთ ჩემზე. ოდესღაც ერთმა ბერიკაცმა მზერით ისე დამიმორჩილა, ნახევარ ღამეს მახეტიალა ტყეში. შეშლილი იყო... ამას თავი გავანებოთ, გრძელი ამბავია. თქვენი თვალები ენით აუწერლად მოქმედებს ჩემზე... გახსოვთ, ერთხელ თქვენს სახლს გვერდით ჩავუარე და სარკმლიდან მიყურებდით... თავიც კი არ მოგიბრუნებიათ, მხოლოდ თვალი გამომაყოლეთ, მაგრამ არასოდეს დამავიწყდება. მერე კი, როცა შეგხვდით და გამოგელაპარაკეთ, გულის სიღრმემდე ჩამწვდა თქვენი ღიმილი. მგონი, არც ვიცი, ვინმე თქვენსავით გულითადად და წრფელად რომ იცინოდეს. თქვენ თვითონ, რა თქმა უნდა, ამას ვერ ხვდებით და ამიტომაც ხართ ასე აუწერლად მომხიბლავი... მგონი, ბევრს მივედ-მოვედები, მაგრამ ასე მგონია, თუ შეუსვენებლივ არ ვილაპარაკე, აღარ დამიჯერებთ და ეს მაქეზებს. თქვენ რომ ნემსებზე არ იჯდეთ, იმის თქმა მინდა, რომ არ ვგრძნობდე, ყოველ წამს მზად ხართ, წამოხტეთ და გაიქცეთ, გაცილებით მომეშვებოდა გულზე. გეხვეწებით, ნება მომეცით, ისევ ჩაგკიდოთ ხელი, მაშინ უფრო კარგად გაგაგებინებთ აი ასე, გმადლობთ. გაიგეთ, არავითარი ქვენა აზრი არ გამაჩნია, და რასაცა გთხოვთ, მხოლოდ იმას მიველტვი. მაინც ისეთი რა გითხარით, რომ ასე გაოცდით? ვერ წარმოგიდგენიათ, როგორ მომივიდა თავში ასეთი შლეგური აზრი? ვერ წარმოგიდგენიათ, რომ მე, მე თქვენი ცოლად შერთვა მსურს? დიახ, ვხედავ, დაუჯერებლად გეჩვენებათ. ახლა ამას ფიქრობდით, ხომ მართალია?

— დიახ, ღმერთო ჩემო, კმარა ამაზე ლაპარაკი, გთხოვთ!

— ნუთუ დავიმსახურე, რომ ჩემს გულწრფელობაში ეჭვი გეპარებათ...

— არა, — შესძახა მარტამ, — მაგრამ სულ ერთია. რასაც თქვენა მთხოვთ, შეუძლებელია.

— რატომ? სხვას აღუთქვით თავი?

— არა, არა!

— მართლა არა? იმიტომ რომ, თუ სხვას აღუთქვით თავი, მაგალითად, ამას

მხოლოდ იმიტომ ვამბობ, კონკრეტული ვინმე დავასახელო, ვთქვათ, მაიცას...

— არა! — შეჰყვირა მარტამ და ხელიც კი მოუჭირა.

— არა? ესე იგი, ამ მხრივ დაბრკოლება არ გვეღობება? [illegible] ნება მომეცით, განვაგრძო. გთხოვთ ნუ იფიქრებთ, თითქოს რამით [illegible] თქვენზე აღმატებული და ეს ხელს შეუშლის ჩვენს შეუღლებას. არ მინდა, რამე დაგიმალოთ. მთლად ისეთი არ ვარ, როგორიც საჭიროა ვიყო. თქვენი ყურით მოისმინეთ, რას ლაპარაკობდა დღეს ჩემზე ფრეკენ ჰელანი, ეგეც არ იყოს, ალბათ, თქვენს ყურამდეც მოაღწია ქალაქში დარხეულმა ჭორებმა — უგვანი კაციაო. იქნებ, ყველაფერი სიმართლე არ არის, რასაც ხალხი ჩემზე ლაპარაკობს, მაგრამ ერთში კი არა სცდებიან — მრავალი ნაკლი მაქვს, ისე რომ, თქვენი წმინდა სინდისითა და სათუთი, ბავშვური გულით გაცილებით მაღლა დგახართ ჩემზე და არა პირიქით. მაგრამ გეფიცებით, ყოველთვის კეთილად მოგეპყრობით. მერწმუნეთ, სულ არ გამიჭირდება პირობის დაცვა, იმიტომ რომ თქვენი ბედნიერი სახის დანახვა უზომო სიხარულს მანიჭებს... ჰო, აი, კიდევ რა — იქნებ, ხალხის მითქმა-მოთქმა გაშინებთ? მაგრამ, ჯერ ერთი, თუ გინდათ, აქაურ ეკლესიაში დავიწეროთ ჯვარი და ქალაქი სინამდვილეს ვერ გაექცევა; მეორეც, ხალხს ისედაც მიეცა ჭორაობის საბაბი. არა მგონია, გამოპარვოდათ, რომ უკვე არაერთხელ შევხვდით და ამ საღამოსაც ხომ ერთად ვიყავით საქველმოქმედო ბაზარზე. ასე რომ, რაც არის, იმაზე უარესი აღარ იქნება! ნუთუ კიდევ გენაღვლებათ, რას იტყვის ხალხი?.. ტირით? გიმძიმთ, საყვარელო, რომ ჩემი გულისთვის აქაური ჭორიკნების ყბაში ჩავარდით?

— არა, მაგიტომ არ ვტირი.

— მაშ, რატომ?

ქალმა პასუხი არ გასცა.

მაშინ ნაგელს კვლავ რაღაც აზრი ებადება და ეკითხება:

— იქნებ, იმას ფიქრობთ, რომ უღირსად გეპყრობით? მგონი, შამპანური ბევრი არ გისვამთ, ალბათ, ორი ჭიქაც არ დაგილევიათ. ნუთუ გგონიათ, განგებ დაგათვრეთ, რათა თანხმობა გამოგტყუოთ? ამიტომ ტირით?

— არა, არა, მაგიტომ სულაც არ ვტირი.

— მაშ, რატომღა?

— მეც არ ვიცი.

— ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს, იმას მაინც არ იფიქრებთ, თითქოს ხაფანგს გიგებდეთ. ღმერთია მოწამე, სრულიად წმინდა ვარ თქვენთან, მერწმუნეთ!

— მჯერა თქვენი, მაგრამ ვერ კი გამიგია, აღარც ჩემი თავისა მესმის არაფერი — რაღაც შეიცვალა ჩემს არსებაში. შეუძლებელია ეგ გინდოდეთ, შეუძლებელია...

დიახაც, უნდა! და, ვინ იცის, უკვე მერამდენედ, თავიდან უხსნის ყველაფერს, გვერდით უზის და ხელში მისი პატარა, ნაზი ხელი უჭირავს. წვიმა კი ასხამს და ასხამს სარკმელზე. ნაგელი ხმადაბლა ესაუბრება მარტას, ცდილობს ქალისთვის გასაგები ენით ილაპარაკოს, ხან, მართლაც, ბავშვივით იყოლიებს. ოჰ, რა კარგად იქნება ყველაფერი! ორივენი წავლენ, ღმერთმა უწყის, სად, მაგრამ ისე დაიმალებიან, ვერავინ მიაგნებს. ხომ ასე იქნება? მერე ტყეში, მშვენიერ ტყეში, ანდა სხვაგან სადმე, პატარა სახლსა და ერთ მტკაველ მიწას იყი-

დიან; ეს ერთი მტკაველი მიწა მათი საკუთრება იქნება, დაამუშავებენ და „ედემს“ დაარქმევენ. როგორ ნატრობს, რომ ასე მოხდეს! მაგრამ, ალბათ, ხანდახან მაინც შემოაწვება სევდა, ჰო, საყვარელო, შეიძლება ასეც მოხდეს; უცბად რაღაც დაემართება, რამე მწარე მოგონება უეცრად თავს გაახსენებს, ხომ ხდება ასე, მაგრამ მაშინ ქალი მოთმინებას მოიკრებს, ხომ მართალია? თავად არ აგრძნობინებს, რომ ცუდ გუნებაზეა, ამის პირობას აძლევს. თავისთვის ჩუმად მიჯდება და შეეცდება, გულშივე ჩაიკლას სევდა, ანდა ცოტა ხნით ტყეს შეაფარებს თავს და მერე დაბრუნდება; მაგრამ მათ სახლში ერთი მკვახე სიტყვაც კი არ ითქმება. ველური მცენარეებით, ხავსითა და ქვებით მორთავენ სახლს, იატაკზე კი ღვიის რტოებს დააგებენ; თვითონ მოზიდავს ტყიდან. შობა დღეს ყოველთვის გაუდგამენ ჩიტებს საკენკს. აბა, წარმოიდგინოს ერთი, მხოლოდ წარმოიდგინოს, რა შეუმჩნევლად გაირბენს დრო და რა ბედნიერები იქნებიან! ყოველთვის ერთად წავლენ, ერთადვე დაბრუნდებიან და ერთმანეთს არასოდეს დაშორდებიან. ზაფხულობით ტყეში შორს წავლენ ხოლმე სასეირნოდ, ნახავენ, წლითი-წლობით როგორ იზრდება ხეები და ბალახები. ახლა რამდენი სიკეთე შეუძლიათ დასდონ მგზავრს, რომელიც მათ სახლთან ჩაივლის! საქონელიც ეყოლებათ — ორი დიდი, მბზინავბეწვიანი ძროხა; ხელით აჭმევენ ხოლმე, ხოლო როცა ნაგელი ხვნა-თესვას მიჰყოფს ხელს, ქალი ძროხებს მიხედავს...

— ჰო, — გამოეხმაურა მარტა. ნაგელმა გულისხმად იღო უნებლიეთ წამოცდენილი „ჰო“ და ქალის დაყოლიება განაგრძო.

კვირაში ერთ-ორ დღეს არ იმუშავებენ. ერთად, ხელიხელჩაკიდებულნი წავლენ სანადიროდ ანდა სათევზაოდ. ქალს სარტყელიანი მოკლე კაბა ეცმევა, ნაგელს პერანგი და ბალთიანი ფეხსაცმელი. იმღერებენ, ისაუბრებენ, ერთმანეთს გადასძახებენ და ტყეში ექო აგუგუნდება. ხომ იქნებიან ასე, ხელიხელჩაკიდებულნი?

— ჰო, — კვლავ უთხრა მარტამ.

ნელ-ნელა გაიტაცა ქალი; ისე ცოცხლად უხატავდა მომავალი ცხოვრების სურათს, ისე კარგად მოეფიქრებინა ყველაფერი, ერთი წვრილმანიც არ გამორჩენია. ისიც გაითვალისწინა, ადგილი რომ აუცილებლად წყლიანი უნდა შეერჩიათ. თუმცა, ოღონდ ქალი მიენდოს და ამაზე თავად იზრუნებს, ყველაფერს თვითონ მოაგვარებს. ოჰ, იმდენი ღონე კი შესწევს, სამოსახლო ადგილი გაწმინდოს, თუნდაც უღრანი ტყე იყოს. ხელები ღონიერი აქვს, ხომ ხედავს, როგორი ტორები აქვს!.. და სიცილით დაიდო ხელის გულზე ქალის ნაზი, ბავშვური ხელი. მარტა სავსებით დაჰყვა მის ნებას და ახლა ნაგელს შეეძლო ყველაფერზე დაეყოლიებინა. ლოყაზე რომ მიეფერა, ქალი არ განძრეულა, მხოლოდ შეხედა. მერე ყურში ჩასჩურჩულა, ხომ გადაწყვიტე, ხომ თანახმა ხარო, ჰკითხა და ქალმაც ჰოო, მიუგო. ფიქრიანი, ოცნებაში გახვეული „ჰო“ წაიჩურჩულა ძლივს გასაგონად. მაგრამ მალე ისევ ეჭვმა დარია ხელი: არა, რიგიან-პირიანად თუ მოიფიქრებ ყველაფერს, ეს შეუძლებელია. როგორ შეიძლება ნაგელს მართლა ასე უნდოდეს! აბა, სად ის და სად თვითონ!

ნაგელი კვლავ შეუდგა მის დარწმუნებას, უთხრა, რომ უნდა, უნდა მთელი სულით და გულით. ნურაფრის შიში ნუ ექნება, ქალს არაფერი მოაკლდება, პირველ ხანებში რომც გაუჭირდეთ, იგი ორის მაგივრად იმუშავებს. მთელ საათს ელაპარაკებოდა და ნელ-ნელა დასძლია მისი წინააღმდეგობა. ამ ერთ საათში მარტა ორჯერ შეიპყრო შიშმა, სახეზე ხელებს იფარებდა და ყვიროდა:

„არა, არა!“, მაგრამ კვლავ ყრიდა ფარ-ხმალს, ჩაციებით აცქერდებოდა თვალებში ნაგელს და ხვდებოდა, რომ კაცი წუთიერ გამარჯვებას არ ეძიებდა. რადგან ასე ძლიერად სურს, მაშ, ღვთის ნება ყოფილა! ნაგელმა აჯობა, ბრძოლას აზრი აღარა ჰქონდა და საბოლოოდ ქალმა მტკიცე და გადაჭრილი „ჰო“ უთხრა.

ბოთლის ყელში ჩარჭობილი სანთელი მთლად ჩამოიღვენთა. მარტა და ნაგელი ისევ ხელიხელჩაკიდებულნი ისხდნენ და საუბრობდნენ. გულაჩუყებულ ქალს სახე განათებოდა, დროდადრო ცრემლი უბერავდა თვალს, მაგრამ იღიმებოდა.

— რაც შეეხება მაიცას, დარწმუნებული ვარ, საქველმოქმედო ბაზარზე შენზე ეჭვიანობდა.

— დიახ, — მიუგო ქალმა. — შეიძლება, მაგრამ რა გაეწყობა.

— დიახ, მართლაცდა, რა გაეწყობა. ყური მიგდე, ძალიან მინდა, რამით გაგახარო, მაგრამ მითხარი, რით? სიხარულისგან მინდა სუნთქვა შეგეკრას. რა გაგახარებს, მითხარი, მთხოვე, რაც გინდა. მაგრამ შენ ძალიან კეთილი ხარ, გენაცვალე და არასოდეს არაფერს ითხოვ! ჰო, ჰო, მარტა, დაიხსომე, ახლა რასაც გეტყვი: ყოველთვის დაგიცავ, ვეცდები ყველა სურვილს მიგიხვდე და სიცოცხლის ბოლო წუთამდე ვიზრუნებ შენზე. დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები, საყვარელო! ვერასოდეს მისაყვედურებ, დანაპირები დაივიწყეო.

ღამის ოთხი საათი იყო.

ფეხზე წამოდგნენ. მარტა მიეახლა, ნაგელმა გულში ჩაიკრა და ქალი კისერზე შემოეჭდო. ერთხანს ასე უჩუმრად იდგნენ. მარტას კრძალული, კრავივით უცოდველი გული ბუდიდან ამოვარდნას ლამობდა და ქალი რომ დაემშვიდებინა, ნაგელი ალერსით უსვამდა თავზე ხელს. აღარაფერი აშორებდათ ერთმანეთს.

პირველმა მარტამ გაილო ხმა.

— მთელი ღამე თვალს არ მოვხუჭავ და შენზე ვიფიქრებ. გნახავ ხვალ? გინდა, გნახო?

— რა თქმა უნდა, მინდა, ხვალ, რა თქმა უნდა, როდის? რვა საათზე შეიძლება მოვიდე?

— ჰო... გინდა ისევ ამ კაბას ჩავიცვამ?

ამ გულუბრყვილო კითხვამ, ათრთოლებულმა ტუჩებმა, ფართოდ გახელილმა, ნდობით მზირალმა თვალებმა გული გაუთბო ნაგელს და უთხრა:

— ჩემო საყვარელო, ჩემო პატარა, როგორც გინდა ისე მოიქეცი, რა კარგი ხარ!.. არა ,უნდა დაიძინო, აუცილებლად უნდა დაიძინო. იფიქრე ჩემზე, ღამე მშვიდობისა მისურვე და დაიძინე. ხომ არ შეგეშინდება ღამე, მარტო რომ დარჩები?

— არა... სანამ შინ მიხვალ, დასველდები.

მარტამ ამაზეც კი იფიქრა!

— ბედნიერი იყავ და მშვიდად იძინე, — უთხრა ნაგელმა.

უკვე დერეფანში იდგა, რომ რაღაც გაახსენდა, უკან შემობრუნდა და უთხრა:

— დამავიწყდა, გამეფრთხილებინე: მდიდარი არა ვარ. იქნებ, გეგონა, მდიდარიაო.

— ჩემთვის სულ ერთია, — თავი აიღო და მიუგო ქალმა.

— არა, მდიდარი არა ვარ, მაგრამ სახლს მაინც ვიყიდით და რაც მეურნეობას სჭირდება; იმასაც. ამისათვის კი მეყოფა ფული, მერე თვითონ მოვიპოვებ. მე სიხარულით ვიდებ თავს მთელს ტვირთს, ამისთვის მოუცია ღმერთს ჩემთვის ხელები... გული ხომ არ აგიცრუვდა, მდიდარი რომ არ ვარ.

ქალმა არაო, უპასუხა და კვლავ მოუჭირა ხელი. ნაგელმა [illegible]ლიდან სთხოვა, კარი მაგრად ჩაკეტეო და ქუჩაში გავიდა.

კოკისპირულად წვიმდა და ისეთი უკუნეთი იდგა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი.

ნაგელი სასტუმროს გზას არ დადგომია. გზიდან გადაუხვევია და პასტორის კარ-მიდამოსკენ აიღო გეზი. თხუთმეტ წუთს წკვარამში მიდიოდა და გზას ძლივს მიიკვლევდა. ბოლოს ნაბიჯი შეანელა, ბილიკზე გადაუხვევია და დიდ ხესთან შედგა. ეს ის ვერხვი იყო. ნაგელი შეჩერდა.

ქარი არხევს ხეთა კენწეროებს, ნამდვილი მერეხი მოდის. — მხოლოდ წვიმისა და ქარის ხმაური ისმის ირგვლივ. ნაგელი რაღაც სიტყვას, ვიღაცის სახელს ჩურჩულებს, „დაგნი, დაგნი", ამბობს იგი, მერე ჩუმდება და კვლავ იმეორებს: „დაგნი, „დაგნი". ცოტა ხნის შემდეგ უფრო ხმამაღლა იძახის მის სახელს და ბოლოს, რაც ძალი და ღონე აქვს, გაჰყვირის: „დაგნი". დღეს საღამოს დაგნიმ შეურაცხყო, აბუჩად აიგდო. გულს უდაღავს მისი პირიდან დაცდენილი ყოველი სიტყვა, მაგრამ მაინც აქა დგას და ეძახის. იჩოქებს ხესთან, იღებს ჯაყვას და სიბნელეში ხის ტანზე ამოჭრის მის სახელს. აი, გადის რამდენიმე წუთი, ხელს უფათურებს ამოჭრილ ასოს და მეორეს იწყებს, ისევ სინჯავს და ასე აგრძელებს, სანამ მთლიანად არ ამოჭრის სახელს.

თავშიშველი და მუხლმოყრილი იდგა ამ ხნის მანძილზე.

უკვე გზაზე იყო გამოსული, რომ მოულოდნელად შედგა, რაღაც მოიფიქრა და უკან გაბრუნდა. ხელის ცეცებით მიაგნო ვერხვს, ხელი მოუფათურა ხის ტანს და ამოჭრილი ასოები იპოვა. იგი კვლავ ეცემა მუხლებზე და ამ სახელს კოცნის, კოცნის ყოველ ასოს, თითქოს მათი ნახვა მეტად აღარ ეღირსებაო; მერე ფეხზე წამოხტება და გამალებული მიდის.

ნაგელი სასტუმროში დილის ხუთ საათზე დაბრუნდა.

XVII

ისევ წვიმა, ისევ წყვდიადი და ისევ ავდარი იდგა მეორე დღესაც. ბოლო აღარ უჩანდა საწვიმარ მილებში მოხრიალე და ფანჯრებზე თქლიშინით ჩამომსკდარ ჩქერებს. საათი საათს მისდევდა, შუადღემ მოაწია, მაგრამ ცა არა და არ იკარებდა. სასტუმროს უკან, პატარა ბაღში, წვიმამ ყველაფერი გადარეცხა და ჩათეთქა. მოჩვარული, წყლით გაჟღენთილი ფოთლები ტალახში ეყარა.

ნაგელს მთელი დღე შინიდან ფეხი არ გაუდგია. კითხულობდა, ბოლთასა სცემდა ოთახში და საათს დაჰყურებდა. ასე ეგონა, ეს დღე აღარ გაილევაო. ერთი სული ჰქონდა, როდის დადგებოდა საღამო.

საათმა რვა დარეკა თუ არა, მაშინვე მარტასკენ გასწია. გული ცუდს არ უთქვამდა, მაგრამ ქალი ნამტირალევი და გაწამებული დაუხვდა. ნაგელი გამოელაპარაკა, მარტა ძუნწად პასუხობდა და თვალს არიდებდა. რამდენჯერმე სთხოვა ნაგელს, მაპატიეთ და ნუ გამიბრაზდებითო. რა მოხდა? ნაგელმა კითხვა კითხვაზე მიაყარა, ამიხსენი რა მოხდაო, თხოვდა, მაგრამ ქალი ხმას არ იღებდა. იქნებ, ავადაა?

არა, ავად არაა, უბრალოდ ყველაფერი კარგად აწონ-დაწონა და...

აჰა, აი, თურმე რა ყოფილა! მარტა ნანობს, რომ პირობა მისცა.

იქნებ ეშინია, ვაითუ, ნაგელი ვერ შეეიყვაროო.

დიახ... ალბათ... ოღონდ აპატიოს და ნუ გაუბრაზდება! მთელი ღამე ფიქრობდა და, რაც მეტს ფიქრობდა, მით უფრო წარმოუდგენელი ეჩვენებოდა ყველაფერი. გულის სიღრმეში ჩაიხედა და შეეშინდა, ვაითუ, ისე ვერ შეიყვაროს ნაგელი, როგორც საჭიროა.

— რა გაეწყობა, მაშინ...

დუმილია.

იქნებ მერე, თანდათან შეუყვარდეს? ნაგელს ისე უხაროდა, რომ ბოლოს და ბოლოს ახალ ცხოვრებას დაიწყებდა! ჰო, ძალიან, ძალიან კეთილად მოეპყრობა.

მარტას გული აუჩვილა ამ სიტყვებმა, მკერდზე მიიკრა ხელები, მაგრამ უწინდებურად დუმდა და თავს არ იღებდა.

იქნებ მერე, როცა ერთად იქნებიან, დაიმსახუროს მისი სიყვარული. თავისი თვალით დაინახავს, რამდენი რამის გაკეთება შეუძლია მისი გულისთვის.

„არა" — წაიჩურჩულა ქალმა და გრძელი წამწამებიდან ცრემლები მოსწყდა.

ნაგელს აცახცახებდა. საფეთქლებზე ლურჯი ძარღვები დაებერა.

რა გაეწყობა, საყვარელო, თავს ზევით ძალა არაა! ამის გულისთვის ნუ იტირებს. ცრემლით ვერას გააწყობ. დიე, აპატიოს, რომ თხოვნით თავი მოაბეზრა, მაგრამ მხოლოდ სიკეთე სურდა მისთვის...

ქალმა მხურვალედ ჩასჭიდა ხელი. კაცი გაკვირვებული იყო მისი სიფიცხით. ხომ არაფერია მის ბუნებაში ისეთი, რაც განსაკუთრებით სძაგს ქალს? მაშინ ეცდება გამოიცვალოს, გამოსწორდეს, თუ ეს მის ძალას არ აღემატება. იქნებ, არ მოსწონს, რომ იგი...

— არა, სულაც არა. უბრალოდ, ეს ყველაფერი შეუძლებელია. მე ხომ ისიც არ ვიცი, მაგალითად, ვინა ხართ თქვენ. არა, ეჭვი არ მეპარება, მხოლოდ სიკეთე რომ გინდათ ჩემთვის, სწორად გამიგეთ...

— მაგალითად, ვინ ვარ მე, — გაიმეორა ნაგელმა და მარტას შეხედა. თავში რაღაც აზრმა გაუელვა, მიხვდა: ვიღაცამ რწმენა შეურყია ქალს, რაღაცა მტრული ძალა ჩადგა მათ შორის.

— დღეს თქვენთან ვინმე იყო?

ქალმა არაფერი მიუგო.

— მომიტევეთ, გეთაყვა. და საერთოდ, რა მნიშვნელობა აქვს ამას ჩემთვის... რა უფლება მაქვს, გკითხოთ.

— რა ბედნიერი ვიყავი წუხელ, — თქვა ქალმა. — ღმერთო ჩემო, როგორ ველოდი გათენებას, როგორ გელოდით! მაგრამ დღისით ისევ შემიპყრო ეჭვმა.

— მხოლოდ ეს მითხარით, მაშ, თქვენ არ გჯერათ, რომ პატიოსანი ვიყავი თქვენ წინაშე? სულ აღარ მენდობით?

— არა, როგორ არ გენდობით, მაგრამ... ნუ გამიბრაზდებით, ძვირფასო. თქვენ ხომ აქაური არ ხართ და თქვენზე მხოლოდ ის ვიცი, რაც თავად მითხარით. იქნებ ყველაფერს გულწრფელად ამბობთ, მაგრამ შეიძლება მერე ინანოთ. აბა, რა ვიცი, რას იფიქრებთ მერე.

დუმილია.

ნაგელი მარტას ნიკაპში ჰკიდებს ხელს, თავს უწევს და ეუბნება:

— კიდევ რა გითხრათ ფრეკენ ჰელანმა?

მარტა მოულოდნელობისგან დაიბნა, დაფეთებულმა შეხედა და შესძახა:

— მე არ მითქვამს!.. ნუთუ ვთქვი რამე?.. არა, მე ეგ არ მითქვამს!..

— დიახ, დიახ, თქვენ არ გითქვამთ, — დაუდასტურა ნაგელმა, ჩაფიქრდა და თვალი ერთ წერტილს მიაშტერა. — დიახ, თქვენ როდი გითქვამთ, რომ აქ იყო, არც მისი სახელი გიხსენებიათ, დამშვიდდით... მაშასადამე, ფრეკენ ჰელანი მართლა იყო აქ. აი, ეს კარი შემოაღო და საქმე რომ მოაგვარა, ისევ გაიხურა. ეტყობა, შიგ გულში მოხვდა, ასეთ ავდარში რომ გამოქცეულა... დიახ, ფრიად უცნაურია... ძვირფასო მარტა, თქვენ საოცრად გულკეთილი ხართ! მინდა მუხლი მოვიყარო თქვენს წინაშე, რომ ასეთი კეთილი ხართ! მერწმუნეთ, დღეს მაინც მერწმუნეთ! მერე კი თავად დაინახავთ, დაგიმტკიცებთ, რომ თქვენი მოტყუება აზრად არ მომსვლია. ახლავე ნუ წაიღებთ უკან თქვენს სიტყვას, ერთხელ კიდევ მოიფიქრეთ ყველაფერი! კარგი? იფიქრეთ ხვალამდე. ჩვენ ისევ შევხვდებით...

—არ ვიცი... ღმერთმანი, არ ვიცი, — გააწყვეტინა მარტამ.

— არ იცით? გამოდის ახლავე, ერთხელ და სამუდამოდ გინდათ მომიშოროთ. რა გაეწყობა. .

— სჯობს მერე, სხვა დროს მოვალ თქვენთან... როცა უკვე ცოლი გეყოლებათ... როცა თქვენი ოჯახი გექნებათ... მინდა გითხრათ, როცა თქვენ... მოახლეედ დაგიდგებით, ასე აჯობებს ჩემთვის.

დუმილია.

დიახ, უნდობლობას მის გულში უკვე ღრმად გაედგა ფესვი. ნაგელმა იგრძნო, აღარ ძალუძდა მისი გაქარწყლება, უწინდებურად ველარ დაამშვიდებდა ქალს. გულისტკივილით გრძნობდა, რაც უფრო ცხარედ ელაპარაკებოდა, მით უფრო უსხლტებოდა ხელიდან. მაგრამ რად სტირის, რა სტანჯავს ანდა ხელს რად არ უშვებს? გადაწყვიტა, უკანასკნელი ღონე ეხმარა და კვლავ მაიცაზე ჩამოუგდო სიტყვა. ყოველ მიზეზგარეშე უნდოდა ხვალაც შეხვედროდა, მას შემდეგ, რაც ქალი ერთხელ კიდევ აწონ-დაწონიდა ყველაფერს:

— მომიტევეთ, აგერ უკვე მერამდენედ გიხსენებთ მაიცას, — უხრა ქალს. — ეგ ნუ შეგაშფოთებთ. უმიზეზოდ არ წამომიწყია ამაზე საუბარი. ურიგოს ვერაფერს ვიტყვი, პირიქით, როგორც გახსოვთ, ყოველთვის ვაქებდი, მაგრამ გამორიცხული არ არის, სწორედ იგი მიღობავდეს გზას. ამიტომაც იყო, ამასწინათ რომ გეკითხებოდით მაიცაზე და გიმტკიცებდით, სხვაზე ნაკლებად არ შეუძლია ოჯახის რჩენა-მეთქი. ახლაც მგონია, თავისუფლად გაართმევს თავს, თუ პირველ ხანებში ვინმე დაეხმარება. მაგრამ მაშინ ამის გაგონებაც კი არ ისურვეთ. მაიცა არ გაინტერესებდათ. მთხოვეთ კიდეც, მაგაზე ნურაფერს მეუბნებითო. აგრე იყოს! მაგრამ მე მაინც მეეჭვება, სულ მაინც ვერ გადამარწმუნეთ და ამიტომ ისევ გეკითხებით: რამე ხომ არ არის თქვენსა და მაიცას შორის? თუ არის, მე დაუყოვნებლივ ვიღებ ხელს... აგერ, თავს აქნევთ. მაშინ არ მესმის, რატომ უარობთ ხვალამდე ერთხელ კიდევ აწონ-დაწონოთ ყველაფერი და საბოლოო პასუხი მომცეთ. ეს სამართლიანი იქნებოდა. თქვენ კი... თქვენ ხომ ძალიან კეთილი ხართ!

და ქალი დანებდა. ისე აღელდა, რომ ფეხზე წამოდგა და სიცილ-ტირილით

გადაუსვა თავზე ხელი, ისე, როგორც უკვე ერთხელ მოიქცა, დიახ, ხვალ უნდა რომ ნახოს, ძალიან უნდა, ოღონდ ცოტა ადრე მოვიდეს, ასე ოთხ-ხუთ საათზე, ერთი სიტყვით, შებინდებამდე, რომ მითქმა-მოთქმა არ ატყდეს. ახლა კი ნაგელი უნდა წავიდეს და რაც შეიძლება მალე, ასე უფრო კარგი იქნება, დიახ, ხვალ მოვიდეს, მარტა შინ იქნება და დაელოდება.

ნამდვილი ბალღია ეს ჭაღარა ქალწული! ერთი სიტყვა, რაღაც ბუნდოვანი ფრაზა კმაროდა, რომ კვლავ ლონივრად აძგერებოდა გული და სახე ნაზ ღიმილს გაეცისკროვნებინა. უკანასკნელ წამამდე ვერ შეელია ნაგელის ხელს. ასე ხელჩაკიდებული მიაცილა კარამდე. პარმაღიდან, თითქოს ვიღაცას ეჯიბრებაო, ძალიან ხმამაღლა უსურვა ღამე მშვიდობისა.

წვიმამ გადაიღო. როგორც იქნა შესაძლებელი გახდა იმის თქმა, წვიმამ გადაიღოო. ყომრალ ღრუბლებში აქა-იქ ცის ლაჟვარდი გამოჩნდა. მხოლოდ ხანგამოშვებით ეცემოდა კიდევ მიწაზე მძიმე წვეთები.

ნაგელმა ცოტა სული მოითქვა. დიახ, კვლავ მოიპოვებს მარტას ნდობას, უეჭველად მოიპოვებს! შინისკენ არ წასულა. სანაპიროს გაჰყვა და როცა გარეუბნის პატარ-პატარა სახლები უკან ჩამოიტოვა, კვლავ პასტორის კარ-მიდამოსკენ მიმავალ გზაზე აღმოჩნდა. ირგვლივ კაციშვილი არ ჭაჭანებდა.

სულ ორი-სამი ნაბიჯი არ გადაედგა, რომ გზის პირას ვიღაც დალანდა. ეტყობა, ის ვიღაც, აქამდე იჯდა, ახლა კი ადგა და წავიდა. დაუკვირდა და დაგნი იცნო, ქერა ნაწნავი მკვეთრად მოჩანდა თალხ საწვიმარზე.

ელვამ დაჰკრა თავით-ფეხებამდე, გაოცებისგან ერთი წამით გაჩერდა კიდეც. განა დღეს საქველმოქმედო ბაზარზე არ უნდა ყოფილიყო? ან, იქნებ, სანამ ცოცხალი სურათები დაიწყებოდა, ჰაერზე გამოვიდა. დაგნი ნება-ნება მიდიოდა, რამდენჯერმე გაჩერდა კიდეც და ხიდან ხეზე მოფრთხიალე ჩიტებს უცქერდა. ნეტავი ნაგელი თუ დაინახა? იქნებ, მისი გამოცდა უნდა? იქნებ იმიტომაც წამოდგა, რომ თვალი მოკრა და ახლა სურდა შეემოწმებინა — ამჯერადაც გაბედავდა ნაგელი მასთან მისვლას და გამოლაპარაკებას?

ტყუილად ღელავს, აღარასოდეს შეაწყენს თავს! და უეცრად ბოღმა მოერია; ბრმა, შლეგურმა ბოღმამ იფეთქა ამ ქალის მიმართ, რომელმაც კვლავაც შეიძლება რამე თავზეხელაღებული საქციელი ჩაადენინოს, რათა მერე მისი სისუსტე აბუჩად აიგდოს. მისგან არ გაუკვირდება, წავიდეს და დღეს საქველმოქმედო ბაზარზე მოყვეს, ისევ კვალდაკვალ დამდევსო. განა ის არ იყო ამ ცოტა ხნის წინათ მარტასთან და საკუთარი ხელით არ დაუნგრია ბედნიერება? ნუთუ ესეც არ ეყო? ნუთუ გადაწყვეტილი აქვს, კვლავაც ბოროტი მიაგოს? ჯავრის ამოყრა უნდოდა? კეთილი, მაგრამ ხომ გადაუხადა უკვე სამაგიერო, იმაზე მეტი მიაგო, რაც ეკუთვნოდა.

ორივე მისეირნობს, ნაგელი კვლავ უკან მიჰყვება დაგნის და ერთმანეთს ისევ ორმოცდაათი ნაბიჯი აშორებთ. ასე გრძელდება რამდენიმე წუთს. უეცრად ქალს ცხვირსახოცი უვარდება. ნაგელი ხედავს, როგორ მოცურავს ცხვირსახოცი ქამრის გასწვრივ და მიწაზე ეცემა. ნეტავ, თუ იცის, რომ ცხვირსახოცი დაუვარდა.

და ნაგელი თავს აჯერებს, რომ ეს მხოლოდ ფანდია, რომ ქალს ჯერაც არ ჩასცხრობია მრისხანება; ახლაც იმიტომ უნდა აალებინოს და მიაწოდებინოს ცხვირსახოცი, რომ თვალი თვალში გაუყაროს და მარტასთან მისი მარცხით დასტკბეს. ბრაზი ახრჩობს, კბილს კბილზე აჭერს, მწარე ნაოჭი უსერავს შუბლს.

ჰა-ჰა, როგორ არა, ელოდოს, სანამ მიურბენინებდეს და ნებას მისცემდეს, პირში დასცინოს! ერთი დამიხედეთ, ცხვირსახოცი დააგდო! აგერ, პირდაპირ შუა გზაზე აგდია — ქათქათა, ნაზი, მაქმანით შემკული, მხოლოდ დაღუნვა და აღება უნდა...

ნაგელი ისევ დინჯად მიაბიჯებდა, ცხვირსახოცს რომ გაუსწორდა, ზედ შედგა და შეუჩერებლივ განაგრძო გზა. კიდევ რამდენიმე წუთს მიდიოდნენ ასე და კვლავ იგივე მანძილი აშორებდათ ერთმანეთს. უცბად დაგნიმ უკან დახედა, ერთბაშად მოტრიალდა და ქალაქისკენ აიღო გეზი. ახლა მისკენ მოეშურებოდა. იქნებ, შენიშნა, რომ ცხვირსახოცი დაკარგა. ნაგელმაც პირი აქცია და ახლა დაგნის წინ მიაბიჯებდა ნელა, როცა ცხვირსახოცს გაუსწორდა, ისევ გადათქერა — ამჯერად უკვე დაგნის თვალწინ, მიდიოდა და გრძნობდა, ქალი უკან, სულ ახლოს მოჰყვებოდა. ნაბიჯს მაინც არ აუჩქარა. ასე მიაღწიეს ქალაქს.

დაგნიმ, როგორც ნაგელი ვარაუდობდა, იმ შენობისკენ გასწია, სადაც საქველმოქმედო ბაზარი იყო გამართული, თავად კი სასტუმროში დაბრუნდა.

თავის ოთახში რომ შევიდა, ფანჯარა გამოაღო და რაფას დაეყრდნო. მღელვარებას მთლად გაენადგურებინა და დაეთრგუნა. ბრაზი ჩაუცხრა. რაღაცნაირად მოეშვა, თავი ხელებში ჩარგო და უხმო ქვითინმა ციებიანივით აათრთოლა. აი, როგორ დამთავრდა ყველაფერი! ოჰ, როგორ ნანობდა, რაც მოხდა; როგორ ნატრობდა, არ მომხდარიყო! დაგნიმ ცხვირსახოცი დააგდო, იქნებ განგებ, ნაგელის დასამცირებლად — შეიძლება. მერე რა მოხდა? განა რა მოხდებოდა აეღო, შეენახა და მთელი სიცოცხლე უბით ეტარებინა. რა ქათქათა იყო, მან კი ტალახს შეურია! ცხვირსახოცი რომ აეღო, ვინ იცის, იქნებ დაგნის არც კი წაერთმია და მისთვის დაეტოვებინა. ვინ იცის! კიდევაც რომ დაეპირებინა გამორთმევა, მუხლებში ჩაუვარდებოდა და ხელაპყრობილი შეევედრებოდა, გაეღო უდიდესი მოწყალება და სახსოვრად დაეტოვებინა მისთვის. დაე, თუნდაც პირში დაეცინა, დიდი ამბავი!

უცბად ნაგელი ადგილიდან მოწყდება, მიქრის კიბეზე, ერთბაშად რამდენიმე საფეხურს ახტება, გარბის ქუჩაში, გადაკვეთს ქალაქს და კვლავ პასტორის კარ-მიდამოსკენ მიმავალ გზაზე მიიჩქარის. იქნებ, ბედი შეეწიოს და ცხვირსახოცი იპოვოს! დაგნის, მართლაც, არ აუღია, თუმცა, დარწმუნებული იყო; ნამდვილად დაინახა, როგორ გადათელა ნაგელმა ცხვირსახოცი. ისევ იქ აგდია. მადლობა ღმერთს! მაინც წყალობს ბედი! გულაძგერებული იღებს ცხვირსახოცს, საჩქაროდ ბრუნდება შინ, მაშინვე ავლებს წყალში, ავლებს ძალიან დიდხანს და მერე გულდასმით ასწორებს ხელით. ცხვირსახოცი უწინდებურად აღარ ქათქათებდა, ერთი კუთხეც გახეული ჰქონდა. ეტყობა ქუსლი გამოსდო მაქმანს. ეგ არაფერი, ამას რა მნიშვნელობა აქვს! რა ბედნიერია, რომ აიღო!

ფანჯარასთან რომ დაჯდა, მაშინღა მოეგო გონს და მიხვდა, მთელი ქალაქი თავშიშველს გაერბინა. გიჟია, აბა რა არის, ნამდვილი გიჟია! ერთიც ვნახოთ და, დაინახა?! ვინ იცის, ყველაფერი განგებ მოაწყო და ისიც სულელურად წამოეგო ანკესზე. არა, სასწრაფოდ უნდა მოეღოს ბოლო ყველაფერს! თავი უნდა აიძულოს, მის დანახვაზე გული არ აუძგერდეს, უნდა მიეჩვიოს, თავაწეული, გულგრილად შეხვდეს, გრძნობა არაფრით გაამჟღავნოს. დიახ, ასე იზამს, რადაც არ უნდა დაუჯდეს! აქედან წავა და მარტას წაიყვანს. მართალია, ნაგელი მისი ღირსი არ არის, მაგრამ რკინის მუხრუჭს მოუჭერს გულს. სულს არ მოათქმე-

ვინებს თავს, სანამ მარტას სიყვარულს არ დაიმსახურებს, სანამ მისი ღირსი არ გახდება.

იდარებდა, ფანჯრიდან შემოჭრილ გრილ ნიავს სველი ბალახისა და ნოტიო მიწის სურნელი მოჰქონდა. ნაგელი ნელ-ნელა იკრებდა გონს. დიახ, ხვალ მარტასთან წავა და შეევედრება, თანხმობა უთხრას.

მეორე დღეს კი, დილიდანვე მტვრად ექცა ყველა განზრახვა.

XVIII

ჯერ იყო და დილაუთენია ექიმი სტენერსენი დაადგა თავს. ნაგელი ჯერაც იწვა. ექიმმა მოიბოდიშა — ეს დაწყევლილი საქველმოქმედო ბაზარი არც დღე, არც ღამე ერთი წუთი არ აძლევს მოსვენებას. აქაც დავალებით, ასე ვთქვათ, მისიით მოვიდა! რამენაირად უნდა დაითანხმოს ნაგელი, რომ დღესაც მიიღოს კონცერტში მონაწილეობა. მთელი ქალაქი მხოლოდ მის დაკვრაზე ლაპარაკობს. პირდაპირ კლავთ ცნობისმოყვარეობა და მოსვენება დაკარგეს, მართლა, მართლა...

— გაზეთს კითხულობთ? ოჰ, რა არის ეს პოლიტიკა! მიაქციეთ ყურადღება, ვინ დანიშნეს ამ ბოლო ხანებში! არც არჩევნებზე მიდის ისე საქმე, როგორც საჭიროა. ნამდვილად ვერ იტყვი, შვედებს თავს ლაფი დაასხესო... ჩემის აზრით, ძალიან გვიანობამდე ნებივრობთ ლოგინში — უკვე ათი გახდა. ახლა რა ამინდია! ჰაერს სითბოსგან ლივლივი გააქვს! ასეთ დილას კაცს სულ გარეთ მიუწევს გული.

დიახ, ნაგელი სწორედ ახლა აპირებს ადგომას.

რა პასუხი გადასცეს საქველმოქმედო ბაზრის თავკაცებს?

არა, ნაგელი არ დაუკრავს.

როგორ თუ არ დაუკრავს? ქალაქისთვის ეს ფრიად მნიშვნელოვანია. განა უფლება აქვს, უარი თქვას ასეთ უმნიშვნელო სამსახურზე.

ეგ, რა თქმა უნდა, მართალია, მაგრამ უბრალოდ დაკვრა არ შეუძლია.

ღმერთო ჩემო, ყველას, განსაკუთრებით კი მანდილოსნებს, ნაგელის იმედი ჰქონდათ. წუხელ ნამდვილი იერიში მიიტანეს ექიმზე, დაჟინებით მოითხოვეს, ეს საქმე მოეგვარებინა. ფრეკენ ანდერსენმა პირდაპირ სული არ მოათქმევინა, ფრეკენ ჰელანმა კი განზე გაიხმო და დაავალა, სანამ არ შეიპირებთ, არ მოეშვათო.

კი მაგრამ, ფრეკენ ჰელანს წარმოდგენაც არა აქვს, როგორ უკრავს ნაგელი. მას ხომ არასოდეს მოუსმენია მისი დაკვრისთვის.

— მართალია, მაგრამ ყველაზე დაჟინებით ის მთხოვდა. აკომპანიმენტის გაწევაც კი შემოგთავაზათ. ბოლოს ისიც მითხრა, გადაეცით, ყველანი ვთხოვთო.. .ბოლოს და ბოლოს, რა დიდი გარჯა ეგაა. ერთი-ორჯერ გაუსვამთ სიმებს ჭამანს და ყველას აამებთ!

არა, არ შეუძლია, მართლა არ შეუძლია.

აბა, რანაირად არიდებს თავს? ხუთშაბათ საღამოს ხომ შეეძლო? მაგრამ ნაგელი თავისას გაიძახოდა. ექიმმაც ხომ უნდა გაუგოს! მხოლოდ რამდენიმე ტაქტი, რაღაც აბურდული პოპური იცის, სულ ორი-სამი საცეკვაო დაიზეპირა, რომ ხანდახან საზოგადოება გაეოცებინა. ეგეც არ იყოს, ისე ყალბად უკრავს, თავის დაკრულზე თვითონვე ერევა გული, მართლა ერევა...

— ჰო, მაგრამ...

— ექიმო, მე არ დავუკრავ!

— მაშ, ამ საღამოს თუ არა, იქნებ ხვალ დაგეკრათ? ხვალ კვირაა, ბაზარი იხურება და მილეთის ხალხი მოვა.

— არა, მომიტევეთ, მაგრამ არც ხვალ დავუკრავ. საერთოდ სირცხვილია ვიოლინოს ხელში აღება, როცა კაცი ჩემსავით უკრავს. თქვენი გამკვირვებია, რომ ვერ მიხვდით, რა ცუდად ვუკრავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთმა ფანდმა ექიმის თავმოყვარეობაზე იმოქმედა.

— არა, რატომ... მაშინვე მივხვდი, რაღაცნაირად სუფთად ვერ დაუკარით, მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს, ყველა ხომ მცოდნე არ არის!

ვერაფერმა გაჭრა, ექიმმა უარი მიიღო და წავიდა.

ნაგელმა ჩაცმა დაიწყო. მაშ, დაგნი დაჟინებით ითხოვდა, ნაგელს დაეკრა, აკომპანიმენტის გაწევაც კი მოუსურვებია! ახალი ფანდია თუ რა არის, ნეტავ? რაო, წუხელ ხელი მოეცარა და გადაწყვიტა, დღეს იყაროს ჯავრი?.. ღმერთო, ერთიც ვნახოთ და ნაგელი უსამართლოდ ფიქრობს, იქნებ, დაგნის აღარ სძულს და აღარც ჯავრის ამოყრა უნდა? და ეჭვისთვის გულში პატიება სთხოვა დაგნის: ბაზრის მოედანს გადახედა ფანჯრიდან. რა ცხრათვალა მზეა! რა ლურჯი ცაა! ღიღინი დაიწყო.

თითქმის მზად იყო გასასვლელად, რომ სარამ კარის ღრიჭოდან წერილი შემოუცურა. წერილი ფოსტალიონს კი არა, შაკრიკს მოეტანა. მარტასაგან იყო და შიგ სულ ორიოდე სტრიქონი ეწერა: საღამოს ნუღარ მოხვალთ, რადგან ქალაქიდან გავემგზავრეო. ყველა საფუძარს აფიცებდა, შეენდო და ძებნა არ დაეწყო. ჩემთვის ძალიან მძიმე იქნება კვლავ თქვენი ნახვაო. მშვიდობით! წერილის ბოლოს მიეწერა, არასოდეს დაგივიწყებთო. მძიმე ნაღველით იყო გაჟღენთილი ეს წერილი, რომელიც სულ რამდენიმე სტრიქონისგან შედგებოდა. ასოებიც კი რაღაცნაირად ჩაფერფლილიყვნენ და, მიუხედავად ამისა, მარტა მაინც ეთხოვებოდა.

ნაგელი სკამზე დაეცა. გათავდა, ყველაფერი დაიღუპა! იქაც უარყვეს. ასე ჰგონია, ყველას მის წინააღმდეგ შეუკრავს პირი! უფრო წმინდა და პატიოსანი განზრახვა არასოდეს ჰქონია და მაინც... და მაინც ყველაფერი წყალში ჩაეყარა! დიდხანს იჯდა უძრავად.

მერე ანაზდად დგება სკამიდან. საათზე იყურება. თერთმეტია. იქნებ, კიდევ მიუსწროს! და დაუყოვნებლივ მიქრის მარტასთან. კარი დაკეტილია, ფანჯარაში იყურება — მარტა არა ჩანს.

შეძრწუნებული, ისევ შინისკენ მიდის. ფეხებს ძლივს მიათრევს. ხეირიანად არც კი ესმის, რას აკეთებს, ირგვლივ ვერაფერს ამჩნევს. ეს რა ქნა?! რაღაი წასვლა გადაწყვიტა, რატომ არ მისცა საშუალება, გამოსთხოვებოდა, ყველა ამქვეყნიური სიკეთე ესურვა მისთვის, მუხლს მოიყრიდა მის წინაშე და თაყვანსა სცემდა სიკეთისათვის, წმინდა, უმანკო გულისათვის. მაგრამ მარტამ არ ისურვა!.. რა გაეწყობა!

დერეფანში სარას შეეჩეხა და გაიგო, წერილი შიკრიკს პასტორის სახლიდან მოეტანა. მაშ, აქაც დაგნის ხელი ურევია. საწადელი აისრულა — ზუსტად აწონ-დაწონა ყველაფერი და მოულოდნელად ჩასცა ლახვარი, არა, ეტყობა, არასოდეს აპატიებს!

მთელი დღე მუხლი არ ჩაუხრია, ხან ქუჩაში დაეხეტებოდა, ხან ოთახში სცემდა ბოლთას, ხან ტყეში დაბორიალებდა, მაგრამ ადგილი ვერსად იპოვა,

ერთი წუთით ვერ მოისვენა. თავჩაქინდრული, ფართოდ თვალგახელილი დადიოდა, მაგრამ ვერაფერს ამჩნევდა.

მეორე დღეც ზუსტად ასე გაატარა. კვირაძალი იყო და სოფლებიდან აუარება ხალხი მოაწყდა ქალაქს საქველმოქმედო ბაზრისა და ცოცხალი სურათების სანახავად, რომელსაც უკანასკნელად უჩვენებდნენ. ნაგელი კვლავ მიიწვიეს კონცერტზე; სთხოვდნენ, ერთხელ მაინც დაეკრა. ახლა საქველმოქმედო ბაზრის კომიტეტის სხვა წევრი — კონსული ანდერსენი, ფრეკენ ფრედერიკეს მამა ეწვია. ნაგელმა კვლავ უარი თქვა.

ოთხი დღე შეშლილივით დადიოდა ნაგელი. რაღაც უცნაურ· გუნებაზე იდგა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს არც კი არსებობდა, მისი გული და გონება მხოლოდ ერთ აზრს, ერთ გრძნობას შეეპყრო. იქნებ დაბრუნდიო, ყოველდღე აკითხავდა მარტას სახლს. ნეტა სად წავიდა? თუმცა, კიდეც რომ მიაგნოს, რა შეიცვლება? მისთვის უკვე აღარაფერი შეიცვლებოდა.

ერთხელ, საღამოხანს კინაღამ დაგნის შეეჩეხა. ქალი დუქნიდან გამოდიოდა და ისე ახლოს აღმოჩნდა ნაგელთან, ლამის იდაყვი გაჰკრა.

დაგნის ტუჩები შეუთრთოლდა, თითქოს გამოლაპარაკებას აპირებსო, მაგრამ უცბად ყაყაჩოსავით გაწითლდა და უსიტყვოდ წავიდა. ნაგელმა რატომღაც უცბად ვერ იცნო, დაბნეული ერთ წუთს შედგა კიდეც და შეხედა, მერე კი ერთბაშად აქცია ზურგი და წავიდა. ქალი უკან მიჰყვებოდა. ნაგელს ესმოდა, ქალი სულ უფრო და უფრო უჩქარებდა ფეხს; ეგონა, დაგნის უნდა წამომეწიოსო და თვითონაც აუჩქარა ფეხს, რომ გასცლოდა, დამალვოდა. ეშინოდა ქალის. ეჭვი არ არის, კიდევ რაღაც უბედურებას მოუტანს! როგორც იქნა, სასტუმრომდე მიაღწია, ჰოლში შევარდა და თავზარდაცემული, კისრისტეხით ავარდა ზევით, თავის ოთახში. მადლობა ღმერთს, გადარჩა.

ეს 14 ივლისს მოხდა, სამშაბათს...

მეორე დღეს ნაგელმა, ეტყობა, გადაწყვიტა, რამე ეღონა. ამ დღეებში გარეგნულად ძალზე შეიცვალა. სახე გაუქვავდა და ზედ მიწისფერი დაედო. თვალგაყინული უაზროდ იყურებოდა. ქუჩაში დიდხანს ხეტიალის შემდეგ უცბად გაახსენდებოდა ხოლმე, ქუდი სასტუმროში დარჩენოდა. სულ უფრო ხშირად ემართებოდა ასე. ამ დროს ყოველთვის ეუბნებოდა თავს, ასე აღარ შეიძლება, ამას ბოლო უნდა მოეღოსო და თან ისე ძლიერად მუშტავდა ხელებს, რომ ტკივილს გრძნობდა.

ოთხშაბათ დილას, ადგა თუ არა, პირველყოვლისა, ჯიბიდან შხამიანი ბოთლი ამოიღო და შეათვალიერა: ჯერ შეანჯღრია, მერე დაყნოსა და კვლავ შეინახა. ჩაცმისას ველებურად აეფუტკნა ფიქრები, რომლებიც ამ ბოლო ხანებში ტანჯავდნენ და მის დაქანცულ გონებას ერთი წუთით არ აძლევდნენ მოსვენებას. ფიქრები გამალებით, შლეგური სისწრაფით ენაცვლებოდნენ ერთიმეორეს. ისე იყო აღელვებული და სასოწარკვეთილი, ცრემლს ძლივს იკავებდა. გულზე უზომო დარდი შემოსწოლოდა.

მადლობა ღმერთს ბოთლი ხელთა აქვს! საწამლავს ნუშის სუნი ასდის და წყალივით გამჭვირვალეა. რადგან სხვა გზა აღარ დარჩენია, მალე, სულ მალე გამოიყენებს. მაშ, მოვიდა აღსასრული. რას იზამ, ასეც შეიძლება. არადა, როგორ ოცნებობდა! ოცნებობდა, რომ ამქვეყნად რაღაც მნიშვნელოვანს, რამე ისეთს გააკეთებდა, ახლანდელი კაციჭამიები შეძრწუნდებოდნენ და პირჯვარს გადაიწერდნენ. მაგრამ არაფერი გამოვიდა, ვერ შეძლო... ჰოდა, რატომ

არ უნდა მოიშველიოს საწამლავი? ერთიღა დარჩენია — მშვიდად დალიოს სული. ასეა, ასე! აღასრულებს კიდეც, როცა დრო მოვა, როცა მისი ჟამი დარეკავს.

გაიმარჯვებს დაგნი.

რა არაჩვეულებრივი ძალა აქვს ამ თითქოსდა ჩვეულებრივ, გრძელნაწნავიან და უშფოთველ გოგონას! ახლა კი ესმის იმ უბედურსაც, უმისოდ სიცოცხლე რომ არ ისურვა — იმის, ვინც მახვილზე და უკანასკნელ „არა"-ზე წერდა, უკვე აღარ უკვირს მისი. კარლსენმა გამოსავალი იპოვა. ანდა, კაცმა რომ თქვას, სხვა რა გზა დარჩენოდა... როგორ აუგიზგიზდება მუქი ლურჯი თვალები, როცა გაიგებს, ნაგელიც მის კვალს გაჰყვაო. მაგრამ მაინც მიყვარხარ, მიყვარხარ მაგ სიბოროტისთვის; მე მხოლოდ კარგი კი არა, ავიც მიყვარს შენი. "ზამტანჯა შენმა ამპარტავნობამ. ან როგორ ურიგდები, რომ ერთი კი არა, ორი თვალი მაქვს? უნდა წაგერთმია ერთ-ერთი, ანდა, უმჯობესი იქნებოდა, ორივე. როგორ ითმენ, თავისუფლად რომ დავაბიჯებ ქუჩაში და თავშესაფარი მაქვს? შენ მომგლიჯე გულიდან მარტა. მაგრამ მაინც მიყვარხარ. შენ იცი, რომ მაინც მიყვარხარ და ამიტომ მასხრად მიგდებ. მე იმისთვისაც კი მიყვარხარ, რომ სასაცილოდ არ გყოფნის ეს ამბავი. რაღა გსურს მეტი? ნუთუ ესეც არ კმარა? შენი სათუთი, თეთრი ხელები, შენი ხმა, ჩალისფერი თმა, შენი ჭკუა, სული შენი ყველაზე მეტად მიყვარს ამქვეყნად. არ შემიძლია, არ მიყვარდეს და ხსნა არსაიდან ჩანს . უფალო, შემიწყალე მე! ალბათ, როგორც გინდა, კიდევ უფრო დამამცირო, საქვეყნოდ ამიგდო მასხრად. მაგრამ რა აზრი აქვს, დაგნი, თუ მაინც მიყვარხარ. ჩემთვის სულ ერთია, მე რა — როგორც გინდა, ისე მოიქეც, ჩემთვის მაინც ყოველთვის ასეთივე ტურფა და სიყვარულის ღირსი იქნები. სიხარულით ვაღიარებ ამას. რაღაცით იმედი გაგიცრუე, შენ მე უბადრუკი და ცუდი გგონივარ, გგონია, ყოველგვარი სისაძაგლე შეიძლება გამოვიდეს ჩემი ხელიდან. გეგონა თვალთმაქცობაზეც არ ვიტყოდი უარს, ოღონდ კი ცოტა მაღალი გამოვჩენილიყავ. მერე რა? რადგან შენ ამბობ, ესე იგი, ასეც არის და გაგიტყდები: ამას რომ მეუბნები, ერთიანად ვცახცახებ და ვზეიმობ. მაშინაც კი, როცა ათვალწუნებით მიყურებ, ან ზურგს მაქცევ და პასუხს არ მაღირსებ, ანდა ცდილობ ქუჩაში წამომეწიო, რომ დამამცირო — მაშინაც კი გული შენი სიყვარულით მაქვს სავსე. კარგად გამიგე: ამ წუთში არც შენ გატყუებ და არც თავს ვიტყუებ. კვლავაც რომ დამცინო, სულ ერთია. შენზე გული მაინც არ შემეცვლება. ბრილიანტი რომ მეპოვა, დაგნის დავარქმევდი, იმიტომ, რომ მარტო შენი სახელიც კი სიხარულის კოცონს მიკიდებს. იქამდე მივედი, სულ შენი სახელი მინდა მესმოდეს. მინდა ყველა ადამიანმა, ყველა ცხოველმა, ყველა მთამ და ყველა ვარსკვლავმა შენი სახელი იძახოს, რომ სხვა არაფერი მესმოდეს და მთელი სიცოცხლე, დღედაღამ მხოლოდ შენი სახელი მედგას ყურში მუსიკასავით. მინდა ახალი ფიცი შემოვიღო ადამიანთა მოდგმისათვის, მხოლოდ იმიტომ, რომ შენ განგადიდო. და თუ ამით შევცოდავდი უფლის წინაშე და უფალი გამაფრთხილებდა, ვეტყოდი: ცოდვად ჩამითვალე და როცა დრო მოვა, როცა ჩემი ჟამი დარეკავს, სულით გიზღავ-მეთქი სამაგიეროს.

რა უცნაურია! უცბად შევდექი ცხოვრების გზაზე, თუმცა კვლავ იგივე ვარ, რაც ვიყავ, — სიცოცხლით სავსე, ძალ-ღონიანი. რაზედაც უწინ ხელი მიმიწვდებოდა, ახლაც ხელმეწიფება, რასაც უწინ ჩავდიოდი, ახლაც შემიძლია ჩავიდინო. მაშ, რატომღა შევდექ ცხოვრების გზაზე, ხელმისაწვდომი რატომ გა-

დამექცა მიუწვდომლად? არ ვიცი, რა ბრალი მიმიძღვის. ყველა გრძნობას ვფლობ, ცუდი ზნისა და გარყვნილი არ ვარ, ფათერაკს ბრმად არ ვეჭიდები. უწინდებურად ვგრძნობ, ვფიქრობ, ძველებურად შემიძლია თავის აღიგმვა და ხალხსაც ისევ ისე ვაფასებ. მივდივარ მარტასთან, ვიცი, რომ ის არის ჩემი მხსნელი — ჩემი მფარველი ანგელოსი. ძრწის, ეშინია, მაგრამ [illegible] და ბოლოს მასაც უკვე იგივე სურს, რაც მე, მარტა მეთანხმება — კეთილი! ვოცნებობ მშვიდ, ბედნიერ ცხოვრებაზე, მიყრუებულ კუთხეში მივდივართ, განმარტოებით ვცხოვრობთ ქოხში — მდინარის პირას, ვსეირნობთ ტყეში, მარტას მოკლე კაბა აცვია, მე ბალთიანი ფეხსაცმელი — ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც მის სათნო, ჩვილ გულს სწყურია. რატომაც არა? მუჰამედი მივიდა მთასთან! და აი, მარტა ჩემს გვერდითაა, ჩემს დღეებს ნათლით, ღამეებს კი სიმშვიდით მოსავს, უფალი ღმერთი ზეციდან ჩვენს შეუღლებას აკურთხებს. მაგრამ აგერ, ხალხი ერევა ჩვენს ცხოვრებაში, ხალხი აღშფოთებულია, ხალხი ამბობს, ეს წმინდა წყლის სიგიჟეაო, ხალხი თვლის, რომ არც ერთი კეთილგონიერი კაცი, არც ერთი კეთილგონიერი ქალი ასე არ მოიქცევა და, მაშასადამე, ამგვარი საქციელი ნამდვილი სიგიჟეა. მე კი ვდგავარ ეულად — ერთი ყველას წინააღმდეგ, ფეხს ვცემ მიწაზე და გავყვირი: არა, ეს კეთილგონივრულია-მეთქი! რა იცის ხალხმა? — არაფერი. ხალხი ეგუება, აღიარებს და ითვისებს რაიმე ახალს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს ახალმა მავანმა და მავანმა მოძღვარმა აღიარა; ამქვეყნად ყველაფერი პირობითია, ისეთი ცნებანიც კი, როგორიცაა: დრო, სივრცე, მოძრაობა, მატერიაც კი პირობითია. ხალხმა არაფერი იცის ზუსტად, იგი მხოლოდ ფიქრობს, რომ ასეა...

ნაგელმა თვალზე ხელი მიიფარა და ისე გაიქნია თავი, თითქოს თვალწინ ყველაფერი დაუტრიალდაო. შუა ოთახში იდგა.

რაზე ვფიქრობდი?.. კეთილი, მარტა მიფრთხის, მაგრამ მაინც მეთანხმება და მეც გული მიგრძნობს, რომ სიკეთეს მოვუტან. მინდა ქვეყანას ზურგი ვაქციო, უკან ვუბრუნებ საქორწინო ბეჭედს; ბრიყვივით დავბორიალობდი სხვა ბრიყვთა შორის და ბრიყვულად ვიქცეოდი. ვიოლინოზეც კი დავუკარი და ბრბო მიყიოდა: „კარგად ღრიალებ, ლომო!“ გული მერევა იმ უხამსი ტრიუმფის გახსენებაზე, როცა კაციჭამიები ტაშს მიკრავდნენ. კაბელვოგელ ტელეგრაფისტთან მეტოქეობა აღარ მსურს, მშვიდობის ველს ვაფარებ თავს, ვხდები ტყის მშვიდი მცხოვრები, ვევედრები საკუთარ ღმერთს, მხიარულ სიმღერებს ვმღერი და ვხდები ცრუმორწმუნე. წვერს მხოლოდ ზღვის მოქცევისას ვიპარსავ და ჩიტების გადაფრენის მიხედვით ვანაყოფიერებ ჩემს მიწას. როცა შრომა მომქანცავს, ქოხის კარში ცოლი გამოდგება, ალერსიანად მიღიმის და თავის ქნევით მიხმობს. ვლოცავ და ალერსიანი ღიმილისთვის მადლობას ვუხდი... მარტა შენ ხომ თანახმა იყავი? ბოლოს, როცა ყველაფერი აგიხსენი, შენ ისე მტკიცედ მითხარი „ჰოო“, თავადაც უკვე იგივე გსურდა, რაც მე, და მაინც არაფერი გამოვიდა. უბრალოდ ადგნენ და წაგიყვანეს, მოულოდნელად დაგადგნენ თავზე და წაგიყვანეს, ჩემსა და არა შენდა საუბედუროდ.

დაგნი, მე შენ არ მიყვარხარ, ყველგან გზას მიღობავ, არ მიყვარს შენი სახელი, მაღიზიანებს, მე მას ვამახინჯებ, „დაგნა“-მეთქი, ვაბობ და ენას ვყოფ. იწამე ღმერთი და ყური დამიგდე. როცა ჩემი ჟამი დარეკავს და მოვკვდები, მინდა შენთან მოვიდე და კედელზე ჯვრის ჩრდილად გამოგეცხადო. ჩონჩხის სახეს მივიღებ და არ მოგასვენებ, ცალ ფეხზე დავლურს დავუვლი შენს გარშემო და ჩემი მოკარება ხელ-ფეხს წაგართმევს. დიახ, ასე ვიზამ, ასე ვიზამ!

ღმერთმა დამიფაროს შენგან აწ და უკუნითი უკუნისამდის; ეს კი იმას ნიშნავს, ე. ი. ეშმაკის კერძი გამხდარხარ. მთელი სულით და გულით ვევედრები ამას...

მერე რა, რა გამოვიდა? დაგნი, მაინც მიყვარხარ და შენც მშვენივრად იცი, რომ მიყვარხარ, მიყვარხარ — მიუხედავად ყველაფრისა! იცი, რომ ვნანობ, მწარე სიტყვები რად ვუთხარი-მეთქი. მერე რა იქნება? რა მნიშვნელობა აქვს? ანდა, ვინ იცის, იქნებ, უკეთესიც კია, ასე რომ მოხდა? შენ თვითონ თქვი, უკეთესიაო, მაშინ მართლა ასე ყოფილა; მეც იგივეს ვგრძნობ, რასაც შენ, მე ის მგზავრი ვარ, გზაზე რომ შეაჩერეს. მაგრამ ვთქვათ, ყველაფერი მოგეტევებინა და შენი ბედი ჩემთვის დაგეკავშირებინა — რისი ღირსიც, რა თქმა უნდა, არ ვარ, მაგრამ, დავუშვათ, ასე მომხდარიყო. — რა გამოვიდოდა აქედან? ხელს შემიწყობდი ჩემი ზრახვანი განმეხორციელებინა, ამესრულებინა ის, რისი გაკეთებაც ამქვეყნად ბედმა დამაკისრა. მაგრამ მრცხვენია-მეთქი, გეუბნები. გაფიქრებაზეც კი სირცხვილისგან გულის ძგერა მიჩერდება. ყველაფერს აგისრულებდი, იმიტომ რომ მიყვარხარ, მაგრამ გულის სიღრმეში დავიტანჯებოდი. ეშმაკმა დალახვროს, აბა რა აზრი აქვს, რას ვვარაუდობ, როცა ყველაფერს შეუძლებელი უდევს საძირკვლად! შენ არ აპირებ არავის მიტოვებას, რათა შენი ბედი ჩემს ბედს დაუკავშირო, შენ მე ნიშნს მიგებ, დამცინი და აბუჩად მიგდებ. რაში მენაღვლები? წერტილი.

დუმილია. გაანჩხლებული.

სხვათაშორის, იცოდე, ახლა ერთ ჭიქა წყალს დავლევ და ჯანდაბას გაგისტუმრებ. დიდი სიბრიყვე მოგსვლია, თუ გგონია, მიყვარხარ და ახლა, როცა ჩემი საათი საცაა ჩამოჰკრავს, მაგისთვის გავიცხელებ კიდევ თავს! იცოდე, მძულს ეგ შენი მეშჩანური, გამოკოხტავებული, უზრუნველი და ფუყე ცხოვრება. ღმერთია მოწამე, მეჯავრება და შენზე ფიქრისას გული წმიდათა-წმიდა რისხვით მევსება. წარმომიდგენია, რა კაცად მაქცევდი! ჰა-ჰა-ჰა! თუ გინდა, ხატზე დავიფიცებ, დიდ ადამიანად გამხდიდი! ჰა-ჰა, მე ხომ გულის სიღრმეში მრცხვენია მაგ შენი დიდი ადამიანებისა...

დიდი ადამიანი! რამდენი დიდი ადამიანია ამქვეყნად? პირველ ყოვლისა, დიდი ნორვეგიელები — ესენი საერთოდ ყველაზე დიდი ხალხია მთელ დუნიაზე — მერე საფრანგეთის დიდი ადამიანები. ჰიუგოსა და სხვა პოეტთა ქვეყანაში; ახლა კიდევ ბარნუმის ბალაგანი — იქაც არიან დიდი ადამიანები. ჰოდა, ამ დიდ ადამიანთა ჯოგი არხეინად დააბიჯებს დედამიწაზე, რომელიც სირიუსთან შედარებით ჩვეულებრივი ტილის ხელაა. დიდი ადამიანი თქვენ პატარა კაცი ხომ არ გგონიათ? დიდი ადამიანი პარიზში კი არ ცხოვრობს, არამედ სუფევს; დიდი ადამიანი ისეთ თვალუწვდენელ მწვერვალზე დგას, რომ ყველაფერს ზევიდან დასცქერის. ლავუაზიე ითხოვდა, სანამ რაღაც ქიმიურ გამოკვლევას არ დავამთავრებ, თავი არ მომკვეთოთო. ეს კი იგივეა, რომ თქვას: ფეხს ნუ ადგამთ ჩემს ნახაზებს: ჰა-ჰა-ჰა, რა კომედიაა! ევკლიდემაც, დიახ, დიახ, ევკლიდემაც კი თავისი აქსიომებით ცხოვრების მთავარ არსს ფასი ერთი ერთიც ვერ აუწია. ოჰ, რა უბადრუკი, უნდილი და დაბეჩავებული გახადა ხალხმა ღვთით ბოძებული ჩვენი სოფელი.

დიდ ადამიანებს პირველივე ხელთ მოხვედრილი პროფესიონალებისგან ქმნიან, აი იმათგან, ვინც შემთხვევით აკუმულატორი გააუმჯობესა ანდა მაგარი კუნთები აღმოაჩნდა და შვეცია ველოსიპედით გადასერა. დიდ ადამიანებს წიგნებს აწერინებენ, რომ მერე მეტი გულმოდგინებით სცენ თაყვანი.

ჰა-ჰა-ჰა, რა სეირია, ამისათვის კი ღირს ფულის გადახდა! მალე ყველა თემი დაისვამს დიდ ადამიანს — ვინმე იურისტს ანდა რომანისტს, ან უსაშველოდ დიდ პოლარულ მკვლევარს და დედამიწა ისე შეუდარებლად დაბრტყელდება და გადასწორდება, იოლზე იოლი იქნება თვალის მოვლება.

დაგნი, ახლა ჩემი ჯერია, ვზეიმობ, დაგცინი და გამასხარავებ, რა მესაქმება შენთან? მე არასოდეს დიდი ადამიანი არ გავხდები...

მაგრამ, ვთქვათ, ამქვეყნად აურაცხელი დიდი ადამიანი დააბიჯებს — მთელი ჯარი ასეთი და ასეთი სიდიდის გენიოსებისა. რატომაც არა? მერედა, რა გამოვა? მათი სიმრავლე მომხიბლავს? პირიქით, რაც მეტნი იქნებიან, მით უფრო ჩვეულებრივნი მომეჩვენებიან. იქნებ, მიბრძანოთ, მაინცდამაინც ისე მოვიქცე, როგორც მთელი ქვეყანა იქცევა? ეს ქვეყანა არასოდეს იცვლება, მხოლოდ იმას აღიარებს, რაც უკვე იყო, აღფრთოვანებულია დიდი ადამიანებით, მუხლს იყრის მათ წინაშე, უკან დასდევს, „ვაშას" ძახილით ეგებება. რაო, მეც ასე მოვიქცე? კომედიაა, წმინდა წყლის კომედიაა! დიდი ადამიანი ქუჩაში მიაბიჯებს, მავანი კი მავანს მუჯლუგუნს კრავს და ეუბნება: „აგერ ესა და ეს დიდი ადამიანი მოდის"; დიდი ადამიანი თეატრში ზის, ერთი მასწავლებელი მეორეს გაწლიკულ ბარძაყზე ჩქმეტს და ეჩურჩულება: „შეხე, გვერდითა ლოჟაში ესა და ეს დიდი ადამიანი ზის". ჰა-ჰა-ჰა! თვითონ, თვითონ რაღას შვრება ეს დიდი ადამიანი? იგი გულმოწყალედ იღებს თაყვანისცემას, დიახ, დიახ, სწორედ ასეა. ჰგონია, რომ ხალხი არ ცდება, რომ მართლა ღირსია ამ ყურადღებისა, იფერებს, თვალს არ არიდებს, არც კი წითლდება, ვითომდა რატომ უნდა გაწითლდეს, განა დიდი ადამიანი არ არის?

სტუდენტი ეიენი, რა თქმა უნდა, არ დამეთანხმება, თვითონ აპირებს დიდ ადამიანობას. იგი ხომ არდადეგებზე რომანსა წერს. უმალ ფუქსავატობაში გამხელდა: „ბატონო ნაგელ, თქვენ თავად ეწინააღმდეგებით საკუთარ თავს. გაგვიმარტეთ თქვენი აზრი".

და მეც განვუმარტავდი ჩემს აზრს.

მაგრამ ჭაბუკი ეიენი ჩემს განმარტებას არ დაჯერდებოდა და მკითხავდა: „მაშ, თქვენის აზრით, გამოდის, დიდი ადამიანები საერთოდ არ არსებობენ?"

დიახ, აუცილებლად მეტყოდა ამას, თანაც მას მერე, რაც ჩემს აზრს განვუმარტავდი! ჰა-ჰა-ჰა! აი, როგორ გაიგებდა ჩემს პასუხს. მიუხედავად ამისა, მე მაინც გულმოდგინეთ ავუხსნიდი, რა მინდოდა მეთქვა, ჩემებურად გავუტევდი და ვეტყოდი: „მაშ ასე, ჩვენ გენიოსების მთელი ლაშქარი გვყავს. გესმით, რას გეუბნებით? მთელი ლაშქარი! მაგრამ უდიადესნი კი — ნურას უკაცრავად! გესმის, რა განსხვავებაა? მალე ყველა თემს ეყოლება საკუთარი დიდი ადამიანი, მაგრამ დიადი ადამიანი ათასწლეულში იქნებ ერთიც არ დაიბადოს. სიტყვა „დიდ ადამიანში" ხალხი ნიჭს გულისხმობს, შეიძლება გენიოსობასაც, გენიოსი კი, ღმერთო შენ მიშველე, სრულიად დემოკრატიული ცნებაა. მერწმუნეთ, შეჭამეთ რამდენიმე ბიფშტექსი დღეში და თქვენი საგვარეულო მესამე, მეხუთე ანდა მეათე თაობამდე უზრუნველყოფილი იქნება გენიოსებით. გენიოსი არაჩვეულებრივი მოვლენა არ არის. მოკლედ, გენიოსი ყურადღებას იპყრობს, მაგრამ არ გაოცებს. წარმოიდგინეთ ასეთი რამ: ზამთრის მოწმენდილ საღამოს ობსერვატორიაში ტელესკოპთან დგახართ და ორიონის თანავარსკვლავედს შესცქერით. უეცრად ზურგს უკან ვიღაცის ხმა გესმით: „საღამო მშვიდობისა, საღამო მშვიდობისა". უკან ბრუნდებით და რას

ხედავთ? — თქვენს წინ თავად ფარნლეი დგას და მოწიწებით გესალმებათ. მაშ ასე, თქვენ დიდი ადამიანი გეწვიათ. გვერდითი ლოჟის გენიოსი... თქვენ კი, რა თქმა უნდა, ჩუმად ჩაიცინებთ და ტელესკოპისკენ იბრუნებთ პირს, რომ კვლავ დაუკვირდეთ ორიონის თანავარსკვლავედს. ერთხელ ასეთი რამ შემემთხვა... გამიგეთ, რისი თქმა მინდა? აი, რა მინდა გითხრათ: იმის მაგივრად, რომ აღფრთოვანდე ჩვეულებრივი დიდი ადამიანებით, ვის[illegible] უბრალო მოკვდავნი უდიდესი პატივისცემის ნიშნად ერთმანეთს მუჯლუგუნს კრავენ, მირჩევნია უცნობ გენიოსებს — უდროოდ მიცვლილ ჭაბუკებს მივუზღო წაკადრისი, ჭაბუკებს, რომელთა ნაზი, ციცინთელებივით მოციმციმე სულები იმთავითვე არიან განწირულნი, რომლებიც თუ შემთხვევით არ გაიცანი, სანამ კიდევ ცოცხლები არიან, მათ არსებობასაც ვერ გაიგებ. აი, ესენი არიან ჩემი გუნებისა. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მთავარია, დიდი და უდიდესი განასხვაო ერთმანეთისგან, რათა უდიდესი ისეთ მწვერვალზე აიტაცო, რომ გენიოსთა პროლეტარიატში არ შთაინთქას. გენიოსთა შორის ღირსეული ადგილი უდიდესმა მინდა დაიჭიროს; მაშ, აირჩიეთ, მაიძულეთ, რომ თაყვანი ვცე, მომაშორეთ გენიოსები კომუნის მასშტაბით, ეს კი იმას ნიშნავს, უდიდესი უნდა იპოვოთ — მისი აღმატებულება უდიდესი...

ამაზე ჭაბუკი ეიენი მომიგებს — დიახ, კარგად ვიცნობ, აუცილებლად მეტყვის: „ჰო მაგრამ, დამეთანხმეთ, თქვენი მსჯელობა წმინდა წყლის თეორიაა. ეგ ყველაფერი პარადოქსია და მეტი არაფერი".

მაგრამ მე ვერ დავეთანხმები, თითქოს ეს მხოლოდ თეორია იყოს. ღმერთია მოწამე, არასგზით არ შემიძლია! რა სხვანაირად ვუყურებ ყველაფერს?! მერედა, ჩემი ბრალია? იმის თქმა მინდა: ბრალი პირადად მე მამიძღვის? მე უცხო ვარ, უცხოელი ამ ქვეყანაში, ასე ვთქვათ, ღმერთის ხუშტური, რაც გინდათ ის მიწოდეთ...

გაკერპებული.

გეუბნებით, სულაც არ მენაღვლება, რას მიწოდებთ-მეთქი, ქედს მაინც არასოდეს მოვიხრი, არასოდეს! კბილს კბილზე ვაჭერ, გულს ვიქვავებ, იმიტომ რომ მართალი ვარ; მე ერთი ვიქნები მთელი ქვეყნის წინააღმდეგ და ქედს მაინც არ მოვიხრი! რაც ვიცი, ვიცი, მართალი ვარ გულის სიღრმეში; ფეცრად შევიგრძნობ ხოლმე, რომ ყველაფერი მარადიულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული, კიდევ უნდა მეთქვა რაღაცა, რა — აღარ მახსოვს, მაგრამ ქედს მაინც არ მოვიხრი: მე გავაცამტვერებ თქვენს სულელურ წარმოდგენას დიდ ადამიანებზე. ჭაბუკი ეიენი ამტკიცებს, თითქოსდა ჩემი აზრი მხოლოდ თეორია იყოს. კეთილი და პატიოსანი, თუ ჩემი აზრი მხოლოდ თეორიაა, მე მას უარვყოფ და ახალ, უფრო სარწმუნო საბუთებს მოვიყვან, უფრო კარგად დავასაბუთებ, ვიდრე ადრე ვასაბუთებდი; მე ხომ არაფრის მეშინია. ჰოდა, გეუბნებით... მაცალეთ, დარწმუნებული ვარ, მეტი დაბეჯითებით შემიძლია დაგიმტკიცოთ, იმიტომ რომ გული ჩემი მართლად მეტყველებს. დიახ, დიახ, გეუბნებით, მეზიზღება და მეჯავრება გვერდითი ლოჟის დიდი ადამიანი, ჩემთვის იგი, გულახდილად რომ გითხრათ, ტაკიმასხარა და ტუტუცაა. ტუჩები დაცინვით მეგრიხება, როცა მის გამოჯგიმულ გულ-მკერდსა და გამარჯვებულ სახეს შევცქერი. რაო, დიდი ადამიანის დამსახურებაა, რომ გენიოსია? განა იმთავითვე გენიოსად არ დაიბადა? მაშ, რატომღა უნდა მივეგებოთ „ვაშას" ძახილით?

ამ დროს ჭაბუკი ეიენი მეკითხება: აკი თქვენ თვითონ გსურდათ, ღირსეული ადგილი მიგეჩინათ მის აღმატებულება უდიდესი გენიისათვის? თავად ეთაყვანებით ამ უმაღლეს გენიოსს, თუმცა გენიოსობა არც მას მოუხვეჭია თვითონ.

და ჭაბუკ ეიენს ჰგონია, კვლავ დამიჭირა სიტყვაზე; დიახ, ასე ჰგონია! მეც ისევ ვეპასუხები, იმიტომ რომ ჩემი ბაგენი ჭეშმარიტებას ღაღადებენ: თუ აუცილებელია და ამით ხმელეთი განიწმინდება, მზად ვარ, უდიდესთა შორის უდიდესს არ ვცე თაყვანი და მისი აღმატებულება გენიოსიც კი უარვყო. დიდი გენიოსით მისი სიდიადის გამო არიან აღტაცებულნი, მისი დამსახურება გვგონია, რომ მან გენიოსობის ხელმისაწვდომ სამანამდე მიაღწია, თითქოს ეს მთელი კაცობრიობის საკუთრება და, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მატერიის თვისება არ იყოს. უდიდესმა გენიოსმა რომ შემთხვევით იგდო ხელთ გენიოსობის ნაწილი, რომელიც მამამისის, მისი შვილის, შვილიშვილისა და შვილთაშვილის ხვედრი უნდა ყოფილიყო და რომ მან, ამგვარად, თავისი შტო რამდენიმე ასეული წლის მანძილზე გაძარცვა და არარაობად აქცია, რა თქმა უნდა, მისი დამსახურება არ არის. მან უბრალოდ აღმოაჩინა, რომ გენიოსია: მიხვდა, ,განგებამ რაც დააკისრა და განახორციელა... თეორიაა? არა, არ არის! გაიგეთ, ეს ჩემი მრწამსია, რომელიც გულის სიღრმეში გამოვკვეთე. მაგრამ თუ თქვენ ესეც თეორიად მოგეჩვენებათ, მაშინ მე არა ერთ და ორ დამაჯერებელ საბუთს ვიპოვი, დიახ, თუ საჭირო იქნა, შემიძლია თქვენს სიტყვებს მესამე, მეოთხე და მეხუთე გამანადგურებელი პასუხი გავცე; ვეცდები, რაც შეიძლება, მარჯვედ გიპასუხოთ, მაგრამ არ კი შეგეპუებით.

მაგრამ არც ჭაბუკ ეიენს სურს, შემეპუოს, იმიტომ რომ იმას მთელი ქვეყანა უმაგრებს ზურგს და მეუბნება: „ისე გამოდის, თქვენ არც ერთ დიდ ადამიანს, არც ერთ გენიოსს, საერთოდ არავის ეთაყვანებით!"

ჰოდა, მეც ვპასუხობ, იგი კი სულ უფრო და უფრო უგუნებოდ ხდება, იმიტომ რომ თვითონ აპირებს დიდ ადამიანობას. მე იმას თავზე ცივ წყალს ვასხამ და ვეუბნები: „დიახ, გენიოსებს არ ვეთაყვანები, მაგრამ ამქვეყნად მათი ნაღვაწის შედეგს კი თაყვანსა ვცემ, იმ ნაღვაწს, რომლისთვისაც ყველა გენიოსი უბრალო იარაღი, ასე ვთქვათ, ერთი უბადრუკი სადგისია, რომელიც ნახვრეტის გასაკეთებლადაა შექმნილი... ახლა გაიგეთ? გესმით ჩემი?"

ნაგელი ხელს იწვდის და განაგრძობს:

— ოჰ, კვლავ ვიხილე ახლა ყველა მოვლენათა დაუსაბამო შინაგანი კავშირი! თვალს როგორა ჭრის! თვალს როგორა ჭრის! ამ წამს, აქვე, შუა ოთახში უდიდესი ნათელი მომეფინა! აღარაფერი იყო ჩემთვის ფარული, ძირის-ძირამდე განვჭვრიტე ყველაფერი და ქვესკნელის შუქმა დამაბრმავა!

დუმილია.

დიახ, დიახ, ასეა, ასე! კაცთა შორის უცხო ვარ და ჩემი ჟამი მალე ჩამოჰკრავს, დიახ, დიახ... კაცმა რომ თქვას, რას ვაქნევ დიდ ადამიანებს! არაფერს! ოღონდ ეგ არის, დიდ ადამიანთა გარშემო ატეხილი აურზაური კომედია, თაღლითობა და სიცრუეა. კეთილი, მაგრამ განა ამქვეყნად ყველაფერი კომედია, თაღლითობა და სიცრუე არაა? დიახაც, რომ სიცრუეა. ქალიც, მაიცაიც, ყველა კაცი, სიყვარული და თვითონ ცხოვრებაც სიცრუეა; ყველაფერი რასაც ვხედავ, მესმის, აღვიქვამ—სიცრუეა, სიცრუეა ცის ლაჟვარდი — ოზონი და შხამია — შემპარავი

შხამი... ხოლო როცა ცა კრიალა და ლურჯია, მე იქ მაღლა ნავზე იალქანს ვაფრიალებ და მშვიდად მივცურავ წინ ლურჯ, მატყუარა ოზონზე და ნავი სურნელოვან ხეთაგან ნაგები და იალქანი...

თვითონ დაგნიმ მითხრა, ლამაზიაო, დაგნი, ეს შენ ჩითხარი და, მიუხედავად ყველაფრისა, ძალლობელი ვარ იმიტომ, რომ ამით ისეთი ბედნიერება მომანიჭე, სიხარულისგან თავბრუ დამეხვა. ყოველი შენი სიტყვა მახსოვს, ხშირად ქაღალდზე ვიწერ ყველაფერს და როცა გარე-გარე დავეხეტები და, ვინ იცის, რაზე აღარ ვფიქრობ ხოლმე, მაშინ ვიხსენებ და არასოდეს არაფერი მავიწყდება. ახლა როგორც კი საათი დაჰკრავს, შენ გაიმართვებ ხელს ვიღებ შენს დევნაზე, არც კუდელზე მოგეჩვევნები; უნდა მაპატიო, რომ გაწინებდი, მუდამ გაგებდება მალაპარაკებდა. არა, როცა დაგეძინება, მაშინ მოვალ, რომ თეთრი ფრთებით გაგინიავო. მღვიძარს კი თან გამოგყვები და კეთილი სიტყვით სმენას დაგიტკბობ. იქნებ ამ სიტყვების გაგონებისას პასუხად გამიღიმო კიდეც, ჰო, იქნებ კიდეც გამიღიმო. მაგრამ თუ თეთრი ფრთები არ მექნა, ანდა არც ისე თეთრი იქნა, მაშინ უფლის ანგელოსს ვთხოვ, ჩემმაგივრობა გაგიწიოს. მე ახლოსაც არ გაგეკარები, სადმე კუთხეში მივიყუჟები და იქიდან გიყურებ იმის იმედად, ვინ იცის, იქნებ კიდეც გაუღიმოს-თქო.

ისე მიხარია ამაზე ფიქრი, რომ ახლა მხოლოდ ერთი სურვილი მაწვალებს — ჩქარა, ჩქარა! რაც შეიძლება ჩქარა ასრულდეს ყველაფერი! იქნებ, სხვა რამ საოცრებაც შევძლო და გული გაგიხარო. მინდა, კვირა დილას ეკლესიაში მიმავალს თავზე გალობით გევლებოდე. ამასაც ვთხოვ უფლის ანგელოსს. თუ ვერ დავიყოლიებ და თხოვნას არ ამისრულებს, მუხლებში ჩავუვარდები და იქამდე ვევედრები სულ უფრო და უფრო მორჩილად, სანამ თხოვნას არ შემისრულებს. სამაგიეროდ ძალიან კარგ რამეს შევპირდები და ავუსრულებ კიდეც დანაპირებს. თუ კეთილად მომექცევა, ყველანაირად ვაამებ... ჰო, ჰო, ამას ნამდვილად გავაკეთებ. უკვე ერთი სული მაქვს, საქმეს შევუდგე. გაფიქრებაზეც კი სიხარულისგან ცახცახი ვიწყები. ახლა უკვე მალე დაჰკრავს ჩემი საათი, თვითონ მოვისწრაფებ, სიხარულით ველი მის მოსვლას... ღმერთო ჩემო, როცა ბურუსი გაიფანტება, ჰა-ჰა-ჰა-ჰა...

სიხარულისგან ატაცებულმა და უცნაურად აღგზნებულმა კიბე ჩაირბინა და სასადილოში რომ შევიდა, ისევ ღიღინებდა. ამ დროს სულ უმნიშვნელო შემთხვევამ ერთი დაკვრით ჩაუკლა სიხარული და რამდენიმე საათს კვლავ პირქუშმა ნაღველმა დარია ხელი. ღიღინ-ღიღინით, სწრაფად საუზმობდა ზეზეულად; დიახ, თუმცა სასადილოში მარტო არ იყო, სუფრას მაინც არ მისჯდომია. როდესაც შენიშნა, სასტუმროს ორი სხვა მდგმური აშკარად ამრეზილი უყურებდა, იმ წუთში მოუბოდიშა, ადრევე რომ შეემჩნია, მარტო არ იყო, რა თქმა უნდა, ხმაურს არ ატეხდა ტყუილად, ასეთ დღეს. როცა ამისთანა დარია, ირგვლივ რა ხდება, საერთოდ ვერ ამჩნევს ხოლმე. ერთი ნახეთ, რა ღმერთივით დილაა! აბა, ყური მიუგდეთ, ბუზები უკვე ბზუიან!

მაგრამ მის ნათქვამს არავინ გამოეპასუხა. ორივე მდგმური ისევ ისე ამრეზილი დიდის ამბით საუბრობდა პოლიტიკაზე. ნაგელს მაშინვე წაუხდა გუნება. ჩაჩუმდა და წყნარად გავიდა სასტუმროდან. ქუჩაში პირველსავე დუქანში შეუხვია, სიგარები მოიმარაგა და ჩვეულებისამებრ, ტყისკენ გასწია. თორმეტის ნახევარი იყო.

დიახ, ნეტავი ადამიანები ხანდახან მაინც ღალატობდნენ თავს! აი, თუნ-

დაც ის ორი ვექილი თუ კომივოიაჟერი ავიღოთ, ერთსაც და მეორესაც ღიპი და კოტიტა თითები აქვს. ახი იქნება, მიბრუნდეს და მასხარად აიგდოს!

მაინც ვინ უნდა იყვნენ ეს კეთილშობილი ვაჟბატონები? ალბათ, ბურღულით, იაფფასიანი ტყავით ანდა, ღმერთმა უწყის, იქნებ, სულაც თიხის ქოთნებით მოვაჭრე კომივოიაჟერები არიან. გამომიჩნდნენ მერე განსაკუთრებით პატივსაცემი ხალხი! რაც გინდა თქვი და ერთ წუთში კი მოუშხამეს სიხარული. არადა, იმპოზანტური შესახედაობაც კი არა აქვთ! თუმცა ერთს კიდევ არა უშავს რა, მეორეს კი, აი იმას, ტყავით მოვაჭრეს, დაბრეცილი პირი მხოლოდ ცალი მხრიდან ეხსნება და ღილკილოს უფრო მიუგავს, ვიდრე ტუჩებს, ყურებიდან კი ბლუჯა-ბლუჯად გამოსჩრია ჭაღარა ბალანი. ფუჰ, ნამდვილი ჯოჯოხეთის მაშხალაა! აბა, როგორ იქნება, კაცმა სიხარული გამოამჟღავნო და შენთვის რაღაცას ღიღინებდე, როცა სუფრას ასეთი აზიზი უზის.

დიახ, რას იზამ, ადამიანები მართლაც არ იცვლებიან! ბატონები პოლიტიკაზე საუბრობენ, ბატონები არჩევნების შედეგებზე მსჯელობენ! მადლობა ღმერთს, ყველაფერი არ დაღუპულა, ჯერ კიდევ შეიძლება ბუსკერუდი მემარჯვენეებს დარჩეთ! ჰა-ჰა, რა საცეირო იყო იმათი გაფუყული სიფათების ცქერა, ამას რომ ამბობდნენ! თითქოს ნორვეგიული პოლიტიკა სხვა არა იყოს რა, თუ არა გლეხურ ცომზე აფუებული ბრიყვთა ნააზრევი.

ეშმაკმა დალახვროს, ღიღინს როგორა ბედავ! ხელი არ შეუშალო მუშაობაში სტორტინგის დეპუტატ ულეს, თორემ ვაი შენი ბრალი! ჩუმად, ულე ფიქრობს, ულე სწავლობს... მაინც რაზე ფიქრობს ულე? რა პოლიტიკურ მოსაზრებებს შეიტანს ხვალ სტორტინგში? ჰა-ჰა-ჰა, პატარა ნორვეგიის პატარა სამყაროს ნდობით აღჭურვილი პირი, ხალხისგან არჩეული, რათა რეპლიკები ისროლოს კომედიის მსვლელობის დროს, რომელიც ჩვენი ქვეყნის სცენაზე თამაშდება, თანაც არ დაგავიწყდეთ — წმიდათაწმიდა ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი, ყბაში საღეჭი თამბაქო მოუგდია და ქაღალდის საყელოც პატიოსანი შრომისგან მოგვრილი ოფლითა აქვს გაჟღენთილი. აბა, გზიდან ჩამოეცალეთ, ვერა ხედავთ, ხალხის რჩეული მოდის, ეშმაკმა დალახვროს, განი-მეთქი, რომ გაიაროს!

ღმერთო მაღალო! რატომ ხდება, რომ მხოლოდ მრგვალი, მსუქანი ნულები ადიდებენ ციფრებს?

კმარა, ჯანდაბას ნულები! ამდენი თვლითობისგან ისეთ აბეზარში ვარ მოსული, გახსენებაც აღარ მინდა. მაგის ჯობია ტყეში წავიდე და უკიდეგანო ცის ქვეშ მიწაზე გავიშოტო. იქ ყველო შესაფერისი ადგილია უცხოელისთვისაც და ჩიტებისთვისაც... ჩაჭაობებული ადგილის მოძებნას რა უნდა, პირდაპირ ნოტიო ხავსზე გაწვები და გრძნობ, რომ სინესტე ძვალსა და რბილში გიჯდება. ჩარგავ თავს ლერწმიანში, წყლით გაჟღენთილ ბალახებში და ყველა ჯურის მწერი, ჭიანჭველა და პაწაწკინტელა ფუმფულა ჩვილიკები ტანსაცმელში გიძვრებიან, სახეზე გიცოცდებიან, მწვანე ხავერდოვანი თვალებით შემოგცქერიან, ტყის ღუმილი ყოველი მხრიდან გეჯარება, ნელი სიო გელამუნება, მამა ღმერთი კი ცაში არხეინად წამოსკუპებულა და იქიდან დაგცქერის შენ, თავისი ახირების ყველაზე ახირებულ ნაყოფს. ეჰე-ჰეი! აი, მაშინ კი ისეთი წარმოუდგენელი, ჯერ განუცდელი, არაამქვეყნიური ჯოჯოხეთური სიხარული მოგიცავს, გუნება უმალ გაგიკეთდება. მზადა ხარ იშლეგო, რაც კი მოგეპრიანება, ყველაფერი ჩაიდინო: ტყუილ-მართალი აგერია, მთელი სამყარო თავ-

დაყირა დააყენე და ისეთი ბედნიერი ხარ, თითქოს კეთილი საქმე ჩაგედინოს. რატომაც არა? შენ ტყვე ხარ შეუცნობელი იმპულსებისა, რაღაც უცნაურად გრძნობ თავს და მწარე სიხარულით ატაცებული ნებდები ამ გრძნობას. დაუძლეველი სურვილი გერევა: ის აქებ-ადიდო, რასაც წინათ მასხრად იგდებდი; გიხარია, რადგან გრძნობ, მზად ხარ იბრძოლო სამარადისო მშვიდობისთვის, სათავეში ჩაუდგე ფოსტალიონთათვის ფეხსაცმლის გასაუმჯობესებლად შეკრებილ კომისიას, სიტყვა შეაწიო პონტუს ვიკნერს. [illegible] მამა-უფალი და ათადან-ბაბადან დაწესებული სამყაროს კანონზომიერება. ჯანდაბას, მოვლენათა შინაგანი კავშირი! რაში გენაღვლება? შენთვის უკვე ყველაფერი, ყველაფერი სულ ერთია. „რაღაც თალიან ჩამოცხა. ჰო, მზე კაშკაშებს“.. გრძნობა იმარჯვებს, ხომ მართალია? ჩანგს აწყობ და ფსალმუნებსა და საგალობლებს გალობ, გალობ და, თანაც არ იტყვი, როგორ! —ენით უთქმელი მოწიწებით.

მეორეს მხრივ კი, როცა ერთიანად ტალღებს მინებდები და თან სულში ქარბუქი გიტრიალებს, ყველანაირი ჭუჭყი ზედაპირზე ამოტივტივდება ხოლმე. ეჰ, დაე, წაგიღოს დინებამ, დაე, წაგიღოს. რა სასიამოვნოა, როცა ტალღების ნებას მიჰყვები! ან რა საჭიროა გაძალიანება? ჰა-ჰა, ნუთუ დაგვიანებულ სტუმარს უფლება არა აქვს, დარჩენილი წამები თავის ქეიფზე გაატაროს? ჰო თუ არა? წერტილი.

არადა, რამდენი რამისთვის შეგეძლო, მოგეკიდა ხელი, შეგეძლო შენი ძალ-ღონე ქვეყნის შიდა ამოცანების ამოხსნისთვის შეგეწირა, ანდა იაპონური ხელოვნება გაგეცნო ხალხისთვის, ან გალინგლდანის რკინიგზის აყვავებისთვის გეზრუნა — რა მნიშვნელობა აქვს, რას შესწირავდი თავს, ოღონდ კი რამენაირად გამოგეყენებინა შენი ძალ-ღონე, რამისთვის შეგესხა ხორცი, უეცრად ხვდები, რომ ისეთ კაცს, როგორიც ი. ჰანსენია, სწორედ იმ დიდად პატივცემულ თერძს, რომელსაც შენ ერთ დროს მაიცას ქურთუკი დაუკვეთე შესაკერად, დიახ, აი, იმ ჰანსენს ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის, როგორც მოქალაქესა და ადამიანს. ჯერ პატივისცემის გრძნობა გიპყრობს, მერე კი სულაც შეგიყვარდება. რატომ გიყვარს? უბრალოდ იმიტომ, რომ ასე გინდა, კიდევ — ჯიუტობისა და იმ გაკერპებული სიხარულის გამო, რომელიც თავით-ფეხამდე მოგრევია და კიდევ იმიტომ, რომ რაღაც უცნაურად გრძნობ თავს და ამ გრძნობას არ უძალიანდები. ჩურჩულით უზიარებ შენს აღტაცებას, გულწრფელად უსურვებ ყოველგვარ სიკეთეს და წარმატებას. ღმერთმა უწყის რატომ, ხელში სჩრი შენს მედალს, რომელიც წყალწაღებულთა გადარჩენისთვის მიგიღია. ჰოდა, რატომ არ შეიძლება ასე მოიქცე, თუკი შეუცნობელი იმპულსების ტყვე ხარ? მაგრამ ესეც არ გყოფნის. გული გეთანაღრება, რომ ოდესღაც, ცოტა არ იყოს, აგდებულად მოიხსენიე სტორტინგის დეპუტატი ულე... აი, მაშინ კი მართლა აძლევ თავს ნეტარ სიგიჟეს. ოხო, ხო, აძლევ და თანაც როგორ!

რა მადლი აღარ დასდო სახელმწიფოს სტორტინგის დეპუტატმა ულემ. ნელ-ნელა გეხილება თვალი, უკვე ღირსეულად აფასებ მის ერთგულებას, რიგიან-პირიან მოღვაწეობას და გული გიჩვილდება. შეძრული ხარ სულით-ხორცამდე, სლუკუნებ, თანაგრძნობის კურცხალსაც აფრქვევ და გულში ფიცსა სდებ, რომ ულეს ასმაგად მიუზღავ სამაგიეროს. როცა ამ მოხუცზე ფიქრობ, რომელიც ხალხის წიაღიდან გამოვიდა, მებრძოლი და უპოვარი ხალხის წია-

ლიდან. ისეთი წმინდა, ღვთოკებული გრძნობით გევსება გული, მზად ხარ, სარივით იბოდიალო. იწყებ ყველას და ყველაფრის განქიქებას, რომ ... თავისი მიუზღოა; განსაკუთრებულ კამათებს განიცდი, როცა უფალს ... სადიდებლად სხვის სიყვარულზე თვალს ხუჭავ, უფალს სადიდებლად ყველაზე ხმამაღლა და მაღალფარდოვან სიტყვებს ეძებ, ამტკიცებ, რაც კი ამქვეყნად გასაგებია, თითქმის ყველაფერი უფალმა გააკეთაო, რომ ერთადერთი ფუნდამენტური გამოკვლევა სპექტრულ ანალიზზე, რომლის წაკითხვაც ღირს, მისი დაწერილია, რომ 1719 წელს, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ მან გადახნა ამერიკის პრერიები; მან გამოიგონა ტელეგრაფი, იმოგზაურა სატურნზე და ხუთჯერ ესაუბრა მამაუფალს, რა თქმა უნდა. მშვენივრად იცი, მსგავსი არაფერი უქნებია, მაგრამ უსაზღვრო თანაგრძნობით მოცული, მაინც ამტკიცებ. გააკეთა, გააკეთაო და კიდევ უფრო გამწარებული ღრიალებ; იფიცები, ამტკიცებ, რომ მზად ხარ, თავს იდებ ჯოჯოხეთის ცეცხლის წამება, თუ ასე არ არისო. ასე რატომ იქცევი? სინანულისგან, იმიტომ, რომ გინდა უფალს ასმაგად უმაგიერო! უფრო მეტად რომ განადიდო, იწყებ გალობას, გალობ ყურცხვე, მკრეხელურ ჰიმნებს, ირწმუნები, რომ უფალმა შექმნა ცა და ქვეყანა, მან განალაგა მზე და მნათობნი და, ამგვარად, შექმნა სამყაროც. მერე კი საშინელი ფიცით ჰფიცავ, ყველაფერი თავანკარა სიმართლეაო. მოკლედ რომ ვთქვათ, სწორედ სინანული იწვევს აღვირახსნილ, მათრობელა აზრთა ჯირითს, გაქნილ ფლიდობას, ჭეშმარიტ მკრეხელობას. ახლა ყოველთვის, როცა კი უფალს სადიდებლად რაღაც განსაკუთრებულს, ჯერეთ უთქმელს მოიფიქრებ, უმალ ფერხთ ირთხავ და სიამოვნებისგან ჩუმად ხითხითებ, რომ ბოლოს და ბოლოს მოახერხე და უფალს ულევი მიაგე. დიახ, უფალი ყველაფერს აინაზღაურებს, უფალმა ეს დაიმსახურა, იმიტომ, რომ უწინ ღირსეულ პატივს არ მიაგებდი და ახლა ნანობ...

ჰო... როგორ იყო... უნდა გავიხსენო.. შენ არ იყავი, ერთხელ უხამსი ლექსი რომ შეთხზე სხეულზე... დიახ, დიახ. მკვდარ სხეულზე... მოიცა, ერთ ქალიშვილზე, ნორჩ ქალზე; იგი მიიცვალა და უფალს მადლობას სწირავდა, რომ სხეული ათხოვა, თუმცა იმ სხეულით სარგებლობა ვერ მოასწრო. სდექ! გამახსენდა, მინა მეეკზე იყო. დიახ. ცხადად გამახსენდა და სირცხვილით ვიწვი. რას აღარ როშავ ჰაჰარად, მერე კი ნანობ და სირცხვილისგან ლამის იყმუვლო, ლამის კბილით საკუთარი ხორცი იგლიჯო. მართალია, ლექსის ამბავი მარტო მაიცამ იცის, მაგრამ საკუთარი თავის წინაშე ვიწვი სირცხვილით. ახლა ამ სიბრიყვეს აღარ ... ესკიმოსსა და ... რომ მოეჩვენე, ფუჰ! ღმერთო, შენ მიშველე, მზად ვარ მიწა გამისკდეს და თან ჩამიტანოს... დაწყნარდი! თავი აწიე! ეშმაკმა დალახვროს, ასე თავის ამოჭმაც არ შეიძლება! მარტო იმის წარმოდგენა რად ღირს, თუ ოდესმე მამაზეციერის სასუფეველში ყველა მარტვილი მოიყრის თავს. შენც მათ შორის იქნები. უჰ, ღმერთო მაშორე! რა მოსაბეზრებელია, რა მოსაბეზრებელია...

ტყეში შევიდა, იმ კორდისკენ გადაუხვია, რომელიც თვალში პირველად მოუვიდა და ხელებში თავჩარგული ლეღვის ბუჩქებში პირქვე ჩაემხო. რა არეული, რა ორომტრიალი გაუმართავთ მის თავში სულელურ ფიქრებს! ორიოდე წუთში უკვე ღრმად ეძინა. ოთხი საათიც არ იქნებოდა მას შემდეგ, რაც ლოგინიდან წამოდგა და მაინც დაეძინა, თითქოს ქვესკნელში ჩავეშვაო. ისე დაეძინა — არაქათგამოცლილს, გამოფიტულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადამოხანს გამოეღვიძა. მიიხედ-მოიხედა. მზე ჩადიოდა, საცაა ორთქლის წისქვილს მიეფარებოდა. ხიდან ხეზე მოფრთხიალე ჩიტები გამაყრუებლად გნიასებდნენ. გონება დაწმენდოდა. შფოთიანი ფიქრები აღარ ტანჯავდა, აღარც ნაღველი აწუხებდა. სულით-ხორცამდე მშვიდად იყო. ხეს მიეყრდნო და ჩაფიქრდა. ახლავე აღასრულოს? ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს, ერთი საათით ადრე იქნება თუ გვიან? არა, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი რაღაც-რაღაცა: დას წერილი უნდა მისწეროს, მარტას სახსოვრად კონვერტით ფული უნდა დაუტოვოს. არა, ამ საღამოს ვერ მოკვდება. არც სასტუმროს დანახარჯი გაუსტუმრებია, მაიცაზეც სურდა ეზრუნა.

ნელი ნაბიჯით გაუყვა ქალაქის გზას. ხვალ საღამოს კი აუცილებლად აღასრულებს. აღასრულებს ყოველგვარი ეფექტის გარეშე, აწრაფად და უბრალოდ, სწრაფად და უბრალოდ!

საათმა სამი დარეკა, ნაგელი კი ისევ თავისი ოთახის სარკმელთან იდგა და ბაზრის მოედანს გადაჰყურებდა.

XIX

მეორე ღამეს, დაახლოებით თორმეტ საათზე, ნაგელი, როგორც იქნა, გამოვიდა სასტუმროდან. თადარიგი მაინცდამაინც არაფერზე დაუჭერია. ეგ იყო, დას წერილი მისწერა და მარტასთვის კონვერტში რამდენიმე კუპონი ჩადო. მისი ჩემოდნები, ვიოლინოს ყუთი, ძველი სავარძელი, ამას წინათ რომ იყიდა, ყველაფერი თავ-თავის ალაგას ეწყო. მაგიდაზე წიგნები ეყარა. სანამ გავიდოდა, სარას სთხოვა, რაფაზე მტვერი გადაეწმინდეთ და სარაც, თუმცა გვიანი იყო, შეპირდა. ამის მერე ნაგელმა გულმოდგინედ დაიბანა ხელ-პირი და ნომრიდან გავიდა.

ამ ხნის მანძილზე სრულიად დამშვიდებული, თითქმის მოდუნებულიც კი იყო. ღმერთო ჩემო, განა ღირს ამისათვის ალიაქოთის ატეხვა და ფართიფურთი. რა მნიშვნელობა აქვს, გინდ ერთი წლით ადრე მომხდარა, გინდ ერთი წლით გვიან. ეგეც არ იყოს, უკვე დიდი ხანია შეეგუა ამგვარ ბოლოს. ისე დაღალა ამდენმა იმედის გაცრუებამ, გულისგატეხვამ, თაღლითობამ, ნაცნობ-მეგობართა ყოვლდღიურმა ოსტატურმა სიცრუემ, სიცოცხლისთვის ღონეც აღარ შესწევს. ამ დროს მაიცა გაახსენდა, ცოტაოდენი ფული იმასაც დაუტოვა კონვერტში, თუმცა ამ უბადრუკ და გვერდმოქცეულ ხეიბრისადმი უნდობლობის გრძნობას არასოდეს მიუტოვებია. გაახსენდა ფრუ სტენერსენიც — ავადმყოფური გარეგნობის, ასთმისგან გაწამებული ქალი, რომელიც ყველას თვალწინ ღალატობდა ქმარს და არასოდეს, იოტის ოდენადაც არ გაუმჟღავნებია თავი. პაწია, ხარბი კამაც გაიხსენა, კვალდაკვალ რომ დასდევდა ნაგელს და ყველგან იწვდიდა მისკენ ხარბ ხელებს, რომ რაც შეიძლება ღრმად ჩაეყო მის ჯიბეში. აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში, შინ თუ გარეთ, ადამიანები ყველგან ერთნაირები არიან, ამაში თავად დარწმუნდა, ყველგან ერთი და იგივე უხამსობა, სიცრუე და აუტანელი ურცხვობა მეფობს — დაწყებული მათხოვრიდან, ჯანსაღ ხელს რომ იხვევს, ცის ლაჟვარდით გათავებული, რომელიც, როგორც ცნობილია, მხოლოდ ოზონია და მეტი არაფერი. თვითონ, თვითონ კი უკეთესია? არა, არაფრით. მაგრამ თავად უკვე სამანს მიადგა.

ნავსადგურისკენ დაეშვა, რომ ერთხელ კიდევ შეევლო თვალი გემების-

თვის. უკანასკნელ ნავმისადგომს რომ გასცდა, უეცრად თითიდან რკინის ბეჭედი წაიძრო და ზღვაში ისროლა. დაინახა, როგორ ჩაეშვა წყალში ბეჭედი ნაპირიდან კარგა მოშორებით. ჰო, ბოლო წუთს მაინც ცდილობ, თვალთმაქცობისგან დაიხსნა თავი.

მარტა გუდეს პაწია სახლთან შედგა და უკანასკნელად შეიხედა ფანჯარაში. იქ კვლავ სიჩუმეს დაესადგურებინა, ისე, როგორც ძველ დღეებში იყო ხოლმე. არავინ ჩანდა.

— მშვიდობით, — თქვა ნაგელმა.

პასტორის სახლისკენ მიმავალ გზას დაადგა უნებურად. მაშინღა მოეგო გონს, როცა გამეჩხერებულ ხეთა შორის ეზო გამოჩნდა. შედგა. სად მიდის? აქ რა უნდა? უნდა, უკანასკნელად შეავლოს თვალი მეორე სართულის ორ ფანჯარას ამაო იმედით, იქნებ, ნაცნობ სახეს მოეკრა თვალიო? სახეს, რომელიც მან ვერც ერთხელ, ვერც ერთხელ ვერ დაინახა. არა, ამის ნებას კი აღარ მისცემს თავს! მართალია, აპირებდა, მაგრამ არ გააკეთებს! ცოტა ხანს კიდევ შეიცადა, თვალმოუცილებლად შეჰყურებდა პასტორის სახლ-კარს, აფორიაქებულს დაუოკებლად რომ იზიდავდა...

— მშვიდობით, — კვლავ თქვა მან.

მერე ერთბაშად აქცია ზურგი და ტყისკენ მიმავალ საცალფეხო ბილიკს დაადგა.

ახლა შეუძლია ალალბედზე იაროს და პირველსავე შესაფერის კორდზე შეჩერდეს. მთავარია, მის მოქმედებაში არაფერი იყოს საგანგებო და სენტიმენტალური. რა უაზრობა იყო კარლსენის სასაცილო სასოწარკვეთა. ანდა განა ღირს ასეთი მარტივი საქმე იმ გულმოდგინედ მომზადებულ მიზანსცენად? ამ დროს შენიშნა, ფეხსაცმელზე ყაითანი გახსნოდა, შეჩერდა, ფეხი კოლბოხზე შედგა და შეიკრა. მერე მიწაზე დაჯდა.

უნებურად დაჯდა, თვითონ არც კი შეუნიშნავს. გარშემო მიმოიხედა: ირგვლივ ნაძვები აშოლტილან, — ნაძვის ხეები, აქა-იქ გაბნეული მოცხარის ბუჩქები და მიწაზე განრთხმული ფათალო. კარგია, კარგი!

ჯიბიდან საფულეს იღებს და შიგ მარტასა და მაიცასთვის მიწერილ წერილებს ინახავს; საგანგებოდ ცალკე აქვს შენახული ქაღალდში გახვეული დაგნის მაქმანიანი ცხვირსახოცი. იღებს ცხვირსახოცს, გახელებული კოცნის, მუხლს იყრის, ისევ კოცნის და მერე ანაკუწებს. ამასობაში კარგა ხანი გადის: ეგერ, უკვე პირველი საათია, მერე ორის ნახევარი, იგი კვლავ მშვიდად აქუცმაცებს ნახევებს; ბოლოს, როცა ცხვირსახოციდან ძაფიღა რჩება, დგება და ქვის ქვეშ მალავს, მალავს გულმოდგინედ, ისე, რომ ვერავინ იპოვოს; მერე ისევ ჯდება. ჰო, მგონი, სულ ეს არის — ცდილობს გაიხსენოს, კიდევ ხომ არაფერი დარჩა გასაკეთებელი, მაგრამ ვერაფერს იგონებს. მაშინ საათს იღებს და მართავს, როგორც ყოველთვის აკეთებდა ხოლმე ძილის წინ.

კვლავ იხედება ირგვლივ. ტყეში საკმაოდ ბნელა, მაგრამ, ეტყობა, საშიში არაფერია. ნაგელი აყურადებს, სუნთქვას იკრავს და კვლავ აყურადებს, მაგრამ ჩქამიც არსაიდან ისმის — ჩიტები არ ჭღურტულებენ და ტყე გეგონება ამოწყდაო. თბილი, წყნარი ღამე დგას. ნაგელი ჟილეტის ჯიბეში იყოფს ხელს და ბოთლს იღებს.

ბოთლს მინის საცობი აქვს, ზემოდან კი სამმაგი ქაღალდი აკრავს, რომელიც აფთიაქის ლურჯი ბაფთითაა შეკრული. ბაფთას ხსნის და საცობს აძრობს.

წყალივით გამჭვირვალე სითხეს ნუშის სუნი ასდის. ნაგელს თვალებთან მიაქვს წამლის ბოთლი, იგი ნახევრადაა სავსე. ამ დროს შორიდან უცნაური, დახშული ხმა ისმის — ქალაქის კოშკის საათმა ორი დარეკა. ნაგელი ბუტბუტებს: ჟამმა დარეკა! გამალებით მიაქვს ტუჩთან ბოთლი და ბოლომდე სვამს.

ცოტა ხანს ისევ ისე, გაუნძრევლად იჯდა: თვალი დახუჭული ჰქონდა, ცალ ხელში ბოთლი ჩაებღუჯა, მეორეში — საცობი. ისე იოლად და ბუნებრივად მოხდა ყველაფერი, კარგად ვერც კი მიხვდა, რა დაემართა. ცოტა ხნის მერე-ლა, ნელ-ნელა ამოძრავდა აზრი, თვალი გაახილა და დაბნეულმა მიმოიხედა. მაშ, ველარასოდეს ნახავს ყველაფერ ამას — ამ ხეებს, ამ ცას, ამ მიწას. რა უცნაურია! შხამი უკვე დაქრის ძარღვებში, ქონავს პაწია სისხლძარღვებში, ცისფერ არტერიებში მიიკვლევს გზას, მალე კრუნჩხვები დაეწყება, მერე კი გაშეშდება.

პირში ცხადად გრძნობდა სიმწარეს და ენა თანდათან უხევდებოდა. ხელების ქნევას მოჰყვა უმიზნოდ, რომ გაეგო რამდენად დაეპატრონა სიკვდილი, მერე ხეების თვლა დაიწყო — ათამდე დაითვალა და შეეშვა. ნუთუ მოკვდება? ნუთუ ამაღამ ნამდვილად მოკვდება? არა, არა, ოღონდ ამაღამ არა! რა უცნაურია ყველაფერი!

დიახ, მოკვდება, ისე ცხადად გრძნობს შხამის მოქმედებას სადღაც იქ, გულ-გვამში. მაგრამ რატომ მაინცდამაინც ახლა, ამ წუთში? ღმერთო, ოღონდ ახლა ნუ! არა, ნუთუ ახლავე? უკვე თვალთ უბნელდება! როგორ ზუზუნებს ტყე, თუმცა ქარი არა ქრის... რატომ მიქრიან ხეთა კენწეროებზე წითელი ღრუბლები? არა, ოღონდ ახლა ნუ, ოღონდ ახლა ნუ! არა, გაიგე, არა! რაღა ვქნა? არ მინდა! ღმერთო მოწყალეო, რა მეშველება?

და უეცრად აეფუტკნა ფიქრები, ჯერ მზად არაა, ათასი საქმე აქვს მოსაგვარებელი! გაფიცხებული ტვინი უღუღდა — რამდენი რამის გაკეთება უნდა მოესწრო კიდევ! არც სასტუმროს დანახარჯი გაუსტუმრებია, დაავიწყდა, დიახ, ღმერთია მოწამე, ეს როგორ მოუვიდა, აუცილებლად უნდა გამოასწოროს! არა, ამაღამ სიკვდილმა უნდა დაინდოს! შემიწყალე, შემიწყალე თუნდაც ერთი საათით, არა ერთ საათზე ცოტა მეტხანს! ღმერთო ძლიერო, კიდევ ერთი წერილის დაწერაც დაავიწყდა! აუცილებლად უნდა დაეწერა, ორიოდე სიტყვა მაინც. ფინეთში უნდა მიეწერა ერთი კაცისთვის თავისი დის თაობაზე, საქმე მთელ მის ქონებას ეხება!.. ამ სასოწარკვეთის ნიაღვარში ნაგელის გონება ისე მძაფრად და ზუსტად მუშაობდა, გამოწერილი გაზეთებიც კი გაახსენდა. ჰო, აკი გაზეთებზეც არ უთქვამს უარი, მაშასადამე, გაზეთები სულ მოვა და მოვა მის სახელზე და ოთახი ჭერამდე აივსება გაზეთებით! რა უნდა იღონოს? იგი ხომ თითქმის უკვე მკვდარია!

ორივე ხელით ბრდღვნის ფათალოს, მიწას ასკდება, გორაობს, ყელში თითს იყოფს, რომ გული აირიოს და შხამისგან გათავისუფლდეს, მაგრამ ამაოდ. არა, არ უნდა სიკვდილი, ამაღამ არ უნდა სიკვდილი, არც ხვალ უნდა, საერთოდ არ უნდა — არასოდეს! უნდა რომ იცოცხლოს, დიახ, სულ იცოცხლოს და მზეს უყუროს! არ სურს ეს რამდენიმე წვეთი შხამი მის გულ-გვამში დარჩეს, ამოანთხევს, სანამ მოკლავდეს. გული უნდა აირიოს. ეშმაკმა დალახვროს, ჩქარა, რაც შეიძლება ჩქარა!

შიშისგან გადარეული წამოხტება, შლეგივით დარბის ტყეში და წყალს დაეძებს. „წყალი! წყალი“! — ყვირის და ექოს შორს მიაქვს მისი ძახილი.

რამდენიმე წუთს ცოფიანივით ბორგავს, აქეთ-იქით აწყდება, ხეებს ეხეთქება, მოცხარის ბუჩქებს ზედ აწყდება და ხმამაღლა გმინავს. წყალს მაინც ვერ პოულობს. ბოლოს წაიბორძიკებს და პირქვე ასკდება მიწას, ხელებით ფათალომოდებულ მიწას ფხოჭნის და მარცხენა ლოყაზე ყრუ ტკივილსა გრძნობს. წამოდგომა უნდა, მაგრამ დაცემამ რაღაცნაირად გააბრუა, იგი კვლავ ასკდება მიწას, უფრო და უფრო სუსტდება და უკვე აღარცა ცდილობს გაინძრეს.

რა გაეწყობა — დაე, აღსრულდეს! ღმერთო ძლიერო, მაინცა კვდება! წყლის მოსაძებნად ღონე რომ შესწევდეს, იქნებ, გადარჩენილიყო კიდეც. ოჰ, რა გულსაკლავად დასრულდება ახლავე ყველაფერი; ოდესღაც გული მოლოდინით ჰქონდა სავსე, ახლა კი ღია ცისქვეშ შხამისგან სიკვდილი უწერია! მაგრამ რატომ სხეული არ უცივდება: ჯერ კიდევ ამოძრავებს თითებს, თვალის გახელაც შეუძლია, როგორ ჭიანურდება, როგორ!

სახეზე მოისვა ხელი — ცივი და სველი ჰქონდა ოფლისგან. პირქვე ჩაემხო და აღარც განძრეულა, პირაღმა გადმობრუნებაც კი არ უცდია. ყველა სახსარი უთრთოდა; გაგლეჯილი ლოყიდან სისხლი წვეთავდა, მაგრამ ხელიც არ გაუნძრევია, რომ შეეჩერებინა. როგორ ჭიანურდება, როგორ! მოთმინებით წევს და ელის. კვლავ ესმის კოშკის საათის ხმა — ახლა უკვე სამი დარეკა. ნაგელი გაოცებულია. ნუთუ შხამი უკვე ერთი საათი უტრიალებს შიგნით და ჯერ არ მოკლა? იდაყვზე წამოიწია და საათს დახედა: დიახ, სამი საათია. მაინც, როგორ ჭიანურდება!

ვინ იცის, იქნებ ჯობდეს კიდეც, რომ კვდება! უცბად დაგნი მოაგონდა; გაახსენდა, რომ სურდა ყოველ კვირა დილას ეგალობა მისთვის. ათასი სიკეთე ექნა და ბედს შეურიგდა, თვალზე ცრემლიც კი მოადგა. მთლად აუჩვილდა გული — ლოცულობდა, ცრემლს აფრქვევდა და თან იმ სიკეთეზე ფიქრობდა, რომელსაც დაგნის გაუკეთებდა. იგი დაგნის ყველა სიავისგან დაიფარავს! ვინ იცის, იქნებ ისე მოახერხოს, ხვალვე გაფრინდეს დაგნისთან, და მის გვერდით იყოს. ღმერთო, რა კარგი იქნება, მართლაც, ხვალვე რომ მიფრინდეს და ისე მოახერხოს, დაგნიმ სიხარულით გაბრწყინებულმა გაიღვიძოს! რა სინდისმა მისცა ნება, რომ სულ რაღაც ერთი წუთის წინ სიკვდილი არ უნდოდა; ხომ იცოდა, რამდენი სიხარულის მინიჭება შეეძლო დაგნისთვის! უკვე ნანობს და შენდობას ევედრება. ახლა აღარ ესმის, ნეტა, რაზე ფიქრობდა მაშინ. ახლა კი დაგნის შეუძლია ენდოს; ერთი სული აქვს, სანამ მის ოთახში მიფრინდება და თავთ დაუდგება; სულ რაღაც ორი-სამი საათის ან სულაც ერთი საათის მერე იქ იქნება, აუცილებლად იქნება. თუ თავად ვერ შეძლო, უეჭველად დაიყოლიებს უფლის ანგელოსს, მის მაგივრად გაფრინდეს, სამაგიეროდ კი ძალიან კარგ რამეს შეჰპირდება. იგი ანგელოსს ეტყვის: „მე თეთრი არა ვარ, ჩემი იქ მისვლა არ შეიძლება, შენ კი თეთრი ხარ, შენთვის შეიძლება, სამაგიეროდ, როგორც გინდა, ისე მიმსახურე. ასე იმიტომ მიყურებ, რომ შავი ვარ? ეგ კი არა, თუ შემიწყალებ და თხოვნას ამისრულებ, მზად ვარ კიდევ დიდხანს, ძალიან დიდხანს დავრჩე ასე შავი; თუ მომთხოვ, კიდევ მილიონ წელს ვიქნები შავი, ამაზე მეტად გავშავდები; ყოველი კვირა დილისთვის, როცა შენ დაგნის უმღერებ, თუ გინდა, მილიონი წელი მომიმატე. არ გატყუებ, ბევრ სხვა რამესაც გამოვნახავ, რომ შემოგთავაზო, ოღონდ ყურად იღე ჩემი ვედრება და თავს არ დავიზოგავ! მარტო კი არ იფრენ, მეც შენთან ერთად გამოვფრინდები, მე თვითონ წაგიყვან, ორივეს მაგივრად მე ვიქნევ ფრთებს, სიხარულით

ვიზამ ამას და, თუმცა შავი ვარ, მაინც არ გაგსვრი. შენს მაგივრად ყველა-ფერს, ყველაფერს მე გავაკეთებ, შენ კი დაისვენებ. ვინ იცის, იქნებ, მოვა-ხერხო და სამაგიეროდ რამე გაჩუქო. რამე ისეთი, რაც გამოგადგება; თუ მე რამე მაჩუქეს, იმ საჩუქარს უმალ შენ მოგცემ. ხომ შეიძლება უცებ ბედმა გამიღიმოს და რამე ვიშოვო შენთვის, ვინ იცის..."

ჰო, ბოლოს და ბოლოს, დაიყოლიებს უფლის ანგელ[illegible] ეპა-რება...

კვლავ რეკავს კოშკის საათი. უნებურად ითვლის საათებს, მაგრამ ამაზე არ ფიქრობს. მთავარია, მოთმინება იქონიოს. იგი ვედრებით იკრებს გულზე ხელს და ღმერთსა სთხოვს, მალე გამოუგზავნოს სიკვდილი. ნეტა ახლავე მო-კვდებოდეს, მაშინ დაგნის გამოღვიძებამდე მოასწრებდა მიფრენას. როგორ დაუმადლებდა ყველას, სულ ქება-დიდებას შეასხამდა, რადგან ამით უდიდეს წყალობას მოიღებდნენ ნაგელისთვის. მეტი სანატრელი არაფერი აქვს...

ნაგელმა თვალი დახუჭა და დაიძინა.

ნაგელს სამი საათი ეძინა. გამოეღვიძა, რადგან მზე ანათებდა თვალებში და ჩიტების გნიასისგან ტყეში ჰაერს ზრიალი გაჰქონდა. იდაყვზე წამოიწია და მიიხედ-მოიხედა. უცბად გაახსენდა, წინა ღამეს რაც მოხდა. ბოთლი იქვე, შორიახლოს ეგდო ბალახებში. ისიც გაახსენდა, ბოლოს რა თავდავიწყებით ემუდარებოდა ღმერთს, აღსასრული მალე მომივლინეო. არადა, მაინც ცოცხა-ლია! რაღაც იდუმალმა ძალამ კვლავ აურია დავთრები. ვერაფერი გაეგო, ამაოდ ცდილობდა მიმხვდარიყო, რა მოხდა, მაგრამ მხოლოდ ერთი რამ იყო მისთვის ცხადი — ჯერაც ცოცხალი იყო.

წამოდგა. ცარიელი ბოთლი აიღო და ორიოდე ნაბიჯი გადადგა. არადა, რაც უნდა წამოიწყოს, რა პატიოსანი ზრახვაც არ უნდა ჰქონდეს, წინ მუდამ რაღაც ეღობება. შხამს რაღა მოუვიდა? სუფთა ციანიდის მჟავა იყო, ექიმმაც კვერი დაუკრა, დოზა საკმარისია, საკმარისზე მეტიცაო. აკი თვითონაც გამო-სცადა შხამი, როცა პასტორის ძაღლი მოწამლა. ბოთლი აშკარად იგივეა, სა-წამლავიც იმდენივე ესხა — ნახევარი ბოთლი. სანამ დალევდა, მშვენივრად ახსოვს, რომ შეამოწმა. ბოთლი ყოველთვის ჟილეტის ჯიბეში ედო. ნეტა, რა იდუმალი ძალები სდევნიან ყოველ ნაბიჯზე?

უეცრად თავში დაჰკრა, გაახსენდა, რომ ბოთლს მაინც შეეხო უცხო ხე-ლი. ნაგელი შედგა და თითებიც კი გაატკაცუნა. ჰო, ასეა, ასე. მთელი ღამე მაიცას ხელთ იყო — მას მერე, სასტუმროში რომ ღრეობა მოაწყო და მაი-ცას ჟილეტი აჩუქა. ჟილეტის ჯიბეში შხამიანი ბოთლი, საათი და რაღაც ქა-ღალდები ელაგა. მაიცამ მეორე დღეს, დილაუთენია დაუბრუნა ყველაფერი. სალახანა, ტვინგაწყალებული მაიმახი! რა თქმა უნდა, იმის გაკეთებულია. მოა-ხერხა და მაინც გამოიჩინა თაღლითური სიკეთე! ვერაგი, ფლიდი! ბრაზმორე-ულმა კბილი კბილს დააჭირა. არა, რა თქვა იმ დღეს თავის ნომერში? აკი ყვე-ლას გასაგონად გამოაცხადა, გამბედაობა არასოდეს მეყოფა, შხამი დავლიოო. ის დაფეხვილი კი, კაცის არამგვანი, ის სალოსი ისა, გვერდით ეჯდა და თვალ-თმაქცურად დუმდა, გულში კი ერთი სიტყვაც არ დაუჯერა. ეგ ბარეწარი, ეგ თხუნელა ეგა, შინ გაეშურა, შხამი გამოღვარა, მერე, ალბათ, ბოთლიც კარ-გად გამოავლო, ნახევრამდე წყლით აავსო და ამ კეთილი საქმის მერე დაწვა და წმინდანის ძილით დაიძინა!

ნაგელმა ქალაქისკენ გასწია. ამ სამ საათში ცოტა დაისვენა, გონება გადაეწმინდა, მაგრამ ბოლმა ახრჩობდა. დამცირებულად და გამასხრებულად გრძნობდა თავს. წარმოგიდგენიათ, აშკარად იყნოსა ნუშის სუნი, გრძნობდა, როგორ უხევდებოდა ენა, გრძნობდა სიკვდილის სუნთქვას, ბოლოში კი თურმე სუფთა წყალი ესხა! მიწაზე გორაობდა, ცოფიანივით ურტყამდა თავს ქვებსა და ბუჩქებს და ყველაფერ ამას თურმე ჭიდან ამოღებული ერთი ყლუპი წყლის გულისთვის სჩადიოდა! ძაღლივით გაავებული და სირცხვილისგან აჭარხლებული შედგა შუა გზაზე და სიშმაგემორეული, უილაჯობისგან აღმუვლდა. შეშფოთებულმა მიმოიხედა უმალ, ხომ არავინ დამინახაო და ყელიდან ამომსკდარი ღმუილი რომ რითიმე გაემართლებინა, სიმღერა შემოსძახა...

სიარულში თანდათან დამშვიდდა. ქვეშეუცნობლად ემორჩილებოდა კაშკაშა მზესა და ჩიტების გნიასს. ურემი შემოხვდა წინ. მეურმე მიესალმა და თავაზიანადაც უპასუხა. ურმის გვერდით ცუნცულით მიმავალმა ძაღლმა კუდი გაუქიცინა და ალერსიანად შეხედა... რატომ ვერ მოახერხა, უბრალოდ და ღირსეულად მომკვდარიყო? სინანულით ახსენდებოდა, როგორი სიმშვიდე მოეფინა, რა უდრტვინველად შეეგუა აღსასრულს, რა ნეტარებით იყო აღვსილი სანამ ძილი მოერეოდა. ახლა დაგნი ამდგარი იქნება, იქნებ, შინიდანაც გამოვიდა, მან კი ვერაფრით გაახარა. როგორ სასტიკად მოაღორეს! მაიცამ თავის ქველმოქმედებას ერთი კეთილი საქმეც მიუმატა — სიცოცხლე შეუნარჩუნა, ზუსტად ისე, როგორც ნაგელმა გადაარჩინა მავანი ჰაბუკი, ჰამბურგში ჩასვლა რომ არ უნდოდა. სწორედ მაშინ მიიღო მედალი „წყალწაღებულთა ხსნისთვის". ჰა-ჰა-ჰა! კაცის ხსნისათვის მედალი დაიმსახურა! დიახ, აი, ამას ჰქვია ადამიანის ხსნა. ნეტარ არიან მორწმუნენი, სიკეთეს სთეს, ჩირად არ აგდებ საფრთხეს და კაცს სიკვდილს ხელიდან სტაცებ!

დარცხვენილი, ჩუმად შეიპარა თავის ნომერში და სკამზე ჩამოჯდა. ოთახში სისუფთავე და სიმყუდროვე იყო. გაწმენდილი ფანჯრები კრიალებდა, ზედ გულმოდგინედ გატკიცინებული სუფთა ფარდები ჩამოეკიდათ.

მაგიდაზე მინდვრის ყვავილები იდგა. აქამდე მის ოთახში ყვავილები არასოდეს მდგარა და ამ მოულოდნელმა სიურპრიზმა ისე გაახარა, სიამოვნებისგან ხელები მოიფშვნიტა. როგორ საოცრად დაემთხვა — თანაც მაინცდამაინც დღეს! რა გულისამაჩუყებელი ყურადღება გამოუჩენია სასტუმროს საწყალ მოახლეს! არა, მაინც რა საყვარელი არსებაა სარა! დილა კი, მართლაც, ზღაპრული იდგა. ქვევით, ბაზრის მოედანზეც კი ყველა გახალისებულა, თაბაშირის ქანდაკით მოვაჭრე დახლს მიჯდომია და, თუმც ჯერ ერთი ერესიც არაფერი უვაჭრია სახეგაბადრული აბოლებს თიხის ყალიონს. ვინ იცის, იქნებ უმჯობესაც კია, მისი ღამეული შმაგური ზრახვა რომ არ აღსრულდა? შეძრწუნებულმა გაიხსენა, თავზარდაცემული როგორ დარბოდა ტყეში წყლის საპოვნელად. ამის გახსენებაზეც კი ცახცახმა აიტანა და ახლა, როცა არხეინად იჯდა ამ ნათელ, კოპწია და მზით გაჩახჩახებულ ოთახში, უეცრად ისეთმა ნეტარებამ შეიპყრო, თითქოს ყოველგვარი ბოროტისაგან დაიხსნა თავი. ყოველ შემთხვევაში, თუ გაჭირდა, ჯერ ხომ არ გამოუყენებია სხვა უღალატო საშუალება, რაც ყოველთვის ხელთა აქვს! პირველად შეიძლება ყველას მოეცაროს ხელი, არ მოვიდა სიკვდილი — მაშ, იცოცხლე! მაგრამ ხომ არსებობს პატარა, ექვსვაზნიანი ერთგული მეგობარი, რომელიც, თუ დაგჭირდა, ყველა იარაღის სავაჭროში შეგიძლია იყიდო.

გადადება სხვაა და გადაფიქრება სხვა.

კარზე სარამ მოუკაკუნა. მისი დაბრუნება გაეგო და საუზმე მზადააო, შეატყობინა, გაბრუნება რომ დააპირა, ნაგელმა შეაჩერა და ჰკითხა, ყვავილები თქვენ მოიტანეთო.

— დიახ, მე, მაგრამ მადლობად არ ღირს.

ნაგელმა მაინც გულმხურვალედ ჩამოართვა ხელი.

— სად დაიკარგეთ მთელი ღამე? — ღიმილით ჰკითხა ნაგელმა. — წუხელ ხომ შინ არ ყოფილხართ?!

— სარა, — უთხრა ნაგელმა და პასუხს თავი აარიდა, — რა კარგი ხართ, რომ ყვავილები მომიტანეთ. თანაც ფანჯრები დააკრიალეთ და სუფთა ფარდები ჩამომიკიდეთ. ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარული მომანიჭეთ, ამიტომ მეც ყველა სიკეთე მინდა გისურვოთ — და უეცრად, თავისებურად აჰყვა წუთიერ განწყობას და შმაგი სურვილით ატაცებულმა ცხარედ დაიწყო: — იცით რა, აქ რომ ჩამოვედი, თან ქურქიც მქონდა, ღმერთმანი არ ვიცი, სად ეშმაკებშია, მაგრამ რომ მქონდა, ეს ნაღდია. ჰოდა, თქვენთვის მიჩუქებია, ჰო, ჰო, მიიღეთ ჩემი გულითადი მადლობის ნიშნად. მორჩა — ქურქი თქვენია!

სარამ ხმამაღლა, გულიანად გადაიკისკისა, აბა, რად მინდა ქურქიო!

— ჰო, ეგეც მართალია, მაშ, როგორც გინდათ, ისე მოიქეცით, მაგრამ ძალიან გთხოვთ, მასიამოვნოთ და საჩუქრად მიიღოთ. — სარა ისე გულიანად კისკისებდა, ნაგელიც აჰყვა და ხუმრობა დაუწყო: — ღმერთო ჩემო, რა მშვენიერი მხრები გაქვთ. ალბათ არ დამიჯერებთ. მე გაცილებით უკეთ ვიცი, რა ტურფაცა ხართ, ვიდრე თქვენ გგონიათ. ერთხელ სასადილოს კარი ღრიჭოდ შევაღე და შევიხედე; მაგიდაზე ამძვრალი ჭერსა წმენდდით, ქვედა კაბა აკეცილი გქონდათ და ფეხები მუხლს ზევით, გაცილებით ზევით ჩანდათ — ძალიან ლამაზი ფეხები გქონიათ! ჰა-ჰა-ჰა! მოკლედ, ასეა თუ ისე, დღესვე, სანამ მოსაღამოვდება, სამაჯური უნდა გაჩუქოთ. ეჭვიც არ შეგეპაროთ, რომ სულ რამდენიმე საათის შემდეგ მიიღებთ... გარდა ამისა, გახსოვდეთ, ქურქი თქვენია...

რა უცნაური კაცია, რა მოუვიდა, სულ მთლად ჭკუიდან შეიშალა? სარა, მართალია იცინოდა, მაგრამ ნაგელის უცნაურმა საქციელმა, ცოტა არ იყოს, დააფრთხო. გუშინწინ სუფთა თეთრეული რომ მოუტანეს, მრეცხავს გაცილებით მეტი გასამრჯელო მისცა, ვიდრე ეკუთვნოდა, ახლა კი მისთვის ქურქის ჩუქება მოეპრიანა. ეტყობა, ტყუილად არ დადის ქალაქში მასზე ნაირ-ნაირი ხმა.

XX

არა, რა თქმა უნდა, შეიშალა, უბრალოდ, ჭკუიდან შეცდა. ეტყობა, ასეცაა. რა აღარ შესთავაზა სარამ — ყავა, რძე, ჩაი, ლუდიც კი, მოკლედ, ყველაფერი, რაც მოაფიქრდა, მაგრამ მიუჯდა თუ არა ნაგელი სუფრას, ისე წამოვარდა, საუზმისთვის თითი არ დაუკარებია. უეცრად მოისაზრა, რომ მარტას ამ დროს გამოჰქონდა ხოლმე კვერცხები ბაზარზე გასაყიდად — იქნებ უკვე დაბრუნდა, რა ბედნიერების მომასწავებელი იქნება, რომ დღეს, სწორედ დღეს შეხვდეს. ისევ თავის ნომერში დაბრუნდა და ფანჯარასთან დაჯდა.

მთელი ბაზარი ხელისგულივით გადაშლილიყო მის წინ, მაგრამ მარტა არ ჩანდა. გავიდა ნახევარი საათი, ერთი საათი, ყველა კუთხე-კუნჭული გულდასმით მოჩხრიკა თვალით, მაგრამ ამაოდ. ბოლოს მის ყურადღებას ფოსტის წინ

გათამაშებული სანახაობა იპყრობს, რომელსაც მრავლად მიუზიდავს ცნობისმოყვარენი. შეგროვილი ხალხის წრეში, პირდაპირ მოუკირწყლავ ქუჩაზე, სულელურად დაფუნდრუკებს ფეხშიშველა, უსერთუკო მაიცა და წამდაუწუმ იწმენდს სახიდან ღვარად ჩამოსულ ოფლს. ცეკვას რომ მორჩება, მაყურებელს დაუვლის და ხურდა ფულს აგროვებს. მაშ ასე, მაიცას უკვე გაუხსენებია ძველებური და კვლავ დაუწყია ბაზარში ცეკვა.

ბიბლიოთეკა

ნაგელი მოთმინებით იცდის, სანამ ხალხი დაიშლებოდეს და ბოლოს, მაიცას დასაძახებლად კაცს აგზავნის. მაიცა, როგორც ყოველთვის, თავჩაქინდრული, თვალდახრილი და მოწიწებით აღვსილი მიდის მასთან.

— თქვენთვის ბარათი მაქვს გადმოსაცემი, — ეუბნება ნაგელი და სერთუკის ჯიბეში კონვერტს უჩურთავს. — ჩემო კარგო, უნდა გითხრათ, ძალიან მძიმე დღეში ჩამაგდეთ; ფრიად ავი ოინი მომიწყეთ და ისე მარჯვედ გამაცურეთ, რომ პირდაპირ აღტაცებული ვარ თქვენით; თუმცა, არ დაგიმალავთ, გიჯავრდებით კიდეც. ჰო, მართლა, გცალიათ ახლა? არ ვიცი, გახსოვთ თუ არა, ერთხელ შეგპირდით, რაღაც-რაღაცებს გაგიმარტავთ-მეთქი. ჰოდა, აი, ახლა გადავწყვიტე, რომ ამის დრო დადგა; მაგრამ ჯერ მინდა გკითხოთ, თუ გაიგეთ, ქალაქში რომ ლაპარაკობენ ჩემზე, გაგიჟდაო? ნება მომეცით, დაგამშვიდოთ — ასე არ არის. მე მგონი, ამას თავადაც ხედავთ. არ დაგიმალავთ, ამ ბოლო დროს, ცოტა არ იყოს, აღგზნებული ვიყავი, რაც ჩემთვის უსიამოვნო სხვადასხვა გარემოებით იყო გამოწვეული, მაგრამ, როგორც ეტყობა, ასეთი ბედი მქონია. ამჟამად კვლავ მოვიპოვე სულიერი სიმშვიდე, ყველაფერი რიგზეა. გთხოვთ, ეს კარგად შეიგნოთ. სასმელს, ალბათ, ტყუილუბრალოდ შემოგთავაზებთ?

არა, მაიცა არ დალევს.

— რა თქმა უნდა, ეჭვიც არ მეპარებოდა... მოკლედ, გრეგორდ, მისხლის ოდენადაც არ გენდობით. რა თქმა უნდა, ხვდებით, რასაც ვგულისხმობ. თქვენ ისე ეშმაკურად გამაცურეთ, საჭიროდ აღარ მიმაჩნია, ისე მოგაჩვენოთ თავი, თითქოს ყველაფერი რიგზე იყოს. თქვენ მე ფრიად მნიშვნელოვან საქმეში მიმუხთლეთ და ეს ყველაფერი უანგარობისა და, თუ გნებავთ, სათნოების ნიღაბს ამოფარებულმა ჩაიდინეთ. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, პირში ჩალაგამოვლებული დამტოვეთ. მითხარით, იყო თუ არა თქვენს ხელთ ეს წამლის შუშა?

მაიცა ცერად შესცქერის შუშას და დუმს.

— შიგ შხამი ესხა. შხამი გადაღვარეს, შუშაში კი ნახევრამდე წყალი ჩაასხეს. გუშინღამ მე თავად დავრწმუნდი, რომ შიგ მხოლოდ წყალი ესხა.

მაიცა კვლავინდებურად დუმს.

— საერთოდ, აქ ცუდი არაფერია. ვინც ეს ჰქნა, სიკეთითა ჰქნა, რომ უბედურება აეცილებინა. ეს თქვენ ჰქენით.

დუმილია.

— მართალს ვამბობ?

— დიახ, — ბოლოს და ბოლოს იღებს ხმას მაიცა.

— გასაგებია. და თქვენი აზრით, სწორად მოიქეცით; მაგრამ მე ამას სხვაგვარად ვუყურებ. რატომ ჰქენით ეს?

— ვიფიქრე, ვაითუ, მაინც...

დუმილია.

— აი, ხომ ხედავთ! თქვენ შეცდით, გრეგორდ. თქვენმა კეთილმა გულმა შეგაცდინათ. სწორედ იმ ღამეს, როცა შუშა თან გაგყვათ, განა საკმაოდ გასაგებად არ გითხარით, ახლა შემდეგ ვერასოდეს გავბედავ-მეთქი?

— ჰო, მაგრამ, მაინც ვშიშობდი. ვაითუ, მაინც დალიოს-მეთქი და აგერ, ხომ ხედავთ, დაგილევიათ!

— მე? რაებსა ჩმახავთ? ჰა-ჰა, კეთილო სულო, თქვენ თქვენსავე ქარჩით გაბრიყვებული! დიახ, გუშინღამ დავცალე შუშა, დავცალე, მაგრამ ჩემს პირში წვეთიც არ ჩასულა.

მაიცა გაოცებული შესცქერის.

— აი, ხომ ხედავთ? ოლოლო თქვენ! მისეირნობ შენთვის ღამით ქალაქში. მერე ნავსადგურთან ჩადიხარ და ხედავ, კატა აუწერელი ტკივილისგან იკლაკნება და აქეთ-იქით აწყდება. რა თქმა უნდა, ჩერდები, რომ გაიგო, რა დაემართა ცხოველს. თურმე ყელში რაღაც გაჩხერია, ხოლო როცა ახლოდან კარგად დახედავ, ირკვევა, რომ ყელში თევზის საჭერი კაუჭი გაჩხერია. კატა აზვავლებს, იკლაკნება, მაგრამ კაუჭი ადგილიდან არ იძვრის, არც იქით, არც აქეთ. ყელიდან სისხლის ნაკადი მოწანწკარებს. კეთილი და პატიოსანი, ბოლოს რაღაცნაირად ახერხებ კატის დაჭერას და ცდილობ, კაუჭი ამოუღო, მაგრამ ისე სტკივა, რომ ვერ აკავებ, ხელიდან გისხლტება, ზურგზე გორაობს, გაავებული ბრჭყალებს იმარჯვებს და ლოყაზე გკაწრავს, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ — აგერ, შეგიძლიათ დარწმუნდეთ — ლოყაზე ჩამოპოტნილი მაქვს. ამასობაში კატა უკვე იგუდება, სისხლიც შეუჩერებლად მოწანწკარებს ყელიდან. რა უნდა ქნა? სანამ ამაზე ფიქრობ, კოშკის საათი ორს რეკავს. ესე იგი, ისე გვიანია, რომ დასახმარებლად ვერავის მოუხმობ — აბა, ღამის ორ საათზე ვის მიადგები? სწორედ ამ დროს გახსენდება, რომ ჯიბეში ღვთით კურთხეული საწამლავი გიდევს. გადაწყვეტ, ბოლო მოუღო საბრალო ცხოველის ტანჯვას და ხახაში ასხამ. კატა შფოთავს. კატა ფიქრობს, რაღაც საშინელება ჩამასხესო, მუშტივით იკუმშება და თვალებს ველურად ატრიალებს, მერე უეცარი ნახტომით ხელიდან გისხლტება, ისევ იწყებს სანაპიროზე კოტრიალს და ისევ აწყდება ნავსადგურის კედლებს. რა მოხდა? რა მოხდა და ის მოხდა, რომ შუშაში წყალი ასხია, წყალი კი არ კლავს, იგი მხოლოდ ტანჯვაზე ტანჯვას ურთავს საბრალო პირუტყვს. და აი, კატა ისევ დარბის, კაუჭი ისევ ყელში აქვს გამოდებული, სისხლი ისევ სდის და ლამისაა გაიგუდოს... რას იზამ, ადრე თუ გვიან მაინც ან სისხლისგან დაიცლება ან გაიგუდება და შიშისგან გაგიჟებულს, სადღაც კუთხეში მიკუნჭულს ამოხდება სული ყოველგვარი დახმარების გარეშე...

— მე მხოლოდ კეთილი მსურდა, — პასუხობს მაიცა.

— უეჭველად, თქვენ ყველაფერს, საერთოდ, ყველაფერს, მხოლოდ ყველაზე სპეტაკი და ყველაზე კეთილი ზრახვებით აკეთებთ. სხვანაირ საქციელზე თქვენი დაჭერა, უბრალოდ, შეუძლებელია; ამიტომაც თქვენი კეთილშობილური და ფაქიზი სიცრუე ჩემს მიმართ ახალს არაფერს ამბობს. მაგალითად ავიღოთ, თუნდაც ახლახან რომ ქვევით, ბაზრის მოედანზე ბუქნავდით. მე ფანჯარასთან ვიდექი და გიყურებდით. იმას არ გსაყვედურობთ, იმას რატომ სხადიხართ-მეთქი, ერთი რამ მინდა გკითხოთ მხოლოდ, რატომ გაიხადეთ ფეხსაცმელი? ახლა ხომ გაცვიათ. მაშ, ცეკვის დროს რატომღა გაიხადეთ?

— რომ არ გამეცვითა.

— ისეც ვიცოდი! ვიცოდი, რასაც მიპასუხებდით და მაგიტომაც გკითხეთ.

თქვენ განსაკუთრებული უბიწობა ხართ, მართალია ფეხთაჩაცმული, მაგრამ მაინც ყველაზე სპეტაკი სული ხართ მთელს ქალაქში. უანგარობითა და სიკეთითა ხართ აღვსილი, კაცი ვერაფერში წაგედავებათ, ხელის მოსაჭიდს ვერაფერს გიპოვით. მახსოვს, ერთხელ გამოსაცდელად გასამრჯელო შემოგთავაზეთ, ოღონდ სხვისი შვილის მამად გამოგეცხადებინათ თავი და თუმცა, ეჭვი არ არის, უპოვარი და გლახაკი ხართ, მაშინვე უარი მეუბნებოდით: თქვენი სული პირდაპირ ძრწოდა, ამგვარ უხამს გარიგებაზე ფიქრიც არ გსურდათ და ვერაფერს გავხდი, თუმცა ორას კრონს გთავაზობდით. მაშინ რომ იმდენი მცოდნოდა, რაც ახლა ვიცი, ასე არ შეურაცხგყოფდით, მაშინ ასე თავით-ფეხამდე არ გიცნობდით, სამაგიეროდ ახლა ვიცი, რომ კაცმა თან დეზი უნდა ამოგცხოთ და თან ლაგამი დაგიჭიროთ. კარგი, ამას თავი დავანებოთ, სჯობს ჩვენს წინანდელ საუბარს მივუბრუნდეთ: ის ამბავი, რომ ცეკვის წინ ფეხთ გაიხადეთ, გაიძრეთ ისე, რომ მაყურებლის ყურადღება არ მიგიპყრიათ და ფეხშველა ცეკვავდით მიუხედავად ტკივილისა, რომელიც არ შეიძლება არ გეგრძნოთ, ცეკვავდით უხმოდ და უჩივლელად, ყველაფერი ეს, ერთად აღებული, ძალიან დამახასიათებელია თქვენი ბუნებისთვის — დიახ, თქვენ არ წუწუნებთ, არ ღაღადებთ: აბა, შემხედეთ, აი, ფეხსაცმელს ვიხდი, რომ არ გამიცვდეს, იძულებული ვარ გავიხადო, რადგან ძალიან ღარიბი ვარ! არა, თქვენ ამას, თუ შეიძლება ასე ითქვას, დუმილით გამოხატავთ; თქვენ ერთხელ და სამუდამოდ გადაგიწყვეტიათ არავის არაფერი სთხოვოთ და განუხრელად მისდევთ ამ პრინციპს და, მიუხედავად ამისა, კრინტის დაუძვრელად, რაც გსურთ, ყველაფერს აღწევთ. თქვენ ხელშეუხებელი ხართ ხალხის თვალში და ასევე საკუთარ თვალშიც. აღვნიშნოთ ეს თვისება და განვაგრძოთ... მოთმინება იქონიეთ, ბოლოს და ბოლოს, განმარტების დროც დადგება... ერთხელ ფრეკენ გუდეზე თქვით როგორღაც — მე ეს დამახსომდა და ხშირად ვფიქრობდი ხოლმე — თქვენ თქვით, ალბათ, არც ისე უკარებაა, კაცი რომ მარჯვედ მიუდგესო. ყოველ შემთხვევაში, თავად თითქოს რაღაცა გამოგივიდათ...

— არა, როგორ გეკადრებათ, ეს უკვე...

— როგორც ხედავთ, ყველაფერი მშვენივრად მახსოვს. ეს იმ საღამოს იყო, როცა ორივენი აქ ვისხედით და ვსვამდით, უფრო სწორად, მე ვსვამდი, თქვენ კი მიცქეროდით. ჰოდა, მაშინ ჰყვებოდით, რომ მარტასთან — დიახ, თქვენ მას შინაურულად მარტა უწოდეთ და ისიც მითხარით, თვითონაც იუჰანესს მეძახისო — ხომ მართალია, მე ხომ არ ვიგონებ, რომ იგი იუჰანესს გეძახით? ხედავთ, ესეც კი მახსოვს — ჰოდა, ჰყვებოდით, მარტასთან ისე შორს შევტოპე, ძალიან ბევრი რამის უფლება მომცაო და ხელით ფრიად უხამსი რამ მანიშნეთ...

წამოჭარხლებული მაიცა ზეზე წამოვარდება და ყვირილით პირში მივარდება ნაგელს:

— მე ეგ არასოდეს არ მითქვამს! არასოდეს!

— ეს რა მესმის? მაშ, არ გითქვამთ? უარსა ჰყოფთ თქვენს ნათქვამზე? იქნებ, გნებავთ, სარა გამოვიხმო და დავადასტურებინო, რომ ჩვენი საუბრის დროს ამ სიფრიფანა კედლის მიღმა, მეზობელ ოთახში იყო და ყველაფერი, სიტყვა-სიტყვით ყველაფერი ესმოდა. არა, პირდაპირ არა მჯერა! მაგ უარით ყველაფერი ამირ-დამირიეთ! მე კი მინდოდა რაღაც-რაღაცები გამომეწვლილა. ეგ ამბები ძალიან მაინტერესებს და ხშირადაც ვფიქრობ. მაგრამ, რადგან ამ-

ტკილებთ, არაფერი მითქვამსო, რა გაეწყობა! სხვათაშორის, უმჯობესია დაჯდეთ და ფიქრადაც ნუ გაივლებთ, რომ მაშინდელივით მოკურცხლავთ; სულერთია, არაფერი გამოგივათ — კარი ჩაკეტილია.

ნაგელმა სიგარას მოუკიდა და უეცრად, თითქოს გონს მოეგო, კილო შეიცვალა:

— ღმერთო ჩემო, ნუთუ ასე შევცდი! ბატონო გრეგორიდ, უმორჩილესად გთხოვთ, მომიტევოთ. მართალი ბრძანდებით, თქვენ, მართლაც, არასოდეს მსგავსი არაფერი გითქვამთ. დაივიწყეთ რაც ახლა მოხდა. ეს თქვენ კი არა, სულ სხვა კაცმა თქვა. სწორედ ამ წუთში მშვენივრად გამახსენდა, ეს ამბავი ამ ორი კვირის უკან მოვისმინე. ან ერთი წუთით როგორ ვიფიქრე, თქვენისთანა კაცი, თანაც ასეთი ხერხით, სახელს გაუტეხდა მანდილოსანს და თავს შეირცხვენდა! პირდაპირ გაოცებას ვარ, თავში აზრად როგორ მომივიდა! ეტყობა, მართლა არა ვარ ჩემს ჭკუაზე.... ოღონდ, ყურადღება მიაქციეთ, რომ გულმართლად ვაღიარებ შეცდომას და მაშინვე ვითხოვ პატიებას. მაშასადამე, მაინც ჭკუაზე ვარ. ასე არაა? და თუ აბურდულად და მეტისმეტად მოურიდებლად გელაპარაკებით, არ იფიქროთ, თითქოს ამას განზრახ იმიტომ ვაკეთებდე, რათა გაგაბრუოთ და დაგაბნიოთ. ასეც რომ იყოს, თქვენ ისე ჯიუტად დუმხართ, მაინც არაფერი გამომივიდოდა. მე თვითონ სიტყვის აუწონავად, წუთიერ გუნებას აყოლილი და აღგზნებული გესაუბრებით. მომიტევეთ, მგონი, ისევ გადავუხვიე საუბრის თემას. იქნებ მოთმინება აღარც გყოფნით და გინდათ, ჩქარა გაიგოთ ის, რის თქმასაც დაგპირდით?

მაიცა დუმს. ნაგელი ზეზე წამოდგება და ფანჯარასა და კარს შორის ნერვიულად სცემს ბოლთას, მერე ჩერდება, ეტყობა, უეცრად ყველაფერი მობეზრდა, შესძაგდა კიდეც და დაჭანცული ეუბნება:

— კმარა! კუკუ-დამალობანას თამაშის თავი აღარ მაქვს, გულახდილად გეტყვით, თქვენზე რასაც ვფიქრობ. დიახ, აქამდე აბურდულად გელაპარაკებოდით, მინდოდა დამებნიეთ და ამას განზრახ ვაკეთებდი — იმედი მქონდა, რაღაც-რაღაცებს გამოვიწვლევდი. რა ხერხს აღარ მივმართე ამის მისაღწევად, მაგრამ ამაოდ დავშვრი და დავიღალე. რა გაეწყობა, გრეგორიდ, მზად ვარ, დანაპირები შეგისრულოთ! მე დარწმუნებული ვარ, რომ სულის სიღრმეში გარეწარი ხართ, დიახ, სულის სიღრმეში გარეწარი ხართ!

მაიცა ისევ აცახცახდა, შიშჩამდგარი თვალები დაბნეულად გაუცეცდა, ნაგელმა კი კვლავ განაგრძო:

— არაფერს ამბობთ? დაკისრებულ როლს არ ღალატობთ? ადგილიდან ვერ დაგძარით. თქვენ რაღაც განსაკუთრებულ მუნჯ ძალასა ფლობთ; აღტაცებული ვარ თქვენი პიროვნებით და ძალიან მაინტერესებს რა კაცი ხართ. გახსოვთ, მთელი საღამო რომ გესაუბრეთ? — თვალმოუცილებლად შემოგცქეროდით და სულ გარწმუნებდით, ჩემს სიტყვებზე კრთებით-მეთქი. ამას კვალის მისაგნებად ჩავდიოდი. სულ გაკვირდებოდით, რანაირად აღარ ვცდილობდი, რაიმე ხელჩასაჭიდი მეპოვა თქვენს სულში. დიახ, არ გედავებით, ჩემი მცდელობა თითქმის ყოველთვის ამაო იყო და ეს იმიტომ, გარს მაგარი ჯავშანი გაკრავთ. მაგრამ ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი, ჩემს წინ ჩუმი და ფარული ცოდვილი იდგა, თანაც დიდი ცოდვილი — ოღონდ აი, არ ვიცი, რანაირი. სამწუხაროდ, არავითარი საბუთი არ გამაჩნია; ასე რომ, შეგიძლიათ გული დაიმშვიდოთ, ყველაფერი ჩვენს შორის დარჩება. თუ გესმით მაინც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა არავითარი საბუთი არ მაქვს, რატომ ვარ ასე დარწმუნებული, რომ მართალი ვარ? იცით რა, ამას ვერ გაიგებთ. და მაინც, საუბრისას რაღაც განსაკუთრებულად ჩაჰკიდებთ ხოლმე თავს, მზერითაც რაღაცნაირად იმზირებით, თანაც ზოგიერთი სიტყვის წარმოთქმისას ანდა როცა საუბარი რამე განსაზღვრულ საკითხს ეხება, რაღაცნაირად უსიამოვნოდ ახამხამებთ ქუთუთოებს და კიდევ — ხმა, თქვენი ხმა! თქვენს ხმაში ყოველთვის გმინვა ისმის... ოჰ, ეს რა ხმა გაქვთ! საერთოდ კი თქვენი პიროვნება თავით-ფეხამდე ანტიპათიას იწვევს ჩემს გულში. თქვენს მოახლოებას შორიდანვე ვგრძნობ და სული ჩემი ძრწის უამური გრძნობისაგან. არ გესმით? მეც არ მესმის, მაგრამ ასეა. გეფიცებით, ახლაც ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ სწორ კვალს მივყვები, მაგრამ ვერ მიგიმჯყვდიეთ, რადგან საბუთი ხელთ ვერ მოვიგდე. უკანასკნელად როცა მესტუმრეთ, მაშინ გკითხეთ, ექვს ივნისს სად იყავით-მეთქი. იცით, რატომ გკითხეთ? ექვს ივნისს ხომ კარლსენი მოკვდა, მე კი მეგონა, რომ თქვენ მოკალით იგი.

მაიცა ციდან ჩამოვარდნილივით იმეორებს:

— კარლსენი მოვკალი? — და კვლავ დუმს.

— დიახ, ბოლო წუთამდე ასე ვფიქრობდი, სწორედ ეს მაეჭვებდა. აი, რა ზომამდე ვიყავი დარწმუნებული, რომ გარეწარი ხართ. ახლა ამ ავკაცობას აღარ გაბრალებთ, ვაღიარებ, რომ ვცდებოდი, რომ ეჭვმა ძალიან ღრმად შემატოპინა და პატიებას გთხოვთ. გინდ დამიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ გულწრფელად ვწუხვარ, უსამართლოდ რომ ვანგსაჯეთ. ამიტომაც, საღამოობით, როცა მარტო ვრჩებოდი ხოლმე, ჩემს გუნებაში ბევრჯერ მითხოვია თქვენთვის პატიება, მაგრამ, თუმცა ასე უზომოდ შევცდი, კვლავინდებურად მჯერა, ბილწი და უმსგავსი კაცი ხართ და თუ მაინც ვცდები, დაე, ღმერთმა მიზღას სამაგიერო! აი, ახლაც კი, როცა თქვენ წინ ვდგავარ და გიყურებთ, სულის ყველა ნაწილითა ვგრძნობ ამას. ვფიცავ ღმერთს, არა ვტყუი! რატომ ვარ ასე დარწმუნებული? ყურადღება მიაქციეთ, თავიდან ყოველგვარი საფუძველი მქონდა, მხოლოდ და მხოლოდ კარგი მეფიქრა თქვენზე; მერეც, რაც კი გიქმნიათ და გითქვამთ, ყოველთვის ყველაფერი კარგი, სამართლიანი და კეთილშობილურიც კი იყო. ერთხელ სიზმარში გნახეთ. საოცარი, მშვენიერი სიზმარი იყო. ვითომ უზარმაზარი ჰაობის გულში დგახართ და ენით აუწერლად იტანჯებით, რადგან მე აბუჩად გიგდებთ, თქვენ კი მაინც მუხლზე დაცემული მიხდით მადლობას, უფრო მეტად რომ არ გაწამეთ, უფრო საზარლად არ გტანჯეთ. აი, როგორ დამესიზმრეთ, როგორც ხედავთ, კარგის მეტი არაფერია. ისე მარჯვედ მალავთ თქვენს ნამდვილ სახეს, ქალაქში კაცი არ იფიქრებს, ცუდი საქმის ჩადენა შეუძლიაო. თქვენზე მხოლოდ კარგი ხმა დადის და ყველას კეთილგანწყობით სარგებლობთ. მიუხედავად ამისა, ჩემი შინაგანი ხილვის წინაშე შიშვლდება თქვენი ლაჩრული, მიწას განრთხმული პირუტყვული სული; თქვენს გულში ყველასთვის მოიძებნება მოარული კეთილი სიტყვა, მოიძებნება საყოველდღეო კეთილი საქმეც. ახლა ესეც ვთქვათ — განა ოდესმე ცილი დამწამეთ, ავი მიქენით ანდა ჩემი საიდუმლო გათქვით ვინმესთან? არა და არა, ეს არ გიქნიათ და სწორედ აქაა ჩამარხული თქვენი ქმედების არსი, ცხოვრების ნირი. ყველასათვის კეთილი გსურთ, ავს არავის უკეთებთ, თქვენ წმინდანი ხართ, უცოდველი ყველას წინაშე და თითსაც ვერავინ დაგაკარებთ. ამქვეყნისთვის ეს საკმარისზე მეტიცაა, მაგრამ ჩემთვის არ კმარა. მუდამ მაეჭვებთ. პირველივე დღეს, შემოგხედეთ თუ არა, რაღაც საოცრება

დამემართა — ეს ჩემი ჩამოსვლიდან ორი დღის შემდეგ ღამით მოხდა — ზუსტად ღამის ორ საათზე დაგინახეთ მარტა გუდეს სახლთან სანაპიროზე; შუა ქუჩაში იდექით, საიდან გამოხვედით არ ვიცი, თვალი ვერ შეგასწორით. მელოდით, სანამ ჩავივლიდი და, როცა გაგისწორდით, ალმაცერი მზერა მესროლეთ. იმ დროს ჯერ კიდევ არ ვიცნობდით ერთმანეთს, მაგრამ რაღაცამ მაიძულა ყურადღება მომეპყრო თქვენთვის და შინაგანმა ხმამ მიკარნახა, იუჰანესი ჰქვიაო. როგორც აღსარების დროს, ისე გეუბნებით — სრულ სიმართლეს ვამბობ; სწორედ შინაგანმა ხმამ ჩამჩურჩულა, რომ იუჰანესი გერქვათ და ყურადღება უნდა მომექცია თქვენთვის. მერედა გავიგე, მართლაც, ასე გრქმევიათ. იმ ღამიდან მოყოლებული სულ ვცდილობდი, თვალთახედვიდან არ გამპარვოდით, მაგრამ ყოველთვის თვალსა და ხელშუა მისხლტებოდით. ერთხელაც ვერ ჩაგავლეთ ხელი. ბოლოს და ბოლოს, მაინც გადამიღვარეთ საწამლავი, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ კეთილი ზრახვით, კეთილშობილური შიშით აღანილმა, ვაითუ, მაინც დალიოსო. როგორ აგიხსნათ, რა გრძნობას აღმიძრავს თქვენი საქციელი? თქვენი უბიწობა მაცოფებს, ლამაზ-ლამაზი სიტყვები და ქმედება კიდევ უფრო მაშორებს მიზანს — რამენაირად გამოგიჭიროთ. მინდა ნიღაბი ჩამოგხადოთ, იმ ზომამდე მიგიყვანოთ, ნამდვილი სახე გაიშიშვლოთ. ყოველთვის, როცა კი თქვენს თაღლითურ ცისფერ თვალებს შევცქერი, ზიზღისგან ძარღვებში სისხლი მეყინება, თქვენს გვერდით ტანზე ეკალი მაყრის და მხოლოდ ერთი რამ ვიცი მტკიცედ: ბუნებითა ხართ მუხანათი!

ამ წუთშიაც კი, მიუხედავად დათრგუნვილი იერისა და სახეზე დაწერილი სასოწარკვეთისა, მეჩვენება, რომ ქვეშ-ქვეშ დამცინით და სულის სიღრმეში კმაყოფილი ღორივით ღრუტუნებთ, რადგან ხელთ ვერაფერი მოვიგდე და უძლური ვარ, სამზეოზე გამოგიყვანოთ.

მაიცა ახლაც არ იღებს ხმას, ნაგელი განაგრძობს:

— რა თქმა უნდა, ფიქრობთ: ვინ არის ან საიდან მოსულა ეს ავაზაკი, რას დამეძგერა და რა ბრალს მდებსო? კეთილი და პატიოსანი, სულ არ მენაღვლება, რას იფიქრებთ ჩემზე. სულ ერთია, გულის სიღრმეში მაინც ხვდებით, რომ სამზეოზე გამოგიყვანეთ და ჩემთვის ესეც საკმარისია. მითხარით, რატომ იტანთ ჩემგან ამგვარ მოპყრობას, რატომ არ წამოხტებით, არ მაფურთხებთ სახეში, რატომ არ გარბიხართ კარის ჯახუნით?

მაიცა, ეტყობა, გამოფხიზლდა, ნაგელს ახედავს და ეუბნება:

— აკი კარი ჩამიკეტეთ.

— ამას დამიხედეთ, არ გამოფხიზლდა!.. როგორ არა, სწორედ დაგიჯერეთ, თითქოს მართლა გგონიათ, კარი ჩაკეტილი იყოს. დიაა, აგერ, თქვენი თვალით დარწმუნდით. გამოსაცდელად გითხარით, დაკეტილია-მეთქი — ხაფანგი დაგიგეთ. მაგრამ მთავარი ის არის, ერთი წამითაც არ შეეჭვებულხართ, რომ კარი ღია იყო, უბრალოდ, ისე დაიჭირეთ თავი, თითქოს მართლა გჯეროდათ, რათა ჩვეული მორჩილი სახით მჯდარიყავით აქ. უბიწო, უმანკო სული, რომელიც ჩემი უსამართლობის მსხვერპლი გახდა! აზრადაც არ მოგსვლიათ გამქცეოდით, ფეხიც არ მოგიცვლიათ ადგილიდან. როგორც კი მიგახვედრეთ, მაეჭვებთ-მეთქი, უმალ ყური ცქვიტეთ, რომ გაგეგოთ, მაინც რა ვიცოდი და რამდენად სახიფათო შევიქნებოდი თქვენთვის. თუნდაც ცხარე უარი მტკიცოთ, ჩემთვის სულ ერთია, რადგან, ღმერთმანი, ნამდვილად ვიცი, რომ ასეა.

ისე მაინც რატომ წამოვიწყე მთელი ეს ახსნა-განმარტება? სრული უფლება გაქვთ მკითხოთ, რადგან, კაცმა რომ თქვას, თქვენ რას აკეთებთ, მე სულ არ მეხება. არა, ჩემო კარგო, სცდებით, სწორედ რომ მეხება. უპირველეს ყოვლისა, მინდა გაგაფრთხილოთ. მერწმუნეთ, რასაც ახლა გეუბნებით, მტკიცედ მჯერა: ასე თუ ისე, თქვენ სამარცხვინოდ ცხოვრობთ, ჯერჯერობით ახერხებთ ამის დამალვას. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ნიღაბი აგეხდებათ და [illegible] პირში მოგაფურთხებთ. ეს ერთი, მეორე კი, აი, რა არის: მე მგონი, თუმცა თქვენ გადაწყვეტით უარსა ხართ, ფრეკენ გუდესთან უფრო დაახლოებული უნდა იყოთ, ვიდრე ამჟღავნებთ. რა მესაქმება ფრეკენ გუდესთან? ისევ და ისევ მართალი ხართ. ამ კითხვაზე გაჩუმების მეტი არა დამრჩენია რა — ფრეკენ გუდესთან ამქვეყნად ყველაზე ნაკლებ მესაქმება. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ამას გარეშეს თვალით ვუყურებ, უფლება მაქვს შევწუხდე, ვაითუ, თქვენს სიახლოვეს მასაც გადაედოს წმინდანობას ამოფარებული სიბილწე. აი, ამიტომ წამოვიწყე ეს ლაპარაკი.

ნაგელი მეორე სიგარას უკიდებს და ეუბნება:

— აი, სულ ეს არის და კარიც ღიაა. გაწყენინეთ? გინდ გამიჩუმდით, გინდ მიპასუხეთ; მოკლედ, როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით. ოღონდ, თუ პასუხს გამცემთ, დე, თქვენმა შინაგანმა ხმამ გამცეს პასუხი. ჩემო კარგო, ნება მომეცით, სანამ წახვიდოდეთ, კიდევ ერთი რამ გითხრათ: თქვენთვის ცუდი არ მინდა.

დუმილია.

მაიცა დგება, ქურთუკის ჯიბეში ხელს იყოფს, კონვერტს იღებს და ეუბნება:

— ამას თქვენგან ველარ მივიღებ.

საქმის ასე შემობრუნებას ნაგელი არ ელოდა. კონვერტი მთლად გადაავიწყდა.

— ჩემგან არ მიიღებთ? რატომ?

— თქვენგან არ შემიძლია ამის მიღება.

მაიცა მაგიდაზე დებს კონვერტს და კარისკენ მიდის. თვალცრემლიანი ნაგელი, კონვერტით ხელში, უკან გამოედევნება და შემკრთალი ხმით ეუბნება:

— მაინც აიღეთ, გრეგორდ.

— არა, — პასუხობს მაიცა და კარს აღებს.

ნაგელი ისევ ხურავს კარს და კიდევ ერთხელ ეუბნება:

— აიღეთ, აიღეთ! მოდით, იცით, რას გეტყვით, გეტყვით, რომ ჭკუიდან შევიშალე, რომ, რაც დღეს ითქვა, ყველაფერი უნდა დაივიწყოთ. უბრალოდ, ჭკუიდან შევცდი და აბა, რა სათვალავში ჩასაგდებია, რასა ვჩმახავდი.

თუკი გიჟი ვარ, ჩემი სიტყვები რაღა ყურადსაღები იქნება, ეს ხომ თავადაც გესმით, ალბათ? ოღონდ კონვერტი უნდა აიღოთ, თუმცა გონება არეული მაქვს, ავი არა მსურს თქვენთვის. ღვთის გულისათვის, აიღეთ კონვერტი, მერწმუნეთ, ძალიან ცოტაა, იმდენად ცოტა, სალაპარაკოდაც არ ღირს. სანამ ერთმანეთს დავშორდებოდეთ, ძალიან მინდა, მოგცეთ. სულ იმაზე ვფიქრობდი, თქვენთვის წერილი დამეტოვებინა და შიგ ცოტაოდენი თანხა ჩამედო — რამდენი. ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი კონვერტში ჩადებული წერილია. აიღეთ, როგორც გამოსათხოვარი საჩუქარი. აი, აიღეთ, გევედრებით! ძალიან მადლობელი ვიქნები თქვენი.

ამ სიტყვებთან ერთად ნაგელი მაიცას ხელში ჩრის კონვერტს და უკან არ დამიბრუნოსო, თავპირისმტვრევით გარბის ფანჯრისკენ. მაიცა არ უთმობს, კონვერტს მაგიდაზე დებს, უარის ნიშნად თავს იქნევს და გადის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXI

დიახ, ყველაფერი უკუღმართად ტრიალდებოდა, შინ იჯდა თუ გარეთ, ქუჩაში დაეხეტებოდა, მოსვენებას ვერსად პოულობდა ნაგელი. თავში ათასი ფიქრი აფუტკნოდა და ყველა მათგანი ტანჯვას აყენებდა. მაინც რატომ ბრუნდება ყველაფერი მის წინააღმდეგ? ეს ვერ გაეგო, მაგრამ რაღაც ძალა კი ცხადად ბორკავდა. იქამდე მივიდა საქმე, თუმცა სულით და გულით უნდოდა, მაიცასაც კი ვერ ააღებინა ის ბედკრული კონვერტი.

ყველაფერი სევდასა ჰგვრიდა და ხელიდან ყველაფერი გამოსდიოდა. ახლა კიდევ რაღაც უცნაური შიში დასჩემდა — თითქოს სადღაც ხიფათი ჰყავდა ჩასაფრებული და ელოდა. უცნაური შიშით შეპყრობილს, ხშირად ფარდის წერხევაც კი აკრთობდა. ეს რაღა ახალი სატანჯველი დაატყდა თავს? ნაგელი წინათაც არასოდეს ყოფილა მიმზიდველი და ახლა, როცა წვერი აღარ იპარსავდა, ისედაც უხეშნაკვთიანი სახე, კიდევ უფრო გაუუხეშდა. ლოყებსა და ნიკაპზე ჯაგარი მოედო. ეჩვენებოდა, საფეთქლებზე კიდევ უფრო მომერიაო ჭაღარა.

რა მოხდა? განა მზე არ კაშკაშებს, განა ბედნიერი არაა, რომ კვლავ ცოცხალია და საითაც მოესურვება იქითკენ წავა? ან, იქნებ, სამყაროს მშვენებამ დაუხშო კარი?

მზე სხივებად დაღვრილა ბაზრის მოედანზე და ზღვაზე. ოქროთი დაფერილსა ჰგავს ყველაფერი. ქვაფენილზე დაყრილ ლორლსაც კი ოქროსმტვერი დაფრქვევია ზედ, ლაჟვარდოვანი ცისკენ ატყორცნილ სამრეკლოს წვერზე ბრილიანტივით ბრწყინავს ვერცხლის ბურთი.

ნაგელი უეცრად წალეკა ენით უთქმელმა სიხარულმა, გრძნობამოძალებული უმალ ფანჯარას გადაეყუდა და სასტუმროს კიბეზე მოთამაშე ბავშვებს მთელი მუჭა ვერცხლის ფული გადაუყარა.

— ჰქვიანად იყავით, საყვარლებო! — გადასძახებს და აღელვებისგან ენას ძლივს აბრუნებს. რისა უნდა ეშინოდეს? ან, ვითომ, რითი გამოიყურება უწინდელზე უარესად? თანაც, აბა, რა უშლის ხელს, საპარიკმახეროში შევიდეს, წვერი გაიპარსოს და, საერთოდ, თავს მიხედოს? თავის ნება არ არის? და მაშინვე საპარიკმახეროში მიდის.

გზად გაახსენდება, რაღაცები ჰქონდა საყიდელი; ჰო, სარასთვის შეპირებული სამაჯურიც არ უნდა დაავიწყდეს. ბავშვივით უდარდელი, მთელ სამყაროსთან შეთვისებულ-შეგუებული, მხიარული ღიღინით მიაბიჯებს თავისი საქმეების მოსაგვარებლად. მშვენიერ გუნებაზეა და არც არაფერია საშიში... წეღანდელი შიში და შფოთვა? სუყველაფერი მხოლოდ მისი წარმოსახვის ბრალი იყო.

სულ ასეთ მშვენიერ გუნებაზეა, სანამ ქალაქში დაეხეტება, თავშიც ნათელი აზრები უტრიალებს. მართალია ცოტა ხნის უკან ძალიან უსიამოვნო საუბარი ჰქონდა მაიცასთან. მაგრამ უკვე სანახევროდ მიავიწყდა; რაღაც ბუნდოვანი გრძნობაღა შერჩა, თითქოს ყველაფერი სიზმარში მოხდაო. მაიცამ კონ-

ვერტი არ აიღო, სამაგიეროდ კიდევ ერთი კონვერტი მარტასთვის აქვს გადადებული... ერთი სული აქვს, გულს მომსკდარი სიხარული სხვასაც გაუზიაროს და ამიტომ მაშინვე გადაწყვეტს. რამენაირად მიაწოდოს მარტას ბარათი. რა ქნას, როგორ მოახერხოს? გულის დასამშვიდებლად სათვალეს იღებს და იხედება: ბარათი შიგ ძევს. ნეტავ, საიდუმლოდ ხომ არ გააგზავნა დაგნისთვის? არა, დაგნისთვის გაგზავნა მაინც არა ღირს. ჩაფიქრდა [illegible] მაინც მაშინვე უნდოდა გაეგზავნა ბარათი. კაცმა რომ თქვას, ბარათიც არ ეთქმოდა, შიგ ერთი სიტყვაც არ ეწერა, მხოლოდ რამდენიმე ასიგნაცია იდო კონვერტში; იქნებ, ექიმ სტენერსენისთვის ეთხოვა? და კმაყოფილმა გამოსავალი ვიპოვეო, ექიმ სტენერსენისკენ გასწია.

საღამოს ექვსი საათი იყო. ნაგელი ექიმის მისაღების კარზე აკაკუნებს. არავინაა. შედის ეზოში, რომ სამზარეულოში იკითხოს, სად არის ექიმი, მაგრამ ამ დროს ფრუ სტენერსენი უხმობს ბაღიდან.

ბაღში მასპინძლები და რამდენიმე სტუმარი დიდი ქვის მაგიდას შემოსხდომიან და ყავასა სვამენ. სტუმართა შორის დაგნი ჰელანიცაა. თავზე ბაფთის მაგიერად, ღია ფერის პატარა ყვავილებით მორთული ქუდი ახურავს.

ნაგელი უკან გაბრუნებას აპირებს და ლუღლუღით რაღაცას უხსნის...

— მე მხოლოდ ექიმთან, ექიმთან...

ღმერთო ჩემო, ავად ხომ არ შეიქნა?

არა, არა, კარგადაა.

მაშინ, არავითარ შემთხვევაში არ გაუშვებენ.

და ფრუ სტენერსენმა სახელოზე დასწია. დაგნი წამოდგა კიდეც, რომ თავისი სკამი დაეთმო. ნაგელმა შეხედა, თვალებში ჩახედეს ერთმანეთს. დაგნი მისი გულისთვის ადგა კიდეც და ჩუმი ხმით უთხრა: „აგერ, ჩემი სკამი, გთხოვთ!"

ნაგელმა ექიმის გვერდით თავისუფალი სკამი შენიშნა და იქ დაჯდა.

შეგებებამ ცოტა არ იყოს დააბნია. დაგნიმ ალერსით შემოხედა და სკამიც კი დაუთმო. გული აუძგერდა: იქნებ, მაინც მისთვის გადაეცა ბარათი.

ცოტა ხნის შემდეგ ნაგელი დამშვიდდა. ყველანი მხიარულად საუბრობდნენ, ხან რას ყვებოდნენ და ხან რას. ნაგელი ისევ გახალისდა, მღელვარებისგან მისი ხმა ზარივით რეკდა. ცოცხალია, არ მომკვდარა და არც მოკვდება! მწვანით დაჩრდილულ ბაღში, ვერცხლის ჭურჭლით გაწყობილ ქათქათა სუფრას შემოსხდომიან გარს სტუმარ-მასპინძლები, თვალებგაბრწყინებულნი საუბრობენ და იცინიან; აბა, რაა საფიქრალი ან სადარდელი?

— ოჰ, თქვენ რომ ჩვენი სიამოვნება გინდოდეთ, ახლა ვიოლინოს აიღებდით და რამეს დაგვიკრავდით, — უთხრა ფრუ სტენერსენმა.

ეს როგორ მოუვიდა აზრად!

და როცა სხვებიც შეეხვეწნენ. გადაიხარხარა და მიუგო:

— აბა, როგორ, როცა ვიოლინოც არა მაქვს!

მაგას მოევლება, ორღანისტთან გაგზავნიან ვინმეს და ერთ წუთში მოიტანს.

არა, ხურავის გაგზავნიან, სულ ერთია, თითს არ დააკარებს. ეგეც არ იყოს. ორღანისტის ვიოლინო გრიფზე ჩასმულმა იაგუნდებმა გააფუჭა, გრიფზე არ უნდა ჩაესვათ იაგუნდები, ამის გამო ვიოლინოს ხმა გაუმჭახდა. დაკვრა პირდაპირ შეუძლებელია! თან ვეღარც ქამანს ფლობს. ანკი როდისა ფლობდა,

თავად უკვე არ იცის?.. და უცბად მოჰყვა, რა შეემთხვა, როცა მისი დაკვრა, პირველად და უკანასკნელად, საყოველთაო მსჯელობის საგანი გახდა პრესის ფურცლებზე. ამ ამბავს სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს. გაზეთი საღამოს მიიღო და უკვე ლოგინში იწვა, როცა წაიკითხა. მაშინ ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო, მშობლებთან ერთად ცხოვრობდა, რეცენზია კი ადგილობრივ გაზეთში იყო დაბეჭდილი. ოჰ, რა ბედნიერი იყო, როცა გაზეთს კითხულობდა, სტატია რამდენჯერმე წაიკითხა და ბოლოს ისე ჩაეძინა, სანთელიც კი არ ჩააქრო. ღამე გამოეღვიძა, ჯერაც საშინლად იყო დაღლილი, სანთელი ჩამწვარიყო და ოთახში ბნელოდა; დაინახა — იატაკზე რაღაც თეთრად ანათებს და რადგან ოთახში საფურთხებელი ედგა, გაიფიქრა: რა თქმა უნდა, საფურთხებელი იქნებაო. სირცხვილიც კია ამის თქმა, მაგრამ გადააფურთხა და ხმაზე მიხვდა, რომ მოახვედრა. რადგან ასე მარჯვედ დაუმიზნა, გადაწყვიტა, ერთხელ კიდევ ესინჯა — ხელმეორედ გადააფურთხა და არც ამჯერად აუცდენია. მერე ისევ მიწვა და ჩაეძინა; დილით კი, თვალი რომ გაახილა, დაინახა, თურმე, ნუ იტყვით და, სულ იმ სანუკვარი გაზეთისა და რეცენზიისთვის არ უფურთხებია?! ჰა-ჰა-ჰა, ფრიად სამწუხარო ამბავია, არა?

მის ნაამბობზე ყველამ იცინა, სუფრა უფრო გამოცოცხლდა და გამხიარულდა, მაგრამ ფრუ სტენერსენმა მაინც შენიშნა:

— დღეს, მართლაც, რაღაც გაფითრებული ხართ და უარესად გამოიყურებით.

— ეჰ, — შესძახა ნაგელმა, — მაგას რა მნიშვნელობა აქვს, თავს მშვენივრად ვგრძნობ.

და გადაიხარხარა — აქაოდა, რა მოსატანია, თითქოს შეუძლოდ ვიყოო.

მაგრამ ნაგელი უეცრად ჭარხალივით წითლდება, სკამიდან დგება და ამბობს, რომ, მართლაც, ვერა გრძნობს თავს კარგად; თავადაც არ იცის, რა მოსდის, მაგრამ ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს მოულოდნელად რაღაც უნდა დაატყდეს თავს და ერთთავად ეშინია. ჰა-ჰა-ჰა, ვინმე მათგანს თუ დამართნია ასეთი რამ? სასაცილოა, არა? ასეთი გრძნობა ადრეც ჰქონია.

ყველამ სთხოვა, ეგ ამბავი მოგვიყევიო.

ღირს კი მოყოლად? რაღაც სულელური, ფუჭი ამბავია, დროის დაკარგვად არცა ღირს, ყურის გდება დაეზარებათ.

არა, არა, რას ჰქვია დაეზარებათ!

ამბავიც ძალიან გრძელია. ეს ოკეანის გაღაღმა, სან-ფრანცისკოში გადახდა თავს, იმ დღეს, ოპიუმი რომ მოსწია.

ოპიუმი? ღმერთო, რა საინტერესოა!

— ოჰ, არა, ქალბატონო, მტანჯველი უფრო ეთქმის, რაკი დღემდე, დღისით-მზისით, უმიზეზო შიში მაწვალებს ხოლმე. გთხოვთ, ნუ გეგონებათ, საერთოდ ვეწეოდე ოპიუმს. მხოლოდ ორჯერ მომიხდა მოწევა და მეორეჯერ, მართლაც აღარაფერია საინტერესო; მაგრამ პირველად, რაც მართალია მართალია, უჩვეულო რამ განვიცადე. მე იქ, ეგრეთ წოდებულ „დენში" მოვხვდი. როგორ მოვხვდი? სრულიად შემთხვევით. ქუჩაში დავეხეტებოდი ხოლმე და ხალხს ვაკვირდებოდი, მერე რომელიმეს ამოვირჩევდი და შორიახლოდან ავედევნებოდი, რომ გამეგო, სად მიმიყვანდა. მოურიდებლად მივყვებოდი უკან ჩემს რჩეულებს, შევდიოდი იმ სახლებში, სადაც ისინი შედიოდნენ, მათთან ერთად ავდიოდი კიბეზე, რომ, ბოლოს და ბოლოს, გამეგო, სად მიდიოდნენ.

დიდ ქალაქებში ძალიან საინტერესო ღამღამობით ასე ხეტიალი. ვინ იცის, რა საოცრებას არ გადაეყრები, ვის აღარ გაიცნობ!.. მაგრამ ახლა ამაზე არაფერს ვამბობ. მოკლედ, სან-ფრანცისკოში ვარ და ქუჩაში დავეხეტები. ღამეა. ჩემ წინ მაღალი, ხმელ-ხმელი ქალი მიდის, რომელსაც თვალთახედვიდან არ ვუშვებ. როცა გაზის ფარნებთან მოვხვდით, შუქი ეცემა და ვხედავ, ქალს გაცვეთილი კაბა აცვია, მაგრამ ყელზე რაღაც მწვანე თვლით მოოჭვილი ჯვარი ჰკიდია. ნეტა, სად მიდის? რამდენიმე კვარტალი რომ გაიარა, ერთ პატარა ქუჩაზე ჩაუხვია და გზა განაგრძო, მეც ფეხდაფეხ მივდევ. ბოლოს, ორივემ ჩინურ კვარტალში ამოვყავით თავი. ქალი კიბეზე ეშვება და სარდაფში ჩადის, მეც მივყვები. ჩვენგან მარჯვნივ ქვის კედელია, მარცხნივ პატარ-პატარა სავაჭროები. ერთში საყავეა, მეორეში — სადალაქო, მესამეში — სამრეცხაო. ქალი ერთ-ერთი კარის წინ ჩერდება და აკაკუნებს. კარის სარკმელში ვიღაცის ელამთვალებიანი სახე გამოკრთება და ქალს კარს უღებენ. ცოტა ხანს ვიცდი, ვდგავარ, თითსაც არ ვანძრევ. მერე მეც ვაკაკუნებ; კარი კვლავ იღება და მეც მიშვებენ.

ოთახი, სადაც მე მოვხვდი, ბოლითაა სავსე და ხალხისგან ბურბური გაუდის. კედელთან მიდგმულ მაგიდასთან ქალი რაღაცას ეჩურჩულება ჩინელს, რომელსაც ფართფარა ლურჯი ხალათი აცვია. ვუახლოვდები ორიოდე ნაბიჯზე და მესმის, ქალი ჯვრის სამაგიეროდ რაღაც თანხას სთხოვს, ოღონდ გაყიდვა კი არა, მხოლოდ დაგირავება უნდა. მერე ირკვევა, სულ რაღაც ორ დოლარზეა ლაპარაკი, მაგრამ ქალს ჩინელის ადრინდელი ვალიც აქვს. მოკლედ, ჩინელი სამ დოლარს იძლევა ჯვარში. კეთილი, ქალს აღელვებისგან თავგზა აქვს დაკარგული, სლუკუნებს, ხელებს იმტვრევს და ცნობისწადილს მიღვიძებს; თუმცა ლურჯხალათიანი ჩინელიც მაინტერესებს; გაგონებაც კი არაფრის უნდოდა, სანამ ჯვარს ხელის გულზე არ დაუდებდნენ — ან ფული ან ჯვარი!

— ცოტა ხანს ჩამოვჯდები, — ეუბნება ქალი, — ნუ მაჩქარებთ! ვიცი, ბოლოს და ბოლოს, დამთანხმდებით. სხვა გზა არა გაქვს, მაგრამ ამას არ უნდა ჩივდიოდე.

ქალი კვლავ ქვითინებს და იმტვრევს ხელებს, ჩინელი კი გულგრილად შესცქერის.

— რას არ უნდა სჩადიოდეთ? — ვეკითხები მე. კილოზე მატყობს, რომ უცხოელი ვარ და არა მპასუხობს.

ვიმეორებ, ამ ქალმა ძალზე დამაინტერესა და გადაწყვეტილი მაქვს, რითიმე დავეხმარო; ვთქვათ, მივცე ფული და მერე ვნახო, რა მოხდება. რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ ცნობისმოყვარეობა მკლავს. გარდა იმ ფულისა, რაც სჭირდებოდა, კიდევ ერთ დოლარს ვჩრი ხელში და ველი, რას უზამს ამ ფულს — ეს განსაკუთრებით მაინტერესებს.

იგი მადლობით სავსე დიდი თვალებით შემომცქერის, მაგრამ არაფერს მეუბნება. უსიტყვოდ მიქნევს რამდენჯერმე თავს და თვალზე ცრემლი ადგება, თუმცა მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო გავუმართე ხელი. კეთილი. ქალი მაგიდასთან მიდის, ფულს უწვდის ჩინელს და დაუყოვნებლივ თხოულობს ოთახს. ფულს, რაცა აქვს, მთლიანად აძლევს.

ქალი ოთახიდან გადის და მეც უკან მივდევ. კვლავ მივუყვებით გრძელ დერეფანს, რომლის ორივე მხარეს ნომრებია ჩამწკრივებული. ქალი ერთ-ერთ

მათგანში შესხლტება და კარს ხურავს. ველი რამდენიმე წუთს, მაგრამ ქალი არ გამოდის, ფრთხილად ვაწვები კარის სახელურს — კარი ჩაკეტილია.

მაშინ მეზობელ ოთახში შევდივარ და იქ ველოდები. ოთახში წითელ ქსოვილგადაკრული დიდი სავარძელი დგას, კედელზე ბრა ჰკიდია, გვერდით ზარის ღილაკია. ვწვები დივანზე, დრო ნელა, მოსაწყენად მიიზლაზნება. თავის შესაქცევად ზარის ღილაკს ვაჭერ ხელს. არაფერი არ მჭირდება, მაგრამ ვრეკავ. შემოდის ჩინელი ბიჭუნა, მიყურებს და ისევ ქრება. გადის რამდენიმე წუთი, „რას წახვედი, მოდი ერთხელ კიდევ შეგხედავ". — დროს მოსაკლავად ვამბობ ჩემთვის. „რატომ არ მოდიხარ?" — ვამბობ და ისევ ვრეკავ. ჩინელი ბიჭუნა ისევ შემოდის, თექის ფეხსაცმლით მოჩვენებასავით უჩქამოდ დასრიალებს. თვითონ კრინტს არ ძრავს და მეც ჩუმადა ვარ. მაწვდის გრძელტარიან პაწაწკინტელა ფაიფურის ჩიბუხს და მეც ვართმევ. მერე ნალვერდალს მიწვდის და ჩიბუხს ვუკიდებ. მე მისთვის ჩიბუხი არ მითხოვია, მაგრამ მაინც ვეწევი. მერე ყურებში ზარის რეკვა მიდგება...

არაფერი მახსოვს, გარდა იმისა, რომ სადღაც ძალიან მაღლა-მაღლა ვიყავი და სულ უფრო მაღლა მივფრინავდი. ვგრძნობდი, როგორ ვსრიალებდი ცაში, რა ნათელი იდგა გარშემო და რა ქათქათა თეთრი ღრუბლები მოქროდნენ ჩემს შესახვედრად! ვინ ვარ და სად მივფრინავ? ავდივარ თვალუწვდენელ სიმაღლეზე. შორს, ქვევით მზით მოქარგულ მწვანე ველებს, ლურჯად მოკამკამე ზღვებსა და მთებს ვხედავ. ყურში ცათა მუსიკა მესმის და ამ ჰანგისგან ირგვლივ ყველაფერი იძვრის და რეკავს. მაგრამ ყველაზე დიდ ნეტარებას თეთრი ღრუბლები მანიჭებენ, ისინი ჩემს სხეულში იჭრებიან და მეჩვენება, რომ ნეტარებისგან ეს-ესაა სული ამომხდება. ვგრძნობ, ამ ნეტარებას ბოლო არ უჩანს, მეკარგება დროის შეგრძნება და მავიწყდება ვინა ვარ მე. უეცრად რაღაც მიწიერი მოგონება გულს მეწონება და იმავე წუთს ვგრძნობ, რომ ვვარდები.

ვვარდები, ვვარდები, ნათელი თანდათან კლებულობს და გარშემო სულ უფრო და უფრო ბნელდება ყველაფერი. ქვევით მიწასა ვხედავ და უკვე ვიცი, ვინც ვარ. იქ, ქვევით, ქალაქები, ქარი და კვამლია. უეცრად ვგრძნობ, რომ აღარ ვვარდები, აქეთ-იქით ვიცქირები და ვხედავ, ოკეანეში ვარ. ბედნიერად აღარ ვგრძნობ თავს, ვეხეთქები წყალქვეშა ქვებს და მცივა, ფეხქვეშ ქვიშიან ფსკერს ვზმანავ, თვალსაწიერზე წყლის გარდა არაფერი ჩანს. მივცურავ და ვხედავ უცნაურ, მწვანე მკვრივფოთლიან წყალმცენარეებს, ზღვის ყვავილებს, მაღალ ღეროზე რომ ირწევიან; ვხედავ უტყვ სამყაროს, ჩქამი ვერსაიდან ისმის, მაგრამ ყველაფერი ცოცხლობს და იძვრის. ერთი-ორჯერ კიდევ ვუსვამ მხარს და მარჯნის კლდეებამდე მივცურავ: ოღონდ მარჯნის კლდეებზე მარჯანი აღარ არის, უკვე მოუტეხიათ და ჩემთვის ვამბობ: „შენამდე აქ ვიღაც ყოფილა. რადგან აქ უკვე იყო ვიღაც, ისე ეულად აღარ ვგრძნობ თავს. ისევ მივცურავ, მინდა ნაპირზე გავცურო, მაგრამ მკლავის ორიოდე მოსმა და ისევ ვჩერდები...
იმიტომ ვჩერდები, რომ ჩემს წინ ფსკერზე ადამიანსა ვხედავ. ქალია — მაღალი, გამხდარი, ჭრილობებით დასერილი წევს ლოდზე. ხელით ვეხები და იმ ქალსა ვცნობ. იგი მკვდარია, მაგრამ მე ვერა ვხვდები. მწვანე ჯვრით ვიცანი. ეს ის ქალია, რომელსაც უკან მივყვებოდი კარებჩამორიგებულ გრძელ დერეფანში. მინდა ისევ გავცურო, მაგრამ ვფერხდები, რომ სხვანაირად დავაწვინო. გაშოტილი წევს ლოდზე და საზარელი სანახავია. თვალები ღია დარჩენია,

მაგრამ მაინც გადამაქვს ლოდიდან თეთრ ქვიშაზე. ყელზე ჯვარი მოუჩანს და გულისპირში ვუმალავ, რომ თევზებმა არ წაიღონ. მერე ისევ მივცურავ...

დილით მიამბეს, იმ ღამეს ქალს თავი მოეკლა. ჩინურ კვარტალში, ოკეანეში გადამხტარიყო სანაპიროდან. გამთენიისას უნახავთ მისი ცხედარი. ძალიან უცნაურია, მაგრამ მოკვდა. იქნებ, კიდევა ვნახო, თუ რამეს ვიპოვნებ-მეთქი, გავიფიქრე... კიდევ ერთხელ წავედი ოპიუმის მოსაწევად. იმედი მქონდა, ისევ ვნახავდი, მაგრამ ამაოდ.

მაინც რა უცნაურია... ამ რამდენიმე ხნის უკან კიდევ ერთხელ შემემთხვა ასეთი რამ. ევროპაში დავბრუნდი და სამშობლოში დავბინავდი. ერთხელ თბილი საღამო იდგა და ქალაქში გავედი სასეირნოდ. სანაპიროზე ჩავედი, ტუმბოებთან დავდექი და გემბანებიდან მომავალ საუბარს მივუგდე ყური. სიჩუმე იდგა. ტუმბოები არ მუშაობდა. დავიღალე, მაგრამ ძალიან თბილოდა და შინ წასვლა მეზარებოდა. ავდექი და ერთ-ერთ ტუმბოზე ავძვერი. ისეთი წყნარი და თბილი საღამო იდგა, რული მომეკიდა და ჩამეძინა.

მეღვიძება იმიტომ, რომ ვიღაც მეძახის. ქვევით ვიხედები. ქვებზე ქალი დგას — მაღალი, გამხდარი ქალი; ვაზის ფარანი უეცრად ინთება და ვხედავ, გაცვეთილი კაბა აცვია.

ვესალმები.

— წვიმს, — მეუბნება იგი.

კეთილი. მართალია, მე თვითონ ვერ ვგრძნობ, მაგრამ რადგან წვიმს, უნდა სადმე შევაფარო თავი. ძირს ვხტები. იმავე წამს ისმის ყრუ ბრაგუნი, უზარმაზარი ბერკეტი დაბლა ეშვება და ტუმბო მუშაობას იწყებს. დროზე რომ არ ჩამოვმხტარიყავი, ვხვდები უეცრად, ლავაშივით გამაბრტყელებდა.

აქეთ-იქით ვიხედები. მართლაც, წინწკლავს... ქალი მიბრუნდება და მიდის. გავყურებ და ვცნობ, ჯვარიც გულზე ჰკიდია. დავინახე თუ არა, უმალ ვიცანი, მაგრამ თავი ისე დავიჭირე, ვითომ ვერ ვიცანი, ახლა კი მინდოდა წამოვწეოდი და ნაბიჯს ავუჩქარე. მაინც ვერ დავეწიე. მიწაზე ფეხს არ აკარებდა, ჰაერში მისრიალებდა უძრავად, მერე კუთხეში შეუხვია და ხელიდან დამისხლტა.

ეს ოთხი წლის წინ მოხდა.

ნაგელი გაჩუმდა. ექიმი ძლივს იკავებდა სიცილს, მაგრამ მაინც ძალიან სერიოზულად ჰკითხა:

— მას შემდეგ აღარ გინახავთ?

— ვნახე. დღეს დილით. ამიტომაც მიპყრობს დროდადრო შიში. ჩემს ნომერში, ფანჯარასთან ვიდექი და ქუჩას გავყურებდი, უეცრად გამოჩნდა და სასტუმროსკენ გამოსწია. ისე გადმოსჭრა ბაზრის მოედანი, თითქოს სანაპიროდან, ზღვიდან მოდიოდა. ჩემს ფანჯრებთან შეჩერდა და ამოიხედა. იქნებ, მე არ მიყურებს-მეთქი და მეორე ფანჯარასთან გადავინაცვლე, მაგრამ ისევ მომძებნა თვალით. თავი რომ დავუკარი, უკან გაბრუნდა, ჩქარი ნაბიჯით გაიარა ბაზრის მოედანი და სანაპიროსკენ დაეშვა. სასტუმროდან ყეფით გამომხტარ ლეკვ იაკობსენს ბალანი აებურძგნა. ამ ამბავმა ძალიან შემძრა. მას შემდეგ იმდენი ხანი გავიდა, რომ ის ქალი თითქმის მიმავიწყდა და აი, დღეს უცბად ისევ გამომეცხადა. იქნებ, მაფრთხილებდა?

ექიმმა გადაიხარხარა.

— მაგას რაღა თქმა უნდა... გაფრთხილებდათ, რომ ჩვენსას არ მოსულიყავით.

— არა, ამჯერად, რა თქმა უნდა, შეცდა, არაფერი არ მიწყენია, მაგრამ ამას წინათ კი, ის რომ არა, ბიოკეტი მომკლავდა, ამიტომაც ... არ იცის. შევკრთუნდი. მაშ, თქვენ გგონიათ, რა ყველაფერი ჩიოდნენ, არა? ჰა-ჰა-ჰა, კარგი სანახავები კი იქნებით. ამგვარ რამეებს ... მიჰყვება მივაქციოთ! სასაცილოა და მეტი არაფერი!

— ბერეტებისა და ცრუმორწმუნების მრავლობა, — დაასკვნა ექიმმა.

მერე უკვე ყველამ დაიწყო ამბების მოყოლა: ვინ იცის რას არ ჰყვებოდნენ. ამასობაში კი დრო გადიოდა. შებინდდა კიდეც. ნაგელს ხმა აღარ ამოუღია. შეამცივნა. ბოლოს წასასვლელად წამოიწია, გადაწყვიტა, მარტოსათვის ბარათის ... დღეს არ შეეწუხებინა. სჯობს უფრო ... თქვას, იქნებ, ... შეხვდეს სადმე ექიმს და მაშინ სთხოვს, იამხანური გაუწიოს, აწეწილული გუნების კვალიც კი აღარ შერჩენოდა.

ძალიან გაიხარა, მასთან ერთად დაგნიც რომ წამოდგა.

— იმედია, საშინელი ამბავი მომიყევით, მეც შემეშინდა, — თქვა მან. — სჯობს, სანამ არ დაბნელებულა, შინ წავიდე.

პაროდიან ერთად გამოვიდნენ. ნაგელმა ისე გაიხარა, აღარ აცდენდა, ახლა კი მოაგონდებოდა და მარტოსათვის ბარათის გადაცემას, ამაზე ხელსაყრელი შემთხვევა რაღა იქნება!

— ჰო, მართლა, რა საქმე გქონდათ ჩემთან? — მიაძახა ექიმმა.

— იაფით არაფერი, — შეცბა ნაგელი, — უბრალოდ თქვენი ნახვა მინდოდა, დიდი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს. მშვიდობით!

ქუჩაში გავიდნენ, ორივე დუმდა, მარტო ნაგელი კი არა, დაგნიც. ბოლოს, დუმილი რომ დაარღვია, დაგნი ამინდზე ალაპარაკდა: რა თბილი საღამოა.

— დიახ, წყნარი და თბილია.

ნაგელმაც კრინტი ვერ დაძრა, გვერდით მისდევდა დაგნის და უყურებდა... მისი ხავერდოვანი თვალები, ქერა თმა — გულის სიღრმეში ჩამარხული გრძნობამ ახალი ძალით იფეთქა, ქალის სიახლოვე ათრობდა, ხელი აიფარა თვალებზე. ყოველ ნაბიჯზე სულ უფრო და უფრო მშვენიერი ეჩვენებოდა — ყოველ ნაბიჯზე! უცბად დაივიწყა ყველაფერი, დაივიწყა, რომ დაგნი დასცინოდა, რომ მარტა წაართვა, გზაზე განზრახ დაუგდო ... რათა შეუმჩნევლად შეეტყუებინა ხაფანგში. თავს ძალა დაატანა. შეეშინდა, რომ თავი დაეღუპებინა და გრძნობას არ აჰყოლოდა. არა, ამჯერად თავი უნდა მოეთოკა. თავისი თავდაჯერებულობით დაგნი ... ჩააგდო საშინელ დღეში. ბოლოს და ბოლოს კაცი მქვია! — სურნელოვან ... ძალით ებრძოდა თავს.

მთავარ ქუჩაზე გავიდნენ. სასტუმროსთან ... უნდა გაეყარნენ. ნაგელი გრძნობდა, დაგნის რაღაც უნდოდა ეთქვა. რატომ მიჰყვებოდა ქალს გვერდით. დაგნიმ ტყეზე უნდა გაიაროს. იქნებ გაცილება ... მისცეს? დაგნი უცბად მიუბრუნდა და უთხრა:

— მადლობას გწირავთ ნაამბობისთვის. კიდევ გეშინიათ? ნუ გეშინიათ!

დიახ, ამ საღამოს კეთილიც არის და გულთბილიც და ნაგელსაც უმალ მოუნდა ბარათზე ეთქვა:

— ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან. ალბათ, არც უნდა გთხოვდეთ. არა მგონია, სამსახურის გაწევა ისურვოთ ჩემთვის.

— რატომაც არა, დიდი სიამოვნებით! — მიუგო დაგნიმ.

დაგნიმ თქვა, სიამოვნებითო! — და ნაგელმა ბარათის ამოსაღებად ჯიბეში ჩაიყო ხელი.

— აი, ეს წერილი მინდა გადასცეთ. კაცმა რომ თქვას, [illegible] არ ეთქმის, არამედ... მნიშვნელოვანი არაფერია, მაგრამ... ფრეკენ გუდესია. იქნებ, იცოდეთ, სად იმყოფება ამჟამად ფრეკენ გუდე? გეცოდინებათ, სადღაც გაემგზავრა.

დაგნი შედგა, უცნაურად შეხედა ნაგელს და ლურჯი თვალები თითქოს მოეღრუბლა. ცოტა ხანს უძრავად იდგა.

— ფრეკენ გუდესთვის? — ბოლოს ჩაეკითხა.

— დიახ, თუ შეიძლება. როცა მოახერხოთ, საჩქარო არ არის...

— დიახ, დიახ, — თითქოს გამოფხიზლდაო, ისე მიუგო დაგნიმ, — აქ მომეცით, ნუ სწუხართ, მაგ ბარათს ფრეკენ გუდეს გადავცემ. — კონვერტი ჯიბეში ჩაიდო, უეცრად თავი დაუქნია და დასძინა: — დიახ, დიახ, მადლობას მოგახსენებთ ამ საღამოსთვის, აბა, ჩემი წასვლის დროა.

ისევ შეხედა ნაგელს და წავიდა.

ნაგელი ადგილიდან არ დაძრულა. ასე, ერთი ხელის მოსმით, რატომ გაწყვიტა საუბარი? წასვლისას ავი თვალით არ შეუხედავს — პირიქით. და მაინც, რაღაც მოულოდნელად, უცბად წავიდა. აგერ, პასტორის კარ-მიდამოსკენ მიმავალ გზაზე გადაუხვია... იგერ, მოსახვევს მიეფარა...

როცა დაგნი თვალს მიეფარა, ნაგელი ნელი ნაბიჯით გაემართა სასტუმროსკენ. დაგნის თეთრი ქუდი ეხურა და... რა უცნაურად შემოხედა.

XXII

რა უცნაურად შეხედა. ვერ გაიგო, რას ნიშნავდა ეს შემოხედვა, მაგრამ სხვა დროს, კიდევ რომ შეხვდება, თუ რამე დააშავა, შეეცდება გამოისყიდოს. რა დამძიმებული აქვს თავი. სამაგიეროდ აღარ ეშინია, მადლობა ღმერთს, ეს სადარდებელი მაინც მოიშორა.

დივანზე ჩამოჯდა, რაღაც წიგნი გადაფურცლა, მაგრამ ვერ წაიკითხა. ადგა და შეშფოთებული მივიდა ფანჯარასთან. თავს არ ემხედდა, თორემ ფანჯარაში გახედვისა ეშინოდა, რომ იქ რაღაც ისეთი არ დაენახა, რისი ახსნაც არ შეიძლება. მუხლი მოეკვეთა. რა მოსდის? ისევ ჩამოჯდა დივანზე, წიგნი იატაკზე დაუვარდა. თავი ეხლიჩებოდა. ტკივილისგან და მძიმე აყალმყოფივით გრძნობდა თავს. უეჭველია, ციცხე აქვს. უჯდავლოდ არ ჩაუვლის ტყეში ორი დღე ზედიზედ ღამის თევამ — გაითოშა და გაცივდა. ჯერ კიდევ ექიმისას, ბაღში რომ იჯდა, მაშინ შეამჩნია.

არაფერია, მალე გამომრთელდება! როდის იყო ამგვარ რამეებს ყურადღებას აქცევდა; ხვალ ისევ კარგად იქნება! დარეკა და კონიაკი მოითხოვა, მაგრამ კონიაკმა ვერაფერი უშველა, ვერც კი დაათრო. ტლუ ულუბრალოდ დალია რამდენიმე ჭიქა. ყველაზე საშინელი ის იყო, სულმთლად აებნა გონება და აზრი უწყდებოდა. სულ რაღაც ერთი საათი გავიდა და როგორ გაუარეს-

და მდგომარეობა! რა ხდება! რატომ ირხევა ფარდები, როცა ნიავიც კი არ იძვრის? რას უნდა ნიშნავდეს? ისევ წამოდგა და სარკეში ჩაიხედა — გაუბედურებული, ავადმყოფური სახე ჰქონდა, ქუთუთოებიც ჩასწითლებოდა... „კიდევ გეშინიათ? ნუ შფოთავთ..." მშვენიერი დაგნი... ღმერთო ჩემო — ქათქათა ქუდი...

კარზე აკაკუნებენ, შემოდის სასტუმროს პატრონი, როგორც იქნა, შემოუტანა ანგარიში, ორ ფურცელზე ჩამოწერილი ანგარიში. უღიმის და არაჩვეულებრივად თავაზიანია.

ნაგელი მაშინვე იღებს საფულეს, ფათაფუთით იქექება შიგ და თავზარდაცემული კითხულობს, რამდენი მმართებსო. პატრონი უპასუხებს, თუმცა რა აუცილებელია მაინცდამაინც დღეს გადაიხადოს, მშვენივრად შეიძლება ხვალ ან სხვა დროისთვის გადასდონ.

ღმერთო ჩემო, შეუძლია კი საერთოდ გადახდა? ვაითუ ვერ შეძლოს? და ნაგელი საფულეში ფულს ვერ პოულობს. რაო, ფული საერთოდ აღარა აქვს? საფულეს მაგიდაზე აგდებს და ჯიბეებში იწყებს ქექვას; მთლად თავგზააბნეული, სასოწარკვეთილი ეძებს ყველგან; ბოლოს და ბოლოს შარვლის ჯიბეებშიც კი იჩხრიკება, რაღაც ხურდას იღებს და სასტუმროს პატრონს ეუბნება:

— აი, ცოტაოდენი ფული, მაგრამ ეს ალბათ არ კმარა, არა, რა თქმა უნდა, არ კმარა! თავად დათვალეთ!

— დიახ, — უდასტურებს პატრონი, — ეს არა კმარა.

ნაგელს შუბლზე ოფლი ასკდება, პატრონს ხელში ჩრის იმ რამდენიმე კრონს და კვლავ ჯიბეებში იჩხრიკება, ჟილეტის ჯიბესაც კი ამოწმებს, ეგება შიგ ხურდა ჩარჩა... მაგრამ იქაც არაფერია. ალბათ, რაღაცას მოახერხებს, იქნებ ვინმე დაეხმაროს და ცოტაოდენი ფული ასესხოს! ღმერთმანი, თუ თხოვს, ვინმე ხელს გაუმართავს.

პატრონი უკმაყოფილებას აღარ მალავს, ჩვეული თავაზიანობაც კი ღალატობს, მაგიდიდან საფულეს იღებს და თავად ეძებს ფულს.

— დიახ, გთხოვთ... — მიმართავს ნაგელი, — თავად ხედავთ, შიგ ქაღალდების მეტი არაფერია. არ მესმის, რა ხდება.

ამ დროს პატრონი საიდუმლო ჯიბეს ხსნის, საფულეს უმალვე აგდებს მაგიდაზე და სახეგაბადრული, გაოცებული უყურებს ნაგელს.

— აგერ არ არის! — შესძახებს იგი. — თანაც ათასები! მაშ, გამოდის, რომ ოხუნჯობდით, გინდოდათ გაგვეგოთ, მესმის თუ არა ხუმრობა?

ნაგელმა ბავშვივით გაიხარა და მაშინვე ჩაებღაუჭა პატრონისგან შეთავაზებულ განმარტებას.

— რა თქმა უნდა, ვხუმრობდი. იცით, უცბად ვიფიქრე, მოდი გავათამაშებ-მეთქი. მადლობა ღმერთს, ფული ჯერ ბლომად მაქვს. ნახეთ, ნახეთ, ერთი დახედეთ!

საფულეში, მართლაც, ბანკნოტების მთელი შეკვრა იდო, ათასკრონიანი ასიგნაციების დასტა. პატრონს ფულის გადასახურდავებლად სასტუმროდან გარეთ გასვლაც კი მოუხდა. სასტუმროს პატრონი კარგა ხნის წასული იყო, მაგრამ ნაგელს აღელვებისგან ისევ აცახცახებდა და შუბლზეც ჰქონდა ოფლს ასხამდა. რა მოუვიდა, სულმთლად წავიდა ხელიდან? თავიც გამოცარიელებული აქვს და ბუგუნი გაუდის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე დივანზე წამოწვა და ასე აფორიაქებულს ჩათვლიმა. ძილში შფოთავდა, ხმამაღლა ლაპარაკობდა, მღეროდა, კონიაკს ითხოვდა და ძილ-ღვიძილში სვამდა, სიცხისგან ალმური ასდიოდა. სარა ყოველ წუთს აკითხავდა და თუმცა ნაგელი ერთთავად რაღაცას ამბობდა, სარამ ბევრი ვერაფერი გაუგო მის ნალაპარაკევს. ნაგელი თვალდახუჭული იწვა.

ეროვნული

არა, არა. გახდა არ უნდა. აბა, ეს რა მოსატანია? ლენსმანისთვის გახდა ვის გაუგია? დღე არ არის? მშვენივრად ესმის ჩიტების ჭიკჭიკი. ნურც ექიმს დაუძახებს. არა, თორემ ექიმი თეთრსა და ყვითელ მალამოს მისცემს, მერე ერთმანეთში აერევათ, ერთის მაგივრად მეორეს დაადებენ და იმწუთში მოკვდება. აი, კარლსენიც მაგისგან არ მოკვდა? კარლსენი ხომ ახსოვს? დიახ, დიახ, სწორედ მაგისგან მოკვდა. ასე იყო თუ ისე, არ ვიცი, მაგრამ კარლსენს ყელში ნემსკავი გაეჩხირა და როცა ექიმმა თავის წამლებიანად მოაკითხა, გამოირკვა, კარლსენს პატარა ბოთლით უბრალო ჭის წყალი დაელია და დამხრჩვალიყო. ჰა-ჰა-ჰა, თუმცა დიდ ცოდვას ჩავდივარ, ამაზე რომ ვიცინი... სარა, მთვრალი არ გეგონოთ. რაო? „იდეათა ასოციაცია". გესმით, როგორ ვამბობ! „ენციკლოპედისტების" თქმაც შემიძლია... ღილებზე მიმკითხავეთ და მითხარით, მთვრალი ვარ თუ არა... ყური უგდეთ, წისქვილები ამუშავდა, ქალაქის წისქვილები! ღმერთო ჩემო, სარა, ეს რა სოროში ცხოვრობთ! მინდა მტრების დევნისგან დაგიფაროთ, როგორც ბედის წიგნში გიწერიათ. ეშმაკმა წაგიღოთ! ეშმაკმა წაგიღოთ! და საერთოდ ვინ ხართ! ყველანი ცრუ და მატყუარები ხართ, ყველას სამზეოზე გამოგიყვანთ. არ გჯერათ? ყველას თავით ფეხამდე გიცნობთ! ოჰ, ეჭვიც არ მეპარება, რომ ლეიტენანტი ჰანსენი მართლა შეპირდა მაიცას ორ შალის მაისურას. ვნახოთ, მისცემს თუ არა. ხომ არ გგონიათ, მაიცამ გაბედოს და კვერი დაჰკრას. ასე იყოო? ნება მომეცით, თვალი აგიხილოთ: მაიცა კვერის დაკვრას ვერ გაბედავს, აუცილებლად აარიდებს თავს პასუხის გაცემას! ეჭვიც არ შეგეპაროთ, თუ არ ვცდები, თქვენ, ბატონო გრეგორდ, აგერ იმ კუთხეში ზიხართ და გაზეთაფარებული ქირქილებთ, ასე არ არის? რა მენაღვლება... ისევ აქა ხართ, სარა? კარგია! ხუთ წუთს თუ კიდევ დამიჯდებით, ერთ ამბავს მოგიყვებით. კარგი? ოღონდ ჯერ წარმოიდგინეთ კაცი, რომელსაც თანდათანობით სცვივა წარბები. დაიმახსოვრებთ? კაცი, რომელსაც წარბები სცვივა. ახლა, ნება მიბოძეთ, გკითხოთ, როდისმე თუ წოლილხართ ჰრიალა საწოლზე? ღილებზე იმკითხავეთ და მითხარით, წოლილხართ თუ არა — დიდი ეჭვი მაქვს ამისა, თუმცა ამ ქალაქში ყველა მაეჭვებს და თვალთახედვიდან არავის ვუშვებ. ჰო, მართლა... საქმეს კარგად გავართევი თავი, ორი ათეული თემა მაინც მოგეცით სალაპარაკოდ და ცხოვრება აგიფორიაქეთ. ჩემი წყალობით, ერთ ბობოქარ სცენას მეორე ცვლიდა და თქვენს უნდილ წესიერებასა და ჩლუნგ კეთილდღეობას არღვევდა. ოჰო-ჰო, რა გუგუნი გააქვთ წისქვილებს, რას გუგუნებენ! ჰოდა, ამიტომაც ნება მომეცით, გირჩიოთ, იოსების ასულო, კეთილსახიერო ქალწულო სარა, რომ ბულიონი ცხელ-ცხელი უნდა შეხვრიპო, თორემ, თუ დადგა და გაცივდა, ცარიელი წყალიღა შეგრჩება... კიდევ დამისხით კონიაკი, სარა, თავი მტკივა, საფეთქლები და კეფა ისე მტკივა, რომ ვეღარ ვუძლებ...

— იქნებ ცხელ-ცხელი დაგელიათ რამე? — შეეკითხა სარა.

ცხელიო? ეს რა თქვა? ხომ უმალ მთელმა ქალაქმა გაიგო, ცხელი რაღაცა დალიაო. დაე, იცოდეს სარამ, განზრახული აქვს ისე მოიქცეს, როგორც შეე-

ფერება პატიოსან კაცს, რომელიც წესიერად იხდის ყველა გადასახადს; პასტორის კარ-მიდამოსკენ მიმავალ გზაზეც მხოლოდ და მხოლოდ უმანკო მიზნით გაისეირნებს და ფიცავს, ასე გამომწვევად აღარ გაემიჯნება ხალხის აზრს. ასე რომ, სარა ნუ შეშფოთდება. მართალია, თავი ტყვიასავით აქვს დამძიმებული, და არა მარტო თავი, მაგრამ განცდა არ იხდის ტანს, რომ მართლა ავადმყოფად არ გაიცდეს. ხომ გაგიგიათ, დამწვარს დამწვრითვე კურნავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაგელი კიდევ უფრო უარესად შეიქნა და სარა პირდაპირ ნემსებზე იჯდა. ერთი სული ჰქონდა წასულიყო, მაგრამ შეირხეოდა თუ არა, ნაგელი უმალვე ამჩნევდა და ეკითხებოდა: ნუთუ მტოვებთო? სარაც ისევ ჯდებოდა და ელოდა, როდის დაიღლებოდა ლაპარაკით და ჩაეძინებოდა. სახეავარვარებული ნაგელი კი, მართალია თვალდახუჭული იწვა, მაგრამ ერთთავად ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. უკვე ვიცი როგორ განვკურნო მლილისაგან ფრუ სტენერსენის ბაღში მდგარი ბუჩქებიო, ამბობდა. ძალიან იოლი რამაა: ერთ მშვენიერ დღეს წავა დუქანში, ერთ ვედრო თხევად პარაფინს იყიდის, მერე ბაზრის მოედანზე გავა, ფეხთ გაიხდის, ფეხსაცმელში პარაფინს ჩაასხამს და ცეცხლს წაუკიდებს, ჯერ ერთ ფეხსაცმელს, მერე მეორეს, შემდეგ გარშემო ცეკვა-თამაშით და სიმღერით შემოუვლის. როგორც კი გამომრთელდება, აუცილებლად იზამს ამას. ძალიან მალე, ერთ დილას ნამდვილ ცირკს გამართავს. ნამდვილ ცტენების ოპერას შოლტის ტყლაშუნით.

მერე ნაცნობები სულ უცნაური სასაცილო ტიტულებით შეამკო. მაგალითად, რწმუნებულ რეინერტს ბილგეს უწოდებდა, თანაც ამტკიცებდა, ბილგე ტიტულიაო, ბატონი რეინერტი, ჩვენი ქალაქის ღირსპატივდებული ბილგე! ახლოში ჰერის სიმაღლის ანგარიშს მიჰყო რატომღაც ხელი. სამ-ნახევარი ადლია, სამ-ნახევარი ადლიო! — ყვიროდა. ხომ მართალი ვარ? ხუმრობა იქით იყოს და, ყელში მართლა ნემსკავი აქვს გაჩხერილი, ღმერთმანი, არ სტყუის, სრულ ჭეშმარიტებას ამბობს, სისხლში იხრჩობა და ძალიან სტკივა.

საღამო ხანს, როგორც იქნა, ჩაეძინა.

დაახლოებით ათ საათზე უცბად გამოეღვიძა. კვლავ მარტო იყო და ისევ დივანზე იწვა. სარას დაფარებული საბანი იატაკზე ჩამოეგდო, მაგრამ აღარ აციებდა. გასვლისას სარას ფანჯრები მიეხურა. ნაგელმა ისევ გამოაღო, გონება დაწმენდოდა, მაგრამ სისუსტისგან ფეხზე ვერ იდგა. ისევ შეაპყრო უმიზეზო შიშმა. უმნიშვნელო ჩქამი ოთახში თუ ქუჩიდან შემოჭრილი ხმა თავზარსა სცემდა. იქნებ ლოგინში რომ ჩაწვეს და დილამდე გამოიძინოს, გაუაროს. ტანთ გაიხადა.

ვერ დაიძინა. იწვა და იხსენებდა, რაც თავს გადახდა ამ ერთი დღე-ღამის განმავლობაში — გუშინდელი საღამოდან, ტყეში რომ წავიდა და შხამი დალია, ამ წუთამდე, როცა უკვე ნომერში იწვა განადგურებული და სიცხისგან გასავათებული. რა უსაშველოდ გაგრძელდა წუხანდელი ღამე და დღევანდელი დღე! შიში არ ეშვებოდა — უბედურების მაუწყებელი, მძიმე, უცნაური წინათგრძნობა არ ასვენებდა. რა დაემართა? რა უცნაური შრიალი დგას საწოლის ირგვლივ, რა სისინებს და ჩურჩულებს ასე საზარლად? გულზე ხელი დაიკრიბა და იფიქრა, ახლა კი ჩამეძინებაო, რომ შემთხვევით ხელზე დაიხედა და დაინახა, თითზე ბეჭედი აღარ ეკეთა. იმ წუთში საშინელი გულისძგერა აუვარდა. თითი შეათვალიერა. ბეჭდის დანატოვარი წვრილი ზოლი ზედ აჩნდა, ბეჭედი კი

აღარ იყო! ღმერთო მწყალობელო, ბეჭედი სადღაა? ჰო, აკი უნდა მომკვდარიყო, ეგონა, აღარ დამჭირდებაო და თავად ისროლა ზღვაში, ახლა კი ბეჭედი აღარ არის, აღარ არის ბეჭედი!

ლოგინიდან წამოვარდა. ფათაფუთით იცმევს და გადარეულივით დაძრწის ოთახში. ახლა ათი საათია, შუაღამემდე ბეჭედი ხელთ უნდა [illegible] თორმეტი საათის ბოლო წუთი — უკანასკნელი ვადაა! ბეჭედი [illegible]

კისრისტეხით ჩარბის კიბეებზე, გარბის ქუჩაში და სულმოუთქმელად მიჰქრის სანაპიროსკენ. სასტუმროდან გამოცვებულნი ადევნებენ თვალს, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევს. ისევ გაუწყდა ქანცი, მუხლთ ეკვეთება, მაგრამ ვერაფერს ამჩნევს. დიახ, როგორც იქნა, მიხვდა, რატომ ტანჯავდა მთელი დღე აუტანელი შიში — რკინის ბეჭედი აღარ ჰქონდა! ჭვრიანი ქალიც ისევ გამოეცხადა!

შეიძრწუნებული მივარდება პირველსავე ნავს, მაგრამ ნავი ჯაჭვითაა დაბმული და საკეტს ვერ აღებს. ვიღაც კაცს უხმობს საშველად, კაცი ეუბნება, ნავი სხვისია და ვერაფრით გიშველითო. რა თქმა უნდა, სხვისია, მაგრამ ნაგელი თვითონ აგებს პასუხს. რადაც არ უნდა დაუჯდეს, ბეჭედი უნდა იპოვოს. სიამოვნებით იყიდის ამ ნავს. კი მაგრამ, ჯაჭვს ვერა ხსნით? მაშინ სხვა ნავში უნდა ჩასხდნენ.

და ნაგელი მეორე ნავში ხტება.

— სად მიდიხართ? — ეკითხება კაცი, რომელსაც ნაგელმა უხმო.

— ბეჭედი უნდა ვიპოვო. იქნებ მიცნობთ? ხედავთ, თითზე ბეჭდის კვალი მაქვს, მაშასადამე, არ ვსტყუი. ბეჭედი ზღვაში ვისროლე, სადღაც იქ, ფსკერზე უნდა ეგდოს...

კაცს ვერაფერი გაუგია.

— თქვენ რა, ზღვის ფსკერზე გინდათ ბეჭედი იპოვოთ?

— დიახ, დიახ, სწორედ მაგას ვაპირებ! — კვერი დაუკრა ნაგელმა. — ვხედავ, ახლა ყველაფერი ცხადია თქვენთვის. თავადაც მშვენივრად გესმით, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ბეჭედი უნდა ვიპოვო. თქვენც ჩაჯექით და ნიჩბებს მოუსვით.

— არა, მართლა აპირებთ ზღვაში ბეჭდის პოვნას? — კვლავ ჩაეკითხა კაცი.

— რა თქმა უნდა! ჩქარა ჩაჯექით. ბევრ ფულს მოგცემთ.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ეგ რამ გაფიქრებინათ? მაშ, გინდათ, ბეჭედი იპოვოთ და ხელით ამოიღოთ, ასეა, არა?

— დიახ, ხელით. თუმცა ჩემთვის სულ ერთია, როგორ ამოვიღებ. როცა საჭიროა თევზივით ვცურავ. ან, იქნებ, სხვა გზა გამოვნახოთ.

და უცნობი ნავში ხტება. ჯდება, რომ ნაგელთან ერთად აწონ-დაწონოს ეს საქმე. მაგრამ [illegible] ერთთავად პირს [illegible]. არა, მართლა უაზრობაა ასეთი ერთი ბეწო ნივთის ძებნა, აი, ლუზა ან ჯაჭვი რომ იყოს, კიდევ შეიძლებოდა კაცს გეფიქრა, მაგრამ ბეჭედი!.. თანაც როცა ზუსტად არ იცი, სად ჩავარდა!

ნაგელს ახლა თავადაც ესმის, რომ ბეჭდის ძებნას აზრი არა აქვს. მაგრამ მაშ, რა ქნას? მაშ, დაღუპულა და ეგ არის... მზერა გაეყინა, შიშმა თუ ხურვებამ თავით ფეხამდე ააცახცახა. ნავიდან გადახტომა დააპირა, მაგრამ უცნობმა

მაგრად ჩასჭიდა ხელი და ისევ დასვა. ნაგელი მაშინვე ჩვარივით ეშვება, დაიღალა, საშინლად დაიღალა და ისე დასუსტდა, არავისთან ბრძოლის თავი აღარ აქვს. ღმერთო, შენ მიშველე, რა უკუღმართად მოეწყო ყველაფერი! ბეჭედი დაიკარგა, საცაა თორმეტი ჩამორეკავს, ბეჭედი კი აღარაა! ტყუილად არ გაუფრთხილებიათ....

უეცრად გონება მთლიანად ეწმინდება და იმ რამდენიმე წუთში, სანამ ნათელი გონება აქვს, ყველაფერს საზღვრავს. ისიც ახსენდება — ან კი, როგორ გამორჩა მხედველობიდან, — რომ ჯერ კიდევ გუშინწინ საღამოთი გამოსათხოვარი წერილი მისწერა დას და გაუგზავნა კიდეც. თვითონ ჯერაც ცოცხალია, ბარათი კი უკვე გზაშია, ვერ შეაჩერებ, აქედან უკვე შორსაა და აუცილებლად მიუვა პატრონს. როცა და წერილს მიიღებს, აუცილებლად მკვდარი უნდა იყოს, თან ბეჭედიც დაიკარგა, ასე რომ, სხვა გზა არც არის..

კბილს კბილზე აცემინებს და უმწეოდ აცეცებს თვალებს. აგერ, ზღვა იქვეა, ერთი ნახტომი და ყველაფერს ბოლო მოეღება. ცერად გახედავს კიჩოსთან მჯდარ უცნობს, იგი კვლავინდებურად არიდებს პირს, მაგრამ თან თვალს არ აშორებს, რომ გაინძრევა თუ არა, ხელი სტაცოს. ჰო მაგრამ, რატომ არიდებს პირს?

მოდი ნავიდან გადმოსვლაში დაგეხმარებით, — ეუბნება უცნობი და ხელით გადაჰყავს ნაპირზე.

— ღამე მშვიდობისა, — ეუბნება ნაგელი და მიდის. უცნობიც კვალდაკვალ მისდევს, აშკარად არ ენდობა და მის ყოველ ნაბიჯს გაფაციცებით ადევნებს თვალს. გამმაგებული ნაგელი მიუბრუნდება, კიდევ ერთხელ ეუბნება, ღამე მშვიდობისაო, და მაშინვე ნავმისადგომს მივარდება, რომ წყალში გადახტეს.

კაცი კი ისევ დაიჭერს.

— არაფერი არ გამოგივათ, — პირდაპირ ყურში ჩასჩურჩულებს იგი. — ძალიან კარგად ცურავთ, დახრჩობას ვერ მოახერხებთ.

ნაგელი ჩერდება და ფიქრობს. ჰო, მართლაც, ძალიან კარგად ცურავს და იქნებ, ვერც მოახერხოს დახრჩობა. პირდაპირ სახეში ჩასცქერის იმ კაცს — მის წინ მაიცას საშინელი სახეა.

ისევ მაიცა! კვლავ მაიცა!

— ეშმაკმა წაიღოს შენი თავი, შე ჯოჯო, შე გარეწარო! — ყვირის ნაგელი და გარბის. მთვრალივით ბარბაცებს, ბორძიკობს, ეცემა, დგება, თვალწინ ყველაფერი ერევა, მაგრამ მაინც გარბის. გარბის ქალაქისკენ. მაიცამ მეორეჯერ გაუბუნა ზრახვა. ღმერთო რა ქნას, რა ეშველება?! როგორ უტრიალებს თვალწინ ყველაფერი, რა უცნაური გუგუნი დგას ქალაქში! და ნაგელი ისევ მიწაზე ეცემა.

გაჭირვებით წამოიწევს მუხლებზე და ზარდაცემული იხედება აქეთ-იქით. ესმის, ზღვიდან ვიღაც გეძახის! მალე შუაღამე ჩამორეკავს, ბეჭედი კი არ გაქვს. უკან ჯოჯო მოჰყვება მის კვალს, ესმის, თათებ ქვეშ როგორ ეფხვნება მიწა, მოიზლაზნება ფაშვიანი ქვემძრომი და სველ კვალს სტოვებს, მოიზლაზნება გულისამრევი ცოცხალი იეროგლიფი, თავზე თათები წამოზრდია და უზარმაზარი ყვითელი ბრჭყალი ჰკიდია ცხვირზე. განვედ, განვედ! ზღვიდან ისევ უხმობს ვიღაც და, რომ არ გაიგონოს, ნაგელი ყურებზე ხელს იჭერს და ყვირილით ახშობს იმ ხმას.

ზეზე წამოხტება. ჯერ არ დაკარგულა ყველაფერი. ჯერ კიდევ არის ხსნა — საიმედო ექვსვაზნიანი რევოლვერი; ამქვეყნად, აბა, რა შეედრება!..

ნაგელი სიხარულისგან ტირის, მირბის, რაც ძალი და ღონე აქვს, და თან ტირის, რომ რაღაც იმედი გაჩნდა. უცბად ახსენდება, რომ ახლა ღამეა, ყველა სავაჭრო დაკეტილია და რევოლვერს ვერ იყიდის. მწუხარებისგან სასოწარკვეთილი მოცელილივით ეცემა პირქვე, ურტყამს შუბლს მიწაზე, მაგრამ არც კი წამოიყვირებს.

სასტუმროდან პატრონთან ერთად რამდენიმე კაცი გამოდის, რომ გაიგონ, რა დაემართა.

ნაგელს ამ დროს გამოეღვიძა და გაოგნებულმა მოათვალიერა ოთახი. მაშასადამე, ყველაფერი სიზმარი იყო. მაშ, ბოლოს და ბოლოს, მაინც ჩაეძინა. მადლობა ღმერთს, ყველაფერი სიზმარი იყო და ლოგინიდან არ ამდგარა.

ნაგელი რამდენიმე წუთს უძრავად წევს და ფიქრობს. ხელს წევს და უყურებს. ბეჭედი არ უკეთია. საათს შესცქერის — შუაღამეა, თორმეტს სულ რამდენიმე წუთი უკლია. იქნებ, აცდა უბედურებას, იქნებ, გადარჩა! მაგრამ გული გაშმაგებით უძგერს და თავით ფეხამდე კანკალებს. იქნებ, იქნებ, დაჰკრას თორმეტმა და არაფერი მოხდეს. აცახცახებულ ხელში ძლივს იჭერს საათს, ითვლის წუთებს... წამებს...

უეცრად საათი იატაკზე ეცემა და შეძრწუნებული ნაგელი ლოგინიდან წამოვარდება.

— მეძახის, — ჩურჩულებს და თვალდაჭყეტილი იყურება ფანჯარაში, იცვამს, რაც ხელთ მოხვდება, აღებს კარს და კისრისტეხით გარბის ქუჩაში. შეშინებული აცეცებს თვალს — არა, მგონი, არავის დაუნახია. სულმოუთქმელად მიჰქრის ნავსადგურისკენ და მისი აბრეშუმის ჟილეტი დიდხანს ანათებს თეთრად სიბნელეში. აგერ უკვე სანაპიროზეა, ნავსადგურის ბოლომდე მიირბენს და ზღვაში ხტება.

წყალზე ბუყბუყით სკდება ბუშტები.

XXIII

მეორე წლის აპრილს, გვიან ღამით მარტა და დაგნი ერთად მიდიოდნენ ქუჩაში. საღამო სტუმრად გაეტარებინათ და ახლა შინ ბრუნდებოდნენ. ბნელოდა, თან ყინული აქა-იქ კიდევ შემორჩენილიყო და ამიტომ ძალიან ფრთხილობდნენ.

— სულ იმაზე ვფიქრობ, რაც დღეს ნაგელზე ილაპარაკეს. — უთხრა დაგნიმ. — ბევრი რამ მოულოდნელი იყო ჩემთვის.

— მე არაფერი გამიგია, — მიუგო მარტამ, — სწორედ მაგ დროს ოთახიდან გავდიოდი.

— ერთი კი არავინ იცის, — განაგრძო დაგნიმ. — ნაგელი ჯერ კიდევ შარშან ზაფხულს მარწმუნებდა, მაიცა ავ საქმეს ჩაიდენსო. ვერ გამიგია, საიდან იცოდა მაშინ, რა მოხდებოდა. დიდი, დიდი ხნით ადრე მითხრა, მანამ, სანამ შენ მომიყვებოდი, რა გიქნა მაიცამ.

- ნუთუ, მაშინ ამბობდა მაგას?

ჰო.

პასტორის კარ-მიდამოსკენ მიმავალ გზაზე გადაუხვიეს. გზის აქეთ-იქით ტყე ჩაბნელებულიყო. ყრუ სიჩუმეს მხოლოდ მათი ქუსლების წკაპუნი არღვევდა გაყინულ-გაქვავებულ მიწაზე.

დიდხანს უსიტყვოდ მიდიოდნენ, მერე დაგნიმ თქვა:

— აქ სეირნობდა ხოლმე ყოველთვის.

— ვინ? — ჰკითხა მარტამ. — როგორ ცურავს ფეხი! დამეყრდენი!

— არა, ჯობია შენ დამეყრდენი.

და მიდიოდნენ ასე ხელიხელგაყრილნი, ერთმანეთს მიკრულნი.

□

ეუჯენიო მონტალე

ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა ნოდარ გურეშიძემ

იტალიელი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ეუჯენიო მონტალე ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი ლირიკოსია.

ლიტერატურაში დიდი დამსახურებისათვის 1967 წელს იტალიის პრეზიდენტის დეკრეტით მას მუდმივი სენატორის სახელი მიენიჭა.

ეუჯენიო მონტალეს შემოქმედება რთული და მრავალფეროვანია. მისი ნაწარმოებების მთავარი არსი ჰუმანიზმია. შემთხვევით როდი იყო, რომ იტალიაში მუსოლინის მმართველობის დროს მონტალე ანტიფაშისტურ ლექსებს წერდა.

იტალიაში უყვართ მონტალეს შემოქმედება. მასზე შექმნილია მრავალი კრიტიკული ესსე. მისი ლექსები შეაქვთ სასკოლო ქრესტომათიებში.

გთავაზობთ ეუჯენიო მონტალეს რამდენიმე ლექსს.

რითმები

თანხმოვანება დიახაც რომ მოსაწყენია,
ათასჯერ მეტად სან-ვინჩენცოს ქალბატონებზე,
რომლებიც მუდამ იმარჯვებენ. მათი მოთმენა
შეიძლება მხოლოდ მანამდე, ვიდრე არა გაქვთ მათთან საქმე,
ერიდებიან მათ (ამ რითმებს) ის პოეტებიც,
რიგიანებს რომ უწოდებენ, თავს არიდებენ ყოველნაირ
ყალბი ლაქუცით, არ თაკილობენ არანაირ
აკრძალულ ილეთს. მაგრამ ძნელია მათთან
ბრძოლა. მრავალნაცადი, ფარისეველი და
ბებერი რითმები მაინც არა ცხრებიან
და, კარებთან ატუზულები, სახლში შემოსვლას თხოულობენ.

ასპაზია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამაკაცები გვიან ღამით
ღია ფანჯრიდან მიძვრებოდნენ
მასთან ოთახში. იგი ცხოვრობდა პირველ სართულზე.
მე მას ვუწოდე ასპაზია, და ეს მოსწონდა.
შემდეგ, როდესაც გაგვცილდა და წავიდა ჩვენგან,
ის მუშაობდა ბარში, იყო პარიკმახერიც
და კიდევ რაღაც სხვა საქმესაც მოჰკიდა ხელი.
თუმც იშვიათად ვხვდებოდი, მაგრამ
როცა ვეძახდი: „ასპაზია!“, — იღიმებოდა
და განაგრძობდა კვლავ სიარულს ჩქარი ნაბიჯით.
თანატოლები ვიყავით ჩვენ. ის, ალბათ, მოკვდა.
როცა მოვხვდები ჯოჯოხეთში, პირველივე ლანდს,
რომელიც ჩემსკენ მოიხედავს და გამიღიმებს,
მე დავუძახებ „ასპაზია!“ ის, რა თქმა უნდა,
ამ დაძახილზე შეირხევა. ო, ვერასოდეს
ჩვენ ვერ გავიგებთ ვინ იყო ის, ან ვინ არ იყო
ფარვანა იგი, ვისაც ჰქონდა მხოლოდ სახელი, —
ისიც ჩემს მიერ შერქმეული...

საგაზაფხულო აპათია

მოტაცებების იზრდება რიცხვი
სჯობს ნუ გამოხვალთ მარტოდმარტო ქუჩაში ღამით
ნურც მზის ჩასვლამდე
(სიფრთხილეს თავი არა სტკივა)
ოქროს დღეები დაუდგათ სწორედ
ძიუ-დოსა და კარატეს მწვრთნელებს
თერძები ველარ აუდიან ტყვიაგაუმტარ
ჟილეტთა კერვას,
მიაცილებენ სკოლისაკენ მშობლები ბავშვებს,
მშობლებს კი ვინღა გააცილებს.
უმაღლეს დონეს აყვავებისას
ცივილიზაციამ მიაღწია უდაოდ ჩვენმა
ყველა აკრძალვა დავიწყებას მიეცა უკვე
რიდი დაჰკარგეს და სუყველამ აუშვა ენა.

□

ევგენი ნოსოვი

გამარჯვების წითელი ღვინო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

თარგმნა დოდო სანიკიძემ

ცხრაას ორმოცდახუთის გაზაფხულმა მოსკოვის მახლობელ პატარა ქალაქ სერპუხოვში მოგვისწრო.

სატვირთო ვაგონებისგან შედგენილმა ჩვენმა ეშელონმა თითქმის მთელი კვირა იარა რუსეთის დათოვლილ სივრცეებზე და ბოლოს, თებერვლის ერთ ქარბუქიან ღამეს სერპუხოვის ჩიხში ჰპოვა სადგური. შემადგენლობას უკანასკნელად ჩაუყვა ბუფერების სუსხიანი ჭახანი, თითქოსდა მატარებლით მინის დამტვრეული ჭურჭელი მოაქვთო; მერე ეშელონი გაირინდა და უკვე ისმოდა, როგორ ეხლებოდა ვაგონის შეფიცრულ კედელს თოვლის წვრილი ხორხოშელა. გაისმა ნაჩქარევი, ყინვით გათანგული საგზაო სტვენა და ხალხის გამოყვანაც დაიწყო. პირდაპირ ქვედა საცვლის ამარა გამოვყავდით, ზემოდან საბნები გვეფარა, გვაწვენდნენ ყინვით გასიჭულ და ქარში მოტკაცუნე ბრეზენტით გადახურულ სატვირთო ავტომანქანებზე და სადღაც მივყავდით ბნელ, ღამეულ ქუჩებში.

ნესტიანი ბლინდაჟების შემდეგ, სადაც მიწის ყოველ შეძაგძაგებაზე ძელჭერიდან ცვიოდა და კბილებსა თუ შაშხანის საკეტებში გვიხრაშუნებდა ქვიშა, გაშავებული თეთრეულის შემდეგ, რომელსაც თუკი სიმშვიდე ჩამოვარდებოდა, სოლარიუმის ნადგომ კასრებში ვხარშავდით ხოლმე, შეტევის თოვლჭყაპიანი გზებისა და სველ ჩექმებში მოჭყაპუნე წებოვანი ლაფის შემდეგ, — ყოველივე იმის შემდეგ, რაც იქ იყო, ლაზარეთის ეს სითეთრე და სიჩუმე რაღაც დაუჯერებელი გვეჩვენა. ხელახლა ვსწავლობდით თეფშიდან ჭამას, ხელში ჩანგლის დაჭერას, გვაოცებდა თეთრი პურის გადავიწყებული გემო, ვეჩვეოდით ზეწრებსა და რკინის საწოლების ზღაპრულ სილბოს. ჭრილობების მიუხედავად, პირველ ხანობას რაღაცნაირ ნებიერ, დამამშვიდებელ უწონადობას ვგრძნობდით.

მაგრამ გადიოდა დღეები, ყველაფერს მივეჩვიეთ და თანდათან გაგვაწამა ლაზარეთის ამ უსაშველო სითეთრემ და ჩვენმა უძრაობამ, ბოლოს კი ყოველივე ეს სულ აუტანელი გახდა. მეორე სართულის ორი ფანჯარა, საიდანაც ჩვენ, მწოლიარენი, მხოლოდ შიშველი ხეების კენწეროებს და დროდადრო

თოვლის თეთრ ლივლივს ვხედავდით: თორმეტი თეთრი საწოლი და ექვსი თეთრი ტუმბო; თეთრი თაბაშირი; თეთრი ბინტები. მედდების და ექიმების თეთრი ხალათები და ეს თეთრი, გამუდმებით ჩვენს თავზემოთ დაკიდებული ჭერი, რომელზედაც პატარა ბზარიც კი შესწავლილი გვქონდა... თეთრი, თეთრი, თეთრი... უჩვეულოდ გვაწამებდა და გულს გვიწვრილებდა ეს სითეთრე. ისეთი გრძნობა გვქონდა, თითქოს სურავანდიანები ვიყავით. და ასე იყო ყოველდღე: თებერვლის მიწურული, მარტი, აპრილი...

თუმცაღა თაბაშირმა, რომელშიც ყოველი ჩვენგანი თავ-თავისებურად იყო ჩაჭედილი, უკვე კარგა ხანია დაკარგა თეთრი ფერი. ამ ჩვენმა ხანგრძლივმა წოლამ ისინიც გაზინთა, გააპრიალა, ერთიანად გაჟღინთა მათ ქვეშ ხრწნადი ჭრილობებისაგან. პალატაში მძიმე, ჩახუთული ჰაერი იდგა და, ცოტათი მაინც რომ გაგვეწმინდა, თაბაშირზე ოდეკოლონს ვისხამდით.

ჭრილობები ნელა გვიხორცდებოდა. გვექავებოდა და ეს აუტანელი წამება არც დღისით და არც ღამით მოსვენებას არ გვაძლევდა. ექიმების სასტიკი აკრძალვის მიუხედავად, ჭრილობების ირგვლივ თაბაშირს ნახვრეტები გავუკეთეთ, რათა ფანქრითა თუ ცოცხის წკირით დავწვდენოდით ხორცს. მერე კი, როცა ქალაქში შოთხვი აყვავდა და სერპუხოველმა ფეიქრებმა და მოსწავლეებმა პალატაში ცვრიანი, სურნელოვანი თაიგულების მოტანა იწყეს, რას ფიქრობდნენ. მათ მოტანილ ყვავილებს ღამღამობით ულმობლად თუ ვუცქვნიდით, რათა ჩხირები გამოგვეღებინა, ამ ჩხირებს ყოველი ჩვენგანი იმარაგებდა და მალულად, ძვირფას ხელსაწყოსავით ინახავდა ლეიბქვეშ.

— ისევ გაგიფცქვნიათ თაიგული, გვტუქსავდა დილაობით ზინა დეიდა, ძველი ლაზარეთელი გადია. — ყველა ცოცხი გამიშვლიპეთ, ახლა ყვავილებსაც მიადექით. ოჰ, რა უბედურებაა!

ამ ქვის ჯავშნისგან დათქმულ ვადამდე არ შეიძლებოდა თავის დახსნა, უნდა გვეთმინა და ჩვენ-ჩვენს დროს, ჩვენ-ჩვენს ბედს დაველოდებოდით. თორმეტი კაციდან ორი ჯერ კიდევ მარტში გაიტანეს...

მას შემდეგ მათი საწოლები ცარიელი იყო.

განთავისუფლებულ ადგილებზე ახლებს რაკი არ აწვენდნენ, ომის დასასრულის სიახლოვე იგრძნობოდა. რაღა თქმა უნდა, იქ, დასავლეთში, ვიღაცას კვლავ ცელავდა და ძირს აგდებდა ტყვია თუ ჭურვის ნამსხვრევი და ქვეყნის სიღრმეშიაც კვლავ მოჰქროდნენ ლაზარეთის ვაგონები, მაგრამ ჩვენს ლაზარეთში უკვე აღარ მოჰყავდათ დაჭრილები. ალბათ იმიტომ არ მოჰყავდათ, რომ შენობა უნდა მოწესრიგებულიყო და სექტემბერში მოსწავლეებისათვის უნდა დაებრუნებინათ. და იქნებ ამიტომაც, ეს იყო ომის ყველაზე უფრო მოსაწყენი, გულის გამაწვრილებელი გაზაფხული. გულის გამაწვრილებელი სწორედ იმით, რომ ყველანი — მედპერსონალიცა და ჩვენც, დაჭრილებიც — დღითი დღე, წუთი-წუთზე ველოდით მოახლოებულ გამარჯვებას.

ბუდაპეშტის დაცემისა და ვენის აღების შემდეგ პალატის რადიო ღამითაც კი არ გვქონდა გამორთული.

ეტყობა, უკვე ყველაფერი უჩვეულოდ დამთავრდებოდა.

ლაზარეთში სულ მალე მოვხვდით მას შემდეგ, რაც იანვრის თვეში აღმოსავლეთ პრუსიის სიმაგრეები გავარღვიეთ. მაზურის ჭაობებში აგვკრიფეს ნეს-

ტიანი ქარისა და მახლობელი ბალტიის ზღვის სქელი ნისლით ჩაციებულები. ეს უკვე მტრის მიწა იყო. სულ ცოტა ვიარეთ ამ მიწაზე, ამ უცხო მიდამოებში, სადაც ქვიშნარ ბორცვებს მანანია გამხმარი ბუჩქები მოსდებოდა. პატარა ქალაქი რა არის, ისიც კი არ შეგვხვედრია. ხმები დადიოდა, თითქოს ჩვენს გზაზე, ამ პირქუშ ჭაობებში ჰიტლერს თავისი მთავარი ბანაკი — ბეტონის მიწისქვეშა ბუნაგი ჰქონდა მოწყობილი. ეს ჩვენს შეტევას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და ბრძოლის აზარტს აღვივებდა. მაგრამ ჩემთვის, ისევე როგორც სხვათა შორის, ამ პალატაში მწოლიარე, სხვადასხვა პოლკისა და დივიზიისგან მოკრებილი ყველა დაჭრილისათვის ეს შეტევა მოულოდნელად და ერთობ პროზაულად დამთავრდა: რაღაც ერთი კვირის შემდეგ უკვე საკაცით მიმათრევდნენ ფრონტის ზურგში...

ოპერაცია ფიჭვის ჭალაში გამიკეთეს, ფრონტი ახლოს იყო და აქამდე აღწევდა ქვემეხების გრიალი. ჭალა ფურგონებითა და სატვირთო ავტომანქანებით იყო გაჭედილი — განუწყვეტლივ მოჰყავდათ დაჭრილები. ჰაიჰარად შეხვეული ჯარისკაცები — წვერგაბურძგნულნი, ჩამომხმარნი, უგზო-უკვლოდ ხეტებაში ჩამოფლეთილი ფარაჯებითა და გიმნასტურებით მოსილნი — ფიჭვის ხეებქვეშ ელოდნენ საექიმო შემოწმებასა და ჭრილობების შეხვევას. პირველ რიგში მძიმედ დაჭრილებს უშვებდნენ, რომლებიც მედსანბატის წინ იწვნენ ფიჭვის ტოტებზე.

ფართო კარავში, რომელსაც ფანჯრები და ბრეზენტის სახურავზე აწეული თუნუქის მილი ჰქონდა, ერთპირად ჩარიგებული, მუშამბაგადაფარებული მაგიდები იდგა. მაგიდებზე განივად იწვნენ ერთმანეთისაგან სარკინიგზო განძელების ინტერვალით დაცილებული ტრუსებისამარა დაჭრილები. ეს შიგნითა, უშუალოდ ქირურგის დანისკენ მიმართული რიგი იყო. თვითონ ქირურგი — ხმელ-ხმელი, მხრებში მოხრილი, ყვითელ, დანაოჭებულსახიანი კაცი, კერკეტა იდაყვების ზემოთ რომ აეკეცა ხალათის სახელოები, მედდებით გარშემორტყმული მუშაობდა ცალკე მაგიდასთან.

ჩემკენ ზურგშემოქცეული ვიღაც ჯარისკაცის შემდეგ ვიწექი ამ კონვეირზე. ქვედა საცვალი მუხლებამდე ჩამოუწიეს და ვხედავდი ჯარისკაცული ვაფლის პირსახოცით გაკრულ მის კუდუსუნს. პირსახოცზე წუთიდან წუთზე იზრდებოდა და იდლაბნებოდა მუქი ლაქა.

მომდევნო დაჭრილი, ვისი რიგიც იყო, იმ ცალკე მდგარ მაგიდაზე გადაჰყავდათ, სახეზე სქლად დაკეცილ ბინტს აფარებდნენ, ბინტზე რაღაცას ასხურებდნენ და უცხო, შემპარავი სუნი ჰოცოცავდა კარავში. მაგიდის ირგვლივ მოჯარული მედდები რაღაცას იჭერდნენ, რაღაცას ეწეოდნენ, აწვებოდნენ, ქირურგს შპრიცებსა და ინსტრუმენტებს აწვდიდნენ. ქირურგის მაღალი ტანი მედდების გროვაში მოკუზულიყო, აქა-იქ გამოკრთოდა მისი შიშველი, წვეტიანი იდაყვებიც. ისმოდა მკვეთრი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები მისი ბრძანებებისა, მაგრამ ვერაფერს გაარჩევდი პრიმუსის ხმაურში, განუწყვეტლივ რომ ადუღებდა წყალს. დროდადრო მჭახე ჩხაკანი ისმოდა: ქირურგი მაგიდის ფეხთან მდგარ ტაშტში ჭრილობიდან ამოღებულ ნამსხვრევსა თუ ტყვიას აგდებდა. სადღაც კი, ჭალის მიღმა, გრუხუნებდა და ფიჭვის წიწვთა ბამბისებურ სიყრუეში აღწევდა აფეთქებები და თრთოდა კარვის მაგრად დაჭიმული, ბრეზენტის კედლები.

ბოლოს ქირურგი გასწორდებოდა ხოლმე და როგორღაც, მოწამეობრივად

და მტრულად რომ გახედავდა დანარჩენებს, თავიანთი რიგის მომლოდინეებს, კუთხეში გადიოდა ხელების დასაბანად. აჰყაპუნებდა პირსაბანს და ვხედავდი, რა მკვეთრად მოკაკვოდა ვიწრო ზურგი, ზედ ხალათის შესაკრავთა ნასკვები რომ აჩნდა, რა უილაჯოდ ჩამოჰყროდა მხრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ იგი იბანდა, ერთ-ერთი მედდა ხელს დააველებდა და გაიტანდა ტაშტს, რომელზედაც სველი ბანდებისა და ბამბის წითელ ფაფაში ამაზრზენ ცვილისფრად, ქათამივით ყვითლად ჩანდა ვიღაცის ხელის მტევანი, ვიღაცის ტერფი... ჩვენ ვხედავდით ყოველივე ამას, დამალობანას როდი გვეთამაშებოდნენ, არც დრო და პირობები იყო გულმოწყალეობისათვის.

დამუშავებული ჯარისკაცი რამდენიმე წუთის განმავლობაში მარტო რჩება მაგიდაზე, მაგრამ აი, მივიდა მედდა, ანჯღრევს, ჩასძახის:

— ჯარისკაცო, ჰა, ჯარისკაცო... ჯარისკაცო...

ამას გულისგარეთ, უცვლელი კილოთი ამბობს, როგორც ალბათ უკვე ასჯერ უთქვამს და როგორც მალე მე მეტყვის, ჩემს შემდეგ კი იმათ, გრძელ მწკრივად რომ წვანან კარვის გარეთ, ფიჭვის ტოტებზე, მერე კი იმათაც, ჯერ კიდევ რომ მოჰყავთ აქეთ და ბევრ სხვასაც, რომლებიც ამ წუთას ფიჭვნარიაგან შორს, დასავლეთით არიან ჯერაც მრთელნი და დაუზიანებელნი, მაგრამ დაეცემიან საღამოთი ან ღამით, ხვალ, ერთი კვირის შემდეგ...

— ჯარისკაცო, ჰა, ჯარისკაცო...

ოპერირებულს სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობა. ჰოდა, მისდგება მედდა და ხელს უტყაპუნებს გაუპარსავ, ჩავარდნილ ლოყებზე, რათა გამოფხიზლდეს და სხვას დაუთმოს ადგილი. მძიმე შოკი თუ არ არის, ჯარისკაცი ნელნელა გონს მოდის და მაშინვე ისმის ქირურგის სულსწრაფი ბრძანებაც:

— გაიყვანეთ!

დაჭრილს საკაცეზე დებენ და გააქვთ. მედდა ცისფერი სართავის ჩაიდნით ცხელ წყალს ავლებს მაგიდას, მეორე ჩვრით წმენდს, უფროსი მედდა კი უკვე მარლას ახვევს ნარკოზის ახალი ნიღბისათვის.

— შემდეგი! — იძახის ქირურგი და მაღლა სწევს სპირტით გაწმენდილ, გრძელთითებიან ხელებს...

მაშინ იყო, დანციგისაკენ მიმავალ გზაზე მდებარე პატარა პოლონურ ქალაქ ბლონიეში რომ ჩაგვსხეს ცარიელ სატვირთო მატარებელში, რომლითაც ალბათ საბრძოლო მასალები ან სურსათ-სანოვაგე მოეტანათ ფრონტზე. შემადგენლობა სასწრაფოდ გადაკეთდა სანიტარულ მატარებლად: თითოეულ ვაგონში სამ-სამ იარუსად მოეწყო საწოლები, შუაში რკინის ღუმელი დაიდგა, ჩაკეტილ მარცხენა კართან — ჭურვების ყუთი, რომელშიაც ცეცხლის გასაღვივებელი, დაჭრილი შეშა, ოცდაათი კაცისთვის საჭირო ჯამები, ბინტის პაკეტები და ცოტაოდენი წამლეულობა ინახებოდა.

სამედიცინო მომსახურების ხალხი სადღაც, ცალკე იმყოფებოდა, ვაგონები ერთმანეთს არ უკავშირდებოდნენ. და როცა მატარებელი დაიძვროდა და საათობით მიდიოდა სადგურიდან სადგურამდე, აფეთქებული რკინიგზის ადგილას სახელდახელოდ დაგებულ ცოცხებით ცალფა ლიანდაგზე, ჩვენ უკვე თაბაშირის ბორკილებში ჩაჭედილები, სულ მარტოკა, ახლა როგორც ამბობენ ხოლმე — სრულ თვითმომსახურებაზე ვრჩებოდით ვაგონებში. გაჩერებებზე საჭმელი მოჰქონდათ და ისინი, ვისაც მოძრაობა შეეძლო, შეჭამადისა და პურის განაწილებას იწყებდნენ. ისინივე მორიგეობით აღვივებდნენ ღუმელს,

მწოლიარეებს წყალს ალევინებდნენ, აწვდიდნენ კონსერვის ცარიელ თუნუქის ქილას, ღამის ჭურჭლის მაგივრობას რომ სწევდა.

რუსეთში ორშის მხრიდან შემოვედით, და თუმცა ვიწრო გრძელ სარკმლებში ცქერა მხოლოდ ზემო ტახტებზე მყოფთ შეეძლოთ, დაბლა და შუაში მწოლიარენი უამისოდაც ვხვდებოდით, რომ უკვე რუსეთში მივდიოდით: თანდათან ქრებოდა ბალტიის ზღვის მწვავე ნესტი, დაცხავებულ იატაკში მოძვრებოდა თოვლის მშრალი ფანტელი. დიოდა მახლობელი ტყის საზამთრო სუსხი, უცნობ სადგურებზეც აჩქარებული ნაბიჯები ისმოდა მატარებლის გასწვრივ და გულისშემძვრელად საამო იყო მშობლიური მხარის შეცნობა ბავშვებისა და დედაკაცების ხმებში, მათ მავედრებელ ძახილში: „კარტოფილი, კარტოფილი! ვის გინდათ მოხარშული კარტოფილი?“, „არის ცხელი წვნიანი! ცხელი წვნიანი!“, „თამბაქო, თამბაქო! — და ვიღაც, ალბათ ქვრივი ყმაწვილ-ქალი, ვაჭრობის გახალისებას, ხუმრობას რომ ლამობდა, ღიღინით უმატებდა: — თავად დავრგე და ბაზარშიც თავად გამოვიტანე-ე...“

მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ იანვარში იყო.

ახლა კი უკვე გაზაფხული იდგა და ჩვენც ღრმა ზურგში, ომისგან შორს ვიმყოფებოდით.

— საინტერესოა, სად არიან ახლა ჩვენები? — ისე, რომ კერძოდ არავის მიმართავდა, კითხულობდა შორეულ კუთხეში მწოლიარე საშა სელივანოვი: თათრულად თვალებწაელმებული შავგვრემანი ვოლგისპირელი. მის ხმაში ნაღველი და შური იგრძნობოდა.

აღმოსავლეთ პრუსიის მიმართულების ჯარები უკვე სადღაც, პომერანიის ველებზე მიდიოდნენ. ვისმენდით საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებს და ჩვენ-ჩვენს ქვეგანაყოფთა კვალის მიგნებას ვცდილობდით. მაგრამ რადიოში არ აცხადებდნენ დივიზიებისა და პოლკების ნომრებს, ყოველი მათგანი N-ნაწილი იყო და არავინ იცოდა, სად მიიბიჯებდნენ ახლა მათი ფრონტელი ძმაკაცები. ზოგჯერ პალატაში ვაცხარებული კამათი ატყდებოდა: თუნდაც ასეთ ფასად, მაგრამ მაინც უკვე თავი ქუდში რომ გვაქვს, გაგვიმართლა თუ არ გაგვიმართლათ...

— ომი ქადრაკის თამაშსა ჰგავს, — თქვა საშამ. — ღ-ორი — ღ-ოთხი, თლაახ, და აღარ არის პაიკი. ეგდე მერე დაფის გარეთ, უსაქმოდ.

საშას სქელ თაბაშირში ჩასმული ფეხი ქვემეხის ლულასავით ამოშვერილიყო საწოლის თავზე და ამის გამო პალატაში მას თვითმავალი შეარქვეს. ფეხზე ბრჯენისა და ბლოკის მეშვეობით ქვიშიანი ტომარა ჰქონდა მიბმული, ამიტომ საშა მუდამ გულაღმა უნდა წოლილიყო საწოლზე, ხოლო თუკი წამოჯდებოდა, უხერხულად იჯდა ხოლმე, ზევით აეჩაჩხა ფეხი.

— ახლა შამათს უჩვენოდ ჩასვამენ, — ჩაფიქრებით განაგრძო მან.

— რაო, ვერ გაძეხი ბრძოლით? — ბოხი ხმით ჰკითხა ბოროდუხოვმა, ჩემ მარჯვნივ რომ იწვა.

— რაღაც არც აქეთ არის და არც იქით... ვიარე, ვიარე და ველარსად მივედი.... კი მინდოდა მენახა, ბერლინს როგორ დასცხებდნენ.

— სამაგიეროდ, შინ უეჭველად ჩახვალ. არადა, იქნებ სამი ადლი მიწაც წაგელო... ზედ ომის დამთავრების წინ.

ბოროდუხოვი მკვეთრად გამოთქვამდა ასო „ო“-ს, რის გამოც მისი ლაპარაკი ჰქვიანურად, საფუძვლიანად ჟღერდა. მეზენელი მეტყევე გლეხი გახ-

ლდათ. უკვე ჭარმაგი, ჩასკვნილი, ბრგე ტანისა, რომელზედაც მკერივ ჯავშნად მოქსოვილი თაბაშირი თოკის ჰამაკს ჰგავდა.

ნაღმის ნამსხვრევები მენჯში მოხვედროდა, მაგრამ მშვიდად იწვა, ერთხელაც არ დაუწუწუნია, შუბლი არ შეუჭმუხნია. ომის განმავლობაში ეს მისი მეოთხე დაჭრა იყო და, ალბათ ამიტომაც, ამ თავის მეოთხე ჭრილობას მშვიდად, დინჯად, რაღაც ოჯახური მყუდროებით ეკიდებოდა, თითქოს დასასვენებელ სახლში წამოსულიყო პროფკავშირული საგზურით.

ვუსმენდი პალატაში მობუზღუნე ლაპარაკს. ცოტათი სიცხეც მქონდა, ზოგჯერ ჩავთვლემდი ხოლმე, კვლავ თვალს ვახელდი და დიდხანს ვაცქერდი საგაზაფხულო ცას. მკერდზე შემოსალტული ჩემი თაბაშირის ჟილეტი ცალმარწუხიანი კიბორჩხალას ბაკანსა ჰგავდა. ბაკანქვეშ ყრუდ მტეხდა გადამსხვრეული ბეჭი, მარწუხის შიგნითაც ულონოდ მედო წინამხარში გადატეხილი და ნიდაყვის სახსარში გაუტეხელი მარჯვენა მკლავი. ჯერაც ვერ შევჩვეოდი ამ ახალ ყოფას, იმას, რომ მეც შემომეჭრა ტანში რკინა და რაღაც ამოტრიალა, დამიმსხვრია, დამირღვია შიგნით, იმას, რომ იქნებ კიდეც მოვეკალი მაშინ ამ ბრმა და გულგრილ ნაჭრებს რკინისა, რომელიც იქნებ ჯერ კიდევ იმ დროს დაადნეს კრუპის ღუმელებში, როცა მოკლე შარვლით დავტანტალებდი და ჩემს გროშებს რევოლუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების სასკოლო სალაროს ვაბარებდი. გარემოებათა უცილობელი, ნაბიჯ-ნაბიჯ განპირობებული კავშირი... ჭრილობებიდან ჩემივე ხრწნადი სხეულის სუნი მდიოდა და სასტიკი, ბრმა ძალით მარწმუნებდა, რომ მეც ჩვეულებრივი, სრული ადამიანი, ერთი უბრალო მოკვდავი ვიყავი, თუმცა ახლაც არ მინდოდა დამეჯერებინა და დამეშვა საკუთარი სიკვდილი. ვცდილობდი, თვით ჩემი დაჭრის ფაქტიც კი უკვდავების ჩემეული, გულუბრყვილო თეორიისათვის მიმესადაგებინა: მე ხომ დავიჭერი მხოლოდ, არ მოვკვდი! ჭრილობები კი — ეს მხოლოდ გამოცდა იყო... უკვე ოცდამეერთე წელში ვიყავი გადამდგარი და მეც, უფრო სწორად — მე კი არა, არამედ ჩემს გარეთ არსებული ის რაღაც იდუმალი ეგოცენტრიზმი, ესოდენ აუცილებელი რომ არის ყმაწვილკაცობის ასაკში მყოფი ყოველი სულიერისათვის, ერთი წამითაც არ იჯერებდა, რომ შეიძლება მეც გადავქცეულიყავი რაღაც ისეთად, რასაც გონებით ვერა და ვერ ჩავწვდომოდი... მტრის ტყვია კარგა დიდხანს მიელოდა გვერდს და მეგონა, მწამდა, რომ ეს ასეც უნდა ყოფილიყო. რამდენიმე წუთის წინ, ვიდრე ნაღმის ნამსხვრევი დამცხრილავდა, პირდაპირი დამიზნებით ვესროდით ალმოდებული ტანკიდან გადმომხტარ სამ გერმანელს. მოკლე, შავი მუნდირები ეცვათ, ტარაკანებს ჰგავდნენ, გამწარებით აქნევდნენ ხელ-ფეხს და ფორთხვა-ფორთხვით მიძვრებოდნენ ტბისპირა ქვიშნარი ბორცვის ციცაბო ფერდობზე. ქვიშა იშლებოდა, გერმანელები კვლავ ძირს ცვიოდნენ და ხელახლა ისე მიცოცავდნენ ზემოთ, თავგზააბნეულ მწერებსა ჰგავდნენ. ჩვენ სამასი მეტრის მანძილიდან ვუბათქუნებდით ქვემეხს, ჭურვები უკვალოდ ინთქმებოდა ქვიშის სქელ ფენაში. მართალი რომ ვთქვა, ლტოლვილი გერმანელებისათვის არც ისე საშიში იყო ჩვენი ბათქები, ეგაა, რომ თავზარს სცემდით. და მართლა ესეც კი გვანიჭებდა მონადირეების სიამეს, თუმცა ავტომატის ერთი ჯერით უფრო ადვილად შევძლებდით მათი დახოცვა. ამ სიჩქარეში ზედიზედ ვაცილებდით მიზანს, [illegible] ვლანძღავდით ერთმანეთს და, მტრის პანიკური ლტოლვის შემყურენი, ვხარხარებდით. ბორცვის თხემზე მოულოდნელად გამოჩენილმა „ფერდინანდებმა“ მო-

ველივე სროლით ააყირავა ჩვენი ქვემეხი, თითქოსდა სათამაშოაო; მთელი ჩვენი გათვლა წამსვე აღგავა საცეცხლე პოზიციიდან. მგონი, იმ წამს, ჭურვი ქვემეხის თვლებქვეშ რომ აფეთქდა, ტანში ჯერაც საზეიმო აღტკინება მქონდა, შემჯდარი, ალბათ იმ წამს კვლავ ვხარხარებდი ლტოლვილი ტანკისტების შემხედვარე — და კრუნჩხვით შეკრულ კრიჭაში შემრჩა ხარხარი.

— შენ კიდევ, ნუ მასხარაობ ხოლმე ბრძოლის დროს, — ღიმილიანად შენიშნა ამის გამო პოლოდუხოვმა, როცა ლაზარეთში ჩემი მოხვედრის ვითარება მოვყევი. — ეგ კარგი საქმე არ არის, ყმაწვილო.

ჩემს მარჯვნივ ჯარისკაცი კოპეშკინი იწვა. ორივე ხელი გადამსხვრეული ჰქონდა. კისრის მალები დაზიანებოდა, რაღაც იარებიც სჭირდა. მთელს მკერდზე თაბაშირი ედო, თავი კი კეფის ქვეშ შედგმულ არტახზე ბანდით ჰქონდა მიკრული. მხოლოდ გულაღმა შეეძლო წოლა და ნიდაყვებში მოხრილი, ერთმანეთისაკენ მიზიდული, ასევე ზედ თითებამდე ჩათაბაშირებული ხელები მკერდზე ამოშვეროდა. ამ კონსტრუქციას, მთელს ამ საბჯენებსა და სამაგრებს ლაზარეთის სანიადაგო ენაზე „თვითმფრინავი" ერქვა.

კოპეშკინი, როგორც თვით მისგან შევიტყვეთ, ალაში ირიცხებოდა და იმში თავის ჩვეულებრივ გლეხურ საქმეებს აკეთებდა: შეაბამდა ან გამოხსნიდა ხოლმე საფორნე ცხენებს, აჭმევდა და არწყულებდა, ხოლო თუ ფრონტული პირობები ხელს უწყობდა, ღამე საბალახოდაც მიჰყავდა; ალკაზმულობას უვლიდა. ათასგვარ სამხედრო ტვირთს ეზიდებოდა ბატალიონის კვალდაკვალ — ორცხობილიან ტომრებს, კონცენტრატებს, საკუჭნაოს ავლადიდებას, ვაზნებს.

— მედლები ბლომად იშოვე?— ცნობისმოყვარედ ეკითხებოდა საშა სელივანოვი.

— რისი მედლები... — სუსტი, ყრუ ხმით ეპასუხებოდა თავისი აკლდამიდან კოპეშკინი. — მეურნეობაში განა რას იძლევიან...

— შენ, იქნება, გერმანელი არც კი გინახავს?

— როგორ თუ არ მინახავს. ოთხი წელი ცოტა ხომ არ არის... საკმარისად ვნახე...

— ერთხელ მაინც თუ გისროლია?

— ვისროლე კიდეც... მაშ როგორ. ერთხელ ალყაში მოვყევით... ძაან მოგვაწვა გერმანელი, ძაან შეგვაწუხა... ჰოდა, ვისროლე. მეტი რა გზა მქონდა.

— მოკალი ვინმე?

— ვინ იცის... რას მიხვდები... სიბნელე იყო, ყოველი მხრიდან სროლა...

— ალბათ შეშინდი, ჰა?

— საშიში იყო, მაშ, როგორ.

— ეს სად დაგჩეხეს ეგრე?

— სად და, გზა აგვებნა, ფორნებით მივდიოდით. მე ვთქვი, იქით უნდა წავიდეთ-მეთქი, უფროსმა —იქით არაო. გავყევით უფროსს და პირდაპირ იმათ ბატარეას მივადექით. ბორბლები და რაღაცები ჩანდა... ორივე ცხენი მომიკლეს. ძაან ვუფრთხილდებოდი, სტალინგრადიდან მოჭოლებული მყავდა: რამდენი დაბომბვა მოგვწევია, რაღა არა... აქ კი, აგე, ეს ამბავი...

ბოლო დღეებში კოპეშკინი ცუდად შეიქნა. სულ უფრო და უფრო იშვიათად, ისიც — უხმოდ, მხოლოდ ბაგეებით ლაპარაკობდა და სმენა უნდა დაგე-

ჭაბა, მისი გაურკვეველი ჩურჩული რომ გაგეგო. რამდენჯერმე გადაუსხეს ახალი სისხლი, მაგრამ თაბაშირის სკაფანდრქვეშ მაინც სტყდა და სწვავდა რაღაც სატკივარი. სახეც სულ ჩამოუხმა. მკვეთრად დაეტყო ქანგისფერი ჯაგრით მობურდული ყვრიმალები: ვეღარც იპარსავდა — სახვევები უშლიდა. ზოგჯერ ძნელი სათქმელიც იყო, ჯერაც ცოცხლობდა თავის ბაკანში თუ უკვე სამუდამოდ გაყუჩდა. მხოლოდ მაშინ, როცა მორიგე მედდა ტანია [illegible] მიუჯდებოდა და კოვზით საჭმელს მისცემდა, მიხვდებოდით, რომ ჯერ კიდევ ღვივოდა სიცოცხლის რაღაც ნაპერწკალი.

— შენ ჭამას დააწექი, ხოლმე, — შეაგონებდა ბოროდუხოვი. — გაუძელი, ყმაწვილო. აი, მალე ომიც დამთავრდება. ახლა ტყუილუბრალოდ სიკვდილი ბრალია.

კოპეშკინი, თითქოსდა მის რჩევას ყურად იღებსო, ოდნავ გაღებდა ხოლმე გამშრალ ბაგეებს, მაგრამ კრიჭას არ ხსნიდა, კბილს კბილზე აჭერდა და ასე იკავებდა ტკივილს, ჰოდა, მედდაც თამბაქოს ბოლით გამოყვითლებულ კბილებში აწურავდა კოვზით წვენს.

— მაგისთვის მტოში იქნებოდა მისწრება, — კოპეშკინთან მოთმინებით მჯდომ, მუხლებზე თეფშდადგმულ მედდას უცქეროდა და ამბობდა ბოროდუხოვი, — მაგრამ სად გინდა, რომ იშოვო... იქნებ ამანათის გამოგზავნა ვთხოვო ჩემიანებს. ჩვენში რამდენიც გინდა, იმდენია. სიცხეს აცხრობს კარგად მტოში.

ერთხელ კოპეშკინს წერილი მოუვიდა — ცისფერ სამკუთხა კონვერტად დაკეცილი რვეულის ყდა. მედდამ თვალებთან მიუტანა კონვერტი, მისამართი დაანახა.

— შინიდანაა? — ჰკითხა ბოროდუხოვმა.

ამაზე კოპეშკინის ნასიცხარი ტუჩები ნელ-ნელა გაიშალა წყნარ ღიმილში.

— ჰოდა, კარგი და კეთილი. ბალღები ხომ გყავს?

კოპეშკინმა ძლივს მოხარა ორი გახევებული, მოყვითალო-მოიისფრო თითი, ზედ, ბალიშზე, თაბაშირის წინწკლები რომ ასხდა, და დანარჩენი სამი თითი უჩვენა.

— ესე იგი სამი, არა? ჰოდა, გამაგრდი, გამაგრდი, ყმაწვილო. აწ მალე შინ წახვალ. რაღა დარჩა.

ტანიამ შესთავაზა, წერილს წაგიკითხავო. მაგრამ კოპეშკინმა აღელვებით შეატოკა ხელის მტევანი.

— თვითონ უნდა, თვითონ, — მიხვდა საშა.

— თუკი შეუძლია, კეთილი, თვითონ წაიკითხოს, — დაეთანხმა ბოროდუხოვი. — საკუთარი თვალით წაკითხული სჯობს.

გაშალეს წერილი და ხელში ჩადეს კოპეშკინს.

მთელი ის დარჩენილი დღე ფურცელი მის უძრავ ხელებში იყო, თითქოს დაზგაში ჩასმულიო. ასევე ეჭირა ღამით. ეძინა, არც ეძინა... მხოლოდ მეორე დღეს ითხოვა, მეორე მხარეს გადაებრუნებინათ ფურცელი და დიდხანს დაჰყურებდა იქითურ მისამართს, დანერწყვილი ქიმიური ფანქრით გამოყვანილ მსხვილ, ოყროყრო ასოებს: „პენზის ოლქი, ლომოვის რაიონი, სოფელი სუხოი ყეტენი".

მაისის წინ ჩვენი პალატიდან სამი კაცი ერთად წავიდა. მისცეს ახალი ყავარჯნები, საგზაო ულუფა და თავ-თავის სახლში გაამგზავრეს ყველა. ესეც ომის დასასრულს მოასწავებდა. ადრე მათ ეგრეთწოდებულ გამაჯანსაღებელ

ბატალიონებში გავზავნიდნენ, რაიმე სამუშაოზე, — შეშის დახერხვა იქნებოდა, ფეხსაცმელების ჯღანვა თუ კოლმეურნეობებში ფურაჟის დამზადება, რათა შემდეგ, ერთხელაც რომ გაატარებდნენ კომისიის სასტიკ ცხრილში, ფრონტების ზურგისათვის კიდევ ერთი-ორი ჯარისკაცი გამოეჭრათ ამ ხელებმობრეცილ, კოჭლობუხა ადამიანებიდან. მაგრამ ახლა იქაც არ სჭირდებოდათ ასეთი ხალხი.

დარჩენილები, ვისაც კი მოძრაობა შეეძლო, ფანჯრებთან განთავისუფლებულ საწოლებზე გადავიდნენ. ეს ფანჯრისპირა საწოლები პრივილეგია იყო: აქედან ქუჩას მაინც დაინახავდა კაცი. ამ საწოლებს, ჩვეულებისამებრ, გამოჯანმრთელებულები იტაცებდნენ ხოლმე.

ფანჯარასთან გადავიდა მესანგრე მიხაი, ბესარაბიის უცნობი პატარა ქალაქის — ფალეშტის მკვიდრი. მოლდაველები უცილობლად შავთმიანნი, ყავისფერთვალებიანნი, აწოწილნი და მკვირცხლნი წარმომედგინა, ეს კი ერთი [illegible], ზანტი ვინმე გამოდგა, ფართო ზურგი ჰქონდა და ბავშვურად გამომეტყველი პირისახე, რომელზედაც საოცრად ნათელი, რაღაც ცისკარივით ციმციმალი, სუფთა, ყველასა და ყველაფრის მიმართ ნდობით აღსავსე ცისფერი თვალები და პაწუა, აპრეხილი ცხვირი გამოირჩეოდა. თმა, მოკლედ შეკრეჭილიც კი, ისეთი მოწითურო-ოქროსფერი ჰქონდა, თითქოს თავი სპილენძით აქვს მოვარაყებულიო. ეს დიდი, წყნარი, ოცდაათი წლის ბავშვი ჩვენს გულში უსიტყვო თანაგრძნობას იწვევდა. ერთადერთი იგი იყო ჩვენს პალატაში, თაბაშირის არტახი რომ არ ეცვა: ორივე ხელი ნიდაყვს ზემოთ ჰქონდა მოკვეთილი და პერანგის ცარიელ სახელოებს უკვანძავდნენ ხოლმე.

ზინა დეიდამ გაიხსენა, ერთხელ, ჯერ კიდევ ზამთარში, საპროცედუროში დასასუფთავებლად რომ მიადგა, როგორ ნახა იქ კედელთან მდგარი მიხაი.

— ვუყურებ, — ჰყვებოდა გადია, — მას კი ცრემლები ჩამოსდის ლოყებზე, ეტყობა, ძალიან განიცდიდა. რა არის, შვილო-მეთქი, ვეკითხები, მიდი, ჩემო კარგო, მე მოგეხმარები-მეთქი. არა და არ შემახსნევინა ღილი, დაირცხვინა... დგას ასე და იცდის, სანამ ვინმე დაჭრილი არ შემოვა...

ჩვენ თვითონაც ვხედავდით, როგორ განიცდიდა მიხაი ხელების დაკარგვას. საათობით იჯდა ბაღში თავჩარგული, დროდადრო ფართო ბეჭებიც უცახცახებდა. მაგრამ მერე და მერე დაწყნარდა. ის კი არა, ზოგჯერ ფანჯარასთან მიჯდებოდა და რაღაცას ღიღინებდა ხმადაბლა თავის ენაზე. სიმღერის ტაქტს ძალუმად ტანს აყოლებდა, ირწეოდა და სიმღერისას სახლების ზემოთ ისე იყურებოდა, თითქოს ჰორიზონტს მიღმა თავისი შორეული მოლდავეთი დაელანდა.

ერთ საღამოს, როცა მიხაი ისევ იჯდა ფანჯრის რაფაზე და ცეცხლოვანი თავი დაისის მწვანე სხივებში უბრწყინავდა, კოპეშკინმა თითები შეატკაცუნა და რაღაც იკითხა.

— რა მინდაო? — თავი წამოსწია ბოროდუხოვმა.

მივაყურადეთ სუსტ ხმას.

— მიხაის ეკითხება, რა ჩანს ფანჯარაშიო, — გავარჩიე კოპეშკინის ნათქვამი, რადგან ყველაზე ახლოს მასთან ჩემი საწოლი იდგა.

— მზეს ვხედავ... მინდორს... — არ მობრუნებულა, ისე მიუგო მიხაიმ.

— შორს არისო? გეკითხება, — ვუთარგმნე კოპეშკინის ჩურჩული.

— მინდორი? ეგერა მდინარის გაღმა...

— როგორიაო, ამბობს, რა თესიაო.

— მწვანეა. ხორბალი იქნება.

კოპეშკინმა ამოიოხრა, თვალები დახუჭა და მეტი აღარაფერი უკითხავს. პალატაში ერთხანს სიჩუმემ დაისადგურა. მარტოოდენ ცის მიხედვითაც კი, რომელსაც ვხედავდით შორეულ კედელთან მწოლიარენი — გადაწმენდილი, მტრედისფერი, მაღალი ცის მიხედვითაც კი იგრძნობდა, რა სილაღე იყო ახლა იქ, მინდორში.

— ქუჩაზე კი რაღაა?— დუმილის შემდეგ იკითხა ისევ ბოროდუხოვმა.

— სახლები, ხალხი...

— გოგონები დადიან ხოლმე?

— დადიან.

— ლამაზები არიან? — ჩაეძია საშა.

მიხაიმ არაფერი თქვა. მისი თავი მონოტონურად ირხეოდა ფანჯრის ჩარჩოში.

— შენ რაო, ლამაზიკო გეძნელება? ლამაზი გოგონებია-მეთქი?

— აჰ! — მიხაიმ წყენით დააქნია სახელოს ნასკვი.

— ახლა მაგას გოგონების თავი აღარა აქვს, — თქვა ბოროდუხოვმა.

— ეჰ, ამეზდა-ილავებო! — მწარე სიცილით შესძახა საშამ. — ერთი გოგო მეც რომ მომაგდებინა ხელში! ვფიცავ ჩემი დედა-ვოლგისაკენ გავუტევდი. ისეთ ჯახაჯუნს ავტეხდი, ბოლოვეთს ავადგენდი ყველაფერს!

მაგრამ არავის გვქონდა ხუმრობის გუნება. ჩვენი ორი ხუმარა, ორი ბედნიერი — სავენკო და ბუგაევი თითქმის აღარ იყვნენ ხოლმე პალატაში. ჩვენგან, თეთრხიფთვიანებისგან განსხვავებით, ისინი ლაზარეთის ზოლებიან ხალათებში იყვნენ გამოპრანჭული, რაც მათ ეზოში სეირნობის საშუალებას აძლევდა. დილის შემოვლა რომ მომთავრდებოდა, მაშინვე თამბაქოს და დომინოს აიღებდნენ, წადგამდნენ წინ თაბაშირის ჩექმას — სავენკო მარჯვენა ფეხს, ბუგაევი მარცხენას — და ხტუნვა-ხტუნვით გადიოდნენ პალატიდან, დარჩენილები შურით ვაყოლებდით თვალს. მხოლოდ სადილზე ბრუნდებოდნენ პალატაში. მზის მსუყე, მათრობელა სურნელი შემოჰყვებოდათ, ველ-მინდვრების სილაღე და სინედლე, ზოგჯერ კი არყის სუნიც უდიოდათ. უკვე ორივეს მოესწრო მზეზე გახუხვა, სახიდანაც გადასცლოდათ ლაზარეთის სიყვითლე.

ფანჯრის მიღმა კი მართლაც წარმოუდგენლად კარგი იყო ყოველივე. უკვე მწვანედ ხასხასებდა ლაზარეთის ალვისხეთა კენწეროები და როცა სავენკო პალატიდან გასვლის წინ გაგვიღებდა ფანჯარას, რომლის გაღება საერთოდ აკრძალული იყო, გარედან შემოჭრილ ჰაერს ალვის ხის ცხარე სურნელი მოჰქონდა. აქეთ კიდევ, ფანჯარასთან სკვინჩა შემოგვეჩვია. ყოველ საღამოს, დაისის ჟამს, ალვის კენწეროზე შემოჯდებოდა, სულ ბოლო ტოტზე, რომლის ზემოთ უკვე აღარაფერი იყო და ისე შეგვიძრავდა ხოლმე გულს თავისი მხიარული, ბოშური კრიმანჭულით, რომ კარგა ხანს ვიყავით გაჩუმებულ-ჩაფიქრებულნი.

ექვს საათზე პალატაში მედდა ტანია შემოდიოდა თერმომეტრებით: ჩვენთვის სიცხე უნდა გაეზომა. უწინარეს ყოვლისა, აღშფოთებული გაემართებოდა დარაბების დასაკეტად, მაგრამ მიხაი საწოლებს შორის, გასასვლელში ჩადგებოდა და გზას გადაუღობავდა:

— ნუ იზამ... შენ რას გიშლის?

— პნევმონიას აიკიდებთ. სარკმელი არ გეყოფათ განა?

— აჰ! — შუბლს შეიჭმუხნავდა მოლდაველი. — შენ უსმინე ერთი, უს-

მინე... ჩიტი გალობს... — მხარზე ხელის ნარჩენს გადასდებდა და ფანჯარასთან მიიყვანდა. — გესმის, როგორა გალობს? შენ კი: სარკმელი!

ტანია უსიტყვოდ უსმენდა ჩიტის ჭიკჭიკს და მხარზე მირჩენილ მიხაის წაკვეთილ მკლავს არ იცილებდა.

ეროვნული

ბოლოს და ბოლოს კაპიტულაცია გამოაცხადა ჰიტლერულმა დედაქალაქმა, დაეცა ბერლინი! მაგრამ ეს ამბავი როგორღაც ვერ დაგვეჯერებინა.

ხარბად ვათვალიერებდით საგაზეთო ფოტოსურათებს, რომლებზედაც ფაშისტური დედაქალაქის ქუჩებში გაჩაღებული ბრძოლები იყო აღბეჭდილი. პირქუში ნანგრევები, მუცელგამოფატრული სარდაფები, ჩამოფლეთილ, ტურტლიან, დაზაფრულ გერმანელთა ხელებაწეული ბრბოები, შენობების აივნებსა და ფანჯრებში გადმოკიდებული თეთრი ალმები და ზეწრები... მაგრამ მაინც არ ვკჯეროდა, რომ ეს დასასრული იყო.

და მართლაც, ომი ჯერაც გრძელდებოდა. გრძელდებოდა სამ მაისს, ექვს და შვიდ მაისსაც... კიდევ რამდენი დარჩა?! დასასრულის ეს გამუდმებული მოლოდინი ყველას უკიდურესად გვძაბავდა. ამ ბოლო დღეებში ჭრილობებიც რატომღაც განსაკუთრებით გვაწამებდა, როგორც ამინდის შეცვლისას იცის ხოლმე.

საქმე არაფერი მქონდა და მარცხენა ხელით ხატვას ვსწავლობდი, ვხატავდი ათასგვარ მხეცებს, მაგრამ ერთიანად დაძაბული ვიყავი, სმენაც და ნერვებიც დაჭიმული მქონდა. საენკო და ბუგაევი სულ პალატაში ისხდნენ, საქმიანად და მოწყენით აშრიალებდნენ გაზეთებს. ბოროდუხოვმა ნემსს ძაფი გაუყარა და დახეული ქისის დაკერებას მიჰყო ხელი, საშაც დუმდა, ეწეოდა ულუფით მიღებულ „დიუბეკს" და კვამლს ზეწარქვეშ უშვებდა, მორიგე მედდას რომ არ შეემჩნია. ლოგინზე გორავდა მიხაი, ბალიშზე გადაეგდო მკლავის ტაკვები და ჭერს ასცქეროდა. კარის ყოველ გაჭრიალებაზე თვალებად ვიყავით ქცეული, ვიცდიდით.

ასე ჩამთავრდა მაისის მერვე დღე და გულისგამაწვრილებლად წყნარი საღამო. ღამით კი, რაღაც უცებ რომ გამომეღვიძა, მთვარის შუქის სვეტებში თვალი მოვკარი ქვედა საცვლისამარა საენკოს — საწოლთა თავებს ეჭიდებოდა, მერე ბოროდუხოვს მიუჯდა.

— გძინავს?

— არა...

— მგონი, პაპა მოვიდა.

— ეტყობა, ისაა.

— რა უნდოდა ამ ღამით...

ლაზარეთის დერეფანში ჭრაჭუნა ჩექმების ბაკუნი გაისმა. დერეფნის გუგუნა სიცარიელეში სულ უფრო და უფრო გარკვევით ისმოდა ლაზარეთის უფროსის, პოლკოვნიკ ტურანცევის, ანუ როგორც მას უწოდებდნენ ვიწრო, ასიროული, ნიჩაბივით წვერის გამო — პაპას ხმა. ტურანცევისა ყველას ეშინოდა, მაგრამ პატივსაც სცემდნენ: მკაცრი, ლამის სასტიკი კაცი კი იყო, მაგრამ კარგ ქირურგად ითვლებოდა და, რაიმე მძიმე შემთხვევა თუ გამოერეოდა, არც თუ იშვიათად თავადაც ჰკიდებდა ხელს დისლაქრის დანას. ერთხელ, მეოთხე პალატაში, ერთმა კავალერიის ზემდეგმა, ოქროს ვარსკვლავი რომ ჰქონდა მიღებული და ამის გამო ყოველგვარი შეღავათით სარგებლობდა — ცალკე პა-

ლატაში იწვა. თავის კაზაკურ ქოჩორს არავის აკრეჭინებდა და სხვა — დიდი ალიაქოთი ატეხა, რაკი დაკერებული პიჟამა მისცეს. ყვირილი დაუწყო თეთრეულის გამგე ქალს, სალავი დაჭმუჭნა და სახეში მიაფერთხა. ჩვენ კი ვილოდით, რატომ ატეხა კაზაკმა შფოთი: საერთო საცხოვრებელში დაიარებოდა ფეიქარ ქალებთან და არ უხდოდა სერპუხოველი ქალების წინაშე დაკერებული პიჟამით გამოჩენა. თეთრეულის გამგე ატირდა, გამოვარდა დერეფანში და იმ დროს სწორედ იქ ჩავლილ ტურანცევს კი შეეჩეხა. გაიგო თუ არა, რა ამბავიც იყო, პაპა მაშინვე პალატაში შევიდა. თეთრეულის გამგე მერე ჰყვებოდა, რა მკვახედ მიახალა ტურანცევმა კავალერისტს: „ეს ვარსკვლავი რომ ატარო, — უთხრა მას, — მარტო გმირის მკერდი არ კმარა. უნდა უმკურნალოთ უზრდელობას, სანამ გვიან არ არის. ომი მალე დამთავრდება და თქვენ ადამიანთა შორის მოგიხდებათ ცხოვრება. დაიმახსოვრეთ ეს“, — თქვა და გავიდა პალატიდან, თუმცა კი ბრძანა, მიეცათ ზემდეგისთვის ახალი პიჟამა.

და აი, სწორედ ეს პაპა მიდიოდა ამ ღამით ლაზარეთის დერეფანში. გვესმოდა, ხმადაბლა რომ ელაპარაკებოდა ზვონარჩუკს. სამნეო დარგში თავის მოადგილეს. მისი მშვიდი, ბოხი ხმა თითქოსდა კედლებს ხვრეტდა.

— ...ყველაფერი სუფთა გაეცით — ლოგინი, თეთრეული.

— ჩვენ ხომ ყველაფერი ახლახან გამოვცვალეთ.

— სულ ერთია, მაინც ახალი გაეცით.

— გისმენთ, ანატოლი სერგეიჩ.

— ღორი დაკალით, რამე უფრო გემრიელი რამ გააკეთეთ სადილად. ნუ ძუნწობთ, ნუ დაინანებთ საჭმელს.

— მე ხომ, გულდაგულ შევეცდები, ანატოლი სერგეიჩ, ყველაფერს, რაც კი საჭიროა...

— კიდევ აი, რა... კარგი იქნებოდა, სადილზე ღვინო რომ მიგვეცა. რას იტყვით?

— ეგ შეიძლება, სპირტი მაქვს ცოტა.

— არა, სპირტი ეგეთი არ არის. მაგარია. თანაც, რაღაც ჩვეულებრივი რამ იქნება... არადა, უბრალო დღე ხომ არ არის, ჩემო კარგო!

— გასაგებია...

ნაბიჯებისა და ლაპარაკის ხმა თანდათან შორს და შორს მიიკარგა. „ბუ-ბუ-ბუ-ბუ...“

ერთი-ორი წუთის განმავლობაში ყურს ვუგდებდით გაურკვეველ ხმებს. მერე ყველაფერი ჩაწყნარდა, მაგრამ კვლავ გასუსულები ვიყავით და ახლა სიჩუმეს ვუგდებდით ყურს. საორდინატოროში მოწყენით, თითქოსდა ფიქრიანად, საათმა სამჯერ ჩამოჰკრა. ღამის სამი საათი... მწვავედ ვიგრძენი, რომ ლაზარეთის საათმა რაღაც სხვა, ახალი დრო გვამცნო... რაღაც ამეწვა შიგნით, ტანში, ბალიშზე მიდებულ საფეთქელზეც ამიძგერდა დაჭიმული ძარღვი.

უცებ საენკომ ხელი შემართა და მთვარის სხივთა კონაში სვირინგისგან ჩალურჯებული მუშტი შეაქნია.

— მორჩა, დამთავრდა! დამთავრდა, ბიჭებო! — დაიღრიალა მან. — უკვე დამთავრდა, ძმებო! — და მეტი სიტყვა რომ ვერ იპოვა, ბარაქიანად, ლატკინებით, ლაღად შეიგინა მთელი პალატის გასაგონად.

მიხაის საწოლიდან ფეხები ჩამოეშვა, ცდილობდა გულისხმაში ჩავარდ-

ნილიყო, თვალის უპეები ისე მიასრისა მარჯვენა მკლავის ნაკეცს, თითქოს კუნძს შეაფხანაო.

— მიხაი, გამარჯვება დაგვიდგა! — ზეიმობდა საენკო.

ბუგაევმა საწოლიდან ისკუპა, ბალიშს დაავლო ხელი და კუთხისკენ ისროლა, სადაც საშას ეძინა. საშა შეინძრა, რაღაც წამოიბურტყუნა და კედლისკენ ჰქნა პირი.

— საშკა, გაიღვიძე!

ბუგაევი ხტუნვა-ხუნტრივით მიადგა მის საწოლს და მძინარეს საბანი გადახადა. საშამ მოასწრო და პერანგის კალთაზე სტაცა ხელი. მოზიდა და საწოლზე წამოაქცია. ბუგაევი მაინც არ ეშვებოდა, ეჯაჯგურებოდა, ხარხარებდა და დასძახოდა:

— კუნძი ხარ, შეუსმენელო! გავიმარჯვეთ, შენ კი ხვრინავ აქა! აბა, ხელებს ნუ მიგრეხ, ეს კი ველარ მოგართვი, შენი ტოლი ნახე! ჩვენ, ძმაო, პოლკის დაზვერვა გახლავართ, ჩვენისთანებს ხელებს ვერ უკრავენ, გაიგე?

— ფეხი მაქვს დაბმული, თორემ... — ქშინავდა საშა. — ასე არ იყოს, მე შენ გიჩვენებდი სეირს...

— აბა, მორჩით მანდ, ქაჯებო! — დაიყვირა ბოროდუხოვმა. — თაბაშირებს დაამტვრევთ.

— ჯანდაბას თაბაშირები! — ხელი ჩაიქნია საენკომ და საწოლთა შორის, გასასვლელში, გიჟივით ცეკვას მოჰყვა, პარკეტს განგებ უბრახუნებდა თაბაშირის ფეხ-საბჯგველას:

დაფრიალებ, ჩემო ტურფავ,
კაბა გშვენის ფარჩისაო!

ბუგაევმა თავი მიანება საშას, საენკოს ხმა შეუწყო, დაირასავით აიტაცა ჭადრაკის დაფა და შიგ მოქცეულ ფიგურებს ჩხაკაჩხუკი აუყენა.

მე კი უკვე ხისფეხა ვარ,
ფეხი დამაქვს ცაცხვისაო...

ფანჯრის მიღმა, ნათელ, მთვარიან ღამეში მსუყედ გაიშალა ქოლოსფერი შუშხუნა და მტევნებად აციალდა. მერე მას მწვანე შეეჯვარედინა. სადღაც მჭახედ დაიკაკანა ავტომატმა. ბოლოს ხმაშეწყობით აგუგუნდა საყვირები: ეტყობა, ბუქსირები ახმიანდნენ შორეულ ოკაზე.

— ძმებო!— საენკომ მეზობელი პალატის კედელს დაჰკრა მუშტი. — ჰეი, ბიჭებო, ისმინეთ!

იქაც არ ეძინათ და საპასუხოდ რაღაც ბლაგვი და მძიმე დააბრახუნეს კედელზე, ალბათ ყავარჯნის რეზინიანი ბუნიკი.

მოირბინა ტანია ექთანმა, კედელზე ჩამრთველი გააჩხაკუნა.

— აქ რა ამბავში ხართ? ახლავე თქვენ-თქვენს ადგილებზე დაწექით!

მაგრამ ბავშვებს მკაცრად ვერ კუმავდა, როგორც სჩვეოდა ხოლმე. ჩვენი საყვარელი, მომთმენი, უძილობისგან განაწამები დაიკო! ისე იყო გამხდარი, ქამარშემორტყმული ხალათი ლამის ორფად შემოკვალთოდა ტანზე, ხელი ვლავ ჩამრთველზე ედო და ათვალიერებდა, რა ამბავიც დავაწიეთ ჩვენს პალატას.

— რასა ჰგავს ეს. ყველაფერი თავდაყირა დაგიყენებიათ; დიდები ხართ,

არადა ბალღებივით იქცევით... ბუგაევ, აიღეთ ბალიში! საენკო, ახლავე დაწექით! ანატოლი სერგეევიჩი აქაა, შემოვა...

ტანია კოპეშკინს მიუჯდა, შეწუხებულმა თითებზე შეახო ხელი.

— იძინეთ, იძინეთ, კოპეშკინ. ახლავე ატროპინს გაგიკეთებთ. ყველამ დაუყოვნებლივ დაიძინეთ!

მაგრამ ეტყობა არავის შეეძლო საკასავით აგუგუნებული კორიდორების გაჩუმება. სადღაც რაღაცას გაჰყვიროდნენ, ბრახაბრუხი გაჰქონდათ, ბატარეაზე მორზეს ანბანს აკაკუნებდნენ. ანატოლი სერგეის ძე არაფერში არ ერეოდა, ალბათ მიხვდა, რომ დღეს არა სჭრიდა მისი ძალაუფლება.

ამასობაში ფანჯრის მიღმა ზედიზედ იჭრებოდნენ ცაში ათასფერი, საზეიმო შუშხუნები, მათი ფერადი ციალი და ხეთა უცნაური ჩრდილები კედლებსა და დაჭრილთა პირისახეებზე დიოდა.

ქალაქსაც არ ეძინა.

ასე, ხუთ საათზე შუშხუნების ტკაცუნში ქვემოთ, ეზოში ყურისწამღებად აჭყვიტინდა და მაშინვე გაჩუმდა ლაზარეთის გოჭი...

განთიადს ძლივს დაუცადეს და ყველა, ვისაც კი როგორმე ფეხის მოცვლა შეეძლო, ვინაც მოახერხა მეტ-ნაკლებად გამოსაჩენი ტანსაცმლის — პიჟამის შარვლისა თუ ხალათის მოხელთება, ყველა გარეთ გამოეფინა. ის კი არა, ქვედა საცვლისამარაც გავიდა ზოგიერთი. ბუგაევმა და საენკომ ორივე ფანჯარა გააღეს და ისინიც გაჭენდნენ პალატიდან. დერეფანში ყავარჯნების კაკუნი და ჭრიალი ატყდა. გვესმოდა, როგორ ივსებოდა ლაზარეთის პატარა ბაღი მეზობელი სახლებიდან და ქუჩაბანდებიდან გამოფენილი ხალხის ბობოქარი ყიჟინ-ხივილით.

— რა ხდება მანდ, მიხაი?

— ჰო-ჰო-ჰო!... — თავს აქნევდა მოლდაველი.

— რა არის?

— ყვავილები მოაქეთ.. ერთმანეთს ეხვევიან, ვხედავ... კოცნიან ერთმანეთს..

ადამიანებს არ შეეძლოთ თავიანთ სახლებში გადაეტანათ ამოდენა სიხარული და, ეტყობა, ამიტომაც გამოეშურნენ აქეთ, ლაზარეთისაკენ, იქაკენ, ვისაც ომთან და ამ გამარჯვებასთან ჰქონდა კავშირი. ვიღაცამ ქვემოდან ფანჯარაში გადაყუდებული მიხაი დაინახა... გაისმა ქალიშვილის ძახილი: „დაიჭით!"— და ფანჯრის ოთხკუთხედში გაკრთა ნასროლი თაიგული. მიხაის დაავიწყდა, ხელები რომ არა ჰქონდა, მოკლე მკლავები გაუშვირა ყვავილებს, მაგრამ ვერ დაიჭირა და ჰაერშიღა შეაქნია ცარიელი სახელოები.

— ვაი, ჩემო თვალისჩინებ-ო! — გულამოსკვნით დაიწყო მოთქმა ვიღაც ქალმა, მიხაი რომ დაინახა, — ვაი საბრალო ტანჯულებო-ო! რამდენი სისხლი დაიღვარა თქვენ-ი-ი...

— ნუ დედი, ნუ...— მოისმა ბავშვის აღელვებული ხმა.

— ვაი, ჩემო ობლებო, ვერაფერს რომ ვერა ხვდები-ით! — კვლავ მოთქვამდა ქალი. — ახლა რაღა გიყოთ! რა გვიქნა ამ დაწყევლილმა ომმა, რა შავი დღე დაგვაწია, აღარა გვყავს ჩვენი ძვირფასი-ი-ი...

— ნუ ტირი, დედი... დედილო!

— გაჩუმდი, ნასტია, რა იცი, იქნებ კიდევ გამოჩნდეს, — გულს უკეთებდა ქალს ვიღაც ბერიკაცი. — რამდენი მომხდარა...

— ვაი, ველარ დაბრუნდება, ველარა-ა-ა...

ვინ იცის, ასე უცებ საიდან გაჩნდა და აგრიალდა ორკესტრი:

ალსდეგ, ქვეყანავ ზვიადო,
ისმის ბედითი ბრძოლის ხმა...

მობუბუნე დაფდაფი თითქოს ვიღაცის მძიმე ნაბიჯებს ითვლიდა:

დაე, აზვირთდეს დიადი,
ხალხის კვეთება და რისხვა...

და აი, საყვირთა მკაფიო ჟღერაში თანდათან გამოიკვეთა ცალკეული ხმები, ჯერ რამდენიმე ადამიანი ამღერდა, მერე სხვებმაც აიტაცეს ჰანგი, ჯერ გაუბედავად და არეულად, მერე თანდათან შეაწყვეს ხმები და, თითქოს იმით გახარებულებმა, რომ სიმღერა აეწყო, დასჭექეს ერთხმად, მძლავრად, თავგამოდებით, მღეროდნენ და ანთხევდნენ რისხვისა და სიძულვილის ჯერაც დარჩენილ მარაგს. ვიღაც ქალის მაღალი, ტირილსა და ყვირილს შუა აჟღერებული ხმა მახვილივით მსჭვალავდა გუნდის სიმღერას:

მძვინვარებს ომი სახალხო-ო-ო...

ეს სიმღერა მუდამ გულს გვიძგერებდა ხოლმე, ახლა კი, როცა ყველას დაწყდომაზე გვქონდა ნერვები, გული სულ ყელში მოგვებჯინა. ვხედავდი ფანჯარასთან მიმდგარ მიხაის — სახელოთი ცრემლებს იწმენდა, ციებიანივით უცახცახებდა ყბები. პირველად საშამ ვერ აიტანა დუმილი, აჰყვა სიმღერას, თან საწოლის თავს მუშტს ურტყამდა, საწოლსაც არხევდა და თავისთავსაც. მოლდაველმაც დაიწყო სიმღერა, მღეროდა და ჰანგს ტანს აყოლებდა. ბორიადუხოვსაც აუტოკდა გაუპარსავი ნიკაპი. შემდეგ სიმღერა მეზობელმა პალატამ აიტაცა, მერე ზემოთ, მესამე სართულზეც ამღერდნენ. ეს არ იყო უბრალო სიმღერა, ჰიმნი თუ ფიცი იყო. ვიცოდით, რომ ვეთხოვებოდით მას — უკვე ნამსახურევს, დემობილიზებულს, თადარიგში მიმავალს...

ორკესტრი დადუმდა და მაშინვე, ისე, რომ სული არც მოუთქვამთ, საყვირებმა მხიარულად, ლაღად დასცხეს „იაბლოჩკო". აგრიალდა ქუსლები.

ჰეი, ჰიტლერო, ფაშისტო,
რას ჩალიჩობ, რას ხტები?!
მოსკოვამდე ვერ მიხვალ,
ტყვიის წერა გახდები!

შაირი აშკარად მოძველებული, მოსკოვის დაცვის დროინდელი გახლდათ, მაგრამ ამ დილით განსაკუთრებით სადღეისოდ ჟღერდა, როგორც ასრულებული წინასწარმეტყველება ხალხისა.

ახლა ქალის ხმა გაისმა, სოფლურ კილოზე მომართული, კიდევ უფრო ფიცხად, კისკასად, ტაშაყოლებით:

ოთხ წელს ძილი არა მქონდა,
ძლივს გამქონდა თავი,
ომში მყავდა ჩემი სატრფო,
ძვირად სანახავი!
ე-ოჰ-ოჰ-ოჰ, ია-ი-იჰ...

ამასობაში მიტინგი დაიწყო. გვესმოდა, როგორ ყვიროდა რაღაცას ჩვენი პოლიტხელი. არც ისე ენამჭევრი გახლდათ, გაციებულიც იყო და წამდაუწუმ უწყდებოდა ათრთოლებული, ხრინწიანი ხმა.

როცა იგი მოულოდნელად ჩუმდებოდა და ტანჯვით არჩევდა საჭირო სიტყვებს, უხერხულ პაუზას უმალ ავსებდა ერთობლივი ტაშით. რა მნიშვნელობა ჰქონდა, იგი რას ლაპარაკობდა, ყველაფერი ისედაც გასაგები იყო.

ცხრა საათი იქნებოდა, როცა გაუბედავად მოგვიკაკუნეს კარზე.

— შემოდი, ვინაა მანდ? — გასძახა საშა სელივანოვმა.

— შეიძლება?..

პალატაში შემოვიდა ვიღაც ჩია, გადახრჩუებული ბერიკაცი, ფირფიცრის სამგზავრო სკივრი ეჭირა და იღლიაში რაღაც შალითაგადაკრული საგანი ჰქონდა ამოდებული. შავ სერთუკზე ლაზარეთის ხალათი მოესხა, იატაკზე დასთრევდა კალთები.

— დღესასწაულს გილოცავთ, ამხანაგო მებრძოლებო! — ბერიკაცმა მოიხადა მაუდის საზამთრო კეპი, მდაბლად მოგვესალმა და ცვილისფრად გამელოტებული თავი გამოაჩინა. — ვის სურს, გამარჯვების დღის აღსანიშნავად ფოტოსურათი ჰქონდეს? არის მსურველები?

— რა ფოტოსურათები გინდა, მამილო, მარტო ნიფხვები გვაცვია, — უთხრა საშამ.

— ეგ არაფერი, მეგობრებო. გარწმუნებთ... ენდეთ ძველ ოსტატს.

ბერიკაცი სკივრის წინ ჩაცუცქდა, ამოიღო შალის ახალი გიმნასტურა, აი, თვალთმაქცმა რომ იცის ხოლმე, ისე დაფერთხა და მხარზე გადაიგდო, მერე შავი ყუბანური ქუდი ამოიღო, წითელი ცა ჰქონდა და ზედ გადაჯვარედინებული ოქროსფერო ყაითნები.

— ეგ ყველაფერი ჩვენს ხელთაა. უბრალო რამეა... მაშ, ჩემო მეგობრებო, ვის სურს პირველად? — ბერიკაცმა ხმელ, გაძვალებულ ცხვირზე დაკოსებული თუნუქისჩარჩოიანი სათვალის ზემოდან მოათვალიერა პალატა. — ნება მიბოძეთ, თქვენგან დავიწყო, ჭაბუკო.

მიხაის მიეახლა და, თითქოს ბავშვს აცმევსო, ისე მარჯვედ მოარგო ის თავისი გიმნასტურა.

— ყველაფერი დიდებულად გამოვა, — ამბობდა ფოტოგრაფი და დაბნეულ მიხაის გიმნასტურის ბრჭყვიალა ღილებს უკრავდა. — ვერავინ ვერაფერს შეამჩნევს, პატიოსანი კაცის სიტყვას გეუბნებით. ახლა ყუბანური ქუდი ინებეთ... მშვენიერია! შეგიძლიათ თავად დარწმუნდეთ, — ბერიკაცმა სერთუკის შიგნითა ჯიბიდან პატარა, ოვალური, ალუმინისსახელურიანი სარკე ამოიღო და მიხაის თავისთავი შეათვალიერებინა. — ნამდვილი გმირია, მართალს არ ვამბობ? ნება მიბოძეთ გკითხოთ, რა წოდება გაქვთ?

— რა წოდებას ამბობთ? — ვერ მიხვდა მიხაი.

— სერჟანტი ხართ? ზემდეგი?

— არა-ა... — თავი გააქნია მიხაიმ.

— რიგითია, — უკარნახა მიხაის საშამ.

— ეს არაფერი... მართალი რომ ვთქვათ, წოდება ხომ არაა მთავარი.

ბერიკაცმა სკივრში ხელი მოაფათურა, მოძებნა ქვეითის ახალი სამხრეები, ფეხისწვერებზე შედგა და ფართო მხრებზე მიუბნია ისინი მიხაის.

— ორდენები გსურთ?

— აქ არა აქვს, — მიხაის ნაცვლად უპასუხა საშამ, — შესანახავად აქვს ჩაბარებული.

— ეგ არაფერი. მე მაქვს. როგორებს მიბრძანებთ?

— არ მინდა... — გაწითლდა მიხა, რომელსაც, როგორც ვიცოდით, ერთადერთი მედალი ჰქონდა, „საბრძოლო დამსახურებისათვის" — სხვისი არ მინდა.

— რა განსხვავებაა? თუკი თქვენი გაქვთ, სულ ერთი არ არის? — თქვა ბერიკაცმა და სამ ფეხზე შემდგარი აპარატი დაუმიზნა მიხას. — შემიძლია, ზუსტად ისეთები შეგირჩიოთ.

— არა, არ მინდა.

— თავმდაბლობაც შვენის კაცს. ასე... ერთი წამი.. გთხოვთ, აქეთ მოიხედეთ. გმირივით, გმირივით გამოიხედეთ! ასე კუშტად არა, ასე კუშტად არა. აჰ, რა დღეა, რა დღე!

მიხას გადაღებას რომ მორჩა, ფოტოგრაფმა პირდაპირ საწოლზე ჩააცვა იგივე გიმნასტურა საშა სელივანოვს. საშამ ორდენებით გადაღება ისურვა: ხარხარებდა.

— „სამამულო" მოგეძებებათ, მამილო? —იკითხა და ბოროდუხოვს თვალი ჩაუკრა.

— ინებეთ, ბატონო.

— „დიდებისაც" ჩამოჰკიდე.

— ეგეც შეიძლება. თუ გინდა, სრული კავალერისა იყოს, — სულაც არ შემცბარა, ისე შესთავაზა ბერიკაცმა. ეტყობა მიხვდა, რომ საშა ხუმრობდა.

— შენ, მამილო, მთელი რეგალიები გქონდნია! მაშინ, მოდი, ბარემ სრული კავალერისა დამაბნიე! ჩავალ შინ და გადავრევ ყველას. ოღონდ ვერ გამიგია, — იცინოდა გაოცებული საშა, — ამ ჩემს ფეხს რა ვუყო? საწოლი გამოჩნდება.

— ნუ გეშინია, ყველაფერს რიგიან-პირიანად ვიზამთ. ოღონდ თავი კი გედგას და, სურათს წინ რა დაუდგება. სწორს არ ვამბობ? — ბერიკაციც ხუმრობდა, ღიმილმა მოუპრანჭა პირისახე. — სულაც არ გვჭირდება ეგ საწოლი, ეგ რა ჯარისკაცის საქმეა! ყველაფერს ისე მოვაწყობთ, როგორც საბრძოლო ვითარებაში არის ხოლმე.

ფოტოგრაფმა რაღაც ტილო ამოაძვრინა სკივრიდან, ზედ აღმოდებული გერმანული ტანკი ეხატა.

— ეს გამოდგება? თუ გინდა, თვითმფრინავიც არის.

— ტანკი იყოს, მამილო! — სიცილით კვდებოდა საშა. — ხელყუმბარაც მოგეცა ბარემ, ჰა? ტანკსაწინააღმდეგო?

— ეგეთ რამეს არ ვატარებ ხოლმე, — გაიღიმა ბერიკაცმა.

სურათი ისეთი უნდა გამოსულიყო, საშა ნიფხვისამარა კი არ უნდა გდებულიყო საწოლზე, არამედ თითქოს ბრძოლის ველზე იმყოფებოდა.

თითქოს ეს-ესაა წირვა გამოუყვანა გერმანულ „ვეფხვს" და ახლა, ყუბანურა გვერდზე რომ მოეგდო, ისვენებდა კაცი, იცინოდა და ნება-ნება აბოლებდა პაპიროსს.

— მაგრად უბერავს ბერიკაცი! — ხორხოცებდა საშა.

— ყველა საქმეს თავისი ხელოვნება აქვს, ყმაწვილო.

— ვიცი: თუკი არ მოიტყუე, ვერ იცხოვრებ, ასე არ არის?

— ეგ როგორ გეკადრებათ! მოგახსენებთ, რომ მე გენერლებიც კი მყავს გადაღებული და ბევრი მადლობაც გამომიცხადეს!

— ისინიც „საბრძოლო ვითარებაში“ გადაიღეთ?

— მხიარული კაცი ხართ! — წვრილ ხმაზე ჩაიცინა ბერიკაცმა და საშ[illegible] მუქარით დაუქნია ფოტოსურათის გამოსამჟღავნებელი ხსნარისაგან გაყვითლებული თითი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ჯერი რომ დადგა, გიმნასტურა არ მომერგო, თაბაშირში ჩასმული, უშნოდ გამოჩრილი მკლავი მიშლიდა ხელს.

— გულისპირი გინდათ? — მოისაზრა ბერიკაცმა, რომელიც ეტყობა ჩახანია დაოსტატებულიყო ხეიბრების გადაღებაში და სახიჩრობის ყველა შესაძლო ვარიანტი გაეთვალისწინებინა. — დამშვიდდით, თქვენისთანებისთვისაც გადამიღია. გარწმუნებთ, ყველაფერი მოგვარდება.

მაგრამ გულისპირის, უკეთ რომ ვთქვათ — სამკერდულის გაკეთება შემრცხვა და გადაღებაზე უარი ვთქვი. ბოროდუხოვმაც იუარა, გაბრაზებით ჩაიბურტყუნა:

— უმაგისოდაც გავძლებ. მალე თვითონ ჩავალ შინ.

— მაშინ, მოდით, თქვენ... — ბერიკაცმა მახვილი თვალი შეავლო კოპეშკინს, ეტყობა იმას ფიქრობდა, როგორი დეკორაცია და რეკვიზიტი გამოეყენებინა, რათა ამ საწოლზე გაკრულ ჯარისკაცსაც მისცემოდა ყოჩაღი ვაჟკაცის იერი.

— მაგას მოეშვი, ბაბუ! — მკაცრად უთხრა ბოროდუხოვმა.

— კი, მაგრამ, იქნებ თვითონ სურს?

— მაგას არაფერიც არა სურს, ვერა ხედავ?

— კარგი, გავიგე, — ბერიკაცმა ბაგეებზე თითი მიიდო და ცუნცულით მოსცილდა საწოლს. — თუმცა ეგეც შეიძლებოდა... რამეს მოვიფიქრებდით... მე, იცით, ძალიან ძნელი შემთხვევებიც შემხვედრია.

— მოდი, მორჩი ახლა...

— მაშ, ბედნიერ გამოჯანმრთელებას გისურვებთ. სურათები მხოლოდ ათი დღის შემდეგ იქნება, უფრო ადრე არა. უამრავი სამუშაო მაქვს. ტულა... ვლადიმირი... ეს სულ ჩემი ზონაა, რას იზამ. აღარ არიან კარგი ოსტატები... აჰ, რა დღეა, რა დღე! მადლი ღმერთს, მოვესწარით, ბოლოს და ბოლოს...

მან აპარატი შეფუთა, ჩაალაგა სკივრში თავისი ავლადიდება, თავაზიანად გამოგვეთხოვა, ისე, რომ ქუდი ლამის იატაკს დაჰკრა, და ჩუმად გაძვრა კარში.

— მძორის ჭია... — გადააფურთხა ბოროდუხოვმა.

ლაზარეთის ბაღში ჯერაც გუგუნებდა ხალხი. ჟღერდა მუსიკა, ძირითადად ვალსებს უკრავდნენ და გული გვიჩქროლავდა.

მალე საენკო და ბუგაევი პალატაში დაბრუნდნენ, პიჟამაზე წითელი ბაფთები და შროშანის ყვავილთა აკიდოები ებნიათ.

სადილობის წინ თეთრეული გამოგვიცვალეს, პირი გაგვპარსეს, მერე კი დღესასწაულის შესაფერისად შეფაკლული, ცხვირშეშუპებული ზინა დეიდა შემოვიდა და ღორის ხორცის ქარვისფრად ჩაყვითლებული წვნიანი ჩამოგვირიგა.

— ჭამეთ, შვილებო, ჭამეთ, — გვეუბნებოდა და თავსაფრის ყურით იწმენდდა სველ, დანაოჭებულ სახეს. — კარგი წვნიანი გვაქვს დღეს... ოჰ, ღმერთო, გავიგე თუ არა, მაშინვე მუხლები მომეკვეთა, ჩავჯექი. რამდენი მირბენია

ამ სართულებზე, რამდენი საკაცე მითრევია და, ვითომც არაფერი. ახლა კი, წამოდგომა მინდა, მაგრამ ფეხები აღარ მომყვება... ნუთუ ყველაფერი დასრულდა-მეთქი, ვერა და ვერ დავიჯერე... ისეთი მტერი დავძლიეთ, ისეთი ჯოჯოხეთი გადავიტანეთ... რომ გავიხსენებ, რომ გავიხსენებ...

თვალებზე კვლავ ცრემლი მოადგა, — უმალ მოიწმინდა, გაიღიმა, სახე გაებადრა.

— ჭამეთ, ჭამეთ, მე კი წავალ და კატლეტებს მოგიტანთ. გამოჯანმრთელდით, აი, სულ ცოტა ხანიც და...

კარს ჩექმის წვერი ჰკრეს და გააღეს: პალატაში ძლივს შემოეტია ლაზარეთის სამნეო ნაწილის გამგე ზვონარჩუკი. ფართო, გაოფლილ სახეზე ისე გაბურძგნოდა ულვაში, კაცი ძნელი საცნობი გახლდათ.

გამოშვერილ ხელებში სამოვრის ლანგარი ეჭირა და ზედ მუქ-წითლად გამომჭვირვალე რამდენიმე ჭიქა ედგა.

— გამარჯვებას მოგილოცავთ, ამხანაგებო! — გვითხრა დაღლილი, ბავშვურად წვრილი ხმით. — რამდენი ხართ პალატაში?

— შვიდნი ვავრჩით.

— ჰო, ზუსტად ასეა... აი, თქვენ ადმინისტრაციის სახელით... საენკო, გაანაწილე.

— არის, გავანაწილო! — საენკო მაშინვე მისკენ წაკოლიკდა, ჩამოართვა ჭიქები და მიხაის ტუმბოზე ჩამოდგა. — მოდით, ჩვენთან ერთად გამარჯვებისა დალიეთ, ამხანაგო უფროსო!

— არა, ბიჭებო, დრო აღარა მაქვს, — ზვონარჩუკმა ხალათის სახელოთი მოიწმინდა გაოფლილი შუბლი, — კიდევ ას ოცი სული მყავს მისახედი. უჰ, ეს ოხერი, როგორ გავიხვითქე.

ერთხელაც დახედა ჭიქებს: იქნებ სათვალავი შეამოწმა გონებაში, ან იქნებ საკუთარი მარიფათიანობის ნაყოფით ტკბებოდა; ეტყობა, იოლად არ ეშოვა ეს ღვინო.

— მიდით, თორემ წვნიანი გაგიცივდებათ.

— გმადლობთ.

— კი იყოს და...

იგი გავიდა.

საენკომ ფრთხილად, რომ არ დაეღვარა, დამსწრეთა დუმილში, ჭიქები ტუმბოებზე ჩამოარიგა. ხტუნვით კი არ დადიოდა, როგორც სჩვეოდა ხოლმე, არა, იატაკზე მიათრევდა მტკივან ფეხს. სახეც მკაცრი, შეურვებული ჰქონდა, ქვემო ბაგეც ასკეტურად მოეკუმა, როგორც ქსენძმა იცის აღსარების მოსმენისას.

მართლაც, ეს ლალისფერი, პირთამდე გალიცლიცებული ჭიქები ამ ჩვენს ეთერ-უფერულ პალატაში ყველას რაღაც აქამდე არნახულ, დიად ზეიმად გვეჩვენებოდა, რაღაც იდუმალს გვპირდებოდა.

ერთ-ორ წუთს თითოეული ჩვენგანი მდუმარედ დასცქეროდა თავის ჭიქას.

— რაო, ჯარისკაცებო... რასა ფიქრობთ? მოდით, შევუბეროთ, რაღა, — გვითხრა საენკომ.

— აბა, მოდით.

— ჯერ მიხაიმ, — თქვა ბოროდუხოვმა.

— მართალია, ჯერ მაგან, თორემ როგორ...

— რაღა თქმა უნდა. — ბუგაევმა მიხაის ჭიქა აიღო. — დაჯექი, ისე რას შეგწვდები.

მიხაი მორჩილად ჩამოჯდა საწოლის კიდეზე და თავი გადასწია..

— აბა, ძმაო... გამარჯვებისა იყოს!

— ჰო.

— სამწუხაროდ, ჭიქას ვერ გიჭახუნებ.

მიხაიმ დამნაშავესავით გაიღიმა.

—არაფერია... მიდი.

ვუყურებდით, როგორ გადახარა ბუგაევმა ჭიქა და ბარტყივით დაფჩენილ პირში ჩაუსხა მოლდაველს ღვინო.

— აბა, ყმაწვილო, — თქვა გულმოჯერებულმა ბუგაევმა, — ასეა საქმე. არა უშავს, თანდათან გაიწაფები... — მან პიჟამის სახელოთი შეუწმინდა მიხაის წითლად ჩამოწინწკლული ნიკაპი, მერე წვნიანიდან კარტოფილი ამოიღო და დასაყოლებლად მისცა. — ერთ კაცს ვიცნობდი შენნაირს, ასე შვრებოდა: კბილებს მოავლებდა ჭიქას კიდეზე, ასწევდა და სულ ბოლომდე გამოწრუპავდა ხოლმე!..

— ღვინოს კი დალევ კაცი, მაგრამ ყურძენს როგორღა მოიყვან? — მიხაიმ სახელოს ნახევები შეაქნია, —ყურძნის მოყვანას ხელები სჭირდება.

— არაფერია, ძმაო! გულს ნუ გაიტეხ. ცოლი მოგეხმარება.

— ეჰ... — მიხაიმ თავი გააქნია.

— აბა, გეყოფათ ამაზე ლაპარაკი... — შეუძახა მათ ბოროდუხოვმა, ჭიქა აიღო და დარბაისლურად წარმოთქვა: — მოდით, ბიჭებო, ჩვენი მომავალი ცხოვრებისა დავლიოთ... აწ როგორც წავა ჩვენი ცხოვრება... რაც იყო, იყო, დასწყევლოს ღმერთმა! ცოცხლები ვართ და ვიცოცხლოთ უნდა.

დავლიეთ.

შემოგვირბინა ტანიამ, მოგვილოცა, ჩემი და კოპეშკინის საზიარო ტუმბოზე ენძელების თაიგული დადო, მერე კოვზი აიღო და კოპეშკინს ჭმევა დაუწყო.

კოპეშკინი ძალისძალად ყლაპავდა წვენს, იჭმუხნებოდა, პირზე ბუშტუკები ადგებოდა.

— შენ მაგას ღვინო ჩააწვეთე პირში, — ურჩია ტანიას საენკომ.

—თქვენ რა, ხუმრობთ?

— აბა რა? გაიხსენილოს მაინც ჯარისკაცმა.

— ამისთვის არ შეიძლება.

— მიეცი, მიეცი. გული მოაჯერებინე. აი, ნახავ, როგორ გამოაკეთებს ღვინო.

— სისულელეს ნუ ამბობთ.

— ოჰ, ეს ექიმები! ჟანდარმებზე უარესები არიან. იქნებ კაცს ესღა დარჩა, რომ ერთი დალიოს... გული აღარა გაქვთ.

— მორჩა, სლავებო! ხვალ გაწერას მოვითხოვ, — მტკიცე კილოთი წამოიძახა საშა სელივანოვმა.

ტანიამ მისკენ გაიხედა და საყვედურის ნიშნად გააქნია თავი.

— არ გამიშვებენ და, გავიქცევი. მოდი, ტანია, წამომყევი. ჰა? ვოლგაზე. პირდაპირ სამოთხეა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გზაში დამკარგავ სადმე, — კაიცინა ტანიამ.

— პატიოსან გვარდიულ სიტყვას გეუბნები! მე ხომ, შეიძლება ითქვას, შეგეჩვიე, ჰოდა, მხოლოდ ხელის მოწერაღა დაგვრჩა. — სამა საქმროდ შეთვრა, სხვებსაც შეეფაკლათ სახეები, თვალები აუკიაფდათ.

— წავიდეთ, ჰა, ბიჭებო? ჩემი მაყრები იქნებით. ისეთ ქორწილს გავაჩაღებთ, რომ.. ეჰ, კარგია ჩვენი მხარე, ძმებო! სოფლის მახლობლად, ქვემოთ კი ვოლგა მოედინება... ყველაფერი ხელისგულივით ჩანს მთელს თხუთმეტ ვერსზე, იქიდანაც და აქედანაც მოდიან გემები, ისმის საყვირების გუგუნი, საღამოობით შუქურები ინთება... მიხაი, წამოხვალ?

— არა-ა, მე შინ წავალ.

— იქ რა დაგრჩენია? მერეც მოესწრები.

— როგორ თუ რა დამრჩენია? — მიხაიმ ქერა წარბები აძგიბა. — როგორ თუ რა? არ გინახავს და რას ამბობ!

— არა, ძმაო, —სამამ ოცნებით მიაპყრო ჭერს თვალები. — სადაც ვოლგა არ არის, იქ არც ცხოვრებაა.

— ტყუილს რად ამბობ, ჰა? ყურძენი იცის თქვენში? დაგილევია ჩვენებური ღვინო? არ დაგილევია.

— ვიცი, ბურახია ნამდვილი.

— არაფერიც არ იცი! — გაცხარდა მიხაი. — მოდი, დავნაძლევდეთ! მაშ, ბურახია, არა? დაგისხამ ერთ ტოლჩას, აი, ასეთს, — მიხაიმ მკლავები წამოსწია და უჩვენა, თუ როგორ ტოლჩას დაუსხამდა. — აი, დალიე, ბატონო! დალევ და ეგრევე კასრის ძირას დავარდები, მკვდარივით გახდები. ე-ე, ცხოვრება არ არისო, რომ ამბობ, წავიდეთ და ნახავ. რა ვოლგა და რის ვოლგა. ჩვენ განა წყალს ვსვამთ, ღვინოა, ჩვენი სასმელი; მოლდაველთია, ჯაიგე!

— რატომ არა ჭამთ? — თავის ქნევით ეუბნებოდა ტანია კოპეშკინს და პირში ძალისძალად აწურავდა ბულიონს, — ერთი კოვზი მაინც დალიეთ კიდევ... ვაი ჩემს თავს: თქვენს გადამკიდეს...

— ჩვენში, მეზენში, ახლა ლუდსა ხდიან, — ახლახან პირგაპარსული, სუფთაპერანგა ბოროდუხოვი დინჯად ხვრეპდა გარიიან სუპს, თან კოვზის ძირს პურს აყრდნობდა.

— დღეს ყველგან ზეიმია. — თქვა საენკომ.

— ყველგან ზეიმია, მაგრამ ჩვენში სულ სხვაა. ჩვენში, მეზენში, დედაკაცები ძველებურ ტანსაცმელს იცვამენ ხოლმე, ფერხულს აბამენ, ცეკვავენ და მღერიან. მერე ნავებში ჩასხდებიან და მდინარეზე გადიან... ლუდი კი უფრო სელშავით მიყვარს ხოლმე, — ბოროდუხოვმა ბარაქიანად ამოიხვნეშა, პირზე ხელისგული მოისვა, თითქოსდა ლუდის ქაფი უნდა მოიცილოსო. — ცხონებაა! რახანია ლუდი არ დამილევია. — მერე ფიქრიანად დაუმატა: — თუმცა ახლა რითი უნდა გამოხადო კაცმა...

ტანიამ, როგორც იქნა, ცოტა რამ შეაჭამა კოპეშკინს, მაგრამ ძალიან გაწამდა და პალატიდან მისავათებული გავიდა.

იგი ჯერ კიდევ დილის ცხრა საათზე უნდა შეეცვალათ, მაგრამ რაკი დღესასწაული იყო, თვითონ დარჩა, ხალხს ხელს შევაშველებო. გვინდოდა, ცოტა ხანს კიდევ მჯდარიყო ჩვენთან და გვეწყინა მისი წასვლა. საშამ მართალი თქვა: მივეჩვიეთ ტანიას და, რა დასამალია, ჩვენ-ჩვენს გულში კიდეც შეგვიყვარდა ყველას...

ღვინო თავში აგვივარდა, ბიჭები ახმაურდნენ, იმაზე დაიწყეს კამათი, სად ცხოვრება სჯობსო. საენკო და ბუგაევიც ჩაერთვნენ კამათში, თავიანთ ციმბირზე დაიწყეს ლაპარაკი. ორივენი ურალს გადაღმელნი იყვნენ, ოღონდ საენკო ალთაის ტრამალელ უკრაინელთა შთამომავალი გახლდათ, ბუგაევი კი ენისეისპირელი ჩალდონი.

ეროვნული

„რამდენი სხვადასხვა ადგილია დედამიწაზე", — ვფიქრობდი და მათ ლაპარაკს ვუსმენდი.

სხვა პალატებშიაც იწვნენ დაჭრილები, იმათაც ჰქონდათ სადღაც თავიანთი ერთადერთი მშობლიური ქალაქი თუ სოფელი. იმათაც კი, რომლებიც უკვე ვეღარასოდეს დაბრუნდებოდნენ შინ... ომში ყველა თავის პატარა, ბავშვობიდანვე ნაჩვევ კუთხეზე ფიქრობდა და, მაშასადამე, მიწის თითოეულ მტკაველს ჰყავდა თავისი დამცველი.

ამიტომაც ასე ფართოდ მოეფინა მიწას სამგლოვიარო ფურცელი, ასე სქლად მოითესა რუსეთი...

— ჩუმად, ბიჭებო... — ბოროდუხოვმა პირველმა შენიშნა, როგორ გაატოკა თითები კოპეშკინმა. — რა გინდა, ძმაო?

ყური მივუგდეთ.

— წყალი?

კოპეშკინმა უარის ნიშნად შეაქანა ხელის მტევანი.

— ღამის ქოთანი?

კოპეშკინი მოიჭმუხნა.

მიბარგანავდა საენკო, დაიხარა.

— რა გინდა, მეგობარო?

კოპეშკინი მშრალ, დახეთქილ ბაგეებს აცმაცუნებდა და რაღაცას ჩურჩულებდა.

— ეგრე, ეგრე... აჰა, გავიგე... — საენკომ თავი დაუქნია მას და გვითარგმნა: — ამბობს, ჩვენშიაც კარგი ცხოვრებააო. მიდი, მიდი, კოპეშკინო, ილაპარაკე, აი, ყოჩაღ! აბა, მოყევი როგორია თქვენში... ეს სად არის? არა, გასაგებია... პენზელი ხარ. ჰოდა, რა გაქვთ იქა?

— იქაც კარგია.— გავარჩიე სუსტი, თითქოს სამარიდან ამომავალი ხმა.

— დაგიჩემებია, კარგია და კარგიაო. მაგრამ, რა არის კარგი? ტყე არის თუ რამე მდინარეა?

კოპეშკინი ცდილობდა, კიდევ ეთქვა რაიმე თავის კუთხეზე, მაგრამ ვეღარ შეძლო. მისუსტდა და გახევებული ბაგეებიდა მოილოკა.

გავჩუმდით, გვეგონა სულს მოიბრუნებდა, მაგრამ მეტი არაფერი უთქვამს. პალატაში სიჩუმე ჩამოწვა.

ვცდილობდი წარმომედგინა კოპეშკინის სამშობლო. აღმოჩნდა, რომ არც ერთმა ჩვენგანმა არაფერი იცოდა პენზის შესახებ, არც იქაური მდინარეები გაგვეგონა და არც ის ვიცოდით, საერთოდ როგორი ადგილები იყო, ტყიანი თუ გაშლილი... ისიც კი არ ვიცოდით, სად მდებარეობდა პენზის მიწა-წყალი და როგორ უნდა მისულიყავი იქამდე. მხოლოდ ის გამეგონა, რომ პენზა სადღაც, მგონი, მორდვეთის თუ ჩუვაშეთის მახლობლად მდებარეობდა. სადღაც იქ, იმ უცნობ მხარეში იდგა კოპეშკინის პატარა სოფელიც, უცნაური სახელი რომ

ერქვა — სუხოი ქიტენი, სავსებით რეალური, კონკრეტული სოფელი, რომელიც კოპეშკინისათვის მთელი სამყაროს ცენტრი იყო.

იქნებ ღია-მწვანე წნორები ირხევიან სახლების წინ, ხოლო სოფლის გარეთ, დატალღულ ბორცვებზე — სამაისოდ ბიბინებს ჯეჯილი. საღამოობით მინდვრიდან ნახირი მოზოზინებს, დატრიალდება მშრალი მტვერი, პირუტყვის სუნი, ნაკადულის პირას ხმადაბლა დაუსტვენს ადრეული ბულბული, ამოწვერება ახალი მთვარე, დაბინდულ წყალზე აქანავდება...

უკვე მეორე კვირა იყო, მარცხენა ხელს ვივარჯიშებდი და ახლა, კოპეშკინის მამულზე რომ ვფიქრობდი, თან ყასიდად ვჩხაპნიდი ფანქრით ქაღალდის პატარა ფურცელს. ფიცრული სახლი დავხატე, სამფანჯრიანი ფასადი, კუტიკართან მდგარი გაფოფრილი ხე, ამობრუნებულ ცოცხს რომ ჰგავდა. მეტი დასახატავი ვერაფრით რომ ვერ მოვიფიქრე, გადავიწიე და ეს უშნო სურათი კოპეშკინს ჩავუდე ხელებში. იგრძნო, რაღაც რომ შეეხო თითებზე, თვალი გაახილა და დიდხანს, ყურადღებით დასცქეროდა ნახატს.

შემდეგ წაიჩურჩულა:

— გალია მიუმატე... მე გალია მაქვს აქა... ხეზე..

მივხვდი, რაც უნდოდა, გამოვართვი ფურცელი, ხეს შოშიის გალია მივუხატე და ქაღალდი დავუბრუნე.

მოეწონა, სულ ოდნავ დააქნია წაწვეტებული ცხვირი.

ბიჭებმა კვლავ რაღაცაზე დაიწყეს კამათი, მერე საშასა და ბოროდუხოვის საწოლებს შორის სკამი ჩადგეს და დომინოს ჭახაჭუხი გააჩაღეს. წაგებულს „ყიყლიყო" უნდა დაეყვირა. მუდამ დარბაისელმა ბოროდუხოვმა დაყივლება იუარა, ჯარიმა გვარიანად გამელოტებულ თავზე წკიპურტის კვრით შეუცვალეს, რასაც მაშინვე, დანარჩენთა ერთობლივ ხარხარში, დიდის გულმოდგინებით ასრულებდა ბუგაევი. მიხაი არ თამაშობდა, ფანჯარასთან განმარტოებული იყო და კვლავ მღეროდა დაისის ათინათში გახვეული, ახლაც ჩვეულებისამებრ სადღაც იცქირებოდა, მთის ძირას დაკლაკნილი მდინარე ნარას მიღმა, შორეული, დაისით შეფერილი ბორცვების იქით. დღეს როგორღაც განსაკუთრებით ნაღვლიანად და შეშფოთებით მღეროდა, სიმღერასა და სიმღერას შორის მძიმედ ამოიოხრებდა ხოლმე და კარგა ხანს იყო ჩაფიქრებული.

ჩემი სურათი დაბინდებამდე ჰქონდა კოპეშკინს ხელებზე მიყრდნობილი. გულში ვხარობდი, რაკი ვაამე კაცს და მშობლიური სახლის მსგავსი რაღაც დავუხატე. მეგონა, რომ მდუმარედ ათვალიერებდა ნახატს და იგონებდა ყველაფერს, რაც მხოლოდ მისთვის იყო ძვირფასი იმ შორეულ, ყველა ჩვენგანისათვის უცნობ სუხოი ქიტენში.

მაგრამ კოპეშკინი უკვე აღარ იყო...

უჩუმრად, ეულად წავიდა, იქნებ სწორედ მაშინ, მზე რომ ჩადიოდა და მიხაის წყნარ სიმღერებს ვისმენდით.

იქნებ უფრო ადრეც, როცა ბიჭები დომინოს აჭახუნებდნენ. არავინ არაფერი იცოდა.

არსებითად, ადამიანი მუდამ ეულად კვდება ხოლმე, მაშინაც კი, როცა თანაგრძნობით დასტრიალებენ თავზე მეგობრები: იგი ყურს იყრუებს, რათა არ ისმინოს ფუჭი მწუხარება. იქრობს თვალისჩინს, როგორც სინათლეს აქრობენ ხოლმე ბინიდან გამოსვლისას, ერთხანს მარტოკა რჩება საკუთარ თავთან,

უტყვ დუმილსა და წყვდიადში, მერე უკანასკნელ ძალას მოიკრებს და უბიძგებს ნავს აქეთა ნაპირიდან...

მოვიდნენ სანიტრები, ძლივს ასწიეს საწოლიდან თაბაშირის მძიმე, გაქცეული ნაჭუჭი, რომლიდანაც კოპეშკინის ხმელი, უკვე გამეშებული ფეხები გამოშვერილიყო, დააფარეს ზეწარი და წაიღეს.

მალე უხმოდ შემოვიდა მკაცრი, სახეგაყინული ზინა [illegible] [illegible] გააწყო ლოგინი, გამოცვალა სულ ახალი, გახამებული, აგერ ახლა, სადილის წინ გაცემული ბალიშის პირი და ბალიშის გაბუებას შეუდგა.

დამუნჯებული დავყურებდი გაბუებულ ბალიშს, მის ცივ, საზეიმო სითეთრეს და უცებ გულისმომწყვლელი სიცხადით მივხვდი, რომ ეს ბალიში უკვე არავისია, რადგან მისი პატრონი უკვე არარა გახდა... პალატიდან კი არ გაიტანეს მხოლოდ — სულაც არ არის, არ არსებობს. არა!.. შეიძლებოდა დაწყნარებოდი საკაცეს, გენახა კოპეშკინი სადღაც ქვემოთ, ეზოში, ქვის ჩაბინდულ ფარდულში. მაგრამ ეს უკვე იგი კი არ იქნება, არამედ ის იდუმალი რაღაც, რასაც ნეშტი ჰქვია. ესღაა ყველაფერი? — ვეკითხებოდი ჩემს თავს და ცივი ოფლი მასხამდა. — მეტი მისთვის აღარაფერი იქნება? მაშ, რისთვის ცოცხლობდა? ასე დიდხანს რატომ ელოდა თავის რიგს ამ მიწაზე გასაჩენად? მისი დაბადების ეს შესაძლებლობა ათასწლეულთა განმავლობაში იყო შენახული და წინაპრებმა მთელი ისტორიის მანძილზე გამოატარეს — პირველყოფილი მღვიმეებიდან თანამედროვე ცათამბჯენებამდე. მოვიდა დრო, რაღაც საიდუმლო შიფრები შეერთდნენ, დაემთხვნენ ერთმანეთს და, ბოლოს, ისიც დაიბადა...

მაგრამ ჰურვის ნამსხვრევებმა მოცელა და კვლავ არყოფნად იქცა, გაქრა... ხვალ შემოაცლიან აწ უკვე უსარგებლო თაბაშირის გარსს, ტანს გაათავისუფლებენ, გაჰკვეთენ, დაადგენენ სიკვდილის მიზეზს და აქტს შეადგენენ.

— ამას დახეთ, — ჩაილაპარაკა გაფიამ და იატაკიდან კოპეშკინის სახლის სურათი აიღო, სანიტრებს რომ გავარდნოდათ, ხელუხლებელ, ღვინიან ჭიქას მიადო.

ეს ჩემი თამამი ფანტაზიის ნაყოფი გახლდათ, მაგრამ ახლა ეს ნახატი სახლი კოპეშკინისგან დარჩენილ ერთადერთ რეალობად იქცა. ახლა თვითონაც მჯეროდა, რომ აი, ასეთი სახლი მართლაც დგას სადღაც, იმ პენზის მიწაზე, ასეთივე რუხი, ფიცრული სახლი, ფასადზე გამოსული სამი ფანჯარა, კუტიკართან მდგარი ხე და ზედ მიმაგრებული შოშიის გალია. სწორედ ამ დროს, საღამოს პირზე, როცა ლაზარეთის საცხედრეში კოპეშკინის გვამს დებენ სანიტრები, მისი სახლის ფანჯრებში იქნებ უკვე აინთო ნავთის ლამპის მკრთალი ალი, გამოჩნდა სავახშმოდ გაშლილი სუფრის გარშემო მიმსხდარი ბავშვების პატარა თავები. მაგიდასთან კოპეშკინის მეუღლე მიმოდის (როგორი ქალია? რა ჰქვია?), რაღაცას დებს სუფრაზე, რაღაცასასხამს... უკვე მანაც იცის გამარჯვების ამბავი და მთელი ოჯახი მდუმარედ ელის პატრონს, რომელიც არ მოუკლავთ, დაჭრილია მხოლოდ და, ღვთით, ყველაფერი კარგად იქნება...

უცნაური და დარდისმომგვრელია იმ ადამიანების წარმოდგენა, რომლებიც არასოდეს გინახავს და რომლებსაც ნამდვილად ვერც ვერასდროს ნახავ. რომლებიც თითქოსდა არც არსებობენ შენთვის, ისევე, როგორც შენ არ არსებობ მათთვის.

სიჩუმე საენკომ დაარღვია. იგი წამოდგა, ხტუნვით მოვიდა ჩემსა და კოპეშკინის ტუმბოსთან და ჭიქა აიღო.

— ეჰ, დაელია უნდა ჯარისკაცს უკანასკნელად, — თქვა მან ფიქრიანად, თან ჭიქას ათვალიერებდა ფანჯრიდან შემოსულ მწუხრის შუქზე. — რას იზამ.. მოდით, შესანდობარი ვუთხრათ. არ გაუმართლა ბიჭს... ის მაინც თუ იცით, რა ერქვა?

— ივანე, — თქვა საშამ.

— მაშ... მშვიდობით, ძმაო ივანე. — საენკომ ღვინო შეაშხეფა სასთუმალს, რომელზედაც სულ ცოტა ხნის წინათ კოპეშკინს თავი ედო. ღვინომ შეღება თეთრი, გახამებული ბალიშის პირი. — გაცხონოს ღმერთმა...

ჭიქაში დარჩენილი ღვინო საწოლებზე ჩამოატარა და ყველამ შევსვით თითო ყლუპი. ღვინო უკვე უჩვეულოდ ჩაშავებული გვეჩვენა, როგორც სისხლი.

სალამოს ცაზე კვლავ ბრიალებდა საზეიმო შუშხუნები.

□

შარლ ბოდლერი

ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანგულიდან თარგმნა გივი გეგეჭკორმა

აღსარება

ო, ერთხელ ხელით, არ გიქნიათ თქვენ ეს მანამდე,
დამენდეთ ნაზად და უნებურად
(ეს მოგონება სულის ფსკერზე დღემდე ანათებს
და არასოდეს გახუნებულა).

დღე ღამდებოდა; დაჰყურებდა ქალაქს მბრწყინავი
ახლადმოჭრილი მედალი მთვარის
და დიდებული ის ნათელი, როგორც მდინარე,
დასთქრიალებდა მძინარე პარიზს.

სადარბაზოთა წყვდიადიდან გარეთ კატები
გამოდიოდნენ, ვით აჩრდილები
ძვირფასი ჩვენთვის; დაჟინებით და ყურადღებით
თვალს გვაყოლებდნენ და გვაცილებდნენ.

უეცრად, როცა მთვარიანი ღამის სტუმრები
ვტკბებოდით ჩვენი უშუალობით
და თქვენ, მდიდარი და წკრიალა ხმის ინსტრუმენტი,
როცა თრთოდით და როცა ხარობდით;

როცა იყავით თქვენ ნათელი იმ საყვირივით,
მზის ამოსვლას რომ იუწყებოდა, —
აღმოგხდათ ბგერა უნუგეშო, როგორც ტირილი,
რომელიც ფეხზე ვერა დგებოდა;

მან, როგორც ბავშვმა საზარელმა, სუსტმა, ბინძურმა,
რომ ერცხვინება და ეზრახება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახს იმისი და ოჯახმა რომ მოიძულა,
და ბნელ სარდაფში უზის ნახევრად.

თავის დაღწევა შესძლო ისე და დაიყვირა:
„არა არის რა აქ მარადისი,
ნილაბს ვერავინ ვერ ატარებს, ყველა ბრიყვია,
ყველა ეგოისტ სულს გადაგიხსნის;

ყველაზე ძნელი ხელობაა, იყო ლამაზი,
ბანალურია შრომა ქალური
ცივი, უგნური მოცეკვავის, რომ დასთამაშებს
ბაგეზე ღიმი მაშინალური;

არ ეკარება გულწრფელობის სულს ლალადისი
და არ არსებობს სულთა დუეტი,
ვიდრე ნაგავში დავიწყება არ გადაგისვრის
და მარადიულს არ შევუერთდით!“

საალმსარებლოს სიჩუმეში იმ აღსარებას,
მღელვარებით და ჩურჩულით ნათქვამს,
სულის იმ ჭმუნვას, იმ ღამესაც და იმ მთვარესაც
დრო დავიწყების ვერასდროს შთანთქავს.

გამოუსწორებელი

სინდისის ქენჯნა რით ჩავიკლათ, რაა წამალი,
რითი ვუშველოთ სინდისის წუხილს?
ის ჩვენს სხეულზე ხარობს, როგორც ჭია სამარის
და როგორც მატლი მომრევი მუხის.
სინდისის ქენჯნა რით ჩავიკლათ, რაა წამალი?

რომელ ღვინოში, რომელ კუპრში, რომელ სითხეში
ჩავახრჩოთ მტერი, რომლის ისარიც
გვკლავს ჭიანჭველის მოთმინებით უსასტიკესი
და ხარბი არის, ვით კურტიზანი!
რომელ ღვინოში? რომელ კუპრში? რომელ სითხეში?

უთხარ, ლამაზო ჯადოქარო! თუ იცი, უთხარ
გონებას, შიშით წამოჩოქებულს,
ქვეშმოყოლილი, დაჭრილებში რომ ძლივსღა სუნთქავს
და რომ თელავენ ცხენის ფლოქვები;
უთხარ, ლამაზო ჯადოქარო, თუ იცი, უთხარ

სულთმობრძავს, მგელმა ვისაც უკვე თავს დაუარა
და დასტრიალებს სვავი ფრაშფრაშით,
იმის იმედი უნდა ჰქონდეს-მეთქი, თუ არა,
რომ მოისვენებს თავის საფლავში?
სულთმობრძავს, მგელმა ვისაც უკვე თავს დაუარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა მოქუფრული შუქით როგორ უნდა გაივსოს?
როგორ გაგლიჯოს შუქმა წყვდიადი?
კუპრივით სქელი, უცისკროა და უდაისო
და არც ვარსკვლავთა კრთის მირიადი!
ცა მოქუფრული შუქით როგორ უნდა გაივსოს?

ვინ გვიქრობს-მეთქი, გავერნების ფანჯრებში იმედს,
ძლივს რომ ბჟუტავდა და სულს ლაფავდა?
უცთვარო ღამე წამებულებს აწვება მძიმედ,
როგორ მივიდნენ თავშესაფართან?
ეშმაკი აქრობს ტავერნების ფანჯრებში იმედს!

თქვი, ჯადოქარო, დატანჯულხარ ტანჯული ძმისთვის
ან ცოდვა მისთვის თუ შეგინდვია?
რა შხამიანი ისრები აქვს თუ იცი, სინდისს
ან როგორ ისვრის და რა მშვილდი აქვს?
თქვი, ჯადოქარო, დატანჯულხარ ტანჯული ძმისთვის?

შეუნდობელი ცოდვა ჩვენს სულს ბოლოს მოუღებს,
შეუბრალებლად ეშვებს გაგვიყრის,
როგორც ტერმიტი, ის დაგვიმხობს სულის მონუმენტს,
დამხობას იწყებს იგი საძირკვლით.
შეუნდობელი ცოდვა ჩვენს სულს ბოლოს მოუღებს!

თუმც დავსწრებივარ მე ბანალურ თეატრს მრავალჯერ,
სადაც ორკესტრი როცა გრგვინავდა,
ვილაც ფერია ჯოჯოხეთურ ზეცის თავანზე
აგიზგიზებდა ცისკრის ჩირაღდანს;
მე დავსწრებივარ იმ ბანალურ თეატრს მრავალჯერ

და იმ სინათლის, ბურუსის და ოქროს ფერია
ძირს ანარცხებდა მუდამ სატანას;
მაგრამ ჩემს სულში სხვა ლოჟა და სხვა პარტერია,
არ ლვიძავს იმედს, თუნდაც პატარას,
რომ ნახავს შუქის, ბურუსის და ოქროს ფერიას!

სპლინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მაქვს იმდენი მოგონებები, თითქოს ათასი წელი ვიცხოვრე.

დიდი კარადის დიდი უჯრები საქმეებით თუ ხარჯთაღრიცხვებით,
გამიჯნურებულ კაცის ლექსებით თუ ბარათებით თუ რომანსებით
ანდა კულულებგამოხვეული თამასუქებით ასე სავსენი
ჩემს თავის ქალას მეტოქეობას ვერ გაუბედავს და ვერ დამალავს,
რასაც დამალავს ჩემი გონება, — ის პირამიდა და აკლდამაა.
იქ რომ მარხია, საძმო საფლავში არ დაეტევა ალბათ ცხედარი,
მთვარე გამირბის, ვარ სასაფლაო აქამდე მთვარით დაუხედავი,
სადაც ფუთფუთებს სინდისის ქენჯნა და საყვედური თითქოს მატლებად
და ეხვევიან იმათ სხეულებს, ვინც ძვირფასია და მენატრება.
მე ჩამომჭკნარი და უსიცოცხლო ვარდებით სავსე ვარ ბუდუარი,
სადაც ურიცხვი ყრია ნაგავი, რომელსაც მოდამ უთხრა უარი
და სადაც ბუშეს მკრთალ სახეებზე ეცემა შუქი პასტელს ნაღვლიანს
და ისე სუნთქავს, თითქოს ფლაკონი ახლადგახსნილი ახლა დაღვრილა.

არა, კოჭლობით ნელა მიმავალ დღეებზე გრძელი არა არის რა,
რომ დაგვაწვება თოვლი წარსული წლების სიმძიმით და სულს დანისლავს
მოწყენილობა, რაც ნაყოფია განურჩევლობის, როცა ცარიელ
სულს გადეხსნება მარადისობა, კარგავს მიჯნას და კარგავს ბარიერს.
ამიერიდან ის, რაც ცოცხალი მატერიაა სახით და ტანით —
გაურკვეველი შიშით მოცული, დამგვანებული ქვასა და გრანიტს,
ჩაძინებული საჰარის ნისლში, გაბრუებული უდაბნოს ნისლით,
ამ უზრუნველი ქვეყნისთვის უცხო, დაბერებული იქნება სფინქსი,
სადღაც რუკაზე მივიწყებული, დამსგავსებული ტყიურს და ნადირს,
ო, იგი მაშინ იმღერებს მხოლოდ, მზე როცა ნელა ქრება და ჩადის.

ს პ ლ ი ნ ი

მე მეჩვენება, რომ წვიმიანი ქვეყნის მეფე ვარ და მბრძანებელი,
მდიდარი, მაგრამ მაინც უძლური, ჭაბუკი, მაგრამ მოხუცი

რომ მომაბეზრა თავი მრჩევლების და რეგენტების
რევერანსებმა
და ველარ მართობს ველარც მწევარი, ვერც სხვა ცხოველი,
ვერც სხვა არსება.
ვერც ნადირი და ვერც შევარდენი გამოუკეთებს მეფეს
ხასიათს,
ვერც მისი ხალხი, რომ იხოცება და აივანთან რომ გნიასია.
ამაოდ ცდილობს, ვერ გააცინებს ვერც სახუმარო ლექსით
მასხარა,
ვერც მჭმუნვარებას ვერ გაუფანტავს, მეფე სნეული არის
აშკარად
და ყვავილები მალე სამარეს დაამსგავსებენ იმის სარეცელს,
ხოლო ქალებმა (პრინცი ერქვას და მის სილამაზეს ვინღა
დაეძებს)
აღარ იციან, როგორ მოირთონ, იცვამენ, რაც კი სამოსელი
აქვთ,
და ჩონჩხადქცეულ იმის სახეზე თუნდაც წამიერ ღიმილს ელიან,
ალქიმიკოსმა, რომელიც მეფეს ოქროს უდნობდა, ახლა
ავადმყოფს
რა სენი უჭამს სხეულს, არ იცის, არ იცის, როგორ უშველავათოს.
რომაელთაგან ნაანდერძები, მიხრწნილებაში ამაოებით
დაღლილ მეფეებს რომ ახსენდებათ, ის სისხლიანი აბანოებიც
ველარ გაუთბობს სხეულს ხელმწიფეს, რადგან გაყინულ
ძარღვებში წვეთი
არ არის სისხლის, სისხლის მაგივრად იქ მწვანე წყალი
ჩამდგარა ლეთის.

ს პ ლ ი ნ ი

სახურავივით დაბალი და მძიმე ცარგვალი
სულს როცა თრგუნავს, ფუსფუსით რომ ასე დაღლილა,
და ჰორიზონტს რომ შემოხაზავს შუქის ფარგალი
და დღეს გვითენებს, შავ ღამეზე უფრო ნაღვლიანს;

როცა ამ მიწას დილეგი რომ ერქვას სახელად,
უფრო შეჰფერის, და იმედი, როგორც ღამურა,
როცა გვისხლტება და ჭერს თავით რომ ეჯახება,
გაუბედავი თუ ფრთით კედელს გაელამუნა;

და დაგრძელებულ წვიმის წვეთებს ზეცა დაბალი
რომ შემოგვავლებს უზარმაზარ ციხის მესერად,
ქსელს ჩვენს ქალაში ობობები რომ გააბამენ
და საზიზღარი მუნჯი ტომი ტვინს შეესევა;

ან ცას როდესაც შელმუვიან რისხვით ზარები
და იმათ გრგვინვას ბანს აძლევენ გარეშემონი,
და როცა თითქოს ცას ქვითინით ემუდარება
უსახლკარო და უწყინარი ყველა დემონი;

და გრძელი დროგი უმუსიკოდ და უდოლებოდ
სულს რომ გადივლის, — დამარცხებულ იმედს ხალასი
ცრემლები სცვივა, ხოლო შიში დაუნდობელი
შავ დროშას არჭობს ჩემს გადახრილ თავის ქალაში.

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანგ ვიეტი

ლექსები

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ზურაბ ქუხიანიძემ

ბანგ ვიეტი ცნობილი ვიეტნამელი პოეტია.

დაიბადა 1941 წ. ქ. ჰუეში.

დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1965 წელს, სამშობლოში დაბრუნებისას, მოხალისედ შევიდა ვიეტნამის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიაში. იბრძოდა, როგორც რიგითი მებრძოლი. შემდეგ სამხედრო კორესპონდენტად მუშაობდა.

1973 წელს ჰანოიში ჩამოვიდა.

ბანგ ვიეტი ავტორია პოეტური კრებულებისა: „ცეცხლი კერაზე" (1968 წ.), „სახეები და ცა" (1973 წ.), „მიწა წვიმის შემდეგ" (1977 წ.) და მთელი რიგი ესეებისა, რომლებიც მიძღვნილია მსოფლიო ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწეებისადმი.

ბანგ ვიეტი ამჟამად ამთავრებს ა. პუშკინის „ევგენი ონეგინის" თარგმნას.

მისი ლექსები თარგმნილია რუსულ ენაზე.

ქართულ ენაზე იბეჭდება პირველად.

პირველი ღიმილი

ქაფამღვრეული მდინარე შუში.
ცივ შემოდგომის ზეცა პირქუში.
როგორც ზღაპარში გარბის მდინარე,
მდინარე — წყნარი და მოწყენილი.

აქ ადგილებში იყო ლენინი.
ტრიალ მინდვრებზე გაყვითლებულ ბალახთა ჩქამი.
აღმუვლებული მძინვარებდა ქარბუქი ღამით,
ცა თოვლით იყო დაბრმავებული.

პეროვსკის პრუდი — შავი ფერფლით წყალი ვნებული,
მთლად დაფარული საუკუნის დამპალ ფოთლებით,
ცით დაშვებული გაზაფხულზე ნისლის ბლონდები
და ცხელ ზაფხულში ბალახები გადარუჯული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცხოვრების მწარე ჩურჩული —
ხეების კვნესა. ღრუბლის ქულა, ცად გაწეწილი.
ქარიშხლით, მეხით გადალეწილი
ხეთა შიშველი კენწეროები.

მდინარე შუში და მდელოები...
ისინი სამი გრძელი წელი იქ, ყრუ მხარეში,
სადაც დაჰქროდა ქარი თარეშით,
ბრძენკაც ლენინთან მეგობრობდნენ დღით და
ღამითაც;
ისინი — მუდამ წყლით დამბალი მეთევზეები,
კანაქერცლილნი, გატანჯული მწარე დღეებით...
ისინი — სახედალარული მონადირენი,
კუშტი კოურები ხელისგულებს რომ უფარავდათ,
თავჩაქინდრულნი ისხდნენ კარავთან.
უბრალო კაცის ცხოვრებაში და ოცნებაში
იგი შევიდა, როგორც იმედი.

წლის ბოლოს, ღამით, მშრალ აბედით მოციმციმეთი
გაალვივებდნენ ცეცხლს მოჭიატეს
და მიიტანდნენ ხმელ ფოთლების გროვასთან
ფრთხილად.
ცეცხლი ცოტა ხნით დაღლილივით თრთოდა
ფოთლებში,
მერე კი უცებ იფეთქებდა საოცარ ძალით
და ცას სწვდებოდა მოცეკვავე კოცონი თრთოლვით.

აი ასეა! ნაპერწკლიდან ინთება ალი!
მშვიდად უმზერდა მოგუგუნე კოცონს ლენინი.
„ნაპერწკალია საწყისი ყოვლის!“

დაბრუნდა იგი. ხალხი ძილით იყო ძლეული,
მალე ყინული უნდა გადნეს, მაგრამ მდინარე,
ჯერ კიდევ ყინვით შებოჭილი, იყო მძინარე.
ახალ წლის ღამით ქარი სტვენდა გადარეული.

არავინ იცის მაღალ ფიქრით გაბრწყინებული,
დამამხობელი ქვეყნად წყვდიადის,
რამდენ ხანს იჯდა იმ ღამით იგი...
და მის წინაშე ისახებოდა
გეგმები ვრცელი, ბრძნული, დიადი.

იბადებოდა დიდი აზრი, ვით განთიადი,
პარტიაზე და მოახლოებულ

რევოლუციის მრისხანე ჟამზე;
და ცეცხლის ალი, შერხეული ქარის თარეშით,
მაღლა იწევდა უკუნ ღამეში.

ეს ღამე იყო ბოლო ღამე — დაუბრუნებლად
წარსულში დანთქმულ მეცხრამეტე საუკუნისა...
უცებ ლენინმა გამოაღო ფანჯარა, ღამე
იწურებოდა, უკანასკნელს ითვლიდა წამებს
და ილვიძებდა განთიადთან ერთად მდინარე,
შორი ღრუბლები გაანათა მზემ შუქმფინარემ.
უბრუნდებოდნენ წეროები ტყეებს და ველებს,
თითქოს მოესმათ დედამიწის კვნესა ფრინველებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის გაჰყურებდა მძიმე ფრთების ზეცაში გაშლას;
ილიმებოდა — ეს პირველი იყო ღიმილი,
მშფოთვარ მეოცე საუკუნეს რომ უთხრა „ვაშა!“
1970 წ.

ღამით, სავსე მთვარის დროს, ქალაქ ჰიუეში დაბრუნებისას

სავსე მთვარის დროს გრძელდება ღამე,
შორიდან მოსჩანს ფიგურა შენი;
აყვავებული იისფერი მურტი ბორცვს შვენის...
ჰიუეს ეშხი შორსაა და იყუჩე, სევდავ.
თითქმის რვა წელი... რა გრძნობები, რა ღელვა მსდევდა...
ტხიატხიენი, კუანგბინი, კუანგჩი ალში!..
ისევ შევეწყვეთ ფრონტს, თავს ვგრძნობდით საკუთარ სახლში,
მაგრამ მელოდა საყვარელი ჰიუე ჩემი.
და აი, იგი ისევ მხვდება, ვით მწვანე გემი,
ისევ ის ხალხი, ის ხეები, ფოთლებშრიალა.
ილვრება ბადრი მთვარის შუქი, მე კი შიშს ვმალავ —
ამ სავსე მთვარით განათებულ ღამით რას იტყვი?
პირველ სიმღერებს ლხენით ხვდება ყვავილთ კვირტები,
ჩაყუჩებულა ღრმა მდინარე, თვლემენ ხიდები;
მთვარე ამგვარი, — მტრედისფერი — ჯერ არ მინახავს,
ჩვენმა ქალაქმა ის ხომ ჩვენთვის შემოინახა.
ენა ვერ იტყვის, მწარე გზებმა როგორ მაწამეს,
სადაც კი წაველ, შენი ტრფობის თან მახლდა ალი;
როს ჰიუედან მიდიოდი ,იყავ ფერმკრთალი,
როცა დაბრუნდი — სავსე მთვარით განათდა ღამე.
1975 წ.

ჩურჩულით ნათქვამი ჰანოის სიყვარული

1.

რა დამავიწყებს ბავშვობას, დედას,
მშობლიურ სკოლას, ტოტების შრიალს,
დილის ბინდბუნდში ტრამვაის წკრიალს!..
ყველაფერ ამას სიზმრად რომ ვხედავ —
შენაც იქა ხარ, სიკეთის მჩენი.

2.

ადრიან დილით, ხანაც გვიანად,
ჩვენს სიყვარულზე ქალაქი ჩვენი
ჩამჩურჩულებდა ალერსიანად.

3.

შემდეგ ცას გლეჯდა სვავთა გუნდები,
იყო ომი და ტყვიის წვიმები...
შენს ხელს ვეხები მე მოწიწებით,
როდესაც ღამის ცვლიდან ბრუნდები.

4.

აქ თრთოდა ჩემი ტრფობა ფარული,
აქ ჩავეხლართეთ ერთმანეთს ბედით;
მარად ჭაბუკი დარჩება ჩემთვის
ქალაქი თრთოლვის და სიყვარულის.

1972 წ.

ღამე თევზების მხარეში

ჯონკას ხელი ჰკრეს, ანელებს ტალღა,
ფრინველნი სტვენით ხაზავენ ზეცას,
თევზთა ბოლარი ახლოა, ალბათ...
აი, სარდალა გაბრწყინდა ვერცხლად.

მელანთევზებმა ზღვა ააქაფა,
აგერ, ლილისფრად გასხლტა ლანგუსტი...
ტალღებზე ფარფლთა სრიალით, სწრაფად
მიჰქრის მფრინავი თევზების გუნდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვის ზედაპირი ჰგავს ზეცას ღამით,
აციმციმებენ ჯონკები ფარნებს —
საგაზაფხულო თევზჭერის ჟამი
დამდგარა, მლაშე სუნი აქვს ქარებს.

მთვარის გზას არწევს თამაშით ტალღა
და ვარსკვლავებზე მიცურავს ჯონკა...
მებადურები არ გრძნობენ დაღლას,
ნიჩბები ზღვის წყალს რიტმულად ლოკავს.

მუქ და ღრმა წყლებთან მეგობრობს ღამე...
კაცს აჯადოებს სიმშვიდე ზეცის,
ისმის ჩქაფუნი ნიჩბის და ბადის,
ზღვის უფსკრულიდან ჯონკებში ვერცხლის
თევზთა ჩანჩქერი შხუილით ჩადის.

1974 წ.

მიზანი

რამდენი წელი ვოცნებობდი ბოლო მიზანზე!
იდგა სამოცდაცამეტი წლის შუადღე, როცა
ჯუნგლებში ციდან მზის სხივებმა ჩამოაღწია...
აღარ ისმოდა ხმა აფეთქების,
არც ტყვიამფრქვევთა ცივი კაკანი.
ცა იყო სუფთა, ისმოდა მხოლოდ
ჭიჭინობლების გაბმით ჭრიჭინი.

ამდენი პირქუშ და მრისხანე წლების მანძილზე
პირველად ჩავხტით სეკამანდის სუფთა ტალღებში,
შენიღბვა აღარ გვჭირდებოდა... ტყის პირას, მზეზე
შრებოდა ჩვენი მაისურები,
შრებოდა ჩვენი პირსახოცები.

შემდეგ ზოგ-ზოგი ველს დაუბრუნდა,
სხვები წავიდნენ ტეინგუენში,
ახალი გზების გასაკაფავად;
ზოგი კი მთაში — საბალახოთა
ნამსხვრევებისგან გასაწმენდავად.
მე კი, როდესაც მიველ საზღვართან, —
ლეოპარდების ტყავთა ადგილს რომ ეძახიან,
განვცვიფრდი, როცა დავინახე იქაც პირქუში
მავთულხლართების ცივი ღობურა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ თავბრუდამხვევ სამოცდათხუთმეტ
წელში, როს თითქმის არ ეძინათ ადამიანებს,
ჩვენ გრიგალივით გადვიქროლეთ საიგონამდე.
ათეულობით მოვიტოვეთ კილომეტრები,
იერიშით ავიღეთ დამოუკიდებლობის სასახლე
და ახალგაზრდა ჯარისკაცებს გადავეხვიეთ,
რომლებმაც ქუსლით გადაჟეგეს მავთულხლართები
და სილით სავსე მძიმე ტომრები,
მცხოვრებლებს მაგრად ჩამოვართვით ხელი,
სიხარულს

თან გარეოდა გულის ტკივილი,
ეჰ, ნახევარი ჩვენი ცხოვრების,
ჩვენ გავატარეთ განცალკევებით.
და გულითადი მასპინძლობის პირველ დღეებში
არვინ ფიქრობდა ბრინჯის ფასზე, არც სხვა რამეზე.

მხარზე შევისვი პატარა ბიჭი,
აღფრთოვანებით რომ მღეროდა ახალ სიმღერებს,
თუმცა ჯერ კარგად არ იცოდა სიმღერა, მაგრამ
მაინც მღეროდა გატაცებით და გულმოდგინედ,
რადგანაც იგი მელოდია იყო გულისა.

ორი თვის შემდეგ საიგონში, სექტემბრის ღამით,
წვიმის ხმაურში,
მე გავიგონე დამტარებელ ბიჭის ყვირილი.
ბამბუკის ორ ჯოხს ერთმანეთზე ურტყამდა იგი,
მთლად გაწუწული, სწორედ ის ბიჭი,
მხარზე რომ მეჯდა ორი თვის წინათ.
თავბრუ დამესხა... ჯერ ხომ მიზანი
შორსაა — ბრძოლაც უნდა გაგრძელდეს!
მომავალ წელს კი ტეინინეში,
ცოტა ხნის წინათ დამშვიდებით მდინარ ვამკოზე
სროლის მჭახე ხმა გაისმა ისევ.

ტიაუდოკეს ბაზრის გუმბათქვეშ
რძესავით შევსვი ქოქოსის წვენი.
არ გამქრალიყო სიტკბო პირში და...
მეხანათებმა ასტეხეს სროლა.

ჩვენი ცხოვრების გზა და ბილიკი
ქვეყნად როდია მოფენილი ია-ვარდებით;
ხოლო მიზანი საჩუქარი როდია ტკბილი,
ბავშვებისათვის მისართმევი დღესასწაულზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენი წელი ვოცნებობდი ბოლო მიზანზე
და ახლაც ისევ მასზე ვოცნებობ,
მაგრამ ერთი რამ ამსხვრევს ყველა დასაბუთებას,
რასაც ძნელად თუ წარმოვიდგენთ სიჭაბუკეში,
რომ ის მიზანი, რომელსაც ვხედავთ,
და ჯერ რომელსაც ვერ მივაღწიეთ,
ეს მხოლოდ გრძელი ესტაფეტის მონაკვეთია,
ეს მხოლოდ ერთი ტოტი არის შესართავისა,
სანამ მდინარე ზღვას შეერთვოდეს
და სადაც მისი შეჩერება არ შეიძლება.
მის მერეც, როცა მიზანს მიაღწევ,
ხედავ, მიზანი ისევ შორსაა,
რომ მას მრავალი გააჩნია ფერი, წახნაგი
და საჭიროა, რომ კვლავ ახალ სარბენ ბილიკზე
სტარტი აიღო და გზა განაგრძო...
მიზანი მხოლოდ გუშინდელი საფეხურია,
რომ ზედ დადგე და შემდეგ ისევ მაღლა ნახვიდე.

ქ. ხოშიმინი, 1977 წ.

□

ვასილი შუკშინი

აგანოსა და გოსტნის უფალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ

შაბათს, შებინდებისას, სახლის წინ სკამზე ორი კაცი იჯდა, ორი მეზობელი. ისხდნენ და ელოდნენ აბანოს გახურებას. ერთი მეორესთან მისულიყო დასაბანად, რადგან თავის აბანოს არემონტებდა. გააბოლეს, თბილოდა, სიჩუმე იდგა. სოფელში აბანოები გაეხურებინათ: ჰაერში ჩათ გამო მომწარო კვამლის სუნი იდგა.

— წელს წივის დატკეპნას არ აპირებ? — ჰკითხა დასაბანად მოსულმა, უფრო ახალგაზრდა, ხმელმა, ფართოყვრიმალიანმა შავგვრემანმა კაცმა.

— რა ოხრად მინდა, — უნდილად უპასუხა ხნით უფროსმა. იგი ქუჩისაკენ იყურებოდა, ოღონდ ისე, უგულისყუროდ, თითქოს რაღაცაზე ფიქრობსო. იქნებ რაღაც ახსენდებოდა.

— აღარ ვიცი, რა ვქნა. დავტკეპნო, არ დავტკეპნო...

— ჩამოაცურე შენც კუნძულიდან და ისა წვი.

— არ ვიცი, არ ვიცი... იქნება მართლა ჩამოვაცურო.

— რასაკვირველია.

— შენ ჩამოაცურებ?

— მე იქნება ნახშირი ვიყიდო, ვნახავთ, ვიფიქრებ.

— ჩამოვაცურებ ალბათ, თორე ამ წივის ტკეპნის თავი არა მაქვს.

იმან, უფროსი რომელიცაა, მშვიდმა, ზორზოხმა გლეხკაცმა პაპიროსის ნამწვი დააგდო და ფეხით გასრისა. კარგა ხანს დასცქეროდა ჩაფიქრებით მიწას, მერე თავი აიღო და...

— გინდა გითხრა, როგორ დამასაფლავებენ? — ოდნავ მოჭუტა ღიმილჩამდგარი თვალები.

— ეჰე! — გაუკვირდა გამხდარსა და შავგვრემანს, — ნეტა რა მოგაფირინდა?

— არა, გინდა?

— კი მაგრამ... რატო გადაწყვიტე, რომ მაინცდამაინც მოკვდე?

— არაფერიც არ გადამიწყვეტია. საიქიოში სულაც არ მეჩქარება. მაგრამ ის კი ზუსტად ვიცი, როგორც დამმარხავენ. მოგიყვე?

— დასწყევლოს ღმერთმა! ეგ რამ გაფიქრებინა, კაცო? — შეჰყვირა ხნით უმცროსმა.

— ჰოდა, ყური მიგდე. ეს ამბავი ასე იქნება. მოვკვდი, მაშასადამე. განმბანეს, ჩემო ბატონო, და ვწევარ ახლა წინა ოთახში, ვწევარ და მაქვს გულზე ხელები დაკრეფილი... — თან აჩვენა. მშვიდად ლაპარაკობდა. წვრილ, ჭკვიანურ თვალებში ეშმაკუნები უთამაშებდა. — ცოლი ტირის, ბალღებიც... ხალხი დგას. შენ, მაგალითად, დგახარ და ფიქრობ: „საინტერესოა, ნეტა ქელეხზე თუ დამიძახებენ?“

— რას როშავ, თუ იცი? — იწყინა შავგვრემანმა. — ეგ რა ლაპარაკია?

— ვხუმრობ, — დააშოშმინა უფროსმა და ისევ დინჯად განაგრძო: — შენ დგახარ და ფიქრობ: „ჯერ რა ჰქონდა სასიკვდილო კოლკას? ალბათ მეც როდესმე ასე...“

— ყველა ასე ფიქრობს ამ დროს...

— ცოლი მოთქვამდეს იქნება: „ჩვენო კარგო, ჩვენო საყვარელო, რო დაგვტოვე, ვის იმედად დაგვტოვე, ვის იმედად?! ჩვენო თვალისჩინო, ჩვენო შევარდენო...“ კაცს თავის დღეში ამისთანა სიტყვას არ გაღირსებენ, მაგრამ როგორც კი იქითკენ იზამ პირს, დაიწყებენ: „შევარდენოო“, „მტრედოო“... რატო ხდება ასე, ჰა?

— მაინც მიდის კაცი და ესეთი სიტყვები რატომ დაენანებათ?! ეგ კი არადა, „შენი ცაცუნებიო“, „შენი თათუნებიო“, „შენ რომ აქ დაცაცუნებდიო“. არადა, ორმოცდახუთი ნომერი ფეხით ცაცუნი როგორია!

— ეგ იმიტომ, რომა ამ დროს კაცი ებრალებათ. ვინც ებრალებათ, პატარა ეჩვენებათ, ასეა.

— მერე, მერე?

— მერე გამიდეს მხარზე და წამასვენეს სასაფლაოზე. ქალაქში სამოცმანეთად ორკესტრი იქირავეს. ჩემი დედაკაცი, ნუ გეშინია, არ დაიბნევა: ოცდაათ მანეთს თავის ფულს ჩამოვა, ოცდაათს კიდევ ჩემს ნათესავებს დაადებინებს. არადა, რა შავ ქვად მინდა ახლა ეგ შენი ორკესტრი? ხომ მაინც ვერაფერს გავიგონებ.

— ერთმანეთს აწონებს ხალხი თავს. ერთმა ორკესტრით დამარხა თავისი მკვდარი, მეორეც, იმის შემხედვარე, ასე მოიქცა. ეს ფული კი რომ ქელეხზე დაეხარჯათ, აჯობებდა...

— მეც მაგას არ ვამბობ: ხალხი ათას რამეზე ფიქრობს, შენ კი ისევ ქელეხი გიტრიალებს თავში. — უფროსმა გლეხკაცმა ხმადაბლა გაიცინა.

უფრო ახალგაზრდას არ გაუცინია.

— კი, მაგრამ სად ისა, რომ ხალხი დაჯდება, მიცვალებულს ჰიქას წაუქცევს და კეთილად მოიხსენიებს, და სად ის, რომ ორკესტრი უკან მიჰყვეს და ერთი რალაც აბრახუნოს! დიდი ამბავი, თუ აბრახუნა! აგერ, შენ თვითონ არ ამბობ, რა შავ ქვად მინდა მისი დაკვრაო?

— აქ მიცვალებულს კი არ ეხება საქმე, ცოცხლებს ეხება, გაიგე, ამათაც ხომ უნდათ აჩვენონ ქვეყანას, რომ... პატივს სცემდნენ მიცვალებულს, აფასებდნენ... ჰოდა, ფულიც არ ენანებათ...

— არ ენანებათ? აბა, დავიჯერო, შენს ცოლს სამოცი მანეთი არ უგდია?

— მერე რა, რო უგდია?

— აბა ორკესტრისთვის ოცდაათი მანეთი შენს ნათესავებს რატომ უნდა დააყაჭინოს? თუ ასე პატივს გცემს, თვითონ დადოს და ამით გათავდება საქმე. შენს ნათესავებს რას შესჩერებია ხელებში?

— მე ხომ ვერ ვიტყვი კუბოდან: „ქალო, სულ შენ გადმოსახდელი-მეთქი!“

— კუბოდან ვერ ვიტყვიო! ეგენი? ეგენი, ჯერ ცოცხალი რო ხარ, მაშინაც, რაც მოეპრიანებათ, იმას აკეთებენ. ძალაუფლება მივეცით! აგერ ჩემს გოგოს თვალი ასტკივდა და რაღაც წვეთები უნდა უსხან თვალში... ტირის, რასაკვირველია, როცა უსხამენ, სტკივა და იმიტომ ტირის, ჩემი სულელი დედაკაცი კი უყვირის, ერთი იმისთანა შევუტიე... შევუტიე და ეგრე არ გინდაო, ისეთი ხურდა დამიბრუნა! მე კი გულ-მუცელი მეწვება, როცა ჩემი გოგო ტირის. სულ ვერ ვიტან.

— კი მაგრამ, ჩაწვეთება ხომ საჭიროა.

— ჩაუწვეთე მერე, მაგრამ რო უყვირი, რას უყვირი? ისედაც სტკივა ბავშვს, შენ კი „ნუ ტირიხარ!“ უყვირი, იტირებს, აბა როგორ გინდა?

— ჰოო... — ნიკოლაის, უფროსს, სალაპარაკო აქვს აშლილი, უნდა ბოლომდე მოჰყვეს, თუ როგორ დამარხავენ. — ჰოდა, ყური მიგდე. მიმასვენეს საფლავთან, გაჭრილია უკვე...

— საფლავი ხომ მე უნდა გაგიჭრა. ყველას მე ვუჭრი.

— ალბათ...

— ეფიმ სტაროდუბოვსაც მე გავუჭერი... მარტო ერთი საფლავი კი არა, მეორეც გავუთხარე, გვერდით, მისი დედაბრისათვის. იმათ კი ქელეხზეც არ დამიძახეს. მთავარი რაა, მთავარი ისაა, რომ ჩემით ვითხოვე: საფლავს მე გავჭრი-მეთქი. მიყვარდა ბერიკაცი და იმიტომ. იმათ კი ქელეხზეც არ დამიძახეს, გესმის, ადამიანო?

— ეგენი ხომ, ეფიმის ქალ-ვაჟი, შორიდან ჩამოვიდნენ, იმათ რა იციან, ვინ გათხარა საფლავი, ვინ არ გათხარა...

— იმათ თუ არ იცოდნენ, აქაურებმა ვერავინ უთხრა? დედაბერმა ხომ იცოდა. არა, ეგენი ვინ ყოფილან! ორი მანეთი ჩამიდეს ჯიბეში... ვიფიქრე, შევუკურთხავ-მეთქი. მაგრამ, გლოვობს-მეთქი ხალხი და...

— ვინ ჩაგიდო ის ფული?

— ვინა და ეფიმის რომელიღაც დისშვილმა. ეგეც სადღაც ქალაქში ცხოვრობს. დაკრძალვის ამბებს ეგ თადარიგობდა. ერთი შენცა და შენს ორ მანეთსაც-მეთქი, ის აჯობებს, წავალ, ვიყიდი ერთ ბოთლ წითელ ღვინოს და ჩემთვის ვახსენებ მიცვალებულის სულს-მეთქი. ბერიკაცს პატივს ვცემდი...

— მერე ,რა ქენი? აიღე ის ორი მანეთი და წადი და იყიდე...

— მე ხომ ფულისთვის არ გამითხრია ის საფლავი! გეუბნები: მოხუცს პატივს ვცემდი-მეთქი. ერთხელ მე და ეგა ერთად ვიხრჩობოდით. კოლმეურნეობის ძროხებს ვაძოვებდი, მაგან კიდევ თავისი ორი დეკეული მორეკა. გადავწყვიტეთ, ნახირი კუნძულზე გადაგვედენა. იქ მაღალი ბალახია და არც ცხელა. მოვდენით ნახირს და მისი დეკეული წყალმა არ წააქცია! ეგა მიჰყვა დეკეულს, იცოცხლე, წყალი ყლაპა და ყლაპა! ბერიკაცი, როგორც იყო, ამოვიყვანე, დეკეული კი წყალმა ხვინჩაზე ააგდო. მოხუცმა იმდენი ნაყლაპი წყალი, როგორც იქნა, გად-

მოღვარა და ვედრება დამიწყო: მეო არაფერი მიჭირსო, თუ კაცი ხარ, დეკეული გადამირჩინე როგორმეო...

— გადაარჩინეთ? დეკეულზე გეკითხები.

— გადავარჩინეთ, კაი ბერიკაცი იყო, კეთილი. მებრალება, ღმერთმანი.

— მე იმას ახლო არ ვიცნობდი. ცნობით კი ვიცნობდი, მაგრამ... ისე, დიდხანს იავადმყოფა?

— არა, ჯერ ფეხები წაერთვა, საავადმყოფოში წაიყვანეს, იმან კი იუხერხულა, როცა გაავლა დააჭირდებოდა, სულ მომვლელისთვის რომ უნდა ეთხოვა... აიჩემა: „სახლში წამიყვანეთ, იქ მოვკვდებიო“. ეგეც ინტელიგენტი არ გამიჩნდა? — მომვლელისა შერცხვა, მომვლელი კი ამაში ფულს იღებს, ხელფასს ამისთვის აძლევენ.

— ისე კი არაა მთლად ადვილი საქმე, შენი ის რომ ყოველთვის სხვამ გაიტანოს...

— აბა ახლა ხომ ხედავ? ეგ ხომ ისედაც ცდილობდა ცოტა ეჭამა, უფრო რძეზე გადადიოდა... მაგრამ მაინც ხომ ცოცხალი იყო, ასე თუ ისე, ახლა კი რა!

— ჰო, ეგ მართალია.

— წოლილიყო ცოტა ხანსაც იმ საავადმყოფოში, იცოცხლებდა კიდევ...

— უორკესტროდ დაასაფლავეს?

— ორკესტრი არა, ისეთი ქვაწვია ხალხია... შვილი ინჟინრად მუშაობს, ხომ შეეძლო, რო... მაგრამ ყოველ კაპიკს დაკანკალებს.

— ისე, რომ ვთქვათ, რა ოხრად უნდოდა ბერიკაცს ის შენი ორკესტრი? — იკითხა აბანოს პატრონმა.

— შენ კი?

— რა მე?

— შენ კი გინდა?

— არც მე მინდა.

— არავისაც არ უნდა, მაგრამ მაინც ორკესტრებით მარხავენ ხალხს. მიცვალებული ხომ არ უკვეთავს. ჭირისუფალი უკვეთავსო, შენ არა თქვი? მამა რო ყვარებოდათ, დაუკვეთავდნენ კიდეც. მაგრამ, რა გინდა, რა, ხარბი ხალხია.

— ხარბი კი არა, მომჭირნე... — შეუსწორა აბანოს პატრონმა.

იმან შემოხედა და... მიგიხვდიო, თავი დაუქნია.

— ჰოდა, შენც ეგრე თქვი შენს თავზე: ხარბი კი არა, მომჭირნე ვარ-თქო. თორე — „ორკესტრი არ მინდა, მაინც ვერაფერს გავიგონებო“. ეგრევე თქვი: ფული მენანება-თქო. მიკიბ-მოკიბვა რა საჭიროა! მე ხომ თქვენ კარგად გიცნობთ — რაც შენა ხარ, კლანკაც ისაა — ხარი ხართან დააბიო... თქვენ კაცი ზამთარში თოვლს ვერ დაგტყუებთ...

აბანოს პატრონი ამის გაგონებაზე გაიტრუნა. ყბები შეუტოკდა, ხმადაბლა, ბოლმიანად თქვა:

— იოლად გადიხარ შენა, ივან, იოლად. აბანო დაგენგრა, და ბევრი არ გიფიქრია, ეგრევე მომადექი. მე, მე მოვკვდებოდი და ფეხსაც არავისთან მივდგამდი, ვიდრე ჩემსას არ შევაკეთებდი... დაბორიალობ სოფელში კარდაკარ და აგინებ ხალხს: ეს ხარბიაო, ის ხარბიაო. რომელი ხარბი მე მნახე: შენ მოხვედი ჩემთან დასაბანად და მეც ხომ სიტყვა არ

მითქვამს: მოდი, ძმაო, იბანავე. ჰოდა, მაინც მე ვარ ხარბი?! დაეჩვია ხალხი სხვის ხარჯზე ცხოვრებას...

ივანმა „პამირის" კოლოფი დააძრო, გააბოლა. თავის ფიქრებს გაუღიმა, თავი გადააქნ-გადმოაქნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, ხომ ხედავ, რაცა ხარ, ვერა მალავ, აბანო დაგვენგრა.

— აბანო კი არ დამენანა... შენი უნდა შეაკეთო, რაო, სულ ეგრე უნდა იაროთ სხვის აბანოებში?

— შენ ხომ იცი, ახლა რო ყავრის ფული არა მაქვს.

— როდის რა გქონდა ნეტა? არც როდის გქონია რამე. სხვებს რო აქვთ, საიდანა აქვთ, რატო არ ფიქრობთ? იმიტომ, რომ იზოგავენ, კაპიკ-კაპიკ აგროვებენ. შენა კი ორიოდე გროში გამოგიჩნდება თუ არა, მაშინვე გინდა მიახარჯო სადღაც. ბაიანი უყიდა ბიჭმა შვილს! ჰმ.

— რა არის ამაში ცუდი? დაუკრას ბავშვმა.

— აი, ხომ ხედავ, შენ ხალხს თვალში ნაცარი გინდა შეაყარო, მე კი შენ აბანო უნდა გავიხურო. ბაიანის საყიდლად ფული გამონახა, ყავარზე კი — კაპიკიც არა აქვს...

— ჰოო!.. ფუი! კულაკო, ეგ შენი აბანო დაგეწვას და დაგეხრუკოს! არ მჭირდება, არა! — ივანი წამოდგა. — ოღონდ აი, რა მინდა გითხრა: ეგ შვილები რო დაგეზრდებიან, მადლობას არ გეტყვიან. მე კი ვიცხოვრებ ასე სიღარიბეში, მაგრამ ჩემს შვილებს ვასწავლი და ხალხში გამოვიყვან... გაიგე?

„კულაკი" არ განძრეულა, ეს იყო, თავი დაუკანტურა, თითქოს დაუდასტურაო: გასაგებია, რაც ბრძანე, გავიგონე და, ასე ვთქვათ, ცნობად მივიღეო.

— შენი პეტკა უკვე გამოდის ხალხში. ოღონდ ჯერჯერობით სხვის ბოსტნებში დადის.

— რაო, რაო?

— რაო და ჩემი ბოსტნის სტაფილო მოსდის თვალში...

— ტყუი, ხომ ვიცი, — არ დაიჯერა ივანმა.

— ვტყუი და იმას ჰკითხე. ისიცა ჰკითხე: ის წკეპლა როგორი იყო-თქო? მოეწონა, ხომ? უთხარი: ახლა წკეპლა მოგხვდა, სხვა დროს მათრახით აგიწვავ ზურგს-თქო... — აბანოს პატრონმა ქვემოდან ავბოროტად ამოხედა ფეხზე მდგარ ივანს. — თორემ ვხედავ, თქვენ ძირითადად სხვის ხარჯზე ხართ ასე ქეთილები. სხვისი ჰაკი ტლინკებს იქვრევინება-თქო, ასევე გადაეცი იმ შენს მებაიანეს.

აბანოს და ბოსტნის უფალის ასეთი ავბოროტული შემოხედვით გაოგნებული ივანი ერთხანს დუმდა.

— ჰოო! — თქვა. — ასეთი კაცია, ორიოდე თავი სტაფილოსათვის მართლა დაგახეიბრებს.

— შენი უნდა გქონდეს, გაიგე, ჩემები ბაიანზე არ უკრავენ, მაგრამ სხვის ბოსტანშიც არ ძვრებიან.

— ბალღობაში შენ არ გადასულხარ სხვის ბოსტანში?

— არა. არც ჩემთვის უსწავლებია მამაჩემს ბაიანზე დაკვრა, ქურდობისთვის კი ხელებს მამტვრევდა.

— ეს რა მხეცები ყოფილან, ღმერთო ჩემო!

— მხეცები ვართ თუ არა ვართ, იმ შენს ბიჭს უთხარი: მათრახი მზადა

აქვს-თქო, ისეთ დღეს დავაყრი, ფეხზე ვერ წამოდგეს. მერე სადაც გინდა მიჩივლე.

— ფუი! — ივანი გამოტრიალდა და შინისკენ გამოსწია. კაი ვერსიანი გზა რომ გამოიარა, შემობრუნდა და ხმამაღლა გამოსძახა — აი, შენ კი არც საფლავს გაგითხრი და არც ჭიქას წაგიქცევ...

ეროვნული

აბანოსა და ბოსტნის უფალი მეზობელს მშვიდი, მაჩიზლიანი თვალებით გასცქეროდა, ეტყობა, ფიქრობდა, უფრო მაგარი რა ვუთხრაო, მერე მიაძახა:

— მოხვალ. ჩემს ქელეხზე ხომ სასმელს ჩამოდგამენ... როგორ არ მოხვალ... ოღონდ დაგიძახონ და ისე კარგად მოხვალ...

— არ მოვალ! — დინჯად დაემუქრა ივანი.

— ჯერ ერთი, საიდან მოიტანე, თითქო სიკვდილს ვაპირებ, შენზე მეტს ვიცოცხლებ, ვანია ჩემო, დარდი ნუ გაქ.

— შე კულაკო, შენა.

— წადი, წადი და მუსიკას უსმინე. აი, იმ ვალსს — „ფული რად არ მაბადია“ რომაა.

აბანოსა და ბოსტნის უფალმა გაიცინა. ნამწვი დააგდო, წამოდგა და თავისი ღობისკენ წავიდა.

□

თანამედროვე უკრაინული პოეზიიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უკრაინულიდან თარგმნა რაულ ჩილაჩავამ

ფესვები იბერიული მიზიდულობისა

უკრაინულ პოეზიაში ქართული თემა სათავეს ტარას შევჩენკოს განთქმულ პოემა „კავკასიდან" იღებს. წინამდებარე ლექსებშიც ქართველთა და უკრაინელთა სულიერი ძმობის მდიდარი ტრადიცია ჩანს.

ცარიზმის მიერ კავკასიაში გადმოსახლებული უკრაინელი პოეტი ალექსანდრე ნავროცკი ხელს ჰკიდებს „ვეფხისტყაოსნის" თარგმნას; ციმბირის კატორღაში მშობლიურ ენაზე ახმიანებს ილია ჭავჭავაძის ლექსებს პავლო გრაბოვსკი; მიკოლა ბაჟანის ვარაუდით „მერანი" პირველად უთარგმნია და გამოუქვეყნებია ლესია უკრაინკას; ასი წლის წინათ ნიკო ლომოური სათავეს უდებს ქართულ შევჩენკოიანას; აკაკი წერეთელი საჯაროდ მუხლს იყრის შევჩენკოს ბიუსტის წინაშე — იგივე ლესია უკრაინკა იტყვის დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილ ფრაზას, — უკრაინელი რომ არ ვიყო, ქართველობას ვინატრებდიო, და ამით კიდევ უფრო გააღრმავებს ორი ერის ურთიერთსიმპათიას.

საბჭოურმა ეპოქამ დასაბამი მისცა არნახულ ინტერნაციონალურ ურთიერთობებს და ეს მკაფიოდ გამომჟღავნდა ლიტერატურაშიც.

„როდესაც ვწერ ჩემთვის ძალზე ძვირფას ლექსებს საქართველოზე, არასოდეს არ წარმოვიდგენ ხოლმე თქვენს ქვეყანას „საერთოდ", ყოველთვის თვალებში ჩავცქერი მასწავლებლებსა და მეგობრებს. საქართველო მე დიდი ხანია მესაუბრება გამსახურდიას, ლეონიძის, ჩიქოვანის ქმნილებებით .მე ჯერ კიდევ არ მენახა ეს ბუმბერაზები, მაგრამ მე მათ მასწავლეს საქართველოს სიყვარული. 1964 წელს მიკოლა ბაჟანმა მიმიყვანა სიმონ ჩიქოვანისა და გიორგი ლეონიძის ოჯახებში. ჩვენ ვმოგზაურობდით საქართველოში და ყველაზე გამოჩენილი უკრაინელი ქართველოლოგი მიკოლა ბაჟანი მიკითხავდა თავის თარგმანებს, ასე ძალუმად რომ ჟღერდნენ იმ მიწაზე", — ამბობს პოეტი ვიტალი კოროტიჩი.

მე არ შემეძლო მღელვარების გარეშე მეთარგმნა ეს ლექსები, მით უმეტეს, რომ შთაბეჭდილებები და განწყობილებანი, რომლებიც მათ უდევთ საფუძვლად, ეხმიანებიან ჩემს პირად შთაბეჭდილებებსა და განწყობილებებსაც.

აქ წარმოდგენილ ყველა ავტორს გულწრფელად, მე ვიტყოდი: მგზნებარედ უყვარს საქართველო, მისი ერი და კულტურა, იბერიულ მიზიდულობასაც ფესვები სწორედ სიყვარულში უდგას.

მთარგმნელისაგან.

მიკოლა ბაჟანი

ზედაზენზე ასვლა

ირაკლი აბაშიძეს

შენ მიდიოდი ზედაზნის ტყეში
და სალამური გეჭირა ნედლი.
ედოთ მდუმარე მონასტრის კედლებს
შემოდგომური ფერები მრეში.

გამოვიხურეთ ბჭენი დრო-ჟამის
და სალამურის ჰანგები ნაზი
გალავნის შიგნით, საფლავის ქვაზე,
მსუბუქად გაწვა, როგორც შროშანი.

მთის ეკლესიას, სადაც განგების
ნებით არ გაჩნდა საძვალე ერთი,
თავს გადაევლო მწველი ჰანგები,
ვით შევარდნების გუნდები თეთრი.

ალმართა კვერთხი, ქვისგან გათლილი,
წახნაგოვანმა გუმბათმა ტაძრის.
ტყემ და ქარებმა სიმღერა დაძრეს
და თავს დაგვადგა ლექსის ნათელი.

ხოტბას ასხამდა სიმღერა იგი,
კაცთა სიქველეს, მზეს და ბუნებას.
ბგერებით წნავდა დიდების გვირგვინს
უძველეს ენის ალუღუნება.

ის ენა, მწუხარ ხმად დარხეული,
ხოროლისპირა ქოხშიც გაისმა,
როცა დავითის ბერი სხეული
საიმსოფლიოდ იხმო დაისმა.

მაშინაც სწორედ აგვისტო იდგა,
მაშინაც ასე ჰქროდა ნიავი...
და სალამური ტიროდა დიდხანს
გურამიშვილის ბედის სიავეს.

დავითს, არაგვის წარმტაც სანახებს,
კარებზე მომდგარ ქუხილს და ელვას,
უძლეველი სულის ძრთოლვა და ლელვა
და ზედაზენის ცა დამანახე.

ეს იყო ოცდაცხრამეტი წელი.
მალე სალამურს შენ ლექსზე გაცვლი,
რათა ალბეჭდო დღეები მკაცრი,
რომლებმაც სძლიეს სიკვდილის ცელი.

შენ ასეთი ხარ — მედგარიც, ლბილიც,
ლაღიც, მწუხარეც, თვალსხივოსანიც,
ძმური ოჯახის რჩეული შვილი
და საქართველოს ბრძენი მგოსანი.

დმიტრო პავლიჩკო

ქართული სიმღერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვის სამყაროს ნისლში, უფსკრულებში აწ გარდასულ დღეთა,
ჩანს გრანიტი თლილი, ცვარ-ნამივით მოციმციმე წვეთად.
ვით სატაძრო გუნდში, დგახარ მთაზე. შენ სად იდგე, იცი.
ჩემს წარმავალ თვალებს ატკბობ მზერით წარუვალ სივრცის.
მესმის, მესმის შენი, ცისქვეშეთში გამოვიცნობ მარად
ვერცხლისფერად მბზინავ მტკვარს, ალაზანს, რიონსა და არაგვს.

შენ ჩერდები ზღვართან, სად მრავალი ცოდვაა და ბრალი,
სადაც სევდა გაწვა, ვით კოლხეთის თავთავები მზრალი.
მე კლდე-ქალაქს კუსმენ, რომელია — სიზმარი თუ ცხადი!
მესმის ჩქარი შორით, — ვარსკვლავებზე რუსთაველი დადის.
მერნის ქროლვას ვუმზერ — მთელ სამყაროს ვერ გადუფრენს განა?
კავკასია ელავს, ვით შევჩენკოს ჭრილობაში დანა.
დგას პრომეთე ლაღად — ბორკილაყრილს დასდგომია ლხინი;
ორთავიან არწივს დაეწია ნიაღვარი რკინის.
მეწამული თოვლით, რომლისთვისაც უცნობია დნობა,
მწვერვალები ხმობენ — ქართველები უმღერიან ძმობას.
ეს ახალი ყოფის სიწმინდეა და სინათლე სრული,
მზის მარადი ფარჩა, გამჭვირვალე სამოსელი სულის.
ალამია ნორჩი, ვარსკვლავსიტყვის გუმბათია დიდი,
ელვა არის ცრემლის, რომ აანთებს თვით მკვდრადშობილ სინდისს.
მე ჩემი მაქვს ჰანგი, თუმც შენსაზეც ჩემი რომ ვთქვა, ვბედავ.
და მე გეტყვი ასე: — განმწმინდე და განმანათლე, დედა!
შემატოლე მწვერვალს, მოკიაფე სხივით მომეფერე,
მიწყალობე ძალა, ერს რომ ქმნის და აახლოებს ერებს.

მიკოლა ნაგნიბედა

ო, საქართველოვ! სულისთვის მარად
ქართველი ძმაა, უტკბესი ძმაზე...
ცისფერ ქუხილით მდინარენი მოჰქრიან ბარად
და ცით ავსებენ დაბლობთა თასებს.

შესვი მწვერვალთა ცინცხალი წვენი, —
მალამო ირმის, არწივის, ზვარის.
მისით უძლებენ ცხელ ქალაქს ხენი,
იგი ჩვილ ყრმათა განმბანიც არის.

მდინარის ქროლვას ხიფათი ახლავს —
დასძარ ასი კლდე, ტალღები ლვენთე.

ნუ გაგაშავებს წუთითაც დაღლა,
იშვი, იმღერე, მტრედისფრად ენთე.

ვინ დალევს, თუკი შავია წყალი,
ძმა არ მოგაწვდის შავ წყალს ფიალით,
იყავი წმინდა, ვით ცეცხლის ალი,
ვით ქართლისადმი ჩემი ტრფიალი.

ო, უმძიმესო გზაო დინების,
სამაგალითოდ ეგულვი მგოსანს.
ზათქით, ზრიალით ლეწე ტინები
და წმინდა იყავ სიკვდილის დროსაც.

ივან დრაჩი

ივერიული მიზიდულობა

ურმის ჭრიალით აქ ვერასდროს ველარ ჩამოხვალ,
ვერც მარდ ბედაურს მოაჭენებ მათრახის ცემით.
მატარებელი ორ დღე-ღამეს
უნდება გზაში,
თვითმფრინავი ორ საათს მხოლოდ.
ყველაფრისათვის გულმა უნდა გაიღოს ხარკი —
სუპერბგერითი სიჩქარისათვის,
მიწის უსაზღვრო სიყვარულისთვის,
რომელიც არსად არ მოგასვენებს,
რომელიც გიზის ძვალსა და რბილში,
გწვავს, გფერფლავს, გადნობს
ვულკანის ფსკერზე
შემორჩენილი ბოლო ფერფლივით.
წნევამ უწია 230-ს,
და როგორც პეპელას ამოსუნთქვა,
სუსტია მაჯა,
ხუმრობით ცდილობს თავდაცვას კაცი.
შავგვრემანი ქართველი გოგო აოკებს ინფარქტს.
გაოცებული თვალები ხმობენ:
— ნუთუ ეს მართლა ბაჟანია?
თბილისის თავზე ჭექა-ქუხილი
მიაჯირითებს დაჭედილ ცხენებს.
პროფესორს ელვას უგავს წარბები.
მისებრ გვიყვარდეს ყველას იგი —
ქართული მიწა.

ვიტალი კოროტიჩი

მხიარული პურობა

ნოდარ დუმბაძეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველებს შეუძლიათ იყონ მხიარულნი...
ჩვენ კარლო კალაძე გვიკითხავს ლექსებს,
იგი გვიყვება საქართველოზე
და სადღეგრძელოებს ამბობს გასაოცარს.
დაულევლობა მათი არ იქნება,
მაგრამ დალევაც სცადე თუ კაცი ხარ.
გლეხები მღერიან ტაბიძის სიმღერებს,
ტიციან ტაბიძის მხიარულ სიმღერებს,
რომელსაც შეეძლო გულით მოელხინა,
მაშინაც, როდესაც სევდა აწვებოდა.
ჩვენ კარლო კალაძე გვიკითხავს ლექსებს
და ამბავს გვიყვება მხიარულ ბიჭების,
რომლებმაც ოდესღაც დაიცვეს თბილისი
და მის გალავანთან დაეცნენ თვითონაც.
ბიჭები ყოფილან ძალიან მხიარული,
მაგრამ ღირსეულად სიკვდილი შესძლებიათ...
იცინეთ უფრო ხშირად!
ნუ გაკრთობთ ღიმილი!
ნამდვილ მამაკაცებს ტირილი არ ძალუძთ.
დალიეთ ღვინო და იცეკვეთ, ილხინეთ!
მაგრამ როდესაც იცინით — გესმოდეთ...
მაგრამ როდესაც წრეს უვლით — გესმოდეთ...
ეს ჩემი თხოვნაა, გესმოდეთ: თქვენს წელზე
რა ჩუმად წკრიალებს პირბასრი ხანჯალი.

შუა საუკუნეთა ბრძოლის ველზე

მე შენ ყველაფერს ვერასოდეს ვერ მოგიყვები.
ფლოქვებდასისხლულ ტაიჭებით
წლები გაჭენდა.
გაყინულია მალემსრბოლთა
ყელში სიტყვები, —
წვანან უსულოდ.
რა თილისმამ გადაარჩენდათ.
გაჩეხილ შუბლებს
მეწამული ეცემა ცვარი.
არც რამე მესმის. არც რამ ვიცი.
ვილაცის ნებით

კვლავ მიბრუნდება გარდასული გლოვა და ზარი
და სდუმან ჩემში
შემზარავი უჟმური ხმები.
ხსოვნა მტკვარივით
მობუტბუტებს...
რას გეტყვის მტკვარი!..
დაღუპულ გმირებს
ფერი ადევთ
გადამტყდარ ხმლების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატალია კაშჩუკი

ჯ ვ ა რ ი

შებინდებისას, შუადღით, დილით, —
ჯვარზე ყოველთვის შემოგვაცილებს
ათასწლოვანი დაღლილი ჩრდილი
ქალის, რომელმაც გზა და მანძილი
ჩააგდო არად, კლდე-ღრე იარა,
ფეხდასისხლულმა გადავლო მთები
და ქართულ ცისქვეშ ვაზი ხვიარა
ატარა სუსტი ქალური მხრებით,
ისე, ვით ტრფობა, სათუთი, ნაზი,
ატარა, როგორც მდედრს შეჰფეროდა.
აჩეხე! — მაინც იხარებს ვაზი
და მინა მკვდრეთით აღმდგარ ღეროდან
მზისფერ მტევანში ჩაწურავს ტკივილს,
რომ გვაბრუებდეს უფრო ყურძენი.
კაჟიან გზაზე გრიგალი კივის,
გავუძლებ, დღემდე თუ გავუძელი.
ჰა, ჩემი ვაზიც! ის ჭიგოს ეძებს,
და შენ, ძვირფასო, ნუ გავიწყდება,
ასხეპილ ვაზზე და დაღვრილ ცრემლზე —
უფრო გამძლისი ყლორტი იზრდება.

□

თანამედროვე ბერძნული პოეზიიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ემზარ კვიტაიშვილმა

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია გამოსაცემად ამზადებს თანამედროვე ბერძენი პოეტების კრებულს.

გთავაზობთ რამდენიმე ლექსს ამ კრებულიდან.

ანდრეას ანგელაკისი

ტრასივულოსის ქუჩა

ჩემი ცხოვრება მოჩვენებას დაემგვანა ამ საწოლზე,
რამდენი სხეულის ძველმანია გამოკრული
მისსავე საბანში. რამდენი სახელი, რამდენი ნისლი,
რამდენი გაუძლისი მწუხარება.
კედლებიდან ბათქაში ცვივა,
იმზირება ჭუჭრუტანების თვალი,
დასახიჩრებული, დაგუდული ხმები
და წლებიც — ალბათ ექვსამდე — ამგვარივე,
ონკანი, დალორწილი საპონი, კიბესთან —
ნაგავი, ცარიელი ბოთლები, წინდაწინვე გამომშრალი,
თითქოს ხალათები, გახურებულ ტანზე გადასაცმელი,
სარკე, წლების კვალდაკვალ დაბზარული,
ალაგ-ალაგ შეწებებული. სახე შენი.
დაბერა ზენა ქარმა. წვიმა დასთქრიალებს
თუნუქის ქილაში ჩარგულ გერანს, სახლის უკან,
არ გაგონდება?
რკინის კიბეზე გადმომდგარი მსუქანი დიასახლისი,
წირვის გათავებისთანავე ბინის ქირას რომ ითხოვდა,
ეკლესიის მოპირდაპირე ფანჯრიდან მზირალი მღვდლის
თვალები,
ჯოჯოხეთის ალს რომ მახსენებდა,
პოლიციელად გადაცმული ეშმა
სიგარეტს უკიდებდა, საეჭვო, დამუქრებული,

რევოლვერს მიმიზნებდა გულში,
ფულის წართმევას, ყელის გამოღადვრას მიპირებდა.
როგორც იქნა, გადაიღო წვიმამ. რამდენი რამ მოხდა
მას მერე, რაც შენ წახვედი.
შენი სახის ნამსხვრევებს ვაგროვებ
ყოველი შემთხვევითი სახისგან, როგორც ზღაპარში,
მეფე აგროვებს თავისი დაფლეთილი შვილის ნაწილებს.
ზამთარიც დადგა, მუსკატი. მაღლა ფელამუშს ადუღებენ,
„ამ ერთი მუჭა კორკოტს ყველა მსურველს
როგორ ამყოფინებენ", ბუზღუნებს მნათე.
„წუხელ თქვენ კვლავ ღია დაგრჩათ კარი,
ვიღაც შავხალათიანმა დააკაკუნა,
ასე, რვა იქნებოდა,
გაფრთხილდით,
ნარკომანები, ძებნილები, უსახლკაროები,
თქვენ იოლად შეგიპყრობენ.

(უეცრად ჟასმინმა გამაბრუა, შევკრთი, სად იქნები ახლა?)
მე ვთქვი, რომ დაგეძებდით, ამას ელოდებოდით, მკითხა,
თქვენი ნაცნობია?"
„დიახ", ვუპასუხე, „ამას ველოდებოდი, სიკვდილს".
„კმარა ოხუნჯობა, ყმაწვილო,
ჯოხით მისდექით მაგას,
თავად მიასიკვდილეთ, სანამ უფრო სათნო არ გახდება".
მას შენც ახსოვხარ, მაგრამ შენზე იგი არ ოხრავს,
მე ირიბად მიმზერს და გერანს ჭრის,
შენს ჯავრს მაინც ვიყრი, ტყის ნადირო, —
ვხურავ მოფამფალებულ კარს
და მე დაუნანებლად ვძიძგნი შენი ტანის ხორცს,
ასე კატა ბდღვნის საკუთარ კნუტებს სამრეცხაოში.

კოსტას გარიდისი

აუცილებლობა

როცა იქნება, დაგვიდგება დღე შეჯამების. —
იქ გამოჩნდება, რა მივიღეთ, რა გაგვიცია.

დავდგათ სასწორი, მისხალ-მისხალ რომ აიწონოს —
ცოდვა და მადლი, ყოველივე ნამოქმედარი.

გავზომოთ ჯაფა, სხეულს ჩვენსას რაც დადგომია,
ან ის სიტყვები, ჩაქუჩებად რომ გადაიქცნენ
და მთელი ღამე ჩვენს ფანჯრებზე გააქვთ ხათქუნი.

მარტოდმარტონი ვრჩებით ბოლოს დროის ქურასთან,
თავის ამარა, არვინაა ჩვენი მშველელი.

ცეცხლის ხახასთან პირისპირ ვდგავართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ დავთვალოთ —
ქმედებანი და უქმად ყოფნა,
სიტყვანი და მდუმარებანი.

და ასე შემდეგ

ეს იყო წამი, მე რომ შევტორტმანდი
და ხელი გავიწოდე, არვინ კაცთაგანი
არ შემშველებია, ისე შემომხედეს,
მიცქერდნენ მხოლოდ, როგორ ვიქცეოდი.

იცოდე: — ის ხრამი უძირო იყო,
როგორც თვით ცხოვრება,
როგორც მწუხარება, სხვა მწუხარებას
ხელი რომ გაუწოდა, იმ სხვამ — კიდევ სხვას
და ასე შემდეგ.

გიორგოს გერალისი

ქალიშვილი ზღვის ნაპირას

შენი სიმღერის ხმაზე იფოფრება ზღვა,
ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს მაღლა, კარიბჭევ დღისა,
ვერცხლის ფოჩით ძილი რომ დაუამოს მას,
ღრმა ამოფშვენა უძღვნას მის გვიან გამოღვიძებას,
რათა ოქროსწამწამებიანს სიყვარულმა ძალა შემატოს,
ზღვაურის ფრთამ გაუწეწოს თმა
და ყურში უთხრას, რომ დღის თვალებში ნუ ჩაიხედავს,
ხოლო თუ არ დაიშალა, მზეს მაინც ნუ დააკვირდება სახეზე.

შენს ცეკვაზე ილება სარკმელი
და დღე ამბორს არიგებს ნეტარ ზმანებაში.
ცალ ფრთას გზავნის ახალ-ახალი ტალღების წამოსაშლელად
და ორ მუჭა თვალ-მარგალიტს უყრის სამხრეთის
ახლადფეხადგმულ ქარს.
ერთ კალთა მიხაკს აბერტყავს ლამიან სანაპიროს,
რომ გვერდით ჩავლილმა ღრუბელმა დაფერფლოს მისი გული.

ქაფმორეულ ზღვას ურჩევს დღე — თვალებში არ ჩახედო მას,
ხოლო თუ ჩახედე, სამოგზაუროდ მაინც ნუღარ წახვალ მეტად.

შენი თვალები ორი ფრინველია უცხო მხრის ქარში,
მტანჯველი უცხოობიდან დაბრუნების ქარში.
შენი თვალები ორი ხმაა, ნიჟარების ყელიდან ამომავალი,
ნაპირზე მომდგარ, დაქანცულ ხომალდებზე რომ მიამბობენ.
შენი თვალები ორი გუზგუზა ალია ბავშვური ნაღველის,
იალქნებისაკენ, ოფლის დასაღვრელად რომ მეზიდებიან.
შენი თვალები უწყალო ნგრევის ელვაა ორი,
ჩემდა გასახარად, ნუგეშად რომ ჰყვავის იმედის ცაზე.

ოლიმპია

ჩვენ აქ კვლავ დავბრუნდებით, თითო-თითოდ.
ისე ფრთხილად შევეხებით ქვებსა და ხსოვნას,
როგორც ჩურჩული გადაუვლის ძილში
უმშვენიერეს ბავშვთა სიზმრებს. ჩვენ აქ
მუდამ დავბრუნდებით. ზოგჯერ
ვნებათაგან განწმენდილი თვალებით,
მარადისობას რომ ვუსახსოვრეთ. ბაგეებით,
ქვეყნიერების ღიმილს რომ მორკალავს.
რა შეუმჩნევლადაც ალფეოსი* მიედინება
დროის ჩუმ შრიალში —
ჩვენც ისე გავჟონავთ სიყვარულში.
გვჯერა, აქ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს.

მწუხარებასავით მშვენიერი

არ მინდა მას ვუწოდო ვარდი და შუქურვარსკვლავი, არც შროშანა და ხოშკაკალა.

იგი ისეთივე მშვენიერი იყო, როგორც მოწყენა ცვალებად ამინდში,
როგორც იმ ერთი ჩიტის მზერა, შენს ხელისგულს რომ შერჩა.
როცა კი ვკოცნიდი, მუდამ ეძინა.
მხოლოდ ერთადერთხელ აახამხამა თვალები,
რათა ენიშნებინა ჩემთვის, ვმოგზაურობო.
როცა იცინოდა, თაკარა ზაფხულში,
მუდამ სადღაც იმზირებოდა. ერთხელ სულ სხვანაირი
სახე გამომიჩინა. ჩემი პირველი ცხოვრებისა.

* ალფეოსი — მდინარე სამხრეთ საბერძნეთში — პელეპონესში.

მახსოვს, მეხსომება უკანასკნელ მზის ჩასვლამდე.
მერე, რაც უფრო ღრმად და ღრმად ჩამხედავს თვალებში,
მე მას დავივიწყებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინას დიმაკისი

წარსული

ეტრუსკელი დიდებულის საფლავი.
გათხარეს იგი,
ათასწლეულების მიწა ზედ ეყარა.
ეტლი, მოკაზმული, დგას ბორბლებიანა,
ჰა, ძვლებიც ამ ეტლში შებმულ ბედაურთა,
მის ცხედარს ზღვა ხალხში რომ მოასვენებდნენ.
მეფური ღირსებით რომ დაემარხათ,
ნელსაცხებლებში გაბანეს ქალებმა,
უნატიფესი ჩამოაცვეს მუზარადი,
კოხტა თავს ბურთულებიანი მოარგეს ზუჩი,
ბრინჯაოს ფარი დაადეს გულზე,
დაწნულ შროშანებით მოჭედილი,
გვერდით დაულაგეს მისივე იარაღი —
თითქო სისხლიანს ელოდა ორთაბრძოლებს,
მისდა საამებლად რომ იმართებოდა...

შემდეგ მოდის პოეზია,
თავადაც თხრის ნეკროპოლებს,
წარმოსახვამ რომ შეავსოს
ეტრუსკელის, კნოსელის ან ეგვიპტელის სიცარიელე.
რბიან საუკუნეები,
ხსოვნაში ტოვებენ
გარდასულის კვალს...

დიმიტრის დუკარისი

დიდი ნაღველი

მე დამაქვს ჩემი დიდი ნაღველი
კარიდან კარად,
ერთი უბნიდან მეორეში,
თვით მეორე ქვეყნის საზღვრებამდე,
კეთილი იმედის კონცხამდე,
რომელსაც იმედი აღარ შერჩა;
გამაჩნია მხოლოდ ჩემი დიდი ნაღველი,

კარდაკარ რომ დამაქვს
და არც ერთი კარი არ მეპატიჟება:
„გაგიღები და დატოვე შენი დიდი ნაღველი",
ყოველი კარი მეუბნება:
„მე თვითონ მაქვს ჩემი დიდი ნაღველი".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მათთვის, ფერ-ხორცი რომ არ ეღირსათ,
უქმად ჩავლილი, ჯადოსნურად გამომზირალი
წარმოსახვის ქმნილებათა გულისათვის,
იმ პირველ მონახაზთა გამო,
ქაღალდზე რომ დარჩნენ
და ქაღალდთან ერთად დაიფერფლნენ,
დამაქვს ჩემი დიდი ნაღველი,
არ გამაჩნია კარი საკუთარი,
უცხო კაცად ვრჩები ყველა უბანში,
თვით უიმედოდ დარჩენილ კონცხამდე.

მახი მუზაკი

ტ ა ს ო

ტასო, შენ რომ ნახველი, საკმაოდ მოზრდილები დაგვტოვე,
ახლა ჩვენ, პოეტებიც, კვლავ დავწერილმანდით.
ვარდები გავაუბედურეთ. გაქვავებულ ცრემლებსა და
საგმირო ლექსებს დავეძებთ.
სიტყვის მევახშენი ვჩალიჩობთ,
რომ ჩვენი სირცხვილი მივჩქმალოთ.

ეპოქის ტაკიმასხარებად ვიქეცით

და ვცდილობთ ჩვენი ტლანქი ქვა ვაწკრიალოთ.
ახლა რომ შეგვხედო, ჩემდა თავად, სირცხვილი დამწვავდა.

საით მივდივართ?

საით მივდივართ?
ქვესკნელის ურჩხულები ჩვენი სიცოცხლის ნახევარს
დაბლა ექაჩებიან.
მეორე ნახევარი ზესკნელის ლოჯებზე კიდია.
ორი სიკვდილის დედა მოგვჩერებია თვალებში.
განხმულია ჯოჯოხეთის კარიბჭე.
დემონებს მზად აქვთ უწყებანი არყოფნისა და გველიან,
ჩვენ არ მოვმკვდარვართ!

უწყებანი ცეცხლისა და ლითონისგანაა ჩამოსხმული.
ჩვენი ხელები სისხლია და ხორცი.
ხარხარებს ქაოსის ხახა:
მოგვეცი, მოგვეცი, მოგვეცი!
ცოცხლობს კი რაიმე დაპირება წყვდიადის გულში?
მე არ ვიცი, ეგებ შენ იცოდე, უფალო.

პანოს პანაიოტონოსი

მოკლული ტოტი

პატარა,
მკვდარი მეამბოხის
მხარდამხარ,
მენამული მთვარის შუქზე,
ბრძოლისა და სიკვდილის გვერდით,
მე შევიყვარე სიცოცხლე.

ჩვენი თოფის ლულები
ცეცხლითა და სისხლით არის დატენილი.

პატარა,
მკვდარი მეამბოხის
მხარდამხარ,
სამყაროს მოკლული
ტოტის ახლოს, ჩემს გვერდით
სისხლით რომ მოხაზა
ლამაზი შუბლის წითელი რკალი,
მე შევიყვარე სიცოცხლე.

ჩვენი თოფის ლულები
ყვავილებითა და თესლეულითაა დატენილი.

სიტყვების ბრწყინვალება

არსებობს აშკარა განსხვავება
გუშინდელსა და დღევანდელს,
დღევანდელსა და ხვალინდელ დღეს შორის.
იმასაც ვხედავ, კაცის ყოფაც ასეთია:
დაბადება, სიყვარული,
სიყვარული, სიკვდილი.

ყოველივე სწრაფად მიედინება,
ნაყოფს შეუმჩნევლად სანსლავს
ათასობით სიტყვა და ჭიანჭველა.
ვეძებ სიტყვებს — ფრინველებს და სიტყვებს —
მატლებს, თვალისმომჭრელ სიტყვებს
და სიტყვებს — წყლის გველებს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლუმცალა სიცოცხლის მითი
კერაფრით ვერ ამიხსნია.

ა. პანსელინოსი

ს ა პ ყ რ ო ბ ი ლ ე

დგას ჩვენს ეზოში ხე გამხმარი და უბადრუკი,
ვენერას სხივი ჩვენი საკნის არის პატრუქი.
თითქოს კედელში დამატანეს, ულმერთოდ ვნვალობ,
დავფრენ ქაოსში ,უმცირესი მიხმობს იმედი,
სანამ ძალგიძდეს დამელოდე, სიცოცხლის ალო,
გზა გამინათე შენი შუქით მოციმციმეთი.

პატიოსანი ცხოვრება

უზრუნველია ქვეყანაზე მდიდარი კაცი,
არ შფოთავს იგი, არ აქვს ფრთები შემაწუხარი,
ზოგჯერ იხრება, სავსე ჭიქას დაუწყებს ლაციცს,
შვებას დაეძებს ამ დახრაში, რაღაც უხარის.

ფუსფუსებს, შრომას არ თაკილობს და აღწევს მიზანს,
ჭკუით ირჯება, ფულს აგროვებს, ერთი აქვს ვნება,
მის მოწონებულ სახლს ყიდულობს სამოცი წლისა,
შედის იმ სახლში საცხოვრებლად და სულიც ძვრება.

□

თანამედროვე ლიტვური პოეზიიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ხუტა გაბუამ

იუსტინას მარცინკიავიჩუსი

გაზაფხულის მოლოდინი

ნეტა რა დაგვესიზმრება, რა გველოდება ამ დილით
ამ გაციებულ ოთახში ჩამქრალ ბუხართან მძინარეთ?
...ყინულს გაალღობს, დაადნობს მხურვალე სუნთქვა ნადირის —
აჭრიალდება ყინული, ახმაურდება მდინარეც.

ქვაც მზის ალერსით გათბება, აიშლებიან ჩრდილები,
ოქროსფრად აინთებიან არყები, როგორც სანთლები.
ტყედატყე ვიხეტიალებთ მზისკენ ხელგაშვერილები
და ახოვანი ფიჭვების მძაფრი სურნელით დავთვრებით.

ნაზამთრალ მინდვრებს დაიპყრობს ბალახი და, სადაც არის,
აფეთქდებიან კვირტები — ვერც კი დაითვლი ათამდე;
მიწაში ჩათბუნებული აფუთფუთდება მარცვალი,
რომ მწვანედ ამოთავთავდეს ხვალინდელ განთიადამდე.

თვალს აგვიჭრელებს მდინარე და დილის ნისლი ფერადი,
და წყლისპირ წამოვგორდებით სურვილით დაუოკებით,
ძალით, იმედით, სიმღერით და ბანგით მათრობელათი
სავსენი, როგორც ლამაზი თიხის მსხვრევადი დოქები.

სკოლისდროინდელი მუზა

ისევ ბავშვობისდროინდელ მოტივს
ვიხსენებ. მოდი მთვარის შუქიდან,
ქალებს ხანძარი რომ წაუკიდა.
გემუდარები: — მწყურიხარ, — მოდი.

მოდი იისფერ ნისლიდან, ციდან,
გადამიგორე გულიდან ლოდი;
გაურკვეველი ლტოლვიდან მოდი,
პირველყოფილი თოვლივით წმინდა.

მეწვიე ლექსის ღვთიურ ბგერიდან,
აღმადგენინე ჩუმი და წყნარი —
ცრემლით წაშლილი პირველი პწკარი,
გრძნობის გამხელას რომ მოერიდა...

კვლავ ამიხვიე ფერადი ნისლით
აუმღვრეველი თვალები ბავშვის,
რომ ამიჩქროლო ძარღვებში სისხლი,
და... ხელმეორედ გიწამებ მაშინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომაკვდავი მდინარე

რაღა აზრი აქვს — საიდან, საით,
არ ჩანს ნაფოტიც...
წყალი დამშრალა, დამშრალა წყალი.
დუმს კალაპოტი.

გაბრუებული თევზები ძლივსღა
იქნევენ კუდებს
და შემოდგომის ფრინველებივით
ტოვებენ ბუდეს.

აქ ძველებურად სარეცხით ხელში
ვინ მოვა, ბრძანეთ?
შლამიან ფსკერზე ამოწვერილა
ბალახი მწვანე.

შლამს ვეფერები — ტკივილისაგან
ვიბღავლო ლამის.
თითქოს ახლობლის
ლაბადქცეული
სახეა შლამი.

ჩქარა,
მდინარე გადავარჩინოთ
ცრემლების წვიმით,
წყურვილს მოვიკლავთ,
შუბლს გავიგრილებთ
კიდევაც იმით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალფონსას მალდონისი

მაღალი ნოტები

დაბნეულობას — გზის გასაყარი,
გზას — სიმღერები, ოდესღაც თქმული;
გულს კი — ასეა ყოველთვის გული —
მხოლოდ ნოტები ახსოვს მაღალი.
მათი, ნოტების, წყალობა გახლავთ,
რომ ნაზამთრალი ტყის მოლოდინი
როცა ივსება მწვანე მოტივით,
კაცს რაღაც ძალა ეწევა მაღლა.
შენც ყოველივე უარყავ ყალბი,
გჯეროდეს მხოლოდ გამრჯე მარჯვენის.
არ გაიკარო — ქვაბში ნარჩენით
ვინც ილოღნება — ძუნწი და ხარბი.
და თუ გიზიდავს სივრცე ახალი,
ადამიანო, უნდა იცოდე —
გმირობისაკენ რომ მოგიწოდებს,
აი ის არის ნოტი მაღალი.
სანამ მკლავებში ძალ-ღონე გერჩის,
იყავი მტკიცე, ქედმოუხრელი,
რამეთუ მხოლოდ მძლავრი მუხები
უძლებენ დროის ქარტეხილს ტყეში.

ზამთრის მონატრება

დეკემბერია. აწვალებს ქარი
ხის კენწეროზე შერჩენილ ფოთოლს,
და ბავშვი, ღია სარკმელთან მდგარი,
ცას შეჰღიმილებს — ცოტაც და მოთოვს.
საცაა მოვა უჩინარ ეტლით
ზამთარი, როგორც ღამის სტუმარი,
და გეზმანება თოვლივით თეთრი
ოთხი კედელი და სასთუმალი.
და გინდა გარეთ გაიჭრა, ქარში,
ღავი გაირთო პირველად ყოვლის
მთლად უნაყოფო და თეთრი გარჯით —
ჩამოიბერტყო მხრებიდან თოვლი.
და, აი ისიც მოვიდა ბოლოს,
ხელგაშლით შეხვდა ქუჩებში ხალხი;

მეეზოვენი შეკრთო მხოლოდ,
გახურებულნი დილიდან არყით.
მსუბუქი თოვლი ეცემა ციდან
და ისე ტკბილად შრიალებს ტაძრის
გარშემო, თითქოს თვალს ახელს წმინდა
და სააღდგომო ფიქრი და აზრი.
და ახლა, სულში იბუდებს როცა
სევდა, იმედი და მოლოდინი, —
შენც ილუნები თოვლქვეშ ტოტივით,
მაგრამ არ ტყდები, და ამ დღეს ლოცავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალგიმანტას ბალტაკისი

წყალქვეშა მდინარეები

რამეთუ ბნელი აირჩიეს წიაღი მიწის,
სახელწოდება მათი დღემდე არავინ იცის.

მათში არც მთვარე ირეკლება, არც ირმის ლანდი.
ჰგავს გულისცემას ზოგჯერ მათი დინება ზანტი.

დედამიწაზე როცა ჰყვავის თეთრი აპრილი,
ბინდისფერია მათი ფსკერი და ზედაპირი.

აგვისტოს მზეზე გარუჯული და დაქანცული,
ვერ მივა მათთან ყელმაღალი სურით ქალწული.

სამაგიეროდ, ყოველდღე რომ ამოაქვთ ჭიდან —
მათი წყალია გამჭვირვალე, ცრემლივით წმინდა.

ზოგიერთ მათგანს თუმცა აწევს გულმკერდზე ცხრა მთა,
მაინც მჩქეფარებს, მაინც ღელავს ზაფხულ და ზამთარ.

ერთი წუთითაც არ ისვენებს, კამათობს, ცხარობს,
ალაგ და ალაგ ამოხეთქავს ანკარა წყაროდ,

რომ მწყურვალენი დაარწყულოს და გაახაროს,
და სუფთა მზერით მიესალმოს უცნობ სამყაროს.

რა სჭირდება ადამიანს

ბედს არ ვემდური. ბევრი ვიცი ბრძენიც, სულელიც.
მყვანან ერთგული მეგობრებიც და მოძულენიც.

და — ვისი სიტყვაც უებარი არის მალამო,
და — ვისაც ძმურად შემიძლია მივესალამო.

მეტი რა უნდა ადამიანს? მცირე ნაყოფი,
კეთილი შრომით მოწეული, ცხრად გასაყოფი...

თავს ზემოთ ჭერი, ყლუპი წყალი და საყვარელი
საქმიანობა, რომლისთვისაც ჯილდოს არ ელი.

არყის შრიალი, გაზაფხულის ნელთბილი თქორი,
და ის ვარსკვლავი ერთადერთი — ათასთა შორის.

ნავში ჩაჯდომა, გაგრილება მხურვალე მკერდის
შლეგი ტალღებით, ადამიანს რა უნდა მეტი?

მიირწეოდეს ცისკრის შუქი სერით-სერამდე,
არა ტყვიები — ცას მერცხლების გუნდი სერავდეს.

ასში არჩიო ერთადერთი გზა უტყუარი,
დანარჩენს იქვე გაეცალო, უთხრა უარი.

ვერ შეელიო შენი ქვეყნის კურთხეულ ხატებს,
და თუნდაც ერთი —ოღონდ სანდო! — ძმაკაცი გყავდეს.

კაცს ცოტა ყოფნის, კაცი თუ მართალი ცამდე.
კაცს ბევრი უნდა... ასეთია ცხოვრება. სცადე!

ვინცას გედრა

სიმშვიდე

ბუხართან იჯდა ფეხმძიმე ქალი,
უხმოდ კერავდა პერანგს ბავშვისთვის,
რომელიც დედის გულთან ტოკავდა...
ბუხარში შეშა ტკაცუნებდა
და შეშის ტკაცუნს
ხმას უერთებდა
ქვაბი თუხთუხით,
ხოლო სიწყნარეს
კედლის საათი
თავს აბეზრებდა —
უმტკიცებდა ისევ რაღაცას...
ქალი ელოდა —
სადაცაა, აჭრიალდება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭიშკარი, ქმარი დაბრუნდება
კარს შემოაღებს,
რომ ერთდროულად ორი არსება —
ცოლი და ცოლის გულთან მფეთქავი
პირმშო — მხურვალე მკერდში ჩაიკრას.
ეს ყოველივე თითქოს სიმშვიდის
საწყისი იყო
და საწინდარი;
დედამიწაზე ხმა უავესი
ბურუსში დანთქმულ ჭადრიდან
ყორნის
ჩხავილილაა, — ფიქრობდა ქალი, —
და ერთადერთი,
გასროლა ახლა
ესაა —
ნედლი შეშის ტკაცუნი...
და თქვენც ადვილად ირწმუნებდით: ამიერიდან
აღარასოდეს აფეთქდება ზღვაზე
ხომალდი,
აღარ ასცდება ლიანდაგებს
მატარებელი,
ვიდრე
ბუხართან ზის დედაკაცი
და ტკბილად კერავს პერანგს ბავშვისთვის,
ვინც ამ სიმშვიდის სასუფეველს
ახე აკლია.

* *

ნეტა საიდან ეს უცნაური გამბედაობა —
როგორ რჩებიან ზოგიერთები საკუთარ თავთან?
სუფრასთან — მარტო, საწოლში — მარტო,
ტყეშიც — მარტო და გზაშიაც — მარტო.
ნეტა საიდან, ადამიანო,
ეს უცნაური გამბედაობა?
მარტოდ დარჩენის ერთი წამიც ხომ
კუთვნილებაა მარტოსული მარადისობის?

რიმბერტას კიაუშრაკისი

ჯარისკაცული ოდის ფრაგმენტებიდან

არა, სამშობლოვ, არ დაიჯერო,
ვინ თქვა — უცნობი ჯარისკაცები! —

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედებს და მინდვრებს,
ხეებს თუ ზეცას
რა დაავიწყებს იმათ სახელებს —
დღემდე უხმობენ ხმაჩახლეჩილნი.

თეთრი ღრუბლები ჰკიდია ცაზე
სტალაქტიტებად
და პურის ყანა იგრძელებს კისერს —
თავთავებს ცისკენ გაურბით მზერა.

დედა, დედილო,
შენ გელოდები...

მარადიული ცეცხლი ანთია
დედამიწაზე — მშობლიური სახის გარჩევა
არ არის ძნელი.

გემუდარები,
მიპოვე, დედა...

დედა, შენი ხმა
თუ მომწვდა ერთხელ,
მე ფეხს მოვიცვლი
უკანასკნელ საგუშაგოდან.
მე პატიოსნად
მოვიხადე,
კეთილო,
ვალი;
მე დავიღალე,
ახლა დროა, თვალიც მივლულო.

დაე შემცვალოს პურის თავთავმა,
აქ ჩემს მაგიერ დადგეს გუშაგად,
თეთრი ღრუბელიც დადგეს ცოტა ხნით,
სტალაქტიტივით თეთრი ღრუბელი.

მიჰყევ კვალდაკვალ, ქალიშვილო,
ლამაზ ოცნებას,
არ დაიჯერო ერთი წუთითაც,
რომ ის ყალბია, ცარიელია,
ხანმოკლე, ფუჭი და უსახელო.

მარადიული ცეცხლი ანთია
დედამიწაზე და ბინდშიც აჩენს
ომში დაღუპულ ახალგაზრდა ჯარისკაცების
უკვდავ სახეებს.

გასროლა ნახნავებს მიღმა

იჭექა თოფმა და დედა შეცბა,
ერთბაშად შიშმა მოიცვა სახლი,
ჭიშკართან მიწყდა ღავლავი ძაღლის,
ტყეში ყმუილი შეწყვიტა მხეცმა.

ირგვლივ ჩამოდგა სიჩუმე მყარი,
შთანთქა ფრინველთა შორი გალობა.
ცაცხვებთან ქარის ჭორიკანობა
გათავდა. დაფრთხა ბებერი ქარი.

დედას კედლისკენ გაექცა მზერა,
ძველი საათი სადაც ეკიდა —
იმასაც შიშით ხმა ჩაეკმინდა,
და ზრიალებდნენ ფანჯრები ჯერაც.

გაპარულიყო ზეციდან მთვარე,
აღარსად ენთო სოფლად სინათლე.
ეხ, დიდი ვიყო, — გულში ვინატრე,
გავვარდებოდი უმალვე გარეთ.

მშვიდად იძინეთ: — სოფელს საყვარელს
გადავძახებდი მხნედ და ხმამაღლა. —
თქვენი გუშაგი მე ვარ ამაღამ —
თითსაც ვერავინ ვერ დაგაკარებთ.

□

რუფ ზერნოვა

ქალაქური რომანსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

თარგმნა მადონა ცქიტიშვილმა

ადრე სავაჭრო ქსელში ვმუშაობდი. მაგრამ ხომ იცით, სავაჭრო ქსელში კისერს რა ადვილად მოიტეხს კაცი. თანაც განყოფილების გამგეს ვერ შევეწყვე. რატომ დამაკელით ათი კილოგრამი კომპოტი-მეთქი, — შევეკითხე. რა უშავს, ამოქაჩავო, — მიპასუხა. კი მაგრამ, საიდან? როგორ, მისი გაუმაძღრობის გულისათვის ციხეში ჩავჯდე, ბავშვი დავაობლო? ჯერ ხომ ახალგაზრდა ვარ, ცხოვრება მინდა, შვილი და მოხუცი დედა ვის დავუტოვო... სავაჭრო ქსელში ასეა, ვერ შეეგუე განყოფილების გამგეს ან დირექტორს — უმჯობესია სამსახურიდან საკუთარი სურვილით წახვიდე, თორემ ან დანაკლისს გიპოვიან, ან „დ“ მუხლს მოგიყენებენ და ჰაიდა — ე. ი. მატერიალურად საპასუხისმგებლო სამუშაოზე შენი გაჩერება არ შეიძლება. სხვა ჩემ ადგილზე, ალბათ გამონახავდა მათთან საერთო ენას, ან სამართალს იპოვიდა, მე კი ძალიან ახალგაზრდა ვიყავი მაშინ, ღამეებს ტირილით ვათენებდი. კიდევ კარგი, მეზობელმა საშოფრო კურსებზე მომაწყო, და აი უკვე მესამე წელია საჭეს ვუზივარ.

ტაქსზე მუშაობა თუ მომწონს? როგორ გითხრათ? გამომუშავება, რა თქმა უნდა, კარგია. ბევრმა დაიწყო ტაქსით სეირნობა ამ ბოლო დროს ან ხალხს ბლომად გაუჩნდა ფული, ან რა ვიფიქრო, არ ვიცი... ხანდახან მთელი დღე-ღამე სახლში ხარ; ბავშვს მიხედავ, ათამაშებ, შეკერავ, დარეცხავ. აი მხოლოდ, ღამის ცვლაში ქალის მორიგეობა... განსაკუთრებით თუ შაბათ-კვირა მოგიწია — რასაკვირველია... რას არ გადაეყრები კაცი. მთვრალებიც: წაყვანაც მოგიხდება და ათასი ჯურის ადამიანებსაც შეხვდები. ერთი სიტყვით: ჩემზე რომ იყოს, ქალებს ღამის ცვლაში ნამდვილად არ გავუშვებდი.

გათხოვება? ბავშვიანს ვინ წამიყვანს? უკვე არც თუ ისე ახალგაზრდა მეთქმის, ოცდაჩვიდმეტში დავიბადე. გაარშიყება სიამოვნებით, რატომაც არა? მაგრამ რად მინდა, გული მაქვს გატეხილი, განსაკუთრებით ერთი შემთხვევის შემდეგ. ვხვდებოდი ერთს, იმედი მქონდა, ცხოვრებას მოვიწყობ-მეთქი.

მოგიყვებით როგორ მოხდა ეს ამბავი. სწორედ დღესასწაული იყო. შვიდი ნოემბრის ღამე. ნარვსკის კარიბჭის მახლობლად მგზავრები მივიყვანე, — ხანშიშესული, წესიერი ხალხი, — ფულს რომ იხდიდნენ, აღმოჩნდა, რომ საკმა-

რისი არ იყო. ხდება ხოლმე ასე. ძალიან შეწუხდნენ, მე დავამშვიდე: აქ დაგელოდებით ფულის მოტანამდე-მეთქი. მოხუცები წავიდნენ. მწვანე შუქი ჩავრთე და ველოდები. ქუჩაში სიჩუმეა. კაციშვილი არ ჭაჭანებს, მხოლოდ თოვს. ეზოდან ალაყაფის კარიდან ახალგაზრდა ბიჭი გამოდის ,უქუდოდ, ბეწვით გაწყობილი ჩინური ქურთუკი აცვია. ფეხდაფეხ ქალი მოსდევს, საზაფხულო კაბითა და ბოტებით, — ეტყობა სიჩქარეში მხოლოდ ამის ჩაცმულობა [illegible] „კოლია, კოლია“, — ამაოდ ეძახის ქალი. ვაჟი გზას განაგრძობს, ყურადღებას არ აქცევს. ბოლოს ქალი დაეწია, მკლავზე დაებღაუჭა და ხვეწნა დაუწყო—ხმა ჩემამდე არ აღწევს. ბიჭი კი დგას, მიწას ჩაშტერებია და თავს აქნევს — არა!

ბარდნიდა, მათ მშვენივრად ვხედავდი. მართალია ქალი ჩემსკენ ზურგით იდგა, მაგრამ საკმაოდ კარგად შევათვალიერე. ხნიერია — ყველაფერზე ეტყობა, ღონაგობაზე, მკლავებზე ასეთ ვარცხნილობას ხომ ეხლა აღარ ატარებენ. დაახლოებით ორმოცის ან ცოტა მეტის იქნება.

ვაჟი — მთლად ახალგაზრდაა. სახე ნაზი აქვს, თმა ქერა, ხვეული. მთავარი კი — გამოხედვაა, უცნაური გამოხედვა, რაც მთელი ჩემი უბედურების მიზეზი გახდა.

უკეთ რომ დამენახა. კარი ცოტაზე გამოვაღე, თავი გამოვყავი და სწორედ მაშინ მომკრა თვალი, თითქოსდა მიცნო ისე გულითადად შემომხედა. რატომღაც შემეცოდა, არ კი ვიცი რატომ. ქალს ქალი უნდა შემბრალებოდა, მე სულელს კი ბიჭი შემეცოდა.

— მანქანა თავისუფალია? — შემეკითხა ვაჟი.

— თავისუფალია. — ვუპასუხე.

— მაგრამ თავისუფალი რომ არ იყო? იმ მგზავრებს ხომ უნდა დაველოდებოდი. და უცებ გადავწყვიტე: რაც იქნება, იქნება; ნუთუ მანეთს ვერ ვიშოვი-მეთქი! ის ბიჭი კი, კოლიას რომ ეძახდნენ, არხეინად მოკალათდა ჩემს გვერდით და მითხრა: „არხისაკენ“.

ჰოდა წავედით არხისაკენ. ქალი თავისი საზაფხულო კაბით იქვე დარჩა, ჭიშკართან და რატომღაც გული შემეკუმშა:

— თქვენ რა, დედას აწყენინეთ?

გუნებაში კი ვფიქრობ: „დედა კი არა!“

— იგი დედაჩემი არაა, — მიპასუხა ბიჭმა.

— მაშ ვინ არის? — მზაკვრულად შევეკითხე.

— დეიდაა. — მშვიდად თქვა მან.

— თქვენ რა, დამცინით... ასეთ ყინვაში, თხელი კაბით, განა დეიდები დარბიან...

— სტუმრების განაწყენებას მოერიდა

გაეცინა და ისევ შემომხედა. ეხლა ისე ვარ გამხდარი, სარკეში ჩახედვაც არ მინდა, თორემ მაშინ მშვენივრად გამოვიყურებოდი. გარაჟში „პარკის დედოფალს“ მეძახდნენ. სწორედ იმ დილით გავიკეთე თმა, თხელი, ჩინური თავსაფარი წავიკარი, ტუჩები შევიღებე, ლაქი წავისვი... მიყურე, მიყურე-მეთქი, ვფიქრობდი და თან გაშეშებული, დაჟინებით გავყურებდი გზას.

ჩუმად მივდიოდით, მერე კი ერთმანეთს გამოვეცნაურეთ. თქვენ ქართველს ჰგავხართ და რად გჭირდებათ ტუჩების შეღებვაო, რაღაც ამდაგვარი მითხრა. გამომკითხა, ვინა ვარ და რას წარმოვადგენ. რომელ წელს დავიბადე, გათხოვილი თუ ვარ, თანაც თვალს არ მაცილებს, ისე შემომცქეროდა, როგორც ბავშვი

სურათს. და მეც სიამოვნებით ვუყვები ჩემს ამბებს: სამსახურზე, შვილზე, საერთოდ ყველაფერზე. „ძნელი ცხოვრება გქონიათ, — მითხრა ბიჭმა. „არ ვემდური" — ვუპასუხე.

სწრაფად მივედით მის სახლთან, ან კი რა შორია ნარვსკას კარიბჭიდან არხამდე? მან ფული გადაიხადა, ის-ის იყო უნდა გადასულიყო, რომ შეჩერდა და მორიდებით შემეკითხა:

— ხვალ საღამოსაც მუშაობთ?

— რატომ გაინტერესებთ? — გავიკვირვე.

— იქნებ ჩემთან ერთად კინოში წამოსულიყავით?

თავი მშვენივრად ეჭირა. ამას ვერ წაართმევ კაცი. ახლა მოდაშია, ახალგაზრდები ისე იქცევიან, თითქოსდა ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათო; ეს კი სულ სხვანაირი ჩანდა, ისე მორიდებით შემომთავაზა, უარის თქმაც ვერ მოვახერხე.

თანახმა ვარ. ხვალ სწორედ თავისუფალი დღე მაქვს. შევთანხმდით კინოთეატრთან შევხვედროდით ერთმანეთს. „ტაქსი! ტაქსი!" — იმავე შენობიდან მხიარული კომპანია გამოვიდა.

გავცილდი თუ არა იმ ადგილს, ჩემ თავზე გული მომივიდა. მე რა გამოუცდელი ვარ, ცხოვრებისა არა გამეგება? სწორედ ასეთი წყნარი და მოკრძალებული დაგიგებს მახეს, შენს გულს მოინადირებს, შემდეგ კი აბუჩად აგიგდებს. თან იმ ქალზე ფიქრიც არ მასვენებდა. ვის გაუგია დედა დისშვილს ქუჩა-ქუჩა დასდევდეს? რამდენი შემთხვევა ვიცი... ერთმა ახალგაზრდა გოგოც კი შეირთო ცოლად, მაგრამ მაინც ხნიერთან დაძვრებოდა. განა შეიძლება მძღოლი იყო და ცხოვრებას არ იცნობდე! ღიღხანს ვსაყვედურობდი თავს, გადავწყვიტე არ შევხვდები-მეთქი, მაგრამ მაინც წავედი: ძალიან მინდოდა ხელმეორედ მენახა იგი.

და აი უკვე ჩვენ არც ისე ხშირად, მაგრამ მაინც ერთადა ვართ. კოლია „ადმირალტეილში" მუშაობდა ზეინკლად და თან საღამოს სკოლის მეათე კლასში სწავლობდა. მხოლოდ შაბათ-კვირას ვიყავით საღამოობით თავისუფალი და ჩვენც პირველ ხანებში სულ კინოში დავდიოდით. რამდენი ფილმი ვნახეთ, დამახსოვრებით კი — არაფერი დამამახსოვრდა. ვსხედვართ ერთად, იგი ჩემს ხელს ხელში იმწყვდევს და უკვე თვალთ მიბნელდება, ვერაფერს ვხედავ, მერე კი საკუთარ თავზე ვბრაზობ. მისი ნდობა მაინც არ მქონდა, სულ ვფიქრობდი, იქნებ სკოლაში კი არა, იმ ქალთან დადის, მე კი უბრალოდ თვალს მიხვევს-მეთქი. თუმცა მისთვის არაფერი მიკითხავს — მერიდებოდა.

ერთხელაც მთხოვა, სტუმრად გეწვევიო. ჩვენი ოთახი დიდი არაა, სულ თორმეტი კვადრატული მეტრია, მაგრამ მზიანია, სუფთა, პატარა აივანიც აქვს. მაინცდამაინც ხელსაქმით ვერ დავიკვეხნი, სამაგიეროდ დედაჩემი ქარგავს, ქერავს, წარმოიდგინეთ მაქმანსაც კი ქსოვს. ასე რომ, შემოსვლისთანავე თვალში მოგხვდებათ nაირ-ნაირი ფარდაგები, ნაქარგი პირსახოცები, ხელსახოცები. ერთი სიტყვით, დედაზე ძვირს ვერ იტყვის კაცი; ოღონდ ეს არის, არ მოსწონს, როცა სახლში უცხოს ვეპატიჟები; არც გაემტყუნება, არ უნდა მეზობლების პირში ჩამაგდოს, ჩემს სახელს უფრთხილდება.

აი, კოლია პირველად მოვიდა ჩვენთან. კარგად ეჭირა თავი, ესაუბრა დედაჩემს, ბავშვთანაც ითამაშა. სერიოჟა უცებ გაუშინაურდა და აღარც მოშორებია— მამაკაცებს ხომ იშვიათად ხედავს. ეტყობა, კოლიასაც მოეწონა.

როდესაც კოლია წავიდა, დედამ მითხრა:

არა, ეს ბიჭი ცხოვრებაში არ გამოგადგება.

— რატომ ლაპარაკობ, დედა, ასე? ჩემი აზრით იგი დამოუკიდებელი პიროვნება ჩანს, ცხოვრებისაგან განებივრებული არაა...

— არა, ძალიან ლამაზია და უნდა თუ არ უნდა ქალები მოსვენებას არ მისცემენ.

დედაჩემთან იმ ქალზე კრინტიც არ დამიძრავს.

— და საერთოდ, — გააგრძელა მან, — შენზე უმცროსია და არც შეეფერება.

— არც ვეძალები, უბრალოდ გვესტუმრა ადამიანი. რა ცუდი გიმოაბი.

სიყვარული? არა, აბა ეს რა სიყვარულია. ჩემი აზრით ნამდვილი სიყვარული მაშინ არის — როცა ადამიანს აღმერთებ, ყველაზე დიდ ნდობას უცხადებ, მისი იმედი გაქვს — აი, ესაა მეგობრობა, ესაა სიყვარული. არა, მე ვიცი, რომ სიძნელეებიც არსებობს. მაგრამ სიძნელეებიც და გასაჭირიც ერთად უნდა გადაიტანონ. რაც მთავარია — სიმშვიდე უნდა იყოს.

თუმცა რა სიმშვიდეზეა ლაპარაკი? როცა კოლია ჩემთან არაა, ყოველთვის მგონია, იმ ქალთან წავიდა-მეთქი. როგორც კი ერთმანეთს დავცილდებით — ისევ ეჭვები მიღრღნის გულს. სასაცილოა: რაც არ უნდა გააკეთოს, მერე ყველაფერი უკუღმა მეჩვენება.

ჩვენს შორის ხომ სერიოზული არაფერი ყოფილა, ის იყო, კინოში ხელს ხელზე თუ მომკიდებდა და დასეირნებების დროს ბავშვებივით თუ ვაკოცებდით ერთმანეთს. ის ნანატრი სიმშვიდე მხოლოდ მის გვერდით მეუფლებოდა. მერედა შეიძლება ასე?

აი თუნდაც სკოლაში რომ დადის გასაგებია, რომ სწავლა ეხლა მოდაშია, მაგრამ ამდენ დროს რომ ართმევს? ოთხშაბათს საღამოს თავისუფალი ვარ, შეგვეძლო სადმე წავსულიყავით, ის კი სახლში ზის და მეცადინეობს, ინჟინრობაზე ოცნებობს, მაგრამ არ ამხელს, არ უყვარს თავის თავზე ლაპარაკი.

ერთხელაც კინოში ბილეთები ვერ ავიღეთ.

— ჩვენთან წავიდეთ, ტელევიზორს ვუყუროთ, თანაც დედაჩემს გაგაცნობ — შემომთავაზა.

მივედით. ოთახი კარგია, დიდი. ავეჯი უბრალო — მაგიდა, სკამი, საწოლი, კარადა, დივანი. დივანზე სათვალიანი ქალი წამოწოლილა და წიგნს კითხულობს.

— გაიცანი, ნინა, ეს დედაჩემია, ანა მაქსიმოვნა.

ქალი უცებ აწრიალდა, ეს ჩაიო, ესაო, ისაო.

— იწექი, დაისვენე, მე თვითონ მოვამზადებ, — დაამშვიდა კოლიამ.

იგი სამზარეულოში გავიდა და ქალები დავრჩით.

— ნინა, ნეტავი თქვენი ვაჟიც ისეთი გაიზარდოს, როგორიც ჩემია, — თქვა ანა მაქსიმოვნამ. როგორც ჩანს ჩემს შესახებ უამბნია კოლიას. — მეც ხომ კოლია მარტოდმარტომ გავზარდე. რა თქმა უნდა, სანამ პატარაა — გაგიჭირდება, მაგრამ მომავალში ამაგი დაგიფასდება, მთავარია კარგად აღზარდო.

რა უცებ მაგრძნობინა, ნურავის იმედი გექნებაო. ეჰ, ნეტავი იცოდეთ, თქვენი წესიერი შვილიკო სად დაბრძანდება! — მწარედ გავიფიქრე ჩემთვის. თქმით კი არაფერი მითქვამს.

— დიდი ხანია მარტო ხართ? — შევეკითხე.

— საკმაოდ. მე და კოლიას მამა ჯერ კიდევ ომამდე დავცილდით. ჩრდილო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთში მივლინებით იყო და იქიდან ჩამოაბრძანა ახალი ცოლი. ხდება ხოლმე ასე!

თქვა და გაეცინა.

— ახლა სადღაა?

ანა მაქსიმოვნამ გაკვირვებით შემომხედა.

— ნუთუ კოლიას თქვენთვის არ უთქვამს? მოკვდა სწორედ მაშინ მოკვდა, კოლია რომ ჯარში გაიწვიეს.

გაჩუმდა, ჩაფიქრდა და შემდეგ გააგრძელა.

— ლოთი იყო. სწორედ ამიტომ ვშიშობ კოლიაზე. ამ მხრივ რაიმე ხომ არ შეგიმჩნევიათ?

— არა.

და უცებ მომაგონდა: აი მაშინ ჰქონდა ღვინის სუნი, პირველად რომ მივიყვანე მანქანით სახლში.

— მგონი ერთხელ იყო ნასვამი, აი, დეიდასგან რომ ბრუნდებოდა, მაშინ.

— ნარვსკიდან? — როდის იყო ეს?

დავინახე როგორ მოიღუშა იგი.

— არა ნასვამიც არ ეთქმოდა. უბრალოდ ღვინის სუნი ვიგრძენი.

— განა მაგაშია საქმე, დაე დალიოს, ოღონდაც იქ არა!

თავზარი დამეცა. ესე იგი იცის! მე არ ვცდები! ამასობაში კოლიაც მოვიდა პარკებით დატვირთული, თურმე იქვე, სასურსათო მაღაზიაში შეურბენია. მივუსხედით მაგიდას, შევექცევით ჩაის და თან ვსაუბრობთ. ლამის გული გამისკდეს, მაგრამ არაფერს ვიმჩნევ. ანა მაქსიმოვნა სამსახურის ამბავს გვიყვება — ქალთა საპარიკმახეროში მუშაობს ოსტატად. საკმაოდ მოტეხილია, მეგონა პენსიაზეა-მეთქი. თეთრი თმა, დანაოჭებული სახე და ზედა ტუჩზე ულვაშები — ჩანს ახალგაზრდობაში შავგვრემანი იყო.

— კოლია თქვენ სულ არა გგავთ.

— რა გასაკვირია, იგი ხომ ზედგამოჭრილი მამაა.

და შვილს ისე დიდხანს და დაჟინებით დააცქერდა, კავიფიქრე. ალბათ ძალიან გიყვარდა შენი ფედია-მეთქი!

იმ საღამოს ტელევიზორისათვის არ ვვიყურებია: სანამ ჩაის ვსვამდით და ვსაუბრობდით, წასვლის დრომაც მოაწია.

კოლიამ გამომაცილა.

— მოგეწონა დედაჩემი? — შემეკითხა იგი.

— არა უშავს, მომეწონა.

— რომ იცოდე, რა გულის ქალია?

— ვიცი, წამსვე მაგრძნობინა, არავის იმედი არ გქონდესო. თუ მან მოახერხა შენი გაზრდა, მეც შევძლებ ჩემი შვილი მარტოდმარტომ აღვზარდო. რა საჭირო იყო იმისი თქმა, რაც თვითონვე კარგად ვიცი.

— ეხ, ნინა, რა ცუდად გესმის ადამიანების, მან ხომ უბრალოდ გითხრა, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე.

— არც გამემტყუნება. კარგი რა მინახავს ცხოვრებაში? თვითონვე დაფიქრდი, განა შემიძლია კარგად გავუგო?

ჩვენ არხს მივუყვებოდით. თითქოს ციოდა და არც ციოდა. თუმცა თოვლჭყაპი იყო და თან საზიზღრად უბერავდა. კოლია შეჩერდა, ქურთუკი გადაიწია და მითხრა:

— მოდი ჩემთან. მე დაგიფარავ ქარისაგან, თოვლისაგან, ბოროტი ადამიანებისაგან.

აი, მაშინ ვაკოცეთ ერთმანეთს. დიდხანს, დიდხანს ვიდექით [illegible], ადგილიდან ვერ ვიძროდით. ხმას ვერ ვიღებდი, ფიქრის თავი აღარ მქონდა, ის კი დაუსრულებლად იმეორებდა: „ნინა, ნინა!“ მაგრამ რა ნინა?

— ნუ გამაცილებ, შინ წადი, დედაშენი ალბათ შენს დაბრუნებამდე არ დაწვება, — ბოლოს და ბოლოს გონს მოვეგე, ხელიდან გავუსხლტი და გავიქეცი. მივრბივარ და თან უკან ვიხედები, კოლია გაუნძრევლად დგას, თვალს არ მაცილებს. სანამ მოსახვევში არ მივეფარე — მიყურებდა.

ეს კვირას იყო. მეორე დღეს კი სამსახურში მომიპრძანდა:

— გაუცვალე ვინმეს მორიგეობა, ხვალ თეატრში წავიდეთო — შემომთავაზა.

ამას დამიხედეთ, სკოლის გაცდენაც რომ გადაუწყვეტია, გავიფიქრე.

მორიგეობის გაცვლა არც ისე ადვილია, მაგრამ მეგობრები დამეხმარნენ. ერთი სიტყვით, სამშაბათს კოლია სამსახურიდან პირდაპირ ჩემთან მოვიდა და ერთად წავედით ბალეტზე კიროვის თეატრში. ძალიან ნასიამოვნები დავრჩი. შემდეგ სახლში გამომაცილა, ფეხით წამოვედით, საერთოდ უყვარს ფეხით სიარული. სანამ სახლამდე მოვაღწიეთ, სანამ დავემშვიდობეთ, საკმაო დროც გავიდა. უცებ კოლიამ საათზე დაიხედა.

— ეჰ, ლაპარაკს შევყევით და დავიგვიანე. ტაქსით წასვლა მომიწევს. — სწრაფად გააჩერა მანქანა და წავიდა; ჩვენთან ხომ გარაჟი ახლოსაა, თავისუფალი მანქანები ყოველ წუთს დადიან.

ვდგავარ და ვუყურებ. საით წავა-მეთქი, თუ მარცხნივ გაუხვია — სახლში მიდის, თუ პირდაპირ განაგრძო გზა — იმ ქალთან.

ვხედავ: მანქანა პირდაპირ წავიდა.

სიბრაზისაგან თავგზა დავკარგე. ტყუის, სულ ტყუის! მხოლოდ ეს სიტყვები მიტრიალებდა გონებაში. კი მაგრამ რას ტყუის? ის ხომ არაფერს შემპირებია.

სწორედ ამ დროს თავისუფალმა „ვოლგამ“ ჩამოიარა. ხელით ვანიშნე ვააჩერე-მეთქი და მძღოლს მისამართი ვუთხარი. მე ხომ ეს მისამართი მუდამ მახსოვდა, ძილშიაც კი! კიდევ კარგი, მძღოლი ჩვენი გარაჟიდან არ იყო, არაფერი უკითხავს... პირველივე შუქნიშანთან დავეწიეთ, მე ხომ ნომერი დავინახე. „უკან მიჰყევით“, — ვუთხარი მძღოლს.

ჭიშკართან თითქმის ერთდროულად მივედით. ღმერთო ჩემო, რისთვის ვიწამებ თავს? რაში მჭირდება ეს კაცი? გადავწყვიტე თავს შევიკავებ-მეთქი. მაგრამ როგორც კი დავინახე მანქანიდან გადავიდა, ყველაფერი დამავიწყდა.

ვხედავ: კარი დაკეტილია, იგი მეეზოვეს ეძებს. დამაცადე, გავიფიქრე გუნებაში, მე შენ გიჩვენებ-მეთქი სეირს.

— გამარჯობათ ნიკალაი ფედოროვიჩ. აი თურმე სად მოიჩქაროდით?

მოულოდნელობისაგან გაშეშდა — ეტყობა გაუკვირდა, აქ საიდან გაჩნდაო.

— არ მელოდით?

ამასობაში მეეზოვეც მოვიდა, ჭიშკარი გააღო და შემომხედა. მე მანქანიდან გადმოვედი:

— აი თურმე, რა კარგად გიცნობენ აქ. ღამითაც კი გიღებენ კარს. როგორც ჩანს სასურველი სტუმარი ბრძანდებით. — კოლიას ხმას არ იღებდა, ძალად მოვიშალე.

— როგორ, თავის მართლებაც არ გნებავს? იქნებ სიმწრისგან მიპასუხა. ბებერთან რომ დაწანწალებ, მე კი გზა-კვალს მიბნევ?

ამ დროს მძღოლმა დამიძახა — როგორ მოვიქცე, წავიდე თუ დაველოდო?

— ეილეთ რაც გეკუთვნით და წადით, მე აქ დავრჩები, ვუყურებ რა სინდისით შევა იმ ქალთან...

მძღოლი წავიდა.

— წადი, კოლია, წადი, — შეეხმიანა მეეზოვე ქალი, — რახან ეს ქალბატონი ასეთი ცნობისმოყვარეა ორივე ვიმორიგევებთ შენს გამოსვლამდე, შერცხვეს მაინც, ასეთი ახალგაზრდაა და ბიჭებს კუდში დასდევს.

კოლია ისე შევიდა, თითქოსდა მე არც ვარსებობდი. მეეზოვემ კარის დაკეტვაც დააპირა. აი მაშინ ნამდვილად დავკარგე სირცხვილის კრძნობა. კარს მივვარდი და საშინლად ავღრიალდი.

— სულელი ხარ, სულელი... რა სცენებს მართავ? ბიჭს თავს რატომ ჭრი? ის ხომ დედაა მისი. ამ სახლში ომის დამთავრებისთანავე გადმოსახლდნენ, კოლია თითის სიგრძე მახსოვს!

არაფერი მესმოდა, თავშეუკავებლად ვღრიალებდი და ვღრიალებდი.

— სიმართლე რომ გითხრა, — გააგრძელა მეეზოვემ — ამ ბიჭს ოქროს გული აქვს, ასეთი მეორე არც შემხვედრია: დედამისმა კინაღამ დალუპა, ლოთობდა, დაწანწალებდა, სახლიდანაც კი აგდებდა, ის კი სამაგიეროდ მასზე ზრუნავს...

— კი, მაგრამ, ვისზე ამბობთ მაგას? მე ხომ დედამისს ვიცნობ, არბათან ცხოვრობს.

— არბათან ანა მაქსიმოვნა ცხოვრობს — მამამისის პირველი ცოლი. ბიჭიც მას თვლის დედად. — რადგან დედა ის კი არ არის — ვინც გააჩინა, არამედ ის — ვინაც გაგზარდა. ღვიძლი დედა აქ ცხოვრობს, ამ სახლში, გამოუსწორებელი ლოთია! როდესაც კოლიას მამა გაფლანგვაზე ჩასვეს, ანა მაქსიმოვნა ბავშვის სანახავად მოვიდა — მას ხომ შვილი არასოდეს ჰყოლია. ღმერთმა დღეგრძელობა მისცეს — ნამდვილად კარგი დედაკაცია, ეგ არი, ბედნიერი არასოდეს ყოფილა. „მომეცი ბავშვი, მე გავზრდი, შენთვის იგი ზედმეტი ბარგია“ — უთხრა. „საკუთარი გააჩინე და მაშინ გაზარდე“, —მოურიდებლად უპასუხა კოლიას დედამ. კოლიამ კი — მაშინ უკვე სკოლაში სწავლობდა — ყველაფერი მოისმინა. მეორე დღეს თვითონვე მიაკითხა ანა მაქსიმოვნას საპარიკმახეროში. „წამიყვანეთ თქვენთან!“ — სთხოვა ბავშვმა. აბა რა გაეწყობოდა? ანა მაქსიმოვნამ წაიყვანა იგი, აჭამა, ასვა, ჩააცვა, მამამისის სანახავადაც კი დაჰყავდა... ალბათ იმედი ჰქონდა, სასჯელის მოხდის შემდეგ დამიბრუნდებაო.

ის ხომ სანამ გალოთდებოდა, წესიერი კაცი იყო... შემდეგ კი... ერთხელაც ვუთხარი: მამის სახელით აღარ მოგმართავ, ნამეტანი პატივია შენთვის, უბრალოდ, სალახანას გიწოდებ-მეთქი. მართალი ბრძანდებით, მე ხომ მართლაც სალახანა ვარო, — მიპასუხა.

სასჯელი რომ მოიხადა, ისევ ამ ქალს დაუბრუნდა, კოლია კი ანა მაქსიმოვნასთან დარჩა. შემდეგ არმიაში გაიწვიეს, ამასობაში მამაც მოუკვდა. იმ დღიდან

ეხმარება თავის გზასაცდენილ დედას. ჯარიდანაც კი უგზავნიდა რაღაც გროშებს. ახლაც ყოველი ხელფასიდან გარკვეულ ნაწილს აძლევს, მაგრამ დედას არ ეძახის, მე მხოლოდ ერთი დედა მყავს — ანა მაქსიმოვნაო.

ვუსმენდი და ამასღა ვფიქრობდი: როგორ შევხედო თვალებში? რა ვუთხრა-მეთქი!

მეეზოვე კი შეჩერებას აღარ აპირებდა.

— ასეთი ახალგაზრდა შეარცხვინო? ეჰ, ჭკუის კოლოფო, რა ბიჭი დაკარგე! ახლა რაღას იტყვი? დაელოდე, დაელოდე, საცაა გამოვა.

მეეზოვე წავიდა. ყინავდა. დიდხანს, დიდხანს ვიდექი, ალბათ მთელი საათი. შემდეგ მეეზოვე ისევ გამოვიდა:

— წადი, სახლში, — მითხრა მან, — კოლია ალბათ მეორე გასასვლელიდან გავიდა. იმათ ფანჯარაში შევიხედე და შუქი არ ანთია. წადი, ხვალ შეხვდით.

საქმეც ისაა, რომ ვეღარ შევხვდით. პირველ ხანებში იმედი მქონდა, თითონვე მომძებნის-მეთქი, მაგრამ არა, არ მოვიდა. როგორც დედა ამოირეცხა გულიდან, ისე ამომირეცხა მეც. აი უკვე ერთი თვე გავიდა იმ ღამიდან. მე თვითონ მისვლა არ შემიძლია. როგორც კი დავფიქრდები და გავიხსენებ როგორ მივსდევდი, რა სირცხვილი ვაჭამე მეეზოვესთან... ნამდვილად არ შემიძლია!

გამუდმებით მასზე ვფიქრობ. დავწვები — ვფიქრობ, ავდგები — ვფიქრობ, თვალებს დავხუჭავ და თითქოს ეკრანზე ვხედავო. სიყვარული? ეს რა სიყვარულია? უფრო ავადმყოფობას გავს. გაივლის? რა თქმა უნდა გაივლის. თქვენ როგორ ფიქრობთ?

□

სუზენ ჰილი

გამზრდელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა მერი ამაშუკელმა

სამს ხუთი წუთი აკლდა. მოხუცი კიბით სხვენზე აძვრა. ფრთხილად მიუყვებოდა კიბის საფეხურებს, — ის ყოველთვის ფრთხილობდა ამ ბოლო დროს. მძიმედ, დაკვირვებით ადგამდა ფეხს, თბილად ჩაუცმელი ავდარში შინიდან გარეთ არ გავიდოდა. რაც მართალი მართალია, არც კი ეგონა ამ ზამთარს თუ გაუძლებდა,— მოხუცდა, მთელი კვირა იავადმყოფა, ავადმყოფობის მერე ისევ სიკვდილის შიშმა შეიპყრო, ეგონა მოკვდებოდა. საკუთარი თავის დარდი არ ჰქონდა, ბიჭს რა ეშველებაო — ამას ნაღვლობდა. ბიჭი იყო მისი ფიქრი, მისი საზრუნავი. აი, რატომ უფრთხილდებოდა თავს. ცივი ზამთარი უკან ჩამოიტოვა, ახლა მარტი დგას, შეუძლია ერთხანს უყუროს გაზაფხულსა და მომავალ ზაფხულს, შეუძლია ერთხანს გული მშვიდად იქონიოს. ის ახლა მაგრად დგას ფეხზე; მაგრამ სიფრთხილეს მაინც თავი არ სტკივა. სამოცდათერთმეტი წლისაა. იცის, რა უბრალოდ შეიძლება წაიფორხილოს, დაცურდეს ვიწრო კიბეზე და მოიტეხოს ხელი ან ფეხი. გაკვეთილების მერე სკოლაში მარტოდმარტო დარჩენილ ბავშვს შეეშინდება, შეშფოთებული დაუწყებს ლოდინს. თუ სიკვდილს შიში არ ტანჯავდა. მოხუცს ლოგინად ჩავარდნის ან უღონობის ფიქრი არ ასვენებდა. ის რომ საავადმყოფოში წასაყვანი გახდეს, ბავშვს რა ეშველება? რა ეშველება ბავშვს?

მალე სამი საათი გახდება, ის ბედნიერი დრო, როცა მოხუცი ბიჭის მოსაყვანად გადის შინიდან. ის ახლა მიფორთხავს სიბნელეში გრილ სხვენზე, სათითაოდ სინჯავს ხელით ვაშლებს, ხან ერთს გახედავს სახურავის შიფერებს შუა შემოჭრილ შუქზე, ხან მეორეს, ცდილობს შეარჩიოს ყველაზე სალი, მწიფე და ლამაზი.

სხვენში შარშან შემოდგომაზე შენახული ვაშლისა და მსხლის სასიამოვნო სურნელი დგას. თავს ზემოთ ჩიტების ფრთხიალი შემოესმა. სახურავქვეშ ლავგარდანებზე მერცხლები ბუდეს იკეთებდნენ. გული სიამით აუძგერდა — კარს აპრილი მომდგარიყო, გაზაფხული მოსულიყო.

კიბეზე ფრთხილად ჩამოვიდა. ხელში საგულდაგულოდ შერჩეული ვაშლი ეჭირა. სკოლამდე გზას ოცი წუთი უნდებოდა, მაგრამ ადრიანად მისვლა უყ-

ვარდა, იქაურობისათვის თვალის გადავლება, მიხედ-მოხედვა და ჭიშკართან ლოდინი სიამოვნებდა.

მქრქალ ლურჯ ცაზე მზე ანათებდა, მაგრამ მაინც ძალზე ციოდა, ჰაერში ჯერ კიდევ ზამთრის სუნი იდგა. ამ ორიოდე კვირის წინ თოვლი იდო. მოხუცი და ბიჭი ყოველ დილა-ნაშუადღევს მიდიოდნენ და ბრუნდებოდნენ შინ ჭაობებზე გამავალი დამზრალი ბილიკით. ყინული გადაკვროდა ნაკადულს, რომელიც ბილიკს გვერდით მიუყვებოდა, გათოშილი, სამართებლის პირივით მოვერცხლისფრო-თეთრი ლერწმები გარინდებული იდგნენ.

თანდათან დათბა. გამჭვირვალე ჰაერი ნესტოებში ულიტინებდა მოხუცს. ირგვლივ არაფერი იძვროდა. ნაპირზე ბალახმოდებულ ფერდობზე მიმავალ ბილიკს აუყვა, შორს ფართოდ გაშლილ მდინარეს გადახედა, — წყალი მდორედ მიედინებოდა და ზამთრის მზეზე ლითონის ფირფიტასავით ლაპლაპებდა. ყველაფერი გაცრეცილი, უფერული და ვერცხლისფერი იყო. მდინარეს ლივლივით გადაუფრინა თოლიამ. ფრინველს ქვევიდან ნაცრისფერი მკერდი და ფრთები უჩანდა. ჩქამი არ ისმოდა, დროდადრო თუ დაიწრიპინებდა მექვიშია, აფრინდებოდა და ქვასავით დაეშვებოდა ძირს. ისმოდა მხოლოდ მოხუცის ფეხის ხმა და ფეხქვეშ გათელილი ხმელი ბალახის შარიშური.

იმედი არ ჰქონდა, ამ ზამთარს თუ გაატანდა. ხელში ვაშლი ეჭირა, დროდადრო მოსინჯავდა თითებით, ვაშლი მაგარი იყო და კრიალა. ბიჭმა ხილი უნდა ჭამოს, ყოველდღე უნდა ჭამოს ხილი, მოხუცი ამას ყურადღებას აქცევდა. ხილიც ისევე აუცილებელია, როგორც რძე და კვერცხი, რომელიც მათ ერთი მილის იქით მოლდრანის ფერმიდან მოჰქონდათ. ბიჭი მაღალი უნდა გაიზარდოს, ჯანსაღი უნდა იყოს.

მოლდრანის ძროხები ჭაობებს შუა პატარა კუნძულზე ბალახობდნენ. კუნძულს ფოლადისფერი წყალი შემოსდგომოდა ირგვლივ. მოლდრანი ძროხებს ფერმიდან კუნძულისაკენ ბოგირივით ვიწრო ბილიკით მორეკავდა. შორიდან ძროხები სათამაშოებსა თუ დახატულ ცხოველებს წააგავდნენ, იდგნენ უძრავად, როგორც მუყაოს შავ-თეთრი ფიგურები. ზოგჯერ, როცა ბიჭი ძროხების კუნძულს ჩაუვლიდა, შიში შეიპყრობდა, მაგრად ჩასჭიდებდა ხელს მოხუცს და დაიძაბებოდა.

„ძროხები შენ არ გერჩიან, ვერ ხედავ? ამ ჭაობში ვერც გამოვლენ, ეგენი ხომ ძროხები არიან, მაგათ შენთვის არა სცალიათ, თავისთვის ბალახობენ".

„ვიცი".

იცოდა ბიჭმა ეს და მაინც ეშინოდა. თუმცა კი ადრე რამდენჯერ მისულა ჭაობის პირას, დამდგარა და უცქერია ძროხებისათვის. რამდენჯერმე მოლდრანსაც გაჰყოლია, — შედგებოდა მაღლა გომურის შესასვლელთან და შესცქეროდა ძროხებს, ისუნთქავდა მძაღე სუნით გაჟღენთილ ჰაერს, ესმოდა ნეხვის ტყაპანი ქვის იატაკზე. მაშინ ბიჭს არ ეშინოდა. ძროხებს მსხვილი, ღონიერი უკანა ფეხები და უაზრო თვალები ჰქონდათ.

„მიდი ახლოს, ხელი გადაუსვი", –– უთხრა ერთხელ მოლდრანმა.

ბიჭი შეეიდა გომურში, მოშორებით დადგა, გადაიხარა, ხელი გაიწვდინა და ოდნავ შეეხო ძროხის ბეწვს. მსუბუქი ხელის შეხებაზე ძროხა ბუზის ნაკბენივით შეტოკდა, ზურგზე კანი შეუთრთოლდა. ბიჭს ახლა ძროხების ისე აღარ ეშინოდა. როგორ იცვლება ყველაფერი. ბავშვი იზრდება. უკვე შვიდი წლისაა.

ზოგჯერ მოხუცს ღამით ძილი გაუფრთხებოდა, შიში აიტანდა და ოფლს დაასხამდა — ვაითუ ბიჭის გაზრდას ვერ მოესწროს, და მაშინვე ღმერთს დაუწყებდა ვედრებას — ათი წელი, კიდევ ათი წელი ეცლია სიცოცხლე, ვიდრე ბიჭს ფეხზე დააყენებდა. ზოგჯერ მოხუცს იმედი მიეცემოდა, სჯეროდა, ყველაფერი კარგად იქნებოდა, მაშინ ის თავს ახალგაზრდად გრძნობდა, მხრებიდან წლების ტვირთი ეხსნებოდა, მკლავებში ძალა ემატებოდა, შეშის დაჩეხვაც შეეძლო და ვედროთი წყლის ამოტანაც არ უჭირდა. ჩიტივით იყო, წლები აღარ ამძიმებდა. ის სულ სამოცდათერმეტი წლისაა. მაღალი, გამხდარი, მკვრივი და ამართული კაცი, ხშირი ჭაღარა თმა აქვს. დაბანის დროს ტანზე რომ დაიხედავდა, შეეძლო სათითაოდ დაეთვალა ყოველი ნეკნი და სახსარი. მკლავს მოხრიდა და ხედავდა, როგორ ეძაბებოდა კუნთები კანქვეშ.

ბილიკმა მხარმარჯვნივ შეუხვია, წყლის ზედაპირმა მზეზე გაიბრწყინა. არეკლილმა მზის შუქმა წამით თვალი მოჭრა, მერე ორიოდე მილის სიშორიდან, ესტუარიდან მონაბერი ქარის ნაცნობი ყრუ წივილი შემოესმა, ლერწმებმა ერთბაშად ხმელი ტოტებივით გაიტკაცუნეს. პალტოს საყელო წამოიწია. მაგრამ ის ბედნიერია, გული სიხარულით ევსება, რადგან ახლა ბილიკზე მიაბიჯებს და პალტოს ჯიბეში ჩაყოფილ ხელში ვაშლი უჭირავს. უხარია, რომ ბიჭთან მივა, დაელოდება, შემდეგ კი ამავე ბილიკით უკან გამობრუნდება მასთან ერთად, რომ არაფერი ცუდი, რისიც მას ეშინოდა, არაფერი ცუდი არ მოხდება.

უკან მოიხედა, შორიდან კიდევ შეიძლებოდა ძროხების გარჩევა. ქვევით კი ლერწმებით დაბურულ ნაპირებს შუა წყალი ჩადიოდა. წყალში გედს მოკრა თვალი. გედს კისერი მოედრიკა, თავი შავად მოლაპლაპე წყალში ჩაემალა და გარინდებულიყო. მოხუცი წამით შედგა და გედს დააცქერდა, ქარის ყრუ წივილს ყური მიუგდო, შემობრუნდა და თვალი გაადევნა შორს გადაშლილ ჭაობებს, უფერულ სივრცეს, წყალსა და ზეცას, შორს, შორს მრავალი მილის იქით, სადაც ტყე იწყებოდა. იქით, სადაც მისი სახლი იდგა, იმის იქით, კი პირდაპირ ქვიშა ენასავით იჭრებოდა ესტუარიში.

რა საოცრებაა, რომ კიდევ ცოცხალია, ფიქრობდა მოხუცი, შეუძლია იმოძრაოს ამ პატარა მდილს ასეთ ვეებერთელა, ნათელსა და ცივ სივრცეში. საკვირველებაა, რომ მას აქ ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც მოლდრანის ძროხებსა და იმ გარინდულ გედს.

უეცრად სახეზე ცივმა ქარმა შემოუბერა. ოთხის თხუთმეტი წუთი იყო. ბილიკიდან გადაუხვია, ჩაუარა ღობეს და ნახნავში გადავიდა, ნახნავს იქით გზა მიდიოდა. ამ გზაზე, ასე ერთ მილზე, სოფლისაკენ, სკოლა იდგა.

ზოგჯერ მოხუცი დილა-ნაშუადღევის გარდა სხვა დროსაც მიდიოდა სკოლაში. უეცრად შეშფოთდებოდა და ბიჭის ნახვის სურვილი ისე აიტანდა, რომ მაშინვე სკოლისაკენ გამოეშურებოდა, რათა დარწმუნებულიყო, რომ ბიჭი ცოცხალია, იქ არის, სკოლაშია, რა საქმეც არ უნდა ჰქონოდა თავს მიანებებდა, სუნთქვაშეკრული ცუხცუხით გაიქცეოდა, ვიდრე სკოლის ღობეს არ მიაღწევდა და ჩარაზულ შავი ალაყაფის კართან არ შედგებოდა. თუ დიდხანს დაელოდებოდა, ან კიდევ სადილობის ან შესვენების დაწყების დრო იყო, მაშინ დაინახავდა, რა ნიაღვარივით მოაწყდებოდნენ მუჯლუგუნებითა და ხელისკვრით ბავშვები მწვანედ შეღებილ კარს. გაფოთებული მოხუცი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, ვიდრე ბიჭს დაინახავდა, მერე კი მოაჯირს ჩაჭიდებული ხელები მოუდუნდებო-

და, მკერდქვეშ აფართხალებული გული საგულეში ჩაუდგებოდა. ბიჭი მაშინვე მისკენ გამოქანდებოდა, გადმოჭრიდა მოასფალტებულ მოედანს და სიცილითა და ჭყივილით ღობეს მოადგებოდა.

„ჰელოუ!“

„ხომ კარგად ხარ!“

„რა მომიტანე? მომიტანე რამე?“

ეკითხებოდა ბიჭი, თუმცა წინასწარ იცოდა, რომ ვერაფერს ვერ მიიღებდა, არაფრის იმედი არ უნდა ჰქონოდა. მხოლოდ გაკვეთილების შემდეგ მისცემდნენ ვაშლს ან მსხალს, ზოგჯერ, ზაფხულობით, ალუბალს ან ატამს.

„გზად შემოვიარე“.

„მაღაზიაში იყავი?

„ჰო, ისე გამოვიარე. დაგხედე..“

„კითხვის გაკვეთილი გვქონდა. მერე ტაპიოკის პუდინგები დაგვირიგეს!“

„ტაპიოკა სასარგებლოა. აუცილებლად უნდა ჭამო ტაპიოკის პუდინგი. რასაც მოგიტანენ სადილად ყველაფერი უნდა შეჭამო“.

„შინ წასვლის დრო არ არის?“

„არა.. წასვლის დრო ჯერ არ არის“.

„წასვლის დროს ხომ მომაკითხავ? ხომ არ დაგავიწყდება მოსვლა?“

„განა ოდესმე დამვიწყნია შენთან მოსვლა?“

მერე მოხუცი პალტოს შეასწორებდა ან ნაჭრის ჩანთას ერთი ხელიდან მეორეში გადაინაცვლებდა და ბიჭს ჰიუბრუნდებოდა:

„ახლა წადი, გაიქეცი, ბავშვებთან ითამაშე“.

იცოდა, ასე სჯობდა, რა საჭიროა სხვების თვალწინ ასეთნაირად დააყენოს ბიჭი. ბოლოს და ბოლოს ის ხომ საკუთარი თავის დასამშვიდებლად მოვიდა აქ, გული რომ დაემოშვიდებინა. შიში და მოუსვენრობა გაექრო.

„აბა, ახლა გაიქეცი ამხანაგებთან“.

„მოხვალ ჩემ წასაყვანად? მოხვალ?“

„მოვალ“.

მერე მოხუცი შემობრუნდებოდა თავისი გზისაკენ, ორივენი შებრუნდებოდნენ თავ-თავიანთი გზებისაკენ, რადგან ორივე საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობდა და ამიტომ ორივეს საკუთარი გზა უნდა ჰქონოდა. მოხუცი გზისაკენ გადაუხვევდა, თავს უფლებას არ აძლევდა, უკან, სათამაშო მოედნისაკენ მიეხედა, ზოგჯერ მაღაზიაში შეუხვევდა და იყიდდა რამეს. ის ახლა მშვიდად იყო, აღარ შფოთავდა და დინჯად მიაბიჯებდა გზაზე.

მოხუცს არ ემძიმებოდა ასეთი წასვლა-წამოსვლა სკოლაში, თუნდაც ავდარი ყოფილიყო. მას არაფერი არ ამძიმებდა იმ ცხოვრებისა, რომელიც თავად აირჩია. ის მთელი არსებით გაეტაცა ამ ცხოვრების საქმეებს, მისთვის ყველა წვრილმანს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ის აღარ ფიქრობდა წარსულზე, სადღაც ამოიკითხა, მოხუცები მხოლოდ წარსულზე ფიქრით ცოცხლობენო. გააოცა ამან, თვითონ არ ფიქრობდა წარსულზე, ან თუ ფიქრობდა, დიდად არ წუხდა მასზე, მისი მოგონებები იმ ძველ წერილებს წააგავდა, რომელთა გადაყრა მას არ უმძიმდა. მოხუცს ჰქონდა აწმყო, — ჰქონდა სახლი, ეზო-გარემო და ჰყავდა ბიჭი, რომელსაც მოვლა სჭირდება, ამიტომაც თავს უნდა მოუაროს, უნდა იცოცხლოს, ჯერ არა აქვს სიკვდილის უფლება. აი, რა იყო მთავარი.

მაგრამ მოხუცი ხშირად როდი ინებივრებდა თავს ასე უდროო დროს სკოლაში სიარულით. ის აიძულებდა თავს დარჩენილიყო შინ, ფიზიკური შრომით დაეძლია მოუსვენრობა, დაეთრგუნა ბიჭის ნახვის, ამბის გაგების სურვილი. ლოგინს დაბერტყავდა, ბაღში ჩითილებს გადარგ-გადმორგავდა, გასხლავდა ან შემოუკაფავდა ხეხილს გარშემო ან ფერმაში მოლდრანს მიეხმარებოდა, წიწილას იყიდდა. დრო ნელა გადიოდა, მოხუცი კი მოუთმენლად ელოდა, როდის შესრულდებოდა სამი საათი, როცა შეეძლებოდა სკოლაში წასვლა, ის კი არა, მოხუცს შეეძლო საკუთარი თავისთვის სკოლაში ცოტა ადრე მისვლის სიამოვნებაც კი მიენიჭებინა, მისულიყო და დაეცადა უკვე გაღებულ ჭიშკართან, საიდანაც ბიჭი უნდა გამოსულიყო.

„რა მომიტანე?“

„აბა, გამოიცანი!“

„ვიცი. მსხალი!“

„ვერ გამოიცანი!“ — გაშალა ხელი მოხუცმა და ვაშლი გაუწოდა ბიჭს.

„ვაშლი! მე ვაშლი უფრო მიყვარს!“.

„ვიცი. ამ დილით ყველა ძირი სათითაოდ შევათვალიერე. წელს ნაკლები იქნება ვაშლის მოსავალი. მაგრამ მოსავალი კვირტში გამოჩნდებაო, როგორც ამბობენ, მანამ კი დანამდვილებით არაფრის თქმა არ შეიძლება“.

„შარშან ბევრი ვაშლი ესხა ხეებს, არა? ასი! ათასი!“

თქვა ბიჭმა და როცა მოსახვევს მიუახლოვდნენ, ხელი ჩასჭიდა მოხუცს. როგორც კი ცირცელის ბუჩქს გაუსწორდებოდნენ, ბიჭი რატომღაც მაშინ ჩასჭიდებდა ხელს მოხუცს.

„მილიონი ვაშლი ესხა ხეებს!“

„აბა, გააგრძელე თვლა“.

„ბევრი, ძალიან ბევრი!“

„ჰოდა, ამიტომაც წელს ბევრი ვაშლი აღარ ესხმება ხეებს. ვაშლის ხეებს ზედიზედ ორ წელს დიდი მოსავალი არ მოაქვს“.

„რატომ?“

„ხეებს ღლის ბევრი ნაყოფი. მათაც სჭირდებათ დასვენება“.

„სამაგიეროდ წელს მსხალი გვექნება ბევრი, არა?“

„ჰო, ასე მგონია. რა გააკეთეთ დღეს სკოლაში?“

„ბევრი რამე“.

„კითხვის გაკვეთილი მოამზადე? ხომ იცი, კითხვა მთავარია. ბევრი უნდა იკითხო“.

მოხუცმა სკოლაში შეყვანამდე ასწავლა ბიჭს წერა-კითხვა. სოფლის მაღაზიაში შეიძინა ანბანი და ნახატებიანი წიგნები. როცა ეს წიგნები კარგად შეისწავლეს, მოხუცმა თავად აკინძა სახელმძღვანელო. ჟურნალებიდან ამოჭრა სურათები, დააწება დახაზული ქაღალდის ფურცლებზე, და გვერდით მსხვილი გამოკვეთილი ასოებით გაუკეთა წარწერები. როცა ბიჭი სკოლაში შეკიდა, მან სხვა ბავშვებზე მეტი იცოდა. „ძალზე გონებაგახსნილი ბიჭია“, უთხრეს მოხუცს სკოლაში და ყურადღებით შეათვალიერეს ბავშვი. ბიჭი ძალზე პატარა იყო თავის ასაკთან შედარებით.

მოხუცს მოსვენებას არ აძლევდა იმის ფიქრი, რომ ბავშვი ნელა იზრდებოდა. იგი ყურადღებით აკვირდებოდა სხვა ბავშვებს, როცა ისინი სკოლის ჭიშკარში გამოჩნდებოდნენ. სხვა ბავშვები უფრო მაღლები, ჩასუქებული და კუნ-

თმაგრები იყვნენ. ბიჭს კი გაცრეცილი, უფერული და რაღაც უცნაურად დიდი ადამიანის სახე ჰქონდა. ის თავის თანატოლებზე უფროსი ჩანდა.

მოხუცი ახლა უფრო მეტად ზრუნავდა, რომ სახლში მუდამ ჰქონოდა ახალი კვერცხი, ყველი, რძე, ხილი. ჭამის დროს თვალს არ აცილებდა ბიჭს, ჭამით კი ბიჭი მადიანად ჭამდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დღეს სადილად ხორცი და კომპოსტო გვქონდა".

„სულ შეჭამე?"

„მეორე ულუფაც მოვითხოვე. მერე პუდინგის მაგივრად კრემიანი ნამცხვარი დაგვირიგეს. მე არ მიყვარს კრემიანი ნამცხვარი".

„არ შეჭამე?"

„შევჭამე, მაგრამ მაინც არ მომწონს კრემიანი ნამცხვარი".

ჭაობებთან რომ გაიდნენ, ჭაობის წყალი უფერული იყო, ცა გაფერმკრთალებული. წყლისპირზე მდგარი ლერწმები მზეზე წლობით ნაგდები ბერერი ხეებივით გამოთეთრებულიყო. ქარი გაძლიერდა, გზაზე მიმავალ მოხუცსა და ბიჭს ფეხებში შემოუბერა.

„აგერ გედი, ხედავ?"

„აქ მაგათ სადღაც ახლომახლო ბუდე აქვთ".

„გინახავს გედების ბუდე?"

გედები ბუდესთან არავის უშვებენ. თუ ვინმე მათკენ მიმავალი დაინახეს, მაშინვე ამოფრთხიალდებიან ბუდიდან და გაშორდებიან იქაურობას".

„მე გედი დავხატე".

„დღეს?"

„არა, დიდი ხნის წინ. არ გამომივიდა კარგი".

„როცა საქმე ერთხელ არ გამოგივა, ხელმეორედ უნდა სცადო".

„რატომ?"

„უკეთ გამოგივა".

„სულ ერთია, უკეთესად მე მაინც ვერ დავხატავ".

საკუთარ თავსა და სიმართლეში დარწმუნებული ბიჭი, როგორც ყოველთვის, ახლაც აზრიანად ლაპარაკობდა და მოხუცი იძულებული გახდა გაჩუმებულიყო, — არ შეიძლება ყურად არ იღო ასე დაჯერებულად ნათქვამი სიტყვა.

„ძალზე საზრიანი ბავშვია, ჭკვიანი ბიჭია", — უთხრა ერთხელ მოხუცს მოლდრანის ცოლმა.

მაგრამ მოხუცი ასე ადვილად არავის აძლევდა მისი განებივრების ან უბრალოდ შექების უფლებას.

„ჯერ კიდევ ბევრი უნდა ისწავლოს, ჯერ ბავშვია".

„მერე რა, ისწავლის, ძალიან გონებანათელი ბიჭია".

შესაძლოა, ეს იმიტომ ჩანდა ასე, რომ ბიჭი უცნაურ სიტყვებს ჩაურთავდა ხოლმე საუბარში და თანაც მეტისმეტად სერიოზულად იცოდა ლაპარაკი, რაც ალბათ იმით აიხსნებოდა, რომ იგი ბევრს კითხულობდა და მთელ დროს მხოლოდ მოხუცთან ატარებდა. მაგრამ მოუტანდა კი ბიჭს, როგორც სხვები ამბობდნენ, საკუთარი გონიერება და განვითარება რამე სიკეთეს?

ფიქრი არ ასვენებდა მოხუცს, სურდა პიჭს ადვილად ეპოვა ცხოვრებაში თავისი ადგილი, ყოველნაირად ცდილობდა არ შეეზღუდა. ხშირ-ხშირად აგზავნიდა ფერმაში მოლდრანის სანახავად, ხან ჰარპერის ჭაობზე, მეტყევის ბი-

ჰებთან სათამაშოდ. ხშირად არიგებდა ჭკუას, სკოლაში ამხანაგებთან ერთად ეთამაშა მოედანზე. ყოველთვის ბავშვებთან ყოფილიყო, რადგან დროდადრო ძალიან აკრთობდა მისი და ბიჭის ასეთი შეხმატკბილება. იმისიც ეშინოდა, ორნი ასე განმარტოებულად რომ ცხოვრობდნენ, რომ არავინ სჭირდებოდათ. ერთიც და მეორეც თითქმის ბედნიერი იყო, თუ შორს არ გასცდებოდნენ ამ სახლის კედლებს. ისინი საუბრობდნენ ყველაფერზე ან არაფერზე დუმდნენ. ბიჭი წიგნს კითხულობდა და გულმოდგინედ წერდა ფრინველებისა და მწერების სიას, ცარიელი ასანთის ყუთებით აშენებდა სახლებს, ციხე-კოშკებსა და სასახლეებს, ეხმარებოდა ბაღში, ფარდულის გვერდით საკუთარი ნაკვეთიც ჰქონდა, თესავდა და ახარებდა რაც სურდა. ასე ცხოვრობდნენ ისინი თავიდანვე, იმ დღიდან, როდესაც მოხუცმა ცხრა თვის ჩვილი აქ მოიყვანა, იატაკზე დასვა და ფორთხვა ასწავლა. მას შემდეგ ამ ორი ადამიანის სიცოცხლე თავისთავად გადაეჯაჭვა ერთმანეთს. მაშინ ბიჭი არავის სჭირდებოდა და არც არავინ იზრუნებდა მასზე მოხუცივით.

იმ ხანებში სოფელში ამ ამბავს ეჭვის თვალით შეხედეს. დაიწყო მითქმა-მოთქმა, ჭორაობა, ძრახვა.

„უქალოდ მაგათი ყოფნა არ იქნება, ვერ იარსებებენ, მაგათ ისეთი კაცი სჭირდებათ, ვინაც ბავშვის მოვლა იცის, ბავშვის ავ-კარგი გაეგება, საქმეს გაუძღვება".

თქვა მაშინ მოლდრანის ცოლმა, მაგრამ მერე იმანაც კი აღიარა, რომ არ იყო მართალი, ცდებოდა და მზად იყო თავგამოდებით დაეცვა ისინი სხვებთანაც.

„საუცხოო ყმაწვილია, ჯანმრთელი ბავშვია. ერთი შეხედეთ, შეხედეთ როგორია. არასოდეს არ იცის კაცმა, როგორ შემობრუნდება ცხოვრება, ვერასოდეს ვერ განსაზღვრავ მომავალს წინასწარ".

ისინი გზაზე გავიდნენ, გზა კურდღლისცოცხას ბუჩქებში მიდიოდა და წიწვნარში ტყეში იკარგებოდა. ისე ციოდა, როგორც ზამთარში იანვრის ღამეებში იცის. სახლში შეშა შეზიდეს. ვახშმად გახუხული პური და დარჩენილი შავი ქლიავის ჯემი მიირთვეს. ზედ თითო ტოლჩა ცხელი რძე დააყოლეს.

„ზამთრის დღესავით ცივა, მხოლოდ არ ბნელა. მიყვარს ზამთარი".

ახლა კი შუა მარტი იყო. ჭაობებზე ყანჩები და მსევანები ბუდეებს იკეთებდნენ. ტოროლები მაღლა ზეცაში ტრიალ-ტრიალით მისრიალებდნენ, სიჩუმეს კვეთდა მათი გალობა. უკვე თითქმის ნამდვილი გაზაფხული იდგა.

ასე ცხოვრობდნენ ისინი, ვიდრე ორი აპრილი არ მოვიდა. მერე კი, დერნაუში მათი გასეირნების მეორე დღეს, მოხდა ეს ამბავი, აი იმ დღის მერე, ჭაოლი რომ დაინახეს.

ადრე დილიდანვე უგუნებოდ იყო მოხუცი, თუმცა საიმისო მიზეზი არაფერი ჰქონდა, შიში გასჩენოდა. ეგ იყო მხოლოდ, ლოდივით რაღაც აწვა გულზე. იმ წუთიდან, რაც დილით ლოგინიდან წამოდგა, სახლში ადგილს ვერ პოულობდა.

ამინდი შეიცვალა. თბილოდა და ნესტი იდგა. შავ-მოყვითალო ღრუბლები დაბლა ჩამოწოლილიყო და ჭაობები მსუბუქ ნისლს მოებურა. მოხუცს გარეთ გაუწია გულმა, სიარული მოუნდა შეუსვენებელი, დაუსრულებელი სიარული. კოტეჯში ბნელოდა და შემაძრწუნებელი სიჩუმე იდგა. გარეთ გავიდა. ბაღის კიდეზე ხილის ხეებს ჩაუარა. პირველი კვირტები მწვანედ აფეთქებულიყო, ბა-

ლახი ცვარს დაენამა, თითქოს ოფლმა გამოჟონაო, ჰაერში ოდნავ შესამჩნევი შმორის მოტკბო სუნი იდგა.

ნაშუადღევს გზას გაუდგნენ. ბიჭს არაფერი უკითხავს. მას ყოველთვის უხაროდა, როცა სადმე მიდიოდნენ. მაგრამ როცა მოხუცმა გზის არჩევანი შესთავაზა, მაშინვე დაწინაურდა და იმ ბილიკს დაადგა, რომელიც [illegible]ველეთისაკენ უხვევდა, სოფლის გაღმა, თითქმის სამ მილზე უდაბურ ჭაობებზე გადიოდა და ზღვისაკენ მიემართებოდა. ისინი მდინარის ნაპირს მიუყვებოდნენ. ბიჭი დაიხარა და ხელით გააპო წყალი. როგორც კი თითებზე წყალმცენარეების ლბილი და დაკბილული ბოლოები შეეხო, მაშინვე ამოყო ხელი.

„ლორწოიანია".

„ჰო, წყალი თითქმის არ იძვრის, დამდგარია".

„ამ წყალში თევზი იცის?"

„ეცოდინება, მაგრამ, ალბათ, ცოტა"

არ მომწონს აქაურობა, — თქვა ბიჭმა. — თუმცა ერთხანს კიდევ იდგა და ჩასცქეროდა კენჭებს, რომლებიც ლერწმებს შუა მოჩანდა მდინარის ფსკერზე. „ყველაფერს კითხულობს, — ამბობდნენ მასზე სოფელში, — ყველაფერი აინტერესებს, მაშინვე შეატყობ, რომ სალი გონება აქვს, ფხიზელია, ცოცხალი. უნდა, ყველაფერი იცოდეს". თუმცა ზოგჯერ ხმას არ ამოიღებდა, პატარა, არაბავშვური სახე ფიქრებით ჰქონდა დაღარული, გიცქერდა, ყურადღებით გისმენდა და არაფერს გეკითხებოდა.

„აქ ხომ შეიძლება დაიხრჩო, ჩაიძირები წყალში და ვეღარასოდეს, ვეღარასოდეს გიპოვნიან".

„ამას რატომ ფიქრობ, შენ ეგ რატომ თქვი?"

„ხომ შეიძლება, ხომ შეიძლება აქ მოკვდეს კაცი".

ბიჭი წინ მიდიოდა, მოხუცი ნაბიჯში ედგა და ისე მიუყვებოდნენ გზას, ლერწმებში ჩამალული ბუდეებიდან ხან ბარტყების ჭიკჭიკი და ძღურტული, ხანაც დამფრთხალი და შეშფოთებული ჭიკჭიკი მოისმოდა. ზედიზედ გაისმა კრონშნეპის ხმამაღალი, ნაღვლიანი ძახილი და უეცრად მიწყდა. ბიჭმა სტვენით მიბაძა ჩიტს.

„მიხვდება, რომ მე ვუსტვენ? აბა, თუ გამომეპასუხება?"

ბიჭმა ისევ დაუსტვინა, მერე შედგნენ და ყური მიუგდეს.

ჩიტი დუმდა, იმედგაცრუებულ ბიჭს სახე მოეღრუბლა.

„ჩიტებს აგრე ადვილად ვერ მოატყუებ".

„შავი შაშვი ხომ მიპასუხებს. შაშვები ადვილად ტყუვდებიან".

„ჩიტებშიც არის განსხვავება".

„რატომ?"

„შავი შაშვი მოშინაურებული ჩიტია, ბაღში იკეთებს ბუდეს".

„კრონშნეპები არ მოდიან ბაღში?"

„არა".

„რატომ?"

„კრონშნეპს ადამიანის საცხოვრებლიდან შორს უყვარს ყოფნა. მაგათ თავიანთ გამორჩეულ ადგილებში იციან დაბუდება".

რაც უფრო წინ მიდიოდნენ, ჰაერი მით უფრო მეტად ჩამოიხუთა. გაქრა ნელდა სუნთქვა. თვალი ვეღარ არჩევდა სად ერწყმოდა ჭაობი და ნისლი ცას. წყალში ხან აქ, ხან იქ გამოჩნდებოდა მღვრიე მორევი ან ნაღვარევი. წყალი ამ ადგილებში წითლად იყო შეღებილი კონსერვის თუნუქის ქილისა თუ ბოთ-

ლების ჩასაწყობი ლითონის ყუთის ქანგისაგან, რომლებიც ვიღაცას მოესროლა წყალში და წლების მანძილზე ეყარა იქ. შედედებული სისხლის მსგავსი ლაქები წყალში იშლებოდა. წყლის თავზე გუნდ-გუნდად ირეოდნენ კოღოები.

„ნაპირთან მივიდეთ?"

„რატომ არა, ნაპირთანაც შეგვიძლია მისვლა".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„იქნებ რამე ვიპოვოთ".

ისინი ხშირად ნახულობდნენ კენჭებში მოქცევის დროს გამორიყული ყვითელი ქარვისა და გიშრის ნატეხებს, ძველ ბალთებსა და ღილებს, წყლისაგან გადარეცხილ მონეტებს. ბიჭს აქ ნაპოვნი ნივთების მთელი კოლექცია ჰქონდა თავის ოთახში მუყაოს ყუთში შენახული.

მოხუცი და ბიჭი გზას განაგრძობდნენ. უეცრად გარს ჩამოწოლილ, მძიმე სქელ სიჩუმეში ფრთების ფართხუნი გაისმა. ხმაური თანდათან ახლოვდებოდა, გეგონებოდათ, ორ ფიცარს ერთმანეთს ურტყამენო. არწივივით ვეებერთელა გედმა გზაზე მიმავალ მგზავრებს დაბლა თავზე გადაუფრინა. ბიჭმა წამით მაღლა აიხედა, ფრინველი ისე დიდი იყო და ისე დაბლა მიფრინავდა, რომ შიშისაგან სუნთქვა შეეკრა.

„გედები ხომ ესხმიან თავს ადამიანებს? გედი რომ თავს დაგაცხრეს და ფრთა შემოგარტყას, შეიძლება მკლავიც მოგტეხოს, არა?" — იკითხა აღელვებულმა ბიჭმა.

„ჰო, მაგრამ, გედები ადამიანებს ყურადღებას არ აქცევენ. წამოდი, წავიდეთ ჩვენს გზაზე, ჩიტებმა კი იფრინონ თავისუფლად".

„ხომ შეუძლიათ დაგიშაონ რამე, ხომ შეუძლიათ?"

„ჰო, რა თქმა უნდა, შეუძლიათ". — მიუგო მოხუცმა და თვალი გააყოლა ზღვისაკენ ულაზათოდ გაფრენილ მონაცრისფრო თეთრ ფრინველს.

ასიოდე იარდზე, ჭაობებზე გამავალი ორი ბილიკის შესაყარზე, წლების წინ ხანძრით გარუჯული, ნახევრად დანგრეული, ფრთაჩამოგდებული წყლის წისქვილი იდგა. შიგნით, თუ მის თაღიან კარში შეხვიდოდი, ბნელოდა და ნესტი იგრძნობოდა, კედლებს მოყვითალო ხავსი მოსდებოდა, მიწის იატაკზე ადგილ-ადგილ მარილიანი წუმპე ჩანდა.

პაპანაქება ზაფხულის ცხელ, ცისფრად მოციალე დღეებში ისინი ხშირად მოდიოდნენ ამ გზით სანაპიროზე, თან სასაუზმოდ საჭმლით სავსე ბადურა მიჰქონდათ. ასეთ დროს გრილი და წყნარი წყლის წისქვილი სწორედ რომ შესაფერი თავშესაფარი იყო. ბიჭი შევიდოდა შიგ, შედგებოდა, ხმადაბლა გამოსძახებდა მოხუცს და ყურს მიუგდებდა მსუბუქად დარხეული ხმის ექოს, რომელსაც წისქვილის კედლები გამოსცემდა.

ბიჭი ახლა წისქვილის მოშორებით შედგა ბილიკზე.

„არ მინდა წამოსვლა".

„ჩვენ ხომ სანაპიროზე მივდივართ".

„წისქვილს ნუ ჩაუვლით"

„წისქვილს?"

„წისქვილში ვირთხები არიან".

„არა, წისქვილში ვირთხები არ არიან!"

„რომ დაფრინავენ აი ისინი? შავები, თავდაყირა რომ იციან დაკიდება".

„ღამურები? ღამურებმა შეგაშინეს? შენ ხომ ადრეც გინახავს ღამურა მოლდრანის გომურში. ღამურები არავის არაფერს არ უშავებენ".

„შინ დავბრუნდეთ“.

„წისქვილში შესვლა აუცილებელი არ არის, თუ გინდა ნუ შეხვალ, ჩვენ ხომ ზღვის სანაპიროზე მივდივართ“.

„უკან დავბრუნდეთ, ახლავე დავბრუნდეთ“.

ბიჭი მშიშარა არ იყო, მაგრამ ახლა ამ მიყრუებულ ვრცელ ჭაობებს შორის მდგარი მოხუცი თავადაც შეძრწუნდა, შიშმა შეიპყრო, რაღაც უნდა მოხდეს, რაღაც მოხდება აი აქ, სადაც ყველაფერი ჩამკვდარია, ჩიტებიც კი მიყუჟულან და მხოლოდ იდუმალ ხმაზე ქოთქოთებენ. სადაც ყველაფერი წყალს დაუფარავს და ჰაერი ისეა ჩამოხუთული, რომ ოფლი ღვარად ჩასდის ზურგში, რაღაც მოხდება, რაღაც... მაგრამ რა? რა შეიძლება მოხდეს?

შემდეგ შორიახლოს ორივემ თითქმის ერთდროულად დაინახა იგი — მღვრიე სივრცის ფონზე იდგა ილლიაში თოფამოჩრილი, მაღალი, ყვავივით ავად მზირალი კაცი. სწორედ ამ დროს ორივემ ერთსა და იმავე წამში მოჰკრა თვალი ლერწმებში მიმალული ბუდეებიდან მოულოდნელად ამოვარდნილ ორ დამფრთხალ გარეულ იხვს. გაისმა თოფის ხმა, სამჯერ ზედიზედ დაიჭექა თოფმა. სივრცე გაიპო, რამდენიმე წილზე ირგვლივ ექო გავრცელდა და ჰაერი შეაცახცახა შემაძრწუნებელმა ქუხილმა.

გულგანგმირული იხვები ჰაერში შეტოკდნენ, გადაქანდნენ, ამოტრიალდნენ და ქვასავით დაეშვნენ მიწაზე. თოფიანი კაცი წინ გაიჭრა. სადაც კი ნადავლის მოსატანად გავარდნილი ძაღლი გაიშლიგინებდა. ლერწმები და ბალახი თავს ხრიდა და ირწეოდა.

„შინ წასვლა მინდა, შინ მინდა წასვლა“.

მოხუცმა უხმოდ ჩასჭიდა ბიჭს ხელი. ისინი სწრაფად გამობრუნდნენ უკან იმავე გზით, თითქოს ეშინოდათ, რომ მათაც გამოედევნებოდა ვიღაცა და ძირს დაანარცხებდა. ისე აეტანა სურვილს რაც შეიძლება მალე გასცლოდნენ აქაურობას, გადასულიყვნენ გზაზე, შეფარებოდნენ ხეებს და გასდგომოდნენ შინისაკენ მიმავალ გზას, რომ ერთიანად ოფლში გაღვრილები ძლივსღა სუნთქავდნენ და მაინც არ ჩერდებოდნენ.

არასოდეს ამის შემდეგ ბიჭსა და მოხუცს ეს ამბავი არ გაუხსენებიათ. არც იმაზე დაუძრავთ სიტყვა, რას განიცდიდნენ, როცა ჭაობებზე გამორბოდნენ. ბიჭს ერთხელაც არ უხსენებია თოფიანი კაცი და ის იხვები, რომლებიც წამის წინ ჰაერში მიფრინავდნენ და უეცრად ჰაერშივე ამოხდათ სული. მოხუცი მთელი საღამო თვალს არ აშორებდა ბიჭს. შესცქეროდა როგორ აწებებდა სურათებს, როგორ კრეფდა მჟაუნას ფოთლებს კურდღლისათვის, სურდა გაეგო, ხომ არ გამოჰყვა ბავშვს შიში. ბიჭი თითქოს ჩვეულებრივზე მეტად მიწყნარებულიყო, იყო თავისთვის შუბლშეკრული და ფიქრებში წასული.

შუაღამისას მოხუცს გაეღვიძა, წამოდგა, მივიდა ბიჭთან და დახედა სიბნელეში, — ფიქრი ჩაჰყვა, — ბიჭმა ცუდი სიზმარი არ ნახოს, არ გაეღვიძოს, არ შეშინდესო. მაგრამ ოთახში ბავშვის უშფოთველი სუნთქვა ისმოდა მხოლოდ. ბავშვი ლოგინში გაშხვართულიყო და მშვიდად ეძინა.

მოხუცმა ბიჭის მომავალი წარმოიდგინა, თავში ათასგვარი ფიქრი დაუტრიალდა; რამდენი უსიამოვნო ამბავი შეიძლება შეემთხვეს ბიჭს, რამდენი თავზარდამცემი ამბავი შეიძლება დაატყდეს თავს, შეაცბუნოს, გული ატკინოს, გააუბედუროს. ის კი უმწეოა და ვერ დაიფარავს, ისევე როგორც ვერ დაიფარა დღეს, ვერ მოახერხა, რომ არ ენახა ბავშვს როგორ მოკლა კაცმა ფრინველები.

მოხუცი სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. მხოლოდ მეორე დილით იგრძნო შვება, როცა კვლავ გაიაზრა ყველაფერი, — ბოლოს და ბოლოს მან არ გაუძლო ამ ზამთარს? წინ კი მათ მხოლოდ სინათლე, სითბო, სიმწვანე ელით.

და მაინც სადღაც, გულის სიღრმეში გრძნობდა, რომ რაღაც შეემთხვეოდათ, რომ რაღაც აამღვრევდა მათ სიმშვიდეს, დაარღვევდა მათ მყუდროებას. თითქმის ერთ კვირაზე მეტი გავიდა. ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, მოხუცს შიში მიუყუჩდა. გაზაფხული დადგა. ვაშლისა და მსხლის ყვავილებით დატვირთული ტოტები დაბლა იზნიქებოდა და ვეებერთელა ნაღების გუნდებს წააგავდა. ხეხილის ბაღში ბალახი ისე გაიზარდა, ბიჭს მუხლამდე სწვდებოდა, ჭაობებს მზე დაჰნათოდა, მდინარეში წყალი ფირუზისფერი იყო, ნაკადულებში — გამჭვირვალე, კამკამა, როგორც ბროლი. ქარს სითბო, მარილისა და მიწის სურნელი მოჰქონდა. სკოლისაკენ მიმავალ და მომავალ მოხუცსა და ბიჭს თავს ზემოთ, მაღლა ცაში იმდენი ტოროლა დასტრიალებდა, რამდენიც არც ერთ გაზაფხულს. კურდღლისცოცხას ბუჩქებში ბიჭი კურდღლისა და ბაჭიების სოროს გადააწყდა. სხვენზე, სადაც ვაშლები ეწყო, მერცხლებმა ბარტყები დაჩეკეს, ხოლო გზისპირზე ბალახში ოქროსფრად ბრწყინავდა ბაია და ბაბუაწვერა.

პარასკევს მოლდრანმა ბიჭს კატის კნუტი აჩუქა, ბიჭმა მოლდრანის ძროხებივით შავ-თეთრი კნუტი შინ უბეში ჩასმული მიიყვანა. მეორე დღეს კი, გაზაფხულის პირველი კვირის ბოლოს, მოვიდა ბლეიდონი, გილბერტ ბლეიდონი, ბიჭის მამა.

მოხუცი გარეთ კარის ზღურბლთან იჯდა და თვალს ადევნებდა წიწვნარის თავზე მონავარდე კაკაჩას, როცა ფეხის ხმა შემოესმა. მოლდრანი თუ მოდის, კვერცხები ან წიწილა თუ მოაქვსო, გაიფიქრა. მოლდრანმა, ჩვეულებრივ, კვირაში ერთხელ საღამოობით იცოდა მოსვლა. იმ დროს, როცა ბიჭს უკვე ეძინა. ისინი თითო ჭიქა ლუდს დალევდნენ და ნახევარ საათს მაინც მასლაათობდნენ. მოლდრანი უბრალოდ კაცი იყო, თავპატიჟის გადება არ იცოდა. თუმცა ისინი ბატონობით — „მისტერ ბაუსი“, „მისტერ მოლდრან“, ასე მიმართავდნენ ერთმანეთს.

კაკაჩა თავის აჩემებულ გზაზე დაფრინავდა ჰაერში, გაფრინდებოდა და გამოფრინდებოდა, თითქოს რაღაცას დაეძებსო.

როცა მოხუცმა ჩიტს თვალი მოაშორა, კაცი უკვე მის წინ იდგა ბილიკზე. ხელში ბრეზენტის ჩანთა ეკავა.

ახლა მიხვდა მოხუცი თავისი მოუსვენრობის მიზეზს. ელოდა ამას, გრძნობდა, რაღაც უნდა მომხდარიყო, თუმცა როცა მზიანი დარი დაიჭირა და ხეები გაიფოთლა, მოხუცმა წაუყრუა შიშს, მიაყუჩა სადღაც გონებაში. ბლეიდონის დანახვაზე მოხუცს მტრობა არ უგრძნია. ძალა წაერთვა მხოლოდ, თითქოს მძიმე ავადმყოფი ყოფილიყოს.

მოხუცს ეჭვიც არ ეპარებოდა, ვინ იყო ეს კაცი, თუმცა კი წესით თვალებისთვის თითქოს არ უნდა დაეჯერებინა. ვინმეს რომ ბიჭის მამის ამბავი ეკითხა, დანამდვილებით ეტყოდა, რომ ბიჭის მამას აღარასოდეს აღარ ნახავდა, მაგრამ აი, გილბერტ ბლეიდონი მის წინ იდგა და მოხუცს არ უკვირდა, პირიქით, ახლა ეს თითქოს გარდაუვალიც კი ეჩვენებოდა. ყველაფერი იცვლება, არაფერი მუდმივი არ არის და ბედნიერებასაც აქვს დასასრული.

„დარჩები?"

ბლეიდონი ნელა წამოვიდა წინ, ერთხანს შეყოვმანდა, მერე ჩანთა ფეხებთან დაადგო, ხანი დაეყობოდა.

„არ ვიცი, თუ მოსახერხებელია?"

„სახლში ადგილი არის, ჩვენს სახლში ყოველთვის არის ადგილი".

შეცბუნებული მოხუცის თავს გუგუნი გაუდიოდა. ალბათ [illegible] რამე, დასალევი შევთავაზო ან სკამი დავუდგა, — გაიფიქრა მოხუცმა, — [illegible] გამოვუძებნო, რამე ვუთხრა ბიჭზე. ბიჭზე, ვკითხო რამე, მაგრამ პასუხის გაგება არ მინდა.

„წასაყვანად მოხვედი?"

ბლეიდონი ბალში მაგიდასთან სკამზე ჩამოჯდა; ბიჭი მამას ჰგავს, ისეთივე დაბალი შუბლი და ვიწრო, გრძელი ნიკაპი აქვს, ისეთივე კეხიანი ცხვირი, მხოლოდ ტუჩ-პირი ჰქონდა სხვანაირი და ისიც ალბათ იმიტომ, რომ ბიჭი ჯერ პატარა იყო.

„ბიჭის წასაყვანად მოხვედი?"

„სად წავიყვან, — მიაპყრო კაცმა მოხუცს თვალები, — სად უნდა წავიყვანო?

ჰო, მაგრამ, რაღად მოდიოდი, არ გვჭირდები! — კაივლო გონებაში მოხუცმა, — არავინ არ გვინდა! ფართოხელებიანი, მაგიდის ქვეშ ფეხებგაშხვართული ამ ახალგაზრდა კაცის შემოჭრა მოხუცისათვის დიდი გულმოდგინებით ჩამოსხმული ცხოვრების ყალიბის ძალმომრეობით დამსხვრევას ნიშნავდა. ეს კაცი უცხო იყო მათთვის, არ გვინდიხარ!

მაგრამ აქვს მოხუცს ამის ხმამაღლა თქმის უფლება? და მოხუცს არაფერი უთქვამს. წამოდგა უმწეოდ, არ იცოდა რა მოხდებოდა შემდეგ, შეშფოთებისა და უხერხულობისაგან გონება ემღვრეოდა, ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მოტყდა, დაბერდა ერთბაშად.

ბოლოს მოახერხა ხმის ამოღება:

„შენ ალბათ მშიერი ხარ".

ბლეიდონი მოხუცს დააცქერდა.

„არ გაინტერესებს, საიდან მოვედი?"

„არა".

„არა".

„მოშუშული ხორცი მაქვს, ერთი თეფში საჭმელი არ გაწყენს".

„ბიჭი სად არის?"

„სად იქნება, წევს თავის საწოლში და სძინავს, ვიცი რაც მევალება და ვუვლი, ახლა ცხრის ნახევარია, ასე არ არის? ამ დროს სხვა რა უნდა გააკეთოს, წევს და სძინავს".

მოხუცმა იგრძნო, როგორ აუწია ხმას და მოაჩქარა ლაპარაკს, თავს იცავდა, ბიჭსაც იცავდა და საკუთარ თავსაც, ის დაუმტკიცებს მამას და ყველას, ვისაც გნებავთ, როგორ უვლის ბიჭს. უნდოდა ეკითხა — სად იყავი, როგორა ხარ, რა გააკეთე ბიჭისათვისო, მაგრამ შეეშინდა, — მან ხომ არ იცის, რა უფლებები აქვს ბლეიდონს, გინდაც ახლოს არ გაეკარებოდეს ბიჭს, გინდაც არასოდეს ეზრუნოს მასზე.

„ხომ შეიძლებოდა მომკვდარიყავი".

„ასე ფიქრობდი?"

„რა უნდა მეფიქრა, თქვენი ამბავი არაფერი ვიცოდი".

„ჰო, რა თქმა უნდა“.

მოხუცმა უეცრად თვალი შეავლო. რა ქვასავით დაეშვა ძირს კაკაჩა, და თავს დააცხრა ფიჭვის ქალაში მოფუთფუთე რაღაც არსებას. ცას შეწამული ფერი ედო, ჩიტავაშლა საოცრად ტკბილ სურნელს აფრქვევდა.

„აი, ხედავ? ცოცხალი ვარ“.

მოხუცმა შეამჩნია, ბლეიდონი დაღლილი იყო, ჭუჭყიანი, გაუპარსავი. ლურჯი შალის სვიტერის საყელოზე თმები ჩავარდნოდა. რა უნდა უთხრას ბიჭს, ის ხომ გამუდმებით სისუფთავის სიყვარულს უნერგავდა პატარობიდან, აჩვევდა წესრიგსა და სიფაქიზეს. სოფელში ერთ ქალთან დაქონდა ბავშვის ტანსაცმელი დასაკერ-დასაკემსად. თავად კრეჭდა და ბანდა თავს. ახლა? ახლა რა უთხრას ამ კაცზე?

„აქ ცხელი წყალია, წავალ, თეთრეულს მოვიტან და ლოგინს გაგიშლი. სანამ სუფრას გავაწყობდე, სჯობს დაიბანო“.

მოხუცი სამზარეულოში გავიდა, აიღო ბოთლი და ტოლჩა, გადმოასხა ლუდი. გონების მოკრების აუცილებლობამ და მიდგომ-მოდგომამ ოდნავ დაამშვიდა.

როცა მოხუცი ტოლჩით ხელში ბაღში გავიდა, ბლეიდონი ისევ ისე სკამზე ზურგმიყრდნობილი იჯდა. თვალებქვეშ უპეები ჩალურჯებოდა.

„ზევით რომ ახვალ, აიტანე“, — უთხრა მოხუცმა და ტოლჩა გაუწოდა.

თითქმის სულ მთლად ჩამობნელდა. ბლეიდონმა გვიან, გვიან გაუწოდა ხელი, ტოლჩა ჩამოართვა და ოთხიოდე თუ ხუთიოდე ყლუპით დაცალა. მერე შებოჭილივით მძიმედ წამოდგა ზეზე, ხელში აიღო აბგა და სახლისაკენ წავიდა.

სუფრის გაწყობის დროს მოხუცი ერთიანად ცახცახებდა. „ბლეიდონი ბიჭის წასაყვანად მოვიდა“. მოხუცი ცდილობდა როგორმე თავიდან განედევნა ფიქრი, ტვინს რომ უბურღავდა.

მერე ბლეიდონს გასძახა, როცა პასუხი არავინ გასცა, კიბეზე ავიდა, ბლეიდონი პირქვე დამხობილიყო გადაუფარებელ ლოგინზე და მკვდარივით ეძინა.

სანამ ბლეიდონს ეძინა, მოხუცი მომავალ დილაზე ფიქრობდა, — ხვალ შაბათია, ბიჭი სკოლაში წასასვლელი არ არის, გაიღვიძებს დილით, ჩაივა ქვევით და ბლეიდონს შეხვდება.

მოხუცს ბიჭისათვის ნათქვამი ჰქონდა, დედაშენი გარდაიცვალა, მამა კი შორს გაემგზავრაო. და ეს სიმართლე იყო, მაგრამ მოხუცს ეჭვი ეპარებოდა — ახსოვდა კი ბიჭს მისი ნათქვამი? მხოლოდ ერთადერთხელ იკითხა ბავშვმა რაღაც, ისიც ამ ორი წლის წინათ, ეგ იყო და ეგ.

მოხუცი და ბიჭი თავს კარგად გრძნობდნენ ერთად და არავინ სხვა არ სჭირდებოდათ.

მოხუცი სკამზე იჯდა სიბნელეში. ფოთლით ეხილავი მცენარეებისა და ჩიტავაშლას სურნელში ჩაძირული ცდილობდა წარმოედგინა, რისი თქმა დასჭირდებოდა ხვალ.

„ეს კაცი მამაა შენი. ყველა ბიჭს ჰყავს მამა. მამაშენი დაბრუნდა. და ჩვენთან დარჩება ერთხანს, ანდა შესაძლოა, მხოლოდ რამდენიმე დღეს. მას გილბერტ ბლეიდონი ჰქვია, შენ მას „მამას“ დაუძახებ, დაუძახებ?..“

„ეს არის...“

ყოველი მისი აზრი და ფიქრი თითქოს ციცაბო კლდეს ეხეთქებოდა და იმსხვრეოდა, თვითონ კი იჯდა ისევ სკამზე. ხელები უილაჯოდ დაეწყო მაგიდა-

ზე და ალარაფერზე ალარ ფიქრობდა. სამზარეულოში თეთრ თეფშებზე ხორცი გაცივდა. ამას წინათ მოლდრანის ფერმიდან მოყვანილი ჭრელი კატის კნუტი ძველ მწვანე ჯემპრზე მოკალათებულიყო და ეძინა. ეძინა კნუტს, ეძინა ბიჭსა და ბიჭის მამას. ყველას ეძინა. ჭალიდან თხაწოვიების ხრინწიანი მოძახილი მოისმოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ახლა გაემზადეთ სასაუზმოდ, წუხელ შენ არაფერი გიჭამია".

„ძალიან მეძინებოდა".

„გეშიება", — მოხუცი ზურგშექცეული იდგა ბლეიდონისაკენ, — ღუმელთან ტაფასა და თეფშებს დასტრიალებდა. ნეტავ რამ დაღალა ასე; გუშინ საღამოს მერე აქამდე, გაუხდელს, გაუშლელ ლოგინზე მკვდარივით ეძინა. მაგრამ მოხუცს არ უნდოდა სცოდნოდა მიზეზი და არც კითხვის სურვილი ჰქონდა.

სამზარეულოს კარი ღია იყო, კარის წინ მიმავალი ბილიკი ქვევით უხვევდა ბოსტნეულის კვლებს, ცერცვის სარებსა და მოცხარის ბუჩქებს შორის და ჭალისაკენ მიემართებოდა. ბლეიდონი კარში შედგა.

„შეჭამე ეს ორი კვერცხი".

„თუ..."

„კვერცხი ბევრი გვაქვს", — მოხუცი ცდილობდა ბლეიდონის ყურადღება სხვა საგანზე გადაეტანა, გამოლაპარაკებოდა, ნიადაგი შეემზადებინა. ბიჭი სადღაც იქვე იყო, ბაღის ბოლოში.

„ცივი ზამთარი გამოვიარეთ წელს".

„მართლა?"

„მუხლამდე თოვლი იდო მთელი იანვარი და თებერვალი, კარს ძლივს ვაღებდით, რომ გზა გაგვეკვალა. მერე იყო და ყინვამ მოუჭირა. ჭაობებს ერთიანად შენი მუჭის სისქე ყინული ჰქონდა გადაკრული. ასეთი ყინვა ჩემს ცხოვრებაში არ მახსოვს".

მაგრამ ახლა გაზაფხული იდგა, მწვანედ ხასხასებდა ახლად ამოწვერილი ბალახი, ახლად გამოკვირტული ფოთლები, ახლა მზე ანათებდა.

მოხუცმა დანა-ჩანგლის დაწყობა დაიწყო სამზარეულოს მაგიდაზე. არა, მოსახდენი უნდა მოხდეს. უნდა დაუძახოს ბიჭს, უნდა შეახვედროს ერთმანეთს, რას იტყვის ბიჭი? გული შეეკუმშა, აუძგერდა და ბაგაბუგი დაუწყო გამხდარ მკერდში.

ბლეიდონს დაჭმუჭნილი, თითქოს დაღეჭილი და უსუფთაო ტანსაცმელი ეცვა. ნეტავ თუ დაიბანა? მოხუცმა სცადა მისი ხელებისათვის შეეხედა.

„კარგი იქნება, თუ რამე სამუშაოს ვიშოვი", — თქვა ბლეიდონმა.

მოხუცი ყურადღებით შეაცქერდა.

„უნდა მოვძებნო სამუშაო".

„აქ?"

„სადმე ახლომახლო არ არის რამე სამუშაო?"

„შეიძლება იყოს, მე არ დამჭირვებია კითხვა. შეიძლება იყოს".

„თუ აქ დავრჩი, უნდა ვიმუშაო".

„ჰო, რა თქმა უნდა".

„მე მგონია, ასე აჯობებს, ხელს შეგიწყობთ".

„ისე მოიქეცი როგორც საჭიროდ მიგაჩნია, როგორც შენთვის მოსახერხებელი იქნება. შენვე უნდა გადაწყვიტო შენი საქმე".

„მინდა წილში შემოგიდგეთ".

„თუ ბიჭი გადარდებს, შეგიძლია არ შეწუხდე. ბიჭი კარგად არის და ყველაფრით უზრუნველყოფილია. შენ არ დაგჭირდება მის შესანახ ფულზე ფიქრი“.

„სულ ერთია...“

ერთი წუთის შემდეგ ბლეიდონი მივიდა მაგიდასთან და დაჯდა.

ახალგაზრდაა, გაიფიქრა მოხუცმა, ახალგაზრდა და ძლიერი, ჯანთმაგარი, ახოვანი. დასარჩენად ჩამოვიდა. მას ყველაფრის უფლება აქვს. ის ხომ მამაა, ის, ის...

მაგრამ მოხუცს არ უნდოდა ჩაერია ეს კაცი თავისა და ბიჭის ცხოვრებაში. არ უნდოდა, არ სჭირდებოდა მაგიდაზე დაწყობილი ეს ვეებრთელა ხელები და მაგიდის ქვეშ გაშხვართული გრძელი ფეხები.

„იკითხე ფერმაში, შეიძლება მოლდრანის ფერმაში ჰქონდეთ რამე სამუშაო შენთვის, სცადე“, — მიუგო მოხუცმა.

„მოლდრანის ფერმაში?“

„ჰო, შეიძლება ჰქონდეთ რამე უბრალო, ფიზიკური სამუშაო“.

„რჩევას არ დავიწყებ“.

მოხუცმა თეფშებზე დააწყო კვერცხები, შებრაწული პური და ბეკონი, დაასხა ჩაი, საშაქრეში ჩაყარა შაქარი და ახლა ისღა დარჩა, რომ ბიჭისთვის დაეძახებინა.

მაგრამ შიში არ გაუმართლდა. ბოლოს და ბოლოს არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა.

ბიჭი შემოვიდა.

„ხელები დაიბანე“, — უთხრა მოხუცმა, მაგრამ თქმა არ უნდოდა, ბიჭი მაშინვე გაემართა ხელის დასაბანად. ბიჭი ფაქიზად იყო გაზრდილი. მოხუცის სიტყვები მისთვის ბრძანება კი არა, მათ შორის დადგენილი წესი იყო.

„ხელები დაიბანე“.

„მე აქ დასარჩენად ჩამოვედი, — თქვა ბლეიდონმა უეცრად, — ერთხანს დავრჩები, გუშინ საღამოს ჩამოვედი“.

ბიჭი შუა ოთახში შედგა, ჯერ ერთს შეხედა, მერე მეორეს, ცდილობდა გამოეცნო რას ნიშნავდა ყოველდღიური ცხოვრების წესის ასეთი უეცარი ცვლილება.

„ერთი ან ორი კვირით. — თქვა მოხუცმა. —დაჯექი, ისაუზმე“.

ბიჭი თავის სკამზე დაჯდა.

„რა გქვია?“

„გილბერტ ბლეიდონი“

„მე რა დაგიძახო?“

„რაც გინდა“.

„მაშინ გილბერტს დაგიძახებ“.

„შენი ნებაა“.

საუზმეს შეუდგნენ.

მოხუცმა წუთით თითქოს შვება იგრძნო, იჯდა და ნელა ღეჭავდა პურს.

მოლდრანმა ბლეიდონი მუშად აიყვანა და ახლა, როცა გაზაფხული ძალაში შევიდა, მათი ცხოვრება ახალ კალაპოტში ჩადგა.

ბლეიდონი დილით დგებოდა, საუზმობდა ბიჭთან და მოხუცთან ერთად და მიდიოდა. მოხუცი თხუთმეტიოდე წუთი მარტო რჩებოდა ბიჭთან, სანამ ჰაო-

ბებზე მიმავალ სკოლის გზას დაადგებოდნენ, შემდეგ, უფრო მეტ ხანს, ნაშუადღევს იყვნენ მარტო. ბლეიდონი ზოგჯერ ექვსი საათის შემდეგ ბრუნდებოდა შინ.

შაბათსა და კვირას ბლეიდონი მარტო მიდიოდა სადღაც, მაგრამ ზოგჯერ ბიჭიც მიჰყავდა სასეირნოდ, -- ყანჩის ბუდე ნახეს, მერე გედის მართყებიც, ერთხელ მდინარე ესტუარის თავზე მონავარდე შავარდენიც კი დაინახეს. როცა მამა-შვილი ერთად იყვნენ, თავს თავისუფლად და ლაღად გრძნობდნენ.

მარტოდ დარჩენილი მოხუცი ცდილობდა წარმოედგინა რაზე საუბრობდა მამა-შვილი. დაბნეული დაბორიალობდა სახლში და თვალზე ცრემლი ერეოდა აღელვებისა და შიშისაგან. აი, მათ ბილიკზე გადმოუხვიეს. ბიჭი მამას მხრებზე შეჯდომოდა და გულიანად ხითხითებდა.

„უკვე უთხარი?"

გაოცებული ბლეიდონი შემობრუნდა, მერე ბიჭი ჩამოსვა და გაუშვა.

„არაფერიც არ მითქვამს".

მოხუცმა ირწმუნა კაცის ნათქვამი, მაგრამ შიში მაინც არ ასვენებდა, მომავლის შიში, — როგორი ბოლო ექნება ყველაფერ ამას.

დღეები გადიოდა. გავიდა აღდგომა, დასრულდა სასკოლო არდადეგებიც. ის ბედნიერი დრო, როცა მოხუცს შეეძლო მთელი დღე ბიჭთან გაეტარებინა. ახლა მაისი იდგა. დილაობით ახლად აფეთქებულ ხეებს მსუბუქი ნისლი ბურავდა.

„მშრომელი კაცია, — უთხრა ერთ საღამოს მოლდრანმა შინ მარტო დარჩენილ მოხუცს და კვერცხები მაგიდაზე დააწყო, — კარგი ქენი, რომ აიყვანე".

„კეთილი".

„მე მგონია, ცოტა შენც შეგიმსუბუქდება ტვირთი".

„წილში შემოგვიდგა".

„მე იმის თქმა მინდა, რომ შრომას, შრომასა და საზრუნავს შეგიმსუბუქებს-მეთქი, სხვა კი არაფერი".

აბა, რა იცოდა მოლდრანმა? მაგრამ მან გულღიად და მეგობრულად გადახედა მოხუცს და ლუდის წრუპვა გააგრძელა ბოთლიდან.

მოხუცი ჩაუფიქრდა ნათქვამს. მოლდრანი მართალი იყო. მოხუცს თანდათან ჩვეულებად გადაექცა ბლეიდონის გვერდით ყოფნა, იმასაც შეეგუა, რომ ბლეიდონი აკეთებდა ყველა მძიმე საქმეს, ბლეიდონი კეტავდა კარს ღამღამობით ძილის წინ, ასუფთავებდა სხვენს, სადაც ხილი ინახებოდა, სხლავდა ხეებსა და მაყვლის ბუჩქებს ბაღის ბოლოს. ბლეიდონი შეუმჩნევლად შევიდა მათ ცხოვრებაში და ფეხი მოიკიდა იქ. როცა მოხუცი უბლეიდონოდ წარმოიდგენდა მომავალს, შიში აიტანდა. ზაფხული ხომ ყოველთვის მოკლეა, შემოდგომაც სწრაფად გაირბენს, სულ მალე კარს მოადგებათ ყინვიანი ზამთარი, ჭაობებზე დაუბერავს ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი და ძვალსა და რბილში გაატანს. მოხუცს შიშის ზარს სცემდა ამაზე ფიქრი ახლა, როცა დაბერდა. გასულ ზამთარს ერთხელ გახდა ავად, ისიც ცოტა ხნით, ამ ზამთარში კი მთელი ერთი წლით დაბერებული იქნება უკვე და არავინ იცის, რა მოხდება. რა ეშველება მაშინ, როცა დილაობით, გამთენიის ხანს, ბიჭი წასაყვანი იქნება სკოლაში; განა მისი ბრალია, რომ სხეული მოუდუნდა, დაუძლურდა, დასუსტდა, ძვლები დაელია, გამოიფიტა. სარკეში თავის დასნეულებულ თვალებს ხედავდა.

მოხუცი თანდათან მიეჩვია ბლეიდონის იმედზე ყოფნას. დაარწმუნა თავი, რომ ბლეიდონი შეუმსუბუქებდა ცხოვრებას. მოიტანდა ნახშირსა და შეშას. დაამტვრევდა ყინულს წყლის ბადიებში, სჯეროდა, რომ ავადმყოფობა და სიკვდილი ახლა ისე ადვილად ვეღარ მოერეოდა, უფრო გაუმკლავდებოდა, ვერ წააქცევდა.

მაგრამ ახლა ზაფხული ჯერ ახალი დამდგარია. მოხუცი თვალ-ყურს ადევნებდა, როგორ უშენებდა ბლეიდონი ბიჭს ბაჭიების გალიას, როგორ აჭედებდა ლურსმნებს, ხერხავდა ფიცრებს, მარჯვედ ჭიმავდა მავთულს. ესმოდა, მამა-შვილის სიცილი. აი, რა სჭირდებოდა ბიჭს სინამდვილეში. ქალი კი არა, სახლში მოფუსფუსე ქალი კი არა, მამაკაცი, ძლიერი, მარჯვე ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც არაფრის ეშინია, თავს არ აბეზრებს და წამდაუწუმ არ ჩასჩიჩინებს — „ხელები დაიბანე“, „რძე დალიე“, „ფრთხილად იყავი“.

კატის კნუტი იზრდებოდა, რეტიანივით ურბენდა ხოლმე წრეს მზეზე.

„მშრომელი კაცია“, — თქვა მოლდრანმა ბლეიდონზე.

მოხუცი ცოტა ხანში შეეჩვია ვახშმის შემდეგ ეზოში გასვლას. დაჯდებოდა სკამზე და თვლემდა, სანამ ბლეიდონი ჭურჭელს რეცხავდა, გაჰქონდა ნაგავი, მერე კი, როცა ბიჭი დასაძინებლად წავიდოდა, აიღებდა მაკრატელს და სხლავდა ცოცხალ ღობეს ან თიბავდა ბალახს გზის პირზე.

მაგრამ ყველაფერი, რაც ბიჭს სჭირდებოდა —დილით გაღვიძება და საუზმე, სკოლაში წაყვანა-მოყვანა, ჩაცმის, ჭამის, დაძინების წესი და რიგი — ყველაფერი ისევ და ისევ მოხუცს ეკისრებოდა. ბლეიდონი ამ საქმეში არ ერეოდა, თითქოს ვერც ამჩნევდა, რა კეთდებოდა ან როგორ კეთდებოდა. მას სულ სხვა რამ ევალებოდა ბიჭის ცხოვრებაში.

ივნისსა და ივლისის დასაწყისში ისეთი სიცხეები დაიჭირა, მოხუცს რომ არ მოსწრებია თავის ცხოვრებაში. შავლეგა ღრუბლის ფთილებივით, გუნდ-გუნდად ირეოდნენ კოღოები და დაბზუოდნენ ხეების ძირში და ჭაობების თავზე. მზე მწვავედ აცხუნებდა. მზის სხივების კაშკაშა შუქი თვალს ატყუებდა და ესტუარი სულ აქვე, ახლოს მოჩანდა. მოლდრანის ძროხები თავს ზანტად იქნევდნენ და იგერიებდნენ ვეებერთელა თვალის უპეებში შესეულ ბუზებს.

ზაფხული ძალაში შევიდა. მოხუცი სულ უფრო მეტად მიენდო ბლეიდონს. უფრო მეტ საქმეს ანდობდა ღონიერ ბლეიდონს, ისიც ყოველთვის მზად იყო მიხმარებოდა, რადგანაც მოხუცი რაც დრო გადიოდა, მით უფრო ვეღარ უძლებდა ცდუნებას — ხშირად დამჯდარიყო, დაესვენა, მიფიცხებოდა მზეს. საჭმელს უმეტესად ისევ მოხუცი ამზადებდა, საყიდლებზე მაღაზიაში წასვლის უფლებას კი ბლეიდონს აძლევდა. მამას ხშირად შვილიც მიჰყვებოდა. ბიჭი იზრდებოდა. ხელ-ფეხი დაუგრძელდა, დაკარგა ბავშვური სითეთრე და სივარდისფრე, სახეზე მზისფერი დაედო. ბიჭს არაფერი უკითხავს, ჩვეულებრივად შეხვდა ბლეიდონის მოსვლას, თითქმის შეეჩვია კიდეც ამ კაცსა და მის გვერდით ყოფნას, თუმცა არანაკლებ უყვარდა მოხუცი, რომელიც ძველებურად ზრუნავდა ბავშვზე. ბიჭი ახლა უფრო მშვიდი და გაბედული გახდა, გაყოჩაღდა. უფრო მტკიცედ, თავდაჯერებულად დაიწყო ლაპარაკი. ამ მხრივ ბევრი ისწავლა ბლეიდონისაგან. ბიჭმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ეს კაცი მამა იყო მისი. მოხუცის აზრით, ჯერ არ ჰქონდათ სამისო მიზეზი, ჯერ არ დამდგარა ამის დრო.

ჯერ არ იყო საჭირო ამის თქმა, ჯერ არ იყო საჭირო. მათ შეეძლოთ გაეგრძელებინათ ისეთი ურთიერთობა, როგორიც ახლა ჰქონდათ.

მოხუცს სიმშვიდეს ჰგვრიდა სახეზე მონათებული მზის სითბო, საღამოობით კი ვარდის ბუჩქებიდან და თამბაქოს ნარგავებიდან წამოსული სურნელება, სარებზე მაღლა ასული ლობიოს იასამნისფერი ყვავილების ცქერა.

მოხუცმა თავიდანვე გადაწყვიტა, თავად არაფერი ეკითხა ბლეიდონისათვის, დალოდებოდა, სანამ ბლეიდონი თვითონ არ ეტყოდა რამეს. მაგრამ ბლეიდონი დუმდა, არაფერს ამბობდა, გეგონებოდათ, მისი ცხოვრება აქ ჩამოსვლის დღიდან დაიწყოო. იქნებ ციხეში იჯდა, — მკითხაობდა თავისთვის მოხუცი, — ან უცხოეთში იყო, იქნებ გემზე მუშაობდა, მაგრამ არც ერთის და არც მეორისა ბლეიდონს არაფერი ეტყობოდა. საღამოობით ისინი ლუდს სვამდნენ ერთად, ხანდახან კარტს თამაშობდნენ, მაგრამ მეტწილად ბლეიდონი ბაღში მუშაობდა, მოხუცი კი იჯდა და თვალს ადევნებდა მის საქმიანობას, ყურს უგდებდა ჭაობიდან წამოსული ჩიტების საღამოს გალობას.

ბლეიდონის მოტანილი ფულით ბიჭისათვის ახალი ტანსაცმელი შეიძინეს. ახლა უკვე კარგ ხორცსაც ყიდულობდნენ. ერთ ნაშუადღევს კი კარს მოადგა მწვანე ფურგონი ტელევიზორით, ფურგონს თან ორი კაცი მოჰყვა ანტენის დასადგმელად.

„ზამთრისთვის, — თქვა ბლეიდონმა,— იქნებ ახლა აუცილებელი არ იყოს. მაგრამ ზამთარში სამსახურს გაგიწევს“

„უტელევიზოროობას არასოდეს შევუწუხებივარ“.

„მაინც კარგია, საჭიროა, გაგართობს“.

„არ მჭირდება გართობა, თვითონ ვერთობით ჩვენ. ყოველთვის თვითონ ვიგონებთ გასართობს“.

„ერთხელ რომ ნახავ, თავად დარწმუნდები, გასიამოვნებს. ხომ გითხარი, ტელევიზორი ზამთარშია კარგი“.

მაგრამ მოხუცი ზამთარში კი არა, აგვისტოშიც გვიანობამდე უჯდა ხოლმე ტელევიზორს და აღმოაჩინა, რომ ბევრი რამ მისთვის საინტერესო იყო. ახალი ჰორიზონტი, ახალი სამყარო გადაიშალა მის წინ.

„ამას მე ვერასოდეს გავიგებდი, — ამბობდა მოხუცი, — მე ხომ არსად ვყოფილვარ, არსად მიმოგზაურია. წარმოგიდგენია, ისეთ რამეს ვუყურებ, რასაც ვერასოდეს ვნახავდი“.

ბლეიდონი თავს უქნევდა. თავად კი დიდად არ აინტერესებდა ტელევიზორის ყურება. სახლის წინ ღობეს აკეთებდა მოლდრანის მოცემულ ძველი ხის სარებს ასობდა. ახლა ჭიშკარი მჭიდროდ დაიკეტება, აღარც იქანავებს და აღარც იჯახუნებს ზამთრის ქარიან დღეებში.

აგვისტოს ბოლო ხუთშაბათ დღეს ბლეიდონმა ზღვაზე გასეირნებაზე ჩამოაგდო სიტყვა.

„ბიჭს ზღვა არ უნახავს. — თქვა მან და ზედა ტუჩზე შერჩენილი ლუდის ქაფი მოიცილა, — თვითონ მითხრა, ზღვაზე არასოდეს ვყოფილვარო“.

„ბიჭს ყველაფერი გავუკეთე, რაც შემეძლო, ზღვაზე წასვლის საშუალება კი არასოდეს გვქონია, ვცხოვრობდით ისე, როგორც ვახერხებდით“.

„არავინ გადანაშაულებს“.

„წავიყვანდი ბიჭს ზღვაზე, ადრე თუ გვიან. მოვიფიქრებდი და წავიყვანდი“.

„რა თქმა უნდა“.

„დიახ“.

„მე შემიძლია წავიყვანო“.

„სად, ზღვაზე?“

„ჰო, ზღვის სანაპიროზე“.

„ერთი დღით? აქედან ზღვა კარგა შორს არის“.

„ორიოდე დღით-მეთქი, ასე ვიფიქრე, კვირის ბოლოს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცი გაჩუმდა, მაგრამ ეს სიმართლე იყო — ბიჭს არასოდეს უმოგზაურია, არსად ყოფილა, ვინ იცის, განიცდის კიდეც ამას, იქნებ, ბიჭები სკოლაში ჰყვებიან, სად იყვნენ, რა ნახეს, სად იმოგზაურეს, მას კი რცხვენია, რომ არაფერი უნახავს. თუ ეს ასეა, მისი წაყვანა აუცილებელია, ბიჭმა უნდა ნახოს ქვეყანა, არ უნდა იყოს გარიყული, არ უნდა დაიჩაგროს.

„სულ ორიოდე დღით წავალთ. გავემგზავრებით შაბათ დილით ადრე და ჩამოვბრუნდებით ორშაბათს. შემიძლია ერთი დღით გავეთავისუფლო ფერმიდან“.

ბლეიდონი აგერ უკვე სამი თვე იყო ფერმაში მუშაობდა და არც ერთი დღე არ გაუცდენია.

„როგორც შენ გინდა, ისე მოიქეცი“.

„შენ უკითხავად არ წავიდოდი“.

„მაგაზე კარგი რა არის, ბიჭი ისეთ ასაკშია, როცა ბავშვებს ყველაფერი აინტერესებთ, როცა ყველაფერს ხარბად ეწაფებიან. გარდა ამისა, ბავშვს გართობაც სჭირდება“.

„რა თქმა უნდა“.

„წადით, კარგი იქნება“.

„ბიჭისათვის ჯერ არ მითქვამს ეს ამბავი“.

„ჰოდა, უთხარი“.

როცა ბლეიდონმა ბიჭს წასვლის ამბავი გააგებინა, ბავშვს სიხარულით სახე გაებადრა. აღელვებისაგან ტუჩებს ილოკავდა და უკვე თითებზე ითვლიდა როდის დადგებოდა მათი გამგზავრების დრო.

მოხუცი მაღლა ოთახში ავიდა და ბიჭის ტანსაცმელი გადაარჩია, გარეცხა და გასაშრობად თოკზე გაფინა. ის უკვე წინასწარ ღელავდა, გამგზავრების მოლოდინში იყო. სწორია, ბიჭი უნდა გაემგზავროს.

და მაინც მოხუცი შიშმა შეიპყრო. ისინი ხომ არასოდეს დაშორებიან ერთმანეთს. ვერ წარმოიდგინა, უიმისოდ როგორ იქნებოდა ბიჭი, როგორ დაიძინებდა მარტო, მერე ათასგვარი უბედურება წარმოუდგა თვალწინ. თუმცა თვითონ არ სურდა, მაგრამ ბლეიდონს არც უკითხავს, იქნებ მოხუციც წასულიყო მათთან ერთად. უეცარი დაქანცულობა იგრძნო. განა შეუძლია სახლი დატოვოს და სადმე წავიდეს. სადა აქვს საიმისო ძალა, იმოგზაუროს ,უცხო ადამიანებს შეხვდეს. მას ახლა მხოლოდ ისღა შეუძლია, სკამზე დაჯდეს, მზეს მიეფიცხოს და ითვალოს საათები და წუთები ბიჭისა და ბლეიდონის უკან დაბრუნებამდე.

მოხუცი მიეჩვია იმ აზრს, რომ ბლეიდონი მათთან იცხოვრებდა. აღარ ეშინოდა მომავალი ზამთრისა. ასე ეგონა, საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ის და ბიჭი მარტო ცხოვრობდნენ.

შაბათ დილით ბლეიდონი და ბიჭი ადრიანად, მანამ გაუდგნენ გზას, ვიდრე მზის სხივები ჭაობებზე ჩამოწოლილ ნისლს გაარღვევდა, ყოველი ბგერა

და ფაჩუნი მკაფიოდ გაისმოდა დილის გამჭვირვალე ჰაერში — მოხუცს დიდხანს ესმოდა მათი ფეხის ხმა და ფეხქვეშ გათელილი ბალახის შრიალი. იმის მერეც, რაც მგზავრები თვალს მიეფარნენ. ბიჭს ზურგზე თასმებით გადაეკიდა სოფელში ახლახან ნაყიდი ბრეზენტის ზურგჩანთა. იგი გამართული მიდიოდა, თვალები უბრწყინავდა. გონებაში უკვე წარმოედგინა რას ნახავდნენ, რას გააკეთებდნენ.

მოხუცი სამზარეულოში შებრუნდა, ხელახლა შედგა ჩაიდანი ღუმელზე, დააყენა ახალი ჩაი და დაგეგმა რა უნდა გაეკეთებინა. იმუშავებს — დაასუფთავებს საძინებელ ოთახებს, გადაარჩევს ბიჭის ტანსაცმელს, რომლებსაც დაკემსვა-დაკერება სჭირდება, გახეხავს დანა-ჩანგალს, გარეცხავს ფარდებს, ჩავა მაღაზიაში, იყიდის სურსათს, გამოაცხობს კექსსა და ღვეზელს, შეწვავს ხორცს და ასე დახვდება ჩამოსულებს.

ასე, რომ ბლეიდონისა და ბიჭის წასვლის პირველ დღეს, შაბათს, მოხუცს აღარც კი დარჩა მათზე საფიქრალი დრო, არც უგრძვნია მათი არყოფნა. საღამოს დაღლილს ზურგი ეწვოდა, ფეხები სტკიოდა, ნავახშმევს ცოტა ხნით ჩამოჯდა სკამზე გარეთ. დაქანცულობისაგან მთვრალს ჩვეულებრივზე მეტხანს ეძინა კვირა დილით.

როცა გაიღვიძა, მაშინ კი იგრძნო, როგორ დაყრუებულიყო, დაცარიელებულიყო სახლი. უაზროდ მოჰყვა ოთახებში ბორიალს. გაადვიძა კატის კნუტი და ფრთხით გამოაჯავრა, იქნებ გამომეთამაშოს, გულს გადავაყოლებო. როცა კნუტმა ისევ ჩათვლიმა, მოხუცი გარეთ გავიდა და მდუმარე ბუღჩამომდგარ ჭაობებზე გაისეირნა. ლერწმის ტევრში წყალი დაბლა იდგა, ზოგან სულ ამომშრალიყო და მის ადგილას მომწვანო ლურჯი ფერის წებოვანი შლამი ჩამდგარიყო. ლერწმები გარინდებულიყვნენ. აღარ ისმოდა მათი ჩვეული სუსტი, გულისშემაღონებელი ყრუ სტვენა. ახლა ამ გრძელი, გრძელი ზაფხულის ბოლოს თავად მოხუციც ისე გამოფიტულიყო, როგორც ირგვლივ ყველაფერი, ოფლი ღვარად ჩასდიოდა მოხრილ ზურგში.

მოხუცი დიდხანს გადი-გამოდიოდა ჭაობებზე, უნდოდა დაღლილიყო, დაქანცულიყო, მაგრამ იმ ღამით ცუდად ეძინა. უემური სიზმრები არ ასვენებდა. როცა სიზმრებს თავს დააღწევდა და გამოფხიზლდებოდა, გულს ბაგაბუგი გაუდიოდა. ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდა, ხან მეორეზე, ვერ მოისვენა ლოგინში. მაგრამ სამაგიეროდ ხვალ შეუძლია ყური დაუგდოს საათის წიკწიკს და დათვალოს რამდენი საათი და წუთი დარჩა ბიჭისა და ბლეიდონის ჩამოსვლამდე.

ლოგინიდან ისე ადგა, თითქოს არც სძინებოდეს. დაგუდული თვალები ებინდებოდა. მაინც დაიწყო სამზარეულოში ფუსფუსი. ნელ-ნელა შეემზადა, მამაშვილს შესაფერისად უნდა დახვედროდა. მთელი დღე არ ჩაუფერხებია, ლუკმა არ ჩაუდვია პირში, თუმცა კი დაღლილობისაგან თავი სტკიოდა, ზურგი ეწვოდა, სამზარეულოში ხელფეხდაბორკილი დაბორიალობდა.

როდესაც ისინი ორშაბათს შუაღამემდე არ გამოჩნდნენ, მოხუცი არც სოფელში გასულა, არც მოლდრანის ფერმისათვის მიუკითხავს პოლიციაში შესატყობინებლად და საავადმყოფოებში დასარეკად. არ განძრეულა მან იცოდა...

მთელი ღამე სახლის უკან კართან მჯდარმა გაატარა. ირგვლივ ჩამომდგარი სიჩუმე ყურებს უბურღავდა. ერთი-ორჯერ ჩათვლიმა კიდეც, თითქმის ძილმა

წაიღო, მაგრამ ერთბაშად შეხტებოდა და თითქოს ხელი ჰკრესო, გამოფხიზლდებოდა, აწრიალდებოდა, შესწორდებოდა და იჯდა სიბნელეში გაუნძრევლად.

მათ ხომ ყველაფერი არ წაუღიათ, ფიქრობდა მოხუცი, დარჩა ტანსაცმელი, სათამაშოები, წიგნები. არა, მამა-შვილი აუცილებლად ვარაუდობდა უკან დაბრუნებას. მოხუცმა კი იცოდა, რომ არ დაბრუნდებოდნენ. სათამაშოებისა და ტანსაცმლის ყიდვა სხვაგანაც შეიძლება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიდა ერთი კვირა. ზაფხული შეუმჩნევლად გასხლტა და შემოიპარა შემოდგომა, თითქოს კარტი აჭრესო; ფოთლები ყვითლად ჩამოჭკნა და დაიგრაგნა.

მოხუცი სახლიდან არ გამოდიოდა და თითქმის არაფერს ჭამდა. ეგ იყო, დაადგამდა ჩაის და დალევდა. მერე ხელახლა დაადგამდა და ასე.

მოხუცი არ ადანაშაულებდა გილბერტ ბლეიდონს, საკუთარ თავს კიცხავდა მხოლოდ. როგორ იფიქრა, ბიჭი თავისთან ჰყოლოდა, როგორ წარმოიდგინა, რომ ბავშვის მთელი მომავალი ცხოვრება საკუთარი თავისთვის დაეკავშირებინა. როგორც კი ბიჭის მამა დაბრუნდა, მაშინვე უნდა სცოდნოდა, რას ფიქრობდა, რა უნდოდა მას. მაშინვე უნდა ეთქვა თავად, უნდა ეთქვა — „წადი, წადი და წაიყვანე ბავშვი". არ აიძულებინა ეთვალთმაქცა ქურდულად გაპარულიყო. და მაინც ღამღამობით ყველაზე მეტად იმის ფიქრი აწვალებდა, როგორ იმოქმედებდა ეს ამბავი ბიჭზე, რომელსაც ასე დაკანკალებდა და ზრდიდა, ასე გულმოდგინებით აჩვევდა სიფაქიზესა და სისუფთავეს, კარგად ჭამას და ბეჯითად სწავლას. რა კარგი იქნებოდა, მისამართი რომ ჰქონოდა, — იგი დაწვრილებით ჩამოწერდა ქაღალდზე და გაუგზავნიდა განრიგს, ბავშვის ყოველდღიური ცხოვრების წესსა და რიგს, რომლის შესრულებასაც ბიჭი იყო შეჩვეული. მოხუცი წერილს ელოდა. წერილი არ მოდიოდა.

მსხლის ხეები იზნიქებოდა მწიფე, ჩამავებული ნაყოფის სიმძიმისაგან, ცოტა ხნის შემდეგ კი ტყაპატყუპით დაიწყო მსხალმა მაღალ ბალახში ცვენა. მოხუცი ხელს არ ჰკიდებდა ხილს, აღარ აწყობდა სხვენზე შესანახად, იქვე ტოვებდა ჩაშაქრულ, დარბილებულ ნაყოფს, მატლებისა და მუხლუხოების ულუფად. ზოგჯერ დასწვდებოდა, აიღებდა ერთ ცალს, შეჭამდა. მოხუცს ენანებოდა მოსავლის გაფუჭება.

ბიჭის ოთახი მოხუცს ძველებურად ჰქონდა მილაგ-მოლაგებული, მისი ტანსაცმელი კოხტად ეწყო უჯრებში, წიგნები ჩამწკრივებული იყო თაროზე — ვინ იცის, იქნებ ბიჭი დაბრუნდეს. სხვა დანარჩენი სახლისა მოხუცს არ ადარდებდა. კუთხეებში დაგროვდა ჭუჭყი და ნაგავი, საწოლების ქვეშ ნაცრისფერი ბუმბული მოეფინა იატაკს. როცა ოქტომბერში პირველი წვიმა მოვიდა, სააბაზანოს კედელზე ნესტის ლაქას სოკოებივით მოედო ხავსი.

მოლდრანმა ორჯერ მიაკითხა, მაგრამ შეკითხვებზე პასუხი ვერ მიიღო. სოფელში ქალები აჩურჩულდნენ ამ ამბავზე. ოქტომბერი ნისლსა და წვიმებში მიიწურა და, როცა მოლდრანმა კიდევ მიაკითხა, მოხუცმა კარი აღარ გაუღო. მოლდრანმა ერთხანს შეიცადა, ხელი მოიჩრდილა და ფანჯარაში შეიხედა, მერე კვერცხები უკანა კართან საფეხურზე დატოვა და წავიდა.

მოხუცი სულ უფრო და უფრო გვიან დგებოდა დილაობით, დაწოლით კი უფრო ადრიანად წვებოდა აშმორებულ, ჭუჭყიან ლოგინში. თავდაპირველად,

რომ მოსაღამოვდებოდა, ჩართავდა ტელევიზორს, დაჯდებოდა და შესცქეროდა, მაგრამ ბოლოს ვეღარც ტელევიზორს უდებდა გულს. იჯდა სამზარეულოში, სანამ არ ჩამობნელდებოდა ირგვლივ. გარეთ ხეზე შემორჩენილი ბოლო ნაყოფი ჩამოცვივდა წვიმისაგან გალუმპულ ბაღში. ხელი არავის უხლია. დადგა ზამთარი.

ქალაქში, ერთ პატარა ოთახში ბლეიდონმა თეფშები დააწყო მაგიდაზე, პური დაჭრა, კონსერვის ქილები გახსნა, ქვაბში რძე ჩაასხა.

„ხელები დაიბანე", — უთხრა ბიჭს, მაგრამ ბავშვი უკვე ონკანთან იდგა. წესრიგს მიჩვეული ბიჭი გულმოდგინედ ისვამდა ვარდისფერ საპონს ხელებზე და იმაზე ფიქრობდა, რა ექნებოდათ ვახშმად ჩაიზე.

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლატონი

დიალოგები

ძველბერძნულიდან თარგმნა, წინათქმები და
კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ

ევთიფრონი

წინათქმა

რომის იმპერატორს ტიბერიუსს (14-37) ჰყავდა ერთი ასტროლოგი, წარმომავლობით როდოსელი, სახელად თრასილე, რომელიც, პატრონის ბრძანებით, მომავალს უწინასწარმეტყველებდა მას.[1] დიოგენე ლაერტელი გადმოგვცემს, რომ სწორედ ამ თრასილეს შეუდგენია პლატონის თხზულებათა სრული კრებული და, ვითომცდა თვით პლატონისგანვე მომდინარე ტრადიციის თანახმად 9 ტეტრალოგიად დაუყვია ისინი. თვითეულ ტეტრალოგიაში, როგორც სათაური გვიჩვენებს, 4 დიალოგი შედის. დიოგენე სათითაოდ ჩამოთვლის მათ და გვაუწყებს, პირველი ტეტრალოგია „ევთიფრონით" იწყებაო. თრასილესეული „კანონი" საკმაოდ საეჭვო ღირსებისაა (საკმარისია ითქვას, რომ ისეთი დიალოგები, როგორიცაა „ფედონი", „თეეტეტი", „სოფისტი", „პოლიტიკოსი", „პარმენიდე", „ნადიმი" ან „ფედროსი", მასში წინ უსწრებს „ხარმიდეს", „ლახესს", „ლისისსა" თუ „ალკიბიადეს"), და დღეს უკვე აღარავინ იზიარებს მას, ერთი გამონაკლისის — „ევთიფრონის" გარდა, რომლითაც პლატონის არაერთი მთარგმნელი თუ გამომცემელი კვლავინდებურად იწყებს დიდი ბერძენი ფილოსოფოსის თხზულებათა სრული კრებულის საკუთარ გამოცემას[3].

ამნაირ არჩევანს თავისი გამართლებაც მოეძებნება და გამტყუნებაც. პირწმინდად ფორმალური ლიტერატურულ-სტილისტური ანალიზი, რომელიც ავლენს კომპოზიციის სიმარტივეს, მოქმედების განვითარების სწორხაზოვნებას, კითხვა-პასუხთა ერთგვარ სიმშრალეს და სქემატურობას, თითქოს დამაჯერებლად გვიდასტურებს იმ თვალსაზრისის

---

[1] იმის შესახებ, თუ რარიგ ზარისკო და სახიფათო საქმე იყო ამნაირი წინასწარმეტყველება იხ. ტაციტუსი, ანალები, VI, 21; სვეტონიუსი, თორმეტი ცეზარის ცხოვრება, ტიბერ., 14.

[2] დიოგენე ლაერტელი, III, 57-61.

[3] იხ. მაგალითად, „პლატონის თხზულებათა სრული კრებული". გ. შტალბაუმის გამოცემა, ტ. I, ლაიფ. 1877; პლატონი, თხზულებათა სრული კრებული, დასიესა და გრუს თარგმანი, ტ. I, პარიზი, 1869; პლატონი, ჰაროლდ ფაულერის ინგლისური თარგმანითურთ, ტ. I, ლონდონი, 1960.

სისწორეა, რომლის მიხედვითაც „ევთიფრონი" პლატონის პირველი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი პირველი ქმნილება მაინც უნდა იყოს. ახეანაირ დასკვნამდე მივყავართ დიალოგის შინაარსობრივი ასპექტის დეტალურ ანალიზს, რაც ააშკარავებს ზოგიერთ ისეთ მომენტს („იდეა" როგორც საგანთა და მოვლენათა არსი, მათი იგივეობისა თუ თვითიდენტურობის საფუძველი"[4]; „იდეა" როგორც ფენომენთა მთელი სიმრავლისა თუ მრავალფეროვნების ერთადერთი ზოგადი ნიმუში[5]), რომელთა მიხედვითაც ჩვენ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ თავის პირველ, ე. წ. „სოკრატულ დიალოგებთან" შედარებით, პლატონი უკვე საკმაოდ შორსაა წარსული „იდეათა თეორიის" ფორმირებისა და ჩამოყალიბების თვალსაზრისით. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ არგუმენტაციის ორივე მეთოდს მხოლოდ ფარდობითი ღირებულება თუ შეიძლება მიეწეროს. მართლაცდა, რა უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ პლატონის მხატვრული ოსტატობა სწორხაზოვნად და განუხრელად,— თანდათანობითი გრადაციის გზას მისდევს, მისი სულიერი ევოლუციის კვალდაკვალ? (ვის ეპარება ეჭვი იმაში, რომ „თეეტეტი" სოკრატეს აპოლოგიაზე" უფრო გვიანდელია? მაგრამ ასევე უეჭველია ისიც, რომ ფორმალური სრულყოფილებით პირველი დიალოგი აშკარად ჩამოუვარდება მეორეს). არც იმის მტკიცება შეიძლება დაბეჯითებით, თითქოს „იდეათა თეორია" ასევე სწორხაზოვნად და თანმიმდევრულად ყალიბდება პლატონის სულში (ვის შეუძლია იმის უარყოფა, რომ მთელი მისი მსოფლმხედველობა შინაგანი წინააღმდეგობებითაა აღბეჭდილი? რომ მისთვის უცხო როდია საკუთარ თავში დაეჭვების, უკუქცევის ან დასახული მიზნისაკენ მიმავალი გზიდან გადახვევის მომენტები?).

არც დიალოგის ფაქტობრივი მონაცემები გვეუბნება რამეს იმის შესახებ, თუ როდის უნდა იყოს დაწერილი იგი. რაღა გვრჩება? მხოლოდ და მხოლოდ ჰიპოთეზები: ზოგიერთი მკვლევარის აზრით, „ევთიფრონის" დაწერის თარიღი ძვ. წ. ა. 400-სა და 399 წელს შორისაა საგულვებელი, ვინაიდან სოკრატეს სწორედ 400 წელს დასდეს ბრალი მკრეხელობაში, მომდევნო წლის მაისში კი მას უკვე სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. „ეჭვს გარეშეა, — წერს ერთი ამ მკვლევართაგანი, — რომ „ევთიფრონი" მასწავლებლის სიკვდილამდე უნდა დაეწერა პლატონს. ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მას ეცოდინებოდა და თავის დიალოგში მოიხსენებდა სოკრატეს სამივე ბრალმდებელს და არა მხოლოდ მელეტოსს".[6] მაგრამ დიალოგში ასახული დროისა და მისი დაწერის დროის გაიგივება საკმაოდ მიამიტური შეცდომის შედეგია... ფრანგი მეცნიერი მორის კრუაზე თვლის, რომ „ევთიფრონი "უშუალოდ მოსდევს „სოკრატეს აპოლოგიას" და დაახლოებით 396-395 წლებშია დაწერილი.[7] ამავე თარიღს მხარს უჭერს ვ. ვინდელბანდიც.[8] ყველა ჰიპოთეზის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და, ალბათ, არც არის საჭირო, ვინაიდან მათი უარყოფა უფრო ადვილია, ვიდრე მათი გაზიარება. ამიტომ, „ევთიფრონით" რომ ვიწყებთ პლატონის თხზულებათა პირველ ტომს, ჩვენ მხოლოდ ძველისძველ ტრადიციას ვუწევთ ანგარიშს.

დიალოგში ორად-ორი მოქმედი პირია: ქურუმი ევთიფრონი[9] და სოკრატე. ევთიფრონის შესახებ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება, გარდა იმისა, რომ უფრო მოგვიანებით ის ერთხელ კიდევ იხსენიება პლატონის დიალოგში „კრატილე" (396d), თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ „ევთიფრონში" ის პიტთეელია, „კრატილეში" კი პროსპალტელი და იმის ხელაღებით მტკიცება, რომ ორივე დიალოგში ერთი და იგივე პიროვნება იგულისხმება, ცოტა არ იყოს, დამაჯერებლობასაა მოკლებული. მაგრამ სწორედ ასე იქცევიან მ. კრუაზე[10] და ა. ა. ტახო-გოდი.[11] ევთიფრონს იხსენიებენ აგრეთვე პლუტარქე, დიოგენე ლაერტელი და ნუმენიოსი, ციტირებული ევსევი პამფილელის (კესარიელის) მიერ[12]. თუმცა მათი ცნობების ერთადერთი წყარო ისევ პლატონი უნდა იყოს, ვინაიდან მხოლოდ იმას გვაუწყებენ, რომ სოკრატე შეხვედრია ევთიფრონს და უსაუბრია მასთან.

---

4 იხ. „ევთიფრონი", 5 d (დიალოგების პარაგრაფებად დაყოფა ტექსტში მითითებული არ არის).

5 იქვე, 6d

6 იხ. პლატონი, ევთიფრონი, შესავალი, თარგმანი და შენიშვნები ა. მ. იაკიმახისა, პეტერბურგი. 1893, გვ. 5.

7 პლატონი, თხზულებათა სრული კრებული. ტ. I, ტექსტი დადგენილი და თარგმნილი მ. კრუაზეს მიერ. პარიზი, 1920, გვ. 117.

8 ვინდელბანდი, ბერძნული ფილოსოფიის ისტორია, პეტერბურგი, 1908, გვ. 149.

შემთხვევითი როდია, რომ დიალოგში ერთმანეთის პირისპირ დგანან ქურუმი და ფილოსოფოსი; ორი მრწამსი, ორი თვალსაზრისი, ორი მსოფლმხედველობა: ერთის მხრივ, ბერძნული რელიგიის აღმსარებელი და მისი ტრადიციების თავგამოდებული დამცველი, ხოლო მეორეს მხრივ, კაცი, რომელსაც ბრალად ედება ამ რელიგიის „წმინდათა-წმინდა“ საფუძვლების ხელყოფა, მკრეხელობა, ღმერთების გმობა. პირველის თვითკმარი უმეცრება, მიამიტობა და სიბეცე თითქოს თავისთავად განასახიერებს მთელს ტრადიციულ სარწმუნოებას, თავისი ანთროპომორფული ღვთაებებით, ათასგვარი ცრურწმენითა და პირწმინდად გარეგნული რიტუალებით, რომლებიც აკმაყოფილებენ მხოლოდ უბირი ხალხის რელიგიურ გრძნობას, მაგრამ არაფერს ეუბნებიან ბრბოზე ამაღლებული კაცის სულსა და გულს. მეორის ცოცხალი და მაძიებელი აზრი კი ცდილობს სწორედ ამ გარეგნული რიტუალების, მატერიალური კულტის საბურველს მიღმა შეიცნოს სამყაროს მარადიული სულიერი საწყისი — ღმერთი, რომელიც ისევე განწონის და განაგებს მთელს კოსმოსს, როგორც ადამიანის სული მისსავე სხეულს.

ერთმანეთის უპირისპირდება ქურუმისა და ფილოსოფოსის არა მარტო რელიგიური, არამედ მორალური მრწამსიც. პირველისათვის ზნეობრივი ქცევის წესები ერთხელ და სამუდამოდ დადგენილია ადათით, ჩვეულებით, კანონებით, სარწმუნოებით. ყველაფერს განსაზღვრავს და განაპირობებს ტრადიცია. ამიტომ სრულიად ფუჭია და ზედმეტი იმაზე თავის მტვრევა, თუ რა არის მოსაწონი, დასაწუნი, მისაღები, უკუსაგდები. ფილოსოფოსი სხვაგვარად ფიქრობს: მისთვის ბრმა რწმენა კი არა, მხოლოდ ცნობიერი ქცევაა მორალური, მხოლოდ რაციონალურ შემეცნებას შეუძლია მყარ საფუძველზე დააფუძნოს ზნეობრივი ქცევის ნორმები. გონების ქმედითობის, აზროვნების გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი სიცოცხლე და იმისათვის, რომ მართებულად ვიცხოვროთ, მართებულად უნდა ვაზროვნებდეთ. ასე ერწყმის ცოდნა და მორალი ერთიმეორეს. სოკრატესათვის ყველაფერი, რაც შეცდომებისა და ილუზიებისაგან გვათავისუფლებს, მორალურია; და პირიქით, არამორალურია ის, რაც შეცდომებსა და ილუზიებს გვახვევს თავს და მათ ტყვეობაში გვამყოფებს.

სწორედ ამიტომ აღიქმება ამ ორი მსოფლმხედველობის ჭიდილი, როგორც რუტინისა და ნოვატორობის, დრომოჭმულისა და განახლების სულისკვეთების, სიბრძნისა და უმეცრების ანტაგონიზმი. მხოლოდ ეგ კია, რომ ამ ჭიდილს ჯერ კიდევ არ მიუღწევია თავისი აპოგეისთვის; ჯერ კიდევ არ გამოკვეთილა მთელი სიგრძე-სიგანით ის თვალუწვდენი უფსკრული, რომელიც ძევს სოკრატეს პიროვნულ მრწამსსა და მისი თანამედროვე ბერძნული საზოგადოების ეთიკურსა და რელიგიურ შეხედულებებს შორის. მშვიდი და ინტიმური განწყობილება, აუმღვრეველი ატმოსფერო, რომელიც მთლიანად განწონის დიალოგს, ჯერ კიდევ არ იძლევა იმის საშუალებას, რომ თვალსაწიერზე მომავალი კატასტროფის მაუწყებელი ღრუბლები დავლანდოთ. მხოლოდ უბედურების მომასწავებელი პირველი სიმპტომი — მელეტოსის ბრალდება (2b—3b) და სოკრატეს წინათგრძნობა (3de) გვავარაუდებინებს, რომ, სიუჟეტური განვითარების თვალსაზრისით, „ევთიფრონი“ იმ ინტელექტუალური დრამის ერთგვარი პრელუდია უნდა იყოს, რომ-

---

[9] ძველ საბერძნეთში არ არსებობდა ქრისტიანული სამღვდელოების შესაბამისი სასულიერო წოდება. ქურუმის თანამდებობა არაფრით არ განსხვავდებოდა ნებისმიერი სხვა თანამდებობისაგან. თუკი მოეპრიანებოდა, კაცს შეეძლო ყოველ წამს მიეტოვებინა იგი. რა თქმა უნდა, ზოგიერთი ქურუმი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ასრულებდა თავის მოვალეობას, მაგრამ ისე კი ცხოვრობდა, როგორც ყველა საერო პირი. ბერძნული სარწმუნოებისათვის უცხო იყო ყოველგვარი თეოლოგიური დოქტრინა თუ დოგმები, ყოველგვარი რელიგიური მორალი. ყველა ღვთაების კულტს თავისი საკუთარი მსახური ჰყავდა; ყველას თავისი დღესასწაულები ჰქონდა, თავისი ცერემონიები, თავისი რიტუალები. არ არსებობდა სასულიერო წოდების არავითარი ორგანიზაცია, არავითარი იერარქია (იხ. პოლ გირო, ბერძნების კერძო და საზოგადო ცხოვრება, მოსკოვი, 1913, გვ. 236-237.

[10] დასახ. ნაშრ. გვ. 179.

[11] პლატონი, თხზულებანი სამ ტომად, ტ. I, მოსკოვი, 1968, გვ. 609 (შენ. 26).

[12] პლუტარქე, სოკრატეს დემონისათვის, X; დიოგენე ლაერტელი. II, 29; ევსევი პამფილელი, XIII, 5.

ლის მომდევნო მოქმედებებადაც „სოკრატეს აპოლოგია“, „კრიტონი“ და „ფედონი“ გვევლინება.

ახლა კი კვალდაკვალ მივყვეთ ავტორს:

ზევს ელევთერიოსის (განმათავისუფლებლის) ტაძრის მახლობლად მდებარე „სამეფო ბჭესთან“ ერთმანეთს შემთხვევით ხვდებიან სოკრატე და ევთიფრონი. ისინი სხვადასხვა საქმის გამო მოსულან „მეფე — არქონტის“ კარზე[13]. სოკრატე — როგორც ბრალდებული: მას ღვთისმგმობლობას სწამებს ახალგაზრდა ტრაგიკოსი პოეტი მელეტოსი (ეს გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ბრალდება, რომელიც კაცს შეიძლება წაუყენონ ათენში); ევთიფრონი — როგორც ბრალმდებელი: ის მკვლელობაში ადანაშაულებს მშობელ მამას, რომელსაც ხაროში ჩაუგდია თავისი მოიჯარადრის მკვლელი მონა და კაცი გაუგზავნია ათენში, რათა მისნებისაგან გაეგო, თუ როგორ დაესაჯა იგი. მაგრამ ამ კაცის უკან დაბრუნებამდე უყურადღებოდ მიტოვებულ მონას სული ამოხდომია ხაროში. ევთიფრონს თავის წმინდათა-წმინდა მოვალეობად მიაჩნია კაცის მკვლელად გამოაცხადოს მამამისი და საქმე აღძრას მის წინააღმდეგ, რადგანაც თვლის, რომ „ერთნაირი სიბილწეა მის გვერდით ცხოვრებაც, როცა იცი, რაც ჩაიდინა, და ისიც, რომ სასამართლოს არ გადასცე იგი, რათა მასთან ერთად შენც განიწმინდო“ (4 c).

კაცი, რომელიც ასე თავდაჯერებულად აცხადებს, რომ მისი საქციელი წმინდაა, ალბათ ,კიდევაც უნდა იცნობდეს სიწმინდის ჭეშმარიტ არსს. ამიტომ სოკრატეც ეკითხება ევთიფრონს, იცის თუ არა, რა არის სიწმინდე და რა არის წმინდა?[14] ქურუმის პასუხი ააშკარავებს, რა ზერელედ და ზედაპირულად აღიქვამს იგი სოკრატეს კითხვას: სიწმინდე მისი აზრით, ისაა, რომ ჰბაძავდე ზევსს, უკვდავთა შორის „უკეთესსა და უსამართლიანეს“ ღვთაებას, რომელმაც უკეთურობის სანაცვლოდ სასტიკად დასაჯა მშობელი მამა— ურანოსი (5d—6a). სოკრატეს სასაცილოდაც არ ჰყოფნის ხალხის მიამიტური წარმოდგენით შეთხზული მითები, შუღლს, მტრობას და ორთაბრძოლებს რომ მიაწერენ ღმერთებს. მაგრამ თუ ვირწმუნებთ, — ეუბნება იგი ევთიფრონს, — რომ ეს მითები სიმართლის ნატამალს მაინც შეიცავენ, სიწმინდის შენს მიერ შემოთავაზებული განმარტება ამ შემთხვევაშიც კი არ შეიძლება ჩაითვალოს მართებულად, ვინაიდან სხვაა სიწმინდის ერთ-ერთი სახე და სულ სხვა — სიწმინდე ზოგადად. ფილოსოფოსს სწორედ ეს ზოგადობა აინტერესებს („...მე იმას კი არა გთხოვდი, რომ სიწმინდის ურიცხვი სიმრავლიდან ორიოდე ნიმუში მოგეტანა ჩემთვის, არამედ იმას. რომ განგემარტა სიწმინდის ზოგადი არსი, რომლის თანახმადაც წმინდაა ყოველივე ის, რაც არის წმინდა“, 6d).

რაკი პირველი დეფინიცია აშკარად არასაკმარისი აღმოჩნდა, ქურუმი სიწმინდის ახალ განმარტებას სთავაზობს სოკრატეს: „წმინდაა ის, რაც ღმერთებს მოსწონთ, ხოლო ის, რაც არ მოსწონთ, — უკეთური“ (7a). ამ განმარტებას, ალბათ, უყოყმანოდ გაიზიარებდა ათენელთა აბსოლუტური უმრავლესობა, მაგრამ არა სოკრატე, რომელიც თამამად უპირისპირდება როგორც უმრავლესობის აზრს, ისე მის საკრალურ კულტს — პოლითეისტურ რელიგიასაც. ეს რელიგია თავის წიაღში აერთიანებს ურიცხვ სხვადასხვა ღმერთს, რომელთა შორისაც, თუკი პოპულარულ მითებსა და მათ რელიგიურსა და პოეტურ ინტერპრეტაციებს ვერწმუნებით (გავიხსენოთ ევთიფრონის ზემოთ გამოთქმული მოსაზრებები, ან კიდევ ჰომეროსის ოლიმპიელნი), ერთსულოვნებაზე უფრო ხშირად უთანხმოება სუფევს. ამიტომ ის, რაც მოსაწონი, სასიამოვნო, საყვარელი ან სასურველია ერთი რომელიმე ღვთაებისათვის, შეიძლება დასაწუნი, უსიამოვნო, საძულველი და არასასურველი იყოს მეორისათვის. ასე რომ, ღმერთების განცდები, აღქმები და შეგრძნებები სიწმინდისა თუ უკეთურობის განმსაზღვრელ კრიტერიუმად არ გამოდგება.

თავგზააბნეულმა ქურუმმა აღარ იცის, საით ეცეს, რა გზას დაადგეს; ამიტომ ისევ სოკრატე უჩვენებს გამოსავალს: „...შემდეგნაირად ხომ არ შევასწოროთ ჩვენი მსჯელობა, — ეუბნება იგი ევთიფრონს, — უკეთურია ის, რაც არცერთ ღმერთს არ მოსწონს, ის კი, რაც ყველა ღმერთს მოსწონს,—წმინდა; ხოლო ის, რაც ზოგიერთ ღმერთს უყვარს და ზოგიერთს სძულს, ან არც ერთია და არც მეორე, ან ორივეა ერთად. თანახმა ხარ თუ არა, რომ ასე განვსაზღვროთ უკეთური და წმინდა?“ (9d). წყალწაღებული

---

[13] იხ. კომენტ., 2, 3.

[14]. ამ სიტყვით გადმოვცემთ დედნისეულ hosio-ს, რომელიც შეიძლება ითარგმნოს აგრეთვე როგორც „ღვთისნიერი“.

ხავსს ეჭიდებოდა: ევთიფრონი დაუყოვნებლივ იზიარებს სოკრატეს ამ აზრს, რომელიც მისივე საკუთარი განმარტების მხოლოდ შესწორებულ ვარიანტად მიაჩნია და ვერ კი ამჩნევს, რომ ამით მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც უარყოფს თავის ადრინდელ მტკიცებას ღმერთების ქიშპობისა და მტრობის შესახებ: დაე, მათ [illegible] ძალაუფლებისათვის, ეჭვიანობის ნიადაგზე უმუხთლონ და უმტრონ ერთმანეთს, ტროელებისა თუ აქაველების მომხრეებად დაყოფილნი დაერიონ ერთიმეორეს და [illegible] რაც შეეხება ზნეობრივ ფასეულობებს, — სხვა გზა არ არის? — მათი [illegible] აბსოლუტურად ერთსულოვანნი უნდა იყვნენ. საბრალო ქურუმი, რომელსაც ისე ათამაშებს ფილოსოფოსი, როგორც კატა—თაგვს! ვერ ხვდება, რომ სოკრატე კი არ შველის, არამედ მახეს უგებს.

მსჯელობა შემდეგნაირად ვითარდება: თუკი სიწმინდე ისაა, რაც უკლებლივ ყველა ღმერთს მოსწონს და უყვარს, ხოლო უკეთურება ის, რაც არცერთი ღმერთისათვის არაა მოსაწონი და საყვარელი, საკითხავია, სიწმინდე იმიტომაა სიწმინდე, რომ ღმერთებს უყვართ თუ, პირიქით, იმიტომ უყვართ, რომ სიწმინდეა? ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიწმინდე თავისთავადაა სიწმინდე, თავისთავადაა ღმერთების სურვილისა და სიყვარულის საგანი, თუ მხოლოდ ამ სიყვარულის წყალობით იძენს და იმსახურებს სიწმინდის სახელს? სოკრატე მახვილგონივრულად უსაბუთებს თანამოსაუბრეს, რომ ღმერთების სიყვარული კი არ განსაზღვრავს სიწმინდის არსს, პირიქით, თვით ეს არსია ღმერთების სიყვარულის განმსაზღვრელი, საიდანაც ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა, რომ არც სიწმინდის ეს დეფინიცია შეიძლება ჩაითვალოს დამაჯერებლად.

ამ ახალი წარუმატებლობით გაოგნებული და ნირწამხდარი ქურუმი საერთოდ კარგავს ლოგიკური მსჯელობის უნარს. მას თავზარსა სცემს კიდევ ერთი მარცხის წარმოდგენა („მართალი გითხრა, აღარც კი ვიცი, როგორ გამოვხატო ჩემი აზრი, სოკრატე; რადგანაც ჩვენ მიერ წამოყენებული ყველა დებულება ირყევა და იმ ადგილზე ვეღარა რჩება, რომელიც ჩვენ მივუჩინეთ", 11b). ფილოსოფოსი კი, პირიქით, თავის მშობლიურ სტიქიაში გრძნობს თავს. ამხნევებს და სიწმინდის კიდევ ერთ განმარტებას სთავაზობს ქურუმს: „...წინასწარ ნუ დაეცემი სულით, არამედ დაუკვირდი, აუცილებლად მიგაჩნია თუ არა, რომ ყოველივე ის, რაც წმინდაა, იმავდროულად, სამართლიანიც უნდა იყოს?" (11e). მაგრამ ეს ახალი დეფინიციაც, დანარჩენთა მსგავსად, თავის დასაბუთებას მოითხოვს: ამ ორ ცნებათაგან მაინც რომელია უფრო ფართო? რომელი მოიცავს მეორეს? სამართლიანობაა სიწმინდის ნაწილი თუ, პირიქით, სიწმინდე გვევლინება სამართლიანობის ნაწილად? როგორც ჩანს, სწორია სოკრატეს დებულების მეორე პუნქტი, ვინაიდან ყოველივე სამართლიანი აუცილებლად გულისხმობს წმინდას, მაშინ როდესაც ყოველივე წმინდა როდი გულისხმობს სამართლიანს (ისევე როგორც „ლუწი" ყოველთვის გულისხმობს რიცხვს, მაგრამ არა პირუკუ: რიცხვი ყოველთვის როდი გულისხმობს „ლუწს").

კი მაგრამ, — ეკითხება თანამოსაუბრეს სოკრატე, — სამართლიანის მაინც რა ნაწილია წმინდა? როგორც ჩანს, ის, მიუგებს ქურუმი — რომელიც ღვთიამსახურებას უკავშირდება. ხოლო ღვთისმსახურება, მისი აზრით, სხვა არა არის რა, თუ არა მსხვერპლშეწირვა და ლოცვა-ვედრება. მაგრამ კაცი, რომელიც მსხვერპლს სწირავს ღმერთებს, რაღაცას უძღვნის, რაღაცას აძლევს მათ, ლოცვა-ვედრებით კი ასევე რაღაცას მოითხოვს მათგან. ამრიგად, ევთიფრონის კიდევ ერთი დეფინიციით, სიწმინდე იმის ხელოვნებაა, რომ რაღაცა მისცე ან სთხოვო უკვდავთ (14d), საიდანაც გარდუვალად გამომდინარეობს დასკვნა, რომ სიწმინდე ღმერთთა და კაცთა შორის ერთგვარ აღებ-მიცემობად გვევლინება (ეს „მკრეხელური" აზრი მარტოოდენ დიალოგის შინაგანი განვითარების ლოგიკური შედეგი როდი გახლავთ: ბერძნული რელიგიის ღმერთები, რომლებიც „ადამიანის ხატად" იყვნენ შექმნილნი და ადამიანებისავე ინტერესები და მოთხოვნილებები ჰქონდათ, უანგაროდ როდი გასცემდნენ თავიანთ წყალობას. ამიტომაც მსხვერპლშეწირვას ძველ საბერძნეთში ოდითგანვე ერთგვარი სავაჭრო გარიგების ხასიათი ჰქონდა[15]).

კეთილი და პატიოსანი, — ამბობს სოკრატე, — ადამიანებისათვის ამ აღებ-მიცემობის მნიშვნელობა დიახაც გასაგებია, მაგრამ რას არგია იგი ღმერთებს? „ნუთუ აღებ-მიცემობის ნიჭით ვჯობივართ, რაკიღა ყველაფერს ვიღებთ მათგან, ისინი კი ჩვენგან — არაფერს?" (15a). რაზედაც ევთიფრონი მიუგებს, რომ ჩვენი შესაწირავი სხვა არა არის

---

[15] ამის შესახებ დაწვრილებით იხ. პ. გირო, დასახ. ნაშრ., გვ. 246—249.

რა, თუ არა ღმერთებისადმი „ჩვენი პატივისცემისა და მოწიწების გამოხატულება, ან კიდევ.. იმის დასტური, რომ გვსურს რაღაცა ვაამოთ მათ (15 a). მაშასადამე, მსხვერპლშეწირვა სასიამოვნო ყოფილა ღმერთებისათვის. სოკრატეს სულ ორიოდე კითხვა სჭირდება, რათ აღიარებინოს ევთიფრონს, რომ ის, რაც სასიამოვნოა ღმერთებისათვის, იმავდროულად, მოსაწონი, სასურველი და საყვარელიცაა მათთვის; ეს კი ზემოთ უკვე არასაკმარისად მიჩნეული მეორე დეფინიციის სიტყვასიტყვით განმეორებას ნიშნავს... ასე იკვრება ერთგვარი მოჯადოებული თუ ბიწიერი წრე, საიდანაც გამოსავალი უკვე აღარა ჩანს. ამიტომ თავმოყვარეობაშელახული ქურუმი არაფრად აგდებს სოკრატეს თხოვნას, — ნუ მიმატოვებ, კვლავ ერთად განვაგრძოთ სიწმინდის კვლევა-ძიებაო, — გადაუდებელ საქმეს მოიმიზეზებს და გაქცევით შველის თავს.

ამრიგად, სიწმინდის არსი ფაქტიურად განუსაზღვრელი დარჩა. მაგრამ, ამ ნეგატიური შედეგის მიუხედავად, პლატონი ერთდროულად რამდენიმე მიზანს აღწევს. და მართლაც: დაასაბუთო პოლითეიზმის ზნეობრივი უმწეობა, მისი მითოლოგიური ტრადიციების უსაფუძვლობა და მისი კულტის უნაყოფობა აჩვენო ამ კულტის მსახურთა გონებრივი შეზღუდულობა; დასახო სიწმინდისა და სამართლიანობის თანაფარდობის მრავლისაღმთქმელი ტენდენცია; ამხილო მითოლოგიურ ცრურწმენათა მავნე გავლენა და ადამიანის შეგნებაში გააღვივო თავისუფალი აზროვნების მძაფრი წყურვილი, თვითმყოფობის, თვითრწმენისა და შინაგანი ღირსების ამაყი გრძნობა, — ყოველივე ეს ავტორის უდავო მიღწევად და დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

ევთიფრონი, სოკრატე

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. ეს რა ახალი ამბავია, სოკრატე? თავი მიგინებებია ლიკეონში[1] შენი საქმიანობისათვის და ახლა აქ ატარებ დროს, სამეფო ბჭესთან.[2] ან იქნებ, ჩემი არ იყოს, შენც რაიმე საჩივრით ეახელ მეფეს[3]?

ს ო კ რ ა ტ ე. არა, ევთიფრონ, ჩემს საქმეს საჩივარს კი არ ეტყვიან ათენელნი, არამედ ბრალდებას.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. რას ამბობ? ნუთუ ვინმემ გიჩივლა? რადგან მე ვერ წარმომიდგენია, რომ შენ თვითონ შეგიძლია უჩივლო სხვას.

ს ო კ რ ა ტ ე. მართლაც რომ არ შემიძლია.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. მაშასადამე, შენ თვითონ გიჩივლა ვინმემ?

ს ო კ რ ა ტ ე. დიახ.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. მაინც ვინ?

ს ო კ რ ა ტ ე. მართალი გითხრა, კარგად არც კი ვიცნობ, ევთიფრონ. შესახედავად ახალგაზრდაა, სხვა მხრივ კი რა მოგახსენო. მგონი მელეტოსი[4] ჰქვია სახელად, ხოლო სადაურობას თუ იკითხავ, — პიტთეელია.[5] ხომ არ გეცნობა ვინმე პიტთეელი მელეტოსი? გადალესილი თმა, თხელი წვერი და კეხიანი ცხვირი აქვს.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. არა, არ მეცნობა, სოკრატე. კი მაგრამ, მაინც რაში გდებს ბრალს?

ს ო კ რ ა ტ ე. რაში და... ამნაირ ბრალდებას, ჩემის აზრით, მხოლოდ კეთილშობილი კაცი თუ წამოგიყენებს. ასე ახალგაზრდა და ამდენი რამის ცოდნა, ხუმრობა საქმე როდია. როგორც თვითონვე ამბობს, მან თურმე იცის, რა ხრწნის ახალგაზრდობას და ვინ არიან მისი გამხრწნელნი. ჩანს, რომ ბრძენია; შეიცნო ჩემი უმეცრება და სახელმწიფოს — ჩვენი საერთო დედის წინაშე თავისი თანატოლების გახრწნას მდებს ბრალად. ჩემის აზრით, ის ერთადერთია სახელმწიფო მოღვაწეთა შორის, მართებულად რომ იწყებს საქმეს. მართლაცდა, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა იმაზე ზრუნვა, რომ ახალგაზრდობა რაც შეიძლება უკეთესი იყოს; ამ მხრივ, გონიერ მებაღეს უნდა ვბაძავდეთ, უპირველეს ყოვლისა, ნორჩ ნერგებს რომ დასტრიალებს თავს და მხოლოდ შემდეგ — ყველა დანარჩენს. უეჭველად ასევე იქცევა მელეტოსიც: ჯერ ჩვენ, — როგორც თვითონვე ამბობს, — ახალგაზრდა თაობის გამხრწნელთ ამოგვძირკვავს და შემდეგ, ცხადია, უფრო ხნიერებზე გადაიტანს თავის ზრუნვას, რითაც არაერთ ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს ჩვენს სახელმწიფოს. მისგან, ვინც ასე ღირსეულად იწყებს საქმეს, რა თქმა უნდა, ბევრ რამეს უნდა ველოდეთ.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. ნეტა ეგრე იყოს, სოკრატე. მაგრამ ვაითუ ყველაფერი უკუღმა

მოხდეს, რადგან ვინც შენზე აღმართავს ხელს, ჩემის აზრით, სახელმწიფოს წმინდა ფუძის მოშლასა ცდილობს. მაგრამ მითხარი, რას ამბობს, — მაინც როგორია ხრწნი ახალგაზრდობას?

ს ო კ რ ა ტ ე. რომ მოგასმენია, ყურებს არ დაუჯერებ, ჩემო საოცარო: ამბობს, ვითომც ღმერთების შემოქმედი ვარ, ვითომც ახალ ღმერთებს ვქმნი და ძველებისა არაფერი მწამს; აი, რასა მდებს ბრალად.[6]

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. გასაგებია, სოკრატე! შენ ხომ ამტკიცებ, რომ ერთთავად თანა გდევს შენი დემონი.[7] ჰოდა, მელეტოსმაც დაასკვნა, თითქოს ახალ სარწმუნოებას ამკვიდრებ და ამიტომაც შეიტანა საჩივარი სამსჯავროში, რაკიღა იცის, რა ადვილად ერწმუნება ბრბო ამნაირ ცილისწამებას. აკი მეც დამცინიან და შეშლილად მთვლიან, როცა საჯარო თავყრილობაზე სარწმუნოებისათვის ვესაუბრები ან წინასწარ ვუცხადებ ხალხს, რაც უნდა მოხდეს. და თუმცა ჩემი წინასწარმეტყველება არასოდეს გამტყუნებულა, მაგრამ ბრბო შურის თვალით უყურებს ჩვენისთანებს. ამიტომ ნურავის გაუწევ ანგარიშს და გაუნუხრელად მისდიე შენს გზას.

ს ო კ რ ა ტ ე. დაცინვას კიდევ რა უშავს, ჩემო ძვირფასო ევთიფრონ. მე მგონია, ათენელებს ნაკლებად ადარდებთ, ვის თვლიან თავისი საქმის მცოდნედ, ოღონდ კი ეს უკანასკნელი სხვებს არ ახვევდეს თავზე საკუთარ ცოდნას. მაგრამ თუ შეატყვეს, რომ ცდილობს სხვებიც დაიმგვანოს, მაშინ, იქნებ, შენი თქმისა არ იყოს, — შურის, იქნებ სულ სხვა მიზეზის გამო, მათ რისხვას ვერ გადაურჩება.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. ასეა თუ ისე, სულაც არ მენაღვლება, რას ფიქრობენ ისინი ჩემზე.

ს ო კ რ ა ტ ე. იქნებ იმიტომ, რომ, მათი აზრით, იშვიათად თუ სთავაზობ ვინმეს სამსახურს და არა გსურს, სხვებს გაანდო ეგ შენი სიბრძნე. მე კი მეშინია, ვაითუ ჩემი კაცთმოყვარეობის გამო იმნაირ კაცად მიმიჩნიონ, ენაწყლიანად რომ უზიარებს სხვებს ყველაფერს, რაც იცის და სანაცვლოდ არამცთუ არავითარ საზღაურს არ ითხოვს, პირიქით, თვითონ გადაიხდიდა იმის ფასს, რომ ვინმეს ენებებინა და ესმინა მისთვის.[8] ამიტომ კვლავ გიმეორებ. ნეტა ამჯერად ჩემს დაცინვას დასჯერდნენ, ისევე როგორც, შენივე თქმით, თვითონაც დაგცინიან, და სიამოვნებით გავატარებდი დროს სამსჯავროში, ჩემს ყბად ამღებთა და მასხრად ამგდებთა შორის. მაგრამ თუ ისინი სერიოზულად უდგებიან საკითხს, მაშინ შენნაირი წინასწარმეტყველის მეტი ვერავინ გამოიცნობს, რითი დამთავრდება საქმე.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. შეიძლება არაფერიც არ მოხდეს, სოკრატე, და შენ ისევე მოიგო შენი საქმე, როგორც მე, იმედი მაქვს, მოვიგებ ჩემსას.

ს ო კ რ ა ტ ე. კი მაგრამ, მაგ შენს საქმეზე რას მეტყვი, ევთიფრონ? გაურბიხარ თუ სდევნი ვინმეს?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. ვსდევნი.

ს ო კ რ ა ტ ე. მაინც ვის?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. იმას, ვისი დევნისთვისაც შეიძლება შლეგად ჩამთვალონ.

ს ო კ რ ა ტ ე. რაო, ფრენა ხომ არ შეუძლია?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. ფრენის თავი სადა აქვს ბებრუცს?

ს ო კ რ ა ტ ე. აღარ მეტყვი, ვინ არის?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. მამაჩემი.

ს ო კ რ ა ტ ე. მამაშენი, ჩემო ძვირფასო?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. ის გახლავს სწორედ.

ს ო კ რ ა ტ ე. კი მაგრამ, რა დააშავა? ან რას სდებ ბრალად?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. კაცის კვლას, სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. ო ჰერაკლე![9] ბრბოს ვინ მისცა, ევთიფრონ, იმისი თავი, რომ შენი სიმართლე გაიგოს. მე მგონია, ამ საქმის მართლად განსჯას უბირი კი არა, სიბრძნეში დახელოვნებული კაცი თუ შესძლებს მხოლოდ.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. ვფიცავ ზევსს[10], ღრმად დახელოვნებული, ჩემო სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. მამაშენს ალბათ, თქვენი ნათესავი შემოაკვდა, არა? ცხადია, ასე უნდა იყოს, რადგან უცხოს გულისთვის ხომ არ უჩივლებდი საკუთარ მამას?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. სასაცილოა, სოკრატე, რომ შენ არჩევ, უცხოა ეს მოკლული თუ ნათესავი, და არა იმას, ჰქონდა თუ არა მკვლელს მოკვლის ნება? თუ ჰქონდა, რა

გაუწყობა, თავი უნდა ანებო მკვლელს, თუ არადა, სანაცვლო უნდა მიაგო, მიუხედავად იმისა, შენი ოჯახის წევრია თუ შენი თანამეინახე. ერთნაირი სიბილწეა მის გვერდით ცხოვრებაც, როცა იცი, რაც ჩაიდინა, და ისიც, რომ სასამართლოს არ გადასცემ იმას, რათა მასთან ერთად შენც განიწმინდო. ისე კი, მოკლული ჩემი მოიჯარადრე იყო, და როცა ნაქსოსზე[11] ვამუშავებდით მამულს, ჩვენ გვემსახურებოდა. შექეიფიანებული ერთ-ერთ მსახურს წაეჩხუბა და მოკლა. მამაჩემმა ბრძანა, ხელ-ფეხი შეეკრათ მკვლელისათვის და ხაროში ჩაეგდოთ; შემდეგ კი აქ გამოგზავნა კაცი, რათა მისნისგან[12] გაეგო, რა უნდა ეყო მისთვის. ხელ-ფეხ შეკრულზე ზრუნვით კი მთელი ამ ხნის განმავლობაში თავი არ აუტკიებია, კაცისმკვლელია და რას დავეძებ, თუნდაც მოკვდესო. ასედაც მოხდა: არ ვიცი, რისი ბრალია, შიმშილის, სიცივის თუ ბორკილებისა, მაგრამ საცოდავმა მანამდე მოგჭამა ჭირი, სანამ აქ გამოგზავნილი კაცი უკანვე მობრუნდებოდა. ჰოდა, მამაჩემიცა და დანარჩენი ნათესავებიც მრისხავენ იმის გამო, რომ კაცისმკვლელის გულისთვის მშობელ მამას ბრალს ვდებ იმაში, რაც, მათის აზრით, მამაჩემს არ ჩაუდენია. მაგრამ კიდეც რომ ჩაედინა, ამბობენ ისინი, — მაშინაც კი არ უნდა გამოსარჩლებოდი ამნაირ კაცს, ვინაიდან მოკლული თვითონვე იყო მკვლელი და, ეგეც არ იყოს, შვილის მხრივ მამის დევნა სიბილწეა და უკეთურობაო. ასე უკუღმართად ესმით, სოკრატე, რა მიაჩნია სარწმუნოებას სიწმინდედ და რა — სიბილწედ თუ უკეთურობად.

სოკრატე. ზევსის გულისათვის, ევთიფრონ, ნუთუ გგონია, ისე ზუსტად იცნობ სარწმუნოების რაობას და სიწმინდისა თუ უკეთურობის არსს, რომ არ გეშინია, მამაშენისათვის ბრალის დადებით თავადაც უკეთურობა არ ჩაიდინო?

ევთიფრონი. რა იქნებოდა ჩემი ფასი, სოკრატე, ანდა რითი განირჩეოდა ევთიფრონი ბრბოისაგან, ზუსტად რომ არ ვიცნობდეს ყოველივე ამას?

სოკრატე. როგორც ჩანს, ჩემთვის ყველაზე უმჯობესი იქნებოდა შეგირდად დაგდგომოდი, ჩემო საოცარო ევთიფრონ, რათა მელეტოსის მიერ აღძრული საქმის გარჩევამდე შემეთავაზებინა მისთვის, უკანვე წაეღო თავისი ბრალდება.[13] მე ვეტყოდი, რომ უწინაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი სარწმუნოების საკითხთა ცოდნას, ახლა კი, როცა ის ამტკიცებს, რომ მე თავქარიანივით ვიქცევი და ჩემი სიახლეების დანერგვით ვცოდავ სარწმუნოების მიმართ, — უკვე შენი შეგირდი გავხდი „და თუ შენ, მელეტოს, — ვეტყოდი მას, — აღიარებ ევთიფრონის ცოდნასა და მისი მსჯელობის სისწორეს ამ დარგში, მაშინ ისიც უნდა აღიარო, რომ მეც მართებულად ვმსჯელობ და ნულარ მიჩივი სასამართლოში. თუ არადა, ჩემზე უმალ ამ ჩემს მოძღვარს უჩივლე, როგორც ხნიერი ხალხის — ჩემსა და მამამისის გამხრწნელს. ჩემსას — თავისი მოძღვრებით, მამამისისას კი — თავისი შეგონებებითა და ბრალდებით". ხოლო თუ ის არ მერწმუნება და უკანვე არ წაიღებს თავის ბრალდებას, ანდა თუ ჩემს მაგივრად შენ არ დაგდებს ბრალს, მაშინ სასამართლოსაც იმასვე მოვახსენებ, რასაც თვითონ მას ვეუბნებოდი.

ევთიფრონი. ვფიცავ ზევსს, სოკრატე, მას რომ ამის გამო ეჩივლა ჩემთვის ვფიქრობ, სულ ადვილად ვუპოვიდი სუსტ ადგილს და სასამართლოში უმალ მისი საქმე გაირჩეოდა, ვიდრე ჩემი.

სოკრატე. ეჭვიც არ მეპარება, ჩემო ძვირფასო მეგობარო, და, აი, რატომ მინდა შენი შეგირდი გავხდე, რადგანაც მწამს, რომ ვერავინ, თვით მელეტოსიც კი ვერ გაბედავს თვალი გაგისწოროს, მაშინ როდესაც მე ისე ღრმად და ისე ადვილად ჩამხედა გულში, რომ მკრეხელობაც კი დამაბრალა. ახლა კი, ზევსის გულისათვის, მითხარი ის, რაც შენივე წეღანდელი მტკიცებით, ესოდენ კარგად გესმის: როგორ გგონია, რა არის წმინდა და რა — უკეთური როგორც მკვლელობისას, ისე ყველა სხვა შემთხვევაში? განა სიწმინდე ყოველთვის ერთი და იგივე არ არის? ანდა უკეთურობა, რომელიც მთლიანად უპირისპირდება სიწმინდეს, ასევე ყველა შემთხვევაში არა ჰგავს საკუთარ თავს? და განა ყოველივე უკეთური ერთი და იგივე არ არის თავისი ბუნებით, თავისი არსით?

ევთიფრონი. რასაკვირველია, სოკრატე.

სოკრატე. მაშინ მითხარი, რა არის, შენის აზრით, წმინდა და რა — უკეთური?

ევთიფრონი. მე ვამტკიცებ, რომ წმინდაა ის, რასაც ამჟამად ჩავდივარ. სულერთია, რას ეხება საქმე, — მკვლელობას, მკრეხელობას თუ სხვა რაიმე ამგვარს, სიწმინდე ისაა, რომ პასუხი აგებინო დამნაშავეს, მამა იქნება ის, დედა თუ ვინც გნებავს

სხვა; ხოლო თუ პასუხს არ აგებინებ, მე უკეთურობად მივიჩნევ ამას. მაშ, დაუკვირდი, სოკრატე, რაოდენ სარწმუნო საბუთს მოგიტან იმ აზრის სისწორის დასტურად, — რამდენჯერ მითქვამს ეს სხვებისთვისაც! — რომ, საცა სამართალია, ხელი არ უნდა ვაფარებდეთ დამნაშავეს, ვინც უნდა იყოს იგი. მართლაცდა, ადამიანები ხომ ღმერთთა შორის უკეთესსა და უსამართლიანესს უწოდებენ ზევსს, მაგრამ, იმავდროულად, აღიარებენ, რომ მან ბორკილები დაადო მამამისს, რომელიც განუკითხავად ხოცავდა თავის შვილებს; ხოლო ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, სხვაგვარი განუკითხაობის სანაცვლოდ კიდევაც დაასაჭურისა საკუთარი მამა. მე კი მრისხავენ იმის გამო, რომ უსამართლობის საზღაურად პასუხს ვთხოვ მამაჩემს, და, ამრიგად, თავიანთ თავსვე ეწინააღმდეგებიან, რაკიღა სხვადასხვანაირად აფასებენ ღმერთების საქციელს და ჩემსას.

ს ო კ რ ა ტ ე. კი მაგრამ, ევთიფრონ, იმიტომ ხომ არ მდებენ ბრალს, რომ ვერ ვიტან, როცა ასე მელაპარაკებიან ღმერთებზე. შესაძლოა ზოგიერთმა ეს მართლაც დანაშაულად ჩამითვალოს. მაგრამ თუ შენ, სარწმუნოების საკითხებში ესოდენ ღრმად ჩახედული კაცი, იზიარებ ყოველივე ამას, მეტი რა გზაა, ისე გამოდის, რომ ჩვენც უნდა გავიზიაროთ. ან კი რა გვეთქმის, როცა ამ საქმეში არაფერი არ გაგვეგება. მაგრამ მეგობრობის ღმერთის გულისთვის, ერთი ეს მითხარი ევთიფრონ, თუ გჯერა, რომ ყოველივე ეს მართლა ასე მოხდა?15

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. უფრო დიდი საოცრებებიც მომხდარა, სოკრატე, რაზედაც წარმოდგენაც არა აქვს ბრბოს.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, შენ აღიარებ, რომ ღმერთებს შორის მართლაც ხდება ბრძოლები, საშინელებანი, შეტაკებები და სხვა მისთანანი, რასაც გვაუწყებენ პოეტები და რითაც აჭრელებულია ჩვენი დიდებული მხატვრების მიერ მოხატული წმინდა საგნები, ისევე როგორც ამნაირი გამოსახულებებით უხვად შემკული მოსასხამი, დიდი პანათენური დღესასწაულის დროს რომ აქვთ აკროპოლისზე?16 ყოველივე ამას ჭეშმარიტებად უნდა ვთვლიდეთ, ჩემო ევთიფრონ?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. არა მარტო მაგას, სოკრატე; თუ გნებავს, როგორც წეღან გეუბნებოდი, ბევრ სხვა რამესაც გიამბობ ღმერთებზე და დარწმუნებული ვარ, განცვიფრებული დარჩები ჩემი ნაამბობით.

ს ო კ რ ა ტ ე. ეჭვიც არ მეპარება; მაგრამ ამას სხვა დროს მიამბობ, როცა მოცლილები ვიქნებით. ახლა კი ეცადე უფრო ნათლად მიპასუხო ჩემს წეღანდელ კითხვაზე. რადგან შენი წინა პასუხით საკმაოდ ზუსტად ვერ ამიხსენი, ჩემო მეგობარო, რა არის სიწმინდე: მხოლოდ ის მითხარი, რომ სიწმინდე ისაა, რასაც ამჟამად სჩადიხარ, ესე იგი, მკვლელობას აბრალებ მამაშენს.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. და მართალი გითხარი, სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. შეიძლება; მაგრამ, ევთიფრონ, ბევრი სხვა რამეც ხომ მიგაჩნია სიწმინდედ?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. თუ გახსოვს, მე იმას კი არა გთხოვდი, რომ სიწმინდის ურიცხვი სიმრავლიდან ორიოდე ნიმუში მოგეტანა ჩემთვის. არამედ იმას, რომ განგემარტა სიწმინდის ზოგადი არსი, რომლის თანახმადაც წმინდაა ყოველივე ის, რაც არის წმინდა. რადგან შენ თვითონ ამბობდი, რომ ყოველივე წმინდა და უკეთური ერთადერთი არსის თანახმადაა წმინდა და უკეთური. ან, იქნებ, არ გახსოვს?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. ცხადია, მახსოვს.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშ, ამიხსენი, მაინც რა არის ეს არსი? მინდა ყოველთვის თვალწინ მედგეს და საზომად ვიყენებდე მას, რათა შემეძლოს ვამტკიცო, რომ გინდ შენი და გინდ სხვისი ქცევა წმინდაა, თუკი მას ეთანხმება, თუ არადა, არ არის წმინდა.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. თუკი ასე ძალიან გინდა, ახლავე აგიხსნი, სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. რასაკვირველია, მინდა.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. წმინდაა ის, რაც ღმერთებს მოსწონთ, ხოლო ის, რაც არ მოსწონთ — უკეთური.

ს ო კ რ ა ტ ე. დიდებულია, ევთიფრონ. ახლა კი ზუსტად ისე მიპასუხე, როგორც მე გთხოვდი. მართალია, ჯერ კიდევ არ ვიცი, სწორია თუ არა შენი პასუხი, მაგრამ მე შენ გეტყვი, გაგიჭირდება დამიმტკიცო მისი სისწორე!

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. მაგის მეტი გასაჭირი ნუ მომცა ღმერთმა.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშ, მოდი, დავუფიქრდეთ ჩვენს სიტყვებს. ღმერთების მოსაწონი საქმე და ღმერთების მოსაწონი კაცი წმინდაა, ხოლო მათთვის საძულველი საქმე თუ კაცი — უკეთური. მეორეს მხრივ, წმინდა და უკეთური ერთი და იგივე რამ კი არ არის, არამედ პირწმინდად უპირისპირდებიან ერთმანეთს. ასეა, არა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. რაღა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშ, სწორად ვმსჯელობთ?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. მე მგონია, სოკრატე, აკი გითხარი.

ს ო კ რ ა ტ ე. მაგრამ შენ ისიც მითხარი, ევთიფრონ, რომ ღმერთები ერთმანეთს ვერ ეგუებიან, ერთმანეთს მტრობენ და ებრძვიან. ესეც ხომ ითქვა?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. დიახ, ითქვა.

ს ო კ რ ა ტ ე. კი მაგრამ, რატომ ვერ მორიგებულან ღმერთები, რის გამო მტრობენ და ებრძვიან ერთმანეთს? მოდი, დავფიქრდეთ. მე და შენ რომ ამა თუ იმ რაოდენობის თაობაზე ვერ შევთანხმებოდით ერთმანეთს, კერძოდ იმაზე, თუ რომელია უფრო დიდი და რომელი — მცირე, როგორ გგონია, ამ უთანხმოების გამო გაგულისებულნი ერთმანეთს გადავემტერებოდით თუ დაუყოვნებლივ დავიწყებდით გამოთვლას და თანხმობას მივაღწევდით?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. ცხადია, მივაღწევდით.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, თუკი რაიმე საგანთა სიდიდისა და სიპატარავის თაობაზე მოგვიწევდა კამათი, საკმარისი იქნებოდა გაგვეზომა ისინი და სულ მალე ბოლოს მოვუღებდით ჩვენს დავაა?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. დიახ.

ს ო კ რ ა ტ ე. ზუსტად ასევე, მე მგონია, თუკი სიმძიმისა და სიმსუბუქის გარჩევაზე მიდგებოდა საქმე, სასწორის მეშვეობით აქაც ადვილად გამოვნახავდით საერთო ენას.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. უეჭველად.

ს ო კ რ ა ტ ე. კი მაგრამ, მაინც რა არის ის, რისი ზუსტი საზომიც არ გაგვაჩნია და რის თაობაზე ჩვენი დავაც შეიძლება გულისწყრომასა და ერთმანეთის მტრობაში გადაიზარდოს? იქნებ აგრე პაიპარად ვერც მიპასუხო. მაგრამ დაფიქრდი, განა მართალი არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ესაა სამართლიანი და უსამართლო, მშვენიერი და მახინჯი, კეთილი და ბოროტი? განა სწორედ მათზე დავისას, როცა არავითარი ზუსტი საზომი არ მოგვეძებნება ჩვენი შეხედულებების შესათანხმებლად, ერთმანეთის მტრები არ ვხდებით მეც, შენცა და ყველა სხვა კაციც?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. სწორედ ეგაა, სოკრატე, ჩვენი უთანხმოების მიზეზი.

ს ო კ რ ა ტ ე. მერედა, ღმერთები, ევთიფრონ? თუკი მათ შორისაც თავს იჩენს ხოლმე უთანხმოება, განა სწორედ ამის გამო არ იჩენს?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. უთუოდ.

ს ო კ რ ა ტ ე. ამრიგად, ჩემო ღირსეულო ევთიფრონ, შენი თქმისა არ იყოს, ღმერთთაგან ზოგს ერთი რამ მიაჩნია სამართლიანად, მშვენიერად, მახინჯად, კეთილად და ბოროტად, ზოგს კი მეორე. ამიტომაც, თუ დაობენ, მხოლოდ ამის გამო დაობენ; ასეა, არა?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. მართალს ბრძანებ.

ს ო კ რ ა ტ ე. ასე რომ, თვითეულ ღმერთთაგანს სწორედ ის მიაჩნია მშვენიერად და კეთილად, რაც მოსწონს, ხოლო რაც მათ უპირისპირდება, სძულს?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, შენის აზრით, ერთი და იგივე რამ მათთვის სამართლიანიცაა და უსამართლოც. სწორედ ეს სხვადასხვაობაა იმის მიზეზი, რომ ისინი ედავებიან და მტრობენ ერთმანეთს; ასეა, არა?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. დიახ, ასეა.

ს ო კ რ ა ტ ე. ამრიგად, როგორც ჩანს, ერთი და იგივე რამ ღმერთებს შეიძლება უყვარდეთ და სძულდეთ კიდეც; ერთი და იგივე რამ სასიამოვნოც იყოს მათთვის და უსიამოვნოც.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. ეგრე გამოდის.

ს ო კ რ ა ტ ე. ესე იგი, ჩვენი მსჯელობის თანახმად, ჩემო ევთიფრონ, ზოგიერთი რამ ერთდროულად წმინდაცაა და უკეთურიც.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. როგორც ირკვევა

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, ჩემო საოცარო, შენ ჯერ კიდევ არ გაგიცია პასუხი ჩემს კითხვაზე: ვინაიდან იმას როდი გეკითხებოდი, თუ ერთსა და იმავე დროს რა არის წმინდაც და უკეთურიც. ახლა კი ირკვევა, რომ ის, რაც ღმერთებს სიამოვნებს, შეიძლება უსიამოვნოც იყო მათთვის. ამრიგად, ნუ გაგიკვირდება, ჩემო ევთიფრონ, თუკი ის, რასაც ახლა სჩადიხარ, რათა პასუხი აგებინო მამაშენს, შესაძლოა სასიამოვნოდ დაურჩეს ზევსს, მაგრამ არ ესიამოვნოს კრონოსს და ურანოსს, ან სასიამოვნო იყოს ჰეფესტოსათვის,[17] ხოლო ჰერასათვის[18] — უსიამოვნო; და ზუსტად იგივე ითქმის სხვა ღმერთების მიმართაც, თუკი ისინი ერთმანეთს არ ეთანხმებიან ამ საკითხში.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. მაგრამ, ჩემის აზრით, სოკრატე, შეუძლებელია ღმერთებს შორის უთანხმოება ჩამოვარდეს იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ პასუხი უნდა მოეთხოვოს უსამართლო მკვლელს.

ს ო კ რ ა ტ ე. მერე რა, ევთიფრონ? განა კაცთა შორის კი სადავოდ გაუხდია ვინმეს, რომ პასუხი უნდა მოეთხოვოს კაცის უსამართლოდ მკვლელსა თუ სხვა რამ უსამართლობის ჩამდენს?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. ამაზე დავა არ მოიშლება არც სხვაგან და, მით უმეტეს, არც სამსჯავროებში, ვინაიდან თვით პირწავარდნილი დამნაშავენიც კი რას არ ამბობენ და რას არ სჩადიან, ოღონდ კი თავი დააღწიონ სასჯელს.

ს ო კ რ ა ტ ე. კი მაგრამ, ევთიფრონ, ნუთუ აღიარებენ დანაშაულს? აღიარების შემდეგ კი აცხადებენ, რომ არ იმსახურებენ სასჯელს?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. არა, მაგისი კი რა მოგახსენო.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, ყველაფერს როდი ამბობენ და ყველაფერს როდი სჩადიან. ჩემის აზრით, ისინი ვერ გაბედავენ იმის თქმას , რომ, თუმცაღა დამნაშავენი არიან, მაინც არ იმსახურებენ სასჯელს, არამედ მხოლოდ თავიანთი უდანაშაულობის დამტკიცება სურთ; ასეა, არა?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. მართალს ბრძანებ.

ს ო კ რ ა ტ ე. ამრიგად, იმაზე კი არ დაობენ, რომ დამნაშავენი არ უნდა დაისაჯონ, არამედ მხოლოდ იმაზე, მართლა დამნაშავენი არიან თუ არა, და როდის რა დააშავეს.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. ამასაც მართალს ბრძანებ.

ს ო კ რ ა ტ ე. კი მაგრამ, განა იგივე არ ითქმის ღმერთების მიმართ, თუკი, შენივე სიტყვით, ისინი მართლაც დაობენ იმაზე, თუ რა არის სამართლიანი და რა — უსამართლო? და განა ერთნი არ ამტკიცებენ, მეორენი უსამართლოდ გვექცევიანო, მეორენი კი არ უარყოფენ ამას? ხომ ცხადია, ჩემო საოცარო, რომ ვერავინ, ღმერთი იქნება ის თუ კაცი, ვერ გაბედავს იმის მტკიცებას, რომ დამნაშავე არ უნდა დაისაჯოს.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. მართალი ხარ, ჩემო სოკრატე, ყოველ შემთხვევაში, ზოგადად მაინც.

ს ო კ რ ა ტ ე. ნურც კერძოს გამორიცხავ, ევთიფრონ, ვინაიდან, როცა დაობენ, ადამიანებიცა და ღმერთებიც რაღაც კერძოს გამო დაობენ, თუკი ღმერთები მართლა დაობენ ერთმანეთს შორის. ერთნი ამბობენ , რომ ესა და ეს საქმე სამართლიანია, მეორენი კი უსამართლოდ მიიჩნევენ მას; ან იქნება, არ არის ასე?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. რაღა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშ, ახლა მეც ამიხსენი ,ჩემო ძვირფასო ევთიფრონ, ეგება ჭკუა მომემატოს: რა საბუთი მოგეძებნება იმის დასტურად, რომ ყველა ღმერთი უსამართლობად მიიჩნევს იმ კაცის სიკვდილს, რომელიც თქვენი მოიჯარადრე იყო, მერე კი კაცისმკვლელი გახდა, რისთვისაც ბორკილები დაადო მოკლულის ბატონმა და ამის შედეგად თვითონაც მოკვდა მანამ, სანამდის ბორკილების დამდები შეიტყობდა მისნებისაგან, თუ რა უნდა ეყო მისთვის? ანდა რითი დამიმტკიცებ, თითქოს ყველა ღმერთი იწონებს იმას, რომ შვილი მკვლელობას აბრალებს და სამართალში აძლევს საკუთარ მამას. ეცადე წარმომიდგინო იმის სარწმუნო საბუთი, რომ უკლებლივ ყველა ღმერთი მართებულად მიიჩნევს ამნაირ საქციელს; და თუ შესძლებ წარმომიდგინო, მთელი სიცოცხლის მანძილზე შენი სიბრძნის მაქებარი ვიქნები.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. საკმაოდ ძნელი საქმეა, სოკრატე; და მაინც, მე შემიძლია სრული სიცხადით დაგიმტკიცო ეს.

ს ო კ რ ა ტ ე. ახლა კი მესმის, რომ მსაჯულებზე უფრო გონებაჩლუნგი გგონივარ. ვინაიდან მათ ალბათ ადვილად დაუმტკიცებ, რომ მამაშენის საქციელი უსამართლოა და, მაშასადამე, ღმერთებისათვის საძულველიც.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. რა თქმა უნდა, დავუმტკიცებ, ჩემო სოკრატე, თუკი კეთილინებებენ და მომისმენენ.

ს ო კ რ ა ტ ე. რასაკვირველია, მოგისმენენ, თუკი ყურადღების ღირსად მიიჩნიეს შენი სიტყვები. მაგრამ აი რა აზრი მომივიდა თავში, ვიდრე შენს პასუხს ვისმენდი, და რაზე ვფიქრობ: დავუშვათ და ევთიფრონმა მართლაც დამაჯერებლად დამიმტკიცა, რომ ყველა ღმერთს უსამართლობად მიაჩნია ეს მკვლელობა; მერედა, განა ევთიფრონის წყალობით უკეთ გავიგებ, რა არის წმინდა და რა — უკეთური? დავუშვათ, რომ ეს საქმე საძულველია ყველა ღმერთისთვის;მაგრამ ჩვენ ხომ ეს-ესაა გავარკვიეთ, რომ ამით როდი განისაზღვრება წმინდა და უკეთური, რადგან ის, რაც ღმერთებისათვის საძულველია, შეიძლება სასურველიც იყოს მათთვის. ამიტომაც გათავისუფლებ, ევთიფრონ, შემდგომი მტკიცებისაგან. თუ გნებავს, დავუშვათ, რომ ყველა ღმერთს უსამართლოდ და საძულველად უჩანს ეს საქმე. მაგრამ შემდეგნაირად ხომ არ შევასწოროთ ჩვენი მსჯელობა: უკეთურია ის, რაც არც ერთ ღმერთს არ მოსწონს, ის კი, რაც ყველა ღმერთს მოსწონს, — წმინდა; ხოლო ის, რაც ზოგიერთ ღმერთს უყვარს და ზოგიერთს სძულს, ან არც ერთია და არც მეორე, ან ორივეა ერთად. თანახმა ხარ თუ არა, რომ ასე განვსაზღვროთ უკეთური და წმინდა?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. ვითომ რა გვიშლის ხელს, სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. მე — არაფერი, მაგრამ შენზე იფიქრე, ევთიფრონ: თუ ამ განსაზღვრას აღიარებ, განა ასე ადვილად ამიხსნი იმას, რასაც დამპირდი?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. დიახ, მე თანახმა ვარ წმინდად ვაღიარო ის, რაც ყველა ღმერთს უყვარს, ხოლო ის, რაც ყველა ღმერთსა სძულს, — უკეთურად.

ს ო კ რ ა ტ ე. რა ვქნათ, ევთიფრონ, განვიხილოთ რამდენად მართებულია ჩვენი განსაზღვრა თუ მოვეშვათ მას და ზუსტად ასევე მოვიქცეთ როგორც ჩვენი, ისე სხვისი მსჯელობის მიმართ, ესე იგი, უყოყმანოდ ვაღიაროთ და გავიზიაროთ ყველაფერი, ვინც რას გვეტყვის? თუ, პირიქით, უნდა ავწონ-დავწონოთ ის, რასაც გვეუბნებიან?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. უნდა ავწონ-დავწონოთ; მაგრამ რაც შეეხება ჩვენს განსაზღვრას, ვფიქრობ, კარგად ითქვა, რაც ითქვა.

ს ო კ რ ა ტ ე. ახლავე უკეთ გამოჩნდება, ჩემო კეთილო. ერთი ამასაც დაუკვირდი: წმინდა იმიტომაა წმინდა, რომ ღმერთებს უყვართ. თუ, პირიქით, იმიტომ უყვართ, რომ წმინდაა?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. არ მესმის, რას ამბობ, სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. ვეცდები უფრო გარკვევით გითხრა. ჩვენ ვამბობთ: აღებული და ამღები, წაყვანილი და წამყვანი, დანახული და დამნახველი. გესმის თუ არა, რომ ყველა ეს სიტყვა განსხვავდება ერთმანეთისგან? ანდა თუ ხვდები, რაში მდგომარეობს ეს განსხვავება?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. მე მგონია, ვხვდები.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, საყვარელიც განსხვავდება მოყვარულისგან?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშინ მითხარი, აღებული იმიტომაა აღებული, რომ ის აიღეს, თუ სხვა რამის გამო?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. არა, იმიტომ, რომ აიღეს.

ს ო კ რ ა ტ ე. ხოლო წაყვანილი იმიტომაა წაყვანილი, რომ წაიყვანეს და დანახული — იმიტომ, რომ დაინახეს?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. რასაკვირველია.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, საგანს იმიტომ კი არ ხედავენ, რომ ის დანახულია, არამედ პირიქით, იმიტომაა დანახული, რომ მას ხედავენ; ზუსტად ასევე, იმიტომ კი არ მიჰყავთ რამე, რომ ის წაყვანილია, არამედ იმიტომაა წაყვანილი, რომ მიჰყავთ; არც რამეს იღებენ იმიტომ, რომ ის აღებულია, არამედ იმიტომაა აღებული, რომ აღებულ იქნა. ხომ გესმის, ევთიფრონ, რისი თქმა მსურს? მე მინდა გითხრა, რომ როცა რამე იქმნება ან განიცდება, იმიტომ კი არ იქმნება, რომ ის ქმნადია, არამედ იმიტომაა ქმნადი, რომ იქმნება, ისევე როგორც ვინმე იმიტომ კი არ განიცდის რასმე, რომ

ის განმცდელია, არამედ იმიტომაა განმცდელი, რომ რაღაცას განიცდის. ან იქნება არ მეთანხმები?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. ცხადია, გეთანხმები.

ს ო კ რ ა ტ ე. კი მაგრამ, განა საყვარელიც ვიღაცის მიერ არ განიცდება?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც იგივე ითქმის: საყვარელი იმიტომ კი არ უყვართ, რომ ის საყვარელია, არამედ იმიტომაა საყვარელი, რომ უყვართ.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. უთუოდ.

ს ო კ რ ა ტ ე. მერედა, რას ვიტყვით, რა არის წმინდა, ევთიფრონ, თუ არა ის, რაც, შენივე თქმით, ყველა ღმერთს უყვარს?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. დიახ.

ს ო კ რ ა ტ ე. კი მაგრამ, რატომ უყვართ? იმიტომ, რომ წმინდაა, თუ სხვა რამ მიზეზის გამო?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. არა, იმიტომ, რომ წმინდაა.

ს ო კ რ ა ტ ე. ესე იგი, წმინდა იმიტომ უყვართ, რომ წმინდაა, და იმიტომ როდია წმინდა, რომ უყვართ?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. როგორც ჩანს.

ს ო კ რ ა ტ ე. მაგრამ, მეორეს მხრივ, ის, რაც საყვარელია ღმერთებისათვის, განა მხოლოდ იმიტომ არაა საყვარელი, რომ ღმერთებს უყვართ?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. უეჭველად.

ს ო კ რ ა ტ ე. ასე რომ, შენივე თქმისა არ იყოს, ის, რაც ღმერთებს უყვართ, არ არის წმინდა, და არც წმინდაა ის, რაც ღმერთებს უყვართ, არამედ განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. როგორ, სოკრატე?

ს ო კ რ ა ტ ე. როგორ და ისე, რომ, ჩვენი შეთანხმების მიხედვით, წმინდა იმიტომ უყვართ, რომ წმინდაა, და იმიტომ როდია წმინდა, რომ უყვართ; ასეა, არა?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. დიახ.

ს ო რ ა ტ ე. მაშინ როდესაც ღმერთებისათვის საყვარელი მხოლოდ იმიტომაა საყვარელი, რომ ღმერთებს უყვართ და არა პირიქით, იმიტომ როდი უყვართ, რომ თავისთავადაა საყვარელი.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. მართალს ბრძანებ.

ს ო კ რ ა ტ ე. კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო ევთიფრონ, ღმერთებისათვის საყვარელი და წმინდა რომ ერთი და იგივე რამ იყოს, მაშინ, რაკი წმინდა იმიტომ უყვართ, რომ ის წმინდაა, — გამოვიდოდა, რომ ღმერთებისათვის საყვარელიც იმიტომ უყვართ, რომ ის თავისთავად საყვარელია. მეორეს მხრივ, რაკი ღმერთებისათვის საყვარელი იმიტომაა საყვარელი, რომ ღმერთებს უყვართ, წმინდაც იმიტომ იქნებოდა წმინდა, რომ ღმერთებისათვის საყვარელია. ახლა ხომ ხედავ, რომ ეს ორი რამ პირწმინდად განსხვავდება ერთმანეთისგან: ერთი მხოლოდ იმიტომაა საყვარელი, რომ ღმერთებს უყვართ, მეორე კი იმიტომ უყვართ, რომ თავისთავადაა საყვარელი. ასე რომ, ჩემო ევთიფრონ, როდესაც გთხოვე განგესაზღვრა, რა არის წმინდა, შენ, როგორც ჩანს, არ ისურვე მისი ნამდვილი არსი გეჩვენებინა ჩემთვის და მხოლოდ მის შემთხვევით ნიშანზე მიმითითე, კერძოდ, მითხარი — წმინდის თვისება ის არის, რომ ყველა ღმერთს უყვარსო, მის არსზე კი არაფერი გითქვამს. ამიტომ, თუ არ გეზარება, ნურაფერს დამიმალავ. კვლავ დავუბრუნდეთ ჩვენს კითხვას და თავდაპირველად ამიხსენი, რა არის წმინდა, მაგრამ ისე, რომ ნუღარ ვიძიებთ — საყვარელია ღმერთებისათვის თუ კიდევ სხვა რამ თვისება აქვს? ამაზე ნუღარ ვიდავებთ. მაშ, გულახდილად მითხარი, რა არის წმინდა და რა — უკეთური?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. მართალი გითხრა, აღარც კი ვიცი, როგორ გამოვხატო ჩემი აზრი, სოკრატე; რადგანაც ჩვენ მიერ წამოყენებული ყველა დებულება ირყევა და იმ ადგილზე ველარა რჩება, რომელიც ჩვენ მივუჩინეთ.

ს ო კ რ ა ტ ე. როგორც ჩანს, ყველაფერი, რასაც აქამდე ამბობდი, ევთიფრონ, ჩემა წინაპარ დედალოსს[19] უთქვამს; მე რომ წამომეყენებინა ეს დებულებები, უთუოდ მასხრად ამიგდებდი და იტყოდი, რომ ამნაირი ნათესაობის გამო ჩემი სიტყვიერი ქმნილებებიც ირყევიან და იმ ადგილზე ველარ რჩებიან, რომელიც მე მივუჩინე. მაგრამ

რაკი ისინი შენ გეკუთვნიან, ამიტომ სხვანაირი ხუმრობა გვმართებს, ვინაიდან ხომ ხედავ, რომ ეგ შენი დებულებები თავიანთ ადგილს ველარ პოულობენ.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. მე კი მგონია, სოკრატე, რომ ამ დებულებებთან დაკავშირებით სხვანაირი ხუმრობის ძებნა არ დაგვჭირდება, ვინაიდან მე კი არ მივაწერე ეს მერყეობა, რის გამოც ისინი თავიანთ ადგილას ვერ ჩერდებიან, არამედ სწორედ შენ მიმაჩნიხარ დედალოსად, — მათი მერყეობის ნამდვილ მიზეზად. რადგანაც, ჩემზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, ისინი უძრავად დარჩებოდნენ თავიანთ ადგილას.

ს ო კ რ ა ტ ე. თუ ასეა, ჩემო მეგობარო, დედალოსზე დიდი ხელოვანი ვყოფილვარ და ეგაა; ვინაიდან ის მხოლოდ საკუთარ ქმნილებებს ანიჭებდა მოძრაობის უნარს, მე კი არა მარტო ჩემსას, არამედ, როგორც ირკვევა, სხვისასაც. მაგრამ ამ ჩემს ხელოვნებაში ყველაზე საოცარი მაინც ისაა, რომ მე ჩემდა უნებურად ვემსახურები მას. ვინაიდან, ჩემი ნება რომ ყოფილიყო, დედალოსის ხელოვნებასა და ტანტალოსის[20] საუნჯეს, ერთად აღებულს, ვამჯობინებდი იმას, რომ ურყევად დამედგინა და დამეფუძნებინა ჩემი დებულებები, მაგრამ მოვეშვათ ამას; და რაკი შენ, როგორც ჩანს, თავის შეწუხება არ გსურს, ამიტომ მხარში ამოგიდგები, რათა, ამრიგად, მასწავლო, რა არის წმინდა. მაგრამ წინასწარ ნუ დაეცემი სულით, არამედ დაუკვირდი, აუცილებლად მიგაჩნია თუ არა, რომ ყოველივე ის, რაც წმინდაა, იმავდროულად, სამართლიანიც უნდა იყოს?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. დიახ, მიმაჩნია.

ს ო კ რ ა ტ ე. კი მაგრამ, ყოველივე ის, რაც სამართლიანია, ნუთუ წმინდაცაა? ან, იქნებ, ყოველივე წმინდა რომ მიგაჩნია სამართლიანად, იმავე დროს ყოველივე სამართლიანს კი არა თვლი წმინდად, არამედ მხოლოდ ზოგიერთს, ზოგიერთს კი არა?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. რა ვქნა, სოკრატე, რომ არ შემიძლია მივსდიო შენს აზრს.

ს ო კ რ ა ტ ე. კი მაგრამ, შენ ხომ ჩემზე უმცროსი ხარ და თანაც იმდენადვე ჩამომრჩები ასაკით, რამდენადაც მაჭარბებ სიბრძნით. მაგრამ, როგორც წეღან ვეუბნებოდი, თავის შეწუხება არა გსურს, მხოლოდ იმიტომ, რომ აღარ იცი, სად წაიღო ეგ შენი სიბრძნე. მაშ, თავს ძალა დაატანე, ჩემო ნეტარო! ჩემი სიტყვების გაგებას რა უნდა? ვინაიდან მხოლოდ იმის საპირისპიროს ვამტკიცებ, რასაც გვეუბნება პოეტი[21]:

„ალბათ, იმიტომ არ ახსენებ ზევსს, ყოვლის შემქმნელს,
რომ შიშს ყოველთვის თან სდევს სირცხვილი".

მე არ ვეთანხმები ამ პოეტს, გითხრა რატომ?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. მითხარი. გეთაყვა.

ს ო კ რ ა ტ ე. მე არა მგონია, რომ „შიშს ყოველთვის თან სდევს სირცხვილი". ჩემის აზრით, ბევრს ეშინია ავადმყოფობის, სიღარიბის და მრავალი სხვა მსგავსი რამისაც, მაგრამ, თუმცაღა ეშინია, ყოველ შემთხვევაში, არა რცხვენია იმისი, რისაც ეშინია. შენ რაღას იტყვი?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. დიახ, აგრეა.

ს ო კ რ ა ტ ე. მე თუ მკითხავ, პირიქით, „სირცხვილს ყოველთვის თანა სდევს შიში". მართლაცდა, განა შეიძლება კაცს რაღაცისა რცხვენოდეს და, იმავდროულად, არ ეშინოდეს, სახელი გამიტყდებაო?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. შეუძლებელია, არ ეშინოდეს.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, სცდება, ვინც ამბობს, რომ „შიშს ყოველთვის თან სდევს სირცხვილი". პირიქით, „სირცხვილს ყოველთვის თანა სდევს შიში", რადგანაც არ შეიძლება ითქვას, რომ სადაც შიშია, იქვეა სირცხვილიც. მართლაცდა, შიში უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სირცხვილი, ვინაიდან სირცხვილი მხოლოდ შიშის ნაწილად გვევლინება, ისევე როგორც კენტი მხოლოდ ნაწილია მთელი რიცხვისა, ასე რომ, როდესაც ამბობენ, რიცხვიო, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ის კენტია. მაშინ როდესაც კენტი უსათუოდ გულისხმობს რიცხვს. ახლა მაინც ხომ მომსდევ?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. ფეხდაფეხ.

ს ო კ რ ა ტ ე. ადრეც ამასვე გეკითხებოდი; მინდოდა გამეგო, სამართლიანი, იმავდროულად. წმინდაც არის? თუ წმინდა ყოველთვის სამართლიანია, მაგრამ სამარ-

თლიანი ყოველთვის როდია წმინდა, რაკიღა წმინდა მხოლოდ ნაწილია სამართლიანისა? მეთანხმები თუ სხვაგვარად ფიქრობ?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. არა, გეთანხმები; ჩემის აზრით მართალი უნდა იყო.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშ, დაუკვირდი, რა გამოდის აქედან. თუ წმინდა მხოლოდ ნაწილია სამართლიანისა, როგორც ჩანს, უნდა გავარკვიოთ, სამართლიანის მაინც რა ნაწილია იგი. ზუსტად ასევე, შენ რომ გეკითხა ზემოხსენებულ რიცხვთან დაკავშირებით: რიცხვის რა ნაწილია ლუწიო, მე გეტყოდი — ისეთი ნაწილი, რომელიც ორ უთანაბრო კი არა, თანაბარ ნაწილად იყოფა-მეთქი. ასეა, არა?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. დიახ.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშ, შენის მხრივ, ეცადე ამიხსნა, სამართლიანის რა ნაწილია წმინდა, რათა მას შემდეგ, რაც ამომწურავად გავიგებ შენგან, რა არის წმინდა და რა არა, იმის საშუალება აღარ მივცე მელეტოსს, რომ ცილი დამწამოს და უღმერთობა დამაბრალოს.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. ჩემის აზრით, სოკრატე, წმინდა და ღვთისნიერი სამართლიანის ის ნაწილია, რომელიც ღვთისმსახურებას უკავშირდება. სამართლიანის დანარჩენი ნაწილი კი იქნება ის, რაც ადამიანთა ურთიერთობაში ვლინდება.

ს ო კ რ ა ტ ე. როგორც ჩანს, მართალს ამბობ, ევთიფრონ; მაგრამ ცოტა რამ მაინც მაკლია: კარგად არ მესმის, რას უწოდებ მსახურებას. შენ, ალბათ, არ მიგაჩნია, რომ ღვთისმსახურება იგივეა, რაც მსახურება ყველა სხვა რამის მიმართ. ასე მაგალითად, ჩვენ ხომ ვამბობთ, რომ ყველას კი არ შეუძლია მოემსახუროს ცხენებს, არამედ მხოლოდ მეჯინიბეს. ასეა, არა?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, ცხენების მომსახურება მეჯინიბის საქმეა, არა?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. დიახ.

ს ო კ რ ა ტ ე. ვერც ძაღლებს მოემსახურება და მოუვლის ყველა, მეძაღლის გარდა.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. ვერა.

ს ო კ რ ა ტ ე. ასე რომ, ძაღლების მომსახურება და მოვლა-პატრონობა მეძაღლის საქმეა, არა?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. დიახ.

ს ო კ რ ა ტ ე. ისევე როგორც ჯოგის — მეჯოგისა?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. ხოლო ღვთისნიერება და სიწმინდე ღვთისმსახურების საქმეა; ხომ ასეა, ევთიფრონ?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. სწორედ ასეა.

ს ო კ რ ა ტ ე. მაგრამ, ყოველგვარი მსახურების მიზანი ხომ ისაა, რომ რაიმე არგოს და სასიკეთოდ წაადგეს იმას, რასაც ემსახურება. ასე მაგალითად, ცხენები, რომლებსაც ემსახურება მეჯინიბე, მისი ხელობის წყალობით სარგებლობას იღებენ და უფრო უკეთესნი ხდებიან, არა?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. დიახ.

ს ო კ რ ა ტ ე. იგივე ითქმის ძაღლებზე, რომლებსაც ემსახურება მეძაღლე, ჯოგზე, რომელსაც ემსახურება მეჯოგე და ყველა სხვა დანარჩენზედაც. ან იქნებ გგონია, რომ მსახურება მავნეა იმისთვის, რასაც ის ემსახურება?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. არა, ღმერთმანი, არა მგონია.

ს ო კ რ ა ტ ე. ესე იგი, სასარგებლოა?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, სიწმინდეც, რომლის მიზანი ღმერთების სამსახურია, სასარგებლო და სასიკეთოა ღმერთებისათვის? იქნებ, მეთანხმები, რომ, როდესაც ამა თუ იმ წმინდა საქმეს ასრულებ, ამით უკეთესს ხდი რომელიღაც ღმერთს?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. არა, ვფიცავ ზევსს, არ გეთანხმები.

ს ო კ რ ა ტ ე. არც მე მგონია, ევთიფრონ, რომ შენ ასე ფიქრობ. ღმერთმა დამიფაროს. კითხვითაც მიტომ გკითხე, რანაირ ღვთისმსახურებას გულისხმობ-მეთქი, რომ ვერასდიდებით ვერ დავიჯერებ, თითქოს ამნაირს გულისხმობდე.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. მართალს ამბობ, სოკრატე; არამც და არამც არ ვგულისხმობ ამნაირ ღვთისმსახურებას.

ს ო კ რ ა ტ ე. კეთილი და პატიოსანი; მაგრამ მაშინ რანაირ ღვთისმსახურებად უნდა მივიჩნიოთ სიწმინდე?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. იმნაირად, ჩემო სოკრატე, რანაირადაც მონები ემსახურებიან ბატონებს.

ს ო კ რ ა ტ ე. გასაგებია; როგორც ჩანს, სიწმინდე სხვა არა არის რა, თუ არა ერთგვარი მოსამსახურეობა ღმერთების მიმართ.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. კი მაგრამ, საექიმო ხელოვნების მსახურთათვის რას იტყვი? რას ისახავს მიზნად მათი ხელოვნება, თუ არა ჯანმრთელობას?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. სხვას არაფერს.

ს ო კ რ ა ტ ე. ხოლო გემთმშენებლობის მსახურთა ხელოვნება?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. რასაკვირველია, გემების მშენებლობას.

ს ო კ რ ა ტ ე. ხუროთმოძღვრების მსახურთა ხელოვნება კი სახლების მშენებლობას, არა?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. დიახ.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშინ ამაზეც მიპასუხე, ჩემო ძვირფასო: რა მიზანს ისახავს ღვთისმსახურება, ან რას არგია იგი ღმერთებს? შენ, რა თქმა უნდა, გეცოდინება ეს, რაკილა, როგორც თავად ამტკიცებ, კაცთა შორის ყველაზე უკეთ იცნობ იმას, რაც ეხება ღმერთებს.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. და მართალსაც ვამტკიცებ, სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. ჰოდა, მითხარი, ზევსის გულისთვის: მაინც რა არის ის დიადი საქმე, რომელსაც ღმერთები ასრულებენ ჩვენი სამსახურის წყალობით?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. კი მაგრამ, რამდენ დიდებულ საქმეს ასრულებენ ისინი, სოკრატე?

ს ო კ რ ა ტ ე. იგივე ითქმის მხედართმთავრებზედაც, ჩემო ძვირფასო, მაგრამ შენ უყოყმანოდ მეტყოდი მათი მთავარი საქმე ბრძოლის ველზე გამარჯვების მოპოვებააო; ასეა, არა?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. ბევრ დიდებულ საქმეს აკეთებენ, ჩემის აზრით, მიწათმოქმედნიც, მაგრამ მათი მთავარი საქმე მაინც სარჩო-საბადებლის მოყვანა გახლავს.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. რასაკვირველია.

ს ო კ რ ა ტ ე. მერედა, იმ დიად საქმეთა შორის, რომელთაც ასრულებენ ღმერთები, მაინც რომელია მთავარი?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. აკი ამ ცოტა ხნის წინათაც გითხარი, სოკრატე, რომ ძალზე ძნელია დაწვრილებით აგიხსნა ყოველივე ეს. მაგრამ, აი, რას გეტყვი მარტივად: სიტყვით თუ საქმით, ლოცვა-ვედრებითა თუ მსხვერპლშეწირვით აამო ღმერთებს, — სწორედ ეს არის სიწმინდე, საკუთარი სახლისა თუ სახელმწიფოს მხსნელი; ხოლო რაც მას უპირისპირდება, უკეთურობაა, ძირფესვიანად რომ ანგრევს და მუსრავს ყველაფერს.

ს ო კ რ ა ტ ე. მართლაცდა, ევთიფრონ, რომ მოგესურვებინა, უფრო მოკლედაც მიპასუხებდი ამ ჩემს კითხვაზე. მაგრამ, ცხადია, არ გსურს გამანათლო. აი, ახლაც, საკითხის არსს მივადექით თუ არა, შენ თავი აარიდე პირდაპირ პასუხს, რითაც შეგეძლო დამაჯერებლად აგეხსნა ჩემთვის, რა არის სიწმინდე. მაშ, მეტი რა გზა მაქვს, — რაკილა შემკითხველი იძულებულია უკან მისდევდეს იმას, ვისაც ეკითხება, მიუხედავად იმისა, თუ საით მიჰყავს ამ უკანასკნელს ,— კვლავ უნდა გკითხო: მაინც რა მიგაჩნია წმინდად და სიწმინდედ? მსხვერპლშეწირვისა და ლოცვა-ვედრების ხელოვნება ხომ არა?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. დიახ, სწორედ ეგ.

ს ო კ რ ა ტ ე. მაგრამ მსხვერპლშეწირვა ხომ ღმერთებისათვის რაღაცის ძღვნაა, ლოცვა-ვედრება კი — თხოვნა?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. რა თქმა უნდა, სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, შენის აზრით, სიწმინდე სხვა არა არის რა, თუ არა ხელოვნება, რომ რაღაცა მისცე ან სთხოვო ღმერთებს?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. რა კარგად გამიგე, სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. იმიტომ, ჩემო ძვირფასო, რომ დახარბებული ვარ შენს სიბრძნეს და

გაფაციცებული ვცდილობ ერთი შენი სიტყვაც არ გამომეპაროს. მაგრამ მითხარი, მაინც რა არის მსახურება ღმერთების მიმართ? ნუთუ, როგორც შენ ამბობ, ის, რომ რაღაცა მისცე ან სთხოვო მათ?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. კი მაგრამ, რისი თხოვნა იქნებოდა მართებული, რა უნდა გვეთხოვა მათთვის, თუ არა ის, რაც გვჭირდება?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. აბა სხვა რა?

ს ო კ რ ა ტ ე. ხოლო მეორეს მხრივ, რა იქნებოდა მართებული, რა უნდა მიგვეცა ღმერთებისათვის, თუ არა ის, რაც მათ სჭირდება ჩვენგან? რადგან როდესაც ვინმეცას რელაცას აძლევ, რა ფასი ექნებოდა იმის მიცემას, რაც მას არ სჭირდება?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. მართალი ხარ, სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. გამოდის, რომ სინმინდე ღმერთთა და კაცთა შორის ერთგვარი ალებ-მიცემობა ყოფილა, ევთიფრონ.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. დიახ, ალებ-მიცემობაა, თუკი მაინცდამაინც ამნაირი განსაზღვრა მოგწონს.

ს ო კ რ ა ტ ე. რა მომაწონებს, თუკი სწორი არ არის. მაგრამ მითხარი, რას არგია ღმერთებს ის ძღვენი, რომელსაც ჩვენგან იღებენ? რაც გვარგია მათი საბოძვარი, ყველასათვის ნათელია: მთელი ჩვენი სიკეთე ხომ მხოლოდ მათი ნაბოძვარია. მაგრამ რას არგია მათ ჩვენი ძღვენი? ნუთუ ალებ-მიცემობის ნიჭით ვჯობივართ, რაკიღა ყველაფერს ვიღებთ მათგან, ისინი კი ჩვენგან — არაფერს?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. რაო, სოკრატე, იქნება ფიქრობ, რომ ღმერთებს მართლაც რაღაცაში არგია ის, რასაც ჩვენ ვუძღვნით?

ს ო კ რ ა ტ ე. უამისოდ, ევთიფრონ, რას აქნევენ ისინი ჩვენს ძღვენს?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. კი მაგრამ, როგორ გგონია, სხვა რა უნდა იყოს ეს ძღვენი, თუ არა ჩვენი პატივისცემისა და მოწიწების გამოხატულება, ან კიდევ, როგორც წელან გეუბნებოდი, იმის დასტური, რომ გვსურს რაღაცა ვაამოთ მათ?

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, წმინდა ის არის, ევთიფრონ, რაც სასიამოვნოა ღმერთებისათვის, და არა ის, რაც სასარგებლოა ან საყვარელია მათთვის?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. ჩემის აზრით, ის, რაც ყველაზე მეტად სიამოვნებთ, ყველაზე საყვარელიცაა მათთვის.

ს ო კ რ ა ტ ე. ასე რომ, როგორც ირკვევა, წმინდა ისაა, რაც საყვარელია ღმერთებისათვის?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. ამას მეუბნები და მაინც გიკვირს, რომ შენი სიტყვები მყარი კი არა, მერყევნი ჩანან და ბრალად მდებ, თითქოს დედალოსივით სწორედ მე ვარ ამის მიზეზი, მაშინ როდესაც სინამდვილეში თვითონ შენა ხარ დედალოსზე დიდი ხელოვანი, სწორედ შენ აბრუნებ და წინაუკმო ატრიალებ მათ. ნუთუ ვერ ამჩნევ, რომ ჩვენმა მსჯელობამ სრული წრე შემოხაზა და იმავე წერტილს დაუბრუნდა, საიდანაც დაიწყო? შენ ალბათ არ დაგვიწყნია, რომ ცოტა ხნის წინათ წმინდა და ღმერთებისათვის საყვარელი ერთი და იგივე კი არა, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ცნებებად მივიჩნიეთ. ან, იქნებ, არ გახსოვს?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. ცხადია, მახსოვს.

ს ო კ რ ა ტ ე. ახლა კი ვერ ხვდები, რას ამბობ: წმინდაა ის, რაც ღმერთებისთვის საყვარელიაო? მერედა, რა არის ღმერთებისათვის საყვარელი, თუ არა ის, რაც ღმერთებს უყვართ?

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, ორში ერთია: ან წელან მივსულვართ მცდარ დასკვნამდე, ან, თუ წელანდელი დასკვნა სწორია, ახლა ვცდებით.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. როგორც ჩანს.

ს ო კ რ ა ტ ე. ამრიგად, თავიდან უნდა დავიწყოთ იმის კვლევა, თუ რა არის წმინდა. მე, ჩემდა თავად, მანამდის არ მოვეშვები ამ საკითხის კვლევა-ძიებას, სანამ ბოლომდე არ შევიცნობ მას. მხოლოდ შენ ნუ ჩამთვლი ამნაირი ცოდნის ულირსად, არამედ თავს ძალა დაატანე და ახლა მაინც მითხარი სიმართლე. რადგან კაცთა შორის ყველაზე უკეთ შენ იცნობ მას, და მე მანამდე არ მოგეშვები, როგორც პროტევსს[22], სა-

ნამ ყველაფერს არ გათქმევინებ. მართლაცდა, განა შეიძლება დავუშვათ, რომ, თუკი არ იცი, რა არის წმინდა და რა — უკეთური, ასე ხელაღებით დასდებდი ბრალად კაცის კვლასა და სამართალში მისცემდი მოხუც მამას ვიღაც მოიჯარადრის გულისთვის? ან ღმერთების რისხვა შეგაკრთობდა, თუკი დარწმუნებული არ იქნებოდი, რომ სწორად იქცევი, ან, თავი რომ არ შეგერცხვინა, კაცთა აზრს მაინც გაუწევდი ანგარიშს. ამიტომ ეჭვიც არ მეპარება იმაში, რომ, შენის აზრით, ამომწურავად იცი, რა არის წმინდა და რა — უკეთური. მაშ, მეც მითხარი, ჩემო დიდებულო ევთიფრონ, ნუ დამიმალავ შენს ცოდნას.

ე ვ თ ი ფ რ ო ნ ი. სხვა დროს, სოკრატე; ახლა კი მეჩქარება, უნდა წავიდე.

ს ო კ რ ა ტ ე. რას მიშვრები, ძმობილო, მღუპავ? არადა, რა იმედი მქონდა, რომ შენი შემწეობით გავიგებდი, რა არის წმინდა და რა არა, და ამრიგად თავს დავიხსნიდი მელეტოსის ბრალდებისაგან; დიახ, მე დავუმტკიცებდი მას, რომ ევთიფრონის წყალობით უკვე შევიძინე საღმრთო ცოდნა, და რომ უმეცრების გამო აღარ შეიძლება განუსჯელად ვიქცეოდე ან სარწმუნოების განახლებას ვცდილობდე; ყველაზე მეტად კი მაინც იმის იმედი მქონდა, რომ უფრო ღირსეულად ვიცხოვრებდი ამიერიდან.

ლახესი

წინათქმა

424 წელს ძვ. წ. ა. ბეოტიის პატარა ქალაქ დელიონთან გამართულ ბრძოლაში ბეოტიელებმა სასტიკად დაამარცხეს ათენელები.[1] ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მარცხი, რომელიც ათენელებმა განიცადეს პელოპონესის ომში (431—404 წ. ძვ. წ. ა.) და რომელიც სიმწრით და სინანულით იხსენიება პლატონის დიალოგში „ლახესი" (181 b), როგორც ჯერ კიდევ მოუშუშებელი, ჯერ კიდევ სისხლმდინარი ჭრილობა, ესოდენ სავალალო რომ აღმოჩნდა ათენის სახელმწიფოებრივი ორგანიზმისთვის. ამრიგად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ „ლახესის" მოქმედება 424 წელს თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მისი უახლოესი მომდევნო წლების ფონზე იშლება, მაგრამ ასევე დაბეჯითებით როდი შეიძლება იმისი თქმაც, თუ როდისაა დაწერილი იგი.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ პლატონის დიალოგებში აღწერილი დროისა და მათი დაწერის დროის ხელაღებით გაიგივება ყოვლად გაუმართლებელია. ამნაირ „მეთოდს" ზოგჯერ მართლაც რომ კურიოზულ შეცდომებამდე მივყავართ. აი მაგალითად, გასული საუკუნის ერთი მკვლევარი „ლახესის" დაწერის თარიღთან დაკავშირებით შენიშნავს: „თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი დიალოგი პლატონის მიერ დაწერილია ჯერ კიდევ სოკრატეს სიცოცხლეში, 424 წელსა (როცა ათენელებსა და ბეოტიელებს შორის გაიმართა დიალოგში მოხსენიებული ბრძოლა დელიონთან) და 418 წელს შორის, როცა დაიღუპა დიალოგის ერთ-ერთი მოქმედი პირი ლახესი. შეიძლება ისიც კი ვივარაუდოთ, რომ ჩვენი დიალოგი დაწერილია 421 წლამდე, როცა დადებულ იქნა ცნობილი „ნიკიას ზავი", რომლითაც დასრულდა პელოპონესის ომის პირველი პერიოდი, ვინაიდან ამის შესახებ დიალოგში არაფერია ნათქვამი"...[2] მაგრამ ავტორს აშკარად არ აწყენდა მტკიცედ დაემახსოვრებინა კიდევ ერთი თარიღი: პლატონი დაიბადა 428-27 წ. ძვ. წ. ა. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

შეიძლებოდა არც გაგვეხსენებინა ეს კურიოზი, ამნაირ არგუმენტაციას, პლატონის დიალოგების დათარიღებისას, დღემდე რომ არ მიმართავადნენ აქა-იქ... რაც შეეხება სერიოზულ კრიტიკას, გასული საუკუნისა თუ თანამედროვე მკვლევართა უმრავლესობა „ლახესს" ერთხმად აკუთვნებს პლატონის შემოქმედების პირველ პერიოდს.[3] აზრთა სხვადასხვაობას იწვევს მხოლოდ ერთი მომენტი; სოკრატეს სიცოცხლეშივეა ის დაწერილი თუ სოკრატეს სიკვდილის შემდეგ. ვლ. სოლოვიოვი პირველ თვალსაზრისს უჭერს მხარს, თუმცაღა, პირწმინდად სუბიექტური მოსაზრებით, ლამის საეჭვოდ აცხადებს

---

[1] თუკიდიდე, IV, 90, 100; სტრაბონი, IX, II, 7.

[2] პლატონი, ლახესი, შესავალი, თარგმანი და შენიშვნა ა. მ. იაკიმახისა, პეტერბ. 1894, გვ. 7.

[3] რა თქმა უნდა, იგულისხმებიან მკვლევარები, რომლებიც საეჭვოდ არ მიიჩნევენ იმას, რომ „ლახესი" პლატონს ეკუთვნის.

„ლახესის" ავთენტიკურობას (სოლოვიოვს ეჩვენება, რომ პლატონი მეტისმეტ სიმკაცრეს იჩენს ნიკიას მიმართ; აი, მისი ერთადერთი „არგუმენტი". მაგრამ ნიკიასა და ლახესის სიტყვიერი პაექრობა, რომელიც თითქოსდა ჩრდილს აყენებს ნიკიას ღირსებას, უმალ ამ ორი ისტორიული პირის ურთიერთობის ხასიათს გვიჩვენებს, ვიდრე ნიკიასადმი პლატონის უშუალო დამოკიდებულებას. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ, ისტორიული თვალსაზრისით, ნიკიას მიმართ ლახესის პოზიციაც გამართლებულია და სოკრატესიც. სოლოვიოვი კი წერს: „უნდა შევნიშნოთ, რომ თუ ეს დიალოგი დაწერილია პლატონის მიერ, მაშინ ნიკიას სახე ისტორიულ ახსნას მოითხოვს, ხოლო საამისო მონაცემები, რამდენადაც ვიცი, ჩვენ არ მოგვეპოვება".4 არა, მოგვეპოვება: საკმარისია ზერელედ მაინც გადავხედოთ პლუტარქეს „ნიკიას", რათა თვალნათლივ დავრწმუნდეთ, თუ რამდენად თანხვდება ერთმანეთს პერიკლეს ამ უშუალო მემკვიდრის პლატონისა და პლუტარქესეული შეფასებანი).

ამრიგად, რუსი სწავლულის აზრით, „ლახესი" პლატონის შემოქმედების პირველ პერიოდს ეკუთვნის, თუკი ის, საერთოდ, ეკუთვნის პლატონს. სოლოვიოვი გამონაკლისი როდია: გასული საუკუნის გერმანელ და, მათი გავლენით, სხვა ევროპელ მეცნიერებსაც ერთი უცნაური მანია სჭირდათ: ზოგი პლატონის დიალოგების ერთ ნაწილს მიიჩნევდა საეჭვოდ, ზოგიც მეორეს. ამ მხრივ, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ შლაიერმახერი და აატი, იბერვეგი და ზოხერი, შაარშმიდტი და ზუკოვი, ცელერი და ვინდელბანდი და ა. შ. კერძოდ, „ლახესს" აშკარად არ სწყალობდნენ ასტი, ცელერი, ვინდელბანდი[5] და სხვები, თუმცა ყველა როდი იზიარებდა მათ თვალსაზრისს: ასე მაგალითად, საპირისპირო პოზიცია ეჭირათ გერმანელ შტალბაუმს, ინგლისელ გროტს, ფრანგ იუის...[6] ამ უკანასკნელთა ტრადიციას აგრძელებს და გასული საუკუნის მეცნიერთა ერთი ნაწილის სუბიექტივიზმს სავსებით სამართლიანად უარყოფს არა ერთი და ორი თანამედროვე მკვლევარი. ა. ფ. ლოსევი და ა. ა. ტახო-გოდი თვლიან, რომ „ლახესი" დაწერილია პლატონის შემოქმედების პირველ პერიოდში, რომელიც, მათი აზრით, 399-387 წლებს მოიცავს.[7] დაახლოებით ასევე ათარიღებს „ლახესს" მორის კრუაზეც (პლატონის შემოქმედების მისეული პერიოდიზაცია ოდნავ განსხვავებულია: პირველი პერიოდი 396-388 წლებითაა შემოფარგლული).[8] თუმცა გამორიცხული არ არის არც იმის შესაძლებლობა, რომ დიალოგი სოკრატეს სიცოცხლეშივე ძ. წ. 399 წლამდე იყოს შექმნილი...[9]

„ლახესი" ისევე როგორც „ევთიფრონი", თავისი მორალური თემატიკით, მოქმედების განვითარების შინაგანი ტენდენციითა და კვლევის დიალექტიკური მეთოდით, პირწმინდად სოკრატული დიალოგია, რასაც თვალნათლივ გვიჩვენებს მისი კომპოზიციისა და სტრუქტურის, მისი შინაარსისა და ფილოსოფიური მნიშვნელობის ანალიზი.

ათენის ერთ-ერთი პალესტრის ღია არენაზე სანახაობის საყურებლად თავშეყრილ ბრბოს თავის ოსტატობას უჩვენებს სოფისტი სტესილეოსი, ჰოპლომახიის (საომარი ხელოვნების)[10] მასწავლებელი. სხვებთან ერთად მის საჩვენებელ გამოსვლას თვალს ადევნებენ ჩვენი დიალოგის გმირებიც. ყველა ისინი მეტ-ნაკლებად ცნობილი ისტორიული პირები არიან: აი, ლისიმაქე და მელესია, სახელგანთქმული პოლიტიკური მოღვაწეების —

---

4 პლატონის თხზულებები, თარგმანი ბერძნულიდან ვლ. სოლოვიოვისა, ტ. I, მოსკოვი, 1899, გვ. 227-229.

5 ასტი, პლატონის ცხოვრება და ნაწარმოებები, ლაიფციგი, 1861; ედ. ცელერი, პლატონური ეტიუდები, ტიუბინგენი, 1839; ვინდელბანდი, ბერძნული ფილოსოფიის ისტორია, პეტერბ., 1908.

6 შტალბაუმი, დავა პლატონის ცხოვრების, გენიისა და ნაწარმოებების შესახებ, ლაიფციგი, 1821; გროტი, პლატონი და სოკრატეს სხვა თანამოაზრენი, ლონდონი, 1867; იუი, პლატონის ცხოვრება და შემოქმედება, პარიზი, 1893.

7 ა. ფ. ლოსევი, ა. ა. ტახო-გოდო, პლატონი, მოსკოვი, 1977, გვ. 90.

8 პლატონი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, ტექსტი დადგენილი და თარგმნილი მ. კრუაზეს მიერ, პარიზი, 1920, გვ. 5.

9 ა. ფ. ლოსევი, პლატონის ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გზა. — პლატონი, თხზულებები სამ ტომად, ტ. 1, მოსკოვი, 1968, გვ. 51.

10 იხ. კომენტ. 2.

არისტიდესა და თუკიდიდეს[11] შვილები, რომლებმაც ბევრით ვერაფრით გამოიჩინეს თავი და მხოლოდ თავიანთი მამების დიდებისა და პლატონის დიალოგის წყალობით შემორჩნენ ისტორიას. მათ გვერდით ვხედავთ ცნობილ ათენელ პოლიტიკურ მოღვაწეს და მხედართმთავარს ნიკიას, რომელსაც თავისი დროის სამ ყველაზე ღირსეულ სახელმწიფო მოღვაწეს შორის იხსენიებს არისტოტელე, თუკიდიდესა და თერამენესთან ერთად.[12] ამ სამთაგან „ყველაზე ახალგაზრდა იყო ნიკია. ის პატივისცემით სარგებლობდა ჯერ კიდევ პერიკლეს სიცოცხლეში, მასთან ერთად არჩეულ იყო სტრატეგად და თვითონვე ეჭირა ბევრი უმაღლესი თანამდებობა, ხოლო პერიკლეს სიკვდილისთანავე პირველი კაცი გახდა. მდიდარმა და გავლენიანმა მოქალაქეებმა თავხედსა და უტიფარ კლეონს[13] დაუპირისპირეს იგი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნიკიას მაინც არ მოჰკლებია ხალხის პატივისცემა და კეთილგანწყობილება".[14] არ მოჰკლებია იმიტომ, რომ თავის უზარმაზარ სიმდიდრეს მოხერხებულად იყენებდა პოლიტიკური გავლენის მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის, ხოლო სიფრთხილითა და წინდახედულობის წყალობით იმასაც ახერხებდა, რომ არც მწვადი დაეწვა და არც შამფური: წარჩინებული მოქალაქეებიც მადლიერი ჰყოლოდა და დემოსის გულიც მოენადირებინა, თუმცაღა კლეონის სიცოცხლეში იძულებული იყო თავკაცობა რამდენჯერმე დაეთმო მისთვის. ბუნებით მფრთხალი, მერყევი და გაუბედავი, იმავდროულად, საშინელი ცრუმორწმუნეც იყო და ბრმად ენდობოდა მისნებს.[15] 427 წელს წარმატებით დალაშქრა კუნძული მინოსი; მომდევნო წელს თავს დაესხა მელოსს, ხოლო შემდეგ ბეოტიაში დაამარცხა ტანაგრელები. კლეონის სიკვდილის შემდეგ, ზავი დადო სპარტასთან, რომელიც მისი სახელითაა ცნობილი და რომლითაც დასრულდა პელოპონესის ომის პირველი პერიოდი (431—421 წ.). 415 წელს ალკიბიადესა და ლამახესთან ერთად დანიშნულ იქნა ე. წ. „სიცილიური ექსპედიციის" ერთ-ერთ მთავარსარდლად.[16] ეს ექსპედიცია საბოლოო აღმოჩნდა მისთვის; მას შემდეგ, რაც ათენელები აასტიკად დამარცხდნენ ზღვაზედაც და ხმელეთზედაც, ნიკია ტყვედ ჩაიგდეს სირაკუზელებმა და 413 წლის სექტემბერში სიკვდილით დასაჯეს იგი. სხვა ვერსიით, ნიკიამ თვითონვე დაასწრო მტრებს და თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე[17]... მაგრამ იმ დროისათვის, როდესაც ჩვენი დიალოგის მოქმედება მიმდინარეობს, სირაკუზის ტრაგედიამდე ჯერ კიდევ ათი წელია დარჩენილი და ათენელთა თავკაცი თავის თანამოქალაქეებთან ერთად სიამოვნებით ადევნებს თვალყურს სტესილეოსის ბაქიბუქს და ყოყლოჩინობას პალესტრის არენაზე.. იქვე იმყოფება ლახესი, ცნობილი ათენელი მხედართმთავარი, რომელმაც არაერთხელ გამოიჩინა თავი პელოპონესის ომში. 427 წელს ხარეადესთან ერთად სარდლობდა ათენელთა მიერ სიცილიაში, ლეონტინელების საშველად გაგზავნილ ფლოტს, მაგრამ ორი წლის შემდეგ უკანვე იქნა გამოხმობილი, ვინაიდან კლეონმა ფულის მითვისებაში დასდო ბრალი[18]. ამის შემდეგ რიგით ჰოპლიტად მსახურობდა ბეოტიაში. 424 წელს სოკრატეს მხარდამხარ იბრძოდა დელიონთან.[19] დაიღუპა 418 წელს, ქალაქ მანტინეასთან გამართულ ბრძოლაში... და ბოლოს იქვეა სოკრატე, პლატონის დიალოგების მთავარი პერსონაჟი.

მაგრამ ისინი მარტოოდენ გასართობად როდი მოსულან. საქმე ისაა, რომ ლისიმაქეს და მელესიას, რომლებიც სწავლა-განათლების მხრივ რატომღაც დაჩაგრულად გრძნობენ თავს,[20] გადაუწყვეტიათ, რადაც უნდა დაუჯდეთ, ღირსეულად აღზარდონ თავიანთი ვაჟები და ამ მიზნით საომარი ხელოვნება შეასწავლონ მათ. ამიტომაც მოუწვევიათ სახელოვანი

11 არისტიდესა და თუკიდიდეს შესახებ იხ. კომენტ. 3.

12 არისტოტელე, ათენელთა სახელმწიფო წყობილება, XXVIII, 5.

13 სადაბაღო სახელოსნოს მფლობელი, დემოკრატიული პარტიის რადიკალური ფრთის ლიდერი; დაიღუპა სპარტელებთან შეტაკებისას ქალაქ ამფიპოლისის მახლობლად (422 წ. ძვ. წ. ა.).

14 პლუტარქე, ნიკია, 2.

15 თუკიდიდე, VII, 50; პლუტარქე, ნიკია, 5.

16 იხ. კომენტ. 26.

17 თუკიდიდე, VII, 86; პლუტარქე, ნიკია, 28.

18 თუკიდიდე, III, 86, 115.

19 პლატონი, ნადიმი, 221 ab.

20 იხ. კომენტ. 5.

მხედართმთავრები — ნიკია და ლახესი, რათა რჩევა ჰკითხონ და მათი აზრი გაიზიარონ; მხედართმთავრები კი, თავის მხრივ, სოკრატეს იწვევენ სათათბიროდ (178a — 181d), — კაცს, რომელიც თავის გარშემო აერთიანებს პლატონის დიალოგების გმირებს. უტყუარი ალღოთი ავლენს მათი ურთიერთშეუთავსებელი აზრებისა და შეხედულებების სიზუსტისა თუ მცდარობის ხარისხს და, თავისი მონოლითური ნების წყალობით, მიზანსწრაფულად წარმართავს მოქმედების მთელ მსვლელობას. სოკრატესათვის საუბარი გართობისა და თავშექცევის საშუალება კი არ არის, არამედ მთელი ხელოვნებაა, რომელსაც, ისევე როგორც საომარ ხელოვნებას, ტაქტიკისა და სტრატეგიის საკუთარი კანონები აქვს. საომარი ხელოვნება გამარჯვების მოპოვებას ისახავს მიზნად, საუბრის ხელოვნება კი ობიექტური ჭეშმარიტების ამა თუ იმ ასპექტის წვდომას. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია თანამოსაუბრეთა სუბიექტური მოსაზრებების, მათი შეხედულებებისა თუ წარმოდგენების ცოდნა. ამიტომაც სოკრატე თავის გამოუცდელობას იმიზეზებს და საომარ ხელოვნებაში გაწაფულს და გამობრძმედილ მხედართმთავრებს — ნიკიას და ლახესს სთავაზობს აზრის გამოთქმას.

ასე იწყება დიალოგის მთავარი თემის განხილვა, რაც თავიდანვე ააშკარავებს ნიკიასა და ლახესის თვალსაზრისთა შინაგან წინააღმდეგობას: პირველის აზრით, ჭაბუკებისათვის დიახაც სასარგებლოა ჰოპლომახიის (საომარი ხელოვნების) შესწავლა (181 d—182d), მეორეს კი სასაცილოდაც არ ჰყოფნის ეს და ჰოპლომახიის მასწავლებლებს, სტესილეოსის ჩათვლით, წმინდაწყლის გაიძვერებად და ფულის გამომძალველებად აცხადებს (182 d — 184c). რაკი საკითხის კვლევამ ამ მიმართებით სასურველი შედეგი არ გამოიღო, ახლა უკვე სოკრატე ერევა საქმეში და მისთვის ჩვეული მოიარებითა და ნართაული მინიშნებებით კვლევა-ძიების განსხვავებულ ასპექტსა შლის თავისი თანამოსაუბრეების წინაშე: როდესაც თვალის მალამოზე მსჯელობენ, შეიძლება თუ არა მისი სამკურნალოდ გამოყენებაო, საქმე მარტო მალამოს კი არ ეხება, არამედ თვალსაც. ზუსტად ასევე, როცა ჰოპლომახიის ხელოვნებას ასწავლიან ჭაბუკებს, უწინარეს ყოვლისა, ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, თუ რანაირ ზეგავლენას ახდენს ეს ხელოვნება მის შემსწავლელთა სულზე. ჰოპლომახიის ხელოვნების მიზანი ისაა, რომ სიქველე ჩაუნერგოს ჭაბუკებს, ან, უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, არა მთელი სიქველე საერთოდ, არამედ მისი ერთ-ერთი სახეობა, კერძოდ, სიმამაცე. მაშასადამე, თავდაპირველად საჭიროა იმის განხილვა, თუ რა არის სიმამაცე, ვინაიდან სიმამაცის ცოდნის გარეშე არც ის გვეცოდინება, თუ როგორ, რა გზით შეიძლება მისი შეძენა (184d — 190e).

მაშინ ლახესი სიმამაცის ამნაირ დეფინიციას სთავაზობს სოკრატეს: „მამაცი ისაა, ვინც... ბრძოლის ველზე ფეხმოუცვლელად იგერიებს მტერს" (191 a). სოკრატე მახვილგონივრულად უმტკიცებს თავის თანამოსაუბრეს, რომ სიმამაცე მარტოოდენ ბრძოლის ველზე გამოჩენილი შეუპოვრობითა და გულუშიშრობით როდი ამოიწურება. არა, მამაცია ისიც, ვინც წარბშეუხრელად ეგებება თავს დატეხილ უბედურებას, უდრტვინველად იტანს ათასნაირ გაჭირვებას, სნეულებას, სილატაკეს, შიმშილს, სიცივეს, ქედს არ უხრის ტკივილს, ტანჯვას, მწუხარებას, უსასოებას და შესაშურ სიმტკიცეს იჩენს ქვენა გრძნობებსა თუ მდაბალ ვნებებთან ჭიდილში... სოკრატეს კი აინტერესებს არა სიმამაცის ესა თუ ის კერძო სახე, არამედ სიმამაცე საერთოდ, რომელიც „სიხარულში, მწუხარებაში თუ ყველა სხვა შემთხვევაში, რომლებიც ეს-ესაა ჩამოვთვალეთ, უცვლელად ინარჩუნებს სიმამაცის სახელს" (192 b).

რაკილა მიხვდა, რას მოითხოვს მისგან სოკრატე, ლახესი შემდეგნაირად აზუსტებს სიმამაცის დეფინიციას: „ჩემის აზრით, ესაა ერთგვარი სიმტკიცე სულისა, რაკილა საჭიროა, რომ სიმამაცე ყველა ცალკეულ შემთხვევაში მისი არსებითი ნიშნით განვსაზღვროთ" (192 bc). მაგრამ სოკრატეს არც ეს განსაზღვრა აკმაყოფილებს: მისი აზრით, სულის ყოველგვარი სიმტკიცე კი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სიმამაცედ, არამედ მხოლოდ ის სიმტკიცე, რომელიც უშუალოდ ერწყმის კეთილგონიერებას, მაშინ როდესაც შლეგური სიმტკიცე სრულიად შეუთავსებელია სიმამაცის ცნებასთან, ვინაიდან შლეგური სიმტკიცე — ესაა რაღაც მავნე და უკეთური, კეთილგონიერული სიმტკიცე კი კარგი და დიდებულია თავისთავად (192 ce). ლახესი იძულებულია დაეთანხმოს ამ შესწორებას, მაგრამ სოკრატე დაუყოვნებლივ იშველიებს შემდეგ მაგალითს: მტერთან ვაჟკაცურად მორკინალი ორი მეომრიდან, რომელთაგანაც ერთი მისთვის აშკარად არახელსაყრელ პირობებში, მეორე

კი, პირიქით, ხელსაყრელ პირობებში იბძვის, ცხადია, პირველს უნდა ვთვლიდეთ უფრო მამაცად, თუმცა ასევე ცხადია ისიც, რომ მისი მოქმედება ნაკლებ კეთილგონივრულია, ვიდრე მეორის, რაც არსებითად ეწინააღმდეგება აღრინდელ დასკვნას (193 a—c).

ამრიგად, მსჯელობა კვლავ ჩიხში მოექცა, რის გამოც სოკრატე მისთვის ჩვეული ირონიით შენიშნავს: „როგორც ჩანს, ჩვენ — ორ მამაც კაცს, — რომლებსაც ბრძოლის ველზე ვერვინ დაგვენამუსებს სიმხდალეს, წარმოდგენაც არა გვ[illegible] სიმამაცე; ასე რომ, ჩვენი სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ თანხ[illegible] რაკიღა ვთქვით, რომ სიმამაცე — ესაა ერთგვარი სიმტკიცე სულისა, მოდი, მართლაც მტკიცენი ვიყოთ და შუა გზაზე ნუკი მივატოვებთ დაწყებულ კვლევა-ძიებას, არამედ ბოლომდე მივიყვანოთ ის, ხოლო ამ საქმეში ნიკიას ვთხოვოთ დახმარება" (193 de — 194 c).

სიმამაცის განსაზღვრისას განცდილი მარცხი ნიკიას მიაჩნია სოკრატეს იმ დებულების უგულებელყოფის შედეგად, რომლის თანახმადაც სიქველე ცოდნად გვევლინება. კერძოდ, სიმამაცე — „ესაა ცოდნა იმისა, თუ რისი უნდა გვეშინოდეს და რისი არა, როგორც ბრძოლის ველზე, ისე ყველა სხვა შემთხვევაში", — ეუბნება იგი ლახეს (195a), რომელსაც სასაცილოდაც არ ჰყოფნის ცოდნისა და სიმამაცის გაიგივება: ასე რომ იყოს, მაშინ, ალბათ, ექიმები უნდა მიგვეჩნია ყველაზე მამაც ხალხად, ვინაიდან სწორედ მათ იციან ყველაზე უკეთ, თუ რა არის საშიში და რა არა. იგივე ითქმის, ლახესის აზრით, მხვნელ-მთესველთა, ხელოსანთა და, განსაკუთრებით, მისანთა მიმართ. — მეორეს მხრივ, — შემპარავი ღიმილით ეუბნება სოკრატე ნიკიას, — თუ სიმამაცის განმსაზღვრელ პირობად ცოდნას მივიჩნევთ, მაშინ რა გვეთქმის მტაცებელი ცხოველების სიმამაცეზე?"... თუკი შენს თვალსაზრისს გავიზიარებთ, ვფიქრობ, ვერც ერთ ცხოველს ვერასდიდებით ვერ მივაწერთ სიმამაცეს, ან არა და, უნდა დავუშვათ, რომ ზოგიერთ ცხოველს, როგორც მაგალითად, ლომს, ჯიქს თუ ტახს შეუძლია იმისი ცოდნა, რაზედაც ხელი არ მიუწვდება კაცთა უმრავლესობას" (196e). მაგრამ ნიკია ასე ადვილად როდი უარყოფს თავის თვალსაზრისს; მისი მტკიცებით, სიმამაცე და გულუშიშობა სულ სხვადასხვა თვისებებია. პირველს ცოდნა და წინდახედულება უდევს საფუძვლად, მეორეს კი უმეცრება და წინგაუხედაობა: „მე ვფიქრობ, რომ სიმამაცე და წინდახედულება ნიშნეულია მხოლოდ მცირერიცხოვან რჩეულთათვის, მაშინ როდესაც წინდაუხედაობით განპირობებული გამბედაობა, შეუპოვრობა და გულუშიშრობა ურიცხვ არსებას — კაცსაც და ქალსაც, ბავშვსაც და ცხოველსაც ახასიათებს.. სიმამაცე კი მხოლოდ გონიერთა თვისებაა, და მეც სწორედ მათ ვგულისხმობ" (197 bc).

დიახ, ნიკია სწორედ გონიერებას გულისხმობს სიმამაცის განმსაზღვრელ პირობად და ვერ კი გრძნობს, რომ ამით ფაქტიურად კვლავ უბრუნდება კეთილგონივრული სიმტკიცის ზემოთ უკვე უარყოფილ არგუმენტს, რამაც ჩიხში მოამწყვდია დიალოგის გმირთა მსჯელობა. ამიტომ სოკრატე დაუყოვნებლივ ხელში იღებს პაექრობის სადავეს, რათა მიზანსწრაფულად წარმართოს თანამოსაუბრეთა აზრი: რაკი, ნიკიას განმარტების თანახმად, სიმამაცე — ესაა ცოდნა იმისა, თუ რა არის საშიში და რა არა, და რაკი საშიშია მხოლოდ ის, რაც შიშს იწვევს, ხოლო შიშს წარსული ან აწინდელი მოვლენები კი არა, უმეტესწილად იდუმალების ბურუსით მოცული მომავალი იწვევს, ამიტომ სიმამაცის განმსაზღვრელი ცოდნაც მომავალს ეხება, მომავალზე ვრცელდება მხოლოდ. მაგრამ, მეორეს მხრივ, „რაიმეს ცოდნა არც მარტოოდენ წარსულის ცოდნაა, არც აწმყოსი და არც მომავლისა, ანუ იმის მიხედვით კი არ განირჩევა, თუ რა მოხდა, რა ხდება, ან რა მოხდება, არამედ ერთი და იგივეა მუდამ. ასე მაგალითად, ჯანმრთელობას სხვადასხვა კი არა, ერთი და იგივე მეცნიერება — საექიმო მეცნიერება აკვირდება ყოველთვის — აწმყოშიც, წარსულშიც და მომავალშიაც; ისევე როგორც მოსავალს — სამიწათმოქმედო მეცნიერება, ხოლო რაც შეეხება სამხედრო საქმეს.... მხედართმთავრის ხელოვნება ყველაფერს ითვალისწინებს, მით უმეტეს, მომავალს, ასე რომ, მისნის ხელოვნებით კი არ ხელმძღვანელობს, პირიქით, თვითონ წარმართავს მას" (198 de).

მაშასადამე, სოკრატეს აზრით, არც სიმამაცე შეიძლება იყოს მარტოოდენ იმისი ცოდნა, თუ რა არის საშიში და რა არა, ვინაიდან, ყველა სხვა ცოდნის მსგავსად, მარტოოდენ მოსალოდნელ საშიშროებასა თუ უბედურებას კი არ უნდა იცნობდეს, არამედ აწინდელსაც და წარსულსაც; ეს კი არსებითად ეწინააღმდეგება სიმამაცის, როგორც მოსალოდნელი უბედურების ცოდნის განსაზღვრას, ხოლო თუ ვაღიარებთ, რომ სიმამაცის განმსაზღვრელი ცოდნა თანაბრად ვრცელდება აწმყოზეც, წარსულზეც და მო-

მაშასადამე, ძალაუნებურად უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ სიმამაცე უკვე მთლიანად ემთხვევა სიქველეს, ესე იგი, ნაწილი იდენტური ხდება მთელისა: „კი მაგრამ, რას იტყვი, ღვთაებრივო, — მიმართავს სოკრატე ნიკიას, — განა კაცი შორს იქნებოდა ზოგადი სიქველისაგან, ზედმიწევნით რომ იცნობდეს მთელ სიკეთეს, მის მთლიანობას და ერთობლიობას, აწმყოშიც, წარსულშიც და მომავალშიაც, ისევე როგორც მთელს ბოროტებას თუ უბედურებას? იქნებ გგონია, რომ ამ კაცს ან სიბრძნე აკლდებოდა, ან კეთილგონიერება, ანდა სიწმინდე საიმისოდ, რომ კუთვნილი მიეგო არა მარტო ღმერთებისთვის, არამედ ადამიანებისთვისაც, წინასწარ გამოეცნო, რა არის საშიში და რა არა, და, ამრიგად, სასიკეთოდ წარემართა თავისი საქმე?“ (199 de).

აქც ვლინდება სიმამაცის ნიკიასეული დეფინიციის კიდევ ერთი ნაკლი, კიდევ ერთი შინაგანი წინააღმდეგობა: ის ან მეტისმეტად ვიწროა (სიმამაცის განმსაზღვრელ ცოდნას მხოლოდ მომავლით შემოფარგლავს), ან მეტისმეტად ფართო(სიმამაცეს სიქველესთან აიგივებს), რაც იმას ნიშნავს, რომ საუბარი თითქმის უშედეგოდ დამთავრდა: სიმამაცის არსი, სიმამაცის ბუნება მიუკვლეველი დარჩა. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ, ნეგატიური დასკვნის მიუხედავად, დიალოგის გმირთა პაექრობამ არავითარი ნაყოფი არ გამოიღო და ამიტომ მათი კვლევა-ძიება ურთიერთსაპირისპირო აზრთა ფუჭ ჭიდილად, ანუ, ერთი ევროპელი პლატონისტის თქმისა არ იყოს, ინტელექტუალურ და პირწმინდად სიტყვიერ გიმნასტიკად დაგვესახა. „ლახესი“, უწინარეს ყოვლისა, საინტერესოა კვლევის სოკრატული და, იმავდროულად, პლატონური მეთოდის დახვეწისა და დამკვიდრების თვალსაზრისით, მეთოდისა, რომელმაც ფაქტიურად განაპირობა ფილოსოფიური აზრის მთელი შემდგომდროინდელი განვითარება. ადამიანთა სუბიექტური შეხედულებების მცდარობისა და ცთომილების მხილება, ამ შეხედულებათა კერძოობითი ხასიათის თანდათანობითი დაძლევა, კვლევის ინდუქციური („ეპაგოგიური“) მეთოდის მომარჯვებით კონკრეტული წარმოდგენებიდან ზოგად ცნებებზე გადასვლისკენ თანმიმდევრული სწრაფვა და ობიექტური ჭეშმარიტების წვდომის გზაზე თუნდაც ერთი საფეხურით ამაღლება, — აი, ის პოზიტიური მომენტები, რომლებიც განსაზღვრავენ „ლახესის“ ფილოსოფიურ მნიშვნელობასა და ღირებულებას.

ლისიმაქე, მელესია, ნიკია, ლახესი, ლისიმაქესი და მელესიას შვილები, სოკრატე[1].

ლ ი ს ი მ ა ქ ე. აბა, ჩემო ნიკია და ლახეს, ხომ ნახეთ, როგორ იბრძოდა ეს იარაღასხმული კაცი,[2] ხოლო რა მიზნით მოგიწვიეთ ამ სანახაობაზე, მე და მელესიას აქამდე არ გვითქვამს, ახლა კი გეტყვით. რადგანაც ვთვლით, რომ თქვენს წინაშე სრულიად გულახდილნი უნდა ვიყოთ. ზოგიერთს ხომ სასაცილოდაც არ ჰყოფნის ამნაირი რამ, და თუ რჩევისათვის მიმართე, იმას კი არ გეტყვიან, რასაც ფიქრობენ, არამედ ცდილობენ გამოიცნონ მისი სურვილი, ვინც რჩევისათვის მიმართავს და იმის საპირისპიროს ამბობენ, რაც გულში უდევთ. თქვენ კი, ჩვენის აზრით, საქმის მიხვედრის თავიც გაქვთ და იმისიც, რომ მიხვედრის შემდეგ გულახდილად მოგვახსენოთ, რას ფიქრობთ მასზე. ხოლო მთელი ამ შესავლის შემდეგ, აი, რა მინდა გითხრათ:

აგერ ესენი ჩვენი ვაჟები არიან; მელესიას ბიჭი პაპის სეხნიაა, თუკიდიდე ჰქვია სახელად; ამ ჩემს ბიჭსაც მამაჩემის სახელი ჰქვია: არისტიდეს ვეძახით.[3] ჩვენ გადავწყვიტეთ, რაც შეიძლება დიდი ყურადღებით მოვეკიდოთ მათ აღზრდას და დანარჩენი მამებივით როდი მივცეთ იმისი ნება, რომ სიჭაბუკის ასაკს მიღწეულნი ისე იქცეოდნენ, როგორც მოეპრიანებათ. ამიტომაც გვინდა ამთავითვე მთელი გულმოდგინებით მოვკიდოთ ხელი ამ საქმეს. და რაკი ვიცოდით, რომ თქვენ თვითონაც ვაჟები გყავთ, ამიტომ, ჩვენის აზრით, ყველაზე მეტად სწორედ თქვენ უნდა გემტვრიათ თავი იმაზე, თუ რა გზით შეიძლებოდა ღირსეულ ადამიანებად აღგეზარდათ ისინი; ხოლო თუ თქვენ, როგორც ეს ხშირად ხდება, ჯერ კიდევ არ გიფიქრიათ ამ საკითხზე, გვინდოდა შეგვეხსენებინა, რომ არა გაქვთ ამის დავიწყების უფლება, და შემოგვეთავაზებინა, ერთად გადაგვეწყვიტა, თუ როგორ აღგვეზარდა ჩვენი შვილები.

ხოლო რამ გვაფიქრებინა ეს, ჩემო ნიკია და ლახეს, კეთილი უნდა ინებოთ და მომისმინოთ, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ცოტა გრძელიც მოგეჩვენოთ ჩემი სიტ-

ყვები. მე და მელესია ერთად ვჭამთ პურს,[4] ისევე როგორც ჩვენი შვილები. აკი წელა-ნაც მოგახსენეთ, თქვენს წინაშე გულახდილნი ვიქნებით-მეთქი. ორივეს შეგვიძლია ჩვენი მამების მრავალი სასახელო საქმე მოვუთხროთ შვილებს, ჩადენილი როგორც ბრძოლის ველზე, ისე მშვიდობის ჟამსაც, როცა ისინი ჩვენი მოკავშირეებისა თუ ჩვენი-ვე ქალაქის საქმეებს აწესრიგებდნენ. ჩვენს თავზე კი არაფერი გვაქვს სათქმელი. ამი-ტომაც გვრცხვენია და ჩვენსავე მამებს ვადანაშაულებთ იმაში, რომ ყმაწვილკაცობის ნე-ბას გვრთავდნენ სიჭაბუკის ჟამს, თვითონ კი სხვის საქმეებს იყვნენ დაკავებულნი.[5] ჰო-და, ჩვენი მაგალითით ვცდილობთ ჭკუა ვასწავლოთ შვილებს და ჩავაგონოთ, რომ თუ-კი ყურს არ გვათხოვებენ და თავიანთ თავს არ მოუვლიან, ვერასოდეს მოიხვეჭენ სა-ხელს, ხოლო თუ მოუვლიან, დიახაც ღირსნი იქნებიან იმ სახელებისა, რომლებსაც ატა-რებენ. გვპირდებიან, ყველაფერს დაგიჯერებთო, და აი, ჩვენც ვფიქრობთ იმაზე, თუ რა უნდა ისწავლონ ან რას მოჰკიდონ ხელი, რომ ღირსეული კაცები დადგნენ. ერთმა ნაცნობმა გვითხრა, კარგი იქნება, თუ თქვენს შვილებს იარაღის ხმარებას ასწავლი-თო, ძალიან გვიქო ეს კაცი, რომელმაც ეს-ესაა გვიჩვენათ თავისი ხელოვნება, და გვირ-ჩია, მიდით და თქვენი თვალით ნახეთო. ჩვენც გადავწყვიტეთ მოვაულიყავით და თქვენც თან წამოგვეყვანეთ, რათა ერთად გვეყურებინა მისთვის, და თუ მოგეწონებოდათ, თქვე-ნი რჩევა შეგვეკითხა, ან, იქნებ, მხარიც აგვებათ და ერთად გვეზრუნა იმაზე, თუ რო-გორ აღვზარდოთ ჩვენი შვილები. აი, რისი თქმა გვინდოდა თქვენთვის. ახლა კი თქვენი ჯერია: იქნებ რამე გვირჩიოთ და გვითხრათ, საჭიროდ მიგაჩნიათ თუ არა ამ ხელოვნე-ბის შესწავლა, ანდა, შესაძლოა, ჭაბუკებისათვის სასარგებლო სხვა რამ ხელობა თუ საქმიანობა შეგვიძლიათ და ამავე თქვენი აზრიც გაგვანდოთ, თუ როგორ უყურებთ იმას, რომ ერთად ვიცდილოთ ეს საკითხი?

ნ ი კ ი ა. მე ჩემდა თავად, ლისიმაქე და მელესია, არა მარტო საქებად მიმაჩნია თქვენი განზრახვა, არამედ მზადა ვარ მხარიც აგიბათ, და ვფიქრობ, არც აი ჩვენი ლახესი გვეტყვის უარს.

ლ ა ხ ე ს ი. მართალი ხარ, ნიკია. ის, რაც მამამისსა და მელესიას მამაზე ეს-ესაა თქვა ლისიმაქემ, ჩემის აზრით, შეიძლება მათზეც, ჩვენზეც და საზოგადო საქმეებში ყვე-ლამდე ჩაფლულ ყველა სხვა კაცზედაც ითქვას, რადგანაც ამ ხალხს სწორედ ისე ემარ-თება, როგორც ლისიმაქემ აღნიშნა: ისინი არას დაგიდევენ და უმეტესწილად არავითარ ყურადღებას არ აქცევენ არც თავიანთი შვილების აღზრდას და არც პირად საქმეებს. ამას კი მართალს ამბობ, ლისიმაქე, მაგრამ მიკვირს რომ რჩევისათვის ჩვენ მოგვმარ-თავ და არა ამ ჩვენს სოკრატეს, რომელიც, ჯერ ერთი, შენი მეზობელია და, ამავე არ იყოს, ერთავად იქ ტრიალებს, სადაც შეიძლება იმაზე ჩამოვარდეს სიტყვა, რაც შენ გა-ინტერესებს, კერძოდ, ჭაბუკებისათვის სასარგებლო რაიმე ხელოვნებასა თუ საქმია-ნობაზე.

ლ ი ს ი მ ა ქ ე. რას ამბობ, ლახეს, ნუთუ სოკრატე ამნაირ საკითხებს იკვლევს?

ლ ა ხ ე ს ი. რა თქმა უნდა, ლისიმაქე.

ნ ი კ ი ა. მე ეს ლახესზე ნაკლებ როდი შემიძლია დაგიდასტურო; ამას წინათ, სწო-რედ სოკრატემ მირჩია ჩემი შვილი მუსიკის სასწავლად მიმებარებინა აგათოკლეს მო-წაფის — დამონისათვის,[7] რომელიც არა მარტო დიდებული მუსიკოსია, არამედ შეუძ-ლია ამ ასაკის ყმაწვილებს სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიოს ხელოვნების ყველა სხვა დარგშიც.

ლ ი ს ი მ ა ქ ე. რას იზამ, სოკრატე, ნიკია და ლახეს, ჩემი ხნის ხალხი ნაკლებად იცნობს ჩვენზე ახალგაზრდებს, ვინაიდან ხანდაზმულობის გამო მეტწილად სახლში ვსხედვართ. მაგრამ თუ შენ, სოფრონისკეს ძევ, შეძლება შენს მეზობელს რიგიანი რჩე-ვა მომცე, ნუ მეტყვი უარს. სამართლიანობაც ამასვე მოითხოვს: როგორც ჩანს, მამა-შენისა არ იყოს, შენც ჩვენი ძველი მოკეთე უნდა იყო: მე და მამაშენი კი მართლაც რომ დიდი მეგობრები ვიყავით და ისე მოკვდა, რომ ერთი საწყენი სიტყვაც არ უთქვამს ჩემთვის. ჰო, მართლა, ახლა კი ამათი საუბარიც მახსენდება: სახლში რომ ლაპარაკო-ბენ, ერთავად ვიღაც სოკრატე აკერიათ პირზე და ძალიანაც აქებენ, მაგრამ ერთხე-ლაც არ მიკითხავს, სოფრონისკეს შვილი ხომ არ არის-მეთქი? მითხარით, ბავშვებო, აი, ეს სოკრატეა, წარამარა რომ ახსენებთ?

ბ ა ვ შ ვ ე ბ ი. ეგ არის, მამი, ეგ.

ლ ი ს ი მ ა ქ ე. მოხარული ვარ, ვფიცავ ჰერას,[8] ჩემო სოკრატე, რომ მამაშენს,

დიდებულ კაცს, — ღირსეული შვილი ჰყოლია, და ბედნიერი ვიქნები, თუ ამიერიდან ჭირიცა და ლხინიც ერთი გვექნება.

ლ ა ხ ე ს ი. იცოდე, ხელიდან გასაშვები კაცი არ არის, ლისიმაქე; რადგან მე იმნაირ ვითარებაშიაც მინახავს, როცა მარტო მამამისი კი არ უსახელებია, არამედ მამულიც: როდესაც დელიონთან[9] ვიხევდით უკან, ჩემს მხარდამხარ მოაბიჯებდა და გარწმუნებ, სხვებსაც რომ მისთვის მიებაძათ, ჩვენი ქალაქი დღესაც ბრწყინვალე იქნებოდა და ასე დაცემული და დათრგუნვილი არ იქნებოდა.

ლ ი ს ი მ ა ქ ე. რა სასიამოვნოა ამნაირი ქება, სოკრატე, მით უმეტეს, როცა ესოდენ სარწმუნო ხალხი გაქებს და, თანაც, სწორედ იმის გამო, რის გამოც გაქებს! მერწმუნე, მიხარია იმის მოსმენა, რომ ესოდენ სახელოვანი კაცი ყოფილხარ და ამიერიდან შენს ყველაზე ერთგულსა და კეთილმოსურნე მეგობრებს შორის მიგულე. საცა სამართალია, აქამდეც ისე უნდა გევლო ჩვენთან, როგორც მოკეთეებთან; მაგრამ რაკი ძველი ნაცნობობა განვაახლეთ, დღეის იქით მაინც ნუღარ მოგვანატრებ თავს, იარე ჩვენსას და დაგვიახლოვდი ჩვენც და, აი, ამ ახალგაზრდებსაც, რათა მამების მეგობრობა თქვენ გააგრძელოთ. ასე ჰქენი და ჩვენც ხშირ-ხშირად შეგახსენებთ ამას. მაგრამ იმაზე რაღას იტყვი, რითაც დავიწყეთ? როგორ გგონიათ, სასარგებლოა თუ არა ჭაბუკებისთვის საომარი საქმის შესწავლა?

ს ო კ რ ა ტ ე. ამის თაობაზე, ლისიმაქე, ვეცდები, რამდენადაც შემიძლია, ჩემი რჩევა შემოგაწიო და საერთოდაც შეგიასრულო ყველაფერი, რასაც მიბრძანებ. მაგრამ, ჩემის აზრით, უფრო მართებული იქნებოდა, თუკი მე, როგორც ყველაზე ახალგაზრდა[10] და გამოუცდელი, თავდაპირველად ამათ აზრს მოვისმენდი და რაიმეს ვისწავლიდი მათგან; ხოლო თუ ამის შემდეგაც რამე დამრჩებოდა სათქმელი, მაშინღა გავუზიარებდი ჩემს მოსაზრებას და მეცადა დამერწმუნებინეთ შენც და ისინიც. მაშ, აბა, ნიკია, ვითომ რა გიშლით ხელს იმაში, რომ ერთ-ერთმა თქვენთაგანმა დაიწყოს?

ნ ი კ ი ა. არაფერიც არ მიშლის, სოკრატე. ჩემის აზრით, საომარი საქმის შესწავლა მრავალმხრივ სასარგებლოა ჭაბუკებისთვის, რადგან, ჯერ-ერთი, მარტო ის რად ღირს, რომ იმნაირი დროსტარებისთვის კი აღარ სცალიათ, რაც ასე ძალიან მოსწონთ, როცა ნოცლილები არიან, არამედ ხელს ჰკიდებენ საქმეს, რომლის წყალობითაც აუცილებლად გაიკაჟებენ სხეულს. ასე რომ, ამნაირი წვრთნა არაფრით არ ჩამოუვარდება არცერთ სხვა ვარჯიშს, არც უფრო ნაკლებ ჯაფას მოითხოვს და, ამავე არ იყოს, ცხენოსნობასთან ერთად, ყველაზე მეტად შეეფერის თავისუფალ კაცს. მხოლოდ საომარ იარაღთა ფლობის ხელოვნებაში გაწაფული კაცი თუ შეძლებს წარმატებით იასპარეზოს ჩვენთვის განკუთვნილ ასპარეზზე, რომელსაც ბრძოლის ველი ჰქვია სახელად. ეს ხელოვნება სასარგებლოა ხელჩართულ ბრძოლაშიაც, როცა მწყობრად დარაზმულ მეომართა რიგებში იბრძვი, მაგრამ განსაკუთრებით მაშინ, როცა წყობა ირევა და მარტოდმარტო გიხდება ბრძოლა, ესე იგი, როცა ფეხდაფეხ მისდევ უკუქცეულ მტერს, რომელიც თავის დაცვასა ცდილობს, ანდა, პირიქით, როცა შენ თვითონ იხევ უკან და იერიშზე გადმოსული მოწინააღმდეგის თავდასხმას იგერიებ. საომარ ხელოვნებაში გაწაფულ კაცს არც მაშინ ემუქრება საფრთხე, როცა ერთი ერთზე იბრძვის, და, შესაძლოა, არც მაშინ, როცა ბევრს ეკვეთება, ვინაიდან თავისი სიმარჯვისა და გაწაფულობის წყალობით ყოველთვის შესძლებს მტრის ძლევას. მეტსაც გეტყვით, ეს ხელოვნება უფრო მაღალი ხელოვნებისაკენ სწრაფვის წყაროა; და მართლაც ყველა კაცს, რომელიც მარჯვედ ხმარობს იარაღს, იმავდროულად, ისიცა სურს, რომ, გარდა იარაღის ფლობის ხელოვნებისა, მასთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა ხელოვნებას ლაშქრის საომრად განწყობის ხელოვნებასაც ფლობდეს, ხოლო ამ უკანასკნელის დაუფლების შემდეგ, პატივმოყვარეობით აღძრული, იმასაც მოინადინებს, რომ თანდათანობით დაეუფლოს მხედართმთავრის ხელოვნებასაც. ხომ ცხადია უკვე, რომ ყველა ეს ხელოვნება, ყველა ამგვარი ცოდნა თუ საქმიანობა, რომელთა მიმართ სწრაფვის წყაროდაც იარაღის ფლობის ხელოვნება გვევლინება, კეთილშობილურია და ღირსი იმისა, რომ კაცი სწავლობდეს, იძენდეს და ეუფლებოდეს მათ. ზემოთქმულს ის არსებითი უპირატესობაც უნდა დავურთოთ, რომ ამ ხელოვნების წყალობით კაცი უფრო გამბედავი და მამაცი ხდება, ვიდრე თავისთავადაა სინამდვილეში. ნურც იმას ავუვლით დუმილით გვერდს (თუმცა ზოგ ვინმეს ეს შეიძლება უმნიშვნელო წვრილმანადაც მოეჩვენოს), რომ ამავე ხელოვნების წყალობით კაცი უფრო მედიდურ იერს იძენს იქ, სადაც მისთვის აუცილებელია მედიდური იერი ჰქონდეს, რათა

ბიბლიოთეკა

ამრიგად უფრო საშიში გამოჩნდეს მტრების თვალში. ასე რომ, ჩემის აზრით, ლისიმაქე, საჭიროა ჭაბუკებს შევასწავლოთ ეს ხელოვნება, ხოლო რატომაა საჭირო, უკვე მოგახსენეთ. მაგრამ თუ ლახესი სხვაგვარად ფიქრობს, სიამოვნებით მოვუსმენ.

ლ ა ხ ე ს ი. ძნელია, ნიკია, ამა თუ იმ ხელოვნებაზე თქვა, რომ არა ღირს მისი შესწავლა,ვინაიდან, კაცმა რომ თქვას, რა სჯობია ყველაფრის ცოდნას? და თუ იარაღის ფლობა ხელოვნებაა, როგორც ამას ამტკიცებენ მისი მასწავლებლები, როგორც ამას ფიქრობს ნიკია, დიახაც უნდა შევისწავლოთ იგი. მაგრამ თუ ეს ხელოვნება არ არის და მისი მასწავლებლები ტყუიან, როცა ხელოვნებადასაღებენ მას, ანდა თუმცა ხელოვნება კია, მაგრამ საქმაოდ უმნიშვნელო ხელოვნება, რა აზრი აქვს მის შესწავლას? ხოლო ამას შემდეგი გარემოება მალაპარაკებს: ჩემის აზრით, ეს რომ ხელოვნება იყოს, განა შეუმჩნეველი დარჩებოდათ ლაკედემონელებს, რომლებსაც მთელი თავიანთი სიცოცხლის განმავლობაში მხოლოდ ერთი საზრუნავი აქვთ: შეისწავლონ და დაეუფლონ ყოველივე იმას, რაც მტრებზე ძლევას მოანიჭებთ? მაგრამ, დავუშვათ და, მათ რომ ვერც შეემჩნიათ, შეუძლებელია ამ ხელოვნების მასწავლებლებს მაინც გამოეპარეოდათ მხედველობიდან, რომ ელინთა შორის ყველაზე გულმოდგინედ სწორედ ლაკედემონელები ცდილობენ დაეუფლონ მათ ხელოვნებას. ასე რომ, კაცი, რომელიც ამ მხრივ თავს გამოიჩენდა ლაკედემონში, დიდძალ ფულს მოხვეტავდა ყველა სხვა მხარეშიც. ტრაგედიების იმ მთხზველთა მსგავსად, რომლებიც წარმატებას აღწევენ ჩვენში. და მართლაც, კაცი, რომელიც ფიქრობს, რომ კარგი ტრაგედია დაწერა, მთელს ატიკას კი არ უვლის გარს და არც ქალაქიდან ქალაქში დაეხეტება, არამედ პირდაპირ აქეთკენ მოეშურება თავისი ქმნილების საჩვენებლად, რაც სავსებით ჩვეულებრივი მოვლენა გახლავთ. მაშინ როდესაც მე ვხედავ, რომ საომარი ხელოვნების მასწავლებლები თითქოს ერთგვარ „წმინდა ნაკრძალად" თვლიან ლაკედემონს და ფეხის დადგმასაც ვერ ბედავენ იქ, არამედ გარს უვლიან მას და თავიანთ ხელოვნებას უჩვენებენ ყველას, ლაკედემონელების გარდა.[11] უპირატესად კი იმათ, ვინც თვითონვე აღიარებენ, რომ საომარ ხელოვნებაში გაწაფულობის მხრივ გაცილებით დაბლა დგანან სხვებზე. ესეც არ იყოს, ლისიმაქე, ბევრი მათგანი საქმეშიაც გამომიცდია და ვიცი, რა შვილებიცა ბრძანდებიან. თუმცა ამის დასტურად ისიცა კმარა, რომ საომარი ხელოვნების არცერთ მასწავლებელს, თითქოს განზრახ, არასოდეს გამოუჩენია თავი ბრძოლის ველზე, მაშინ როდესაც ყველა თავისი ხელოვნების წყალობით იხვეჭს სახელს. როგორც ჩანს, საომარი ხელოვნების მასწავლებლებს, ამ მხრივ, მაინცდამაინც არ ანყალობს ბედი სხვებთან შედარებით. აი, თვით ეს სტესილეოსიც, რომელსაც ჩემთან ერთად ადევნებდით თვალყურს, როცა თავის ხელოვნებას უჩვენებდა ამოდენა ბრბოის წინაშე და ვინ იცის, რაღას არ მიაწერდა საკუთარ თავს, — მე, ცოტა უკეთ, სხვაგანაც მინახავს, სადაც მან ძალაუნებურად გვიჩვენა თავისი ნამდვილი სახე. ერთხელ, როცა მისი სამხედრო ხომალდი რომელიღაც კარჭაპს შეეჯახა,[12] ეს ჩვენი სტესილეოსი შუბლზე მიმაგრებული ნამგლით ჩაება ბრძოლაში, — ისეთივე უჩვეული იარაღით, როგორც უჩვეულოა თავად. მის სხვა საგმირო საქმეებზე რა მოგახსენოთ და მაშინ კი, აი, რა მოჰყვა შუბნამგალას, — ამ განსაცვიფრებელ გამოგონებას: ბრძოლის დროს ნამგალი კარჭაპის ბაგირს გამოედო და შიგ გაიჩხირა. მოსწია სტესილეოსმა, იქნებ დავაძრობო, მაგრამ ძვრაც ვერ უყო, ამასობაში კი კარჭაპმა გვერდი-გვერდ ჩაუარა ხომალდს; სანამ ხომალდის გასწვრივ მიცურავდა, სტესილეოსი გემბანზე გარბოდა და ხელში შუბის ტარი ჰქონდა ჩაბღუჯული, მაგრამ როგორც კი ხომალდს გასცდა და სტესილეოსიც დაითრია, ტარი თანდათან დაუსხლტა ხელიდან და ბოლოს ბუნიკილა შერჩა. ამ დღეში რომ დაინახეს, კარჭაპზე წარმოუდგენელი ღრიანცელი და სიცილ-ხარხარი ატყდა; ვიღაცამ ქვა ესროლა, რომელიც გემბანზე მის ფეხთით დავარდა, და სტესილეოსმაც ხელი გაუშვა შუბს, ახლა კი ხომალდზეც ველარავინ შეიკავა თავი და სიცილისაგან ლამის ფერდები დაასკდათ კარჭაპზე ჩამოკონწიალებული შუბნამგალას დანახვაზე. ასე რომ, ამ ხელოვნებას, ნიკიას თქმისა არ იყოს, იქნებ მართლაცა აქვს რაიმე ფასი, მე კი მხოლოდ იმას გიყვებით, რაც ჩემი თვალით მინახავს. როგორც წეღან მოგახსენეთ, ეს ან ხელოვნებაა, მაგრამ თითქმის სრულიად უსარგებლო ხელოვნება, ან საერთოდ არ არის ხელოვნება და მხოლოდ ასაღებენ ხელოვნებად. ასეა თუ ისე, არა ღირს მისი შესწავლა. ჩემის აზრით, თუკი მხდალი და ჯაბანი კაცი წარმოიდგენს, რომ ზედმიწევნით ფლობს ამ ხელოვნებას და გულმოცემული გათამამდება, მაშინ ის უფრო აშკარად გამოავლენს თავის სიმხდალეს; ხო-

ლო მამაცი კაცი, რომელსაც ათასი თვალი მისჩერებია, უმნიშვნელო შეცდომისთანავე გაუთავებელი მითქმა-მოთქმის საგნად იქცევა, რადგანაც ამ ხელოვნებას ყოველთვის შურის თვალით უყურებენ; და თუ კაცი, რომელსაც მის მფლობელად მოაქვს თავი, რაღაც წარმოუდგენელი სიმამაცით აშკარად არ ჩრდილავს სხვებს, მისი საქმე წასულია: გაქირდვას და გამასხარებას ვერ გადაურჩება. აი, რა თვალით ვუყურებ ამ ხელოვნებით გატაცებას, ლისიმაქე. მაგრამ, როგორც უკვე გითხარი, ეს ჩვენი [illegible] ხელიდან გასაშვები კაცი არ გახლავთ; მაშ, სთხოვე, თავისი აზრი გაგვიზიაროს ამ საკითხთან დაკავშირებით.

ლისიმაქე. მე გთხოვ, სოკრატე, ვინაიდან ამ ჩვენს თათბირს, როგორც ჩანს, გადამწყვეტი ხმა აკლია. ესენი რომ ერთი აზრისანი ყოფილიყვნენ, იქნებ უშენოდაც გავსულიყავით ფონს, მაგრამ ხომ ხედავ, რომ მათი ხმები გაიყო: ლახესი ერთს ამბობს, ნიკია — მეორეს. ასე რომ, კარგი იქნება, თუ შენს აზრსაც მოვისმენთ და გავიგებთ, ვის უჭერ მხარს.

სოკრატე. რას ამბობ, ლისიმაქე, ნუთუ უმრავლესობის აზრს გაიზიარებ?

ლისიმაქე. მაშ, რა ვქნა, სოკრატე?

სოკრატე. და შენც ასევე მოიქცეოდი, მელესია? საქმე რომ შენი ვაჟის წვრთნას ეხებოდეს ტანვარჯიშში, ნუთუ ამ შემთხვევაშიაც უმრავლესობის აზრს გაიზიარებდი და არა იმისას, ვინც თვითონაა კარგად განწვრთნილი და ვისაც კარგი მწვრთნელი ჰყავდა?

მელესია. რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელისას, სოკრატე.

სოკრატე. მას უფრო მეტ ანგარიშს გაუწევდი, ვიდრე ჩვენ ოთხივეს ერთად?

მელესია. ალბათ.

სოკრატე. მართლაცდა, საქმე რომ სწორად გაირჩეს, ჩემის აზრით, გამრჩევთა ცოდნაა მთავარი და არა მათი სიმრავლე.

მელესია. რაღა თქმა უნდა.

სოკრატე. ახლაც ასეა: თავდაპირველად უნდა გავარკვიოთ, არის თუ არა ჩვენს შორის იმ საკითხის მცოდნე, რაზედაც ვმსჯელობთ? თუ არის, მხოლოდ მას ვერწმუნოთ და ყურადღებას ნუ მივაქცევთ სხვებს, თუ არა და, სხვა ვინმე უნდა მოვძებნოთ. ან, იქნებ, შენ და ლისიმაქეს გგონიათ, რომ საქმე უმნიშვნელო წვრილმანს ეხება და არა იმას, რაც ყველაზე ძვირფასია თქვენთვის? თუ კარგი შვილები გამოგივიდათ, რაღა გიჭირთ, თუ არა და, ვაი თქვენს ოჯახს და მოსაწრებას.

მელესია. მართალს ბრძანებ.

სოკრატე. მაშასადამე, დიდი გამჭრიახობა გვმართებს.

მელესია. რასაკვირველია.

სოკრატე. კი მაგრამ, ჩემი წეღანდელი თქმისა არ იყოს, როგორ შევუდგეთ საქმეს, თუკი გვსურს გავარკვიოთ, მაინც რომელი ჩვენგანი უკეთ იცნობს ტანვარჯიშში წვრთნის ხელოვნებას? იმაზე ხომ არ შევაჩერებთ ჩვენს არჩევანს, ვინც ამ საქმეს სწავლობდა და ვისაც ყველაზე უკეთესი მასწავლებლები ჰყავდა?

მელესია. ასე მგონია.

სოკრატე. ხოლო თავდაპირველად, ალბათ, იმის გარკვევა გვმართებს, თუ რა არის ის, რისთვისაც მასწავლებლებს ვეძებთ?

მელესია. რას ამბობ?

სოკრატე. ალბათ, ასე უფრო გარკვევით გეტყვი: მე მგონია ჩვენ დაგვავიწყდა თავიდანვე შევთანხმებულიყავით იმაზე, თუ რა არის ის, რაზედაც ვმსჯელობთ და რის გამოც ვიკვლევთ, რომელი ჩვენგანი უფრო მეტად განაფულია ამ საქმეში მასწავლებლების ხელმძღვანელობით და რომელი ნაკლებ?[13].

ნიკია. კი მაგრამ, სოკრატე, ჩვენ ხომ საომარ ხელოვნებაზე ვმსჯელობთ და ვიკვლევთ, საჭიროა თუ არა, რომ ჭაბუკებს ვასწავლოთ იგი?

სოკრატე. რა თქმა უნდა, ნიკია. მაგრამ როცა თვალის მალამოზე მსჯელობენ, შეიძლება თუ არა მისი წამალო, როგორ გგონია, რას ეხება მსჯელობა, მალამოს თუ თვალს?

ნიკია. თვალს.

სოკრატე. ზუსტად ასევე, როცა იმაზე მსჯელობენ, ლაგამი ამოსდონ თუ არა ცხენს, განა ცხენს არ ეხება საქმე და არა ლაგამს?

ნიკია. მართალია.

ს ო კ რ ა ტ ე. ერთი სიტყვით, როცა ამა თუ იმ საგანზე მეორე საგნისადმი მისი მიმართების მიხედვით მსჯელობენ, საქმე სწორედ ამ უკანასკნელს ეხება და არა პირველს.

ნ ი კ ი ა. უეჭველად.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, გასარკვევია, ქამის თუ არა ჩვენს მრჩეველს ის საქმე, რაც ჩვენი მსჯელობის საგნად გვევლინება.[14]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ ი კ ი ა. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. მერედა, რას ვიტყვით, განა იმაზე არ ვმსჯელობთ ამჟამად, რაც უნდა შევასწავლოთ ამ ჭაბუკებს? ესე იგი, საქმე უშუალოდ ეხება მათ სულს.

ნ ი კ ი ა. დიახ.

ს ო კ რ ა ტ ე. ასე რომ, გასარკვევია, რომელ ჩვენგანს შეუძლია იზრუნოს სულზე და ღირსეულად აღზარდოს იგი, ან რომელს ჰყავდა უკეთესი მასწავლებლები ამ საქმეში?

ლ ა ხ ე ს ი. რაო, სოკრატე, ნუთუ არასოდეს გინახავს კაცი, მასწავლებლების გარეშე რომ უკეთ დახელოვნებულიყოს, ვიდრე მასწავლებლების წყალობით?

ს ო კ რ ა ტ ე. რა თქმა უნდა, მინახავს, ლახეს. მაგრამ მარტოოდენ ლიტონი სიტყვით, ალბათ, არც შენ ირწმუნებდი მის ოსტატობას, სანამ არ გიჩვენებდა თავისი ხელოვნების ერთ ან რამდენიმე დიდებულ ნიმუშს.

ლ ა ხ ე ს ი. მართალს ბრძანებ.

ს ო კ რ ა ტ ე. ამრიგად, ლახეს და ნიკია, რაკი ლისიმაქემ და მელესიამ სათათბიროდ მოგვიწვიეს იმ მოსაზრებით, რომ აპირებენ რაც შეიძლება უკეთესად და ღირსეულად აღზარდონ თავიანთი შვილების სული, მოვალენი ვართ, ჩვენი მასწავლებლები დავუსახელოთ მათ, თუკი რომელიმე ჩვენგანს შეუძლია თქვას თავის თავზე, მასწავლებლები მყავდაო და; თანაც, ისეთი მასწავლებლები, რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, თვითონვე იყვნენ დიდებული ადამიანები და მრავალი ახალგაზრდის სული აღზარდეს ღირსეულად, სანამ ჩვენს განსწავლას მიჰყოფდნენ ხელს. ხოლო თუ რომელიმე ჩვენგანი იტყვის, მართალია, მასწავლებლები არა მყოლია, მაგრამ შემიძლია საქმით დაგიდასტუროთ, რომ აღმზრდელად ვარგივარო, მაშინ გვიჩვენოს, რომელი ათენელი თუ უცხოელი, მონა თუ თავისუფალი გახდა მისი მეოხებით საყოველთაოდ აღიარებული და ღირსეული კაცი? მაგრამ თუ არც ერთი შეგვიძლია და არც მეორე, მაშინ ვურჩიოთ მათ სხვები მოძებნონ, რათა ჩვენი მეგობრების შვილების წახდენისა და გადაგვარების მიზეზად არ ვიქცეთ და მათი მშობლების მიმართ უდიდესი პასუხისმგებლობა არ დაგვეკისროს. მე ჩემდა თავად, ლისიმაქე და მელესია, პირველი ვაღიარებ, რომ ამ საქმეში მასწავლებელი არა მყოლია, თუმცა ჩემი სიჭაბუკიდან მოყოლებული სულ ამას ვნატრობდი. მაგრამ ფული არ მქონდა, რომ სოფისტებისათვის გადამეხადა, რომლებიც მეუბნებოდნენ, ჩვენს მეტი კაცურ კაცად[15] ვერვინ გაქცევსო. ჩემით კი დღემდე ვერ იქნა და ვერ ჩავწვდი ამ ხელოვნებას. მაგრამ არ გამიკვირდება, თუ ნიკია და ლახესი ჩასწვდნენ ან შეისწავლეს იგი, ვინაიდან ჩემზე მდიდრებიც არიან. ასე რომ, შეეძლოთ სხვებისაგან ესწავლათ, და ჩემზე ხნიერნიც, და, მაშასადამე, შეეძლოთ თვითონვე მიეღწიათ მისთვის. და მართლაც, ჩემის აზრით, ორივეს შეუძლია აღზარდოს კაცი, ვინაიდან თავიანთი ცოდნის იმედი რომ არა ჰქონდეთ, განა ასე ხელაღებით მოჰყვებოდნენ იმის მტკიცებას, თუ რა არის სასარგებლო და რა არის საზიანო ყმაწვილკაცისთვის? მე პირადად ვენდობი მათ, მაგრამ, აი, ერთმანეთში რომ ვერ მორიგდნენ, ეს კი მაკვირვებს. ამიტომ ლახესის წეღანდელი თხოვნისა არ იყოს, ხელიდან არ გაგეშვი და კითხვები მოგეცა ჩემთვის, ახლა, ჩემის მხრივ, მეცა გთხოვ, ლისიმაქე, ნურც ლახესს გაუშვებ და ნურც ნიკიას, არამედ ჰკითხე და უთხარი მათ, სოკრატე ამტკიცებს, ამ საქმის არა გამეგება რა და არც იმის გარკვევის თავი მაქვს, თუ თქვენს შორის მაინც რომელია მართალი, ვინაიდან ვერც ჩემით ვეზიარე ამ ხელოვნებას და არც სხვისგან მისწავლია-თქო. თქვენ კი, ლახეს და ნიკია,, გვითხარით, ახალგაზრდობის რომელი დიდებული აღმზრდელი გწვრთნიდათ? სწავლით ეზიარეთ ამ ხელოვნებას თუ თქვენ თვითონ ჩასწვდით? თუ სწავლით ეზიარეთ, ვინ გყავდათ ან ერთს, ან მეორეს მასწავლებლად და ვინ იყვნენ მათი თანამოსაქმეები, რათა, თუ საზოგადო საქმეებით დატვირთულნი სხვა რამისთვის ველარ მოიცლით, მათ მივმართოთ და, თხოვნით იქნება ეს, საჩუქრებით თუ ორივეთი ერთად, როგორმე დავითანხმოთ ისინი, რომ ჩვენი და თქვენი შვილების აღზრდას მოჰკი-

დონ ხელი, რათა მათ თავიანთი უგვანი ქცევით წინაპართა სახელი არ შეგვირცხვინონ. ხოლო თუ თქვენით ჩასწვდით ამ ხელოვნებას, მაშინ გვიჩვენეთ, თქვენი ზრუნვის წყალობით მაინც რომელი უღირსი და უკეთური აქციეთ კაცურ კაცად? მაგრამ თუ დღეიდან იწყებთ თქვენი ხელოვნების გამოყენებას, გახსოვდეთ, კარიელზე[16] როდი გიხდებათ ამ საკმაოდ სახიფათო ცდის ჩატარება, არამედ თქვენსავე საკუთარ და თქვენი მეგობრების შვილებზე; ამიტომ ფრთხილად იყავით, რათა ისე არ დაგემართოთ, როგორც ანდაზაშია ნათქვამი: ქოთანი ვერ გაგიკეთებია და ქვევრს იწყებო. [illegible] გვითხარით, ამ ორი ვარაუდიდან რომელი გესადაგებათ და რომელი არა? აი, ლისიმაქე, რა უნდა ჰკითხო და წასვლის საშუალება არ მისცე მათ.

ლ ი ს ი მ ა ქ ე. ჩემის აზრით, სოკრატე მართალს ამბობს, ხალხო. თუმცა თქვენ თვითონ უნდა გადაწყვიტოთ, ნიკია და ლახეს, ინებებთ თუ არა შეკითხვებზე გვიპასუხოთ და თქვენი აზრი დაგვისაბუთოთ. რაღა თქმა უნდა, მეც და ეს ჩვენი მელესიაც მოხარულნი ვიქნებით, თუ ინებებთ და უპასუხებთ ყველაფერს, რასაც სოკრატე გკითხავთ. აკი, როგორც იმთავითვე გითხარით, სწორედ იმ მიზნით მოგიწვიეთ სათათბიროდ, რომ ვიცოდით, ეს საკითხი თქვენთვისაც საგულისხმო და საყურადღებო უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ თქვენი და ჩვენი შვილები თითქმის ტოლები არიან. ასე რომ, თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, ბარემ თქვენი აზრიც გამოთქვით და, კითხვა-პასუხების მონაცვლეობით, სოკრატესთან ერთად შეუდექით ამ საკითხის განხილვას. რადგან, მისივე დიდებული თქმის არ იყოს, საქმე აქ იმას ეხება, რაც ყველაზე ძვირფასია ჩვენთვის. მაშ, მითხარით, იზიარებთ თუ არა ჩემს აზრს?

ნ ი კ ი ა. როგორ გეტყობა, ლისიმაქე, რომ სოკრატეს მამამისის მხრივ იცნობ მხოლოდ, თვითონ კი არასოდეს შეგხვედრია, ალბათ, მისი ბავშვობის შემდეგ, როცა ხელიხელჩაკიდებული დაჰყვებოდა მამამისს და შემთხვევით თუ ჩაუვლია შენს გვერდით ტაძარში ან სადმე სხვაგან, ერთად თავშეყრილ მეზობლებს შორის; ხოლო მას შემდეგ, რაც წამოიზარდა, ერთხელაც აღარ შეხვედრიხარ, ცხადია ჩემთვის.

ლ ი ს ი მ ა ქ ე. მერედა, რაო, ნიკია?

ნ ი კ ი ა. რა და, გეტყობა წარმოდგენაც არა გაქვს, რომ კაცი, რომელსაც საუბარში ჩაითრევს სოკრატე, თითქოს მისი განუყრელი თვისტომი ხდება, და, მიუხედავად იმისა, თუ თავდაპირველად რას ეხება სჯა-ბაასი, მანამდის ვერ დაიძვრენს თავს, სანამ თანამოსაუბრის კითხვებით ჩიხში მომწყვდეული, ბოლოს და ბოლოს იძულებული არ იქნება ანგარიში ჩააბაროს მას, კერძოდ, უთხრას, თუ როგორ ცხოვრობს ამჟამად და როგორი იყო მთელი მისი ცხოვრება დღევანდელ დღემდე. ამ დღეში რომ ჩააგდებს, სოკრატე მანამდე არ მოეშვება, სანამ ყველაფერს საგულდაგულოდ არ გაცხრილავს და განიხილავს. მე ზედმიწევნით ვიცნობ მას და ვიცი, რომ ამნაირ დაკითხვას ვერ გადავურჩები; ისიც კარგად ვიცი, რომ თვითონვე დავყვები მის ნებას, რადგანაც მიხარია, ლისიმაქე, ამ კაცის გვერდით ყოფნა და, ვფიქრობ, საძრახისი არა არის რა იმაში, რომ გავიხსენოთ, როდის ვიქცეოდით ან ვიქცევით ცუდად; პირიქით, ვინც თავს არ არიდებს ამნაირ გამოცდას, არამედ სოლონის თქმისა არ იყოს, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლობს,[18] რაკილა ნაკლებად სწამს, რომ სიბერე თავისთავად მიართმევს ცოდნას, — სამერმისოდ უფრო ჭკუადამჯდარი და წინდახედული იქნება. ამიტომ პირადად ჩემთვის არც უჩვეულო და არც სათაკილო არა არის რა იმაში, რომ სოკრატემ გამომცადოს, რადგან, გავიგე თუ არა, რომ ჩვენს საუბარს ისიც ესწრებოდა, მაშინვე გულში ვთქვი, ლაპარაკი ამ ჭაბუკებზე კი არა, თვითონ ჩვენზე იქნება-მეთქი. ასე რომ, კვლავ გიმეორებ, პირადად მე არაფერი არ მიშლის ხელს ისე ვესაუბრო სოკრატეს, როგორც თვითონ სურს. მაგრამ გაიგე, რა აზრისაა ამაზე ჩვენი ლახესი.

ლ ა ხ ე ს ი. საუბრისადმი ჩემი დამოკიდებულება მარტივი გახლავს, ნიკია, ან, თუ გნებავს, მარტივი კი არა, ორჭოფული: ხან საუბრის მოყვარე ვეგონები კაცს, ხან კი — მოძულე. და მართლაც, ყოველთვის, როცა ვისმენ, როგორ საუბრობს სიქველის ან სიბრძნის ამა თუ იმ დარგის შესახებ ჭეშმარიტად კაცური კაცი, რომელიც თავისი სიტყვებივით ღირსეული ჩანს, უსაზღვროდ ნასიამოვნები ვრჩები იმის გამო, რომ მოსაუბრე და მისი საუბარი ესოდენ სრულად და ჰარმონიულად შეესატყვისებიან ერთიმეორეს. ამნაირი კაცი ჭეშმარიტ მუსიკოსად მიმაჩნია, უმშვენიერეს მელოდიას რომ გამოაცემინებს არა ლირას ან სხვა რომელიმე საკრავს, არამედ თვითონ სიცოცხლეს, თავისი სიტყვის და საქმის ჰარმონიული თანხმობის წყალობით. ესოდენ სრულად რომ მოგვაგო-

ნებს არა იონიურ, არა ფრიგიულ ან ლიდიურ, არამედ დორიულ, — ჩემის აზრით, ამ ერთადერთ ელინურ ჰარმონიას.[18] ამნაირი კაცია ხმა დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ასე რომ, ყველას საუბრის მოყვარე ვგონივარ, რაკილა მონუსხული ვუსმენ მის სიტყვებს, ხოლო ვინც ამის საპირისპიროდ იქცევა, თავს მაბეზრებს და მით უფრო მაღიზიანებს, რაც უფრო დარწმუნებულია იმაში, რომ კარგად მსჯელობს: აი, მაშინ კი მართლაც რომ საუბრის მოძულე ვგონივარ ხალხს. სოკრატეს საუბრებს კი, მართალი გითხრათ, ნაკლებად ვიცნობ, მაგრამ ადრე უკვე მქონდა იმის შესაძლებლობა, რომ საქმეში გამომეცადა იგი, და ამდენად, ჩემთვის არც მისი მჭევრმეტყველება იქნება მოულოდნელი და არც გულწრფელობა. თუ ეს ვარაუდი სწორია, ჩემის მხრივ, მეც ვეერთდები ნიკიას, სიამოვნებით დავთანხმდები, რომ ამნაირმა კაცმა გამოცდა მომიწყოს და არც იმის ვიუკადრისებ, რომ რაიმე ვისწავლო მისგან; ასე რომ მხოლოდ ერთ რამეს დავუმატებ სოლონის ნათქვამს: სიბერეშიც ბევრი რამე მსურს შევისწავლო, ოღონდ პატიოსანი კაცისაგან; დიახ, იმას კი მოვითხოვ, რომ მასწავლებელი პატიოსანი კაცი იყოს, რათა უხალისოდ მსმენელს უტვინობა არ დამწამონ. ხოლო ის გარემოება, რომ მასწავლებელი ჩემზე ახალგაზრდაა, რომ ჯერ კიდევ არ გაუთქვამს სახელი და ა. შ., მე ნაკლებად მადარდებს. მაშ, ასე, სოკრატე, გთხოვ მასწავლო და გამომცადო ისე, როგორც თავად მოგეპრიანება, ხოლო მეორეს მხრივ, ჩემგანაც ისწავლო ის, რაც მე ვიცი. ამ თვალით გიყურებ მას შემდეგ, რაც ერთად აღმოვჩნდით საფრთხეში, სადაც ისეთი სიქველე გამოამჟღავნე, როგორიც შეიძლება მოსთხოვო მხოლოდ ჭეშმარიტად ღირსეულ კაცს. მაშ, თამამად თქვი, რაც გნებავს და ანგარიშს ნუ გაუწევ ჩემს ხნოვანებას.

ს ო კ რ ა ტ ე. როგორც ჩანს, ვერც ერთს ვერ დაგდებთ ბრალს იმაში, თითქოს სათათბიროდ და საკითხის განხილვაში მონაწილეობისათვის არ იყოთ მზად.

ლ ი ს ი მ ა ქ ე. ასე რომ, საქმე ჩვენზეა, სოკრატე, ვინაიდან შენც ერთ ჩვენგანად მიმაჩნიხარ. მაშ, ამ ჭაბუკების გულისათვის ჩემს მაგივრად შენ თვითონ გადაწყვიტე, რა უნდა ვკითხოთ მათ და ერთად განიხილეთ ეს საკითხი, რადგან, მე ჩემი ასაკის გამო, ხშირად მავიწყდება ის, რაც მინდოდა მეკითხა, ხოლო თუ საუბრის დროს სხვა რამეზე ჩამოვარდა სიტყვა, მაშინ ხომ სრულებით აღარ მახსოვს, რას მეუბნებიან. მაშ, თქვენ თვითონ ისაუბრეთ და ერთმანეთს გაუზიარეთ თქვენი აზრები ამ საკითხთან დაკავშირებით. მე კი მოგისმენთ და როცა თქვენს გადაწყვეტილებას გავიგებ, ვეცდები, ამ ჩვენს მელესიასთან ერთად, ისე მოვიქცე, როგორც თვითონ მიიჩნევთ უმჯობესად.

ს ო კ რ ა ტ ე. რა გაეწყობა, ნიკია და ლახეს, უნდა დავემორჩილოთ ლისიმაქეს და მელესიას. ამიტომ, ალბათ, არ გვაწყენდა იმის გარკვევა, რის განხილვასაც წეღან შევუდექით, კერძოდ, იმისა, თუ ვინ იყვნენ ჩვენი მასწავლებლები ამ საქმეში, ან ჩვენ თვითონ თუ გვყავდა მოწაფეები და შევძელით თუ არა ღირსეულად აღგვეზარდა ისინი. მაგრამ, მე მგონია, შემდეგი მსჯელობაც იმავე მიზნამდე მიგვიყვანს და იქნებ კიდევაც სჯობდეს ამით დავიწყოთ: სახელდობრ, თუ ჩვენ ვიცნობთ რაღაცა ისეთს, რისი მინიჭებაც მეორე რამისადმი უფრო უკეთესს ხდის ამ უკანასკნელს, და, თანაც, შეგვიძლია, თვითონვე მივანიჭოთ იგი, ცხადია, კიდევაც გვცოდნია ის, რაკილა შეგვიძლია ვთქვათ, თუ რა გზით შეიძლება ყველაზე უკეთ და ყველაზე იოლად მისი შეძენა. მაგრამ იქნებ არ გესმით ჩემი სიტყვები? მაშინ უფრო გარკვევით გეტყვით. თუკი ვიცით, რომ მზერა, როცა ის ენიჭება თვალს, უფრო უკეთესს ხდის ამ უკანასკნელს, და, თანაც, თვითონვე შეგვიძლია თვალს მივანიჭოთ იგი, ცხადია, კიდევაც გვცოდნია, რა არის მზერა, რაკილა შეგვიძლია ვურჩიოთ ხალხს, თუ რა გზით შეიძლება ყველაზე უკეთ და ყველაზე იოლად მისი შეძენა. ხოლო თუ არც ის ვიცით, რა არის მზერა და არც ის, რა არის სმენა, მაშინ არც მრჩევლებად ვივარგებთ და არც თვალ-ყურის ექიმებად, როცა გვკითხავენ, თუ რა გზით შეიძლება ყველაზე უკეთ და ყველაზე იოლად შეიძინონ მზერა თუ სმენა.

ლ ა ხ ე ს ი. მართალს ამბობ, სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. მერედა, ლახეს, განა სწორედ იმ მიზნით არ მოგვიწვიეს აქ, რომ რჩევა გვკითხონ, თუ რა გზით შეიძლება სიქველე მივანიჭოთ მათ შვილებს და, ამრიგად სრულვყოთ ახალგაზრდების სული?

ლ ა ხ ე ს ი. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, განა იმის ცოდნა არ გვმართებს, თუ რა არის სიქველე? რადგან თუ წარმოდგენაც არა გვაქვს, რა არის სიქველე საერ-

თოდ, როგორღა შევძლებთ ვურჩიოთ ვინმეს, თუ რა გზით შეიძლება უფრო უკეთ მისი შეძენა?

ლ ა ხ ე ს ი. ვფიქრობთ, ვერასდიდებით ვერ შევძლებთ, სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, ლახეს, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ვიცით, რა არის სიქველე.

ლ ა ხ ე ს ი. დიახ, ვამტკიცებთ.

ს ო კ რ ა ტ ე. და რაკი ვიცით, მაშასადამე, შეგვიძლია კიდეც განვსაზღვროთ იგი.

ლ ა ხ ე ს ი. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. მაგრამ ნუ განვიხილავთ, ლირსეულო, ერთბაშად მთელს სიქველეს: ცოტა არ იყოს, ძნელი საქმეა. არამედ თავდაპირველად დავუკვირდეთ მის მხოლოდ ერთ რომელიმე ნაწილს, რათა შევამოწმოთ ჩვენი ცოდნის სიცხოვრე. ეს უფრო ადვილი იქნება ჩვენთვის.

ლ ა ხ ე ს ი. როგორც გნებავს, ისე ვქნათ, სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. კი მაგრამ, სიქველის მაინც რომელ ნაწილს ავირჩევთ? ცხადია, იმას, რომელიც ჩემის აზრით, საომარ ხელოვნებას უკავშირდება. ამ სიქველეს, თუ უმრავლესობას ვერწმუნებით, სიმამაცე ჰქვია სახელად. ასეა, არა?

ლ ა ხ ე ს ი. დიახ, ასეა.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, თავდაპირველად იმის გარკვევა ვცადოთ, ლახეს, თუ რა არის სიმამაცე; შემდეგ კი ვნახოთ, რანაირად შეიძლება ჩავუნერგოთ ის ყმაწვილებს და რამდენად შესაძლოა ამის მიღწევა წვრთნისა თუ გაწაწვლის გზით. მაშ, ეცადე მიპასუხო ამ კითხვაზე: რა არის სიმამაცე?

ლ ა ხ ე ს ი. ვფიცავ ზევსს, პასუხი ადვილია, სოკრატე: ის, ვინც ფეხმოუცვლელად იგერიებს მტერს ბრძოლის ველზე და უკან არ იხევს, დარწმუნებული ბრძანდებოდე, მამაცი კაცია სწორედ.

ს ო კ რ ა ტ ე. კეთილი და პატიოსანი, ლახეს: მაგრამ, როგორც ჩანს, სწორად ვერ დაგისვი კითხვა, და ამიტომ ჩემი ბრალია, რომ იმნაირი პასუხი ვერ მივილე შენგან, როგორსაც კითხვის მოცემისას ველოდი.

ლ ა ხ ე ს ი. რას ამბობ, სოკრატე?

ს ო კ რ ა ტ ე. თუ შევძელი, მოგახსენებ. ცხადია, მამაცი კაცი ისაა, ვინც, შენი თქმისა არ იყოს, ბრძოლის ველზე ფეხმოუცვლელად იგერიებს მტერს.

ლ ა ხ ე ს ი. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ.

ს ო კ რ ა ტ ე. და მეც ასევე; მაგრამ რას უწოდებ შენ იმ კაცს, რომელიც ფეხმოუცვლელად კი არა, უკუქცეული იგერიებს მტერს?

ლ ა ხ ე ს ი. როგორ თუ უკუქცეული?

ს ო კ რ ა ტ ე. როგორც, მაგალითად, სკვითები,[20] რომლებზედაც ამბობენ, რომ უკუქცეულნი უარესად როდი იბრძვიან, ვიდრე მაშინ, როცა თვითონ მისდევენ მტერს; ანდა როგორც ჰომეროსი ამბობს ენეასის ცხენების საქებად: „აქეთ და იქით შმაგად მსრბოლელთ ბადალი არ ჰყავთ არც გაქცევაში, არც გაქცეულ მტრების დევნაში";[21] ხოლო როცა თვით ენეასზე ლაპარაკობს სირბილია უნარს უქებს და „გაქცევის ოსტატს"[22] უწოდებს მას.

ლ ა ხ ე ს ი. და მართალსაც ამბობს, სოკრატე, ვინაიდან ამ ადგილას ის საომარ ეტლზე ლაპარაკობს. აკი შენც ცხენოსან სკვითებს გულისხმობ, ხოლო მათი ცხენოსნები მართლაც ეგრე იბრძვიან, ელინთა ქვეითი ლაშქარი კი ისე, როგორც მე ვამბობ.

ს ო კ რ ა ტ ე. ლაკედემონელების გამოკლებით, ლახეს, ვინაიდან პლატეასთან[23] რომ შეებნენ სპარსელ ფაროსნებს, ლაკედემონელებმა, როგორც გადმოგვცემენ, არ ისურვეს ფეხმოუცვლელად დახვედროდნენ მტერს, არამედ უკუიქცნენ და როცა სპარსელთა რიგები აირ-დაირია, ცხენოსნებივით შემობრუნდნენ საიერიშოდ და ბრძოლაც მოიგეს.

ლ ა ხ ე ს ი. მართალს ბრძანებ.

ს ო კ რ ა ტ ე. ამიტომაც გითხარი წელან, ჩემი ბრალია, რომ ზუსტად ვერ მიპასუხე, ვინაიდან სწორად ვერ დაგისვი კითხვა-მეთქი. და მართლაც, მე მინდოდა შენი მეშვეობით გამეგო, თუ რა არის არა მარტო ქვეითი ლაშქრის, არამედ აგრეთვე მხედრებისა და, საერთოდ, მეომრების სიმამაცე. და არა მარტო მეომრების, არამედ იმ ხალხისაც, ზღვის ტალღებში რომ ებრძვის საფრთხეს, ან კიდევ წარბშეუხრელად ეგებება სნეულებას, სილატაკესა თუ სახელმწიფო საქმეების მოგვარებისას წამოჭრილ სიძნელეს; ქედს

არ უხრის მწუხარებას, სასონარკვეთას და ფეხმოუცვლელად ებრძვის ან გაურბის ვნებებსა თუ განცხრომის სურვილს; განა ესენიც მამაცები არ არიან, ლახეს?

ლ ა ხ ე ს ი. და მერე როგორი მამაცები, სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, ყველა ესენი მამაცები არიან, მაგრამ ზოგი თავისი სიმამაცით განცხრომის სურვილებს თრგუნავს, ზოგი — ტკივილს, ზოგი — ვნებებს, ზოგი კიდევ — შიშსა და ძრწოლას; ისევე როგორც სხვები, ასეთსავე შემთხვევებში, პირიქით, სიმხდალეს იჩენენ.

ლ ა ხ ე ს ი. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. მეც სწორედ ამას გეკითხები, რა არის სიმამაცე ან სიმხდალე? მაშ, ეცადე, თავდაპირველად განმიმარტო, მაინც რა არის ეს სიმამაცე, რომელიც ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში უცვლელი რჩება? მაგრამ თუ გესმის, რას მოვითხოვ შენგან?

ლ ა ხ ე ს ი. არც ისე კარგად.

ს ო კ რ ა ტ ე. აი, რას: სიმამაცეზეც ზუსტად ისევე გეკითხები, როგორც, მაგალითად, შემეძლო მეკითხა შენთვის, რა არის-მეთქი სისწრაფე, რომელიც ერთნაირად ესადაგება სირბილსაც, კითარაზე დაკვრასაც, მეტყველებასაც, სწავლასაც და რომელიც შეიძლება თანაბრად მიეწეროს თითქმის ყველაფერს, რაც გაგვაჩნია ან რაც უნდა ახსენო: ხელებისა თუ ფეხების მოძრაობასაც, ბაგეებსაც, ხმასაც თუ აზრსაც; განა შენც ამასვე არ ფიქრობ?

ლ ა ხ ე ს ი. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. ჰოდა, ვინმეს რომ ეკითხა ჩემთვის: რა არის, სოკრატე, სისწრაფე, თანაბრად რომ ესადაგება ყველაფერს, რაც ზემოთ ჩამოთვალეო, პასუხად ალბათ, ვეტყოდი, რომ ესაა მოკლე დროში ბევრის კეთების უნარი, მიუხედავად იმისა თუ რას ეხება საქმე ხმას, სირბილს თუ სხვა დანარჩენს.

ლ ა ხ ე ს ი. და მართალსაც ეტყოდი.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშ, ეცადე, ლახეს, შენც იგივე მითხრა სიმამაცეზე: მაინც რა არის ეს უნარი, რომელიც სიხარულში, მწუხარებაში თუ ყველა სხვა შემთხვევაში, რომლებიც ახლახან ჩამოვთვალეთ, უცვლელად ინარჩუნებს სიმამაცის სახელს?

ლ ა ხ ე ს ი. ჩემის აზრით, ესაა ერთგვარი სიმტკიცე სულისა, რაკილა საჭიროა, რომ სიმამაცე, ყველა ცალკეულ შემთხვევაში, მისი არსებითი ნიშნით განვსაზღვროთ.

ს ო კ რ ა ტ ე. მართლაც რომ საჭიროა, თუკი გვსურს ჩვენს კითხვას ვუპასუხოთ. მაგრამ მე მგონია, რომ სულის ყოველგვარი სიმტკიცე როდი მიგაჩნია სიმამაცედ; ხოლო ამას, აი, რისი მიხედვით ვასკვნი: მე ხომ ვიცი, ლახეს, რომ, სიმამაცე, შენის აზრით, ერთი ყველაზე დიდებული რამ არის.

ლ ა ხ ე ს ი. და არცა სცდები: დიდებულზე დიდებული.

ს ო კ რ ა ტ ე. კი მაგრამ, განა მხოლოდ კეთილგონიერებასთან შერწყმული სიმტკიცე არაა კარგიც და დიდებულიც?

ლ ა ხ ე ს ი. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. ხოლო თუ სიშლეგესთან არის შერწყმული? განა მაშინ მავნე და უკეთური არ არის იგი?

ლ ა ხ ე ს ი. დიახ.

ს ო კ რ ა ტ ე. მერედა, როგორ შეგიძლია დიდებული უწოდო იმას, რაც მავნეა და უკეთური?

ლ ა ხ ე ს ი. რა უფლება მაქვს სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, შენ ამნაირ სიმტკიცეს როდი უწოდებ სიმამაცეს, ვინაიდან ის უკეთურია, სიმამაცე კი — დიდებული.

ლ ა ხ ე ს ი. მართალს ბრძანებ.

ს ო კ რ ა ტ ე. ამრიგად, შენის აზრით, მხოლოდ გონივრული სიმტკიცე თუ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სიმამაცედ.

ლ ა ხ ე ს ი. როგორც ჩანს.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშ, ვნახოთ, რა არის ეს გონივრული სიმტკიცე, ან შეიძლება თუ არა, რომ ყველგან და ყოველთვის, დიდსა თუ პატარა საქმეში, სიმამაცე ეწოდოს მას? ასე მაგალითად, თუ ვინმე კეთილგონივრულ სიმტკიცეს იჩენს ფულის ფლანგვაში, რადგანაც უფრო მეტის მოგების იმედი აქვს, შეიძლება თუ არა მამაცად მიგაჩნდეს იგი?

ლ ა ხ ე ს ი. არაადიდებით, ვფიცავ ზევსს.

ს ო კ რ ა ტ ე. ან კიდევ წარმოიდგინე, რომ ექიმს სასმელ-საჭმელსა სთხოვს ავადმყოფი, რომელსაც ფილტვების ანთება სჭირს; მაგრამ, მიუხედავად იმისა, თუ ვინაა ეს ავადმყოფი, უცხოა თუ მისივე საკუთარი შვილი, ექიმი თხოვნას კი არ უსრულებს, არამედ მტკიცედ ეუბნება უარს; ნუთუ მის სიმტკიცეს სიმამაცე ეთქმის?

ლ ა ხ ე ს ი. არა, არ ეთქმის.

ს ო კ რ ა ტ ე. ხოლო იმ კაცის სიმტკიცეზე რაღას იტყვი, რომელიც ბრძოლის ველზე მტერთან შესარკინებლად ემზადება, რადგანაც კეთილგონივრული გაანგარიშების შედეგად იცის, რომ თავისიანები მიეშველებიან, რომ უფრო სუსტია და მცირერიცხოვან მტერთან მოუწევს შებმა, ვიდრე მისი თანამებრძოლები არიან, და რომ, ყოველივე ამასთან ერთად, გაცილებით უფრო უკეთესა ადგილზეა გამაგრებული? როგორ გგონია, მაინც რომელს მიიჩნევ უფრო მამაცად: იმ კაცს, ვისი სულიერი სიმტკიცეც ესოდენ კეთილგონივრულ გათვლასა და წინასწარ სამზადისს ემყარება, თუ იმას, ვინც მოწინააღმდეგის რიგებში მტკიცედ და ფეხმოუცვლელად იბრძვის?

ლ ა ხ ე ს ი. მე მგონია, ამ უკანასკნელს, სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. კი მაგრამ, მისი სიმტკიცე ხომ ნაკლებ კეთილგონივრულია, ვიდრე პირველის?

ლ ა ხ ე ს ი. მართალს ბრძანებ.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, კაცი, რომელიც დიდ სიმტკიცეს იჩენს ცხენოსანთა შეტაკებაში, იმის წყალობით, რომ გამოცდილი მოჯირითეა, შენის აზრით, ნაკლებ მამაცია, ვიდრე გამოუცდელი?

ლ ა ხ ე ს ი. ავრე მგონია.

ს ო კ რ ა ტ ე. და იგივე ითქმის მარჯვე მოშურდულის, მოისრის თუ სხვათა მიმართ, რომელთა სიმტკიცეც მათსავე სიმარჯვეს და გამოცდილებას ემყარება?

ლ ა ხ ე ს ი. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. ხოლო ჭებში მძრომელთა თუ წყალში მყვინთავთა შორის შენ, ალბათ, უფრო მამაცად მიიჩნევდი ამ საქმეში გამოცდილს, ვიდრე გამოუცდელს.

ლ ა ხ ე ს ი. ვინ უარყოფს ამას, სოკრატე?

ს ო კ რ ა ტ ე. ვერავინ, თუკი შენს აზრს გაიზიარებს.

ლ ა ხ ე ს ი. მაგრამ მე სწორედ ასე ვფიქრობ.

ს ო კ რ ა ტ ე. და მაინც, ეს გამოუცდელი ხალხი, აქაოდა სიმტკიცე გამოვიჩინოთო, გაცილებით უფრო შლეგურად იგდებს თავს საფრთხეში, ვიდრე გამოცდილნი.

ლ ა ხ ე ს ი. ეგრე გამოდის.

ს ო კ რ ა ტ ე. კი მაგრამ, ამნაირი შლეგური სიმტკიცე ხომ მავნედ და უკეთურად მივიჩნიეთ წეღან?

ლ ა ხ ე ს ი. დიახ.

ს ო კ რ ა ტ ე. სიმამაცე კი რაღაც დიდებულად ვაღიარეთ.

ლ ა ხ ე ს ი. დიახ, ვაღიარეთ.

ს ო კ რ ა ტ ე. ახლა კი პირიქით გამოგვდის: ისეთ უკეთურ თვისებას, როგორიცაა შლეგური სიმტკიცე, სიმამაცედ ვთვლით.

ლ ა ხ ე ს ი. როგორც ჩანს.

ს ო კ რ ა ტ ე. მერედა, შენის აზრით, სწორადა ვმსჯელობთ?

ლ ა ხ ე ს ი. არა, სოკრატე, ვფიცავ ზევსს.

ს ო კ რ ა ტ ე. ამრიგად, ეს ჩვენი მსჯელობა, შენი სიტყვებით რომ ვთქვათ, ლახეს, თავისი წყობით დორიულ ჰარმონიას როდი მოგვაგონებს, ვინაიდან ჩვენი სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ ეთანხმება. მართლაცდა, საქმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, როგორც ჩანს, შეიძლება სიმამაცეც კი მოგვაწეროს კაცმა, მაგრამ, აი, ჩვენი სიტყვები რომ მოესმინა, მე მგონია ამ თვისების ნატამალსაც ვერ ჰპოვებდა მათში.

ლ ა ხ ე ს ი. მართალს ბრძანებ.

ს ო კ რ ა ტ ე. მერედა, მოგწონს ამნაირი მდგომარეობა.

ლ ა ხ ე ს ი. რა მოსაწონია.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშინ, იქნებ, ერთის მხრივ მაინც ვუერთგულოთ ამ ჩვენს მსჯელობას.

ლ ა ხ ე ს ი. მაინც რა მხრივ?

ს ო კ რ ა ტ ე. რა მხრივაც ის სიმტკიცისაკენ მოგვიწოდებს. მაშ, თუ თანახმა ხარ, გამოვიჩინოთ სულის სიმტკიცე და კვლავინდებურად განვაგრძოთ კვლევა-ძიება, თორემ თვით სიმამაცე აგვიგდებს მასხრად, იმის გამო, რომ მამაცურად ვერ ვიკვლევთ მას; თუკი ხშირ შემთხვევაში სულის სიმტკიცე იგივეა, რაც სიმამაცე.

ლ ა ხ ე ს ი. მე, ჩემის მხრივ, მზადა ვარ უკან არ დავიხიო, სოკრატე, და თუმცა ამნაირი მსჯელობა უცხოა ჩემთვის, მაგრამ ამ საუბარმა პირდაპირ ლაპარაკის საღერღელი ამიშალა და, მართალი გითხრა, ჩემს თავს ვაყვედრი იმას, რომ ვერ თავისუფლად მეხერხება აზრის გამოთქმა. თითქოს მესმის, რა არის სიმამაცე, მაგრამ არ ვიცი, როგორ მისხლტება ხელიდან მისი განსაზღვრა, ისე რომ, ვერც სიტყვით ვიხელთებ და ვერც ვაყალიბებ.

ს ო კ რ ა ტ ე. კი მაგრამ, კარგი მონადირე, ჩემო ძვირფასო, ფეხდაფეხ მიჰყვება და ხელიდან არ გაუშვებს ნადავლს.

ლ ა ხ ე ს ი. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. ხომ არ გინდა, რომ ამ ჩვენს ნადირობაში ნიკიაც შემოვიერთოთ? იქნება ჩვენზე უკეთ მოემართოს ხელი.

ლ ა ხ ე ს ი. როგორ არ მინდა.

ს ო კ რ ა ტ ე. მოდი, ნიკია, თუ შეგიძლია, მოეშველე შენს გზადაკარგულსა და სიტყვის ძიებაში დამშვრალ მეგობრებს. ხომ ხედავ ჩვენს გაჭირვებას? გვითხარი, რას ფიქრობ სიმამაცეზე. გამოგვიყვანე ამ გამოუვალი მდგომარეობიდან და შენი სიტყვით განამტკიცე შენივე აზრი.

ნ ი კ ი ა. რა ხანია ვფიქრობ, სოკრატე, რომ სწორად ვერ განსაზღვრავთ სიმამაცეს, მხოლოდ იმიტომ, რომ საქმეში არ იყენებ იმას, რასაც ასე კარგად აყალიბებ სიტყვით და რაც არაერთხელ მომისმენია შენგან.

ს ო კ რ ა ტ ე. მაინც რას, ნიკია?

ნ ი კ ი ა. ხშირად გამიგონია შენგან: ყოველი კაცი იმით არის კარგი, რაც იცის, და ცუდი იმით, რაც არ იცისო.

ს ო კ რ ა ტ ე. ვფიცავ ზევსს, მართალს ამბობ, ნიკია.

ნ ი კ ი ა. მაშასადამე, თუ კაცი მამაცად ვარგა, სწორედ იმიტომ, რომ თავისი საქმე იცის.

ს ო კ რ ა ტ ე. გესმის, ლახეს?

ლ ა ხ ე ს ი. სიტყვები მესმის, აზრისა კი რა მოგახსენო.

ს ო კ რ ა ტ ე. მე კი მისი სიტყვების აზრიც მესმის: როგორც ჩანს, ის ერთგვარ ცოდნად მიიჩნევს სიმამაცეს.

ლ ა ხ ე ს ი. მაინც რანაირ ცოდნად, სოკრატე?

ს ო კ რ ა ტ ე. მას ეკითხები?

ლ ა ხ ე ს ი. დიახ.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშ, უთხარი, ნიკია, მაინც რანაირ ცოდნას უწოდებ სიმამაცეს? იქნებ, სალამურზე დაკვრის ხელოვნებას?

ნ ი კ ი ა. არამც და არამც

ს ო კ რ ა ტ ე. ან კითარაზე დაკვრისას?

ნ ი კ ი ა. არც მაგას.

ს ო კ რ ა ტ ე. კი მაგრამ, მაინც რა ცოდნაა ასეთი, ან რისი ცოდნა?

ლ ა ხ ე ს ი. ეგ კი მართლაც რომ დიდებულად ჰკითხე, სოკრატე; მაშ, კეთილ-ინებოს და გვითხრას, მაინც რანაირ ცოდნას გულისხმობს?

ნ ი კ ი ა. ესაა, ლახეს, ცოდნა იმისა, თუ რისი უნდა გვეშინოდეს და რისი არა, როგორც ბრძოლის ველზე, ისე ყველა სხვა შემთხვევაში.

ლ ა ხ ე ს ი. რას მიედ-მოედება, სოკრატე?

ს ო კ რ ა ტ ე. ვითომ რას უწუნებ, ლახეს?

ლ ა ხ ე ს ი. რასა და იმას, რომ სად ცოდნა და სად სიმამაცე?

ს ო კ რ ა ტ ე. ნიკია კი სხვაგვარად ფიქრობს.

ლ ა ხ ე ს ი. ჰოდა, მიტომაც მიჰკარავს, ვფიცავ ზევსს.

ს ო კ რ ა ტ ე. მაგრამ, მოდი, ნუ კი ვლანძღავთ, არამედ შევუსწოროთ.

ნ ი კ ი ა. არა, სოკრატე, ლახესს ეგ კი არა, მხოლოდ ის უნდა, რომ მეც ისევე მომეცაროს ხელი, როგორც თვითონ მოეცარა წეღან.

ლ ა ხ ე ს ი. დიახ, მინდა და დაგიმტკიცებ კიდეც, რომ უაზროდ მსჯელობ. ასე მაგალითად, როცა საქმე ეხება ავადმყოფობას, განა სწორედ ექიმმა არ იცის, თუ რა არის საშიში? თუ, შენის აზრით, მხოლოდ მამაცებმა იციან ეს. ან, იქნებ, მამაცად თვლი უკლებლივ ყველა ექიმს?

ნ ი კ ი ა. როგორ გეკადრება.

ლ ა ხ ე ს ი. მაშინ, ალბათ, იგივე ითქმის მხვნელ-მთესველთაც, მიწათმოქმედებზეც. მათ, ჩემის აზრით, მშვენივრად იციან, თუ რა არის საშიში ხვნა-თესვისათვის, ისევე როგორც ყველა ხელოსანმა იცის, თუ რა არის საშიში მათი ხელობის კაცისათვის, მაგრამ ამის გამო სულაც არ არიან უფრო მამაცნი.

ს ო კ რ ა ტ ე. როგორ გგონია, ნიკია, რას ამბობს ლახესი? ვგონებ, რაღაც ჭკვიანურს ამბობს.

ნ ი კ ი ა. რაღაცას კი ამბობს, მაგრამ ჭკვიანურისა რა მოგახსენო.

ს ო კ რ ა ტ ე. როგორ?

ნ ი კ ი ა. როგორ და ისე, რომ მას ჰგონია, თითქოს ექიმებმა უფრო მეტი იციან ავადმყოფებთან დაკავშირებით, ვიდრე საჭიროა მათი ჯანმრთელობისა თუ სნეულების განსასხვავებლად. მაგრამ მათი ცოდნა მხოლოდ ამით შემოიფარგლება. ან, იქნებ, შენის აზრით, ექიმებმა იციან, ლახეს, რომ ზოგიერთი ჯანმრთელობას უფრო უფრთხის, ვიდრე ავადმყოფობას? ნუთუ არ იცი, ზოგიერთი მოურჩენლობას რომ არჩევს მორჩენას და მობჯობინებაა? ისიც მითხარი, როგორ გგონია, ყველას სიცოცხლე ურჩევნია თუ ბევრი მათგანი ამჯობინებს სიკვდილს?

ლ ა ხ ე ს ი. მე მგონია, ბევრი მათგანი ამ უკანასკნელს ამჯობინებს.

ნ ი კ ი ა. მერედა, შენის აზრით, მათთვის, ვინც უმჯობესად მიიჩნევს სიკვდილს, იგივე რამაა საშიში, რაც იმათთვის, ვინც სიცოცხლეს არჩევს?

ლ ა ხ ე ს ი. რა თქმა უნდა, არა.

ნ ი კ ი ა. კი მაგრამ, ვის მიაწერ ამ განსხვავების ცოდნას: ექიმებს და სხვა ხელობის ხალხს თუ მხოლოდ იმას, ვინც იცის, რა არის და რა არ არის საშიში, და ვისაც მე მამაცს ვუწოდებ?

ს ო კ რ ა ტ ე. თუ გესმის, რას გვეკითხება, ლახეს?

ლ ა ხ ე ს ი. დიახ, მესმის, რომ მხოლოდ წინასწარმეტყველნი ... სიცოცხლე სჯობს თუ სიკვდილი? კი მაგრამ, ნიკია, შენ თვითონ რად მიგაჩნია თავი: მისნად? თუ არც მისნად და არც მამაცად?

ნ ი კ ი ა. როგორ? ნუთუ მისანს მიაწერ იმის ცოდნას, თუ რა არის საშიში და რა არა?

ლ ა ხ ე ს ი. რა თქმა უნდა? მაშ ვის?

ნ ი კ ი ა. უმალ იმას, ვისაც მე ვგულისხმობ, ჩემო ძვირფასო; ვინაიდან მისანს მხოლოდ მომავლის ნიშანთა ცოდნა მართებს: ვის უწერია სიკვდილი, ავადმყოფობა, ავლადიდების დაკარგვა, გამარჯვება ან დამარცხება ბრძოლის ველზე თუ ცხოვრების ასპარეზზე? მაგრამ ვისთვისაა უმჯობესი და ვისთვის არა ყოველივე ეს, ვითომ მისანმა რატომ უნდა იცოდეს სხვაზე უკეთ?

ლ ა ხ ე ს ი. ვერ გამიგია, რისი თქმა სურს, სოკრატე? თუკი, მისი აზრით, არც მისანი, არც ექიმი და არც სხვა ვინმე არ იმსახურებს მამაცის სახელს, ვინღა გვრჩება, რომელიღაც ღვთაების გარდა? მე მგონია, ნიკიას არ სურს დიდსულოვნად აღიაროს, რომ თვითონაც არ იცის, რას მიედ-მოედება, არამედ უთავბოლოდ წრიალებს და აქეთ-იქით აწყდება, რათა თავისი გაჭირვება დამალოს. ასე ხომ ჩვენც შეგვეძლო გვეწრიალა წელან, თუკი მიზნად დავისახავდით იმის მიჩქმალვას, რომ ჩვენსავე თავს ვეწინააღმდეგებით? ამნაირ საქციელს, იქნებ, თავისი გამართლებაც ჰქონოდა, სასამართლოში რომ ვყოფილიყავით, მაგრამ აქ, ამ საუბარში რა აზრი აქვს იმას, რომ არაფრისმთქმელი სიტყვებით მოვიწონოთ თავი?

ს ო კ რ ა ტ ე. მე მგონია, არავითარი, ლახეს; მაგრამ ვნახოთ, იქნებ, ნიკია რაღაც ჭკვიანურს ამბობს და მარტოოდენ ლიტონი სიტყვით როდი იწონებს თავს. ვთხოვოთ, იქნებ უფრო გარკვევით გვითხრას, რას გულისხმობს, და თუ ჭკვიანურს ამბობს რასმე, დავეთანხმოთ, თუ არა და, ჭკუა დავარიგოთ.

ლ ა ხ ე ს ი. თუ გინდა, თვითონ სთხოვე, სოკრატე; მე კი მეტის თავი აღარა მაქვს.

ს ო კ რ ა ტ ე. ეგრეც ვიზამ; ორივეს სახელით ვთხოვ.

ლ ა ხ ე ს ი. კეთილი.

ს ო კ რ ა ტ ე. მითხარი, ნიკია, ან, უკეთ, გვითხარი, რაკილა ლახესის სახელითაც ვლაპარაკობ: მაშ, შენ ამტკიცებ, რომ სიმამაცე იმის ცოდნაა, თუ რა არის საშიში და რა არა?

ნ ი კ ი ა. დიახ.

ს ო კ რ ა ტ ე. და რომ ეს ცოდნა ყველასთვის როდია ხელმისაწვდომი, რაკილა არც ექიმს და არც მისანს არა აქვთ ამისი თავი, და მაშასადამე, არც მამაცებად ჩაითვლებიან, ვიდრე არ დაეუფლებიან მას? ამას ამბობდი?

ნ ი კ ი ა. სწორედ მაგას.

ს ო კ რ ა ტ ე. ასე რომ, ანდაზისა არ იყოს, ყველა ღორს როდი შეუძლია შეიცნოს ეს[24] და, ამრიგად, მამაცი გახდეს.

ნ ი კ ი ა. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. აშკარაა, ნიკია, რომ თვით კრომიონული ღორიც[25] კი არ მიგაჩნია მამაცად. ამას ხუმრობით როდი გეუბნები, არამედ იმ მოსაზრებით, რომ თუკი შენს თვალსაზრისს გავიზიარებთ, ვფიქრობ, ვერც ერთ ცხოველს ვერასდიდებით ვერ მივაწერთ სიმამაცეს, ან არა და, უნდა დავუშვათ, რომ ზოგიერთ ცხოველს, როგორც მაგალითად, ლომს, ჯიქს თუ ტახს შეუძლია იმისი ცოდნა, რაზედაც ხელი არ მიუწვდება კაცთა უმრავლესობას. ხოლო თუ სიმამაცე ისაა, რასაც შენ ამბობ, მაშინ ძალაუნებურად უნდა ვაღიაროთ, რომ ლომი და ირემი, ხარი და მაიმუნი სავსებით თანასწორნი ყოფილან სიმამაცის მხრივ.

ლ ა ხ ე ს ი. ღმერთმანი, მართალს ამბობ, სოკრატე. მაშ, გულწრფელად გვითხარი, ნიკია: ნუთუ მართლა ფიქრობ, რომ ცხოველებმა, რომლებსაც ყველა მამაცად თვლის, ჩვენზე მეტი იციან? ან ,იქნებ, ყველას უპირისპირდები და მამაცებად არა თვლი მათ?

ნ ი კ ი ა. მე მხოლოდ იმას გეტყვი, ლახეს, რომ მამაცად არ ვთვლი არც მხეცს და არც სხვა არსს, რომელსაც, თავისი უმეცრების გამო, არ ეშინია იმისი, რაც საშიშია; არა, მამაცად კი არა ვთვლი, არამედ უშიშრად და უგუნურად. ნუთუ მართლა გგონია, რომ მე მამაცებად მივიჩნევ ბავშვებს, რომლებსაც, თავიანთი უმეცრებით, არაფრისა არ ეშინიათ? სიმამაცე და უშიშრობა, ჩემის აზრით, სულ სხვადასხვა თვისებაა. მე ვფიქრობ, რომ სიმამაცე და წინდახედულება ნიშნეულია მხოლოდ მცირერიცხოვან რჩეულთათვის, მაშინ როდესაც წინდაუხედაობით განპირობებული გამბედაობა, შეუპოვრობა და გულუშიშობა ურიცხვ არსებას — კაცსაც და ქალსაც, ბავშვსაც და ცხოველსაც ახასიათებს. ამრიგად, ისინი, ვისაც შენც და შენისთანების უმრავლესობაც მამაცებად თვლით, ჩემის აზრით, მხოლოდ გამბედავები არიან; სიმამაცე კი მხოლოდ გონიერთა თვისებაა, და მეც სწორედ მათ ვგულისხმობ.

ლ ა ხ ე ს ი. ხომ ხედავ, სოკრატე, როგორ იწონებს თავს, როგორ ირთვება და იკაზმება თავისი სიტყვით; ისინი კი, ვისაც ყველა მამაცად თვლის, ცდილობს პირწმინდად განძარცვოს ამ ღირსებისგან.

ნ ი კ ი ა. არაფერსაც არ ვცდილობ, ნუ შფოთავ, ლახეს, ვინაიდან მცოდნედ და, მაშასადამე, მამაცადაც მიმაჩნიხარ, ისევე როგორც ლამახე[26] და ბევრი სხვა ათენელიც.

ლ ა ხ ე ს ი. არაფერს გეტყვი, თუმცა ბევრი რამ მაქვს სათქმელი,[27] თორემ შენ, ალბათ, იტყვი, რომ ნამდვილი აიქსონელი ვარ.[28]

ს ო კ რ ა ტ ე. ნურც იტყვი, ლახეს: როგორც ჩანს, ვერ ატყობ, რომ ეს სიბრძნე ჩვენი მეგობრის—დამონისგან აქვს ნასესხები; დამონი კი ძალზე დაახლოებულია პროდიკოსთან[29], რომელსაც სოფისტებს შორის ბადალი არ მოეძებნება სიტყვების აზრის ძიებაში.

ლ ა ხ ე ს ი. სიტყვების ამნაირი რახა-რუხი დიახაც შეჰფერის სოფისტს, მაგრამ არა იმ კაცს, სოკრატე, ვისაც სახელმწიფომ თავისი ბელადობა ანდო.

ს ო კ რ ა ტ ე. მაგრამ ყველაზე დიდი საქმის სათავეში მდგომ კაცს, ჩემო ნეტარო, ყველაზე დიდი სიბრძნეც შეჰფერის და მე მგონია, ნიკია დიახაც იმსახურებს იმას, რომ ყურადღებით განვიხილოთ, თუ რა მნიშვნელობით ხმარობს ის სიტყვას „სიმამაცე“.

ლ ა ხ ე ს ი. შენვე ადექი და განიხილე, სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. სწორედ ამას ვაპირებ, ჩემო ძვირფასო, მაგრამ ნუ გექნება იმის იმედი, რომ საუბარში მონაწილეობას თავს აარიდებ; ყურადღებით იყავი და ჩვენთან ერთად განიხილე ის, რასაც ვიტყვით.

ლ ა ხ ე ს ი. რახან საჭიროდ მიგაჩნია, ეგრე იყოს.

ს ო კ რ ა ტ ე. დიახ, მიმაჩნია შენ კი, ნიკია, თავიდან დაიწყე: თუ გახსოვს, ჩვენი საუბრის დასაწყისში, სიმამაცის განხილვისას, სიქველის ნაწილად მივიჩნიეთ იგი.

ნ ი კ ი ა. რასაკვირველია, მახსოვს.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე შენი პასუხიც მხოლოდ ერთ ნაწილს ეხება, თუმცა არის ბევრი სხვა ნაწილიც, და ყველას ერთად სიქველე ჰქვია.

ნ ი კ ი ა. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშინ საკითხავია შენც იმავე ნაწილებს გულისხმობ თუ არა, რასაც მე? კერძოდ, გარდა სიმამაცისა, მე სიქველედ ვთვლი აგრეთვე კეთილგონიერებას, სამართლიანობას და სხვა მისთანათ; მეთანხმები?

ნ ი კ ი ა. სავსებით.

ს ო კ რ ა ტ ე. კეთილი და პატიოსანი; ამაზე უკვე შევთანხმდით. ახლა კი განვიხილოთ საშიში და არასაშიში, რათა შენ ერთს არ ფიქრობდე, ჩვენ კი მეორეს. ჩვენს აზრს ახლავე მოგახსენებთ და, თუ არ დაგვეთანხმები, შეგვისწორე. მაშ, ასე, ჩვენ საშიშად ვთვლით იმას, რაც შიშს გვინერგავს. არასაშიშად კი იმას, რაც შიშს არ იწვევს. ხოლო შიშს წარსული ან ახლანდელი მოვლენები კი არ იწვევს,არამედ მოსალოდნელი. ასე რომ, შიში სხვა არა არის რა, თუ არა მომავალი უბედურების მოლოდინი. შენც ასევე გგონია, ლახეს?

ლ ა ხ ე ს ი. დიახ, სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. ამრიგად, ნიკია, შენ უკვე მოისმინე ჩვენი აზრი, რომლის თანახმადაც, საშიშია მოსალოდნელი უბედურება, ხოლო არასაშიში — ის, რაც უბედურებას კი არ გვიქადის, არამედ სიკეთეს. გვეთანხმები თუ სხვაგვარად ფიქრობ?

ნ ი კ ი ა. გეთანხმებით.

ს ო კ რ ა ტ ე. და სწორედ ამის ცოდნას უწოდებ სიმამაცეს?

ნ ი კ ი ა. სწორედ მაგისას.

ს ო კ რ ა ტ ე. განსახილველი დაგვრჩა მესამე თვალსაზრისი; ვნახოთ, ამაზეც შევთანხმდებით თუ ვერა.

ნ ი კ ი ა. მაინც რომელი?

ს ო კ რ ა ტ ე. მოგახსენებ: ჩემი და ლახესის აზრით, რაიმეს ცოდნა არც მარტოოდენ წარსულის ცოდნაა, არც აწმყოსი და არც მომავლისა, ანუ იმის მიხედვით კი არ განირჩევა, თუ რა მოხდა, რა ხდება, ან რა მოხდება, არამედ ერთი და იგივეა მუდამ. ასე მაგალითად, ჯანმრთელობას სხვადასხვა კი არა, ერთადერთი და ერთი და იგივე მეცნიერება — საექიმო მეცნიერება აკვირდება ყოველთვის — აწმყოშიც, წარსულშიც და მომავალშიც; ისევე როგორც მოსავალს — სამიწათმოქმედო მეცნიერება. ხოლო რაც შეეხება სამხედრო საქმეს, ორივეს მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ მხედართმთავრის ხელოვნება ყველაფერს ითვალისწინებს, მით უმეტეს, მომავალს, ასე რომ მისნის ხელოვნებით კი არ ხელმძღვანელობს პირიქით, თვითონ წარმართავს მას. განა კანონიც ტყუილად ბრძანებს, რომ მისანი უნდა ემორჩილებოდეს მხედართმთავარს და არა პირიქით, მხედართმთავარი — მისანს?[30] რას იტყვი, სწორად ვმსჯელობთ, ლახეს?

ლ ა ხ ე ს ი. სწორად.

ს ო კ რ ა ტ ე. შენ კი, ნიკია, გვეთანხმები თუ არა, რომ ერთი და იმავე საგანთა ცოდნაც ერთი და იგივეა და ერთნაირად ვრცელდება ამ საგანთა აწმყოზეც, წარსულზეც და მომავალზედაც?

ნ ი კ ი ა. დიახ, გეთანხმები, რადგან მეც ასევე ვფიქრობ, სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. ხოლო სიმამაცე, შენი მტკიცებით, იმის ცოდნაა, თუ რა არის საშიში და რა არა? ან, იქნებ, არ ამტკიცებ ამას?

ნ ი კ ი ა. არა, ვამტკიცებ.

ს ო კ რ ა ტ ე. ჩვენ კი შევთანხმდით, რომ საშიშია მოსალოდნელი უბედურება, არასაშიში კი ის, რაც უბედურებას არ გვიქადის, ანუ სიკეთე.

ნ ი კ ი ა. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. და რომ ერთი და იმავე საგანთა ცოდნაც ერთი და იგივეა როგორც მომავლის, ისე ყველა სხვა დროის მიხედვითაც.

ნ ი კ ი ა. დიახ, ეგრეა.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, სიმამაცე არ არის მარტოოდენ იმისი ცოდნა, თუ რა არის

საშიში და რა არა, ვინაიდან, ყველა სხვა ცოდნის მსგავსად, მხოლოდ მოსალოდნელ უბედურებასა თუ სიკეთეს კი არ უნდა იცნობდეს, არამედ აწინდელსაც და წარსულსაც.

ნიკია. როგორც ჩანს.

სოკრატე. შენ კი სიმამაცის მხოლოდ ერთ მესამედზე გაგვეცი პასუხი, მაშინ როდესაც ჩვენ გთხოვდით მთლიანად განგემარტა იგი, ხოლო ამჟამად, შენივე სიტყვებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ სიმამაცე მარტო იმის ცოდნა კი არ ყოფილა, თუ რა არის საშიში და რა არა, არამედ აგრეთვე მთელი იმ სიკეთისა თუ უბედურებისაც, რომლებმაც შეიძლება ყოველ დროს იჩინონ თავი. რას იტყვი, ნიკია, საჭიროა თუ არა, რომ შევუცვალოთ შენი განმარტება?

ნიკია. მე მგონია, საჭიროა, სოკრატე.

სოკრატე. კი მაგრამ, რას იტყვი, ღვთაებრივო, განა კაცი შორს იქნებოდა ზოგადი სიქველისაგან, ზედმიწევნით რომ იცნობდეს მთელ სიკეთეს, მის მთლიანობასა და ერთობლიობას აწმყოშიც, წარსულშიც და მომავალშიაც, ასევე როგორც მთელს ბოროტებას თუ უბედურებას? იქნებ გგონია, რომ ამ კაცს ან სიბრძნე აკლდებოდა, ან კეთილგონიერება, ანდა სიწმინდე საიმისოდ, რომ კუთვნილი მიეგო არა მარტო ღმერთებისათვის, არამედ ადამიანებისთვისაც, წინასწარ გამოეცნო, რა არის საშიში და რა არა, და, ამრიგად, სასიკეთოდ წარემართა თავისი საქმე?

ნიკია. მგონი, მართალს ამბობ, სოკრატე.

სოკრატე. ხოლო ის, რაზედაც ახლა ვნსჯელობთ, ნიკია, სიქველის ნაწილი კი არ არის, არამედ — მთელი სიქველე.

ნიკია. ეგრე ჩანს.

სოკრატე. კი მაგრამ, ჩვენ ხომ ვთქვით, რომ სიმამაცე სიქველის ნაწილია მხოლოდ?

ნიკია. დიახ, ვთქვით.

სოკრატე. მაგრამ ის, რაზედაც ახლა ვმსჯელობთ, რომ არა ჰგავს ნაწილს?

ნიკია. მართლაც არა ჰგავს.

სოკრატე. ეს კი იმას ნიშნავს, ნიკია, რომ ჩვენ ვერ მივაკვლიეთ სიმამაცის ნამდვილ ბუნებას.

ნიკია. როგორც ჩანს.

ლახესი. მე კი მეგონა, ჩემო ძვირფასო ნიკია, რომ შენ მაინც მიაკვლევდი მას, ისეთი დამცინავი სახე გქონდა, როცა ისმენდი ჩემს პასუხებს სოკრატესადმი. მართლაც დიდი იმედი მქონდა, რომ დამონის სიბრძნის წყალობით მაინც მიაღწევდი მიზანს.

ნიკია. ყოჩაღ, ლახეს; როგორ არაფრად აგდებ იმას, რომ ცოტა ხნის წინათ, სიმამაცესთან დაკავშირებით, თვითონაც სრული უმეცრება გამოამჟღავნე და ახლა მხოლოდ იმასღა უცდი, რომ მეორე უვიცი მე აღმოვჩნდე. კი მაგრამ შენ რა, თუკი, ჩემი არ იყოს, თვითონაც არ იცი ის, რაც უნდა ვიცოდეთ და რისი ცოდნაც მართებს ყველა თავმოყვარე კაცს? თუმცა, ჩემის აზრით, ზუსტად ისე იქცევი, როგორც, საერთოდ, იქცევა კაცი: სხვის ნაკლს ხედავს და შენსას კი ვერამჩნევ.[31] რაც შეეხება მე, ვფიქრობ, საკმარისად ვილაპარაკე ამ საკითხზე, და თუ ყველაფერს ვერ გავართვი თავი, იმედი მაქვს შემდეგში დამონისა და სხვების დახმარებით გამოვასწორო საქმე; დიახ, სწორედ იმ დამონის დახმარებით, რომელსაც რატომღაც საცინად იგდებ, თუმცა თვალითაც არასოდეს გინახავს. და როცა ყველაფერს დანამდვილებით გავიგებ, უშურველად გაგიზიარებ ჩემს ცოდნას, ვინაიდან, როგორც გატყობ, ძალზე ბევრი რამ გაქვს სასწავლი.

ლახესი. ნამდვილი ბრძენი ხარ, ნიკია; მაგრამ მე ვურჩევ ამ ჩვენს ლისიმაქეს და მელესიას, თუკი თავიანთი შვილების აღზრდა სურთ, მე და შენ დაგვემშვიდობონ, სოკრატე კი დაიტოვონ. ჩემი შვილები რომ ამ ხნისანი იყვნენ, მეც ასევე მოვიქცეოდი.

ნიკია. აი, ამაში კი გეთანხმები: თუ სოკრატე ამ ჭაბუკების აღზრდას მოჰკიდებს ხელს, სხვისი ძებნა აღარ იქნება საჭირო. სწორედ დავთანხმდებ და მეც სიამოვნებით მივაბარებდი ჩემს ნიკერატეს.[32] მაგრამ საკმარისია ამაზე ჩამოვაგდო სიტყვა და იმ წამსვე სხვებს შემომთავაზებს, თვითონ კი რატომღაც უარს მეუბნება. მაგრამ სცადე, ლისიმაქე, იქნებ შენ მაინც დაგეთანხმოს.

ლისიმაქე. სამართლიანი გარიგებაც იქნებოდა, ნიკია, ვინაიდან მეც, ჩემის მხრივ, მზადა ვარ ისეთი რამ მოვიმოქმედო ამ კაცის გულისთვის, რასაც ნამდვილად ბევრი ვერ ეღირსებოდა. რას იტყვი, სოკრატე? იქნებ დათანხმდე ჩვენს თხოვნას და დაგვეხმარო იმაში, რომ ეს ჩვენი შვილები რაც შეიძლება უკეთესნი გახდნენ?

ს ო კ რ ა ტ ე. დანაშაული იქნებოდა, ლისიმაქე, არ დავთანხმებოდი მის თხოვნას, ვისაც სურს უფრო უკეთესი გახდეს. ამ ჩვენს საუბარს რომ ჩემი ცოდნა და ამათი უცოდინარობა გამოეჩინა, სამართლიანი იქნებოდა სწორედ მე მოეწვიეთ თქვენი შვილების აღმზრდელად. ახლა კი ვისზე შევაჩერებთ არჩევანს? ვერავიზე, რადგანაც ყველანი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ყოველ შემთხვევაში, მე ა[illegible] რაკი ასეა, ჯნახოთ, იქნებ რჩევით მაინც დაგეხმაროთ. ჩვენში დარჩეს და [illegible]ეტყვით, ხალხო? საუკეთესოს გვმართებს ერთად ვეძებოთ რაც შეიძლება უკეთესი მასწავლებელი, ჯერ ჩვენთვის და მერე ჩვენი შვილებისთვისაც, და არც ფული და არც სხვა რამე არ დავიშუროთ ამ საქმისათვის. რადგან იმ დღეში დარჩენას, რაშიც ახლა ვართ, არავის ვურჩევ, ხოლო თუ ვინმე მასხრად აგვიგდებს, თქვენს ასაკში რაღა დროს სწავლააო, ჰომეროსის სიტყვებითვე ვიმართლებთ თავს. „გაჭირვებულ კაცს თხოვნის არ უნდა რცხვენოდესო"[33] მაშ, ყურადღებას ნუ მივაქცევთ ნურავის აზრს და ერთად ვიზრუნოთ როგორც ჩვენზე, ისე ამ ჭაბუკებზედაც.

ლ ი ს ი მ ა ქ ე. მომწონს ეგ შენი სიტყვები, სოკრატე, და რაც უფრო ხნიერი ვარ თქვენზე, მით უფრო მეტად მსურს ამ ყმაწვილკაცებთან ერთად ვისწავლო. ჰოდა, აი რას გთხოვ: ხვალ დილით აუცილებლად გვეწვიე, რათა ამ საქმეზე მოვილაპარაკოთ. ახლა კი დავემშვიდობოთ ერთმანეთს.

ს ო კ რ ა ტ ე. ასედაც ვიზამ, ლისიმაქე; ხვალვე გეახლებით, თუ ღმერთმა ინება.

მცირე ჰიპია

წინათქმა

„ე ვ დ ი კ ე. კი მაგრამ, შენ რაღას დუმხარ, სოკრატე, მას შემდეგ, რაც ჰიპიამ ამდენი ილაპარაკა? რატომ სხვებივით არ აქებ, ანდა, თუ რაიმე არ მოგეწონა, რად არ აბათილებ მის ნათქვამს? მით უმეტეს, რომ კერცერთ ჩვენგანს, ვინც აქ დავრჩით, ვერავინ შეედრება ფილოსოფიური საუბრების სიყვარულში". ამ სიტყვებით იწყება პლატონის „მცირე ჰიპია", რომელშიაც სამად-სამი მოქმედი პირი მონაწილეობს: სოკრატე, ათენში სტუმრად მყოფი ელიდელი სოფისტი ჰიპია და ათენელი მოქალაქე ევდიკე, აპემანტეს ძე, ვისი როლიც მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო რეპლიკით ამოიწურება. შემდეგ ირკვევა, რომ ჰიპიას საუბრის თემა ჰომეროსის პოემები, კერძოდ, მისი გმირების შედარებითი დახასიათება ყოფილა. ჩვენ ვერსად შევხვდებით დიალოგში იმ კითხვის პასუხს, თუ სად და როდის უნდა გამართულიყო ეს საუბარი, ვინაიდან პლატონის შემოქმედებაში იშვიათად თუ მოიძებნება უფრო ძუნწი ფაქტობრივი მონაცემების მქონე მეორე ნაწარმოები: არავითარი თარიღი, არავითარი, თუნდაც ნართაული, მინიშნება რომელიმე ისტორიულ ფაქტსა ან მოვლენაზე. ამიტომ ჩვენთვის სრულიად შეუძლებელი იქნებოდა მასში აღწერილი დროის დადგენა ხელთ რომ არ გვქონდეს პლატონის მეორე დიალოგი „დიდი ჰიპია", სადაც სოფისტი ეუბნება სოკრატეს: „მართლაცდა, სოკრატე, [illegible] ზედას, ლაკედემონში არნახულ წარმატებას მივაღწიე ამას წინათ, როცა [illegible] ზოგიერთი მშვენიერი საქმიანობის შესახებ, რომლებშიაც თავს უნდა [illegible] ახალგაზრდობა. ამ საკითხთან დაკავშირებით მშვენიერი სიტყვაც შევთხზე, რომელიც, ბევრ სხვა ღირსებასთან ერთად, გამოთქმების განსაკუთრებული სინატიფითაც გამოირჩევა. აი, როგორ იწყება ჩემი სიტყვა: „ტროას აღების შემდეგ, — ნათქვამია მასში, — ნეოპტოლემოსმა ჰკითხა ნესტორს: რა საქმეს უნდა მოჰკიდოს ხელი ჭაბუკმა, რომელსაც სახელის მოხვეჭა სურსო?" ამის შემდეგ ლაპარაკობს ნესტორი და ბევრ საყურადღებო და სასარგებლო რჩევას აძლევს მას. ეს სიტყვა ლაკედემონელებს წავუკითხე, ხოლო ზეგ, ევდიკეს, აპემანტეს ძის თხოვნით ვაპირებთ აქაც[1] — ფიდოსტრატეს სკოლაში — წავიკითხო, ბევრ სხვა საინტერესო სიტყვასთან ერთად. შენ, რა თქმა უნდა,

[1] ე. ი. ათენში (ბ. ბ.).

ნახვალ და, იქნება, ახვებსაც მოიყვან, რომლებიც შეძლებენ ჩემი სიტყვის მოსმენის შემდეგ სათანადოდ შეაფასონ მისი ღირსება".[2]

მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „მცირე ჰიპიას" მოქმედებასა და „დიდ ჰიპიაში" სოკრატესა და ჰიპიას საუბარს შორის მხოლოდ ორი დღეა გასული.[3] როგორც ჩანს, ჰიპიამ შეასრულა დანაპირები: ჰომეროსის პოემების ირგვლივ ტრიალი სიტყვა წარმოსთქვა მრავალრიცხოვან მსმენელთა წინაშე[4], რომელთა შორისაც იყვნენ სოკრატე და ევდიკე. ამ უკანასკნელის შესახებ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ათენში სწორედ ის მასპინძლობდა ჰიპიას. ყველა არ იყოს, პელოპონესის ომის დროს ატიკის დედაქალაქში ცხოვრობდა თავისი კაცთმოძულეობით ცნობილი ორი მოქალაქე — ტიმონი და აპემანტე.[5] ისინი დაახლოებით სოკრატეს ხნისანი იყვნენ, და კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ სწორედ ეს აპემანტე იყო ევდიკეს მამა[6]; თუმცა აქვე უნდა დავსძინოთ, რომ არავითარი საბუთი არ გაგვაჩნია ამ პირწმინდად ჰიპოთეტური მოსაზრების დასამტკიცებლად.

რაც შეეხება სოკრატეს მეორე თანამოსაუბრეს ჰიპიას, ევდიკესაგან განსხვავებით, ის საკმაოდ თვალსაჩინო ფიგურაა V ს. (ძვ. წ. ა.) საბერძნეთის კულტურულ ცხოვრებაში. დაიბადა დაახლ. 460 წ. ელიდაში.[7] დიდი პოპულარობით სარგებლობდა, როგორც მრავალმხრივ განსწავლული პიროვნება: ბუნებისმეტყველება, გეომეტრია, ასტრონომია, პოეზია, მჭევრმეტყველება, ლოგიკა, მუსიკა, გრამატიკა და ა. შ. და ა. შ. — აი, არასრული სია მეცნიერებისა და ხელოვნების იმ დარგებისა, რომელთა ცოდნითაც უსაზღვროდ ამაყობდა სოფისტური ფილოსოფიის ეს ერთ-ერთი ფუძემდებელი. მაგრამ, როგორც ჩანს, ელიდელი სოფისტის ცოდნა არ გასცილებია სასკოლო დილეტანტიზმის ფარგლებს. მით უფრო გროტესკულ ელფერს იძენდა ჰიპიას გაუთავებელი კვეხნა, ბაქიბუქი, თვითრწმენა, „ყოვლისმცოდნეობით" თავმოწონება, რასაც ერთხმად აღნიშნავენ მისი თანამედროვენი — პლატონი, ქსენოფონტე და სხვ. სწორედ ჰიპიაზე იყო ზედგამოჭრილი ჰერაკლიტე ეფესელის სიტყვები: „ბევრი ცოდნა ჭკუას ვერ ასწავლის კაცსო".[8] მაგრამ მთელი ამ დილეტანტურობის მიუხედავად, ერთის მხრივ მაინც ვერავინ შეიტანდა ეჭვს მის პროფესიონალიზმში: ეს გახლდათ ჰიპიას განსაცვიფრებელი პრაქტიციზმი, იმდენად განსაცვიფრებელი, რომ არა მარტო სხვებს, თქვენ წარმოიდგინეთ, ხშირად თვითონაც კი უკვირდა თავისი უჩვეულო ნიჭი. ბევრს მოგზაურობდა ელადის სხვადასხვა ქალაქში, განსაკუთრებით ხშირად ჩადიოდა ათენში, სადაც მის გარშემო თავს იყრიდა ცოდნას მოწყურებული, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ყოველგვარ სენსაციურ სიახლეს დახარბებული ახალგაზრდობა. და სადაც რიტორიკული სიტყვებით საჯარო გამოსვლებსა თუ კერძო გაკვეთილებში იმდენ ფულს იღებდა, რომ, როგორც სოკრატე ამბობდა სოფისტებზე „პირდაპირ კეთდებოდა კაცი".[9]

ვინ იყვნენ სოფისტები, მეწვრილმანეებივით რომ დაეხეტებოდნენ ქალაქიდან ქალაქში და სავაჭრო საქონელივით ჰყიდიდნენ თავიანთ ცოდნას? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დაგვეხმარება უკეთ გავიგოთ არა მარტო „მცირე ჰიპია" თუ „დიდი ჰიპია", არამედ „პროტაგორაც", „გორგიაც", „სოფისტიც" და პლატონის ბევრი სხვა დიალოგიც, რომელთა იდეური ტენდენცია და შინაგანი პათოსი ხშირ შემთხვევაში, აშკარა თუ ფარულ

[2] „დიდი ჰიპია", 286 ბ-ც.

[3] საკუთრივ „დიდი ჰიპიას" მოქმედების დროს პლატონის ამ დიალოგის ანალიზისას შევიტყობთ. მაგრამ აქვე მინდა წინასწარ გავაფრთხილო მკითხველი: რაკი „დიდი ჰიპიას" მოქმედება „მცირე ჰიპიას" მოქმედებაზე ადრე ხდება, ნუ ვიფიქრებთ, თითქოს პირველი დიალოგი მეორეზე ადრე იყოს შექმნილი. არა, „დიდი ჰიპია" გაცილებით უფრო გვიანდელია. მისი წერისას პლატონმა, როგორც ჩანს, მხოლოდ გაიხსენა თავისი ადრინდელი ნაწარმოები და ჰიპიას ზემოთ ციტირებული რეპლიკით ოსტატურად დაუკავშირა ერთმანეთს ორივე დიალოგი.

[4] ზემოხსენებული ათენელი გრამატიკოსის ფიდოსტრატეს სკოლაში.

[5] პლუტარქე, „ანტონიუსი", LXX; დიოგენე ლაერტელი, I, 107.

[6] როგორც „დიდ" ისე „მცირე ჰიპიაშიც" ევდიკე აპემანტეს ძედ იხსენიება.

[7] იხ. კომენტ. 3.

[8] დილსი, B 40; შდრ. დემოკრიტე: „რამდენ მრავალისმცოდნეს არა აქვს ჭკუა" (დილსი B 65).

[9] „დიდი ჰიპია", 282C.

ლი სახით, სწორედ სოფისტების წინააღმდეგაა მიმართული (მართებულად შენიშნავს დიოგენე ლაერტელი: სოკრატეს პირით პლატონი თავის საკუთარ დოგმებს გადმოგვცემს ხოლო მისთვის სრულიად მიუღებელი ყალბი მოსაზრებებისა თუ მცდარი შეხედულებების ავტორებად თავის დიალოგში სოფისტები — თრასიმაქე, პოლოსი, გორგია, პროტაგორა, ჰიპია, ევთიდემე და სხვები გამოჰყავსო[10])... სოფისტები, ათენელები არ ყოფილან.[11] ეს უცხოელი ბრძენები პირველად დაახლოებით 440-430 წწ. გამოჩნდნენ ათენში, სადაც ახალგაზრდობის აღმზრდელებად და სიბრძნისა თუ ხელოვნების მასწავლებლებად ასაღებდნენ თავს. და სადაც მათ საკმაოდ მომზადებული ნიადაგი დახვათ სამოღვაწეოდ: პერიკლეს ეპოქის განმანათლებლურმა სულისკვეთებამ, მეცნიერებისა და ხელოვნების მანამდე არნახულმა განვითარებამ, კულტურის მოღვაწეთა საყოველთაო აღიარებამ, მათ მიერ მოხვეჭილმა სახელმა და დიდებამ მოსახლეობის ფართო ფენებში პატივმოყვარული მისწრაფებების პარალელურად აღძრა სწავლა-განათლების უჩვეულოდ მძაფრი სურვილი ,და ამ სურვილს თავისი მეურვეებიც გამოუჩნდნენ სოფისტების სახით, რომლებმაც იტვირთეს საპატიო მისია, — ხალხში დაენერგათ მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა მნიშვნელოვანი მონაპოვარი.

ის უჩვეულო წარმატება, რასაც მათ მიაღწიეს ამ მიმართულებით, აიხსნება, ერთის მხრივ, როგორც უკვე ითქვა, განათლების საყოველთაო მოთხოვნილებით, ხოლო მეორეს მხრივ, თვით სოფისტების უნარით — დაეკმაყოფილებინათ ეს მოთხოვნილება, მათი საქმოსნური პრაქტიციზმით, რასაც პირადი გამორჩენის წყურვილი და ანგარება ედო საფუძვლად. არ შეიძლება მათი მოღვაწეობის პოზიტიური მომენტის იგნორირება (ეს მომენტი ჯერ კიდევ ჰეგელმა წამოსწია წინ, თუმცა შემდეგ ფილოსოფიის ზოგიერთმა ისტორიკოსმა გადაჭარბებული მნიშვნელობა მიანიჭა მას): თავიანთ მრავალრიცხოვან მოწაფეებს სოფისტები უნერგავდნენ აზროვნებისა და მეტყველების კულტურას, აზიარებდნენ ჭკვენამეტყველების ხელოვნებას და სახელმწიფოს პოლიტიკურსა თუ კულტურულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის სულისკვეთებით ზრდიდნენ მათ. გადამწყვეტ მნიშვნელობას რომ ანიჭებდნენ ფორმის პრიმატს, ისინი თანმიმდევრულად ავითარებდნენ ენათმეცნიერებას, გრამატიკას, რიტორიკას. ფილოლოგიას (ამ სიტყვის უზოგადესი გაგებით), ფსიქოლოგიას, ფორმალურ ლოგიკას და, ამრიგად, აბსტრაქტული აზროვნების უაღრესად მოქნილ და დახვეწილ ინსტრუმენტად აქცევდნენ ენას. მაგრამ, მეორეს მხრივ, პირწმინდად პრაქტიკულ-პოლიტიკურმა მიზნებმა მეტაფიზიკის პრობლემებს ჩამოაშორეს სოფისტების ყურადღება, რომლის ცენტრშიც კოსმოსისაგან იზოლირებული ადამიანის სულიერი სამყარო, მისი აზროვნების კანონები და ეთიკური ქცევის ნორმები მოექცა.

მართებულად რომ დასვეს შესამეცნებელი ობიექტისა და შემმეცნებელი სუბიექტის განსხვავების პრობლემა, სოფისტებმა თავიანთი რადიკალური ინდივიდუალიზმისა და შემეცნების სენსუალისტურ თეორიაზე დაფუძნებული გნოსეოლოგიური სკეპტიციზმის გამო, ვერ შეძლეს მისი ასევე მართებულად გადაწყვეტა. კერძო კაცმა მათ თვალში დაჩრდილა კაცობრიობა, კაცის გონებამ — ზოგადკაცობრიული, ყველა კაცისათვის საერთო გონი. გორგია და პროტაგორა, ყველაზე დიდი სოფისტები, შეუძლებლად თვლიდნენ უნივერსალური მნიშვნელობის მქონე ცოდნას, გორგია — ელეელების, პროტაგორა კი ჰერაკლიტეს მოძღვრებაზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ არსი შეუცნობელია, ხოლო თუ გარკვეული თვალსაზრისით მაინც შეიძლება მისი შეცნობა, ყოველ შემთხვევაში, აბსოლუტურად შეუძლებელია მის შესახებ რაიმე ცოდნის გადაცემა სხვისთვის. ეთიკის სფეროში სოფისტური რელატივიზმი უარყოფდა ობიექტურ სამართლეს, მორალის ზოგადსავალდებულო ნორმებს და ინდივიდუალურ სუბიექტს მიიჩნევდა ყველაფრის საზომად (პროტაგორა). აბსოლუტური ჭეშმარიტების, ობიექტური სამართლისა და ეთიკური ნორმების უგულებელყოფამ სოფისტები ბოლოს და ბოლოს, წმინდა წყლის ფორმალისტებად, ცინიკოსებად (ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით) და პირწავარდნილ უტილიტარისტებად აქცია, ხოლო მათი პრაქტიკული მოღვაწეობა აიტყვიერ

[10] დიოგენე ლაერტელი, III, 52.

[11] ჰიპია, როგორც უკვე ვიცით, ელიდელი იყო, პროტაგორა აბდერელი, გორგია — ლეონტინელი, თრასიმაქე — ქალკედონელი, პროდიკე — კეოსელი, ევთიდემე — ქიოსელი და ა. შ. და ა. შ.

კაზუისტიკასა და ლოგიცისტურ ჟონგლიორობაზე დაფუძნებულ „მოჩვენებითი სიბრძნის" (დოქსოსოფია") ქადაგებამდე დაიყვანა.

„უწინარეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ, — წერდა არისტოტელე სოფისტებთან დაკავშირებით, — რამდენ მიზანს ისახავენ ისინი, ვინც მხოლოდ იმისთვის მსჯელობენ, რომ იკამათონ და მოწინააღმდეგე სძლიონ. ამნაირი მიზანი ხუთია: უარყოფა, სიყალბე, საყოველთაოდ აღიარებულისადმი შეუთანხმებლობა, მეტყველების შეცდომა და, მეხუთე, მოწინააღმდეგის ჩაყენება იმნაირ მდგომარეობაში, რომ ფუჭად იყბედოს. ე. ი. ხშირად გაიმეოროს ერთი და იგივე. ყველაზე მეტად ისინი ცდილობენ შექმნან მოჩვენებითობა იმისა, რასაც უარყოფენ; მეორეც, — გვიჩვენონ, რომ თანამოსაუბრე ცრუობს; მესამეც, — ძალაუნებურად მიიყვანონ იგი იმნაირ დასკვნამდე, რაც არ ეთანხმება საყოველთაოდ აღიარებულს; მეოთხეც, — აიძულონ იგი შეცდომები დაუშვას მეტყველებისას, ე. ი. თავიანთი საბუთებით იძულებული გახადონ თანამოსაუბრე უცხოელივით არასწორად ილაპარაკოს და ბოლოს, — აიძულონ იგი ხშირ-ხშირად გაიმეოროს ერთი და იგივე".[12]

მაგრამ სოფისტები მეტისმეტად ცბიერი პოლიტიკოსები და გაქნილი დიპლომატები იყვნენ საიმისოდ, რომ პირდაპირ ელიარებინათ თავიანთი ფარული მიზნები. ისინი არასდიდებით არ დაუშვებდნენ ესოდენ უხეშ შეცდომას, რაც შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო მათთვის. მთელი მათი გამოცდილება, ერუდიცია, მჭევრმეტყველება, დახვეწილი ლოგიკა და დიალექტიკური ხელოვნება, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ მიზნების საგულდაგულოდ მიჩქმალვას ემსახურებოდა. მით უფრო საშიშნი იყვნენ ისინი. სოკრატემ პირველმა იგრძნო ეს საფრთხე. მის მახვილ თვალს და გამჭრიახ გონებას არ გამოჰპარვია, რომ სოფისტიკა, თავისი არსით, სიკეთის, სამართლიანობისა და ჭეშმარიტების წინააღმდეგ მიმართული მოძღვრება იყო, რომლის გავრცელებასაც შეეძლო ავალალო ზემოქმედება მოეხდინა ათენელთა პოლიტიკურ ცხოვრებასა თუ ზნეობრივ მრწამსზე. ამიტომ სწორედ სოკრატე დაუპირისპირდა პირველად სოფისტების „სპირიტუალურ პარპაშს" და თავის სასიცოცხლო საქმედ დაისახა არა მარტო მათ წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ ბერძნული მეცნიერების რადიკალური რეფორმაციაც, რათა უფრო მკაცრი და სერიოზული მოთხოვნები წაეყენებინა მისთვის. ეს იყო წმიდათაწმიდა საქმე, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ბერძნული კულტურის პრესტიჟისა და ღირსებისათვის; ბრძოლა, რომელიც სოკრატეს სიკვდილის შემდეგ წარმატებით განაგრძეს მისმა დიდმა მემკვიდრეებმა — პლატონმა და არისტოტელემ.

„მცირე ჰიპია", მთელი თავისი „კურიოზულობის" მიუხედავად, ამ ბრძოლის ერთ-ერთი ნიშანსვეტია. დიალოგი მართლაც უცნაურსა და კურიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს არა მარტო საქმის არსში ჩაუხედავ მკითხველზე, არამედ პლატონის შემოქმედების არა ერთსა და ორ მკვლევარზედაც, ვინაიდან მასში თითქოს ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული: თუკი ზერელე და ზედაპირულ აღქმას ვენდობით, კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ სოკრატე სოფისტური დოქტრინის წინააღმდეგ მებრძოლად კი არა, პირიქით, მის თავგამოდებულ დამცველად გვევლინება. მაგრამ ეს იმდენად დაუჯერებელი, იმდენად უაზრო და აბსურდული ჩანს, რომ ზემოხსენებულ მკვლევარებს, მათის აზრით, მხოლოდ ერთი გზაღა დარჩენიათ: ერთხმად უარყონ „მცირე ჰიპიას" ავთენტიკურობა, თუნდაც იმის ფასად, რომ თვითონვე აღმოჩნდნენ აბსურდულ მდგომარეობაში, რადგან ფაქტის ხელაღებით უარყოფას ყოველთვის აბსურდამდე მივყავართ: იმ შინაგან კავშირზეც რომ აღარაფერი ვთქვათ, რომელიც ათასი ხილული თუ უხილავი ძაფით აერთებს „დიდი" და „მცირე ჰიპიას" არა ერთსა თუ ორ პასაჟს, ბოლოს და ბოლოს, არც არისტოტელეს მოწმობა გახლავთ ვაგლახად ხელწამოსაკრავი: თავისი „მეტაფიზიკის" მეხუთე წიგნის ოცდამეცხრე თავში პლატონის მოწაფე მიმოიხილავს ყალბი მსჯელობის სხვადასხვა სახეებს, რომლებიც მცდარად წარმოგვიდგენენ „ცრუს" ცნებას და ბოლოს დასძენს: „საგნებს კი „ცრუს" მაშინ ვუწოდებთ, როდესაც ცრუ წარმოდგენებს იწვევენ. ამის გამო მსჯელობა „ჰიპიაში" იმის შესახებ, რომ ერთი და იგივეა ცრუ და მართალი, მცდარია, რადგან ცრუდ ცხადდება სიცრუის თქმის შემძლე, რომელიც მცოდნე და გონიერია. ამას გარდა, უპირატესობა ეძლევა თავისი ნებით ბოროტს. ეს შეცდომა კი გამომდინარეობს სილოგიზ-

[12] არისტოტელე, „სოფისტურ უარყოფათათვის", 165 ხ 12-22.

მიდან, რომ განზრახ კოჭლი სჯობს უნებურად კოჭლს. ნაგულისხმევია, რომ კოჭლობა არის მიბაძვა. მაგრამ თავისი ნებით კოჭლი ისევე ცუდია, როგორც ზნეობრივ სფეროში თავისი ნებით ბოროტი".13

როდესაც მკითხველი გაეცნობა „მცირე ჰიპიას", თვალნათლივ დარწმუნდება იმაში, რომ არისტოტელე პლატონის სწორედ ამ დიალოგს გულისხმობს. და თუმცა ავტორს არ ასახელებს, მაგრამ ბერძნულ ლიტერატურულ ტრადიციას არასოდეს დაუშორებია ერთმანეთისათვის შემოქმედი და მისი ქმნილება: „მცირე ჰიპია" ყოველთვის პლატონის დიალოგად იყო მიჩნეული. მაშ, რაღაა საქმე? ნუთუ შინაარსი? აქ კი გავკადნიერდები და ზემოხსენებულ მკვლევარებს ვკადრებ, რომ მათი გაუგებრობის ნამდვილი მიზეზი პლატონის დიალოგის შინაარსი კი არ არის, არამედ, რბილად რომ ვთქვათ, მათივე საკუთარი სიბეცე: ის, რაც ავტორის გენიალურ მიგნებად უნდა მიეჩნიათ, მათთვის მხოლოდ იმის საბაბი გახდა, რომ ავტორობა ერთი ხელის მოსმით ჩამოერთმიათ მისთვის. საქმე ისაა, რომ სოკრატე, პლატონის ნებით, თვითონვე იკავებს სოფისტის ადგილს, თვითონვე იწყებს მისი პარადოქსული სოფიზმების მტკიცებას და ამრიგად იქცევა ჰიპიას მეორე „მე"-დ[14], ან, თუ გნებავთ, ჰიპიას წინაშე დადგმულ სარკედ, რათა დაბნეულმა და გაოგნებულმა სოფისტმა საკუთარი თვალით უმზიროს მისი კრიალა ზედაპირის სიღრმეში თავისი სულიერი სიმახინჯის არანაკლებ მახინჯ ანარეკლს. ამ რანგის ავტორის მკვლევარს არა მარტო მისი ტექსტის, არამედ ქვეტექსტის კითხვაც უნდა შეეძლოს. პლატონი ეზოპე არ არის, და არც დიალოგია იგავი, ზოგიერთის გულისხმაში ჩასაგდებად შესაძლებელი რომ იყოს მისთვის, ვთქვათ, ამნაირი მორალის დართვა: მტერს ზოგჯერ მისივე საკუთარი იარაღით უნდა გაუსწორდე. ხოლო როგორ ახერხებს პლატონი, სოკრატეს მეშვეობით, მის წინაშე მდგარი ამოცანის გადაჭრას, ამას „მცირე ჰიპიას" ანალიზი გვიჩვენებს:

„დიდი" და „მცირე ჰიპიას" ტექსტების ურთიერთშეჯერების შედეგად ჩვენ უკვე ვიცით, რომ ელიდელმა სოფისტმა ეს-ესაა დაამთავრა თავისი საჯარო გამოსვლა ათენელი გრამატიკოსის ფიდოსტრატეს სკოლაში, სადაც მისმა სიტყვამ ჰომეროსის პოემებისა და მისი გმირების შესახებ ცხოველი ინტერესი გამოიწვია მრავალრიცხოვან მსმენელთა შორის, რომლებიც ნელ-ნელა ტოვებენ დარბაზს. საბოლოოდ სცენაზე, ორატორის გარდა რჩებიან მხოლოდ ევდიკე, სოკრატე და კიდევ რამდენიმე მსმენელი, რომლებსაც, ევდიკეს თქმით, თურმე „ვერავინ შეედრება ფილოსოფიური საუბრების სიყვარულში". მაგრამ რაკი სოკრატე კრიჭაშეკრულივით დუმს და, ერთის შეხედვით, არავითარ ინტერესს არ ამჟღავნებს სოფისტის საუბრის მიმართ, ევდიკე სთხოვს, თავისი აზრი გამოთქვას ახლახან მოსმენილ სიტყვასთან დაკავშირებით. სოკრატე თანხმობას უცხადებს და სურვილს გამოთქვამს, სოფისტის სიტყვის მთელი შინაარსიდან უფრო ზუსტად გაარკვიოს ერთი საკითხი: ჰომეროსის გმირებს შორის, ჰიპიას აზრით, ყველაზე წრფელი და ალალმართალია აქილევსი, ყველაზე ცრუ და ცბიერი კი — ოდისევსი. სოკრატეს აინტერესებს, მართლა ასეა თუ არა ეს? — რა თქმა უნდა, — უყოყმანოდ მიუგებს სოფისტი და თავისი აზრის დასტურად იქვე იმოწმებს „ილიადის" ერთ პასაჟს (IX, 308 და შმდ.), რომელშიაც მისი მტკიცებით, „ცხადად ჩანს ორივე კაცის ბუნება: აქილევსი წრფელ და ალალმართალ კაცად წარმოგვიდგება, ოდისევსი კი — ცრუდ და ცბიერად": სწორედ ამიტომ, დასძენს ჰიპია, აქილევსი ოდისევსზე უკეთესია და უმჯობესი. მაშასადამე, — ამბობს სოკრატე, — როგორც შენი, ისე ჰომეროსის აზრითაც, ცრუ და მართალი ორი სხვადასხვა პიროვნებაა და არა ერთი და იგივე კაცი?..

როგორც ვხედავთ, სოკრატეს ერთბაშად გადაჰყავს საუბარი „სოფისტურ კალაპოტში". მსჯელობაში „ცრუს" ცნების ჩართვა, თავისი არსით თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ნომინალურად მაინც, ჩვენში „ცრუს" საყოველთაოდ ცნობილი სოფისტური პარადოქსის რემინისცენციას იწვევს, პარადოქსისა, რომელიც შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „როცა ვინმე ცრუობს და თვითონვე იცის, რომ ცრუობს, ამ შემთხვევაში ცრუობს თუ მარ-

---

13 არისტოტელე, მეტაფიზიკა, თარგმანი ბერძნულიდან, კომენტარები და წინასიტყვაობა თ. კუკავასი, თბ., 1964, გვ. 128.

14 უთუოდ ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ სოკრატე „დიდ ჰიპიაშიც" ორდება და ორი პერსონაჟის სახით გვევლინება. მაგრამ აქ სოკრატეს გაორება არავითარ ეჭვს არ იწვევს, ვინაიდან ბოლოს თვითონვე ამჟღავნებს ამ საიდუმლოს.

თალს ამბობს იგი?"[16] ამ ანტინომიურობის გადაჭრას ქრისიპემ და თეოფრასტემ თავის დროზე მთელი ტომები მიუძღვნეს; შუა საუკუნეებში ამავე პარადოქსის გადაწყვეტაზე მუშაობდნენ ჟან ბურიდანი, ალბერტ საქსონელი, პიერ დ'ალიი და სხვ... მაგრამ კვლავ მივუბრუნდეთ შეწყვეტილ სიტყვას:

ჰიპიას ზედმეტად მიაჩნია სოკრატეს კითხვაზე პასუხის გაცემა, ვინაიდან, მისი აზრით, ცრუ და მართალი რომ სხვადასხვაა, ეს თავისთავადაც ცხადია. მაშინ სოკრატე, პირწმინდად სოფისტური მსჯელობის საშუალებით, „ცრუს" ცნებას აზუსტებინებს თავის თანამოსაუბრეს: ცრუ არ შეიძლება ეწოდოს იმას, ვისაც არ შეუძლია იცრუოს, რადგან ვისაც საერთოდ არა აქვს სიცრუის თავი, ისევე ვერ იცრუებს, როგორც, ვთქვათ, ბრმა ვერ ამოიღებს რამეს მიზანში. მეტიც, ცრუს ვერ ვუწოდებთ ვერც იმას, ვინც არ იცის. რომ შეუძლია იცრუოს: ბრმამ რომ შავს თეთრი უწოდოს, ანდა პირიქით, ჯერ ის უნდა იცოდეს, თუ რა არის თეთრი და რა არის შავი (როდესაც ბრმა შავს თეთრს უწოდებს, ის კი არ ცრუობს, არამედ ცდება, ეშლება). მაშასადამე, უმტკიცებს სოკრატე სოფისტს, ცრუ ისაა, ვინც იცის, როგორ იცრუოს და შეუძლია კიდეც იცრუოს; და პირიქით, ცრუდ ვერ ჩავთვლით იმას, ვისაც არ შეუძლია იცრუოს და ვერც იმას, ვინც უვიცია. მაგრამ ამნაირი წანამძღვრებიდან, სოფისტური სილოგისტიკის მიხედვით, უშუალოდ გამომდინარეობა ფრიად უცნაური დასკვნა: რაც უფრო მეტი იცის კაცმა, მით უფრო უკეთ შეუძლია არა მარტო სიმართლის, არამედ სიცრუის თქმაც იმასთან დაკავშირებით, რაც იცის. ასე მაგალითად, არითმეტიკის, გეომეტრიის ან ასტრონომიის ყველაზე უკეთესი მცოდნე ყველაზე უკეთ შესძლებს არა მარტო სიმართლის, არამედ სიცრუის მტკიცებასაც არითმეტიკული ამოცანის, გეომეტრიული თეორემისა და ასტრონომიული პრობლემის განხილვისას თუ გადაწყვეტისას (სოკრატე განზრახ, შეგნებულად ირჩევს სანიმუშოდ მეცნიერების იმ დარგებს, რომელთა ცოდნითაც თავი მოაქვს ჰიპიას).

„ახლა ხომ ხედავ, — მიმართავს ფილოსოფოსი სოფისტს, — რომ, ამ თვალსაზრისით, ერთი და იგივე კაცია ცრუც და მართალიც, და რომ მართალი არაფრით არ სჯობია ცრუს, რადგანაც ისინი ერთმანეთს კი არ უპირისპირდებიან, როგორც შენ გეგონა წელან, არამედ ორივე ერთი და იგივეა". ამავე თვალსაზრისით, აქილევსი არაფრით არ არის ოდისევსზე უკეთესი, ვინაიდან რაკი ერთი და იგივეა ცრუც და მართალიც, ამიტომ „თუ ოდისევსი ცრუ იყო, ახლა მართალი ხდება, ხოლო თუ აქილევსი მართალი იყო, ახლა უკვე ცრუდ იქცევა, ასე რომ ისინი არც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და არც ერთმანეთს უპირისპირდებიან, არამედ მსგავსნი არიან"... ნირწამხდარი და გაოგნებული სოფისტი ხვდება, რომ სოკრატე ისევე ათამაშებს მას, როგორც აქამდე თვითონ ათამაშებდა მიამიტსა და გულუბრყვილო ათენელ ახალგაზრდებს, მაგრამ რაკი ამ მზაკვრული ლოგიკური თამაშის ფარულ მექანიზმში ვერ გარკვეულა, მოთმინებიდან გამოსული აღშფოთებით მიმართავს თავის თანამოსაუბრეს: „ოჰ, სოკრატე, ყოველთვის რაღაც უცნაურ სიტყვებსა თხზავ, მსჯელობის ყველაზე ჩახლართულ მხარეს ირჩევ და გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებ ყოველგვარ წვრილმანს, ნაცვლად იმისა, რომ განსახილველი საკითხის მთლიანობაზე იპაექრო".

არ დაგავიწყდეთ, ამას ამბობს სოფისტების ამქრის ერთი ყველაზე თვალსაჩინო წევრი, სოფისტებისა, რომლებმაც მცირე აზიის, სამხრეთ იტალიისა თუ ელადის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოზიდეს თავიანთი ჭუჭყიანი ცოდნა და, აი, ამნაირი ლოგიკური ნაგავით აავსეს ათენი: „ხუთი — ესაა ორი და სამი; მაშასადამე, ხუთი ლუწიცაა და კენტიც". „თუ კორისკე იგივე როდია, რაც სოკრატე, ხოლო სოკრატე ადამიანია, მაშასადამე, კორისკე იგივე როდია, რაც ადამიანი". „თუ არაარსი ა რ ი ს რაღაც წარმოსახული, მაშასადამე, არაარსი ა რ ი ს". „არის თუ არა ის, რაც ათენს ეკუთვნის, ათენის საკუთრება? დიახ. მაგრამ ადამიანი ხომ ცოცხალ არსებებს ეკუთვნის? დიახ. მაშასადამე, ადამიანი ცოცხალი არსებების საკუთრებაა". „კარგია თუ არა იმისი სწავლა, რისი ცოდნაც კარგია? დიახ. მაგრამ ცუდის ცოდნა კარგია. მაშასადამე, ცუდი კარგია". „მართალია თუ არა ახლა, რომ შენ დაიბადე? დიახ. მაშასადამე შენ ახლა დაიბადე".

---

[16] ამ პარადოქსს ოდნავ მოდიფიცირებული სახით გადმოგვცემს არისტოტელე: „შეიძლება თუ არა ერთდროულად მართალი და ტყუილი ფიცი?" — „სოფისტურ უარყოფათათვის", 180 ვ 35.

„დაწერა თუ არა ვილაცამ ის, რაც დაწერილია? დიახ. მაგრამ დაწერილია, რომ შენ ზიხარ, რაც ამჟამად მცდარია. თუმცა ეს სწორი იყო, როცა დაწერეს. მაშასადამე, ერთი და იგივე შეიძლება ერთსა და იმავე დროს მცდარიც იყოს და სწორიც". „არის თუ არა ეს ქოფაკი მამა? დიახ. მაგრამ ის შენია. მაშასადამე, ის შენი მამაა". „ის, რაც არ სურს გონიერ კაცს, ბოროტება არის თუ არა? დიახ. მაგრამ მას არ სურს [illegible] დაკარგვა. მაშასადამე, სიკეთე ბოროტებაა". „განა სამართლიანობა არ სჯობია უსამართლობას, ანდა სამართლიანი ქცევა — უსამართლოს? დიახ. მაგრამ უმჯობესია უსამართლოდ მოგისაჯონ სიკვდილი, ვიდრე სამართლიანად. მაშასადამე, უსამართლობა სამართლიანობაზე უმჯობესია". „სამართლიანია თუ არა, რომ ყველას თავისი ჰქონდეს? დიახ. მაგრამ თუ მოსამართლეს თავისი შეხედულებისამებრ გამოაქვს განაჩენი, ამ განაჩენს, უსამართლოც რომ იყოს, მაინც თავისი კანონიერი ძალა აქვს. მაშასადამე, სამართლიანი უსამართლოა, და ა. შ. და ა. შ.„[16]

მაშ, ასე, აღშფოთებული სოფისტი, ვის სულშიაც მთლემარე საღი აზრი და მორალური გრძნობა აშკარად შეურაცხყოფილია სოკრატეს ცინიკური მტკიცებით, — გადაჭრით უპირისპირდება თავისი თანამოსაუბრის მსჯელობის სტილს და ვერ კი გრძნობს, რომ ამით აზროვნების საკუთარ სტილსა თუ მანერას უპირისპირდება, რაც სოკრატეს სავსებით დამსახურებულ წარმატებად უნდა ჩაითვალოს: მან უკვე მიაღწია საწადელს და ახლა ასე აგრძელებს მსჯელობას: თუ ორი კაციდან ერთი განზრახ, თავისი ნებით ცრუობს ან უსამართლობას თუ ბოროტებას სჩადის, მეორე კი შეუგნებლად და თავისდა უნებურად იქცევა ასე, მაშინ უპირატესობა პირველს უნდა მიენიჭოს, პირველს უნდა ვთვლიდეთ უმჯობესად და უკეთესად. დაბნეული სოფისტი ერთხელ კიდევ გაიბრძოლებს, რათა საღი აზრის მონაცემებზე დაყრდნობითა და კაცთა ყოველდღიური გამოცდილებისა თუ სამართლებრივი ნორმების მოშველიებით როგორმე მიაკვლიოს გამოსავალს: „კი, მაგრამ, როგორ შეიძლება, სოკრატე, რომ ის, ვინც თავისი ნებით სჩადის უსამართლობას, განზრახ იქცევა უკეთურად და შეგნებულად ავკაცობს, იმაზე უკეთესი იყოს, ვინც თავისდა უნებურად იქცევა ასე? რადგან, ჩემის აზრით, ამ უკანასკნელს ბევრი რამ მიეტევება კიდეც, ვინაიდან არ იცის, რომ უსამართლოდ იქცევა, ავკაცობს ან სხვა რამ ბოროტებას სჩადის. კანონებიც ხომ გაცილებით უფრო მკაცრნი არიან იმის მიმართ, ვინც თავისი ნებით სჩადის ბოროტებას, ან განზრახ ცრუობს, ვიდრე მის მიმართ, ვინც თავისდა უნებურად იქცევა ასე".

მაგრამ სოკრატე სოკრატე არ იქნებოდა, ასე ადვილად რომ მისცეს სოფისტს თავის დაძვრენის საშუალება. „...მე მგონია, ჰიპია, რომ საქმე სულ სხვანაირადაა, ვიდრე შენ ამბობ: ის, ვინც შეგნებულად ვნებს ადამიანებს და უნებურად კი არა, თავისი ნებით სჩადის უსამართლობას, ცრუობს, ტყუის და ცდება, იმაზე უკეთესია, ვინც თავისდა უნებურად იქცევა ასე". მთელი შემდგომი მსჯელობა სოფისტური ანალოგიის პრინციპზეა დაფუძნებული: სოკრატეს მტკიცებით, მორბენალი, რომელიც განზრახ, თავისი ნებით დარბის ცუდად, აშკარად სჯობია ცუდ მორბენალს, ვინაიდან პირველი, თუკი მოინდომებს, დიახაც შესძლებს სწრაფად ირბინოს, მაშინ როდესაც მეორეს ამის უნარი არ გააჩნია. იგივე ითქმის მოჭიდავისა თუ ყველა სხვა ათლეტის, ისევე როგორც მომღერლის, მუსიკოსის, მკურნალისა თუ ხელოვნებისა თუ მეცნიერების სხვა დარგების წარმომადგენელთა მიმართ. ამ თვალსაზრისით, არც ადამიანის სხეულის სხვადასხვა ასო ან მისი სამუშაო თუ საომარი იარაღია გამონაკლისი: ის, რაც შეიძლება საკუთარი ნება-სურვილით მოიხმარო როგორც ცუდად, ისე კარგადაც, გაცილებით უკეთესია იმაზე, რისი კარგად მოხმარაც შენს ნებაზე როდია დამოკიდებული. ასე მაგალითად, თვალი, რომელსაც შენივე ნებით მართავ ცუდად, აშკარად უკეთესია იმ საჭეზე, რომელიც შენს ნებას არ ემორჩილება; ანდა ფეხი, რომელიც შენი ნება სურვილით „მოიკოჭლებს", ესე იგი, რომლითაც განზრახ კოჭლობ, უთუოდ უნდა ვამჯობინოთ იმ ფეხს, რომელიც ბუნებრივი ნაკლის გამო მართლა კოჭლია.

იგივე ალტერნატივა თანაბრად ვრცელდება სულის ყველა სიქველეზედაც. ავიღოთ თუნდაც სამართლიანობა. რაკი სამართლიანობა ერთგვარი ძალაა ან ცოდნა, ანდა კი-

---

[16] ყველა ეს სოფისტური სილოგიზმი ამოკრეფილია არისტოტელეს ტრაქტატიდან „სოფისტურ უარყოფათათვის". შესაბამისად: 166 a 33; 166 b 33; 167 a 33; 167 b 3; 177 b 17; 177 b 20; 178 b 25; 179 b 14; 180 b 15; 180 b 22; 180 b 24.

დეს — ორივე ერთად. ამიტომ რაც უფრო ძლიერი და მცოდნეა სული, მით უფრო მეტად ექნება იმის უნარი, რომ ერთნაირად ჩაიდინოს არა მარტო სამართლიანი, არამედ უსამართლო საქმეც. მაგრამ ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ სული, რომელიც განზრახ, თავისი ნებით სჩადის უსამართლობას, უკეთესია იმ სულზე, რომელიც თავისდა უნებურად იქცევა ასე. სოკრატე ამასაც არ სჯერდება, კიდევ უფრო ამძაფრებს და ლოგიკური განვითარების უკიდურეს ზღვრამდე მიჰყავს თავისი მსჯელობა, — რათა ამრიგად ცხადყოს, ერთის მხრივ, ადამიანის საღი აზრის, მისი მორალური გრძნობისა და, მეორეს მხრივ, სოფისტური ეთიკის ურთიერთშეუთავსებლობა: უსამართლობის ჩადენა ბოროტმოქმედებაა, სამართლიანობისა კი — სიკეთის ქმნა; მცოდნე და ძლიერი, ანუ უკეთესი სული თავისი ნებით სჩადის უსამართლობას, უარესი კი — თავისდა უნებურად; მაგრამ სიკეთის მოქმედ კაცს კეთილი სული აქვს, ხოლო ბოროტმოქმედს — ბოროტი სული; მაშასადამე, კეთილი კაცი თავისი ნებით სჩადის უსამართლობას, ბოროტი კაცი კი თავისდა უნებურად იქცევა ასე. ამიტომ თუ ვინმე სცოდავს და საძრახის საქმესა თუ უსამართლობას სჩადის, უწინარეს ყოვლისა, კეთილი კაცი სცოდავს და სჩადის.

ჩიხში მომწყვდეული სოფისტი ვერავითარ გამოსავალს ვეღარ ხედავს: არც იმის ძალი შესწევს, რომ თავისი ლოგიკური ხელოვნების წყალობით აღმოაჩინოს სოკრატეს მსჯელობის მანკიერება და ვერც იმას ბედავს, რომ კვერი დაუკრას და დაეთანხმოს მის დასკვნას, რადგან ეს აბსურდის აღიარებას ნიშნავს. სოკრატეს საბოლოო რეპლიკა არაორჭოფულად გვიმჟღავნებს პლატონის დიალოგის უშუალო მიზანსაც და მის დედააზრსაც: „საქმე ისაა, რომ არც მე შემიძლია დავეთანხმო ჩემს თავს, ჰიპია, მაგრამ ამ ჩვენი ახლანდელი მსჯელობიდან, გინდა თუ არა, ასე გამოდის. როგორც წეღან მოგახსენე, ამ საკითხთან დაკავშირებით თავგზააბნეული ვაწყდები აქეთ-იქით და ვერაფრით ერთ აზრზე ვერ შევჩერებულვარ. თუმცა ჩემი, ან სხვა — ჩემსავით უბირი კაცის დაბნეულობა რა მოსატანია, თუკი თქვენ — ბრძენკაცნიც ჩვენსავით დაბნეულნი დაბორიალობთ. აი, სწორედ ეს არის ჩვენთვის საშიში, ვინაიდან თქვენგან სულ ამაოდ მოველით შველას, რაკიღა არ შეგიძლიათ ამ გაჭირვებიდან გამოგვიყვანოთ".

სოფისტიკის ამ საშიში ტენდენციის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი არსებითად, დიალოგის ფარგლებს მიღმაა დარჩენილი; ეს გახლავთ პლატონის ღრმა და ორიგინალური ფილოსოფიური კონცეფცია ადამიანის ნებელობის შინაგანი განსჯით განპირობებულობის შესახებ, რომელიც უფრო გვიანდელი პერიოდის დიალოგებში — „დიდ ჰიპიაში" თუ „მენონში", „გორგიასა" თუ „სახელმწიფოში"[17] ჩამოყალიბებული და რომლის მიხედვითაც ნება სხვა არა არის რა, თუ არა სულის გარკვეული მიდრეკილება, მისი სწრაფვა ამა თუ იმ საგნის მიმართ. მაგრამ ნება, ანუ სულის მიდრეკილება საკუთრივ საგნით, საკუთრივ სწრაფვის ობიექტით კი არ არის მოტივირებული, არამედ იმ სუბიექტური წარმოდგენით, რომელსაც სულში ეს საგანი თუ ობიექტი იწვევს. საგნისადმი ამნაირი მიმართების მიხედვით, ნება — ესაა ერთგვარი ემოციური განწყობილება, ერთგვარი სურვილი თუ ვნება. სურვილი ასრულებასა და დაკმაყოფილებას მოითხოვს, ხოლო დაკმაყოფილებული სურვილი სიამოვნებისა და ბედნიერების სათავედ გვევლინება. სასურველია მხოლოდ ის, რასაც სიამოვნების მიზეზად თვლიან; მხოლოდ სიამოვნების წარმოდგენა ხდის საგანს სასურველად და ამის წყალობით მას ჩვენი ნების განმსაზღვრელ მოტივად აქცევს. მაგრამ ის, რაც სასურველია, პლატონისა და სოკრატეს აზრით, იმავდროულად, სასარგებლო და სასიკეთოცაა ჩვენთვის. სწორედ ამიტომ არცერთი კაცი არ ჩაიდენს ბოროტებას საკუთარი ნება-სურვილით, რაკი ბოროტება, თავისი არსით, მავნეა მისი ჩამდენისათვის, ხოლო არავის არა სურს თავის თავს ავნოს. მაშ, რაღათი აიხსნება ამდენი ბოროტმოქმედისა და ბოროტების არსებობა ამქვეყნად? საქმე ისაა, რომ, პლატონის მიხედვით, ბოროტებისა და უსამართლობის ჩამდენს ჰგონია, თითქოს მისი ქცევა თუ მოქმედება კეთილია და სამართლიანი, რაშიაც, ის, რა თქმა უნდა, ცდება. მაშასადამე, ყოველგვარი ბოროტების, ისევე როგორც ყოველგვარი სიბილწის თუ ბიწის მიზეზი ესაა შეცდომა, ანუ, საბოლოო ანგარიშით, — უმეცრება, მაშინ

[17] „დიდი ჰიპია", 269b; „მენონი", 77b—78e; „გორგია", 466c—468e; „სახელმწიფო", III, 412e—413b.

როდესაც სიკეთე და, საერთოდ, სიქველე სხვა არა არის რა, თუ არა საგანთა რეალური ბუნების ცოდნა.

ამრიგად, როცა „მცირე ჰიპიაში" სოკრატე დაჟინებით ამტკიცებს, რომ რაც უფრო ძლიერი და მცოდნეა სული, მით უფრო მეტად შესწევს იმის უნარი, რომ იცრუოს, ითვალთმაქცოს, იპარაკოს, უსამართლობა თუ ბოროტება ჩაიდინოს, ამით კი მხოლოდ სოფისტების ეთიკური მოძღვრების უტრირებას ახდენს, ვინაიდან მისი საკუთარი მრწამსის თანახმად, რაც უფრო მეტი ცოდნა აქვს სულს, მით უფრო მეტად დაშორებულია მის მიერ ბოროტების ჩადენის შესაძლებლობა. დიახ, სოკრატეს ინტელექტუალიზმის მიხედვით, კაცი მხოლოდ იმიტომ სჩადის ბოროტებას, რომ არ იცის, რა არის სიკეთე. „ჩვენ ყოველთვის სიკეთე გვსურს ჩვენი თავისთვის და სიკეთესვე ვესწრაფვით, მაგრამ არცთუ იშვიათად ბოროტება კი გვრჩება ხელთ" ეს პარადოქსი ნებელობისა, რომელიც თავის თავს ეწინააღმდეგება და თავისდა უნებურად ახდენს არჩევანს, ნების აბსოლუტისტურ მისწრაფებასა და მის პარტიკულარულ დეტერმინაციათა შორის არსებული დისპროპორციის შედეგია... ნება, რომელიც აბსოლუტურად მიელტვის სიკეთეს, მხოლოდ და მხოლოდ პარტიკულარული წარმოდგენებითაა დეტერმინირებული, წარმოდგენებით, რომელთაგან არცერთი არ შეიცავს აბსოლუტურ სიკეთეს მთელი თავისი სიცხადით... აქედან ნების ესოდენ ხშირი ცთომილება, მაგრამ ეს ცთომილება უნებურია"...[18] ნებელობის შინაგანი განსჯით განპირობებულობის ეს პლატონური კონცეფცია უფრო გვიან მთლიანად გაიზიარა სტოიციზმმა: „ყოველი სული — ამბობს ეპიქტეტე, — თავისდა უნებურად სწყდება სიმართლეს"[19]; ხოლო მარკუს ავრელიუსი წერს: თუ კაცნი „ბოროტების გზას ადგანან, თავისდა უნებურად და უმეცრების გამო ადგანან მას, რადგან ყოველი სული თავისდა უნებურად სწყდება როგორც ჭეშმარიტებას, ისე... სიქველესაც"[20]... პლატონიზმიდან სტოიციზმში, სტოიციზმიდან ქრისტიანიზმში, — ასეთია ამ კონცეფციის ისტორიული მიგრაციის გზა: „რამეთუ არა რომელი: იგი მნებავს კეთილი, მას ვჰყოფ, არამედ რომელი — იგი არა მნებავს ბოროტი, მას ვიქმ. ხოლო უკეთუ, რომელი — იგი მე არა მნებავს და მას ვჰყოფ, არღარა მე ვიქმ მას, არამედ რომელი — იგი დამკვიდრებულ არს ჩემ თანა ცოდვაჲ".[21]

მაგრამ კვლავ მივუბრუნდეთ პლატონს: არც „მცირე ჰიპიას" ავტორისა და არც მისი მთავარი პერსონაჟის ზნეობრივ მრწამსს, მათ რიგორისტულ მორალს არაფერი ჰქონდა საერთო სოფისტების ზნეობრივ ინდიფერენტიზმთან, და არც შეიძლება ჰქონოდა. უწინარეს ყოვლისა, სწორედ აქედან იღებს დასაბამს ამ ორი სრულიად სხვადასხვა მსოფლმხედველობრივი სისტემის შინაგანი ანტაგონიზმი, რასაც შეფარვით გვიდასტურებს „მცირე ჰიპია". ჩვენი ანალიზის ერთადერთი მიზანი ის იყო, რომ ეს ფარული აზრი გაგვეცხადებინა მკითხველისათვის.

ევდიკე. სოკრატე, ჰიპია

ე ვ დ ი კ ე. კი მაგრამ, შენ რაღას დუმხარ სოკრატე, მას შემდეგ, რაც ჰიპიამ ამდენი ილაპარაკა? რატომ სხვებივით არ აქებ, ანდა, თუ რაიმე არ მოგეწონა, რად არ აბათილებ მის ნათქვამს? მით უმეტეს, რომ ვერცერთ ჩვენგანს, ვინც აქ დავრჩით, ვერავინ შეედრება ფილოსოფიური საუბრების სიყვარულში[1].

ს ო კ რ ა ტ ე. მართლაცდა, ევდიკე, სიამოვნებით გამოვკითხავდი ჰიპიას ყველაფერს, რაც მან ახლა ჰომეროსზე ილაპარაკა. მამაშენი აპემანტესაგან გამიგონია, ჰომეროსის პოემა „ილიადა" იმდენად უმჯობესია მის „ოდისეაზე", რამდენადაც აქილევსი უფრო მაღლა დგას ოდისევსზე[2]; ვინაიდან, მისი მტკიცებით, ამ პოემებიდან ერთი ოდისევსს ეძღვნება, მეორე კი აქილევსს. ამიტომ, თუ ნებას დამრთავდა, სიამოვნებით გამოვკითხავდი ჰიპიას, მაინც რა აზრისაა ამ ორ კაცზე, რომელი მათგანი მიაჩნია უმჯობესად, რაკილა ამდენი რამ გვითხრა სხვა პოეტებზედაც და ჰომეროსზედაც.

---

[18] ჟ. მორო, ეპიქტეტე. პარიზი, 1964, გვ. 35-36.

[19] „მსჯელობანი", I, 28, 4.

[20] „ფიქრები", XI, 18 (3).

[21] პავლე, რომ., VII, 19-20.

ე ვ დ ი კ ე. ეჭვიც არ მეპარება, რომ, თუ რაიმეს ჰკითხავ, ჰიპია პასუხს არ დაგმალავს. ასე არ არის, ჰიპია? სოკრატემ რომ რაღაცა გკითხოს, ხომ უპასუხებ? რას იტყვი?

ჰ ი პ ი ა. მაშინ რას ემგვანებოდა ჩემი საქციელი, ევდიკე? მე ხომ ხშირად ჩავდივარ ჩემი მშობლიური ელიდიდან[3] ოლიმპიაში[4], ბერძნების საზეიმო თავყრილობაზე, როცა იქ თამაშები იმართება ხოლმე, ტაძრისაკენ[5] მივეშურები და ვთავაზობ ხალხს, ვისაც რა უნდა მკითხოს ჩემი საჩვენებელი გამოსვლისთვის წინასწარ მომზადებულ საკითხებთან დაკავშირებით, რათა პასუხი გავცე ყველა მსურველს; ჰოდა, ნუთუ ახლა სოკრატეს კითხვების წინაშე დავიხევ უკან?

ს ო კ რ ა ტ ე. რა ბედნიერი ხარ, ჰიპია, რომ შეგიძლია ყოველი ოლიმპიადის დროს ასე თამამად შეხვიდე ტაძარში, თავდაჯერებული და საკუთარ სიბრძნეში დარწმუნებული[6]. მართალი გითხრა, გამიკვირდებოდა, რომელიმე ათლეტი, თავისი ძალის იმედით, ისევე უშიშრად რომ გასულიყო საასპარეზოდ, როგორც შენ გადიხარ, თუ მართალს ამბობ, შენივე სიბრძნის იმედით.

ჰ ი პ ი ა. ძალა შემწევს და მიტომ, სოკრატე; რამდენი ხანია გამოვდივარ ოლიმპიადებზე და ჩემზე უკეთესს ჯერ კაციშვილს არ შევხვედრივარ.

ს ო კ რ ა ტ ე. კარგად ლაპარაკობ, ჰიპია. რამხელა პატივია როგორც შენი მშობლიური ელიდის, ისე შენი მშობლებისთვისაც შენი სახელი. მაგრამ აქილევსსა და ოდისევსზე რაღას გვეტყვი? რომელ მათგანს ამჯობინებ, ან რატომ და რითი? რადგან ნელან, როცა ამ დარბაზში ბევრნი ვიყავით და შენს გამოსვლას ვუსმენდით, ზოგი რამ შენი ნათქვამიდან გამომრჩა თუ გამომეპარა, ხალხის სიმრავლის გამო კი შეკითხვა ვერ შემოგბედე, ვაითუ გამოსვლაში ხელი შევუშალო-მეთქი. ახლა კი ცოტანი დავრჩით და, ეგეც არ იყოს, ევდიკეც ჩამცივებია, რამე ჰკითხეო. მაშ, გარკვევით გვითხარი და აგვიხსენი, რას ამბობდი ამ ორ კაცზე, ან რითი ასხვავებდი ერთმანეთისაგან?

ჰ ი პ ი ა. მეც ავდგები და უფრო გარკვევით მოგახსენებ, სოკრატე, მაინც რას ვფიქრობ ამ ორ კაცზეც და სხვებზედაც. მე ვამტკიცებ, რომ ტროას სალაშქროდ ჩასულ ვაჟკაცთა შორის ჰომეროსი აქილევსს გვიხატავს, როგორც ყველაზე მამაცს, ნესტორს — როგორც ყველაზე ბრძენს და ოდისევსს — როგორც ყველაზე ცბიერს.

ს ო კ რ ა ტ ე. ვაი, მე უბედურს, ჰიპია! ფარმანს ხომ არ მიბოძებ, იმის დასტურად, რომ მასხრად არ ამიგდებ, თუ კარგად ვერ გავიგებ შენს ნათქვამს და კითხვას კითხვაზე მოგაყრი? მაშ, ეცადე, მშვიდად და აუღელვებლად მიპასუხო.

ჰ ი პ ი ა. კი მაგრამ, მე ხომ სხვებს ვასწავლი ამას, სოკრატე, და სანაცვლოდ ფულს ვილებ მათგან;[7] ჰოდა, სირცხვილით სადღა გამოვყო თავი, თუკი დიდსულოვნება ვერ გამოვიჩინე შენს მიმართ და აუღელვებლად ვერ გიპასუხე?

ს ო კ რ ა ტ ე. კეთილი და პატიოსანი; მაგრამ ნელან, როცა ამბობდი, ჰომეროსი ყველაზე მამაცად გვიხატავს აქილევსს, ხოლო ნესტორს — ყველაზე ბრძენად-თქო, ეგონებ გავიგე, რისი თქმაც გსურდა, მაგრამ როცა ოდისევსი ყველაზე ცბიერად წარმოგვიდგინე, აქ კი, მართალი გითხრა, ველარაფერსაც ველარ მივხვდი. მითხარი, სწორად მესმის თუ არა: განა აქილევსს ცბიერად არ გვიხატავს ჰომეროსი?

ჰ ი პ ი ა. ყველაზე ნაკლებ, სოკრატე; პირიქით, ყველაზე წრფელ და ყველაზე ალალმართალ კაცად, როგორც ეს ჩანს „ვედრების"[8] ეპიზოდში, სადაც ის ერთმანეთთან ალაპარაკებს ორივე გმირს და აქილევსი ასე მიმართავს ოდისევსს:

„ლაერტეს ძეო, ღვთივშობილო, ჭკუამახვილო
გმირო ოდისევს, მინდა გული გადაგიშალო,
გითხრა, რას ვფიქრობ, ან რანაირს მიველტვი მიზანს:
მძულს მე ის კაცი ჯოჯოხეთის კარიბჭესავით,
ვინც ერთს ფიქრობს და სულ სხვა რამეს გვიცხადებს სიტყვით,
მე კი პირდაპირ გეტყვი, აწ რისი ქმნასაც ვაპირებ".[9]

ამ მიმართვაში ცხადად ჩანს ორივე კაცის ბუნება: აქილევსი წრფელ და ალალმართალ კაცად წარმოგვიდგება, ოდისევსი კი — ცრუდ და ცბიერად. რადგან ჰომეროსი აქილევსს ათქმევინებს ამ სიტყვებს და არა ოდისევსს.

ს ო კ რ ა ტ ე. ახლა კი, ჰიპია, მგონი ვხვდები, რისი თქმა გინდა: როგორც ჩანს, ცბიერს შენ უწოდებ ცრუს.

ჰ ი პ ი ა. რასაკვირველია, სოკრატე; ჰომეროსი ბევრგან სწორედ ასე გვიხატავს ოდისევსს, „ილიადაშიც“ და „ოდისეაშიც“.

ს ო კ რ ა ტ ე. როგორც ჩანს, ჰომეროსს ეგონა, რომ წრფელი ერთია, ცრუ კი — მეორე, და არა ერთი და იგივე კაცი.

ჰ ი პ ი ა. მაშ, რა უნდა ჰგონებოდა, სოკრატე?

ს ო კ რ ა ტ ე. ესე იგი, შენც ასევე ფიქრობ, ჰიპია?

ჰ ი პ ი ა. რა თქმა უნდა; უცნაურიც იქნებოდა, ასე რომ არ მეფიქრა.

ს ო კ რ ა ტ ე. მოდი, მოვეშვათ ჰომეროსს, მით უმეტეს, რომ ველარ ვკითხავთ, მაინც რას გულისხმობდა, როცა ამ სტრიქონებს თხზავდა. მაგრამ რაკი შენს თავზე იღებ პასუხისმგებლობას, და მაგ შენს აზრს ჰომეროსს მიაწერ, ადექი და ერთდროულად მიპასუხე მისი და შენი სახელით.

ჰ ი პ ი ა. კეთილი და პატიოსანი; მაშ, მოკლედ მკითხე, მაინც რისი გაგება გსურს?

ს ო კ რ ა ტ ე. ცრუს შენ უწოდებ იმას, ვისაც, სნეულის მსგავსად, არაფრის თავი არა აქვს, თუ იმას, ვისაც შეუძლია საქმეს გაართვას თავი?

ჰ ი პ ი ა. რა თქმა უნდა, იმას, ვისაც საქმის კეთების თავიცა აქვს და ბევრი სხვა რამისაც, მაგალითად, ხალხის მოტყუების.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, ცრუ, შენის აზრით, იმავდროულად, ცბიერიცაა?

ჰ ი პ ი ა. დიახ.

ს ო კ რ ა ტ ე. კი მაგრამ, სიბრიყვითა და სისულელით მოსდის, რომ ცრუობს, თუ მზაკვრული მიზნით, განზრახ, შეგნებულად ცრუობს?

ჰ ი პ ი ა. მეტწილად განზრახ, შეგნებულად ცრუობს.

ს ო კ რ ა ტ ე. ესე იგი, როგორც ჩანს, ჭკვიანია.

ჰ ი პ ი ა. დიახ, ვფიცავ ზევსს, ძალიან ჭკვიანი.

ს ო კ რ ა ტ ე. და რაკი ჭკვიანია, იცის თუ არა, რას აკეთებს?

ჰ ი პ ი ა. იცის და მერე როგორ იცის; ამიტომაცაა ვერაგი.

ს ო კ რ ა ტ ე. ხოლო თუ იცის, რაც იცის, როგორ გგონია, მცოდნეა თუ უვიცი?

ჰ ი პ ი ა. არა, მცოდნეა; ყოველ შემთხვევაში, იცის, როგორ უნდა იცრუოს.

ს ო კ რ ა ტ ე. მოითმინე; მოდი, გავიხსენოთ შენი სიტყვები: აკი ამბობდი, რომ ცრუ ჭკვიანიცაა, ძლიერიც, გონიერიც და ისიც იცის, თუ როგორ უნდა იცრუოსო.

ჰ ი პ ი ა. დიახ, ვამბობდი.

ს ო კ რ ა ტ ე. და რომ წრფელი და ცრუ ერთმანეთისგან განსხვავდებიან და ერთიმეორეს უპირისპირდებიანო?

ჰ ი პ ი ა. მაგასაც ვამბობდი.

ს ო კ რ ა ტ ე. კეთილი და პატიოსანი, ესე იგი, ზოგიერთი ძლიერი და მცოდნე კაცი, თუ შენს სიტყვებს ვერწმუნებით, როგორც ჩანს, ცრუა.

ჰ ი პ ი ა. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. კი მაგრამ, მაინც რას გულისხმობ, როდესაც ამბობ, ცრუ ძლიერი და მცოდნეაო: იმას, რომ, თუკი მოეპრიანება, შეუძლია იცრუოს და ისიც იცის, როგორ იცრუოს, თუ იმას, რომ არ შეუძლია იცრუოს იმ საქმეში, რაშიაც ცრუობს?

ჰ ი პ ი ა. ცხადია, შეუძლია.

ს ო კ რ ა ტ ე. ერთის სიტყვით, ცრუ ისაა, ვინც იცის, როგორ იცრუოს და შეუძლია კიდეც იცრუოს.

ჰ ი პ ი ა. დიახ.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, ცრუდ ვერ ჩავთვლით ვერც იმას, ვისაც არ შეუძლია იცრუოს და ვერც იმას, ვინც უვიცია.

ჰ ი პ ი ა. ეგრეა.

ს ო კ რ ა ტ ე. კაცი რაღაცის შემძლეა მაშინ, თუ შეუძლია ჩაიდინოს ან გააკეთოს ეს რაღაც, როგორც თვითონ სურს და როდესაც სურს. აქ მე გამოვრიცხავ ავადმყოფობასა თუ სხვა ამნაირ მიზეზს, რაც ბევრ რამეს შეუძლებელს ხდის, და მხოლოდ იმასა ვგულისხმობ, ვისაც შეუძლია აკეთოს ის, რაც თვითონ სურს, როგორც მაგალითად, შენ შეგიძლია, როცა მოგეპრიანება, მაშინ დაწერო ჩემი სახელი. განა შენც ამასვე არ გულისხმობ, როცა ვიღაცას რაღაცის შემძლეს უწოდებ?

ჰ ი პ ი ა. დიახ.

სოკრატე. ერთი ეს მითხარი, ჰიპია: თვლისა თუ გამოთვლის რამე, ან ანგარიშის ხელოვნებაში თუ ხარ განსწავლული?

ჰიპია. ყველაზე მეტად, სოკრატე.

სოკრატე. მერედა, ვინმეს რომ ეკითხა შენთვის, რამდენი იქნება სამჯერ შვიდასიო, თუკი მოისურვებდი, განა ყველაზე სწრაფად და ყველაზე დამაჯერებლად არ გასცემდი სწორ პასუხს?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰიპია. რა თქმა უნდა.

სოკრატე. იმიტომ, რომ ამ დარგში ყველაზე მეტი შეგიძლია და ყველაზე მცოდნე ხარ?

ჰიპია. დიახ

სოკრატე. მაგრამ მარტო ყველაზე მცოდნე ხარ, თუ იმავდროულად, ყველაზე უკეთესიც იმ დარგში, რაშიც ყველაზე მეტი შეგიძლია და ყველაზე მეტი იცი? მე ვგულისხმობ ანგარიშის ხელოვნებას.

ჰიპია. ცხადია ყველაზე უკეთესიც, სოკრატე.

სოკრატე. მაშასადამე, შენ ყველაზე მეტად შეგიძლია ამ საკითხში სიმართლის თქმა; ასეა, არა?

ჰიპია. ავრე მგონია.

სოკრატე. ისევე როგორც ტყუილისაც? კვლავაც მშვიდად და დიდსულოვნად მიპასუხე, როგორც აქამდე მპასუხობდი, ჰიპია. ვინმეს რომ ეკითხა, რამდენი იქნება სამჯერ შვიდასიო, ყველაზე უკეთ შენ შეძლებდი მის მოტყუებას, ყველაზე ჯიუტად დაიჩემებდი და არასდიდებით არ გადათქვამდი შენს აზრს. რა თქმა უნდა, ყალბის თქმა რომ ამოგეჩრა გულში და არასოდეს წამოგცდენოდა სიმართლე? თუ და, ვისაც ანგარიშის არა ესმის რა, თავისი უმეცრების წყალობით, უფრო მარჯვედ შესძლებდა ტყუილის თქმას, ვიდრე შენ საკუთარი ნება-სურვილით? იქნებ უმეცარს, სხვისი მოტყუებაც რომ განეზრახა, ხშირ შემთხვევაში თავისდა უნებურად ეთქვა სიმართლე, სწორედ იმიტომ, რომ ანგარიშის არა გაეგება რა; მაშინ როდესაც თუკი შენნაირი მცოდნე განიზრახავდა ტყუილის თქმას, ყოველთვის ერთნაირად იტყოდა ტყუილს

ჰიპია. დიახ, სწორედ ისეა, როგორც შენ ამბობ.

სოკრატე. ან იქნებ ცრუ ყველაფერში ცრუობს, ერთის გარდა: კერძოდ, არ შეუძლია თვლასა თუ ანგარიშში იცრუოს?

ჰიპია. არა, ვფიცავ ზევსს, თვლაშიც შეუძლია იცრუოს.

სოკრატე. მაშინ დავუშვათ, ჰიპია, რომ ზოგიერთი თვლასა თუ ანგარიშშიც ცრუობს?

ჰიპია. დიახ.

სოკრატე. მართლაცდა, სხვა რა გვეთქმის? ცრუ რომ იყოს, როგორც ეს-ესაა თავად აღიარე, სიცრუის თქმა უნდა შეეძლოს, რადგან, თუ გახსოვს, შენ თვითონ თქვი, ვისაც სიცრუის თავი არა აქვს, არ შეიძლება ცრუ იყოსო.

ჰიპია. როგორ არ მახსოვს, სწორედ ასე ვთქვი.

სოკრატე. და განა ჩვენ თვითონ არ ვნახეთ, რომ ანგარიშში შეგიძლია ყველაზე უკეთ იცრუო?

ჰიპია. დიახ. ესეც სწორედ ასეა.

სოკრატე. ისევე როგორც ყველაზე უკეთ შეგიძლია ანგარიშში სიმართლის თქმა?

ჰიპია. რა თქმა უნდა.

სოკრატე. ასე რომ, ერთსა და იმავე კაცს შეუძლია ანგარიშში სიცრუეც და სიმართლის თქმაც: და ამ მხრივ, სწორედ ეს კაცია უკეთესი მოანგარიშე.

ჰიპია. დიახ.

სოკრატე. კი მაგრამ, ვინ ცრუობს ანგარიშში, ჰიპია, უკეთესი მოანგარიშის გარდა? რადგან სწორედ ისაა შემძლეც და სწორედ ისაა მართალიც.

ჰიპია. როგორც ჩანს.

სოკრატე. ახლა ხომ ხედავ, რომ, ამ თვალსაზრისით, ერთი და იგივე კაცია ცრუც და მართალიც, და რომ მართალი არაფრით არ სჯობია ცრუს, რადგანაც ისინი ერთმანეთს კი არ უპირისპირდებიან, როგორც შენ გეგონა წელან, არამედ ორივე ერთი და იგივეა.

ჰიპია. ამ თვალსაზრისით როგორც ჩანს, მართლა ასეა.

სოკრატე. თუ გნებავს, სხვა მაგალითი მოვიშველიოთ.

ჰიპია. როგორც გენებოს.

სოკრატე. შენ ხომ გეომეტრიაშიც კარგად განაფული ხარ?[10]

ჰიპია. რა თქმა უნდა.

სოკრატე. მერედა, განა გეომეტრიაშიც ასევე არაა? განა ერთსა და იმავე კაცს, ესე იგი, გეომეტრს არ შეუძლია ფიგურებთან დაკავშირებით არა მხოლოდ სიცრუის, არამედ სიმართლის თქმაც?

ჰიპია. დიახ.

სოკრატე. მასზე უკეთესი თუა ვინმე ამ დარგში?

ჰიპია. არავინ.

სოკრატე. ასე რომ, როგორც ყველაზე უკეთეს და ყველაზე მცოდნე გეომეტრს, ყველაზე უკეთ შეუძლია ერთიცა და მეორეც; და თუ ვინმე ცრუობს ფიგურებთან დაკავშირებით, განა სწორედ ის ყველაზე უკეთესი — არ ცრუობს? რადგან მხოლოდ მას შესწევს ამისი ძალა, უმეცარს კი სიცრუის თავიც არა აქვს. და რაკი არ შეუძლია იცრუოს, მაშასადამე, ჩვენი შეთანხმების მიხედვით, არც შეიძლება ცრუ იყოს.

ჰიპია. ასეა.

სოკრატე. მოდი, მესამე მაგალითიც განვიხილოთ, კერძოდ, ასტრონომია. ამ დარგში შენ კიდევ უფრო განაფულად მიგაჩნია თავი, ვიდრე წინა ორში; ასე არ არის, ჰიპია?

ჰიპია. დიახ.

სოკრატე. მერედა, განა ასტრონომიაშიც ასევე არაა?

ჰიპია. ალბათ, სოკრატე.

სოკრატე. მაშასადამე, თუ ასტრონომიაშიც ვინმე ცრუობს, უკეთესი ასტრონომი ცრუობს, რომელსაც შეუძლია იცრუოს; აბა ის ხომ არ იცრუებს, ვისაც, თავისი უმეცრების გამო, სიცრუის თავი არა აქვს?

ჰიპია. ეგრე ჩანს.

სოკრატე. ესე იგი, ასტრონომიაშიც ერთი და იგივე კაცია ცრუც და მართალიც.

ჰიპია. როგორც ჩანს.

სოკრატე. იცი რა, ჰიპია? მოდი, ასევე განიხილე ცოდნის ბევრი სხვა დარგიც, რათა დარწმუნდე, იქაც ასეა საქმე თუ არა. შენ ხომ მრავალი ხელოვნების ყველაზე უკეთესი მცოდნე ხარ კაცთა შორის. ჩემი ყურით მომისმენია, რა თავმომწონედ ამზეურებდი ერთხელ მოედანზე, ზარაფთა დახლების[11] მახლობლად, შენს მრავალნაირსა და მართლაც რომ შესაშურ ცოდნას. შენ ამბობდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ოლიმპიაში ჩასულს ტანზე ყველაფერი შენი ნახელავი გეცვა. უწინარეს ყოვლისა, ბეჭედი — სწორედ ამით დაიწყე, — თურმე შენი გაკეთებული იყო, რადგანაც ჭედურობის ოსტატი ხარ, — ისევე როგორც მეორე ბეჭედი, ჯაგრისი და საზეთე.[12] ამას მოაყოლე შენი ხელით გამოჭრილი ფეხსაცმელი, შენს მიერვე მოქსოვილი მოსასხამიცა და მოკლე ქიტონიც.[13] მაგრამ რამაც ყველაზე მეტად განაცვიფრა და შენს უებრო ხელოვნებაში დაარწმუნა ხალხი ეს გახლდათ თურმე შენივე ხელით ნაქსოვ-ნაქარგი ქიტონის სარტყელი, ზუსტად ისეთი, მდიდარ სპარსელებს რომ უმშვენებს წელს. ესეც არ იყოს, შენ ამბობდი, რომ თან ჩამოგქონდა ლექსები, ეპოსები, ტრაგედიები, დითირამბები[14] და შენ მიერვე შეთხზული კიდევ რამდენი და რამდენნაირი პროზაული თხზულებები. თანაც, მეცნიერების იმ დარგებზე რომ ლაპარაკობდი, ... რომლებზედაც წეღან მოგახსენებდი, თურმე სხვებზე ... დაჩრდილე რითმიკის,[15] მუსიკალური კილოების, გრამატიკისა და, თუ მეხსიერება არ მღალატობს, სხვა ბევრი, კიდევ რამდენი რამის ცოდნით. ჰო, მართლა, კინაღამ შენი მნემონიკა[16] დამავიწყდა, რომელმაც ყველაზე მეტად გაგითქვა სახელი და, ალბათ, უთვალავ სხვა რამესაც ვეღარ გავიხსენებ. მაგრამ, აი, რა მინდა გითხრა: გადახედე მეცნიერებას არა მარტო ცალკე იმ დარგს, რომლებსაც შენ ფლობ, — მართლაც რამდენ რამეში ხარ დაუფლებული, — არამედ სხვებსაც; და მითხარი, თუ შეიძლება, რომ რომელიმე მათგანში ის, ვინც მართალს ამბობს და ის, ვინც ცრუობს, ორი სხვადასხვა კაცი იყოს და არა ერთი და იგივე კაცი? დიახ, დაუკვირდი ამ ... ყოველგვარ ცოდნას, ცბიერებას თუ რასაც გნებავს; ვერსად ამის მსგავსს ვერას ნახავ, ჩემო მეგობარო; ან კი რას ნახავ, რაც არ არის? და თუ არის, მაშინ შენ თვითონ მითხარი.

ჰიპია. ასე ხელად რა გითხრა, სოკრატე?

სოკრატე. ჩემის აზრით, ვერც ვერასოდეს მეტყვი. და თუ მე მართალს ვამბობ, მაშინ გაიხსენე, ჰიპია, რა გამოდის ამ ჩვენი მსჯელობიდან?

ჰიპია. კარგად არ მესმის, მაინც რისი თქმა გსურს, სოკრატე.

სოკრატე. ალბათ იმიტომ, რომ მნემონიკის ხელოვნებას არ მიმართავ; როგორც ჩანს, ფიქრობ, რომ ახლა ამისი დრო არ არის. ამიტომაც მე შეგახსენებ: შენ რომ ამბობდი, აქილევსი ალალმართალია, ოდისევსი კი ცრუ და ცბიერიო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰიპია. დიახ.

სოკრატე. ახლა კი, თუ ხვდები, რაოდენ ცხადი შეიქნა, რომ ერთი და იგივეა ცრუც და მართალიც? მაშასადამე, თუ ოდისევსი ცრუ იყო, ახლა მართალი ხდება, ხოლო თუ აქილევსი მართალი იყო, ახლა უკვე ცრუდ იქცევა, ასე რომ, ისინი არც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და არც ერთიმეორეს უპირისპირდებიან, არამედ მსგავსნი არიან.

ჰიპია. ოჰ, სოკრატე, ყოველთვის რაღაც უცნაურ სიტყვებს თხზავ, მსჯელობის ყველაზე ჩახლართულ მხარეს ირჩევ და გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებ ყოველგვარ წვრილმანს, ნაცვლად იმისა, რომ განსახილველი საკითხის მთლიანობაზე იპაექრო. აი, ახლაც, თუ გნებავს, არაერთ საბუთს მოგიტან იმის სარწმუნო საბუთად, რომ აქილევსი, როგორც მას გვიხატავს ჰომეროსი, ოდისევსზე უკეთესია და უფრო მართალი, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი ცბიერია, არცთუ იშვიათად — ცრუ და აქილევსზე უარესი. შენ კი, თუ გნებავს, სიტყვასიტყვით დაუპირისპირდი ჩემს ნათქვამს და დაამტკიცე, რომ ოდისევსი უკეთესია, რათა, აი, ესენი[17] მიხვდნენ, რომელი ჩვენგანი უკეთ მსჯელობს.

სოკრატე. აჰ, ჰიპია, განა მე ეჭვი მეპარება იმაში, რომ ჩემზე ბრძენი ხარ? მაგრამ რა ვქნა, ასეთია ჩემი ჩვეულება; როდესაც ვინმე ლაპარაკობს, მთელი გულისყურით ვუსმენ, მით უმეტეს, თუ მოლაპარაკე ჭკვიანი ჩანს; და რაკი მსურს რაღაცა ვისწავლო მისი ნალაპარაკევიდან, შეკითხვებს ვაძლევ, ჩავკირკიტებ და ერთმანეთს ვუდარებ მის სიტყვებს, რათა ამრიგად ვეწიო საწადელს. ხოლო თუ მოლაპარაკე უხეირო მეჩვენა, არც კითხვებს ვაძლევ და არც მისი სიტყვების გაგებას ვცდილობ. აქედან შენ შეგიძლია დაასკვნა, ვინ მიმაჩნია ჭკვიან კაცად. შენ დაინახავ, რომ ჭკვიანის გვერდით აბეზარი ვარ, გულმოდგინედ ვქექავ მის სიტყვებს და კითხვას კითხვაზე ვაყრი, რათა ვისწავლო და რაღაცას მაინც გამოვრჩე. აი, ახლაც, შენ რომ გისმენდი, ერთმა აზრმა გამიელვა თავში: შენს მიერ მოტანილ სტრიქონებს რომ დავუკვირდი, რომლებითაც გსურდა გეჩვენებინა, აქილევსი ბაქიად თვლის ოდისევსსო, ცოტა არ იყოს, მეუცნაურა, რომ, თუ მართალს ამბობ, ოდისევსი არასოდეს არ გვეჩვენება ცრუდ და ცბიერად, მაშინ როდესაც აქილევსი, შენივე სიტყვების მიხედვით, აშკარად ცბიერია, რაკიღა ცრუობს და მართლაც, წინასწარ რომ წარმოთქვამს იმ სიტყვებს, რომლებიც წეღან ახსენე —

„მძულს მე ის კაცი ჯოჯოხეთის კარიბჭესავით,
ვინც ერთს ამბობს და სულ სხვა რამეს გვიცხადებს სიტყვით",[18] — ცოტა ხნის შემდეგ იმასაც ამბობს, რომ ვერც ოდისევსი და ვერც აგამემნონი ვერ შეაცვლევინებენ გადაწყვეტილებას, და რომ არასდიდებით არ დარჩება ტროაში, არამედ

„ხვალ მსხვერპლს შევწირავ უკვდავ ზევსს და დანარჩენ ღმერთებს,
შემდეგ დავტვირთავ ხომალდებს და ჩავუშვებ ზღვაში;
დილით, თუ გნებავს, თვითონ ნახავ, ვით მიაპობენ
ჩემი გემები ჰელესპონტის შმაგ ტალღებს, სადაც
ფუთფუთებს თევზი, ან რა სწრაფად უსვამენ ნიჩბებს
მენიჩბეები: და თუ ღმერთიც ხელს მოგვიმართავს,
მიწისმრყეველი, მესამე დღეს ალბათ კიდევაც
მიგვალწევს ჩემი პოხიერი ფთიის ნაპირებს".[19]

ან უფრო ადრე რას აცხადებს აგამემნონთან დავისას?

„ახლა კი ფთიას ვეშურები, ათასწილ მიჯობს,
კიჩომოხრილი ხომალდებით დავბრუნდე სახლში,
ვიდრე აქ დავრჩე შერცხვენილი, თავსლაფდასხმული,
რათა გიმრავლო ნადავლი და ნაალაფარი".[20]

ამას რომ ეუბნება ხან მთელ ლაშქარს, ხან კი თავის მეგობრებს, მაინც არსად არ ეტყობა, თითქოს გამგზავრებას აპირებდეს, ან შინ დასაბრუნებლად ზღვაში უშვებდეს ხომალდებს. პირიქით, გეგონება, თავისი ღირსებისათვის უკადრისად მიაჩნია სიმართლის თქმაო. თავიდანვე სწორედ იმიტომ გკითხე, ჰიპია, ამ ორ კაცს შორის რომელია უკეთესი პოეტის დახასიათებით-მეთქი, რომ ორივეს ერთმანეთზე უმჯობესად ვთვლიდი და ვერ გამერკვია, ვინ ვის ჩრდილავდა არა მარტო სიცრუით, არამედ სიმართლით თუ სხვა რამ სიქველითაც. ვინაიდან ამ მხრივ ისინი დიდად როდი განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

ჰ ი პ ი ა. იმიტომ, რომ რაღაცა გეშლება, სოკრატე. როდესაც აქილევსი ცრუობს, ცხადია, განზრახ კი არა, თავისდა უნებურად ცრუობს, ვინაიდან თავისიანების გაჭირვება აიძულებს დარჩეს და დაეხმაროს მათ; მაშინ როდესაც ოდისევსი თავისი ნებით, შეგნებულად ცრუობს.

ს ო კ რ ა ტ ე. მატყუებ, ჩემო ძვირფასო ჰიპია; მგონი სწორედ ოდისევსს ბაძავ.

ჰ ი პ ი ა. როგორ გეკადრება, სოკრატე; რა მრჯის ანდა რას გატყუებ?

ს ო კ რ ა ტ ე. რასა და იმას, რომ აქილევსი, შენი მტკიცებით, განზრახ როდი ტყუის, თუმცა, როგორც ჰომეროსი გვიხასიათებს, იმდენად გაიძვერაა და მკვეხარა, ისე შეგნებულად ცრუობს, რომ ამ მხრივ აშკარად ჩრდილავს თვით ოდისევსს, რაკილა, თავისი ბაქიბუქის უკეთ დასაფარავად, სულაც არ ერიდება მისი თანდასწრებით დაუპირისპირდეს საკუთარ თავს, რასაც ოდისევსი, სხვათა შორის, ვერ ამჩნევს ყოველ შემთხვევაში, მისი პასუხიდან არა ჩანს, რომ მიუხვდა სიცრუეს.

ჰ ი პ ი ა. მაინც რას გულისხმობ, სოკრატე?

ს ო კ რ ა ტ ე. ნუთუ არ იცი, რომ მას შემდეგ, რაც ოდისევსს უთხრა, ხვალ დილაუდენია გავუდგები გზასო, აიანტს უკვე გამგზავრებაზე კი აღარ ელაპარაკება, არამედ სულ სხვა რამეზე.

ჰ ი პ ი ა. სად, რა ადგილას?

ს ო კ რ ა ტ ე. სადაც ის ამბობს:

„არ ჩავებმები მე მანამდის სისხლისმღვრელ ომში,
სანამდის ბრძენი პრიამეს ძე, დიდი ჰექტორი,
მუსრს არ გაავლებს არგიველთ და არ მოადგება
მირმიდონელთა კარვებსა და იმათ ხომალდებს,
რათა ცეცხლი მისცეს ყველაფერი; და მხოლოდ მაშინ,
ჩემს კარავთან და ჩემი შავი ხომალდის გვერდით,
მე იმედი მაქვს, რომ დავაცხრობ მის მძვინვარებას".[21]

როგორ გგონია, ჰიპია, ნუთუ თეტიდას[22] ვაჟი და ბრძენთაბრძენი ქირონის[23] აღზრდილი ისე გულმავიწყი იყო, რომ მას შემდეგ, რაც სულ ცოტა ხნის წინ ყოვლად უშვერი სიტყვით ლანძღავდა და აგინებდა ცბიერ ხალხს, ისევ თვითონვე ეუბნება ოდისევსს, რომ მოემგზავრება, აიანტს კი უცხადებს, დარჩენას ვაპირებო? ნუთუ განზრახ არ იქცევა ასე, რადგანაც, მიამიტად რომ თვლის ოდისევსს, დარწმუნებულია, სიცრუითა და ცბიერებით ვაჯობებო.

ჰ ი პ ი ა. არა მგონია, სოკრატე. აიანტს რომ ერთს ეუბნება და ოდისევსს — მეორეს, ეს აიხსნება მხოლოდ მისი კეთილშობილებით, რამაც გადაწყვეტილება შეაცვლევინა. ხოლო ოდისევსი, მაშინაც კი, როცა სიმართლეს ამბობს, ყოველთვის რაღაც წინასწარი განზრახვით ლაპარაკობს, და როდესაც ცრუობს — ასევე.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, ოდისევსი აქილევსზე უკეთესია.

ჰ ი პ ი ა. არამც და არამც, სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. ვითომ რატომაო? განა ახლახან არ ვაღიარეთ, რომ ის, ვინც თავისი ნებით ცრუობს, იმაზე უკეთესია, ვინც თავისდა უნებურად ტყუის?

ჰ ი პ ი ა. კი მაგრამ, როგორ შეიძლება, სოკრატე, რომ ის, ვინც თავისი ნებით სჩადის უსამართლობას, განზრახ იქცევა უკეთურად და შეგნებულად ავკაცობს, იმაზე უკეთესი იყოს, ვინც თავისდა უნებურად იქცევა ასე? რადგან, ჩემის აზრით, ამ უკანასკნელს ბევრი რამ მიეტევება კიდეც, ვინაიდან არ იცის, რომ უსამართლოდ იქცევა, ავკაცობს ან სხვა რამ ბოროტებას სჩადის. კანონებიც ხომ გაცილებით უფრო მკაცრნი არიან იმის

მიმართ, ვინც თავისი ნებით სჩადის ბოროტებას, ან განზრახ ცრუობს, ვიდრე მის მიმართ, ვინც თავისდა უნებურად იქცევა ასე.

სოკრატე. ხომ ხედავ, ჰიპია, რარიგ მართალი ვარ, როდესაც ვამბობ, ბრძენკაცებთან საუბრისას ნამდვილი აბეზარივით ვიქცევი-მეთქი? შეაძლოა, სწორედ ესაა ჩემი ერთადერთი ღირსება, დანარჩენისა კი რა მოგახსენო. საგანთა ნამდვილი არსება ხელიდან მისხლტება, და მე არ ვიცი, რას წარმოადგენს იგი. აი, ამის სარწმუნო საბუთიც: ყოველთვის, როცა შენნაირ მცოდნე და თავისი სიბრძნით მთელს ელადაში სახელგანთქმულ ხალხს ვხვდები ხოლმე, თვალნათლივ ვრწმუნდები ჩემს უმეცრებაში — [illegible] არ არაგბობს, ასე ვთქვათ, არცერთი საკითხი, თქვენსა თვალსაზრისსა რომ ვიზიარებდე. ხოლო რა შეიძლება იყოს უმეცრების იმაზე უკეთესი საბუთი, რომ ბრძენკაცებს არ ეთანხმები? მაგრამ მე მაქვს ერთი საოცარი თვისება: ჩემი მხსნელი და გადამრჩენელი: სწავლისა არა მრცხვენია, ვკითხულობ, ვიკვლევ, ვიძიებ და ყველას მადლობელი ვარ, ვინც პასუხის ღირსადა მთვლის; ვერავინ ვერ დამწამებს უმადურებას: არასოდეს ჩემად არ გამისაღებია სხვისგან ნასწავლი, არასოდეს მითქვამს, ჩემით აღმოვაჩინე-მეთქი ის, რასაც სხვისი წყალობით მივაკვლიე. პირიქით, როგორც ბრძენს, ვადიდებ და თაყვანს ვცემ ყველას, ვინც რაიმეს მასწავლის, და, ვცდილობ სხვებსაც გავანდო ის, რაც მათგან ვისწავლე. აი, ახლაც, მე არ ვეთანხმები შენს ნათქვამს და სულ სხვაგვარად ვფიქრობ, მაგრამ მშვენივრად ვიცი, რომ ამაში მე თვითონ ვარ დამნაშავე, რადგან ისა ვარ, რაცა ვარ, ჩემს თავზე რომ მეტი აღარაფერი ვთქვა. მაგრამ მე მგონია, ჰიპია, რომ საქმე სულ სხვანაირადაა, ვიდრე შენ ამბობ: ის, ვინც შეგნებულად ვნებს ადამიანებს და უნებურად კი არა, თავისი ნებით სჩადის უსამართლობას, ცრუობს, ტყუის და ცდება, ჩემის აზრით, იმაზე უკეთესია, ვინც თავისდა უნებურად იქცევა ასე. მართალია, ზოგჯერ ყველაფერი სულ სხვაგვარად წარმომიდგება, ასე რომ, თავგზააბნეულმა აღარც კი ვიცი, რა ვიფიქრო, და ეს ჩემი უმეცრების ბრალია მხოლოდ. ახლა კი თითქოს გონება დამიბნელდა და ცნობამიხდილს მგონია, რომ ის, ვინც თავისი ნებით სჩადის ბოროტებას, იმაზე უკეთესია, ვინც თავისდა უნებურად ავკაცობს. ამ ჩემი ახლანდელი უბედურების მიზეზად ჩვენი წეღანდელი მსჯელობა მიმაჩნია: სწორედ ამისი ბრალია, რომ მას, ვინც უნებურად სცოდავს, თავისი ნებით შემცოდეზე უარესად ვთვლი. მაშ, მოწყალება მოიღე და ნუ დაიზარებ უმკურნალო ჩემს სულს. ამაზე დიდ სიკეთეს ვერავინ მიზამს, რადგან სულის სალმობის განკურნება უფრო დიდი მადლია, ვიდრე ხორცის სნეულებისა. მაგრამ თუ გრძელი სიტყვის წარმოთქმას აპირებ, წინასწარ უნდა გითხრა, რომ ვერას მიშველი, რადგან იმისი თავი არა მაქვს, რომ ყურადღებით მოგისმინო; ხოლო თუ წეღანდელივით მოკლედ მიპასუხებ, მეც მეშველება და, ვფიქრობ, არც შენ გევნება რამე. სამართლიანობა მოითხოვს, რომ შენც მოგმართო, აპემანტეს ძევ, ვინაიდან სწორედ შენ წამაქეზე ჰიპიასთან სასაუბროდ; ამიტომ, თუ ახლა ჰიპია არ ინებებს, რომ მიპასუხოს, ჩემს მაგივრად შენ სთხოვე მას.

ევდიკე. არა მგონია, რომ ჰიპიას ჩვენი თხოვნა დასჭირდეს, სოკრატე: ვინაიდან ამას როდი დაგვპირდა თავდაპირველად, არამედ თქვა, რომ არავის კითხვების წინაშე არ დაიხევს უკან; ხომ სწორია, ჰიპია, ასე არა თქვი?

ჰიპია. რა თქმა უნდა, ევდიკე, მაგრამ სოკრატე საუბრისას ყოველთვის წყლის ამღვრევას ცდილობს: ბოროტმოქმედია, აბა რა არი?

სოკრატე. ეჰ, ჩემო ძვირფასო ჰიპია, ჩემი ნებით როდი ჩავდივარ ამას, — მაშინ ხომ, შენი მტკიცებით, მცოდნეც ვიქნებოდი და შემძლეც, — არამედ ჩემდა უნებურად; ასე რომ, უნდა მომიტევო, რაკიღა შენვე ამბობ, რომ მიმტევებელნი უნდა ვიყოთ იმის მიმართ, ვინც თავისდა უნებურად სჩადის ბოროტს.

ევდიკე. ასეც მოიქეცი, ჰიპია; თუ ოდნავ მაინც პატივსა გვცემ ჩვენცა და შენს პირველად ნათქვამ სიტყვასაც, რაც უნდა გკითხოს სოკრატემ, უპასუხე.

ჰიპია. რახან ასე მთხოვ, ვუპასუხებ. მკითხე, რაც გნებავს.[14] ახლახან ითქვა: მაინც რომელია უკეთესი, — ის, ვინც თავისი ნებით სცოდავს, თუ ის, ვინც თავისდა უნებურად ცდება? ჩემის აზრით, სწორედ ესაა მიზნისაკენ მიმავალი პირდაპირი გზა. მაშ, მიპასუხე: უწოდებ თუ არა ვილაცას კარგ მორბენალს?

ჰიპია. რა თქმა უნდა.

სოკრატე. ცუდსაც?

ჰიპია. დიახ.

სოკრატე. ის, ვინც სწრაფად [illegible] ს-
წრაფად დარბის, — კარგი?

ჰიპია. დიახ.

სოკრატე. ასე რომ, ვინც სწრაფად ვერ დარბის, ცუდად დარბის, ხოლო ვინც სწრაფად დარბის, — კარგად?

ჰიპია. დიახ.

სოკრატე. მაშასადამე, სირბილში კარგია სისწრაფე, სიზანტე კი — ცუდი?

ჰიპია. მაშ, რა?

სოკრატე. მერედა, რომელია უკეთესი მორბენალი: ის, ვინც თავისი ნებით დარბის ზანტად, თუ ის, ვინც თავისდა უნებურად დარბის ასე?

ჰიპია. ის, ვინც თავისი ნებით დარბის ზანტად.

სოკრატე. მაგრამ სირბილი ხომ ერთგვარი მოქმედებაა?

ჰიპია. რა თქმა უნდა, მოქმედებაა.

სოკრატე. და თუ მოქმედებაა, მაშასადამე, რაღაცის კეთებაც, თავისებური გარჯაც არის?

ჰიპია. დიახ.

სოკრატე. ასე რომ, ვინც ცუდად დარბის, ცუდად და საძრახისად ირჯება სირბილში?

ჰიპია. რა თქმა უნდა, ცუდად.

სოკრატე. ცუდად კი ის დარბის, ვინც ზანტად დარბის?

ჰიპია. დიახ.

სოკრატე. მერედა, კარგი მორბენალი განა თავისი ნებით არ ირჯება ასე ცუდად და საძრახისად, ცუდი მორბენალი კი — თავისდა უნებურად?

ჰიპია. როგორც ჩანს.

სოკრატე. მაშასადამე, ის, ვინც სირბილში თავისდა უნებურად ირჯება ცუდად, იმაზე უარესია, ვინც თავისი ნებით ირჯება ასე?

ჰიპია. სირბილში მართლაც ასეა.

სოკრატე. ჭიდაობაში? რომელი მოჭიდავეა უკეთესი: ის, ვინც თავისდა უნებურად იქცევა, თუ ვინც თავისი ნებით აკეთებს ამას?

ჰიპია. როგორც ჩანს, ის, ვინც თავისი ნებით იქცევა.

სოკრატე. რა უფრო ცუდი და საძრახისია ჭიდაობაში: რომ წაიქცე თუ რომ წააქციო?

ჰიპია. რომ წაიქცე.

სოკრატე. მაშასადამე, ჭიდაობაშიც ის, ვინც თავისი ნებით ირჯება ცუდად და საძრახისად, იმაზე უკეთესი მოჭიდავეა, ვინც თავისდა უნებურად ირჯება ასე.

ჰიპია. როგორც ჩანს.

სოკრატე. რაც შეეხება სხეულის ყველა სხვანაირ წვრთნას? უფრო ძლიერსა და ღონიერს განა უკეთ არ შეუძლია როგორც ერთის, ისე მეორის, ესე იგი, სიძლიერისა და სისუსტის გამოჩენა, საძრახისი თუ სასახელო საქმის ჩადენა? ასე რომ, როცა საძრახისად ირჯება, უფრო ძლიერი თავისი ნებით ირჯება, უფრო სუსტი კი — თავისდა უნებურად?

ჰიპია. როგორც ჩანს, ძალის თვალსაზრისით ასეა.

სოკრატე. მომხიბვლელობისთვის რაღას იტყვი, ჰიპია? განა უფრო მშვენიერი სახე თავისი ნებით არ იღებს ცუდსა და საძრახის იერს, ნაკლებ მშვენიერი კი — თავისდა უნებურად? რაო, განა ასე არ არის?

ჰიპია. ასეა.

სოკრატე. მაშასადამე, მახინჯი იერი, რომელსაც თავისი ნებით იღებს სახე, კეთილსახიერების შედეგია. უნებური სიმახინჯე კი უსახურებისა.

ჰიპია. როგორც ჩანს.

სოკრატე. ან ხმაზე რაღა ითქმის? შენის აზრით, რომელი ხმა უკეთესია; თავისი ნებით რომ მღერის ყალბად თუ — თავისდა უნებურად?

ჰიპია. თავისი ნებით რომ მღერის ყალბად.

სოკრატე. მეორე კი უვარგისი?

ჰიპია. დიახ.

ს ო კ რ ა ტ ე. რის ფლობას ისურვებდი უფრო მეტად, სიკეთისას თუ ბოროტებისას?

ჰ ი პ ი ა. სიკეთისას.

ს ო კ რ ა ტ ე. მერედა, რას ამჯობინებდი, შენივე ნებით კოჭლობას თუ შენდა უნებურად?

ჰ ი პ ი ა. ჩემივე ნებით კოჭლობას.

ს ო კ რ ა ტ ე. მაგრამ კოჭლობა ხომ ფეხების ნაკლია და სიმახინჯე?

ჰ ი პ ი ა. დიახ.

ს ო კ რ ა ტ ე. ზუსტად ასევე, სიბეცე ხომ თვალების ნაკლია?

ჰ ი პ ი ა. დიახ.

ს ო კ რ ა ტ ე. მეორედა, რას ისურვებდი, რანაირი თვალები გქონდეს სამზერად: თავისი ნებით რომ არიან ბეცი და ელამი თუ თავისდა უნებურად?

ჰ ი პ ი ა. თავისი ნებით.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, შენივე საკუთარი ასოებიდან ამჯობინებდი სწორედ იმათ, თავიანთ დანიშნულებას უნებურად კი არა, ნებაყოფლობით რომ ასრულებენ ცუდად?

ჰ ი პ ი ა. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. იგივე ითქმის ყოველივე დანარჩენის, როგორც მაგალითად, ყურების, ცხვირის, პირის, ყოველგვარი გრძნობის და სხვათა მიმართ: როგორც უვარგისნი, არასასურველად მიგაჩნია ისინი, თავიანთ დანიშნულებას უნებურად რომ ასრულებენ ცუდად, და პირიქით სასურველად თვლი იმათ ფლობას, თავიანთ დანიშნულებას, როგორც ვარგისნი, საკუთარი ნება-სურვილით რომ ასრულებენ ცუდად?

ჰ ი პ ი ა. აგრე მგონია.

ს ო კ რ ა ტ ე. იარაღებზე რაღას იტყვი? რომელია, შენის აზრით უკეთესი სახმარი: რომელსაც შენი ნებით ხმარობ ცუდად თუ —ძალაუნებურად? ასე მაგალითად, რომელი საჭე სჯობია: რომელსაც შენი ნებით მართავ ცუდად თუ — შენდა უნებურად?

ჰ ი პ ი ა. ჩემივე ნებით რომ ვმართავ ცუდად.

ს ო კ რ ა ტ ე. განა იგივე არ ითქმის მშვილდის, ლირის, სალამურის თუ სხვა მისთანათა მიმართ?

ჰ ი პ ი ა. მართალს ბრძანებ.

ს ო კ რ ა ტ ე. კი მაგრამ, რას ამჯობინებ, რანაირი ზნის ცხენის ყოლას: რომელსაც შენი ნებით იურვებ ცუდად თუ შენდა უნებურად?

ჰ ი პ ი ა. ჩემი ნებით რომ ვიურვებ ცუდად.

ს ო კ რ ა ტ ე. იმიტომ, რომ უკეთესია?

ჰ ი პ ი ა. დიახ.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, კარგი ზნის ცხენით კაცს შეუძლია მხოლოდ თავისი ნებით შეასრულოს ცუდად ის, რაც მისი ცხენის ზნეზეა დამოკიდებული, მაშინ როდესაც ცუდი ზნის ცხენით, უნდა თუ არა იძულებულია ასე მოიქცეს.

ჰ ი პ ი ა. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. იგივე ითქმის ძაღლსა და სხვა ცხოველებზედაც?

ჰ ი პ ი ა. დიახ.

ს ო კ რ ა ტ ე. ზუსტად ასევე, რანაირი ზნის მშვილდოსნის ყოლას ამჯობინებ: ვინც თავისი ნებით არ ახვედრებს მიზანში თუ ვინც თავისდა უნებურად აცილებს მიზანს?

ჰ ი პ ი ა. ვინც თავისი ნებით არ ახვედრებს მიზანში.

ს ო კ რ ა ტ ე. ესე იგი, მშვილდოსნობისთვის ამნაირი ზნე უკეთესია?

ჰ ი პ ი ა. დიახ.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, მისი ზნე, ვინც თავისდა უნებურად აცილებს მიზანს, იმის ზნეზე უარესია, ვინც თავისი ნებით იქცევა ასე?

ჰ ი პ ი ა. მშვილდოსნობაში — რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. სამკურნალო ხელოვნებაზე რაღას იტყვი: განა სწორედ მისი ზნე და მისი სული არ არის „უმკურნალესი“, ვინც თავისი ნებით აყენებს ვნებას სხეულს?

ჰ ი პ ი ა. დიახ.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, ამ ხელოვნებაში ეს უფრო უკეთესია იმაზე, ვინც თავისდა უნებურად იქცევა ასე?

ჰ ი პ ი ა. უკეთესია.

სოკრატე. ზუსტად ასევე, განა კითარასა ან სალამურზე დაკვრასა თუ ყოველგვარ ხელოვნებასა და ყოველგვარ მეცნიერებაში გაწაფული სული, რომელიც თავისი ნებით ცდება, თავისი ნებით სცოდავს სილამაზისა და წესრიგის წინაშე, დიახ, განა სწორედ ეს სული არ იქნება იმაზე უკეთესი, ვინც თავისდა უნებურად იქცევა ასე?

ჰიპია. როგორც ჩანს.

სოკრატე. ხოლო რაც შეეხება მონების სულს, ჩვენ, რასაკვირველია, ვამჯობინებდით იმნაირი სულების ფლობას, რომლებიც თავიანთი ნებით სცოდავენ და ავკაცობენ, და არა იმ სულებისა, რომლებიც თავისდა უნებურად სჩადიან ამას, რადგან პირველნი გაცილებით უფრო უკეთესნი არიან.

ჰიპია. დიახ.

სოკრატე. კი მაგრამ, თვით ჩვენსავე სულზე რაღას ვიტყვით? ვისურვებდით თუ არა, რომ რაც შეიძლება უკეთესი სული გვქონდეს?

ჰიპია. დიახ.

სოკრატე. მერედა, განა ჩვენი სულიც უკეთესი არ იქნება მაშინ, როცა თავისი ნებით სცოდავს და ბოროტებას სჩადის, ვიდრე მაშინ, როცა თავისდა უნებურად იქცევა ასე?

ჰიპია. მაგრამ ხომ უცნაური იქნებოდა, სოკრატე, რომ ის, ვინც თავისი ნებით სჩადის უსამართლობას, უფრო უკეთესი იყოს, ვიდრე ის, ვინც თავისდა უნებურად იქცევა უსამართლოდ? *

სოკრატე. და მაინც, ზემოთქმულიდან ასე ჩანს.

ჰიპია. მაგრამ მე მაინც არ მეჩვენება ასე.

სოკრატე. მე კი მეგონა, ჰიპია, რომ შენც ასევე გეჩვენებოდა, მაგრამ ამ კითხვაზე მიპასუხე: განა სამართლიანობა ერთგვარი ძალა არ არის, ან ცოდნა[15] ან კიდევ ერთიცა და მეორეც? ყოველ შემთხვევაში განა აუცილებელი არ არის, რომ სამართლიანობა ერთ-ერთი ამათთაგანი იყოს?

ჰიპია. დიახ.

სოკრატე. ხოლო თუ სამართლიანობა სულის ძალაა, მაშინ ყველაზე ძლიერი სული ყველაზე სამართლიანი უნდა იყოს. განა სწორედ ამნაირი სული არ მივიჩნიეთ უკეთესად, ჩემო ძვირფასო?

ჰიპია. დიახ, მივიჩნიეთ.

სოკრატე. მაგრამ თუ სამართლიანობა ცოდნაა? მაშინ ყველაზე მცოდნე სული ყველაზე სამართლიანი უნდა იყოს, ხოლო ყველაზე უმეცარი — ყველაზე უსამართლო?

ჰიპია. დიახ.

სოკრატე. და თუ ის ერთიცაა და მეორეც? მაშინ ყველაზე მცოდნე და ყველაზე ძლიერი სული ყველაზე სამართლიანი უნდა იყოს, ხოლო ყველაზე უმეცარი და ყველაზე უძლური სული — ყველაზე უსამართლო? ხომ ასეა აუცილებლად?

ჰიპია. როგორც ჩანს.

სოკრატე. კი მაგრამ, ჩვენ ხომ ვაღიარეთ, რომ, რაკი ყველაზე ძლიერი და ყველაზე მცოდნე სული, იმავდროულად, ყველაზე უკეთესია, ამიტომ მას ყველაზე მეტად შესწევს იმისი ძალა, რომ ყოველგვარ საქმეში თანაბრად ჩაიდინოს როგორც ერთი, ისე მეორეც, — მშვენიერიც და საძრახისიც?

ჰიპია. დიახ.

სოკრატე. მაშასადამე, როცა ის საძრახის საქმეს სჩადის, თავისი ნებით, თავისი ძალისა და ცოდნის წყალობით სჩადის, ხოლო ერთიცა და მეორეც, ძალაც და ცოდნაც, ან ერთ-ერთი მათგანი მაინც, როგორც ჩანს, სამართლიანობას უკავშირდება.

ჰიპია. როგორც ჩანს.

სოკრატე. მაგრამ უსამართლობის ჩადენა ბოროტმოქმედებაა, სამართლიანობისა კი — სიკეთის ქმნა?

ჰიპია. დიახ.

სოკრატე. მერედა, როცა ყველაზე ძლიერი და უკეთესი სული სჩადის უსამართლობას, განა თავისი ნებით არ სჩადის მას, უარესი კი — თავისდა უნებურად?

ჰიპია. როგორც ჩანს.

სოკრატე. მაგრამ კეთილი კაცი ხომ ისაა, ვისაც კეთილი სული აქვს? ბოროტ კაცს კი ბოროტი სული აქვს, არა?

ჰ ი პ ი ა. დიახ.

ს ო კ რ ა ტ ე. მაშასადამე, კეთილი კაცი თავისი ნებით სჩადის უსამართლობას, ბოროტი კი — თავისდა უნებურად, რადგანაც კეთილ კაცს კეთილი სული აქვს.

ჰ ი პ ი ა. რა თქმა უნდა, კეთილი სული აქვს.

ს ო კ რ ა ტ ე. ასე რომ, თუ ვინმე სცოდავს და სამარცხვინო საქმესა თუ უსამართლობას სჩადის, მხოლოდ და მხოლოდ კეთილი კაცი სცოდავს და სჩადის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰ ი პ ი ა. არ ვიცი, როგორ დაგეთანხმო ამაში, სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. საქმე ისაა, რომ არც მე შემიძლია დავეთანხმო ჩემს თავს, ჰიპია; მაგრამ ამ ჩვენი ახლანდელი მსჯელობიდან, გინდა თუ არა, ასე გამოდის. როგორც წეღან მოგახსენე, ამ საკითხთან დაკავშირებით თავგზააბნეული ვაწყდები აქეთ-იქით და ვერაფრით ერთ აზრზე ვერ შევჩერებულვარ. თუმცა ჩემი, ან სხვა — ჩემსავით უბირი კაცის დაბნეულობა რა მოსატანია, თუკი თქვენ — ბრძენკაცნიც ჩვენსავით დაბნეულნი დაბორიალობთ. აი, სწორედ ეს არის ჩვენთვის საშიში, ვინაიდან თქვენგან სულ ამაოდ მოველით საშველს, რაკილა არ შეგიძლიათ ამ გაჭირვებიდან გამოგვიყვანოთ.

კომენტარები

ევთიფრონი

1. **ლიკეონი** — ათენის ერთ-ერთი გიმნასიონი (სპორტული და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა); მდებარეობდა ათენის გარეუბანში, აპოლონ ლიკეიოსის („მგელთმმუსვრელის") ტაძრის მახლობლად. სოკრატეს საყვარელი ადგილი (იხ. პლატონი, ლისისი, 203a; ნადიმი, 223d; აგრეთვე ქსენოფონტე, მოგონებები სოკრატეზე, I, 1, 10), აქ ესაუბრებოდა იგი ათენელ მოქალაქეებს, უმეტესწილად — ახალგაზრდებს. უფრო გვიან ლიკეონში ლექციებს კითხულობდა არისტოტელე.

2. **სამეფო ბჭე** (სტოა ბასილეიოს) — ე. წ. „მეფე-არქონტის" რეზიდენცია, რომელიც მდებარეობდა ათენის ჩრდ.-დას. ნაწილში, „კერამეიკოსის" უბანში, ზევს ელევთერიოსის (განმათავისუფლებლის) ტაძრის მახლობლად.

3. **მეფე** — იგულისხმება „მეფე-არქონტი"... მას შემდეგ, რაც ათენის მეფე კოდროსი პელოპონესიდან შემოჭრილ დორიელებთან ბრძოლაში დაიღუპა (1068 წ. ძვ. წ. ა.), ათენელმა დიდებულებმა (ევპატრიდებმა) ისარგებლეს მის მემკვიდრეებს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოებით და საბოლოოდ გააუქმეს მეფობა. ამის შემდეგ 683 წლამდე (ძვ. წ. ა.) კოდროსის შთამომავალთაგან ირჩევდნენ სახელმწიფოს მმართველ არქონტს, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ეჭირა ეს თანამდებობა, ხოლო ამ დროიდან მოყოლებული, არქონტთა არჩევის წესმა რადიკალური ცვლილება განიცადა: ახლა უკვე ევპატრიდების წრიდან ყოველწლიურად ირჩევდნენ 9 არქონტს, რომელთა შორისაც ნაწილდებოდა მთელი ის ძალაუფლება, უწინ მხოლოდ ერთ არქონტს რომ ეკუთვნოდა. პირველ არქონტს (არქონ ეპონიმოს), ვისი სახელითაც იწოდებოდა მისი მმართველობის წელი, რელიგიური დღესასწაულების გამართვა, ქვრივ-ობლებზე ზრუნვა, საოჯახო კონფლიქტების მოწესრიგება, კალენდრის სიზუსტისათვის თვალყურის დევნება და სხვა მისთანანი ევალებოდა. მეორე არქონტი (არქონ ბასილეუს — მეფე-არქონტი) რელიგიური კულტის უზენაეს ზედამხედველად, მისტერიების გამრიგედ და ზნეობისა თუ სარწმუნოების შემბღალავ აქტთა განმხილველად ითვლებოდა, ერთი სიტყვით, ასრულებდა ქურუმთუხუცესის მოვალეობებს, რომლებიც უწინ მეფეს ეკუთვნოდა. მესამე არქონტი („არქონ პოლემარქოს") უმაღლესი მხედართმთავარი იყო, სახელმწიფოს სახელით მსხვერპლს სწირავდა ომიანობის ღმერთებს, ზედამხედველობდა სამგლოვიარო ასპარეზობებს, რომლებიც ბრძოლის ველზე დაღუპულთა პატივსაცემად იმართებოდა და ა. შ. დანარჩენი ექვსი არქონტი „თესმოთეტებად" (კანონმდებლებად) იწოდებოდა. ისინი ყოველწლიურად გადასინჯავდნენ სახელმწიფოში მოქმედ კანონებს და თავმჯდომარეობდნენ სასამართლოს სხდომებს, სადაც ირჩეოდა ის საქმეები, რომლებიც პირველი სამი არქონტის იურისდიქციას არ ექვემდებარებოდა. ზემოხსენებულ პირველ სამ არქონტს სხვადასხვა ადგილას ჰქონდა რეზიდენცია: პირველს — მთავარ მოედანზე, მეორეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ (იხ. წინა შენიშვნა) — ზევს ელევთერიოსის ტაძრის მახლობლად, ხოლო მესამეს — ქალაქგარეთ, ლიკეონის გიმნასიონთან.

4. **მელეტოსი** — უნიჭო ტრაგიკოსი პოეტი, მდიდარ ათენელ მოქალაქე ანიტოსსა და საეჭვო რეპუტაციის მქონე რიტორ ლიკონთან ერთად სოკრატეს ერთ-ერთი ოფიცია-

ლური ბრალმდებელი იმ სასამართლო პროცესზე (399 წ. ძვ. წ. ა.), რომელმაც დიდ ბერძენ ფილოსოფოსს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა (იხ. პლატონი, სოკრატეს აპოლოგია, 19bc; ქსენოფონტე, სოკრატეს აპოლოგია, 11; 19-20; დიოგენე ლაერტელი, სახელგანთქმულ ფილოსოფოსთა ცხოვრება, II, 38-40).

5. დედანში — „პითოეის დემოსიდან". დემოსი იყო ე. წ. ფილეს — თავდაპირველად, საგვარეულო თემის, ხოლო შემდეგ — პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენელი ნაწილი. ძველ ატიკაში სულ 4 ფილე იყო, ხოლო სიკიონელი ტირანის კლისთენეს (დაახლ. 600-565 წ. ძვ. წ. ა.) შვილიშვილის, ათენელ დიდგვაროვანთა და მსხვილ მეწარმეთა პარტიის ბელადის კლისთენეს (პაპის სეხნია გახლდათ) 510 წლის რეფორმით მთელი ატიკა 10 ფილედ იქნა დაყოფილი, რომლებსაც ბერძენ გმირთა სახელები ეწოდა (ერეხთეიდის, ეგეიდის, პანდიონიდის, ლეონტიდის, აკამანტიდის, ენეიდის, კეკროპიდის, ჰიპოთონტიდის, აიანტიდისა და ანტიოქიდის ფილები). თვითეული ფილე, თავის მხრივ, 10 დემოსად იყოფოდა, ასე რომ, დემოსთა საერთო რიცხვი 100-ს უდრიდა. უფრო გვიან მათმა რაოდენობამ 174-ს მიაღწია. პითოეის დემოსი, რომლის მკვიდრიც იყო მელეტოსი, კეკროპიდის ფილეში შედიოდა.

6. შდრ. პლატონი, სოკრატეს აპოლოგია, 24bc; ქსენოფონტე, მოგონებები სოკრატეზე, I, I, I; დიოგენე ლაერტელი, სახელგანთქმულ ფილოსოფოსთა ცხოვრება, II, 40.

7. **დემონი** („დაიმონ") — იგულისხმება სოკრატეს სულში დამკვიდრებული ზებუნებრივი ღვთაებრივი ძალა თუ სინიდისის იდუმალი მბრძანებლური ხმა, რომელიც, სოკრატესავე მოწმობით, დროდადრო ერთგვარი შთაგონებით ავსებდა და ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში ქცევის წესსა და მოქმედების გზას უჩვენებდა მას. შდრ. პლატონი, სოკრატეს აპოლოგია, 31d; ევთიდემე, 272e; პირველი ალკიბიადე, 103ab; დიდი ჰიპია, 304a; ფედროსი, 242b; თეეტეტი, 151a; შდ. აგრეთვე, ქსენოფონტე, მოგონებები სოკრატეზე, I, I, 4; არისტოტელე, რიტორიკა, II, 23, 8. პლუტარქე, სოკრატეს გენიისათვის; ციცერონი, მისნობისათვის, I, 54; აპულეუსი, სოკრატეს ღვთაებისათვის... სოკრატეს მთელი ცხოვრება ეს იყო სიწმინდისა და კეთილშობილების, სიბრძნისა და სიკეთისადმი უანგარო სამსახურისა და ზნეობრივი სრულქმნილებისაკენ სწრაფვის ნიმუში. ყველა ამ სიქველეს ის უყოყმანოდ მიაწერდა სწორედ საკუთარ დემონს. სოკრატეს ეს მრწამსი, რომელსაც, ერთი ინგლისელი პოეტის კვალდაკვალ, ჩვენ შეგვიძლია მართებულად ვუწოდოთ „სულის კულტი კაცის სხეულში", უფრო გვიან სტოელთა მორალური მოძღვრების საფუძვლად იქცა (იხ. მარკუს ავრელიუსი, ფიქრები, თბილისი, 1972, გვ. 299)...

საინტერესოა სოკრატეს დემონის მიშელ მონტენისეული ინტერპრეტაცია: „სოკრატეს დემონი, როგორც ჩანს, სხვა არა იყო რა, თუ არა მისი ნების ერთგვარი აღმაფრენა, რაც მისსავე გონებაზე როდი გახლდათ დამოკიდებული. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ესოდენ ამაღლებულსა და თანაც სიბრძნესა და სიქველეში მუდმივი თვითწვრთნით გამობრძმედილ სულში ნების ამგვარი მიდრეკილება, მთელი მისი ბუნდოვანებისა და გაუცნობიერებლობის მიუხედავად, ალბათ, ყოველთვის გონივრული იყო და ღირსი იმისა, რომ მის მბრძანებლურ კარნახს აჰყოლოდა კაცი. თვითეულ ჩვენგანს მეტ-ნაკლები სიცხადით განუცდია სულის ასეთივე ძლევამოსილი ლტოლვა, ანაზდეულად და მძაფრად აღძრული. მე ხომ ის კაცი ვარ, ვისაც ეჭვის თვალით უყურებს ადამიანთა გონიერებას, მაგრამ [illegible] ჩემს თვალშიაც კი დიდად ფასობს ნების ესოდენ ძალუმი აღტყინება. თვითონაც ხშირად განმიცდია ეს უჩვეულო მდგომარეობა, არნახული ძალით რომ გვიზიდავს რაიმეს მიმართ, ანდა ზურგს გვაქცევინებს მისთვის; ეს უკანასკნელი განცდა უფრო ნიშნეული იყო სოკრატესათვის. მეც არაერთხელ ავყოლივარ ამ იდუმალი ხმის მბრძანებლურ კარნახს, რაც ბევრჯერ იმდენად დიდებული და ღირსშესანიშნავი შედეგით დაგვირგვინებულა, რომ, ღმერთმანი, მისი მიზეზი ღვთაებრივ შთაგონებასთან უნდა იყოს წილნაყარი" (ცდები, I, თავი XI, წინასწარმეტყველებათათვის).

8. სოკრატე არავითარ გასამრჯელოს არ იღებდა სწავლების საფასურად (იხ. პლატონი, სოკრატეს აპოლოგია, 19e; ქსენოფონტე, მოგონებები სოკრატეზე I, II, 5, 60), რამაც იგი თავისი ხელობით მოვაჭრე სოფისტების სიძულვილის საგნად აქცია.

9. **ჰერაკლე** — ძველი საბერძნეთის ყველაზე პოპულარული მითიური გმირი, ზევსისა და ალკმენეს ვაჟი.

10. **ვფიცავ ზევსს** — ფიცის ფორმულა. განსაკუთრებით ხშირად დადასტურებული

[illegible]

11. ნაქსოსი — ე. წ. „კიკლადთა" ჯგუფის ყველაზე დიდი კუნძული ეგეოსის ზღვაში. ოდითგანვე განთქმული თავისი ნაყოფიერი ბაღ-ვენახებით 536 თუ 528 წ. ნაქსოსი დაიპყრო ათენის ტირანმა პისისტრატემ (541-528 წ. ძვ. წ. ა.) და მის განკარგულებით ტირანი ლიგდამიდე დანიშნა...

466 წელს კუნძული ხელახლა დაიმორჩილეს ათენელებმა და [illegible] თავიანთი ჩვეულებისამებრ, მრავალრიცხოვანი კლერუხები (კოლონისტები) [illegible] რომლებსაც საკუთარი მამულები უბოძეს. როგორც ჩანს, ევთიფრონი და მამამისი ამ კლერუხთა წრეს ეკუთვნოდნენ.

12. დედანში — „ეგზეგეტი" — ოფიციალური სასულიერო პირი ათენში, რომელსაც ევალებოდა ღვთაების მიერ მოვლენილ ნიშანთა საკრალური აზრის განმარტება, მიცვალებულთა განსვენებისათვის თვალყურის დევნება, დამნაშავეთა განწმენდის მიზნით სათანადო რიტუალის შესრულება და ა. შ. ეგზეგეტები სამნი იყვნენ.

13. კანონის თანახმად, ბრალდებულს შეეძლო პროცესის დაწყებამდე და თვით სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გარკვეული პირობით, შეეთავაზებინა ბრალმდებლისათვის უკან წაეღო თავისი ბრალდება. ვინაიდან იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი ვერ მოაგროვებდა საჭირო ხმების 1/5-ს და, ამრიგად, ვერ დაამტკიცებდა ბრალდების სისწორეს, იძულებული იქნებოდა გადაეხადა ფულადი ჯარიმა 1000 დრაქმის რაოდენობით და, თანაც, ჩამოერთმეოდა იმის უფლება, რომ შემდგომში ვინმესთვის დაედო ბრალი.

14. ევთიფრონი პოპულარულ თეოგონიურ მითებს გულისხმობს: ძველი ბერძნული პანთეონის უზენაესი ღვთაება, ცის ღმერთი ურანოსი შეეუღლა დედამიწის ქალღმერთს გეას (ციური წყლებით განაყოფიერებული მიწის სიმბოლო). მათი კავშირისაგან იშვნენ ტიტანები და ტიტანიდები, კიკლოპები და ჰეკატონხეირები (ასმკლავიანი ურჩხულები). ურანოსმა იცოდა, რომ ერთ-ერთი ძეთაგანი დაამხობდა და სამყაროს მეუფებას წაართმევდა, ამიტომაც თავის ნაშიერთ დედამიწის სიღრმეში ამწყვდევდა. მაშინ, გეას წაქეზებით, უფროსი ვაჟები — ტიტანები აუჯანყდნენ მამას. მათ შორის ყველაზე უმცროსმა — კრონოსმა დაამხო ურანოსი და სარცხვინელი ასო მოაჭრა მას; ამის შემდეგ შეეუღლა საკუთარ დას — ტიტანიდა რეას და თვითონ გახდა სამყაროს მბრძანებელი. მათი კავშირისაგან იშვნენ ჰესტია, დემეტრე, ჰერა, ჰადესი, პოსეიდონი და ზევსი. კრონოსს უწინასწარმეტყველეს, რომ მამამისის მსგავსად ერთ-ერთი ძეთაგანი დაამხობდა და ამიტომ დაბადებისთანავე ნთქავდა შვილებს. გამწარებულმა რეამ, ბოლოს და ბოლოს, ცბიერებას მიმართა: ახალშობილი ზევსის მაგივრად ჩვრებში გახვეული ქვა მიაწოდა კრონოსს და ასე გადაარჩინა თავისი ძე. დავაჟკაცებულმა ზევსმა დაამხო კრონოსი, უკანვე ამოანთხევინა ჩაყლაპული შვილები და ტარტაროსში ჩააგდო იგი.

15. სოკრატეს რელიგიურ გრძნობას შეურაცხყოფს პოპულარული მითოლოგიის ეს ტლანქი და გულუბრყვილო პრიმიტივიზმი.

16. პანათენური დღესასწაული — ე. წ. „ტა პანათენაია", ათენელთა ყველაზე დიდი და ყველაზე ძველი რელიგიურ-პანეგვირიკული დღესასწაული ქალღმერთ ათენას — ქალაქ ათენის ქომაგის პატივსაცემად, დაარსებული მითიური ერიხთონიოსის მიერ; უფრო გვიან თეზევსმა „პანათენაიად" გარდაქმნა იგი. პანათენური დღესასწაული იმართებოდა ყოველი ოლიმპიადის მესამე წელს (ე. ი. ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ) 24-29 ჰეკატომბაიონს (შეესატყვისება ამჟამინდელ ივლის-აგვისტოს). დღესასწაული იწყებოდა მუსიკალური ასპარეზობით, რომელიც პერიკლეს მიერ აგებულ ოდეონში იმართებოდა და რომელშიაც კითარედები და კითარისტები, ავლედები და ავლეტისტები და სხვა მუსიკალური საკრავების მიმდევრები მონაწილეობდნენ. იმავდროულად ეწყობოდა რაფსოდოსთა შეჯიბრიც (გადმოცემით, სწორედ პანათენურ დღესასწაულზე იქნა ჩაწერილი ჰომეროსის პოემები პისისტრატეს კომისიის მიერ, VI ს. ძვ. წ. ა.), მუსიკურ შეჯიბრს გიმნასტიკური და ჰიპიკური (ცხენოსანთა) ასპარეზობა ცვლიდა. პირველობისათვის ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ორქესტული და კიკლიკური გუნდებიც, აგრეთვე მორბენლები, რომლებსაც ხელში ანთებული ჩირაღდნები ეჭირათ (ე. ი. ლამპადედრომია). დღესასწაულის დასკვნითი ნაწილიდან, რომელსაც მისი საწყისი ეტაპისაგან (აგონ) განსხვავებით „პეორტე" ერქვა, განსაკუთრებით გამოირჩეოდა მთელი დღეობის ყველაზე გრანდიოზული აქტი — საზეიმო მსვლელობა (პომპე), რომელშიაც სადღესასწაულოდ მორ-

თულ-მოკაზმულ ათენელ მოქალაქეებთან ერთად სხვა პოლისების მრავალრიცხოვანი დელეგაციებიც და ელჩებიც მონაწილეობდნენ. პროცესიას წინ მიუძღოდნენ ქურუმთუხუცესნი, მოქალაქეთა წრიდან არჩეული წარმოსადეგი და დარბაისელი მოხუცები, კეთილშობილი ქალწულნი, მოკავშირე ქალაქების დეპუტაციები თავიანთი შესაწირავებითურთ, მათ მოჰყვებოდნენ მეტეკები (ათენში მცხოვრები უცხოელები), რომლებსაც ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი მოჰქონდათ, ქვეითი თუ ცხენოსანი ათლეტები, შემდეგ ქურუმები და სამსხვერპლო ზვარაკი, სულ ბოლოს — ხალხი. პროცესიაში მიჰქონდათ წმინდა ტრიერი, რომლის ანძაზეც ერეხთეიონში აღზრდილი ქალწულების ხელით მოქარგული ათენა-პალადას მოსასხამი იყო მიმაგრებული. პროცესია კერამეიკოსის (იხ. შენ. 2) გავლით მიემართებოდა ელევსინისაკენ, გვერდით ჩაუვლიდა მას და არეოპაგის მახლობლად ჩერდებოდა, სადაც მოსასხამს ჩამოხსნიდნენ და საპატიო კორტეჟის თანხლებით აკროპოლისის ყველაზე დიდებულ ტაძარში — ერეხთეიონში აჰქონდათ. „პომპე" ქალღმერთ ათენას დაბადების დღეს — 28 ჰეკატომბაიონს იმართებოდა. დღესასწაული მთავრდებოდა მსხვერპლშეწირვით (ჰეკატომბე) და საყოველთაო-სახალხო პურობით (ჰესტიასის). გარდა ამ „დიდი პანათენური დღესასწაულისა" (ტა მეგალა პანათენაია), არსებობდა „მცირე პანათენური დღესასწაულიც" (ტა მიკრა პანათენაია), რომელიც, დიდისგან განსხვავებით, მხოლოდ „აგონისაგან" შედგებოდა და ყოველწლიურად იმართებოდა.

17. **ჰეფესტო** — ზევსისა და ჰერას ძე, ცეცხლისა და მჭედლობის ღმერთი.

18. **ჰერა** — კრონოსისა და რეას უფროსი ასული, ზევსის მეუღლე, საყოფიერების, ქორწინების, ცოლ-ქმრული სიყვარულის, მშობიარობის მფარველი ქალღმერთი.

19. **დედალოსი** — ლეგენდარული ბერძენი ხუროთმოძღვარი, კრეტის ლაბირინთის მშენებელი (ვერგილიუსი, ენეიდა, VI, 14-33; ოვიდიუსი, მეტამორფოზები, VIII, 152-182), მოქანდაკე და მხატვარი. „მენონის" (97d) სქოლიასტი დედალოსს ბერძნული ქანდაკების რეფორმატორად სახავს: მან პირველმა შექმნა ქანდაკებები, რომლებსაც თვალები გახელილი, ხოლო ფეხები ერთმანეთისგან განცალკევებული ჰქონდათ. ეგეც არ იყოს, მისი ქანდაკებები კიდევაც მოძრაობდნენ თურმე. ევრიპიდეს დრამაში „ევრისთევსი" (ფრაგმ. 372, ნაუკ-ანელი, 1964) ვხვდებით ამნაირ ლექსს: „დედალოსის ყველა ქანდაკება, როგორც ჩანს, მოძრაობს და მეტყველებს. აი, ასეთია ეს ბრძენი" (შდრ. „მენონი", 97de). მკვლევართა აზრით, საქმე ეხება ფარულ მექანიზმს, რომელიც ავტომატურად ამოძრავებდა ქანდაკებებს. სხვათა შორის, ჰომეროსის „ილიადიდან" (XVIII, 375, 417) ცნობილია ჰეფესტოს თვითმოძრავი სამფეხები. სოკრატეს მამა სოფრონისკე მოქანდაკე თუ ქვისმთლელი იყო, და, გადმოცემით, თავდაპირველად თვითონაც მამის ხელობას მისდევდა (იხ. დიოგენე ლაერტელი, სახელგანთქმულ ფილოსოფოსთა ცხოვრება, II, 19-20), ამიტომაც ხუმრობით დედალოსს თავის წინაპრად თვლის.

20. **ტანტალოსი** — ზევსისა და სიმდიდრის ქალღმერთის პლუტოს ძე, სიპილოსის მეფე, მრავალი მითიური თქმულების გმირი, სახელგანთქმული თავისი სიმდიდრით და მორჭმულებით.

21. იგულისხმება სტასინე კვიპროსელი (VIII-VII ს. ძვ. წ. ა.) — ე. წ. „კიკლიკური პოეზიის" ერთ-ერთი წარმომადგენელი. კიკლიკოსი პოეტები ჰომეროსის მიბაძვით თხზავდნენ თავიანთ ქმნილებებს და მათში ამუშავებდნენ მითიური თქმულებების იმ ციკლს, რომელიც ასე თუ ისე უკავშირდებოდა „ილიადასა" და „ოდისეას". სიუჟეტს სტასინეს „კვიპროსული სიმღერები" (მოღწეულია ფრაგმენტების სახით) — აქილევსის მამის — პელევსის ქორწილის აღწერით იწყებოდა.

22. **პროტევსი** — ბერძნული მითოლოგიით, ზღვის ღვთაება, დემონი, ცნობილი თავისი წინასწარმეტყველების ნიჭითა და გარდასახვის უნარით: შეეძლო ათასგვარი სახის მიღება. „ოდისეაში" (IV, 351-570) ხომალდით შინ მიმავალი მენელაოსი პროტევსის ასულის ეიდოთეას რჩევის წყალობით აიძულებს ამ მოუხელთებელ დემონს, მთელი მისი თვალთმაქცობისა და თავბრუდამხვევი მეტამორფოზების მიუხედავად, უწინასწარმეტყველოს მერმისი და მიასწავლოს სამშობლოში დასაბრუნებელი გზა. აღსანიშნავია, რომ ნეტარი ავგუსტინე პროტევსს ადარებდა ჭეშმარიტებას (Contra Acad).

ლახესი

1. დიალოგის მოქმედ პირთა შესახებ იხ. წინათქმა.

2. ლისიმაქე გულისხმობს სოფისტ სტესილეოსს (მისი ვინაობა ცოტა უფრო ქვევით ირკვევა: 183c-184b), ჰოპლომახიის მოხეტიალე მასწავლებელს, რომელიც თვითრეკლამის მიზნით თავის ოსტატობას უჩვენებს ათენის ერთ-ერთი პალესტრის (გიმნასტიკური სასწავლებლის) ღია არენაზე მის საყურებლად თავშეყრილ ბრბოს. ჰოპლომახია იყო საომარი ხელოვნება, რომელიც მიზნად ისახავდა ჰოპლიტებად აღეზარდა ბერძენი ჭაბუკები (ჰოპლიტი ერქვა მძიმედ შეიარაღებულ ჯარისკაცს, რომლის აღჭურვილობასაც შეადგენდა მუზარადი, აბჯარი, ფარ-ხმალი და გრძელი შუბი). ჯერ კიდევ ჰომეროსის დროიდან მოყოლებული, ჰოპლიტები შეადგენდნენ ბერძნული ლაშქრის ძირითად დამკვრელ ძალას. მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ბერძნული პოლისების განმათავისუფლებელ ომებში სპარსელ დამპყრობთა წინააღმდეგ (500-449 წ. ძვ. წ. ა.). ამიტომ, ბუნებრივია, რომ აგრესორთა დამარცხებისა და განდევნის შემდეგ ჰოპლომახია თითქმის მთელ საბერძნეთში განსაკუთრებით პოპულარული გახდა. გამოჩნდნენ ამ ხელოვნების მასწავლებლებიც. რაკიღა ომში სახელის მოხვეჭა პოლიტიკურ ასპარეზზე თავის გამოჩენისა და დაწინაურების ყველაზე საიმედო საშუალება იყო, გასაგებია ლისიმაქესა და მელესიას სურვილი — ჰოპლომახია შეასწავლონ თავიანთ შვილებს.

3. იგულისხმებიან მელესიასა და ლისიმაქეს მამები, თავიანთი შვილიშვილების დიდი სეხნიები — თუკიდიდე და არისტიდე. თუკიდიდე (V ს. ძვ. წ. ა.; არ უნდა აგვერიოს ისტორიკოს თუკიდიდეში) ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და ორატორი იყო, კიმონ ათენელის ნათესავი, არისტოკრატთა პარტიის ერთ-ერთი მეთაური; ოპოზიციაში ედგა პერიკლეს. არისტიდე (დაახლ. 540-467 წ. ძვ. წ. ა.) — თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პიროვნება, სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი, თემისტოკლეს პოლიტიკური მეტოქე, ელინთა ერთ-ერთი ბელადი სპარსელ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლაში; ჰეროდოტეს მოწმობით (VIII, 79), „ყველაზე კეთილშობილი და სამართლიანი კაცი ათენში"... შვილიშვილისათვის პაპის სახელის დარქმევა ძველ საბერძნეთში საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. აღსანიშნავია, რომ თვით ლისიმაქესა და მელესიასაც თავიანთი პაპების სახელი ერქვათ.

4. „ერთად პურის ჭამა", „ერთად პურობა", ე. წ. „სისსიტია" ძველი საბერძნეთის ყველა პოლისში საერთო საყოფაცხოვრებო მოვლენა გახლდათ. განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული ეს ჩვეულება დორიული ტომებით დასახლებულ ოლქებში. ლაკედემონში, ანუ სპარტაში სისსიტია პოლიტიკური და სოციალური დაწესებულების ხასიათს ატარებდა. მოსახლეობის პრივილეგირებული ნაწილის უკლებლივ ყველა წარმომადგენელი, ყველა სპარტიატი მოვალე იყო მონაწილეობა მიეღო სისსიტიებში — ცალკეულ ოჯახთა საერთო ტრაპეზში, რისთვისაც ყოველთვიურად უნდა გაეღო თავისი წილი — ქერის ფქვილი, ღვინო, ყველი და ყურძენი. თითოეული სისსიტია საგანგებოდ გამოყოფილ შენობაში (სისსიტიონი) იმართებოდა, სადაც მოქალაქენი იარაღასხმულნი მიდიოდნენ და ხშირად იქვე ათევდნენ ღამეს. ლაშქრობისას სპარტიატები სწორედ სისსიტიების მიხედვით დგებოდნენ მწყობრში. სპარტისაგან განსხვავებით, ათენში სისსიტიებს პირწმინდად კერძო ხასიათი ჰქონდა.

5. ლისიმაქეს ეს სიტყვები უმადურებად თუ არა, ყოველ შემთხვევაში, გაუმართლებელ ყვედრებად მაინც უნდა ჩაითვალოს: არც არისტიდეს და არც თუკიდიდეს არაფერი დაუშურებიათ იმისთვის, რომ ღირსეულად აღეზარდათ თავიანთი შვილები, მაგრამ, ჩვენი პოეტის თქმისა არ იყოს, „მარტო წვრთნა რას უზამს". პლატონის დიალოგში „მენონი" სოკრატე ეუბნება ანიტოსს არისტიდეზე: „რამდენადაც ეს დამოკიდებულია მასწავლებელზე, საუცხოოდ აღზარდა თავისი ვაჟი ლისიმაქე და ათენელთა შორის ყველაზე უკეთესი განათლება მიაღებინა; მაგრამ განა ლისიმაქე სიქველითაც ასევე აღემატება რომელიმე ათენელს? შენ ხომ იცნობ მას და კარგად იცი იმისი ყადრი" (95გ). ...„გაიხსენე, რომ თუკიდიდემაც თვითონ აღზარდა თავისი ვაჟები — მელესია და სტეფანე, და ისე საუცხოოდ აღზარდა, რომ ჭიდაობაში ბადალი არ მოეძებნებოდათ ათენელთა შორის... მაშასადამე, თუკიდიდემ ასწავლა თავის ვაჟებს ყველაფერი ის, რისი სწავლაც ფულს მოითხოვს, მაგრამ, აი, როგორ უნდა ქცეულიყვნენ ღირსეულ ადამიანებად, — რისთვისაც ხარჯის გაღება არაა საჭირო, — ეს კი ველარ ასწავლა მათ (თუკი, საერთოდ, შესაძლებელია ამისი სწავლა). მაგრამ იქნებ თუკიდიდე საწყალი

კაცი იყო და მრავალრიცხოვანი მეგობრები არა ჰყავდა ათენელთა თუ მოკავშირეთა შორის? არა, ღმერთმანი. ეს იყო დიდად გავლენიანი და წარჩინებული კაცი, როგორც ათენში, ისე მთელ საბერძნეთშიც. ამიტომ, სიქველის სწავლა რომ შეიძლებოდეს, ვფიქრობ, არ გაუჭირდებოდა თავის თანამოქალაქეებსა თუ უცხოელებს შორის მოეძებნა მასწავლებელი, რომელიც აიყვანდა აზიარებდა მის ვაჟებს, რაკილა თავად „სახელმწიფო საქმეების გამო მოუცლელი იყო" (94cc).

6. დიალოგში „დემოტეს", ე. ი. იმავე დემოსის მცხოვრები. [illegible] იხ. კომენტ. ევთიფრონი, 5... სოკრატე და ნიკია ანტიოქიდის ფილეში შემავალი ალოპეკის (მელია) დემოსის მკვიდრნი იყვნენ.

7. **დამონი** (V ს. ძვ. წ. ა.) — სოფისტი და მუსიკოსი, პერიკლეს მასწავლებელი (პლუტარქე, პერიკლე, 4), პოლიტიკის თეორეტიკოსი (პლატონი, სახელმწიფო, III, 400b). უფრო გვიან ნიკიას ნაცნობობა, როგორც ჩანს, ძვირად დაუჯდა: ყოველ შემთხვევაში, პლუტარქე სწორედ ნიკიას აბრალებს დამონის გაძევებას ათენიდან (პლუტარქე, ნიკია, 6)... აგათოკლე (VI-V ს. ძვ. წ. ა.) — ცნობილი ბერძენი სოფისტი, პითაგორელ პითოკლიდე კეოსელის მოწაფე.

8. იხ. კომენტ. ევთიფრონი, 18

9. დ ე ლ ი ო ნ ი — ბეოტიის პატარა ქალაქი, რომლის მახლობლად პელოპონესის ომის დროს, 424 წ. ძვ. წ. ა., ათენელები სასტიკად დაამარცხეს ბეოტიელებმა (თუკიდიდე, IV, 90, 100). ამ ბრძოლაში სოკრატემ სიკვდილს გადაარჩინა ქსენოფონტე, თავისი მოწაფე და ბიოგრაფი, სახელგანთქმული პოლიტიკური მოღვაწე და მხედართმთავარი: „უკან დახევისას ფილოსოფოსმა სოკრატემ, რომელიც ქვეითად იყო (რადგანაც ცხენი გაქცეოდა), დაინახა ცხენიდან ჩამოვარდნილი და მიწაზე გაშხლართული ქსენოფონტე, გრილეს ძე, სოკრატემ აიყვანა დაცემული, მხრებზე შეისვა და მრავალი სტადიონის მანძილზეატარა ფეხით" (სტრაბონი, IX, II, 7).

10. ვინაიდან დელიონთან ბრძოლის ამბები (იხ. ზემო შენიშვნა), როგორც ჩანს, დიდი ხნის ამბავი არ არის, ამიტომ ამ დროისათვის სოკრატე დაახლოებით 45-50 წლისა უნდა იყოს (დაიბადა 469 წ.).

11. „დიდ ჰიპიაში" (283 და შმდ.) ჩვენ ვნახავთ, რომ ლაკედემონელები ასევე გულგრილად იყვნენ განწყობილნი იმ სოფისტების მიმართ, რომლებიც მჭევრმეტყველების ხელოვნებას ასწავლიდნენ ხალხს.

12. 427 წ. ძვ. წ. ა. ლახესი ხარეადესთან ერთად სარდლობდა ათენელების მიერ სიცილიაში ლეონტინელების საშველად გაგზავნილ ფლოტს (თუკიდიდე, III, 83). აქ იგი, როგორც ჩანს, სწორედ ამ სამხედრო ექსპედიციის ერთ-ერთ ეპიზოდს იგონებს.

13. იგულისხმება ის მნიშვნელობა, რასაც სოკრატე, აქაც და სხვაგანაც, უცვლელად ანიჭებს ცოდნის ორმაგ პირობას: ჯერ ერთი, თეორიულ განსწავლას თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე მასწავლებლის ხელმძღვანელობით და მეორეც, პრაქტიკულ საქმიანობას, რამაც თავისი შედეგით უნდა გაამართლოს თეორია.

14. აღსანიშნავია, რომ დემოსთენე „ხალხის მრჩეველს" უწოდებს სახელმწიფო მოღვაწეს და მისგან კომპეტენტურობის იმავე გარანტიას მოითხოვს, როგორსაც სოკრატე სთხოვს, საერთოდ, ყველა მრჩეველს.

15. დედანში: „კალონ ტე კაგათონ" ქს იყო ბერძნული არისტოკრატიული სისტემის დაახლოებით ისევივე იდეალი, როგორც ჩვენი „კაცური კაცი". მაგრამ მხოლოდ დაახლოებით, ვინაიდან ბერძნული ტერმინი თავისი კონკრეტული მნიშვნელობით საკმაოდ განსხვავდება მისი ქართული შესატყვისისგან. „კალოკაგათია" (სიტყვასიტყვით „სილამაზე და სიკეთე") კომპოზიტია, რომლის პირველი კომპონენტი „კალოს" აღნიშნავს როგორც გარეგნულ, ისე შინაგან სილამაზესა და მომხიბვლელობას. მაგრამ ამ სიტყვას სხვა ნიუანსიც აქვს: კერძოდ, ის აგრეთვე ნიშნავს კაცს, რომელიც უყოყმანოდ იხდის თავის მოქალაქეობრივ ვალს და, თანაც ისე იხდის, რომ პატივისცემასა და ქება-დიდებას იმსახურებს. რაც შეეხება მეორე კომპონენტს, „აგათოს", უწინარეს ყოვლისა, ესაა „კეთილი", „ღირსეული", „სრულქმნილი", „აღტაცების ღირსი" (ზედსართავი წარმოებულია ზმნისაგან — „აგამაი" — „მომწონს", „ვიღაცით ან რაღაცით აღფრთოვანებული ვარ"). ასე რომ, ცნება „კალოკაგათია", რომელიც ხშირად მეორდება არა ერთი და ორი ბერძენი კლასიკოსის (ჰეროდოტე, თუკიდიდე, პლატონი, ქსენოფონტე, არისტოტელე, პლუტარქე და სხვ.) თხზულებებში, აღნიშნავს ადამიანურ სიქველეთა ერ-

თობლიობაა, რომელიც თანაბრად მოიცავს ფიზიკური თუ სულიერი სილამაზისა და სრულყოფილების თითქმის ყველა შესაძლო ნიუანსს; შეიძლება ითქვას, რომ კალოკაგათია სხვა არა არის რა, თუ არა ადამიანის დაუცხრომელი ქმედითობის გზით ზნეობრივი იდეალის მიღწევა, მისი ხორცშესხმა და დამკვიდრება. ქმედითობის გარეშე არ არსებობა კალოკაგათია, ამტკიცებს არისტოტელე: „ადამიანს შეიძლება ჰქონდეს კარგი თვისება, მაგრამ ეს თვისება შეიძლება უქმად იყოს, მაგალითად, მძინარესა თუ სხვა რაიმე მიზეზით უმოქმედო კაცში. ენერგია კი [illegible], ვინაიდან ის, აუცილებლობის ძალით, მოქმედებს და სიკეთისაკენ ილტვის. და როგორც ოლიმპიური თამაშების დროს გვირგვინით ამკობენ არა ყველაზე ლამაზებს ან ყველაზე ძლიერთ, არამედ მხოლოდ ასპარეზობის მონაწილეებს (ვინაიდან სწორედ მათ შორის არიან გამარჯვებულნი), ზუსტად ასევე, ცხოვრებაშიც მხოლოდ ისინი აღწევენ კალოკაგათიას, რომელნიც მოქმედებენ. სამაგიეროდ ამნაირი ადამიანების ცხოვრება თავისთავადაა სასიამოვნო, ვინაიდან ტკბობა – სულიერი განცდაა და ყველას სიამოვნებს მხოლოდ ის, რაც უყვარს. ასე მაგალითად, ცხენების მოყვარულს ცხენები მოსწონს, სანახაობების მოყვარულს — თეატრი, ხოლო ყოველივე სამართლიანის მოყვარისათვის სიმართლეა მოსაწონი. სიქველის მოყვარისათვის კი — ყოველგვარი სიქველე" (ნიკომაქეს ეთიკა, 1, 9).

16. კარიელი — მცირე აზიის სამხედრო-დასავლეთი ნაწილის —კარიის მკვიდრი. ზოგიერთი მეცნიერი კარიელებს სემიტური მოდგმის ხალხად თვლის. ზღვის სანაპიროზე მცხოვრები კარიელები მეტწილად ვაჭრობასა და აღებ-მიცემობას მისდევდნენ, ქვეყნის შუაგულში მდებარე მთიანეთის მკვიდრნი კი პატრიარქალურ ყოფას ინარჩუნებდნენ. კულტურა და განათლება უცხო ხილი იყო მათთვის; სამაგიეროდ გამუდმებით ომობდნენ და დაქირავებულ ჯარისკაცებად მსახურობდნენ ბერძნული პოლისების ლაშქარში. მათი ანგარების, სიხარბის, მექრთამეობისა და ორგულობის გამო ბერძნები „სამ უკეთურ კ"-ს შორის („ტრია კაპპა კაკისტა") იხსენიებდნენ კარიელებს, კრეტელებსა და კაპადოკიელებთან ერთად.

17. დედანში — „ენ პითო ჰე კერამეა გიგნომენე" — „მეთუნეობის დაწყება ქვევრით" (იგულისხმება უთაურად. მოუმზადებლად რაიმეს დაწყება, კაცს რომ პატარა საქმის გაკეთება არ შეუძლია და დიდ საქმეს კი ჰკიდებს ხელს).

18. სოლონი (დაახლ. 638-559 წ. ძვ. წ. ა.) დიდი ათენელი პოლიტიკოსი, კანონმდებელი და პოეტი, ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი შვიდ ბრძენთაგანი, პლატონის შორეული წინაპარი დედის მხრივ. თავის ერთ-ერთ ლექსში სოლონი ამბობს: „თუმცაღა მოხუცი ვარ, კვლავ ვანავლობ მე კიდევ ბევრს" (იხ. პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო აკაკი ურუშაძემ. თბ., 1957, გვ. 43).

19. **ჰარმონია** — დედნისეული ტერმინია, მაგრამ აქვე უნდა ვაცნობოთ მკითხველს, რომ პლატონი ამ ტერმინს მისი დღევანდელი მნიშვნელობით კი არ ხმარობს, არამედ ჰანგისა თუ მუსიკალური კილოს გაგებით. პლატონის მუსიკალური თეორია დაწვრილებით გადმოცემულია „სახელმწიფოში" და ამიტომ ამ საკითხზე დეტალურად უფრო გვიან გვექნება ლაპარაკი. პლატონის სიმპათიების შესახებ დორიული კილოს მიმართ იხ. პლუტარქე. მუსიკისათვის, 17.

20. სკვითები – ჰეროდოტეს მიხედვით, ირანული მოდგმის მომთაბარე ტომები, რომლებიც დუნაისპირეთში, აგრეთვე შავი ზღვისა და კასპიის ზღვის ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბერძენი ავტორების ცნობები სკვითების შესახებ ძალზე სხვადასხვაგვარია.

21. ჰომეროსი, ილიადა, V, 223; VIII, 107.

22. ჰომეროსი, ილიადა, VIII, 108; დიომედესი ამ სიტყვებით ახასიათებს ენეასს: „მესტორ ფობოიო" — „შიშის აღმძვრელი", „შიშის ჩამნერგავი", „შიშისმგვრელი". მაგრამ „ფობოს" არა მარტო შიშს, არამედ პანიკური შიშით თავზარდაცემულის ლტოლვასაც ნიშნავს; თანაც სოკრატე ირონიულად ასხვაფერებს „მესტორ"-ის მნიშვნელობას და „ჩამნერგავის" ნაცვლად „ჩამფიქრებელთან" აიგივებს მას („მესტორ" — წარმოებულია ზმნისაგან —„მედომაი", რაც სწორედ „ჩაფიქრებას" ნიშნავს). ასე რომ, „შიშის ჩამნერგავის" ნაცვლად ვიღებთ, „გაქცევის ჩამფიქრებელს", „გაქცევის ოსტატს".

23. პლატეა — ბერტიის ქალაქი, რომლის მახლობლადაც 479 წ. ძვ. წ. ა. ბერძნული პოლისების გაერთიანებულმა არმიამ მუსრი გაავლო სპარსელთა ლაშქარს მარდონიოსის მეთაურობით.

24. სქოლიასტის (პლატონის ტექსტების ძველი განმმარტებლის) შენიშვნით, არსებობდა ასეთი ანდაზა: — „კან კიონ, კან ჰის გნოიე“ — „ძაღლი და ღორიც კი გაიგებსო“.

25. კრომიონი — ადგილია კორინთოში: გადმოცემით, კრომიონის შემოგარენს დიდი ხნის განმავლობაში აპარტახებდა ვეებერთელა რუხი ღორი, რომელიც ბოლოს მოკლა თეზევსმა (პლუტარქე, თეზევსი, 9; სტრაბონი, VIII, 6, 22).

26 ლამახე (V ს. ძვ. წ. ა.) — ათენელი მხედართმთავარი; მეტნაკლები წარმატებით სარდლობდა ათენელთა ფლოტს: 453 წ., პერიკლეს ბრძანებით, ტიმასილაოსის ტირანიისაგან გაათავისუფლა სინოპი (პლუტარქე, პერიკლე, 20); 424 წელს მარცხი განიცადა ჰერაკლეასთან გამართულ საზღვაო ბრძოლაში (თუკიდიდე, IV, 75); 415 წ., ალკიბიადესა და ნიკიასთან ერთად, დანიშნულ იქნა სპარტის მოკავშირის — სიცილიის მთავარი ქალაქის სირაკუზის წინააღმდეგ წარგზავნილი სამხედრო ძალების ერთ-ერთ მთავარსარდლად. ცუდი ორგანიზაციის, დიპლომატიური სიბეცისა და სუსტი სტრატეგიის გამო სიცილიური ექსპედიცია სრული კრახით დამთავრდა: 413 წელს სირაკუზელებმა ჰერმოკრატეს მეთაურობით თითქმის მთლიანად გაანადგურეს ათენელთა უზარმაზარი ფლოტი, რომელიც 275 საბრძოლო ხომალდს (ტრიერს) ითვლიდა, ხოლო ეკიპაჟი 43 000 მეომრისა და მენიჩბისაგან შედგებოდა. თვითონ ლამახე ბრძოლაში დაიღუპა. ისტორიკოსთა მოწმობით, ეს იყო უანგარო და პატიოსანი კაცი, მამაცი დ შეუპოვარი მხედართმთავარი, მაგრამ, ამასთან, იმდენად ღარიბი, რომ მისი სიმამაცე ხშირად სიშლეგეს უფრო ჰგავდა. არისტოფანე თავის კომედიებში მწარედ დასცინის მას. ლამახეს რომ ადარებს, ნიკია შემპარავად ამასხრებს და ამცირებს ლახესს.

27. ლახესის რეპლიკის ქვეტექსტი ასეთია: დაცინვაზე ნუ მიდგება საქმე, თორემ არც მე დაგრჩები ვალშიო. საქმე ისაა, რომ ლახესი მშვენივრად იცნობს თავის თანამოსაუბრეს და იცის, რომ არც ნიკიაა სიმამაცის ნიმუში. და მართლაც, როგორც ისტორიკოსები გადმოგვცემენ, ნიკია იმდენად ფრთხილი კაცი იყო ბუნებით, რომ მისი სიფრთხილე ზოგჯერ სიმხდალესა და სულმოკლეობას უახლოვდებოდა: „ნიკია დაჟინებით არიდებდა თავს ხანგრძლივ და მძიმე ლაშქრობათა ხელმძღვანელობას, უწინარეს ყოვლისა, უსაფრთხოებაზე ზრუნავდა და ,როგორც მოსალოდნელი იყო, წარმატებით ამთავრებდა დაწყებულ საქმეს; მაგრამ ამ მიღწევებს საკუთარ სიბრძნეს, ძლიერებას ან სიმამაცეს კი არ მიაწერდა, არამედ ღმერთების ნებას, რათა, ამრიგად, თავიდან აეცილებინა შური, რომელიც განუყრელად თან სდევს დიდებას“ (პლუტარქე, ნიკია. 6).

28. აიქსონის — კეკროპიდის ფილეში შემავალი დემოსის მკვიდრნი მთელ ატიკაში ავყიებად და ჩხუბისთავებად ითვლებოდნენ.

29. პროდიკე (დაიბ. დაახლ. 470 წ. ძვ. წ. ა.) — ცნობილი ბერძენი სოფისტი და რიტორი; იკვლევდა ეთიკისა (ქსენოფონტე, მოგონებები სოკრატეზე 11, 1, 21-34) და ენის ფილოსოფიის, კერძოდ, სინონიმიკის საკითხებს (პლატონი, პროტაგორა, 337 და შმდ.).

30. სოკრატეს ნახევრად ირონიული შენიშვნა, უწინარეს ყოვლისა, თვით ნიკიასვე ეხება, რომლის მეტისმეტი ცრუმორწმუნეობა და მისნების წინაშე ქედმოდრეკილობა საყოველთაოდ ცნობილი იყო (იხ. თუკიდიდე, VII, 15; პლუტარქე, ნიკია. 4, 23).

31. ზოგიერთი კომენტატორი მართებულად ავლებს პარალელს ნიკიას ამ სიტყვებსა და ეზოპეს ერთ ცნობილ იგავს შორის: თვითეულ ჩვენგანს მხარზე ხურჯინი აქვს გადაგდებული, რომლის ორივე თვალი ადამიანთა მანკიერებითაა სავსე, მაგრამ წინა თვალი სხვისი მანკიერებითაა გატენილი, უკანა კი თავისი მანკით და ამიტომ ყოველი კაცი სხვის ნაკლს უკეთ ხედავს, ვიდრე საკუთარსო.

32. ქსენოფონტეს მოწმობით, ნიკიას შვილი — ნიკერატე ძალზე დაახლოებული ყოფილა სოკრატესთან. თავისი სიმდიდრისა და გვარიშვილობის წყალობით, დიდი გავლენა ჰქონია ათენში. მოკლულ იქნა 30 ტირანის მიერ, რომლებსაც მისი ქონების მითვისება სურდათ.

33. ჰომეროსი, ოდისეა, XVIII 347

მცირე ჰიპია

1. ევდიკეს რეპლიკიდან ირკვევა, რომ ჰიპიას სიტყვა წარმოუთქვამს მრავალრიცხოვან მსმენელთა წინაშე, რომლებიც განუცვიფრებია და აღტაცებაში მოუყვანია თავისი მჭევრმეტყველებითა და მრავალმხრივი განსწავლულობით (კერძოდ, ჰომეროსის პოემების ამომწურავი ცოდნით). ამ საერთო აღტაცების ფონზე ევდიკეს დუმილი მოუხერხებლობად ეჩვენება სოკრატეს დუმილი, და როცა ხალხი თანდათანობით გაიკრიფა და დარბაზში მხოლოდ რამდენიმე კაცილა დარჩა, თხოვნით მიმართავს ამ ძდუმრე მამენელა, თავისი აზრი გამოთქვას ან თავისი შთაბეჭდილება გაუზიაროს დარჩენილებს.

2. ფსევდო-ლონგინე სულ სხვა ნიშნის მიხედვით ამტკიცებდა „ილიადას" უპირატესობას „ოდისეას" წინაშე: „...ილიადა", რომელიც პოეტის მოწიფულობის ააკმეა შექმნილი, როცა მისი შემოქმედებითი ძალმოსილება თავის აპოგეას აღწევს, — მხოლოდ მოქმედებაა და ბრძოლა, მაშინ როდესაც „ოდისეა" სხვა არა არის რა, თუ არა გაბმული თხრობა, რაც ასერიგად ნიშნეულია სიბერისათვის. „ოდისეაში" ჰომეროსი შეიძლება შევადაროთ ჩამავალ მზეს, რომელიც, მართალია, ძველებურად ველარ აცხუნებს, მაგრამ ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სიკაშკაშე და ცხოველმყოფელობა. აქ ჩვენ უკვე ველარა ვგრძნობთ იმ უჩვეულო ძალმოსილებას, რაც ეგზომ გვანცვიფრებს „ილიადაში", ვერც ამაღლებულის იმ თანაბარზომიერ რიტმს, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი დაღმავლობა, ვერც ურთიერთმონაცვლე ვნებათა შმაგ ნაკადს, ვერც განწყობილებათა სწრაფ ცვლასა თუ საზოგადოებრივ ყლერადობას, დაბოლოს, ვერც სინამდვილისაგან ნასესხებ სახეთა თუ ხასიათთა უსასრულო მრავალფეროვნებას. ისევე როგორც ოკეანის მოქცევას მიქცევა მოსდევს, ხოლო მიქცევას — ტალღის დამცრობა და ბობოქარი ძალის დაცხრომა, ისე აქაც, „ოდისეას" ზღაპრულსა და მითიურ წიაღსვლებში ჩვენ ვხედავთ ამაღლებულის გამუდმებულ უკუმიქცევას" („ამაღლებულისათვის", IX).

3. **ელიდა** — პელოპონესის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილი, რომელსაც სამხრეთით ესაზღვრება მესენია, აღმოსავლეთით — არკადია, ჩრდილოეთით — აქაია, ხოლო დასავლეთით — იონიის ზღვა. ელიდა ეწოდებოდა აგრეთვე ამ მხარის მთავარ ქალაქსაც; ეს იყო ჰიპიას მშობლიური ქალაქი.

4. **ოლიმპია** — პანელინური (ზოგადბერძნული) რელიგიური ცენტრი ელიდაში, მდინარეების ალფეოსისა და კლადეოსის შესართავთან, ქალაქ ელიდიდან დაახლოებით 300 სტადიონის (55 კმ) მანძილზე. ოლიმპიაში მდებარეობდა წარმართულ ტაძართა მთელი „ლავრა", რომელთა შორისაც ყველაზე მთავარი იყო ზევს ოლიმპიელის გრანდიოზული ტაძარი. მისი მშენებლობა 52-ე ოლიმპიადის დროს დაიწყო, დასრულებით კი 85-86-ე ოლიმპიადების დროს დაასრულა ფიდიასმა. დიდოსტატური ხელოვნებით ნაგებ ტაძარს გარს ერტყა მრავალრიცხოვანი ქანდაკებებით შემკული ტერასა. შიგნით იდგა ფიდიასის შედევრი, ბერძნული პლასტიკური ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ქმნილება — ოქროსა და სპილოს ძვლისაგან გაკეთებული და ჰომეროსის აღწერილობის მიხედვით შექმნილი ზევს ოლიმპიელის ქანდაკება. ტახტზე მჯდომარე ღმერთის სიმაღლე 12 მეტრს აღწევდა, ხოლო პატიოსანი თვლებით მოოჭვილი ოქროს ტახტი, თავის მხრივ, 4 მეტრიან კვარცხლბეკზე იდგა. ტაძრის ფრონტონები დიდ ბერძენ მხატვართა ფრესკებით იყო შემკული. ზევს ოლიმპიელის ტაძრის მახლობლად მდებარეობდა პელოპის, ჰერას, ჰესტიას, ილითიას, აფროდიტე ურანიას, კიბელეს, დემეტრეს და სხვა ღვთაებათა ტაძრები, აგრეთვე მრავალრიცხოვანი საკულტო ნაგებობები. აქვე ერთმანეთის პარალელურად მდებარეობდა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადაჭიმული სტადიონი და მასზე თითქმის ორჯერ უფრო გრძელი ჰიპოდრომი, კრონიონის მთის კალთას მიჰკროდა თეატრი. სხვა ნაგებობებიდან აღსანიშნავია პრიტანეიონი, ზევსის საკურთხეველი, საზეიმო წვეულებებისათვის განკუთვნილი ვეებერთელა დარბაზი, ბულევტერიონი, პალესტრა, დიდებული გიმნასიონი და სხვ. კრონიონის მთის თხემზე მდებარე კრონოსის ტაძრიდან მაყურებლის თვალწინ იშლებოდა დაუვიწყარი სანახაობა; ტაძრების, საკურთხევლების, საკულტო შენობების, სპორტული მოედნების გრანდიოზული ანსამბლი, ღმერთების, ქალღმერთების, გმირების, ოლიმპიურ ასპარეზობაში გამარჯვებული ათლეტების ოქროსა თუ ბრინჯაოს ურიცხვი ქანდაკებები; ეს იყო

ნამდვილი მუზეუმი ღია ცის ქვეშ, მარმარილოში ნაკვეთი და ოქრო-ვერცხლით მოვარაყებული ხელთქმნილი ძეგლი ბერძნული გენიისა... აქ, ოლიმპიაში, ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართებოდა ე. წ. „ოლიმპიური თამაშობანი", რომელთა მნიშვნელობას ცხადად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ძველი ბერძნები სწორედ ოლიმპიადების მიხედვით აწარმოებდნენ წელთაღრიცხვას. პირველი ოლიმპიადა გაიმართა 776 წ. ძვ. წ. ა., ხოლო უკანასკნელი — 394 წ. ახ. წ. ა., როცა იმპერატორმა თეოდოსი I-მა (379-395) საგანგებო ბრძანებით აკრძალა და სამუდამოდ გააუქმა ოლიმპიური თამაშობანი... თავდაპირველად ოლიმპიურ ასპარეზობას შედარებით ვიწრო, ლოკალური ხასიათი ჰქონდა. მე-15 ოლიმპიადიდან მოყოლებული, ის თანდათანობით ფართოვდება და უფრო მასშტაბური ხდება, 30-ე ოლიმპიადის შემდეგ მასში მონაწილეობა სავალდებულო შეიქნა მთელი ელადისათვის — მე-40 ოლიმპიადის შემდეგ კი — მცირე აზიის, „დიდი საბერძნეთის" (ე. ი. სამხრეთ იტალიის) და სიცილიის ბერძნებისთვისაც. ოლიმპიადა იწყებოდა ე. წ. „წმინდა თვის" —„პიერომენიის" დაახლოებით შუა რიცხვებში და ხუთ დღეს გრძელდებოდა (შეესაბამება ჩვენი ივნისის დამლევსა და ივლისის დამდეგს: დღესასწაული მოძრავი გახლდათ) „პიერომენიის" გამოცხადება და ბერძნულ სამყაროში ყოველგვარი საომარი მოქმედების შეწყვეტა ერთი იყო. მთელი ელადიდან და შორეული კოლონიებიდან ზღვითა და ხმელით, ცხენით თუ ფეხით, ნავით თუ ეტლით ოლიმპიისაკენ მოეშურებოდნენ ბერძნები, კერძო პირები თუ ელადის მოკავშირე პოლისების დელეგაციები, რომლებსაც განსაკუთრებული პატივით ხვდებოდნენ მასპინძლები. პირველ დღეს დიდი თუ პატარა, მდიდარი თუ ღარიბი, მასპინძლებიცა და სტუმრებიც მსხვერპლს სწირავდნენ ღმერთებს. მეორე, მესამე და მეოთხე დღე ეთმობოდა სპორტულ ასპარეზობებს, რომელთა მსვლელობასაც წარმართავდნენ საგანგებო მსაჯები, ე. წ. „ჰელადონიკები". ისინი წინასწარ ადგენდნენ მონაწილეთა სიებს, ამოწმებდნენ მათ მზადყოფნას, გულდასმით სინჯავდნენ მათ ცხენებსა თუ იარაღს, თვალყურს ადევნებდნენ წილისყრას, არენაზე იწვევდნენ ათლეტებს, მკაცრად სჯიდნენ დადგენილი წესების დამრღვევთ და, ბოლოს, საზეიმო ვითარებაში ასახელებდნენ გამარჯვებულებს. პირველად ასპარეზობდნენ მორბენლები, შემდეგ ორჭიდსა თუ ხუთჭიდში მონაწილე ათლეტები, მოჭიდავეები, მოკრივეები, ბადროსა თუ შუბის მტყორცნელები, ცხენოსნები, მეეტლეები და ა. შ. ცალკე გამოდიოდნენ ასპარეზობის ნორჩი მონაწილენი (დღევანდელი ტერმინოლოგიით, „იუნიორები"). მეხუთე დღეს საჯაროდ აჯილდოებდნენ გამარჯვებულებს: ძვირფას ნივთებს უძღვნიდნენ და დაფნის რტოებითა და ზეთისხილის გვირგვინებით ამკობდნენ. სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმული, ნაირფერად აჭრელებული მაყურებლების ბრბო ბუკ-ნაღარითა და ტაშის გრიალით აყრუებდა იქაურობას და ალტაცების ყიჟინით მიესალმებოდა დადაფნულ გმირებს. შემდეგ იმართებოდა საზეიმო მსვლელობა („პომპე"), რომელსაც წინ მიუძღოდნენ ჰელადონიკები, ოლიმპიადაში გამარჯვებულნი, საერო და სასულიერო ხელისუფალნი, ქურუმები, საპატიო სტუმრები. მათ უკან მოსართავებით მოჰყავდათ ოლიმპიადაში გამარჯვებული, ყვავილების გირლიანდებით შემკული ცხენები, ბოლოს კი მოღელავდა მოზეიმე და მოზიმზიმე ბრბო. მსვლელობის მონაწილენი შედიოდნენ ზევს ოლიმპიელის ტაძარში, სადაც გამარჯვებულნი სამადლობელ მსხვერპლს სწირავდნენ უკვდავ ღმერთებს, რასაც მოსდევდა სადღესასწაულო პურობა პრიტანეიონში... ოლიმპიადის სტუმრებსა და მაყურებლებს შორის იყვნენ ფილოსოფოსები — ანაქსაგორა, სოკრატე, დიოგენე, თავიანთი ბრძნული საუბრებით რომ ართობდნენ, ხოლო ზოგჯერ კიდევაც ალიზიანებდნენ და აშფოთებდნენ ბრბოს; სტადიონისა თუ ჰიპოდრომის ტრიბუნებზე არაერთხელ მსხდარან ყოფილი ოლიმპიური ჩემპიონები პითაგორა და პლატონი; აქ თავიანთ შთაგონებას დაეძებდნენ პოეტები პინდარე და სიმონიდე; აქ კითხულობდა თავის „ისტორიას" ჰეროდოტე; აქ გამოდიოდნენ რიტორები დემოსთენე და სოკრატე; აქ პოპულარობის მოხვეჭისა თუ თვითრეკლამის მიზნით ჩამოდიოდნენ სოფისტები გორგია და ჰიპია, დრამატურგები, რაფსოდები, მუსიკოსები, მომღერლები, მოცეკვავეები, მსახიობები და ა. შ.

5. იგულისხმება ზევს ოლიმპიელის ტაძარი.

6. ჰიპიას „ბედნიერებას", მის „თავდაჯერებულობას და საკუთარ სიბრძნეში დარწმუნებულობას" ასეთივე აშკარა ირონიით თითქმის ყოველი ფეხის ნაბიჯზე აბიაბრუებს სოკრატე პლატონის მეორე დიალოგში „დიდი ჰიპია".

7. შდრ. „დიდი ჰიპია" (282de), სადაც ჰიპია ეუბნება სოკრატეს: „რომ იცოდე, რამდენი ფული გამიკეთებია ჩემი ხელოვნების წყალობით, უთუოდ დიდად გაგაკვირვებდა ეს... ჩემი ანგარიშით, მარტო მე უფრო მეტი ფული მაქვს ნაშოვნი, ვიდრე ნებისმიერ ორ სოფისტს ერთად".

8. ასე უწოდებდნენ ძველი ბერძნები „ილიადას" IX თავს, სადაც ტროელებისაგან შევიწროებული აქაველების ბელადი აგამემნონი აიანტსა და ოდისევსს ელჩებად გზავნის მასზე შემომწყრალ აქილევსთან, რათა როგორმე შემოირიგონ და ბრძოლაში ჩააბან იგი... პლატონი ამავე ეპიზოდიდან იმოწმებს აქილევსის სიტყვებს აიანტისადმი თავის სხვა დიალოგშიც „კრატილე" (428c).

9. „ილიადა", IX, 308 და შმდ.

10. როგორც ჩანს, სოკრატეს თანამოსაუბრე მართლაც საკმაოდ კარგად იყო გაწაფული გეომეტრიაში. ევკლიდეს „საწყისების" I წიგნის კომენტარებში პროკლე დიადოხოსი გადმოგვცემს, რომ ჰიპია იკვლევდა ე. წ. „წრის კვადრატურის" პრობლემას, რომლის გადაჭრასაც ის ცდილობდა მის მიერვე გამოგონებული რკალის წყალობით.

11. **ზარაფთა დახლები**, სადაც ხდებოდა ყოველგვარი ფულადი ნიშნების გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა, არა მარტო ათენში, არამედ ყველა დიდ სავაჭრო ქალაქშიაც განლაგებული იყო ყველაზე ხალხმრავალ ადგილას — მოედნების ირგვლივ.

12. ძველ ბერძნებს ჩვევად ჰქონდათ სადილის წინ და ბანაობის შემდეგ ტანზე ზეთის წასმა. ამიტომ ქამარზე ყოველთვის ეკიდათ პატარა საზეთე ჭურჭელი („ლეკითოს"). მაგრამ ზეთი ხელს უშლიდა ოფლის გამოყოფას, ჭუჭყს იკრებდა და კანის აქერცვლას იწვევდა, და ამიტომ საზეთესთან ერთად ატარებდნენ ჯაგრისსაც (სტლენგის"), რომლითაც დაბანის წინ ზეთს იცილებდნენ.

13. **ქიტონი** — ბერძნული მოკლე სახელოებიანი ტანსაცმელი, რომელიც სიგრძით მუხლებამდეც ვერ უწევდა და რომელსაც სარტყლით იკრავდნენ წელზე. ქიტონს ზემოთ, ჩვეულებრივ, მოსასხამს („ჰიმატიონ") ატარებდნენ.

14. **დითირამბი** — ბაქოს (დიონისეს) სადიდებელი საკრალური ჰიმნი.

15. რითმიკა — მოძღვრება რიტმის (ბერძნულად სწორია რითმი — „რითმოს" შესახებ. პლატონის ესთეტიკის, კერძოდ, მისი მუსიკალური თეორიის ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტერმინთან დაკავშირებით ვრცლად პლატონის გვიანდელი პერიოდის დიალოგების განხილვისას ვილაპარაკებთ.

16. **მნემონიკა** (ანუ მნემოტექნიკა)—მეხსიერების ქმედითობის გამაადვილებელი და ხელისშემწყობი ხელოვნება, რომლის ერთ-ერთ გამომგონებლადაც ციცერონი პოეტ სიმონიდეს თვლის. ბერძენმა რიტორებმა და სოფისტებმა თავიანთი პრაქტიკული საჭიროებისათვის უწყვეტლივ დახვეწეს და განავითარეს მნემოტექნიკა, რომელსაც ე. წ. „ტოპოლოგიური სიმბოლიზმი" დაუდეს საფუძვლად. ძალზე ზოგადად, ეს ნიშნავდა მკაფიო სიმბოლური ნიშნებით გამოხატვას იმ იდეებისას, რომლებიც თავიანთი საკუთარი უფერულობის გამო შეიძლებოდა არ შემორჩენოდნენ მეხსიერებას, ან კიდევ — ერთი და იმავე ჯგუფის იდეებს შორის შინაგანი თანაფარდობის დამყარებას, რომლის ძალითაც ერთ-ერთის ხსენებას აუცილებლად უნდა გამოეწვია მისი კორელატის რემინისცენცია. ასე მაგალითად, ორატორულ სიტყვას სოფისტები და რიტორები ადარებდნენ არქიტექტურულ ნაგებობას, თავისი შესასვლელით, დერეფნებით, დარბაზებითა თუ გამოსასვლელით. სიტყვის თხზვისას, მის ცალკეულ ნაწილებს ისინი სიმბოლურად უკავშირებდნენ თავიანთი სახლის კარ-ფანჯრებს, ავეჯს, ჭერს, იატაკს და სხვ., რათა შემდეგ იმ დარბაზს თუ მოედანს (მასზე მდგარი შენობებითურთ), სადაც, ჩვეულებისამებრ, წარმოთქვამდნენ სიტყვას, მათთვის სათანადო ადგილები გაეხსენებინა.

17. ამ ერთადერთი ნაცვალსახელით პლატონი შეახსენებს მკითხველს, რომ სოკრატე და ჰიპია მარტოოდენ ევდიკეს თანდასწრებით როდი საუბრობენ, და, იმავე დროს, უკიდურესად ძუნწი საშუალებით გვიხასიათებს სოფისტის პატივმოყვარეობას, რომელსაც სული ელევა მსმენელთა ტაშზე.

18. იხ. ზემოთ, 365ab.

19. „ილიადა", IX, 357 და შმდ.

20. „ილიადა", I, 169 და შმდ.

21. „ილიადა", IX, 650 და შმდ.

22. **თეტიდა** — ნერეიდა, ნერევსისა და დორიდას ასული, მირმიდონელთა მეფის პელევსის მეუღლე, აქილევსის დედა.

23. **ქირონი** — კენტავრი, კრონოსისა და ფილირას ძე, ძველი თესალიური ღვთაება, მრავალი მითიური გმირის, მათ შორის, აქილევსის აღმზრდელი, სიბრძნის, სამართლიანობისა და კეთილშობილების განსახიერება.

24. ჰიპიას რეპლიკის პირველი ნაწილი ევდიკესადმია მიმართული, მეორე კი — სოკრატესადმი.

25. სოკრატე რომ სიქველეს ცოდნად თვლიდა, ამას პლატონის გარდა გვიმოწმებენ აგრეთვე ქსენოფონტე („მოგონებები სოკრატეზე", III, 9, 5) და არისტოტელე („ნიკომაქეს ეთიკა, VI, 13, 3).

□

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი[1]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წერილები. 1787-1811 წწ.

გერმანულიდან თარგმნა ნონა კალანდარიშვილმა

სახელგანთქმული კომპოზიტორის ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის წერილები რუსულ ენაზე 1970-1977 წლებში გამოსცა მ. ი. გლინკას სახელობის მუსიკალური კულტურის სახელმწიფო ცენტრალურმა მუზეუმმა.

წერილები დაწერილია 1787-1811 წლებში. კრებული გამოსაცემად მოამზადეს ნ. ლ. ფიშმანმა და ლ. ს. ტოვალევამ.

ამ მეტად საინტერესო წიგნიდან შერჩეულია მხოლოდ ის წერილები, რომლებიც დიდი კომპოზიტორის ცხოვრებას, მის სატრფიალო თავგადასავლებსა და გამოჩენილ ადამიანებთან ურთიერთობას ასახავენ.

1. ი. უ. შადენს აუგსბურგში[2]

ბონი, 15 სექტემბერი 1787 წლისა.

თქვენო მაღალკეთილშობილებავ, უპატივცემულესო მეგობარო!

ვიცი, რასაცა ფიქრობთ ჩემზე. სიტყვას ვერ შეგიბრუნებთ, საამისოდ საკმაო მიზეზებიც გაგაჩნიათ. მაგრამ ბოდიშს ვერ მოგიხდით, სანამ იმ მიზეზებს არ მოგახსენებთ, რომელნიც გამამართლებენ. გულახდილად უნდა გითხრათ, აუგსბურგიდან გამგზავრების შემდეგ ჯანმრთელობაც შემერყა და გუნება-განწყობილებაც შემეცვალა. რაც უფრო ვუახლოვდებოდი მშობლიურ ქალაქს, მით უფრო მალიმალ ვიღებდი მამის წერილებს. იგი დაჟინებით მთხოვდა, დედის ავადმყოფობის გამო ჩვეულებრივზე მეტად აეჩქარებულიყავ. როგორც კი შემეძლო ვჩქარობდი, თუმცა თავადაც უქეიფოდ ვგრძნობდი თავს.

უდიდესმა სურვილმა, ერთხელ კიდევ მენახა ავადმყოფი დედა, ყოველი წინააღმდეგობა და გასაჭირი გადამალახვინა. დედას ცოცხალს, მაგრამ მეტად მძიმე ავადმყოფს მივუსწარი.

ჭლექისაგან, დიდი ხნის წამების შემდეგ, ამ შვიდი კვირის წინ მიიცვალა[3]. იგი კეთილი, მოყვარული დედა და ჩემი უახლოესი მეგობარი გახლდათ. მეტისმეტად ბედნიერად მიმაჩნდა თავი ამქვეყნად, სანამ უტკბესი სიტყვის — დედის წარმოთქმა შემეძლო, მით უფრო, როცა ესმოდათ ჩემი. ახლა ვისღა გავაგონო? მის უტყვ, ჩემს წარმოდგენაში არსებულ ხატებას? რაც აქ დავბრუნდი, მრავალი მძიმე წუთი გამოვიარე. გამუდმებით მტანჯავს ქოშინი, მეშინია, ჭლექად არ გადამექცეს[4]. სნეულებასთან ერთად საშინელი მელანქოლიაც შემომაწვა. ვიმედოვნებ, ჩემს ადგილას თქვენს თავს წარმოიდგენთ და მაპატიებთ ამდენი ხნის დუმილს. ის სამი კაროლინი[5], აუგსბურგში ასე თავაზიანად და ჩემდამი კეთილად

განწყობილმა რომ მასესხეთ, სითამამეს ჰმატებს, მოწყალება გთხოვოთ კიდევ რამდენიმე ხნით. მოგზაურობა ძვირი დამიჯდა და ხარჯების ანაზღაურების მცირეოდენი იმედიც კი არა მაქვს, ზედი არა მწყალობს[6]. მაპატიეთ, თუ თავი მოგაბეზრეთ ამდენი ლაყბობით, მაგრამ სხვაგვარად აბა როგორ ვიმართლო თავი.

გთხოვთ, მომავალში უარს ნუ მეტყვით თქვენს მეგობრობაზე, რომელზე მეტად არაფერს ვისურვებდი, რომ ღირსი ვიყო თქვენი მეგობრობისა.

ვრჩები თქვენს პატივისმცემელ, უმორჩილეს მონად და მეგობრად

ლ. ვ. ბეთჰოვენი,

კიოლნის კურფიურსტის კარის ორღანისტი.[7]

2. ე. ბრაინინგს[8]

ბონი, 1792 წლის ზაფხული.

თქვენი ნახელავი მშვენიერი ყელსახვევი მეტად სასიამოვნო სიურპრიზი გახლდათ ჩემთვის, მაგრამ რაოდენ ძვირფასიც იყო, იმდენად ნაღველი შემომაწვა გულზე. მან მომაგონა გარდასული დროება და თქვენმა დიდსულოვნებამ სირცხვილში ჩამაგდო[9]. მართალი გითხრათ, აღარ მეგონა, თქვენ თუ კიდევ მოგონების ღირსად ჩამთვლიდით. ნეტავი ჩემი გუშინდელი განცდების მოწმე ყოფილიყავით, მაშინ არ გაგაოცებდათ, რასაც ახლა გეტყვით: თქვენმა საჩუქარმა ცრემლები მომგვარა და მეტად დამანაღვლიანა. რა მცირეოდენი ნდობაც არ უნდა მქონდეს თქვენს თვალში, დამიჯერეთ, ჩემო მეგობარო, (ნება მიბოძეთ, კვლავ ასე გიწოდოთ) თქვენი მეგობრობის დაკარგვამ ძლიერ დამტანჯა და ახლაც ვიტანჯები. თქვენა და თქვენს საყვარელ დედას ვერასოდეს დავივიწყებ. თქვენ ისე კეთილი იყავით ჩემდამი, ამ დანაკარგის ანაზღაურება მეტად ძნელია. ვგრძნობ, რა დავკარგე და რა იყავით თქვენ ჩემთვის, მაგრამ ამ უფსკრულის ამოვსება რომ მოვინდომო, ის ამბები უნდა მოვიგონო, რისი მოსმენაც თქვენ აღარ გესიამოვნებათ, მე კი მოგონება[10].

თქვენი ჩემდამი კეთილი მოგონების მოკრძალებულ საზღაურად ვბედავ გაახლოთ ვარიაციები და რონდო ვიოლინოს თანხლებით[11]. ასე მოუცლელად რომ არ ვიყო, შეპირებულ სონატას გადაგიწერდით[12]. ჩემს ხელნაწერში იგი თითქმის ესკიზს წარმოადგენს და მისი ასლის გადაღება ისეთ დახელოვნებულ ოსტატსაც კი გაუჭირდებოდა, როგორიც პარკვეინია. შეგიძლიათ რონდო გადასაწერად მისცეთ და მერე პარტიტურა დამიბრუნოთ. ახლა გაახლებთ იმ ერთადერთს, რაც ჩემს ნაწარმოებებს შორის თქვენდა შესაფერისად მიმაჩნია და რახან თქვენც კერპენს მიემგზავრებით, ვფიქრობ, ეს პიესები სიამოვნებას მოგანიჭებენ[13].

ნახვამდის, ჩემო მეგობარო, სხვაგვარად ვერ გიწოდებთ. რა გულგრილადაც არ უნდა იყოთ ჩემდამი განწყობილი, გთხოვთ, დამიჯეროთ, თქვენა და დედათქვენს წინანდებურად პატივსა გცემთ. თუ შემიძლია რითიმე სიამოვნება მოგანიჭოთ, გთხოვთ, ნუ მომერიდებით. მე სხვა საშუალება არ გამაჩნია მადლიერების გამოსახატავად იმ კეთილგანწყობილებისათვის, რითაც ვიყავი გარემოსილი.

გისურვებთ ბედნიერ მგზავრობას. ვიმედოვნებ, თქვენს ძვირფას დედას სრულიად გამოჯანსაღებულს ჩამოიყვანთ. დროდადრო მოიგონებდეთ მარადის თქვენს თაყვანისმცემელ მეგობარს

ბეთჰოვენს.

4. მაქსიმილიან ფრანცს[14] ბონში

ვენა, 1793 წლის მარტი თუ აპრილი

თქვენო უმაღლესობავ, ყოვლად ბრწყინვალეო კურფიურსტო, მოწყალეო ბატონო!

რამდენიმე წლის წინ თქვენმა კურფიურსტულმა უბრწყინვალესობამ სამსახურიდან დაითხოვა მამაჩემი, სასახლის კარის ტენორი ვან ბეთჰოვენი. თქვენი უმოწყალესობის ბრძანებითვე მისი ჯამაგირიდან დამატებით დამენიშნა ასი რაინტალერი, რათა შევმოსო, გამოვკვებო და განათლება მივცე ჩემს ორ უმცროს ძმას და ამასთან გადავიხადო მამაჩემის ვალები[15]. განზრახული მქონდა ეს ბრძანება თქვენი უბრწყინვალესობის ხაზინისათვის გა-

მეცნო, მაგრამ მამაჩემი დაჟინებით მთხოვდა, არ გამეხმაურებინა საზოგადოებაში, რომ მას აღარ შეეძლო ოჯახის უფროსობა. მისი სურვილი იყო (როგორც თვითონ თქვა) ჩემთვის წლიურად ოთხჯერ ოცდახუთ-ოცდახუთი ტალერი გადმოეცა, რასაც ზედმიწევნით, ზუსტად ასრულებდა.

როცა მისი სიკვდილის შემდეგ (იგი გასული წლის დეკემბერში გარდაიცვალა) მოვინდომე, მესარგებლა თქვენი მაღალი მოწყალებით და სადაც ჯერ არს წარმედგინა ზემოხსენებული თქვენი ყოვლად მოწყალე ბრძანება, თავზარი დამცა იმის შეტყობამ, რომ მამაჩემს იგი გაუუქმებია[16].

ღირსეული მოკრძალებით ეთხოვ თქვენს კურფიურსტულ უბრწყინვალესობას ამ ბრძანების ყოვლად მოწყალე განახლებასა და მის გადაცემას თქვენი უბრწყინვალესობის ხაზინისათვის, რათა ამინაზღაურდეს ნაწილობრივი დანამატი გასული მეოთხედი წლისა (იგი უნდა მიმელო თებერვლის დასაწყისში).

თქვენი კურფიურსტული უბრწყინვალესობის უმორჩილესად ერთგული

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი, სასახლის კარის ორღანისტი[17].

ნ. ცმესკალს[18] ვენაში

ვენის მახლობლად, 1793 წლის დასაწყისი

საყვარელო, ძვირფასო მეგობარო!

გუშინ მივიღე ჩემი ვარიაციები. გულახდილად რომ გითხრათ, სრულიად უცხონი გახდნენ ჩემთვის და მიხარია კიდეც. ეს იმის საბუთად გამომადგება, რომ ჩემი კომპოზიციები სულაც არ არიან ჩვეულებრივნი. ამასთანავე თქვენს ყურადღებას მივაპყრობ რამდენიმე შეცდომას და გთხოვთ, ბრძანება გასცეთ, დაუყოვნებლივ გაასწორონ, რადგან მეტად არსებითი გახლავთ. უპირველეს ყოვლისა, შეცდომა გაპარულია სატიტულო ფურცელზე, სადაც იტალიურად წერია: „ვიოლინოს თანხლებით სურვილისამებრ". მაგრამ რახან ვიოლინო არ სცვლის ფორტეპიანოს პარტიას და ამ პარტიის შესრულება ვიოლინოს გარეშე არასგზით არ შეიძლება, უნდა იყოს დაბეჭდილი: „ვიოლინოს უეჭველი თანხლებით", როგორც ერთ ეგზემპლარში გავასწორე.

პირველ ვარიაციაში, მეთორმეტე ტაქტში უკანასკნელ მერვედთან არის ლიგა, რაც მას არ ეკუთვნის. მესამე ვარიაციაში, მეთერთმეტე და მეთორმეტე ტაქტებში, ბანის გასაღებში გამოტოვებულია სამი ნოტა. მეთერთმეტე ტაქტში — ნოტები F, ერთი მეოთხედი და ერთი მერვედი, მეთორმეტე ტაქტში — ნოტა E, მეოთხედი, რაც ასევე აღნიშნულია.

მეოთხე ვარიაციაში, მეშვიდე ტაქტში, დისკანტში, ზემოთ და ქვემოთ ორი გაურკვეველი ნიშანია. აქ ორი ლიგა უნდა იყოს, როგორც მე მაქვს აღნიშნული.

მეცხრე ვარიაციაში პირველი ნაწილის დასასრულს, ცუდად გამოვიდა ორმაგი ხაზი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პირველი ნაწილი მეორდება, რაც არ არის საჭირო. ორი წერტილი უნდა მოიხსნას, ოთხი კი, ჩემს მიერ მითითებული, დაემატოს. ხაზთან, მეორე ნაწილის დასასრულს, უნდა გამოიკვეთოს ოთხი წერტილი, როგორც მე მივუთითე.

მეთერთმეტე ვარიაციაში, მეშვიდე ტაქტში არასწორად არის ამოკვეთილი მაღალი ხმის ოთხი ნოტა, რაც უხეში შეცდომაა. მე გავასწორე ეს ნოტები და ზემოდან დავაწერე სახელები[19].

მეთორმეტე ვარიაციაში, მესამე ტაქტში, ბანის გასაღებში შეცდომაა. ეს ნოტა იქ გადავიტანე, სადაც საჭიროა.

ოცდამეთხუთმეტე და ოცდამეთექვსმეტე ტაქტებში დისკანტის ნოტების ქვეშ არის ლიგა, ეს სწორი არ არის. აქ უბრალო ხაზი უნდა იყოს, რომელიც მიუთითებს, რომ შემდეგი ნოტები პირველი თითით უნდა დაიკრას. ორმოცდამეერთე ტაქტში ბანის გასაღების ნოტა B-ს აქვს შტილი ზემოთაც და ქვემოთაც. ეს სწორი არ არის, შტილი უნდა ჰქონდეს მხოლოდ ქვემოთ.

მეორე ვარიაციაში, მეთერთმეტე ტაქტში, ბანის გასაღებში მერვედი ნოტის D მაგივრად არის მეოთხედი, ხოლო მეოთხედი ნოტის D მაგივრად მერვედი. მერვე ვარიაციაში, ოცდამეხუთე ტაქტში ბანის გასაღების B ნოტის მაგივრად არის C. რაც გავასწორე, სულ ფორტეპიანოს პარტიას ეხება.

ვიოლინოს პარტიაში ყველაფერი კარგადაა, მხოლოდ ზოგიერთი წვრილმანი უნდა აღ-

ვნიშნო. მეექვსე ვარიაციაში, ბოლოს წინა ტაქტში, ორი მერვედის თავზე გამოტოვებულია ლიგა. მეთერთმეტე ვარიაციაში, მეორე ნაწილის პირველ ტაქტში, ნოტა G შემდეგ გამოტოვებულია წერტილი. მეცხრე ვარიაციაში, მერვე ტაქტში ფორტეპიანოს პარტიის შემდეგ ნოტებში გამოტანილია ორი ექვსიანი, ამათგან ქვემოთა უნდა ამოიშალოს.

დისკანტის მეთოთხმეტე ტაქტში ნოტის fis შემდეგ გამოტოვებულია შემაერთებელი ხაზი.

მეხუთე ვარიაციის მეხუთე ტაქტში, ვიოლინოს პარტიაში აკლია [illegible] აღნიშნულია.

ეს მითითებული წვრილმანები საქმეს ძალიან გაგირთულებენ, მაგრამ თქვენ თვითონაც ხედავთ, სერიოზული შეცდომებია. გთხოვთ, საჩქაროდ გაასწოროთ ყველაფერი, სატიტულო ფურცელი კი გადააკეთოთ. თუ ნაწილი გადაეცა გასაყიდად, არტარიამ სცადოს მათი უკან დაბრუნება. კორექტურის შესატანად ხვალ ან ზეგ მე თვითონ ჩამოვალ ვენაში.

ვასრულებ წერილს. თუმცა მეტად ვჩქარობ, მინდა დაგარწმუნოთ, რომ ვრჩები თქვენს პატივისმცემელ მეგობრად,

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი.

გასწორებული ეგზემპლარი ზემოდან დავადე.

ე. ბრაინინგს ბონში.

ვენა, 2 ნოემბერი, 1793 წლისა

ღირსპატივცემულო ელეონორა! ჩემო უძვირფასესო მეგობარო!

მხოლოდ ახლა, დედაქალაქში ჩამოსვლის ერთი წლის შემდეგ გიგზავნით პირველ წერილს, მაგრამ ცოცხალი მოგონებანი თქვენზე მუდამ თანა მდევდა. ფიქრებში ბევრჯერ მისაუბრია თქვენთან და თქვენს მშვენიერ ოჯახთან, მაგრამ ყოველთვის ისე დამშვიდებით არა, როგორც მე მსურდა.

დროდადრო, როცა ჩვენი ავბედითი უსიამოვნებანი და ჩემი მაშინდელი საქციელი მომაგონდებოდა, მძულდა ეს წუთები, მაგრამ წარსულს ველარ გამოასწორებთ. სიცოცხლეს არ დავიშურებდი, რომ შემეძლოს ჩემი ცხოვრებიდან მაშინდელი საქციელის ამოშლა, ესოდენ სამარცხვინოსი და სრულიად შეუფერებლისა ჩემის ბუნებისათვის.

თუმცაღა სხვადასხვა გარემოებანი გვაშორებდა ერთმანეთს, ჩემის ფიქრით, ჩვენს თანხმობას უმეტესად სწამლავდა ჭორები და ჩვენივე ნათქვამი ერთმანეთზე და ერთმანეთის წინააღმდეგ. ამასთან ჩვენ ორთავეს გვეგონა, გულწრფელი რწმენა გვალაპარაკებდა იმას, რასაც სინამდვილეში განრისხების ჟამს ვანთხევდით, ორივენი დავიბენით.

თქვენი თვინიერი, კეთილშობილური ხასიათი მაიმედებს, რომ კარგა ხანია მაპატიეთ. თუმცა ამბობენ, ყველაზე გულწრფელი სინანული საკუთარი დანაშაულის აღიარებააო. სწორედ ეს მეწადა. მაგრამ მოდით, დავიწყებას მივცეთ წარსული, რაც გაკვეთილად გამოგვადგება, რომ მეგობრებმა განხეთქილების ჟამს შუამავლები კი არ იხმონ, თვითონვე გაარკვიონ მიზეზი.

ამ წერილთან ერთად გაახლებთ ჩემს პიესას[20] და ვისურვებდი, იგი მნიშვნელოვანი ყოფილიყოს და ღირსი თქვენის ყურადღებისა.

აქ დღენიადაგ ჩამჩიჩინებდნენ, დამებეჭდა ეს ნაწარმოები. ძვირფასო ელეონორა, ვსარგებლობ შემთხვევით, მოგიძღვნათ საბუთი პატივისცემისა და მეგობრობისა, რასაც თქვენი და თქვენი ოჯახის მოგონება განმაცდევინებს. მიიღეთ ეს მცირე ნობათი და გწამდეთ, იგი მოგიძღვნათ თქვენდამი ღრმა პატივისცემით გამსჭვალულმა მეგობარმა. ჩემს ყველა ნატვრას აღსრულებულად ჩავთვლიდი, თუ იგი სიამოვნებას მოგანიჭებდათ. დაე ცოტათი მაინც მოგაგონებდეთ თქვენს სახლში გატარებულ ესოდენ ბედნიერ წუთებს. იქნებ მისი წყალობით თქვენს მეხსიერებას შემორჩე იმ დრომდე, სანამ კვლავ არ დავბრუნდები, რაიც უახლოეს მომავალში არ არის მოსალოდნელი. ო, როგორ გავიხარებთ მაშინ, ჩემო ძვირფასო მეგობარო! თქვენი მეგობარი, ვისაც დრომ და გამორჩეულთა ბედმა ავბედითი წარსულის ნაოჭები გაუსწორა, უფრო ხალისიანი გეჩვენებათ[21].

ბარბარა კოხი თუ ნახოთ, გთხოვთ, გადაეცით, მის მხრივ ულამაზოა, ერთხელაც რომ არ მიპასუხა. მას ხომ ორჯერ მივწერე წერილი, მალხუსს სამჯერ[22], პასუხი კი არ მიმიღია. უთხარით, თუ თვითონ არ სურდა მოეწერა, მალხუსი მაინც უნდა აეძულებინა. ჩემი

წერილის დასასრულს კიდევ ერთ თხოვნას გიბედავთ — დიდად ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, ჩემო ძვირფასო მეგობარო, თუ კიდევ გამომიგზავნიდით თქვენი ხელით მოქსოვილ კურდღლის ბეწვის ჟილეტს. აპატიეთ თქვენს მეგობარს ესოდენი კადნიერება, რადგან ყოველივე, რაც თქვენთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებულ სიყვარულს განმაცდევინებს. ერთი საიდუმლოც მინდა გაგიმხილოთ. ამას ცოტათი სიამაყის გრძნობაც ერთვის. მინდა თავი მოვიწონო ერთი ბონელი უშესანიშნავესი, ღირსეული გოგონას საჩუქრით. მართალია, ძველი ჟილეტი მაქვს, ესოდენ თავაზიანად მოძღვნილი თქვენს მიერ ბონში, მაგრამ მოდის წყალობით იგი ისე მოძველდა, მხოლოდ ტანისამოსის კარადაში თუ შევინახავ, ვით მეტად ძვირფას მოსაგონარს თქვენზე.

დიდ სიამოვნებას მომანიჭებთ, თუ ამ მოკლე ხანში თქვენი ძვირფასი წერილით გამახარებთ.

თუ ჩემი წერილები გესიამოვნებათ, მტკიცედ აღგითქვამთ, რამდენადაც შევძლებ გულმოდგინებას გამოვიჩენ, ისევე როგორც ყველაფერში, რაც საშუალებას მომცემს დაგიმტკიცოთ, რაოდენ ერთგულ და პატივისმცემელ მეგობრად ვრჩები.

ლ. ვ. ბეთჰოვენი.

ვარიაციების შესრულება ცოტათი გაგიძნელდებათ, მაგრამ ამან არ უნდა შეგაშინოთ. მხოლოდ აღნიშნული ნოტების სწრაფი დაკვრაა აუცილებელი, დანარჩენი გამოტოვეთ, რადგან იგი ვიოლინოს პარტიაშიც გვხვდება. არასოდეს ამისი მსგავსი არაფერი დამიწერია. ვენაში არაერთხელ შემინიშნავს, როცა მე ხან აქ, ხან იქ, ჩვეულებისამებრ, საღამოობით ვუკრავდი, გამოცხადდებოდა ვილაც კაცი, რომელიც მეორე დღეს ჩაიწერდა ჩემს რამდენიმე ხერხს და შემდგომ ამპარტავნულად თავისად ასაღებდა[23], როცა დავინახე, რომ შეიძლებოდა კიდევ გამოჩენილიყო ამგვარი ხალხი, გადავწყვიტე მათი გაფრთხილება. სხვა მიზეზიცა მქონდა შეშფოთებისა: აქაურ პიანისტთაგან ბევრია ჩემი დაუძინებელი მტერი[24] და მინდოდა შური მეძია მათზე, რადგან ვიცოდი. სადმე ვარიაციებს შეასრულებდნენ და მაშინ ამ ბატონებს შერცხვენა არ ასცდებოდათ.

9. მ. ფრანცს ბონში

ვენა, 23 ნოემბერი 1793 წლისა

თქვენო უსამღვდელოესობავ, ყოვლად მოწყალეო ბრწყინვალეო კურფიურსტო და ბატონო!

ჩემი ყველაზე სანუკვარი მიზანია თქვენი კურფიურსტული უბრწყინვალესობის მოწყალების მოპოვება.

ამ მიზნის მისაღწევად მიმდინარე წელს გულმოდგინებით ვცდილობ მუსიკალური ხელოვნების ზოგადი კანონების შეთვისებას, რათა მომავალი წლისათვის გამოგიგზავნოთ ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც თქვენი დიდსულოვნებით ჩემდამი და საერთოდაც თქვენი კეთილშობილებით, უფრო შესაფერისნი იქნებიან, ვიდრე ესენი, ახლა რომ ვუგზავნი თქვენს კურფიურსტულ უბრწყინვალესობას ბატონი ჰაიდნის[25] შუამდგომლობით. ვიმედოვნებ, თქვენი კურფიურსტული უბრწყინვალესობა არ მომაკლებს წინანდელ მოწყალებას.

თქვენი კურფიურსტული უბრწყინვალესობის ღრმად პატივისმცემელი და მონა-მორჩილი

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი[26].

10. ნ. ზიმროკს[27] ბონში

ვენა, 18 ივნისი 1794 წლისა

ძვირფასო ზიმროკ!

ჩემი ძმა ვენაში[28] იმყოფება და შემატყობინა, რომ თქვენ უკვე გაუკეთეთ, თუ აპირებთ გაუკეთოთ გრავიურა ჩემს ვარიაციებს ოთხი ხელისათვის[29].

ჩემის ფიქრით, ზედმეტი არ იქნებოდა, თანხმობა გეკითხათ, თორემ მეც რომ ასევე მოვქცეულიყავი, შემეძლო არტარიასათვის[30] მიმეყიდა ის ვარიაციები, თქვენ რომ გრავიუ-

რას უკეთებთ. თუმცა ეგ ნუ აგაღელვებთ. მე მხოლოდ ერთს ვითხოვ: შეაჩეროთ გრავიურა და მომწეროთ, მართლა დაიწყეთ თუ არა. თუ დაიწყეთ, მაშინ შემთხვევა მომეცემა თუ არა, ჩემს მეგობარ გრაფ ვალდშტაინს გამოვუგზავნი[31] ამ ვარიაციების ხელნაწერს, რის მიხედვითაც შეგეძლებათ გრავიურა გააკეთოთ, რადგან მათში სხვადასხვა შესწორებანი შევიტანე. მინდა, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, ჩემი ქმნილებანი სრულყოფილად გამოცემულნი ვიხილო. სხვაგვარად აზრი არა აქვს ვარიაციების გამოცემას და დავჯობინებდი, დამეცადა იმ დრომდე, სანამ ჩემი სხვა ნაწარმოებები გახდებოდნენ ცნობილნი, რომლებიც მალე გამოქვეყნდება.[32]

გთხოვთ, თუკი შესძლებთ, საჩქაროდ მიპასუხოთ.

თუ ისურვებთ, აქ თქვენი რწმუნებული გყავდეთ, სიამოვნებით მიგასწავლით წესიერებით განთქმულ ერთ კაცს.

ამავ დროს, ვიმედოვნებ, თქვენგან მივიღო არა ნაკლები ორი დუჟინი ეგზემპლარისა და ვისურვებ, ამჯერად გრავიურა უფრო გულმოდგინედ გაგეკეთებინოთ, რადგან სხვა ვარიაციებში[33] სერიოზული შეცდომა დაუშვით: მეექვსე ვარიაციაში ტონალობა A–dur სამი დიეზით დასტოვეთ, იმის მაგივრად, რომ სამი ბეკარი ყოფილიყო, რაც a–moll ტონალობაში გადაიყვანდა. თან ერთ ეგზემპლარს მიგზავნით. ეს ხომ მეტისმეტად ცოტაა. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ არტარიამ სხვა ვარიაციებში[34] კარგი ჰონორარი გადამიხადა და თორმეტი ეგზემპლარიც მომცა.

მომწერეთ, გსურთ თუ არა კიდევ გამოგიგზავნოთ ჩემი რომელიმე ნაწარმოები და სახელდობრ, რომელი. ჯანმრთელად იყავით. მოკითხვა გადაეცით რისს.

თქვენი ერთგული მეგობარი ლ. ვ. ბეთჰოვენი.

12. ნ. ზიმროკს ბონში

ვენა, 2 აგვისტო 1794 წლისა

ძვირფასო ზიმროკ!

ღირსად მიმაჩნია თავი, ცოტათი რომ შემახურეთ, ვარიაციების ესოდენ დაგვიანებისათვის. ოღონდ, თუ დამიჯერებთ კორექტურაში ბევრმა რამემ შემიშალა ხელი. ნაკლოვანებებს თქვენ თვითონა ნახავთ. მომილოცნია გრავიურა, ლამაზიც არის და ადვილადაც იკითხება. თუ ასე გააგრძელებთ, ნოტების გამოყვანაში ბადალი არ გეყოლებათ.

წინა წერილში შეგპირდით, რომელიმე ჩემს ნაწარმოებს გამოგიგზავნით-მეთქი. თქვენ ეს დაპირება სამეფო კარის რაინდის ვაჟკაცურ სიტყვად ჩასთვალეთ. ეშმაკმა დასწყევლოს, ჩვენს დემოკრატიულ დროში ვინ შეითვისებს სამეფო კარის დიალექტს. თქვენს მიერ მოხვეულ ტიტულს რომ თავი დავაღწიო, მალე შევუდგები ჩემი კომპოზიციების გადათვალიერებასა და რაიმეს ისეთს გამოგიგზავნით, რასაც უეჭველად დაბეჭდავთ. რაც შეეხება კომისიონერს, კარგად დავუკვირდი და ამოვირჩიე გულმოდგინე და ძალზე პატიოსანი კაცი. გვარად ტრეგი. ახლა ან თქვენ, ან მე უნდა მივწერო იმას თქვენი პირობები. დაჟინებით მოითხოვს ერთი მესამედის ჩამოკლებას. ეშმაკმა უწყის ეს სავაჭრო საქმეები. აქ ძალიან ცხელა. ვენელებს ეშინიათ, მალე უნაყინოდ დავრჩებითო, რადგან თბილი ზამთარი იყო და ყინულის შოვნა ჭირს. აქ რამდენიმე გამოჩენილი პირი დააპატიმრეს და ხმები დადის, რევოლუცია უნდა მოხდესო, მაგრამ ჩემის ფიქრით, სანამ ავსტრიელს მაგარი ლუდი და სოსისი არ მოაკლდება, აჯანყებაზე არ იფიქრებს[35]. ნაბრძანებია, ათი საათის შემდეგ გარეუბნებში გამავალი ჭიშკარი დაიკეტოს. ჯარისკაცები დატენილი თოფებით დადიან. ხმამაღლა ლაპარაკისათვის პოლიცია ხალხს აპატიმრებს.

თქვენი ქალიშვილები თუ დაიზარდნენ, ერთი საპატარძლოდ გამიმზადეთ. თუ ცოლი არ შევირთე, ბონში დიდხანს რა გამაჩერებს. წინასწარ უნდა ცახცახებდეთ შიშისაგან[36].

ქეთლი რისი რასა იქმს? მალე მივწერ წერილს. ჩემზე უეჭველად ცუდი აზრისა იქნება, მაგრამ ეს წყეული ნაჯღაბნი... ასეთი ვარ და რა ვქნა, რა გამომცვლის. უკვე დაუკარით ჩემი პარტია?[37]

დროდადრო მომწერეთ ხოლმე.

თქვენი ბეთჰოვენი.

რამდენიმე ეგზემპლარი პირველი ვარიაციებისა მაინც გამომიგზავნეთ[38].

13. ფ. კლემენტის[39]
ვენა, 1794 წელი

ძვირფასო კლემენტ!
იარე და კვლავაც გაჰყევი შენთვის აქამდე ესოდენ სახელოვან და დიდებულ გზას. ბუნება და მუზა ერთმანეთს ეჯიბრებიან, რათა შენ ერთ საუკეთესო არტისტად გაქციონ. ყურადღ ილე ორივეს მონოდება და უეჭველად მიაღწევ დიდ, დიად მიზანს, რაც კი ხელოვნების არტისტს აქ, დედამიწაზე.
იყავ ბედნიერი, ჩემო ძვირფასო ყრმავ, და მალე დაბრუნდი უკან, რათა კვლავ დავტკბეთ შენი მომაჯადოებელი, მშვენიერი დაკვრით.[40]

შენი მეგობარი ლ. ვ. ბეთჰოვენი.
მისი უბრწყინვალესობა კიოლნის კურფიუსტის კარის მსახური[41].

15. ფ. ვეგელერს[42].
ვენა, 1794 წ. დეკემბერი, 1795 წ. ოქტომბერი

უსაყვარლესო, ჩემო ძვირფასო!
რა საზარელი დამანახვე საკუთარი თავი. გამოგიტყდები, არა ვარ ღირსი შენი მეგობრობისა. შენ კეთილი ხარ, კეთილშობილი. შენს გვერდით ჩემს თავს ვერ დავაყენებ, მეტისმეტად ჩამოგრჩი. ორი თვის განმავლობაში გული ვატკინე ჩემს ყველაზე საუკეთესოსა და უკეთილშობილეს მეგობარს. ხომ არ გგონია წინანდებურადვე მოწყალე და ღვთისმოშიში აღარ ვიყო? არა! შენდამი წინასწარ გამიზნული და მოფიქრებული ბოროტება არ მამოძრავებდა. მიუტევებელმა თავქარიანობამ შემიშალა ხელი ჭეშმარიტების შეცნობაში, ო, როგორ მრცხვენია შენი და საკუთარი თავისაც. ამიტომაც ველარ ვბედავ, კვლავ მეგობრობა გთხოვო. ოჰ, ვეგელერ, სიმშვიდეს მხოლოდ იმაში ვპოვებ, რომ ბავშვობიდანვე მიცნობ[43] და მაინც ნება მიბოძე, თვითონვე ვაღიარო — ჩემი სიკეთის წყალობით დღენიადაგ იმის ცდაში ვიყავ, ჭეშმარიტად და სამართლიანად მოვქცეულიყავ. სხვაგვარად შენ როგორ შემიყვარებდი!
ნუთუ ამ მოკლე ხანში ასე ძლიერ და ასე საშინლად შევიცვალე? ვერ დავიჯერებ, დიადის, სიკეთის გრძნობა ასე უცბად ჩამქრალიყოს ჩემში. ო, ნუ შეკრთები, კვლავ გულში ჩაეკარ შენს ბეთჰოვენს. ნუ დაივიწყებ იმ კარგ თვისებებს, ოდესღაც რომ პოულობდი მასში. მე კი აღგითქვამ, ამ საძირკველზე შენს მიერ აღმართული წმინდა ტაძარი მეგობრობისა მარადჟამს მტკიცე იქნება, მას ვერას დააკლებს ჟამთასვლა, ვერც ქარიშხალი. ურყევი და სამარადჟამოა ჩვენი მეგობრობა. პატიება-დავიწყება მკვდრეთით აღადგენს დასაღუპავად განწირულ მეგობრობას.
ო, ვეგელერ, ხელს ნუ ჰკრავ შესარიგებლად გამოწვდილ ხელს, გამომიწოდე შენი მარჯვენა. ო, ღმერთო ჩემო, სიტყვა უძლურია. მე თვითონ მოვალ, გულში ჩაგეკვრები და ვილოცებ დაკარგული მეგობრობის დასაბრუნებლად. დაიბრუნე მონანიე, მარად შენი მოყვარული და ერთგული ბეთჰოვენი. ეს-ესაა დავბრუნდი სახლში და შენი წერილიც მივიღე[44].

16. ნ. ცმესკალს
ვენა, 1793-1795 წწ.

უძვირფასესო ცმესკალ!
რაოდენ უსიამოვნოც არ უნდა იყოს ჩემთვის, იძულებული ვარ გთხოვოთ ერთი რამ. კერძოდ, ჩემი სახელით ეცადეთ გაიგოთ არტარიასაგან, ხომ არ მოგცემდათ ექვს ან თორმეტ ეგზემპლარს? დანარჩენებს მე თვითონ შევისყიდი მოგვიანებით. თითო ეგზემპლარი უეჭველად უნდა დავურიგო სალიერის[45] და რამდენიმე მეგობარს (მიზეზს მოგახსენებთ). ამასთან მინდა გთხოვოთ: სიკეთე მიქენით და ამ ექვსი ან თორმეტი ეგზემპლარის ფული თქვენვე გადაუხადეთ არტარიას. ვიმედოვნებ, ჩვენი გარიგება ხუთასი გულდენის თაობაზე ჩემს სასარგებლოდ გადაწყდება და მაშინვე დაგიბრუნებთ თქვენს დანახარჯს.

ეცადეთ, დაარწმუნოთ არტარია, ეს ექვსი ან თორმეტი ეგზემპლარი მანამ მოგცეთ, სანამ ლიხნოვსკისაგან ოცდაათ გულდენს მიიღებდეს. მაცნობეთ, როდის მივიღებ თქვენს პასუხს ამის თაობაზე. მეტად სასურველი იყო ეგზემპლარები დღესვე მიმეღო, რადგან ერთ-ერთი უნდა გადავცე სალიერის.

თქვენი გულითადი მეგობარი ბეთჰოვენი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

17. ი. ნ. ბეთჰოვენს ვენაში

პრაღა, 19 თებერვალი 1796 წლისა

ძვირფასო ძმაო![46]

იმისათვის, რომ იცოდე, სადა ვცხოვრობ და რას ვაკეთებ, რაღა თქმა უნდა, წერილი უნდა მოგწერო. უპირველეს ყოვლისა, ჩემი საქმეები ძალზე კარგად მიდის. ჩემმა ხელოვნებამ ბევრი მეგობარი და პატივისმცემელი შემძინა, მეტს რაღას ვინატრებდი?[47] ფულსაც ამჟერად საკმაოდ ვიღებ[48]. რამდენიმე კვირას კიდევ დავრჩები აქ, მერე კი დრეზდენს, ლაიფციგს და ბერლინს გავემგზავრები. ასე რომ, ექვსი კვირა მაინც გავა, სანამ უკან დავბრუნდები[49].

ვიმედოვნებ, ვენა თანდათან უფრო მოგწონს. ოღონდ ფრთხილად იყავი, ერიდე ბილწი ქალების საზოგადოებას[50]. ნათლია ელზესთან იყავი? თუ სურვილი და დროც გექნება, შეგიძლია წერილი აქ მომწერო. მე ვფიქრობ თავადი ლიხნოვსკი[51] მალე დაბრუნდება ვენაში, აქედან უკვე გამოემგზავრა. თუ ფული დაგჭირდეს, თამამად მიდი მასთან, კიდევ მართებს ჩემი. ახლა კი გისურვებ უფრო მეტ წარმატებას ცხოვრებაში და ვიმედოვნებ, შესაძლებლობა მექნება, რითიმე ხელი შეგიწყო. ნახვამდის, ძვირფასო ძმაო, ჟამით-ჟამამდე მოიგონებდე შენს ერთგულსა და თავდადებულ ძმას ლ. ბეთჰოვენს.

მოკითხვა გადაეცი ჩემს ძმას კასპარს[52].

ჩემი მისამართია: „ოქროს ვერძი"[53].

18. ი. ა. შტრაიხერს[54]

ვენა, ივლის-ოქტომბერი 1796 წლისა

ძვირფასო შტრაიხერ!

ჩემმა სამუშაომ ისე მშთანთქა, ჟერ უმდაბლესად ბოდიში უნდა მოგიხადოთ თქვენს თავაზიან წერილზე პასუხის ესოდენ დაგვიანებისათვის. რაღა თქმა უნდა, ამას რომ ვამბობ, სულაც არ გაბრალებთ თავს. ვწუხვარ მხოლოდ, მაშინვე რომ ველარ გიპასუხეთ. თქვენმა პატარა მოწაფემ ,ძვირფასო შტრაიხერ, ჭეშმარიტად გამაოცა, ალარაფერს ვამბობ იმაზე, თვალებზე ცრემლი რომ მომადგა, როცა ჩემს ადაჟიოს უკრავდა. გილოცავთ, რომ ბედმა გაგიღიმათ და თქვენი გონიერება ასეთ ნიჭში გამოვლინდა .ასევე მახარებს, რომ ამ მშვენიერმა, ნიჭიერმა არსებამ თავის მასწავლებლად თქვენ ამოგირჩიათ[55]. თუ დამიჟერებთ, ჩემო ძვირფასო შტრაიხერ, პირველად განვიცადე სიამოვნება ჩემი ტერცეტის მოსმენისა. მართლაც, ეს ნამაქეზებს, უფრო მეტი ვწერო ფორტეპიანოსათვის, ვიდრე აქამდე, რადგან ეს უფრო დიდ სიამოვნებას მგვრის[56], თუნდაც რომ ცოტას ესმოდეს ჩემი მუსიკა, რაღა თქმა უნდა, საშემსრულებლო ხელოვნების თვალსაზრისით ნაკლებ მიღებული ინსტრუმენტია სხვა ინსტრუმენტთა შორის. ხშირად ფიქრობენ, რომ ფორტეპიანოს ხმაში ისმის მხოლოდ არფა. მსიამოვნებს, ჩემო ძვირფასო თანამოძმევ, რომ თქვენ ეკუთვნით იმ მცირერიცხოვან ადამიანებს, რომელთაც ესმით და გრძნობენ, რომ ფორტეპიანოს სიმღერაც შეუძლია, თუკი დამკვრელს უნარი შესწევს, შეიგრძნოს იგი. ვიმედოვნებ, დადგება დრო, როცა არფა და ფორტეპიანო ორი სხვადასხვა ინსტრუმენტი გახდება[57]. ამასთან დაესძენ, შეგიძლიათ ნება დართოთ, თქვენს პატარა მოწაფეს დაუკრას ,როდესაც მოესურვება. ნუკი გაამხელთ და, ბევრს ჩვენს ბანალურ, ბლენძია ვითომ მუსიკოსს სირცხვილსაც კი აჭმევს.

კიდევ ერთი რამ! უხერხულად ხომ არ მოგეჩვენებათ, ძვირფასო შტრაიხერ, მეც რომ მივიღო მონაწილეობა მის განათლებაში, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, მეც თუ ვიზრუნებ მის წარმატებებზე?

სულაც არ მინდა გეპირფერროთ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, თქვენზე მეტად და თქვენ-

ზე უკეთ ვერას ვასწავლი მას. მე მხოლოდ თვალს მივადევნებ მის წარმატებებს, გავამხნევებ წინსვლაში[58].

ახლა კი ნახვამდის, ჩემო ძვირფასო შტრაიხერ. კვლავ მევედრებით ჩემს მახლობლად, როგორც მე ვრჩები მარადის თქვენს ერთგულ და ჭეშმარიტ მეგობრად.

ლ. ვ. ბეთჰოვენი.

ვიმედოვნებ, მალე შევძლებ, გინახულოთ პირადად. მაშინ შე[illegible] ჩემს მისამართს. მოკითხვა გადაეცით ჩემგან თქვენს საყვარელ ცოლს.[59]

ბიბლიოთეკა

19. ი. ა. შტრაიხერს ვენაში

პრესბურგი*, 19 ნოემბერი, 1796 წლისა.

ძვირფასო შტრაიხერ![60]

გუშინწინ მივიღე თქვენი ფორტეპიანო. ჭეშმარიტად რომ დიდებული ინსტრუმენტი გამოგივიდათ. არავინ დაფიქრდებოდა, თავისთვის დაეტოვებინა, მაგრამ რა სასაცილოდაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ვერ დაგიმალავთ, ჩემთვის მეტისმეტად კარგია. და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ასეთი ინსტრუმენტი ხელს მიშლის ჩემი საკუთარი ტონის გამომუშავებაში. მაგრამ ამის გამო ხელს ნუ აიღებთ თქვენი ფორტეპიანოების ამგვარად დამზადებაზე. ჩემისთანა ახირებული ბევრი ალბათ არ შეგხვდებათ[61].

ჩემი აკადემიის მოწყობა განზრახული მაქვს ოთხშაბათს, ამ თვის 23-ს. მეტად გამახარებდა, შტაინი თუ მოისურვებდა ჩამოსვლას, ღამისგასათევს უეჭველად, აქ, ჩემთან ვეშოვი.

ფორტეპიანოს გაყიდვის აზრი თქვენზე უფრო ადრე მომივიდა თავში და, რაღა თქმა უნდა, ვიზრუნებ კიდეც, რომ გავყიდო[62].

ძვირფასო შტრაიხერ, გულით მადლობას გწირავთ თქვენს მიერ გაწეული სამსახურისათვის. ვისურვებდი, ძეც სიკეთით გადამეხადოს. თუნდაც ამ წერილმა არ დაგარწმუნოთ, შესანიშნავად მოგეხსენებათ, რა მხურვალედ მწადიან თქვენი ინსტრუმენტების ღირსების აღიარება აქაც და ყველგან.

ვიმედოვნებ, მარადჟამს გეყვარებით და თქვენს ჭეშმარიტად ერთგულ მეგობრად ჩამთვლით.

ლ. ვ. ბეთჰოვენი.

ყოველივე სიკეთეს ვუსურვებ თქვენს მეუღლესა და აგრეთვე ახალდაქორწინებულთ.[63]

22. ქ. გერარდის[64]

ვენა, 1795-1797 წ.წ.

ძვირფასო ფროილაინ გერარდი!

ვერ ვიცრუებ, უნდა გაგიმხილოთ, როგორ გამაოგნა თქვენს მიერ გამოგზავნილმა ლექსებმა. საოცარი გრძნობა გეუფლება, როცა ხედავ და გესმის, როგორ გაქებენ, თვით კი უძლური ჩანხარ. მსგავსი შემთხვევები მე მიმაჩნია იმის დასტურად, რომ, რა სიძნელეებიც არ უნდა გელობებოდეს წინ, იმ მიუწვდომელი მიზნისაკენ უნდა ისწრაფოდე, რასაც ხელოვნება და ბუნება გვისახავს[65].

ლექსები ჭეშმარიტად რომ მშვენიერია, ოღონდ ერთი ნაკლი აქვს, რაც საკუთარი ფანტაზიით გატაცებულ პოეტებს ახასიათებთ ხოლმე. ნამდვილად ხედავენ და ესმით ის, რისი დანახვაც და გაგონებაც უნდათ, თუნდაც რომ ზოგჯერ თვით საგანი ბევრად დაბლა იდგეს მათ იდეალზე.

ალბათ თქვენც ჩემი აზრისა იქნებით. ვისურვებდი, გავეცნობოდი, პოეტია თუ პოეტესა.[66] ამასთან მადლობელი ვარ იმ თავაზიანობისათვის, რაც თქვენი თაყვანისმცემელი ლ. ვ. ბ ე თ ჰ ო ვ ე ნ ი ს ა დ მ ი გამოიჩინეთ.

* ახლანდელი ბრატისლავა.

24. ნ. ცმესკალს
ვენა, 1795-1797 წ.წ.

საყვარელო Conte di Musica![67]

უფალმა მოგანიჭოთ ჯანსაღი ძილი, და ჩვენც გისურვებდით კარგ მადასა და საჭმლის მონელებას. მხოლოდ ეს სჭირდება ადამიანს სიცოცხლისათვის, მაგრამ თუ ძვირი გვიჯდება. უსაყვარლესო Conte. გულითადო *amico*[68] ცუდი დრო დაგვიდგა. ხაზინა დაგვიცარიელდა, შემოსავალი ჭირს და იძულებული ვართ, თქვენო მოწყალებავ, თავი დავიმციროთ თქვენს წინაშე და სესხად ხუთი გულდენი გთხოვოთ, ხუთი გულდენი, რაიც დაბრუნებულ იქნება ჩვენს მიერ რამდენიმე დღეში. ინსტრუმენტების გასინჯვისას გავალებთ, უმკაცრესად მოიქცეთ, თუ ვინმე მოგვატყუებს[69], იძულებულნი ვიქნებით მკაცრად დავსაჯოთ დამნაშავე.

ნახვამდის საყვარელო amico და Conte di Musica.

თქვენი ერთგული ლ. ვ. ბეთჰოვენი.

25. ნ. ცმესკალს
ვენა, 20 ოქტომბერი 1796-1797 წლისა.

ჩვენამდე მოაღწია ხმამ, რომ თქვენმა უმაღლესობამ გაბედა და შეურაცხყო ერთ-ერთი ჩემი Mineur, ჩემს მიერ შექმნილ გერმანულ ცეკვათაგან.

ახსნა-განმარტებას ვითხოვ ამის თაობაზე. დღესვე დაუყოვნებლივ უნდა წარსდგეთ ჩვენი ტრიბუნალის წინაშე.

შედგენილია ჩვენს laoboratorium artificiorum 20 ოქტომბერსა.

27. ნ. ცმესკალს
ვენა, დაახლოებით 29 მარტს 1798 წლისა

ძვირფასო ცმესკალ!

ამები იანები[70] მეც ისევე ნაკლებ მაინტერესებს, როგორც თქვენ, მაგრამ ისე ჩამაცივდნენ და ბოლოს დამარწმუნეს, რომ თქვენც იქ იქნებოდით, მეც აღვუთქვი, მოვალ-მეთქი. მაშ მოიღეთ მოწყალება და მოდით იქ, ღვთის გულისათვის. იქნებ გამოგიაროთ ციციუსთან, მაგრამ გამოგივლით თუ არა, თქვენ მაინც წადით იქ, რომ მარტო არ აღმოვჩნდე. თუ დღეს ვერ შესძლებთ „გედში" მოსვლას, ჩვენი საქმეები შევაჩეროთ მანამ, ვიდრე თქვენ არ მოგეხერხებათ.

მთლად თქვენი ბეთჰოვენი.

28. ქ. გერარდის
ვენა, აგვისტო, 1798 წლისა.

ძვირფასო კრისტინა!

გუშინ რაღაც მითხარით ჩემი პორტრეტის თაობაზე. ცოტაოდენი სიფრთხილე გმართებთ. მეშინია, თ-ს მხრიდან ვინმეს რომ გამოვატანო, საქმეში აუტანელი ბ ჩაერევა, ანუ სულელზე სულელი იოზეფი, მაშინ კიდევ ერთ მახეში გავებმები და ეს მართლაც აუტანელი გახდება[71]. ისევ მომიხდება თავის დაცვა, არადა, მთელი ეს ბრბო ამდენად არ ღირს. ყოველნაირად ეცადეთ, თვითონ მიიღოთ საკუთარ ხელში. აღგითქვამთ, გაზეთის საშუალებით ყველა მხატვარს მივმართავ და ვთხოვ, ჩემი ნებართვის გარეშე არ დამხატონ. აღარ მეგონა, თუ ჩემი საკუთარი ფიზიონომია უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდებდა[72]. რაც შეეხება შლაპის მოხდას, წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ ამისი მსგავსის რაიმეს უფლებას მივცემდი თავს. აუხსენით გასეირნების წესები. ნახვამდის, ეშმაკმა დასწყევლოს.

31. ნ. ცმესკალს

ვენა, 24 მარტი 1799 წლისა

მე გუშინვე გითხარით, თქვენს ბილეთს არ მივიღებ-მეთქი. თუ თქვენ იფიქრეთ, რომ შემიძლია ერთ მეგობარს მოვაკლო სიამოვნება და მეორეს მივანიჭო, მაშინ უკეთ უნდა მიცნობდეთ. ჩემს სიტყვას არ გადავალ. თქვენს ბილეთს უკან გიგზავნით. მიხარია, ასეთი სუსტი ნებისყოფისა რომ არა ვარ.

ბიბლიოთეკა

ერთხელ ნათქვამს აღარ გადავთქვამ.

ასე მგონია, გუშინ ჩემზე ნაწყენი დარჩით. იქნებ ის გეწყინათ, მკვახედ რომ მოგახალეთ, ბილეთი ჩემთვის არ უნდა მოგეცათ-მეთქი.

ეგ ნუ გაგაოცებთ, გუშინ ხომ ორი წერილი დავწერე, ვიმეორებ — ორი. ერთი ლიხნოვსკის გავუგზავნე, მეორე — თავადის ასულს[73], რომ ერთი ბილეთი მიმეღო. იმასაც მოგახსენებთ, არც ისე ცივსისხლიანი ვარ, დამშვიდებით ვუყურო, როგორ მომაკლეს სიხარული, ამ ბილეთით ვიღაცისთვის რომ მინდოდა მიმენიჭებინა.

დიდხანს არ გამყოლია ეს წყენა. განა ღირს, კაცმა თავი იმტვრიოს იმაზე, რასაც არაფერი ეშველება?

მე პატივს ვცემ თქვენს წესიერებას, მაგრამ ღმერთია მოწამე, რომ ეს არ ეწინააღმდეგება ჩვენს მეგობრობას. კვლავაც თქვენი ერთგული

მეგობარი ლ. ვ. ბეთჰოვენი.

ბილეთს ასე დაგვიანებით გაახლებთ, თუმცა დილიდანვე ვეცადე მის გამოგზავნას, რომ არ გაუქმებულიყო. მივიღე თუ არა ჩემი, მაშინვე გიგზავნით. სულაც რომ არ მქონოდა, თქვენ მაინც მიიღებდით[74].

34. კ. ამენდას[75]

ვენა, 1799 წლის ზაფხული.

დღეს ქალაქგარეთ, მიოდლინგში მიმიწვიეს. თანახმა ვარ, ამ საღამოსვე გავემგზავრო რამდენიმე დღით. სწორედ რომ სულზე მომისწრეს, რადგან ჩემს ისედაც დაჭრილ გულს კიდევ უფრო მეტი ტანჯვა ელოდა. მთავარი შეტევა თუმცა კვლავ მოვიგერიე, გულდაჯერებით მაინც არ ვიცი, როგორ შევძლებ ამ ჩემი წინააღმდეგობის გეგმის განხორციელებას[76].

გუშინ შემომთავაზეს სექტემბერში პოლონეთში გავემგზავრო. ამასთან არც გზა, არც იქ ყოფნა გროშიც არ დამიჯდება. შეიძლება დროც კარგი გავატარო და ფულიც ვიშოვნო. დავეთანხმდი ამ წინადადებას[77].

ნახვამდის, ძვირფასო ამენდა. ისწრაფე, შემატყობინო შენი ამბავი გზიდანაც და სამშობლოში მისვლისასაც[78]. ბედნიერ მგზავრობას გისურვებ.

ნუ დაივიწყებ შენს ბეთჰოვენს[79].

35. კ. ამენდას ვენაში

მიოდლინგი, 1799 წლის ზაფხული.

ალბათ დროულად ვერ გადმოგეცი, რაც გამომიგზავნა შენთვის თავადმა ლიხნოვსკიმ. თუმცა მცირეა, მაგრამ ახლა სამოგზაუროდ ემზადება და შენც კარგად მოგეხსენება, რამდენი სჭირდება იმისთანა კაცს.

პო, ჩემო ძვირფასო, კეთილო ამენდა, ძალიან ვნანობ, დროულად რომ არ შემატყობინე შენი გასაჭირი. იქნებ საქმე სხვაგვარად წასულიყო და მეც აღარ მღელვა, რომ შენ გზაში გაგიჭირდა. ამჯერად არ ძალმიძს შენი დახმარება, მაგრამ ვიმედოვნებ, დიდხანს არ გასტანს ეს და დაჟინებით გთხოვ, სადაც არ უნდა გაგიჭირდეს, დაუყოვნებლივ შემატყობინო.

ნუ დაეჭვდები, მაშინვე ხელს გამოგიწვდი.

არ ვიცი, ხვალ მივემგზავრები თუ არა. გთხოვ საჩქაროდ გამაგებინო.

შენი ბეთჰვ.

42. ფ. მათისონს[60] დესაუში

ვენა, 4 აგვისტო 1800 წლისა

ღრმად პატივცემულო!

ამ წერილთან ერთად გაახლებთ რამდენიმე წლის წინ დაბეჭდილ ჩემს კომპოზიციასაც. ჩემდა სამარცხვინოდ, თქვენ ვგონებ არც კი იცნობთ მას[61].

ბოდიშის მოსახდელად და მიზეზის ასახსნელად იმისა, თუ რატომ აქამდე არ გაჩვენეთ, რაც მთელის გულით მოგიძღვენით, გამომადგება თქვენი მისამართის უცოდინარობა[62] და ისიც, რომ მეშინოდა, წინდაუხედავად ხომ არ ვიქცევი-მეთქი, როცა გიძღვნიდით ნაწარმოებს და არ ვიყავ დარწმუნებული, თქვენს მოწონებას დაიმსახურებდა თუ არა.

თუმცა ახლაც, როცა „ადელაიდას" გიგზავნით, ვღელავ. თქვენ თვითონაც კარგად მოგეხსენებათ, რამდენიმე წლის გამუდმებულ ვარჯიშს როგორ შეუძლია შეცვალოს არტისტი. რასაც მეტს აღწევ ხელოვნებაში, ნაკლებ კმაყოფილი ხარ ადრინდელი ნაწარმოებებით. ჩემი ყველაზე მხურვალე სურვილი აღსრულდება, თუ ცოტათი მაინც მოგეწონებათ მუსიკალური კომპოზიცია თქვენი ღვთაებრივი „ადელაიდისა". თუ იგი შთაგაგონებთ, უმოკლეს ხანში შექმნათ კიდევ ერთი ამგვარი ნაწარმოები, კადნიერებად ნუ ჩამითვლით, და გთხოვთ, დაუყოვნებლივ გამომიგზავნოთ, რათა ძალ-ღონე არ დავიშურო თქვენს მშვენიერ პოეზიასთან მისაახლოებლად. მიძღვნა მიიჩნიეთ ნაწილობრივ თქვენს „ადელაიდაზე" მუსიკის შექმნით განცდილ სიამოვნებად, ნაწილობრივ კი იმ სულიერი ტკბობის სამადლობლად და პატივისცემად, რასაც თქვენი პოეზია მუდამჟამ მანიჭებდა და მანიჭებს.

„ადელაიდას" დაკვრისას ხანდახან მოიგონეთ თქვენი ჭეშმარიტად პატივისმცემელი ბეთჰოვენი[63].

43. ფ. ჰოფმაისტერს[64] ლაიპციგში

ვენა, 15 დეკემბერი 1800 წლისა

უსაყვარლესო ბატონო თანამოძმევ!

რამდენჯერმე დავაპირე მეპასუხნა თქვენს შეკითხვებზე, მაგრამ საშინლად ზარმაცი ვარ წერილების წერაში და დიდხანს ვფიქრობ, სანამ ნოტების მაგივრად მშრალ ასოებს დავწერდე. ახლა ბოლოს და ბოლოს ჩემი თავი ვაიძულე, თქვენი თხოვნა დამეკმაყოფილებინა.

ჯერ ერთი, ძალიან ვნანობ, რომ თქვენ, ჩემმა საყვარელმა უფალმა და თანამოძმემ ხელოვნებაში, ადრე არაფერი შემატყობინეთ, როცა შემეძლო შემომეთავაზებინა თქვენთვის ჩემი კვარტეტები და სხვა ნაწარმოებებიც, რომლებიც ახლა გავყიდე. მაგრამ თქვენც თუ ისეთივე სინდისიერი ხართ, უფალო თანამოძმევ, როგორც ზოგიერთი სხვა მეგრავიურე, რომლებიც საწყალ კომპოზიტორებს ყელს გვჭრიან[65], ამ ნაწარმოებიდან სარგებელს ნახავთ მისი გამოქვეყნების შემდეგაც.

მოკლედ ჩამოგითვლით, რასაც უფალი თანამოძმე ჩემგან მიიღებდა:

1. სეპტეტი ვიოლინოს, ალტის, ვიოლონჩელის, კონტრაბასის, კლარნეტის, ვალტორნისა და ფაგოტისათვის — ყველა ინსტრუმენტი აუცილებელია.

(მე არ შემიძლია ვწერო რაიმე არააუცილებელი, რადგან მეც ამქვეყნად აუცილებელი აკომპანემენტით გავჩნდი)[67].

ამ სეპტეტს დიდი წარმატება ხვდა[68]. უფრო ხშირი შესრულებისათვის სამი სასულე ინსტრუმენტის პარტია, ფაგოტი, კლარნეტი, ვალტორნა, გადაგვეკეთებინა კიდევ ერთი ვიოლინოსათვის, კიდევ ერთი ალტისათვის და კიდევ ერთი ვიოლონჩელისათვის.

2. დიდი სიმფონია სრული ორკესტრისათვის.

3. კონცერტი ფორტეპიანოსათვის, რომელსაც, მართალია, ერთ-ერთ საუკეთესოდ არ ვთვლი. ასევე (ლაიპციგელ რეცენზენტთა საყურადღებოდ) არ ვთვლი ასეთად სხვა კონცერტსაც, აქ, მოლოსთან რომ გამოვიდა, რადგან საუკეთესო კონცერტებს ჩემთვის ვინახავ, სანამ არ მიმოგზაურია, და თქვენ მით უმეტეს, არ შეგარცხვენთ მისი გრავირება.

4. დიდი სოლო სონატა[69], აი, ყველაფერი, რისი შემოთავაზებაც შემიძლია ახლა თქვენ-

თვის. ცოტა მოგვიანებით თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ჩემგან კვინტეტი ხემიანი საკრავებისათვის[90], შეიძლება კვარტეტებიც, ასევე სხვა ნაწარმოებები, რომლებიც ახლა ხელთ არა მაქვს. როცა მიპასუხებთ, შეგიძლიათ თქვენ თვითონვე შემოგვთავაზოთ ფასი, რადგან თქვენ არც იუდეველი ხართ და არც იტალიელი და რადგან არც მე ვარ არც ერთი ამათგანი, როგორმე შევთანხმდებით.

ჯანმრთელად მენახოთ, ძვირფასო უფალო თანამოძმევ, ირწმუნეთ პატივისცემა თქვენის თანამოძმის ლ. ვ. ბეთჰოვენისა.

44. ფ. ჰოფმაისტერს ლაიპციგში

ვენა, დაახლოებით 15 იანვარი 1801 წლისა

ძვირფასო უფალო თანამოძმევ და მეგობარო! დიდის კმაყოფილებით წავიკითხე თქვენი წერილი. გულითად მადლობას გწირავთ საქებური აზრისათვის ჩემსა და ჩემს ნაწარმოებებზე. ვიმედოვნებ, სინამდვილეშიც არ გაგიმტყუნოთ ეს აზრი. გთხოვთ, მადლობა ვადასცეთ ბატონ კიუნელს ჩემდამი თავაზიანი და მეგობრული განწყობილებისათვის. თქვენი გეგმები მეც ისევე დიდ სიხარულს მანიჭებენ, როგორც თქვენ და, რახან ხელოვნების ნაწარმოებს შეუძლია სარგებლობის მოტანა, ვისურვებდი ჭეშმარიტ არტისტებს რგებოდათ იგი უფრო მეტად, ვიდრე უბრალო ვაჭრებს. თქვენმა ცნობამ, რომ სებასტიან ბახის ნაწარმოებების გამოქვეყნებას აპირებთ, ჩემს გულში თანაგრძნობა გამოიწვია, რადგან მეტისმეტად მოხიბლული ვარ ჰარმონიის ამ მამამთავრის მაღალი და დიდი ხელოვნებით. მოუთმენლად ველი თქვენის განზრახვის სრულს განხორციელებას და ვიმედოვნებ, როგორც კი შევიტყობთ ძვირადღირებული ზავის დადების ამბავს და გამოაცხადებთ ხელმოწერას, ხელი შევუწყო ამ გამოცემას[92].

რაც შეეხება ჩემს საკუთარ საქმეებს, რახან ასე ინებეთ, შემიძლია გემსახუროთ. ამჟერად გთავაზობთ შემდეგ ნაწარმოებებს: სეპტეტი (ამის თაობაზე უკვე გწერდით და დიდად გავრცელებისა და სარგებლიანობის გამო შეიძლება ფორტეპიანოსთვისაც შესთავაზოთ) -- 20 დუკატი[93], სიმფონია — 20 დუკატი, კონცერტი — 10 დუკატი, დიდი სოლო სონატა (ალეგრო, ადაჟიო, მენუეტი, რონდო) — 20 დუკატი. ეს სონატა კარგი გამომივიდა, ძვირფასო უფალო თანამოძმევ! ახლა აგიხსნით: თქვენ იქნებ უცნაურად მოგეჩვენოთ, რომ მე არ ვასხვავებ სონატას, სეპტეტსა და სიმფონიას, მაგრამ ჩემის აზრით, სეპტეტი ან სიმფონია ისე არ გასაღდება, როგორც სონატა, ამიტომ ვათანაბრებ მათ ფასს, თუმცა, ცხადია, სიმფონია მეტი უნდა დამეფასებინა (NB სეპტეტი იწყება მოკლე შესავალი ადაჟიოთი, შემდეგ მოსდევს ალეგრო, ადაჟიო, მენუეტი, ანდანტე ვარიაციებით, მენუეტი, ისევ მოკლე შესავალი ადაჟიო და ბოლოს პრესტო[94].).

კონცერტს ვაფასებ მხოლოდ 10 დუკატს იმ მიზეზით, რომ, როგორც მწერდით, ის მიმაჩნია ერთ-ერთ ჩემს საუკეთესო ნაწარმოებად. არა მგონია, ჰონორარი ერთად ძალიან მაღალი მოგეჩვენოთ. ყოველ შემთხვევაში, ვცდილობდი, ფასები შეძლებისდაგვარად ზომიერად განმესაზღვრა. რახან არჩევანის უფლება მომეცით, შეგიძლიათ, მიულერის ან შულერის საშუალებით გადამიხადოთ. ოთხი ნაწარმოების თანხა ალბათ 70 დუკატს შეადგენს.

გარდა ვენური დუკატებისა, მე სხვა ფულში ვერ ვერკვევი და რამდენს შეადგენს ეს თქვენს ოქროს ტალერებზე, მე სრულიადაც არ მეხება, რადგან ჭეშმარიტად ცუდი ნეგოციანტი ვარ და არც მათემატიკა მესმის[95].

ამგვარად, ეს საძნელო საქმე მოვამთავრე. საძნელოს იმიტომ ვუწოდებ, რომ ვისურვებდი სულ სხვა წესის დამყარებას. ქვეყნად მხოლოდ ერთი ხელოვნების მაღაზია უნდა არსებობდეს, სადაც ხელოვანისათვის საკმარისი უნდა იყოს თავისი ქმნილების ჩაბარება, რომ იქიდან მიიღოს, რაც ესაჭიროება. მაგრამ ახლანდელ მდგომარეობაში ნახევრად ვაჭარი უნდა იყო. ღმერთო მოწყალეო, რა ძნელია ამისი შეგუება! აი, რა მიმაჩნია კიდევ ერთ სიძნელედ. რაც შეეხება ლაიპციგელ რ-ს,[96] ენა მოიქავონ. მათი ლაყბობა ნამდვილად ვერავის მიანიჭებს უკვდავებას, ისევე, როგორც ვერავის გამოსწირავენ ამ უკვდავებას, თუ აპოლონმა მიანიჭა[97].

ღმერთი გფარავდეთ თქვენა და თქვენს კომპანიონს. ეს ერთი ხანია, ვერა ვარ კარგად. ასე რომ, ახლა ნოტების წერაც მიჭირს, ასოებისა ხომ კარგა ხანია. ვიმედოვნებ, კიდევ

მრავალგზის მოგვეცემა შემთხვევა, რათა ერთმანეთი დავარწმუნოთ, რამდენადა ხართ თქვენ ჩემი, მე კი თქვენი თანამოძმე და მეგობარი ლ. ვ. ბეთჰოვენი.

თქვენი წერილის მოლოდინში ნახვამდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

45. ქ. ფრანკ-გერარდის

ვენა, 21-23 იანვარი 1801 წლისა

ჩემო ძვირფასო, საჭიროდ მიმაჩნია მოგაგონოთ, ჩვენი აკადემიის მეორედ გამოცხადებისას არ დაუშვათ, რომ თქვენს მეუღლეს კვლავ დაავიწყდეს, ხალხს გააცნოს ის მონაწილენი, რომელნიც თავიანთი ნიჭით მყარ საფუძველს უქმნიან ამ აკადემიას, წესი ამგვარი გახლავთ. თუ ეს არ გაეაკეთეთ, განა შეეძლებთ აუდიტორიის გაფართოებას? ეს კი მთავარი მიზანია ჩვენს მიერ შემოღებული აკადემიისა.[98] პუნტო ძალიან განაწყენებულია და მართალიცაა. მე ამას განზრახ მოგაგონებთ მასთან შეხვედრამდე, რადგან მომხდარი ამბავი ვერაფრით აიხსნება, თუ არა მეტისმეტი აჩქარებით, ან მეტისმეტი გულმავიწყობით. ასე რომ, ჩემო ძვირფასო, იზრუნეთ ამაზე, თუ არ გინდათ უეჭველად უსიამოვნება შეგხვდეთ.

სხვათაც დამაჯერეს და თვითონაც არ ვეჭვობ, რომ ჩემი მონაწილეობა აკადემიაში არ არის უსარგებლო. ამასთან დარწმუნებული ვარ, რომ არა მხოლოდ მე, პუნტო, სიმონი და გალევანიც[99] მოითხოვენ, რომ ხალხმა იცოდეს ჩვენი ლვაწლი აკადემიის ქველმოქმედებაში, თორემ ყველანი ზედმეტებად ჩავთვლიდით თავს.

მთლად თქვენი ლ. ვ. ბეთჰოვენი[100]

46. გ. ჰერტელს ლაიპციგში[101]

ვენა, 22 აპრილი 1801 წლისა

P[raemissis] P[raemittendis][102]

უნდა მაპატიოთ პასუხის დაგვიანება თქვენს წერილზე, მიზეზი ის გახლავთ, რომ ბოლო ხანებში სულ ვიავადმყოფე. თან მუშაობაში ვიყავი ჩაფლული და რახან გულმოდგინებასაც ვერ ვიჩენ წერილების წერაში, ესეც გასამართლებელ საბუთად ჩამეთვალოს.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას ჩემი ნაწარმოების თაობაზე, სამწუხაროდ, ახლა არა მაქვს შესაძლებლობა, დაგაკმაყოფილოთ, მაგრამ გთხოვთ, მოილოთ მოწყალება და შემატყობინოთ, რა სახის ნაწარმოების შეძენას ისურვებდით ჩემგან: სიმფონიის, კვარტეტების, სონატების და ა. შ. რათა ეს გავითვალისწინო და როცა ხელთ ჩამივარდება, მზად მქონდეს, რაც თქვენ გჭირდებათ და გამოგადგებათ[103]. თუ არ ვცდები, მოლოსთან გამოდის ასე რვა ნაწარმოები, ჰოფმაისტერთან, ლაიპციგში ოთხი,[104] ამასთან დავძენ, რომ ჰოფმაისტერთან გამოდის ერთ-ერთი ჩემი პირველი კონცერტიც. იქნებ იგი არც განეკუთვნება ჩემს საუკეთესო ნაწარმოებებს და მოლოს მიერ გამოცემული კონცერტიც, თუმცა მოგვიანებითაა დაწერილი, არ იყოს საუკეთესო ჩემს ამგვარ ნაწარმოებებს შორის. ამას თქვენს „მუსიკალურ გაზეთს" მივანიშნებ, თუ ამ ნაწარმოებების რეცენზირება მოინდომეს, თუმცა მათზე მსჯელობა აჯობებდა მათი კარგი შესრულებით მოსმენის შემდეგ. მუსიკალური პოლიტიკა მოითხოვს, საუკეთესო კონცერტებს დრომდე მხარი დაუჭირონ.

თქვენს ბატონ რეცენზენტებს ურჩიეთ, წინდახედულება გამოიჩინონ[105], განსაკუთრებით მაშინ, როცა ახალგაზრდა კომპოზიტორთა ნაწარმოებებს განიხილავენ, თორემ ამგვარი მოპყრობით ზოგიერთს დააფრთხობენ, სხვაგვარი დამოკიდებულებით კი შეიძლება მათი წახალისება. რაც შემეხება მე, თუმცა არ ვფიქრობ, რომ სრულყოფილებას მივაღწიე და კრიტიკას არ ვიმსახურებ, მაგრამ ჩემი თავი სხვას რომ შევადარე, თქვენი რეცენზენტების მიერ ჩემს წინააღმდეგ ატეხილი ხმაური იმდენად უღირსად მეჩვენა, არა თუ სერიოზული მნიშვნელობა ვერ მივანიჭე მას, სრულიად აღუშფოთველად შევხედი და გულში გადავწყვიტე, რეცენზენტებს არ ესმით, რაზე წერენ-მეთქი.

მშვიდად ყოფნის დიდ საფუძველს მაძლევდა ის, რომ ვაკვირდებოდი, როგორ აჰყავდათ ცამდე საუკეთესოთა შორის ადგილობრივნი, დიდს რომ არაფერს წარმოადგენენ და დიდი მცდელობის მიუხედავად თითქმის შეუმჩნეველნი რჩებიან, ოლონდ Bax—ჩვენს

[illegible] არ დავიწყებდი, თუ [illegible]

[illegible]

ამ ცოტა ხნის წინ ერთ ნაცნობთან ვიყავი და იმისაგან გავიგე, რამდენი შეგროვებულა ჰარმონიის უკვდავი ღმერთის ქალიშვილისათვის. გამაოცა თანხის სიმცირემ, რომლითაც გერმანიამ, განსაკუთრებით თქვენმა გერმანიამ, პატივი სცა იმ ადამიანს, მისი მამის შვილს[107]. ჩემმა მისადმი ღრმა პატივისცემამ ერთი აზრი შთამაგონა: მის სასარგებლოდ ხომ არ გამომეცა ჩემი ნაწარმოებები ხელმოწერით და შეგროვილ თანხას და ყოველწლიურ შემოსავალზე ქორებისა და მითქმა-მოთქმის თავიდან ასაცილებლად ხალხისათვის ხომ არ შემეტყობინებინა? მომწერეთ სასწრაფოდ, როგორ შეიძლება ამის უკეთ მოგვარება, რათა მანამდე მივუშველოთ, სანამ ეს ბახი მოკვდებოდეს, სანამ დაიშრიტება ეს ნაკადული და მისი წყალი ბუ ყურეილს ვეღარ მოგვიკლავს[108].

თავისთავად იგულისხმება, რომ ეს ნაწარმოები თქვენ უნდა გამოსცეთ[109].

თქვენი უსაზღვროდ პატივისმცემელი და ერთგული
ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი.

50. ფ. ჰოფმაისტერს ლაიფციგში

ვენა, 20 ივნისი 1801 წლისა

უნდა გამოგიტყდეთ, ცოტათი გაოცებული ვარ იმ ამბით, რაც თქვენმა აქაურმა რწმუნებულმა შემატყობინა. იმის გაფიქრებაზე, რომ თქვენ შეგიძლიათ დამაბრალოთ ასეთი საძაგლობა, ლამის გალაჟღვრიო. არაფერს ვიტყოდი, ჩემი ნაწარმოებები ვინმე ანგარებიანი ვაჭრისათვის რომ მიმეყიდა და შემდეგ კიდევ ჩუმად სარფიანი გარიგება წამომეწყო. მაგრამ ხელოვანი ხელოვანის წინააღმდეგ — ამის მსგავსი რამ რომ დამაბრალოთ, ეს უკვე მეტისმეტია. მთელი ეს საქმე მე ასე მგონია, თავიდან ბოლომდე გამონაგონია ჩემს გამოსაცდელად, ანდა უბრალო ეჭვი. ყოველი შემთხვევისათვის ამით გატყობინებთ, რომ სანამ ჩემს სეპტეტს მიიღებდით, მე მას ჯერ ლონდონში ვუგზავნი ბატონ სალომონს[110] (შესასრულებლად თავის კონცერტში და მხოლოდ მეგობრულად), მაგრამ ამავე დროს მკაცრი პირობ. დავუდე, თვალი ეჭიროს, რათა სეპტეტი არამც და არამც უცხო ხელში არ მოხვდეს, რახან განზრახული მაქვს, გერმანიაში დავბეჭდო.

მაგრამ კიდევ ერთი საბუთი რომ მოგცეთ ჩემი წესიერებისა, ამ წერილით გარწმუნებთ, რომ სეპტეტი, კონცერტი, სიმფონია და სონატა არავისთვის ამქვეყნად, გარდა თქვენისა, ბატონი ჰოფმაისტერისა და კიუნელისა არ მიმიყიდია და თქვენ კანონიერად შეგიძლიათ ჩასთვალოთ იგი მხოლოდ თქვენს საკუთრებად, რისი თავდებიც გახლავთ ჩემი პატიოსნება. უფლება გეძლევათ, ეს საბუთი გამოიყენოთ პირველი საჭიროებისამებრ. თუმცა ასევე ნაკლებ მჯერა, რომ სალომონს შეუძლია ესოდენ ვერაგულად მოიქცეს, გადასცეს სეპტეტი გრავირებისათვის, ისევე, როგორც მე შემეძლო მისი გაყიდვა.[111] მე იმდენად კეთილსინდისიერი ვარ, რომ სხვადასხვა გამომცემლობას უარი ვუთხარი სეპტეტის კლავირაუსცუგში. სხვათა შორის, ჩემთვის სრულიად არ არის ცნობილი, განზრახული გაქვთ თუ არა გამოსცეთ საფორტეპიანო გადაღება. ქვემოთ მომყავს კარგა ხნის წინ შეპირებული ჩემი ნაწარმოებების სახელწოდებანი: კონცერტი ფორტეპიანოსათვის ორი ვიოლინოს, ალტის, ვიოლონჩელის, ერთი ფლეიტის, ორი ჰობოის, ორი ვალტორნის, ორი ფაგოტის თანხლებით, შექმნილი და მიძღვნილი ბატონ კარლ ნიკულაუს ბარონ ფონ ნიკელსბერგისადმი, მისი იმპერატორობისა და მეფური აღმატებულობის კარის მრჩეველისადმი ლუი ვან ბეთჰოვენის მიერ Oeuvre 19, სეპტეტი ვიოლინოს, ალტის, ვიოლონჩელის, კონტრაბასის, კლარნეტის, ფაგოტისათვის, შექმნილი და მიძღვნილი მისი უდიდებულესობა იმპერატრიცა დედოფლისადმი. ლუი ვან ბეთჰოვენის მიერ Oeuvre 20[112].

დიდი სიმფონია ორი ვიოლინოსათვის, ალტის, ვიოლონჩელისა და კონტრაბასისათვის, ორი ფლეიტისათვის, ორი ჰობოისათვის, ორი ვალტორნისათვის, ორი ფაგოტისათვის, ორი კლარნეტისათვის, ორი საყვირისა და ლიტავრისათვის, შექმნილი და მიძღვნილი მისი ბრწყინვალება მაქსიმილიან ფრანცისადმი, მემკვიდრე პრინცის უნგრეთისა, ბოჰემიისა, კიოლნის კურფიურსტისადმი. ლუი ვან ბეთჰოვენის მიერ Oeuvre 21[113].

დიდი სონატა ფორტეპიანოსათვის, შექმნილი და მიძღვნილი გრაფ ბროუნისადმი, მის უდიდებულესობა სრულიად რუსეთის იმპერატორისადმი.

ლუი ვან ბეთჰოვენისაგან. Oeuvre 22.

ტიტულები შეცვლასა და შესწორებებს საჭიროებს, რაც თქვენთვის მომინდვია. უმოკლეს ხანში ველი თქვენგან პასუხს, შემდგომ კი თვით ნაწარმოებებს, ვესწრაფვი, ისინი ვიხილო დაბეჭდილნი, რახან გამოვიდა, ან გამოდის სხვები, შემდეგი ნომრები.

სალომონსაც მივწერე წერილი, რახან მიმაჩნია, რომ თქვენი მონაწერი ან ჭორის შედეგია, რასაც ადვილად აჰყევით, ანდა უბრალოდ, ვარაუდი, რაც თავში მოგივიდათ, რადგან სადღაც შემთხვევით გაიგეთ, თითქოს სეპტეტი გავუგზავნე სალომონს. ამგვარ ჭორსაყოლილი მეგობრების წყალობით გულცივად შემიძლია ვუწოდო ჩემს თავს.

თქვენი მეგობარი ლ. ვ. ბეთჰოვენი.

51. ფ. ვეგელერს ბონში

ვენა, 29 ივნისი 1801 წლისა

ძვირფასო, კეთილო ვეგელერ!

რა მადლობელი ვარ, რომ გახსოვარ! ამის ღირსად არა ვთვლი თავს, რადგან ძალიან ცოტას ვცდილობდი, ეს დამემსახურებინა. შენ კი შენი კეთილი ბუნების წყალობით წინანდებურად ერთგულ, კეთილ, კეთილშობილურ მეგობრობას მიწევ. ვერაფერმა გაგიცივა გული ჩემზე, ჩემმა მიუტევებელმა უყურადღებობამაც კი. ნუ გგონია შემეძლოს დავიწყება შენი და საერთოდ ყველა თქვენიანის,[114] ოდესღაც ჩემთვის ესოდენ ძვირფასი და საყვარელი ადამიანებისა. არა, არის წუთები, როცა მენატრებით და სურვილი მეუფლება, თუნდაც ცოტა ხნით თქვენთან გავჩნდე. ჩემი სამშობლო, მშვენიერი მხარე, სადაც პირველად თვალი ამეხილა, ისე ცხადად და გარკვევით მიდგას თვალწინ, როგორც თქვენთან განშორების ჟამს.

ერთი სიტყვით, ერთ-ერთ უბედნიერესად ჩემს ცხოვრებაში ჩავთვლი იმ დღეს, როცა კვლავ განახავთ და მივესალმები ჩვენს ბებერ რაინს. დანამდვილებით ვერ გეტყვით, მალე მოხდება ეს თუ გვიან, მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ დარწმუნდებით, როცა ერთმანეთს შევხვდებით, ნამდვილად გაზრდილს მნახავთ, დარწმუნდებით, რომ არა მხოლოდ სიმწიფეს მივაღწიე, როგორც არტისტმა, უფრო უკეთესი და სრულყოფილი ადამიანიც გავხდი.

თუ ამ დროისათვის ჩვენი სამშობლოს ბედი შეიცვლება, დაე, ჩემმა ხელოვნებამ ერთადერთ მიზნად უბედურთა ხვედრის შემსუბუქება დაისახოს[115]. ო, დიდებულო წუთო! რა ბედნიერი ვარ იმის შეგრძნებით, რომ შემიძლია გაგიშინაურდე! შენ ალბათ გაინტერესებს ჩემი ამჟამინდელი ასავალ-დასავალი. არც ისე ცუდად მიდის საქმე. შარშანდლიდან ლიხნოვსკი, იმ, რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოს — იგი არის და მუდამ იქნება ჩემი ყველაზე გულითადი მეგობარი (თუმცა მცირე უსიამოვნება გვქონდა ერთმანეთში, ამან კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი მეგობრობა), 600 ფლორინი დამინიშნა მანამდე, ვიდრე უფრო შესაფერის სამუშაოს ვიშოვნი. ჩემი კომპოზიციები საკმაო შემოსავალს მაძლევენ, შეკვეთები კი იმდენი მაქვს, ველარ ავუდივარ. გარდა ამისა, შემიძლია თითოეული ნაწარმოები ექვს-შვიდ გამომცემელს გადავცე, თუ მოვისურვებ, უფრო მეტსაც. ახლა აღარ მევაჭრებიან. დავასახელებ თუ არა ფასს, უმალ მიხდიან. შენ თვითონ განსაჯე, რაოდენ სასიამოვნოა ასეთ მდგომარეობაში ყოფნა.

ვთქვათ, მეგობარს ვხედავ გასაჭირში, ჩემი ჯიბე კი უფლებას არ მაძლევს მაშინვე დავეხმარო. საკმარისია სამუშაო მაგიდას მივუჯდე, რომ დახმარება თავისთავად მოვის. ამასთან კიდევ, წინანდელზე მეტად ხელმომჭირნე[116] გავხდი. თუ სამუდამოდ დავრჩი აქ, უეჭველად მივაღწევ იმას, რომ ყოველწლიურად მქონდეს შესაძლებლობა ჩემი აკადემიის მოწყობის, რაც რამდენჯერმე უკვე შევდგა[117]. მხოლოდ ბოროტი დემონი — შელახული ჯანმრთელობა — მიშლის ხელს, სახელდობრ, უკვე მესამე წელიწადია, უფრო და უფრო ცუდად მესმის.

პირველ მიზეზად, რამაც ეს უბედურება დამატეხა თავს, მუცლის ტკივილი მიაჩნიათ. ეს, როგორც იცი, ადრეც მაწუხებდა, მაგრამ აქ კიდევ უფრო გამიმწვავდა, რადგან კუჭის აშლილობამ მეტისმეტად დამასუსტა. ფრანკი ცდილობდა, მომაღონიერებელი საშუალებებით აღედგინა ჩემი ორგანიზმის ტონი[118] და ნუშის ზეთით დაებრუნებინა დაკარგული

სმენა, მაგრამ გაგიგონია! არაფერი გამოვიდა. რაც დღე გადის, მით უფრო არაფერი მეს-მის. არც მეცელი მაქვს უკეთეს დღეში. ასეთ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი ლაწის გასულის წლის შემოდგომამდე. ხანდახან სასოწარკვეთილებამდეც კი მივსულვარ. აქ ერთმა მედიცინის ვირმა — მირჩია, ცივი აბაზანები მიმეღო, მეორემ კი, უფრო გონიერმა, ჩვეულებრივი თბილი, დუნაის წყლისა. ამან სასწაულმოქმედი შედეგი გამოიღო: კუჭი მომიწესრიგდა, მაგრამ სმენა ოდნავადაც არ გამიუმჯობესდა, ის კი უფრო [illegible] კიდეც. ზამთარში საშინლად ვგრძნობდი თავს, აუტანელი ტკივილები [illegible] წინანდელ დღეში ჩავვარდი. ეს იმდენ ხანს გაგრძელდა, სანამ ბოლოს, ერთი თვის წინ, ვერინგს არ ვეწვიე, რადგან მომეჩვენა, ჩემი ავადმყოფობა ქირურგის ჩარევას საჭიროებდა. ვერინგს მუდამ ვენდობოდი. დუნაის თბილი აბაზანები დამინიშნა, წყალში ბუშტულით გამამაგრებელი საშუალება უნდა ჩამესხა. ამან საშინელი ფაღარათი შემიჩერა. წამალი არ გამოუწერია, მხოლოდ ოთხი დღის წინ დამინიშნა აბები მუცლისათვის და რაღაც ნახარში ყურებში ჩასაწვეთებლად.

ამის შედეგად განწყობილება გამიუმჯობესდა, მოვმაგრდი, ოღონდ ყურები დღე და ღამ მიბეუის და მიგუგუნებს. ჩემს სიცოცხლეს რა სიცოცხლე ჰქვია. ორი წელიწადია საზოგადოებას გავურბივარ, რადგან არ შემიძლია ხალხს გამოვუტყდე, რომ ყრუ ვარ. სხვა საქმიანობას რომ ვეწეოდე, კიდევ არა უშავს, მაგრამ ჩემი პროფესიის კაცისათვის საშინელებაა ამ მდგომარეობაში ყოფნა. ისიც მაწუხებს, ჩემი მტრები (ცოტანი როდი მყავს) რას იტყვიან ამაზე. წარმოდგენა რომ გქონდეს, რა განცდაა ეს საშინელი სიყრუე! გამოგიტყდები, თეატრში ორკესტრთან თუ არ დავიჭირე ადგილი, მსახიობებს ვერ მოვუსმენ. ცოტა მოშორებით რომ დავჯდე, აღარ მესმის ინსტრუმენტების ხმა და მომღერალთა მაღალი ნოტები. საოცარია, ჩემთან საუბარში ხალხი ამას ვერ ამჩნევს და ჩემთვის ჩვეულ დაბნეულობას მიაწერენ. ზოგჯერ, მართალია, ხმადაბლა ლაპარაკიც კი მესმის, მაგრამ მხოლოდ ბგერებს ვარჩევ კარგად, სიტყვებს — ვერა. ყვირილს როცა იწყებენ, ამას კი ვერ ვიტან. ერთმა ღმერთმა იცის, რა იქნება შემდეგ. ვერინგი მარწმუნებს, თუ მთლიანად არ გამოჯანმრთელდი, მდგომარეობა მაინც გაგიუმჯობესდებაო. ხშირად ვწყევლი დამბადებელსაც და ჩემი გაჩენის დღესაც. პლუტარქემ მორჩილების მაგალითი მიჩვენა, მაგრამ თუ სხვა გზის ამორჩევა მომიხდა, შევებრძოლები ბედს, თუმცა ცხოვრებაში ისეთი წუთები მქონის, როცა ღვთის გაჩენილ არსებათა შორის ყველაზე უუბედურესად ვიგრძნობ თავს. ჩემს მდგომარეობაზე არავის, ლორხენსაც კი არაფერი უთხრა. ამას საიდუმლოდ განდობ, მაგრამ დიდ მეგობრობას გამიწევ, თუ ოდესმე ამის თაობაზე ვერინგს მისწერ. თუ იქამდე ჩემი ჯანმრთელობა არ გაუმჯობესდა, მომავალ გაზაფხულზე შენთან ჩამოვალ. სადმე სოფლის ლამაზ კუთხეში დამიჭირე ქოხი და ნახევარ წელს გლეხურად ვიცხოვრებ. იქნებ ამან მიშველოს[119]. ბედის მორჩილება რა საცოდავი გამოსავალია, მაგრამ სხვა რა გზა[120] დამრჩენია. მაპატიე, რომ ისედაც დამწუხრებულს ჩემზე ზრუნვას გახვევ თავს. შტეფან ბრაუნინგი ახლა აქაა და თითქმის ყოველდღე ვხვდებით ერთმანეთს. ძალიან მიხარია წარსული გრძნობების კვლავ განცდა. ჭეშმარიტად რომ შესანიშნავი ყმაწვილი დადგა. მგრძნობიარე გულიც აქვს, ისევე, როგორც თითოეულ ჩვენგანს. ახლა ძალიან კარგი ბინა მაქვს. ბასტიონზე გამოდის და ჩემი ჯანმრთელობისათვისაც დიდად ფასობს. მტკიცედა ვარ დარწმუნებული, რომ შევძლებ ბრაუნინგის ჩემთან გადმოყვანას.

შენს ანტიოხუმას გამოგიგზავნი[121]. ამასთან ჩემს კომპოზიციებსაც საკმაო რაოდენობით, თუ მეტისმეტად ძვირი არ დაგიჯდება. ძალიან მიხარია, ასე რომ გიყვარს ხელოვნება. ოღონდ მომწერე, როგორ მოვახერხო და გამოგიგზავნო ჩემი ნაწარმოებები. ძალიან ბევრი მაქვს და ყოველდღე ვუმატებ კიდევ. გთხოვ, საჩქაროდ გამომიგზავნო ფოსტით პაპაჩემის პორტრეტი. იმის მაგივრად გაახლებ მისი შვილიშვილის — შენი ერთგულესი და მოყვარული ბეთჰოვენის პორტრეტს. იგი აქ არტარიამ გამოსცა, რასაც გამუდმებით მთხოვდნენ, მათ შორის ხელოვნების საგნებით მოვაჭრე უცხოელებიც[122]. შტოფელს უმოკლეს ხანში გავუგზავნი წერილს და ცოტას შევახურებ მისი ჭირვეულობისათვის. ყურებს გამოვუჭედავ ჩვენს ძველ მეგობრობაზე და ფიცს დავადებინებ, რომ აღარ განყენინოთ ისედაც დამწუხრებულს. კეთილ ლორხენსაც მივწერ წერილს. არც ერთი თქვენგანი, ძვირფასნი და საყვარელნი, არასოდეს დამვიწყებია, თუნდაც რომ თქვენი ამბავი არ შეგეტყობინებინათ. წერილების წერაში არასოდეს არ ვყოფილვარ ხელმარჯვე. საუკეთესო მეგობრებიც კი წლობით ვერ ღებულობენ ჩემს წერილებს. მე მხოლოდ ჩემს ნოტებში ვცხოვრობ და დავამთავრებ თუ არა რაიმეს, მაშინვე მეორეს ვიწყებ.

ამგვარი წესით, როგორც ახლა ვმუშაობ, ზოგჯერ ორი-სამი ნაწარმოებიც გამომდის ერთდროულად. ხშირად მომწერე, მეც გამოვძებნი დროს შენთვის წერილის მოსაწერად. მოკითხვა გადაეცი ჩემგან ყველას, განსაკუთრებით კეთილ ფრაუ კარის მრჩეველს[123], უთხარი, რომ სისულელე ახლაც წამოუვლის-თქო[124].

კოხის[125] ამბავი სულაც არ მაოცებს, ბედი ისეთი ბრმაა, ზოგჯერ არ ეწევა ღირსეულსა და საუკეთესოს. რაც შეეხება რისს, მას ჩემი გულითადი სალამი გადაეცი. მის ვაჟზე დაწვრილებით მოგწერ, თუმცა ჩემის აზრით, პარიზში უფრო გაუადვილდებოდა კარიერის გაკეთება, ვიდრე ვენაში. ვენა მეტისმეტად გაჭედილია და ყველაზე ღირსეულ ადამიანებსაც კი უჭირთ აქ გზის გაკაფვა. მაგრამ შემოდგომაზე ან ზამთარში, როცა ყველანი ქალაქისაკენ გამოეშურებიან, ვეცდები, გავარკვიო, რითი შემიძლია მისთვის დახმარების გაწევა.

ნახვამდის, ჩემო კეთილო, ერთგულო ვეგელერ! დარწმუნებული იყავ შენი ბეთჰოვენის სიყვარულსა და მეგობრობაში.

53. კ. ამენდას პირბაში[126]

ვენა, 1 ივლისი 1801 წლისა

ჩემო ძვირფასო, კეთილო ამენდა! ჩემო გულითადო მეგობარო! დიდის გრძნობისმორევით, ტკივილითა და თან სიხარულის გრძნობით მივიღე და წავიკითხე შენი ბოლო წერილი. რას შევადარო შენი ერთგულება, შენი სიყვარული ჩემდამი? როგორ მიხარია, რომ წინანდებურად მიყვარხარ, შენ, ვიცი, ყველაზე მეტად დამიმტკიცე მეგობრობა და ყველაზე მეტად დაიმსახურე იგი ჩემგან. შენ ჩემი ვენელი მეგობარი არა ხარ, არა! შენ ერთი ისეთი ადამიანი ხარ, როგორებსაც იბადებიან ჩემი სამშობლოს მიწაზე. რა ხშირად მინატრია, ჩემს გვერდით იყო, რადგან შენი ბეთჰოვენი უბედურზე უბედურია. მისი ცხოვრება სულ სხვა გზით მიედინება, ვიდრე ბუნებასა და შემოქმედს დაუწესებია. რამდენჯერ დამიწყევლია არსთა გამრიგე იმისათვის, რომ თავის ქმნილებებს ხელთ უგდებს უმნიშვნელო შემთხვევითობებს, რის გამოც ხშირად ტყდება და ჭკნება, იღუპება უმშვენიერესი ყვავილები. იცოდე, უძვირფასეს თვისებათაგან, რითაც ვიყავ დაჯილდოებული — სმენა ძალიან დამაკლდა. ეს შენს აქ ყოფნაში შევატყვე, მაგრამ მაშინ ამაზე ვდუმდი. ახლა კი დღითი დღე უარესი და უარესი მემართება. მხოლოდ მომავალი გვიჩვენებს, შესაძლებელია თუ არა განკურნება. ალბათ მუცლის ტკივილის ბრალი იყო, ახლა მომირჩა. ნეტავი ასევე გამოუმჯობესდება სმენა? იმედს არ ვკარგავ, მაგრამ ვინ იცის! ასეთი ავადმყოფობანი ყველაზე ძნელი მოსარჩენია. რა ნაღვლიანი ცხოვრება მელის. ყველაფერს, რაც ჩემთვის ესოდენ ძვირფასი და საყვარელია, გავურბივარ. ამასთან კიდევ ჩემს გარშემო იმყოფებიან ისეთი საცოდავი და თავისი თავის მოყვარული ადამიანები, როგორიც შუპენციგი, ცმესკალი და სხვები არიან. ყველაზე კეთილი მათ შორის ლიხნოვსკი აღმოჩნდა. გასული წლიდან 600 ფლორინი დამინიშნა, რაც უფლებას მაძლევს ისე ვიცხოვრო, ლუკმაპური აღარ მქონდეს საძებნელი. ყველაფერი, რასაც ახლა ვწერ, შემიძლია გავყიდო და კარგ ფასადაც. ამ ხანში კი კარგა ბევრს ვწერდი. გავიგე, შტრაიხერისათვის ფორტეპიანო შეგიკვეთია და გადავწყვიტე, ნოტები იმასთან ერთად შეფუთული გამოგიგზავნო, რომ ძალიან ძვირი არ დაგიჯდეს.

ჩემს დასამშვიდებლად აქ ახლა ერთი კაცი ჩამოვიდა, რომელთანაც შემიძლია ურთიერთობა დავამყარო და უანგაროდ ვიმეგობრო. ის ჩემი სიჭაბუკის ერთ-ერთი მეგობარია და რამდენჯერ მისაუბრია მასთან შენზე. ვუამბე კიდეც, რომ, რაც სამშობლო დავტოვე, შენ ერთი რჩეული ხარ ჩემი გულისა.

არც იმას ეხატება გულზე ეს ცმესკალი. მასთან მეგობრობა არასოდეს შეიძლებოდა და არც ახლა შეიძლებაო. იმასა და შუპენციგს ინსტრუმენტებადაც ვთვლი, რომლებზეც ვუკრავ, როცა მომესურვება. ისინი ვერასოდეს გახდებიან კეთილშობილი მოწმენი ჩემი ფიქრებისა და განცდებისა, და ვერც ჩემი ცხოვრების ნამდვილი თანამგზავრნი. მათ იმდენად ვაფასებ, რა სამსახურსაც გამიწევენ[127]. ო, რა ბედნიერი ვიქნებოდი, ჩემი სრულყოფილი სმენა რომ მქონდეს! მაშინვე შენსკენ გამოვეშურებოდი. მაგრამ ჩემს ახლანდელ მდგომარეობაში ყველაფერს განზე უნდა განვუდგე. საუკეთესო წლები ისე გამიფრინდება, ვერ გავაკეთებ, რაც ჩემი ნიჭისა და ძალის პატრონს უნდა გაეკეთებინა. რა ნაღვლიანი მორჩილებაა. სხვა რალა დამრჩენია. თუმცა გადავწყვიტე, არ დავნებდე უბედურებას, მაგრამ შევძლებ კი?

პო, ამინდა, ამ ნახევარ წელიწადში ჩემმა უბედურებამ ცოტათი მაინც თუ არ გამიარა. ჩვენი მეგობრობა უფლებას მაძლევს, მოგთხოვო, ყველაფერი მიატოვო და აქ ჩამოხვიდე. მაშინ სამოგზაუროდ წავალ. როცა ვუკრავ და რაიმეს ვქმნი, ჩემს უბედურებას ნაკლებ შევიგრძნობ, განსაკუთრებით ხალხთან ურთიერთობისას. შენ კი თანმხლები იქნები ჩემი[128]. დარწმუნებული ვარ, წარმატებას მივაღწევ. ისეთი დონე მერჩის, ვის არ შევეჯიბრებოდი. რაც შენ წახვედი, ყოველნაირ ნაწარმოებებს ვწერდი, გარდა ოპერისა და საეკლესიო საგალობლისა.

მჯერა, უშველი მეგობარს გაჭირვებასა და ავადმყოფობის ტვირთის ზიდვაში. ფორტეპიანოზე დაკვრაში მეც მეტად დავხელოვნდი. ვინ იცის, იქნება ამ მოგზაურობამ შენი ბედიც გადაწყვიტოს და სამუდამოდ ჩემთან დარჩე[129].

შენს წერილებს დროულად ვღებულობდი და რაც არ უნდა იშვიათად მეპასუხნა, ფიქრებით მარადჟამ შენთან ვიყავი. ჩემი გული წინანდებურად სინაზით არის აღსავსე შენდამი. რაც მოგწერე ჩემს სიყრუეზე, გთხოვ, მეტად საიდუმლოდ შეინახო, არავის ანდო, ვინც არ უნდა იყოს. შენი წერილები მამშვიდებენ და კეთილ ზეგავლენას ახდენენ ჩემზე. ასე რომ, ჩემო ძვირფასო, მალე ველი შენგან პასუხს. შენს კვარტეტს წურავის მისცემ, რადგან საფუძვლიანად გადავაკეთე. მხოლოდ ახლა ვისწავლე კვარტეტების წერა, რამიც თვითონვე დარწმუნდები, როცა მიიღებ[130]. ახლა კი ნახვამდის, ჩემო ძვირფასო, ჩემო კეთილო! თუ ფიქრობ, რომ მე აქ რაიმე სასიამოვნო სამსახურის გაწევა შემიძლია შენთვის, მაშინვე შეატყობინე შენს ერთგულ, ჭეშმარიტად მოყვარულ ლ. ვ. ბეთჰოვენს.

55. ფ. ვეგელერს ბონში

ვენა, 16 ნოემბერი 1801 წლისა

ჩემო კეთილო ვეგელერ!

გმადლობთ ჩემზე ესდენი ზრუნვისათვის, მით უმეტეს, რომ ამას არ ვიმსახურებ. ალბათ გაინტერესებს, როგორ ვგრძნობ თავს, რითი ვცხოვრობ. საერთოდ, ამაზე არ მიყვარს ლაპარაკი, მაგრამ შენ სიამოვნებით გაგიზიარებ.

აი, უკვე რამდენიმე თვეა, ვერინგმა რაღაც ძირებისაგან დამზადებული პლასტირი[131] გამომიწერა და ორივე ხელზე ვიდებ. ეს შენ, რაღა თქმა უნდა, იცი. მეტად უსიამოვნო მკურნალობაა, რადგან ორ-სამ დღეს თითქოს ხელები წართმეული მაქვს, ტკივილებზე რომ არაფერი ვთქვა, ამ დროს რომ განვიცდი. ვერ დაგიმალავ, ყურში წივილმა და ზუზუნმა ცოტა მიკლო, განსაკუთრებით მარცხენა ყურში, რითაც დამეწყო ავადმყოფობა, თუმცა სმენა მაინც არ გამიუმჯობესდა. ვერ დავიჟინებ, მაგრამ ასე მგონია, გამიუარესდა. კუჭის საქმე უკეთესად მაქვს, განსაკუთრებით მაშინ, როცა რამდენიმე დღეს ზედიზედ თბილ აბაზანებს ვიღებ. რვა და ის კი არა ათი დღის განმავლობაში თავს კარგად ვგრძნობ. იშვიათად ვხმარობ ხოლმე კუჭის შემკვრელ საშუალებებს. შენი რჩევით ახლა მუცელზე ბალახებს ვიდებ. შხაპის დანიშვნაზე ვერინგს სიტყვის გაგონებაც კი არ უნდა. გამოგიტყდები, ძალიან უკმაყოფილო ვარ მისი. ამგვარი ავადმყოფობის განსაკურნავად მას არც მოთმინება გააჩნია და არც გულმოდგინება. მე რომ არ დავდიოდე მასთან, რაც ძალიან მიჭირს ხოლმე, თვითონ არასოდეს მოვაგონდებოდი. რა აზრისა ხარ შმიდტზე[132]? ექიმების ცვლა არ მიყვარს, მაგრამ ჩემის აზრით, ვერინგი მეტისმეტად პრაქტიკოსია და ახალ იდეებს ვერ ეუფლება ლიტერატურიდან. ამ მხრივ შმიდტი სულ სხვა ადამიანი მგონია. ასე დაუდევარი მაინც არ იქნება. რაღაც საოცრებებს ჰყვებიან გალვანიზმზე. შენ როგორ უყურებ ამ საკითხს? ერთმა მედიკოსმა მიამბო, ყრუ-მუნჯი ბავშვი უნახავს, რომლისთვისაც (ბერლინში) სმენა დაუბრუნებიათ, და კიდევ ერთი კაცი, შვიდ წელს ყოფილა ყრუ და სმენა დაბრუნებია[133]. ამ ცოტა ხნის წინ გავიგონე, შენი შმიდტი[134] თურმე ცდებს აწარმოებს ამ სფეროში.

ჩემს ცხოვრებას ცოტა ხალისი შემატა ხალხში ყოფნამ. ვერც კი წარმოიდგენ რა ეულად, ნაღვლიანად გავატარე ბოლო ორი წელიწადი. ჩრდილივით მუდამ თან მდევდა ჩემი დაქვეითებული სმენა და გავურბოდი ხალხს, მიზანტროპს ვგავდი, თუმცა სინამდვილეში სულაც არა ვარ ასეთი. ეს ცვლილება ჩემში მოახდინა საყვარელმა მშვენიერმა გო-

გონამ, რომელსაც ვუყვარვარ და მეც მიყვარს[135]. ორი წლის შემდეგ კვლავ რამდენიმე ნათელი წუთი განვიცადე. და აი, პირველად ვიგრძენი, რომ ცოლის შერთვა ბედნიერება იქნება ჩემთვის. სამწუხაროდ, ის ჩემი წოდებისა არ არის და ახლა, რაღა თქმა უნდა, ცოლის შერთვა არ შემიძლია. ჯერ ბევრი უნდა ვიხეტიალო[136]. სმენა რომ არ მაკლდეს, კარგა ხანია შემოვივლიდი ნახევარ მსოფლიოს. ეს აუცილებელია, რადგან არ არსებობს იმაზე მეტი სიამოვნება, რომ ვემსახურო ჩემს ხელოვნებას და გამოვაჩინო. ნუ გინდა იფიქრებ, თქვენთან რომ მეცხოვრა, უფრო ბედნიერი ვიქნებოდი. რა გამხდიდა ბედნიერს? თქვენი ზრუნვა მხოლოდ ტკივილს მომაყენებდა. დღენიადაგ თქვენი ტანჯული სახეების ყურება უფრო მწვავედ მაგრძნობინებდა ჩემს უბედურებას. მშობლიური მხარის მშვენიერი ადგილები იმედს აღმიძრავდა, რომ უკეთესი ხვედრი მერგებოდა. უბედურება მელოდება წინ ამის განცდაში. ეს რომ არ დამტეხოდა თავს, მთელ ქვეყანას გულში ჩავიკრავდი. ვგრძნობ, ჩემი სიჭაბუკე ახლაღა იწყება. განა ყოველთვის ავადმყოფი ადამიანი არ ვიყავი? ეს რამდენიმე ხანია ფიზიკურად წინანდელზე მეტად მოვმჯობინდი.

არა, სულიერი ძალაც მომეცა. დღითი დღე ვუახლოვდები შორს მოციმციმე მიზანს. მაგრამ ძალა არ შემწევს მისი აღწერისა. მხოლოდ ასე შეუძლია ცხოვრება შენს ბეთჰოვენს. შორს ჩემგან მოსვენებაც! მე არა მწამს მოსვენება გარდა ძილისა და ძალიან მაღიზიანებს იმის შეგრძნება, რომ მას ახლა წინანდელზე უფრო მეტი დრო უნდა შევწირო. იმედიანადაც რომ შევიმსუბუქებდე ავადმყოფობა, მოვალ თქვენთან, როგორც სრულყოფილებას მიღწეული, მომწიფებული ადამიანი და ავაღორძინებ ჩვენს ძველ მეგობრულ გრძნობებს. მინდა ბედნიერი მნახოთ, რამდენადაც ეს მინერია აქ, დედამიწაზე, და არა უბედური. უბედურებას ვერ ვიტან. თუ მთლად ვერ მოვტეხე, ბედს ყელში მაინც ვწვდები. ო, რა მშვენიერია სიცოცხლე, ათას გზის სიცოცხლე! ვგრძნობ, მშვიდი ცხოვრებისათვის აღარ ვარგივარ.

საჩქაროდ მომწერეთ წერილი. ეცადეთ, გავლენა იქონიოთ შტეფანზე, რათა ტევტონის ორდენში[137] დაიწყოს სამსახური. აქ თუ იცხოვრებს, დიდ საფრთხეში ჩაიგდებს თავის ჯანმრთელობას. გარდა ამისა, ისე ჩაკეტილად ცხოვრობს, ვერც კი წარმომიდგენია, როგორ შეიძლება წინ წაიწიოს. ხომ იცი, ეს როგორ ხდება? მე იმის თქმასაც ვერ ვბედავ, საზოგადოებაში ყოფნა ხალისს მოჰგვრის თუ არა. იმას ხომ ხალხში გამოჩენაზე ვერასოდეს დაიყოლიებ.

ამ ცოტა ხნის წინ მუსიკალური საღამო მოვაწყვე, რომელსაც რჩეული საზოგადოება ესწრებოდა. ჩვენი მეგობარი შტეფანი კი მაინც არ მოსულა. ურჩიე, გეთაყვა, უფრო დინჯად და მშვიდად იყოს. მე რა არ ვილონე. სხვაგვარად ბედნიერი ვერც იქნება და ჯანმრთელობაც შეერყევა. შემდეგ წერილში ისიც მომწერე, რაიმე სიძნელეები ხომ არ გხვდება, ამდენ ნოტებს რომ გიგზავნი. თუმცა შენ ხომ შეგიძლია ხელახლა გაჰყიდო ის ნაწარმოებები, რომლებიც აღარ გჭირდება და ამ გზით აინაზღაურო საფოსტო ხარჯები. ეს ეხება ჩემს პორტრეტსაც. ყოველივე საუკეთესო და სიკეთე უსურვე ლორჰენს, ასევე Mama-ს და კრისტოფს.

ცოტათი მაინც ხომ გიყვარვარ? ასევე გარწმუნებ ჩემს მეგობრობასა და სიყვარულში, შენი ბეთჰოვენი.

64. კარლ და იოჰან ბეთჰოვენებს

ჰაილიგენშტადტის ანდერძი

ჰაილიგენშტადტი, 6 ოქტომბერი

ჩემს ძმებს კარლ და იოჰან ბეთჰოვენებს[138].

ო, ადამიანებო, რომ ჩემზე ფიქრობთ, თუ გგონიათ ბოროტი, ჯიუტი, მიზანტროპიაო, როგორ უსამართლონი ხართ ჩემს მიმართ. თქვენ არ უწყით მიზეზი იმისა, რად გეჩვენებით ასეთი. პატარაობიდანვე გულითა და გონებით სიკეთის უნაზესი გრძნობით ვიყავ გამსჭვალული. მუდამ დიადი საქმეების კეთებაზე ვოცნებობდი. მაგრამ იფიქრეთ, აგერ ექვსი წელია საბედისწერო მდგომარეობაში ვარ, რაიც დღითი დღე მიუარესდება უმეცარი ექიმების წყალობით. წლითიწლობით თავს ვიტყუებდი და განკურნების იმედს არ ვკარგავდი, მაგრამ ახლა იძულებული ვარ, ჩემს თავს ვუთხრა — თავს დამატყდა ხანგრძლივი უბედურება (განკურნებას იქნებ წლებიც დასჭირდეს და ვინ იცის, შეუძლებელიც იყოს).

ბუნებისაგან მომადლებული მგზნებარე, დიდი ტემპერამენტის პატრონი, გართობის მოყვარული, იძულებული ვარ ნაადრევად განვმარტოვდე და კარჩაკეტილად ვიცხოვრო, როცა გა-

დავწყვიტე, უარი მეთქვა ყოველივე ამაზე, რა სასტიკად იძია შური ჩემმა უძლურმა სმენამ. იგი მაიძულებდა, მუდამჟამს უკან დამეხია და ერთიორად განმეცადა მწუხარება — მაინც ვერ გამოვუტყდი ადამიანებს, ხმამაღლა ილაპარაკეთ, იყვირეთ, მე ხომ ყრუ ვარ-მეთქი. განა შემეძლო გამომემჟღავნებინა სისუსტე გრძნობებისა, რითაც ღვთის მადლით, ჩემი პროფესიის ადამიანებზე უხვად ვიყავ დაჯილდოებული და ბევრად უფრო სრულყოფილი უნდა გამაჩნდეს? ეს ჩემს ძალებს აღემატება და ამიტომ უნდა მაპატიოთ, როცა თავს ვარიდებ თქვენს წრეს, სადაც გულით მენადა ვყოფილიყავ. ჩემი უბედურება ორმაგად ტკივილს მაყენებს იმის გამოც, რომ ცუდად ესმით ჩემი. მე ვერც საზოგადოებაში ვპოვებ სიმშვიდესა და სილაღეს. თითქმის სულ განმარტოებით უნდა ვიყო საკუთარ თავთან და ხალხში გამოჩენის უფლება თავს მეტისმეტი აუცილებლობის დროს მივცე. დევნილივით უნდა ვიცხოვრო, რადგან აღმოვჩნდები თუ არა საზოგადოებაში, შიშისაგან მაცახცახებს, ჩემი მდგომარეობა არ გამოვამჟღავნო. ასე ვცხოვრობდი ექვსი თვე სოფელში ჩემი ჭკვიანი ექიმის რჩევით. როგორადაც შემეძლო, უნდა გავფრთხილებოდი სმენას. ეს თითქმის ეხებოდა ჩემი ახლანდელი ცხოვრების წესს, თუმცა ზოგჯერ საზოგადოებაში ყოფნის სურვილი მაინც მაცთუნებდა ხოლმე, მაგრამ რაოდენ დამცირებას ვიტანდი, როცა ვინმეს ჩემს გვერდით მყოფს შორიდან ესმოდა ფლეიტის ხმა, მე კი ვერაფერს განვიცდიდი, ან მწყემსის სიმღერა ატკბობდა, მე კი კვლავ არაფერი მესმოდა[140]. ამ დროს სასოწარკვეთილებამდე მისულს მინდოდა თავი მომეკლა. მხოლოდ ხელოვნება მაკავებდა. მეგონა, არ შემეძლო ამ ქვეყნის დატოვება, სანამ ყველაფერს არ გავაკეთებდი, რისთვისაც ვიყავ მონოდებული. ასე მივაჩანჩალებ ამ საცოდავ ცხოვრებას, მართლაც რომ საცოდავს ისეთი მგრძნობიარე ადამიანისათვის, რომლისთვისაც ყოველ მოულოდნელ შემთხვევას შეეძლო მშვენიერი სულიერი განწყობილება შეეცვალა უსაშინლესად.

მოთმინება უნდა გავიხადო ცხოვრებაში მეგზურად და გავიხდი კიდეც. ვიმედოვნებ, ამ გადაწყვეტილებას არ შევიცვლი მანამდე, ვიდრე ულმობელი სიკვდილის ცელი არ გაწყვეტს სიცოცხლის ძაფს. ვინ იცის, იქნებ უკეთესიც იყოს, იქნებ—არა. მზადა ვარ ყველაფრისათვის. ოცდარვა წლიდან იძულებული ვარ ვიფილოსოფოსო. ეს იოლი საქმე როდია. არტისტს უფრო გაუძნელდება, ვიდრე სხვა ვინმეს.

ო, ღმერთო, შენ ზემოდან დაჰყურებ ჩემს გულს, იცნობ მას. იცი, რომ იგი კაცთმოყვარეობითა და სიკეთით არის აღსავსე.

ო. ადამიანებო, თუ ოდესმე წაიკითხავთ ჩემს ანდერძს, იცოდეთ, უსამართლონი იყავით ჩემს მიმართ. უბედურს თავისნაირი უბედურის პოვნა დაამშვიდებს ხოლმე, რომელიც ბუნების მიერ აღმართული ყველა დაბრკოლების მიუხედავად, ყოველ შესაძლებელს მოიმოქმედებს, რათა ღირსეული არტისტებისა და ადამიანების რიგში ჩადგეს.

თქვენ, ჩემო ძმებო, კარლ და (იოჰან), როცა მოვკვდები, თუ ისევ ცოცხალი იქნა, ჩემი სახელით პროფესორ შმიდტს სთხოვეთ, აგიწეროთ ჩემი ავადმყოფობა და ამ აღწერას თან დაურთეთ ჩემი ანდერძი, რათა ხალხი, რამდენადაც შეუძლია შემირიგდეს სიკვდილის შემდეგ[141]. ამასთან ორივეს გაცხადებთ ჩემი მცირე ქონების მემკვიდრეებად (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ), პატიოსნად, მშვიდობიანად გაიყავით ერთმანეთში, ერთმანეთს დაეხმარეთ.

ჩემს წინააღმდეგ ყოველი ქმედება, იცით, რომ კარგა ხანია გაპატიეთ. შენ, ჩემო ძმაო კარლ, მადლობას გწირავ, იმ ერთგულებისათვის, ბოლო ხანებში ჩემდამი რომ გამოიჩინე, გისურვებთ, თქვენი ცხოვრება უფრო უკეთესად, უშფოთველად აგეწყოთ, ვიდრე მე შევძელი. თქვენს შვილებს სიკეთე ჩაუნერგეთ, რადგან მხოლოდ მასში და არა ფულშია ბედნიერება. ამას ჩემი გამოცდილებით გეუბნებით. ამან გამაძლებინა გასაჭირში. მას უნდა ვუმადლოდე ჩემს ხელოვნებასთან ერთად, რომ სიცოცხლე თვითმკვლელობით არ დავამთავრე. ნახვამდის, გიყვარდეთ ერთმანეთი. მადლობას ვუხდი ყველა მეგობარს, განსაკუთრებით კი ლიხნოვსკის და პროფესორ შმიდტს. მინდა თავად ლიხნოვსკის ინსტრუმენტები რომელიმე თქვენგანმა დაიტოვოს, ოღონდ ამის თაობაზე უსიამოვნება არ მოგივიდეთ[142]. როცა მოგემსახურებათ და თავიანთ საქმეს შეასრულებენ, გაყიდეთ. რა მოხარული ვარ, რომ საფლავში მყოფსაც შემეძლება სარგებლობის მოტანა თქვენთვის.

მაშ გადაწყვეტილია: სიხარულით ვეგებები სიკვდილს! თუ იმაზე ადრე მეწვევა, ვიდრე ჩემი ნიჭის გამომჟღავნებას შევძლებდე ხელოვნებაში, მიუხედავად ჩემი მკაცრი ბედისა, მისი მოსვლა ნაადრევი იქნება და ვამჯობინებდი, გვიან მოსულიყო. მაგრამ მაინც მოხარული ვიქნები, თუ მეწვევა, განა იგი არ დამიხსნის უსასრულო ტანჯვისაგან? მოდი სიკვდილო, როცა გინდა, ვაჟკაცურად შეგეგებები! ნახვამდის და მთლად ნუ დამივიწყებთ

სიკვდილის შემდეგ. ეს დავიმსახურე თქვენს წინაშე, რადგან ჩემს სიცოცხლეში ხშირად ვფიქრობდი, ბედნიერება მომენიჭებინა თქვენთვის. იყავით ბედნიერნი.

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაილიგენშტადტი

6 ოქტომბერი 1802 წლისა

მაშ ასე, გშორდებით, გშორდებით გულჯავრიანი. ერთადერთი იმედი, რასაც ველოლიავებოდი და თან მომყვა აქ, იმედი ოდნავ მაინც განკურნებისა, საბოლოოდ დამემსხვრა. ისევე დაჭკნა, ვით ტოტებს მოწყვეტილი შემოდგომის ფოთლები. ისევე ვშორდები აქაურობას, როგორც მოვედი. ახლა ის ვაჟკაცობაც გამიქრა, მშვენიერი ზაფხულის დღეებში რომ მასულდგმულებდა. ო, განგებავ, მომანიჭე თუნდაც ერთი დღე ნამდვილი სიხარულისა, ჩემს გულში კარგა ხანია რომ ჩაკვდა. ო, ღმერთო ჩემო, როდის, როდის მოვისმენ კვლავ მას ბუნებისა და კაცობრიობის ტაძარში? — არასოდეს! არა, ეს მეტისმეტი სიმკაცრე იქნებოდა*.

101. ჟ. დეიმს[143]

ვენა, შემოდგომა 1804 წლისა, 25 ოქტომბრამდე

გუშინ თვითონაც არ ვიცოდი, შევძლებდი თუ არა თქვენი მგზნებარე სურვილის დაკმაყოფილებას — შევქმნიდი თუ არა რაიმე ახალს. თქვენთვის გამოგზავნილ ნაწარმოებთაგან მეორე სონატა ახალია, აქ არავის აქვს და ამის გამო დაჟინებით უნდა გთხოვოთ, ნურავის მისცემთ, რომ ვინმე აქაურ გამომცემელს არ ჩაუვარდეს ხელთ და მისი ნამდვილი გამომცემელი არ დაზარალდეს[144]. მომიკითხეთ გრაფი ფრანცი[145]. დღეს ვერ შევძლებ მისთვის წერილის მიწერას, ვფიქრობ, სალამოს ჩემს თავს მივანიჭო დიდი სიამოვნება თქვენი და შარლოტას[146] საზოგადოებაში ყოფნით. ნახვამდის, ძვირფასო, კეთილო გრაფინია, თქვენი ერთგული ბეთჰოვენი.

103. ჟ. დეიმს

ვენა, დაახლოებით 10 ნოემბერი 1804 წლისა

ასე მგონია, ძვირფასო ჟოზეფინა, გუშინ მხედველობიდან გამომრჩა... თქვენ ხომ არ გითქვამთ, სადილად მოდითო. თუ მართლა მითხარით, მოვალ. როგორა გრძნობს თავს შარლოტა? ვიმედოვნებ, უკეთ. ბედნიერ შეხვედრამდე. ვიჩქარი თქვენსკენ.

თქვენი თაყვანისმცემელი ბეთჰოვენი

105. ჟ. დეიმს

ვენა, დეკემბრის დასაწყისი 1804 წლისა

შუპანციგთან[147] საქმე მოგვარებულია. იგი თანახმაა და სიამოვნებითაც, რასაც თვითონვე გაუწყებთ, ან შემოივლის თქვენთან. შეგიძლიათ სალამო გამართოთ ყოველ ორ კვირაში ერთხელ და შუპანციგს დღეც დაუნიშნოთ. ცმესკალს რომ შუპანციგთან მოლაპარაკება არ ეწარმოებინა მისთვის ჩვეული თავაზიანობით, საქმე სულ სხვაგვარად წავიდოდა. ამგვარად ჩემი ეჭვი სავსებით გამართლდა. რაც შეეხება თქვენს მიერ მომავალ ოთხშაბათს დანიშნულ სალამოს, ვისურვებდი, ან სრულიად არ მოგვეწყოთ, ანდა ჯერჯერობით შლეზინგერი[148] მოგვენვიათ. თუ არადა, სხვაგვარად ამ ხალხის სიძულვილს დავიმსახურებდი. ჩემმა ძმამ, გადასახადების სალაროში რომ მუშაობს, გუშინ მთხოვა მეშუამდგომლა

* (მარცხენა მინდორზე ბეთჰოვენის ხელით წიწერილია)

ჩემს ძმებს კარლსა და (იოჰანს) ჩემი სიკვდილის შემდეგ წასაკითხად და შესასრულებლად.

თქვენთან, რომ ნება დართოთ, გეახლოთ. რეკომენდაცია უნდა გთხოვოთ ერთ მეტად საჭირო საქმეზედ. საქმის ვითარება მე არ ვიცი, ოღონდ დავსძენ, თუ შესაძლებლობა გაქვთ, დაეხმარეთ. თქვენს მფარველობას ვანდობ ჩემს ძმას. თუმცა ბოროტმა ადამიანებმა ხმა გაუვრცელეს, თითქოს ჩემდამი გულწრფელი არ არის, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ ეს სიმართლე არ გახლავთ. მე მჯერა, იგი მუდამ პატიოსნად და კეთილსინდისიერად მექცეოდა და ზრუნავდა ჩემზე. ხალხი მის წინააღმდეგ იმან განაწყო, რომ მის წინანდელ საქციელში გულწრფელობას ვერ ამჩნევდნენ, მაგრამ სამსახურებრივ საქმეებზე რამდენჯერმე ჩამოსვლის შემდეგ იგი სრულიად შეიცვალა.[149]

ძვირფასო ჟოზეფინა, შემატყობინეთ, როდის შეიძლება გეახლოთ იგი.

თქვენი, თქვენი, თქვენი ბეთჰოვენი.

110. ჟ. დეიმს

ვენა, 1804 წ. დეკემბერი, 1805 წლის თებერვალი

დიდის სიამოვნებით მოვიდოდი დღეს თქვენთან[150], მაგრამ უამრავ საქმეთაგან მოუცლელადა ვარ. თან კიდევ წუხელ სამის ნახევარზე დავბრუნდი შინ. რა ნაღვლიანი მეჩვენეთ გუშინ, ძვირფასო ჟოზეფინა. ნუთუ მე არ შემიძლია ვიმოქმედო თქვენზე, როცა თქვენ ესოდენ ბედნიერებას მანიჭებთ! ეგრე ნუ მიეცემით ნაღველს. ძალზე მაწუხებს თქვენი ასეთი ყოფა, მით უმეტეს, როცა არ ვიცი, რითი და როგორ დაგეხმაროთ. აქ არის თქვენი Andante და სონატა[151]. თავი დაანებეთ ბანს, იგი არა გჭირდებათ. იმ დრომდე დაიცადეთ, როცა მე თქვენს გვერდით აღარ ვიქნები. მაშინ როგორც გენებოთ, ისე შეისწავლეთ სხვა მასწავლებელთან[152]. ხვალ საღამოთი უეჭველად მოვალ თქვენთან, თუ მოუცლელად არა ხართ. დეიდა ფანისთან თუ აპირებთ წასვლას, დილიდანვე შემატყობინეთ და საღამოს ცხრა საათისათვის მოვალ, სასიამოვნო შემთხვევის წყალობით ერთ საღამოს ორ საინტერესო ადამიანს იხილავთ — არც თუ უცნობ № სა და მე[153]. ნახვამდის ჩემი გულის ანგელოზო[154].

111. ჟ. დეიმს

ვენა, დეკემბერი 1804 წლისა — თებერვალი 1805 წლისა

ძვირფასო ჟოზეფინა! გთხოვთ, გამომიგზავნოთ Andante და ორი სიმღერა,[155] აღგითქვამთ, სამივე ნაწარმოებს ზეგ ისევ უკან დაგიბრუნებთ. სიმღერებს არ გამოგართმევდით, რომ აუცილებელი არ გამხდარიყო რამდენიმე სიმღერის გაგზავნა დაქვრივებული დედოფლისათვის[156]. ახლა ვერც სხვას მოვძებნი და ვერც ახალს შევქმნი. თუ არ გჭირდებათ „Indomeneo", რამდენიმე დღით მათხოვეთ[157]. ნახვამდის, საყვარელო, ერთადერთო ჟოზეფინა.

ბეთჰოვენი

115. ჟ. დეიმს

ვენა, 18 აპრილი, მაისის დასაწყისი

ადამიანს, ვინც ყველას მირჩევნია ამქვეყნად, აზრი რომ არ შეეცვალოს ჩემზე, მინდა შევატყობინო, რომ ამ საღამოს ვერ ვინახულებ, რადგან ხვალ ჩემი ძვირფასი ლიხნოვსკი მიემგზავრება. მიუხედავად იმ უსიამოვნებისა, რაც დრო და დრო ამ მეგობრობის გზაზე გვხვდებოდა, მასთან განშორებისას ვგრძნობ, რა ძვირფასია იგი ჩემთვის და როგორა ვარ მისგან დავალებული.

ძალიან მჭირდება ფლორიანის[158] კომედიები. ხვალ საღამოს ვინახულებ საყვარელ ჟოზეფინას. დაე, იცოდეს, რომ იგი ყველაზე ძვირფასი და საყვარელია ამქვეყნად ჩემთვის.

ეს სტრიქონები თქვენი წერილის მიღებამდე დავწერე. ახლა სონატა in A-ც მჭირდება. იგი ლიხნოვსკისთან გამოთხოვებისას უნდა დავუკრა.[159]

ჯანმრთელად იყავი ჩემი გულის, ჩემი ცხოვრების ანგელოზო.

116. ჟ. დეიმს

ვენა, 1805 წ. გაზაფხული, აპრილის ბოლო ან მაისი

ჩემო საყვარელო ჟოზეფინა! ლიხნოვსკის ამბავი არც ისე საშიშია, როგორც დაგიხატეს. მე არც კი შემიმჩნევია, ისე დაინახა სიმღერა „An die Hoffnung" ხმა არ ამოუღია. ალბათ ნანახით დაასკვნა, რომ თქვენდამი გულგრილად არ ვიყავი განწყობილი. ცმესკალი მისულა მასთან თქვენი და დეიდა გვიჩარდის საქმეებზე, უკეთესად ვიცოდე, თუ არა, რა ხშირად დავდიოდი თქვენთან. ცმესკალს არც ჰო უპასუხნია და არც არა. კაცმა რომ თქვას, რა შეეძლო ეპასუხნა, მეტისმეტად ფრთხილად ვიქცეოდი მასთან. ლიხნოვსკიმ მითხრა, სიმღერის ამბავმა მაფიქრებინა, გულგრილად არა ხარ მისადმი განწყობილიო, მაგრამ გულწრფელად შემომფიცა, ცმესკალისათვის არაფერი მითქვამსო. ცმესკალისათვის დაუბარებია, დეიდა გვიჩარდის სთხოვის, რომ თქვენ მაიძულოთ, მალე დავამთავრო ჩემი ოპერა. იმას სჯერა, რომ დიდად პატივსა მცემთ და იმედი აქვს თქვენს გავლენას შესანიშნავი შედეგი მოჰყვება[160]. აი, მთელი ფაქტი. ცმესკალმაცა და დეიდა გვიჩარდიმაც გადააჭარბეს. დამშვიდდით, ამ ორი პიროვნების გარდა ამ საქმეში არავინ ურევია[161].

ლიხნოვსკი ზედმიწევნით ზრდილობიანი ადამიანია და სიტყვაც კი არ დასცდება, თუნდაც ეჭვი ეპარებოდეს უფრო ახლო ურთიერთობაში. პირიქით, სხვა სანატრელი მას არა გააჩნია რა, გარდა ჩვენს შორის ამ ურთიერთობის[162] აღმოცენებისა, თუ ეს შესაძლებელია. თუმცა თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რაც თქვენი ხასიათის თაობაზე უთხრეს, ეს ჩემთვის მხოლოდ სასარგებლო იქნებოდა — გვეყოფა ამაზე! მართალია, მე ისეთი აქტიური არა ვარ, როგორიც უნდა ვიყო, მაგრამ სულიერმა მწუხარებამ კარგა ხანია ოდესღაც ჩემთვის მომადლებული ენერგია გამომაცალა და ბოლო ხანებში, ღვთაებრივო ჟოზეფინა, როცა ჩემმა თქვენდამი სიყვარულმა პირველი ყლორტები გამოიღო, ეს მწუხარება გამიასკეცდა.

მარტო რომ დავრჩებით, გაიგებთ, რა მტანჯავს, ბოლო ხანებში რა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მქონდა საკუთარ თავთან.

ერთმა შემთხვევამ კარგა ხანია დამაეჭვა ამქვეყნიური ბედნიერების არსებობაში, მაგრამ ახლა ეს ეჭვი თითქმის გამიქრა. მე თქვენი გული დავიპყარ. კარგად ვიცი ამ ბედნიერების ფასი. კიდევ უფრო მეტ გულმოდგინებას გამოვიჩენ და წმინდა აღთქმას გაძლევთ, მალე უფრო ღირსეული გავხდები საკუთარი თავისა და თქვენთვისაც[163].

ო, საყვარელო ჟოზეფინა, თქვენ რომ ღირსმყოთ და შენი ბედნიერება გააასკეცოთ თქვენი სიყვარულით!

არა სხვა სქესისაკენ ლტოლვა მიზიდავს თქვენსკენ. მხოლოდ თქვენ, მთელი თქვენი მე, მთელი თქვენი ღირსებები იპყრობს ჩემს ყურადღებას, მთელს ჩემს გრძნობებს, უნარს მთელი ჩემი აღქმისას.

თქვენთან რომ მოვედი, მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, გულში სიყვარულის ნაპერწკალი არ ამნთებოდა, მაგრამ თქვენ დამიპყარით, ასე გსურდათ თუ არა? აი, ამ საკითხზე მოველი პასუხს, ო, ღმერთო ჩემო, ჟოზეფინა. რამდენი რამის თქმა მსურდა თქვენთვის, რას ვფიქრობ თქვენზე, რას ვგრძნობ თქვენდამი, მაგრამ რა უძლური ვარ, ენას არ ძალუძს, განსაკუთრებით ჩემს ენას, ამის გამოთქმა.

დაე, მარადიული იყოს ჩვენი სიყვარული, ეს კეთილშობილური, ურთიერთპატივისცემასა და მეგობრობაზე დამყარებული სიყვარული. ჩვენი გრძნობები და ფიქრები ხომ ბევრ რამეში ეთანხმებიან ერთმანეთს.

ო, მომეცით იმედი, რომ თქვენი გული დიდხანს იძგერებს ჩემთვის. ჩემი გული კი მხოლოდ მაშინ აღარ იძგერებს თქვენთვის, როცა მისი ძგერა შეწყდება. ნახვამდის. საყვარელო ჟოზეფინა. ვიმედოვნებ, მეც ცოტაოდენ ბედნიერებას განიჭებთ, თორემ სხვაგვარად ეგოისტი ვიქნებოდი[164].

117. ჟ. დეიმს

ვენა, 1804 წ. ზამთარი ან 1805 წლის გაზაფხული

ძვირფასო, კარგო, საყვარელო ჟოზეფინა!

ჟერჟერობით ჩემს საკუთართაგან გიგზავნით ექვს ბოთლ ოდეკოლონს. ეგ მაშინ შე-

გიძლიათ დამიბრუნოთ, როცა თქვენსას მიიღებთ ჩემი საძაგელი მეგობრისაგან. ამ საღამოს შევეცდები განახოთ, საყვარელო, ძვირფასო, ძვირფასო ჟოზეფინა, და თუ ვერ მოვახერხე, მთელს თქვენს მოდგმას დავწყევლი.

ნახვამდის, საყვარელო, მე ისე მიყვარხართ, როგორც თქვენ მძულვართ.

თქვენი ერთგული ლ. ვ. ბეთჰოვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

118. ჟ. დეიმს

ვენა, 1805 წლის გაზაფხული

ო, ენას რატომ არ ძალუძს იმაზე მეტი, იმაზე მეტი გამოთქვას ერთადერთ, საყვარელ ადამიანზე, რასაც პატივისცემა ეწოდება. ო, ვინც თქვენს სახელს წარმოთქვამს, განა შეუძლია არ იგრძნოს, რაოდენ ხოტბაც არ უნდა შეგასხათ, მაინც ვერ აღწერს თქვენს სრულყოფილებას. მხოლოდ ბგერებით შეიძლება მისი გამოხატვა. ოჰ, მეტისმეტად თამამი ხომ არა ვარ, რომ ვფიქრობ, ბგერები უფრო მემორჩილებიან, ვიდრე სიტყვები-მეთქი... თქვენ, თქვენ ჩემთვის ყველაფერი ხართ, ჩემი ნეტარება. არა, ვერც ბგერებით ვერ გამოვხატავდი ამას, თუმცა ბუნებას ძუნწად არ დავუჯილდოვებივარ. მაგრამ თქვენს შესამკობლად ეს მაინც ცოტაა. ოღონდ ნელ-ნელა იძგერე, საწყალო გულო, სხვა შენ არაფერი შეგიძლია. თქვენთვის, მუდამ თქვენთვის, მხოლოდ თქვენ, მუდამ თქვენ, სიკვდილამდე მხოლოდ თქვენ, ჩემო ნუგეშო, ჩემო ყველავ, ო, ღმერთო, დაიფარე იგი, დაულოცე სიცოცხლის დღენი. მე შემეყაროს ყველა მისი უბედურება.

მხოლოდ მას მიეც ძალა, მიაგე სიკეთე და ნუგეში ამ საცოდავ, მაგრამ ხშირად ბედნიერ სამყოფელში მოკვდავთა.

თუნდაც მისი წყალობით არ დამბრუნებოდა სიცოცხლე, ჩემთვის მაინც ყველაზე ძვირფასი იქნებოდა იგი.

157. ჟ. დეიმს ვენაში

ჰაილიგენშტადტი, 20 სექტემბერი 1807 წლისა

ძვირფასო, საყვარელო, ერთადერთო ჟოზეფინა!

თქვენგან მიღებული რამდენიმე სტრიქონიც კი დიდ სიხარულს მანიჭებს. საყვარელო ჟოზეფინა, რა ხშირად ვებრძოდი საკუთარ თავს, რომ მისთვის მიცემული აღთქმა არ დამერღვია, მაგრამ ამაოდ. ათასი ხმა გამუდმებით ჩამჩურჩულებდა, რომ თქვენა ხართ ერთადერთი ჩემი მეგობარი, ერთადერთი სატრფო. ძალა არ შემწევს, ჩემი თავისთვის მიცემული აღთქმა შევასრულო. ო, ძვირფასო ჟოზეფინა, უდარდელად ვიაროთ იმ გზაზე, რომელზეც ასე ხშირად ბედნიერად გვივლია. ხვალ ან ზეგ გინახულებთ და ღმერთს შევთხოვ, თუნდაც ერთი საათი მშვიდ საუბარში გაგვატარებინოს, რისი მონატრულიცა ვარ. მინდა სული და გული გადაგიშალოთ, ჯანზე ვერა ვარ კარგად, ოღონდ ამ ბოლოს ცოტათი მოვმჯობინდი. როცა ტერეზა იყო აქ, ისე ცუდად ვგრძნობდი თავს, არავის ვიკარებდი, ჩემს საუკეთესო მეგობრებსაც კი გავურბოდი. სექტემბრის დამდეგს ჰაილიგენშტადში გავემგზავრე, მაგრამ რაკი არ მარგო, ისევ მალე დავბრუნდი ქალაქში. მერე აიზენშტადტში ვიყავი, თავად ესტერჰაზისთან. აქ ჩემი მესა შეასრულეს. რამდენიმე დღის წინ დავბრუნდი იქიდან და მაშინვე გეახელით. ორჯერ ვიყავი თქვენთან, თუმცა ბედნიერება არა მქონია თქვენი ნახვისა. ამან დამაღონა და ვიფიქრე, იქნებ ჩემზე გული აიყარა-მეთქი, მაგრამ მთლად ჯერ არ გადამიწურავს იმედი. იქაც, აიზენშტადტში და ყველგან თან მდევდა თქვენი სახება. აი, ასე ვცხოვრობ. ჯანმრთელობა დღითი დღე მიუმჯობესდება და ვფიქრობ, სულ მალე უფრო მეტ დროს გავატარებ მეგობრებთან.

ნუ დაივიწყებთ და ნუ განსჯით თქვენს სამუდამოდ ერთგულ ბეთჰოვენს. დღეს ალბათ ქალაქში გამოვალ და წერილსაც პირადად გადმოგცემდით, მაგრამ მეშინია, თქვენთან შეხვედრის მესამე ცდამაც ამაოდ არ ჩაიაროს.

159. ჟ. დეიმს ვენაში

ჰაილიგენშტადტი, 1807 წლის სექტემბრის უკანასკნელი კვირა

ძვირფასო, საყვარელო ჟოზეფინა!

მხოლოდ რამდენიმე სტრიქონის მოწერასღა თუ შევძლებ დღეს, არ იფიქროთ, დროს ვატარებდე ან მოუცლელი ვიყო. თავს ცოტა უკეთესად ვგრძნობ, როცა ზოგჯერ განვმარტოვდები ხოლმე, მით უმეტეს, რომ აქ ჩემი შესაფერისი საზოგადოება არ არის. თქვენ ავადა ხართ... როგორ მტკივა გული, რომ თქვენი ნახვა არ შემიძლია, მაგრამ ასე სჯობს ორივეს სიმშვიდისათვის.

მე თქვენზე ნაწყენი არა ვარ. ნუ გგონიათ, რომ რითიმე გამალიზიანებთ. დღეს ამაზე დაწვრილებით ვერ მოგწერთ, მაგრამ ჩვენი შეხედულებანი ერთმანეთზე ისეთ მტკიცე საფუძველზეა დამყარებული, წვრილმანები ვერასოდეს წაგვაჩხუბებენ. ოღონდ მათ შეუძლიათ იმ აზრამდე მიგვიყვანონ, რაც ღვთის წყალობით არც თუ ძალიან გვიან მოგვდის თავში.

თქვენზე ცუდს ვერას განვიზრახავ, მხოლოდ თქვენთვის ვისურვებდი ყოველ სიკეთეს. ეს სრულიად ბუნებრივი გახლავთ.

ნახვამდის, საყვარელო ჟოზეფინა. უფრო დაწვრილებით რამდენიმე დღის შემდეგ მოგწერთ.

161. ჟ. დეიმს

ვენა, 1807 წლის შემოდგომა

ძვირფასო ჟოზეფინა!

რახან თითქმის არ გამაჩნია საფუძველი, რომ ჩემთან შეხვედრებს გაურბიხართ, და რომ თქვენმა მსახურმა უკან არ გამომაბრუნოს, ვფიქრობ, გეწვიოთ მხოლოდ მაშინ, როცა გულწრფელ აზრს გამოთქვამთ ამ საკითხზე. თუ მართლა აღარ გსურთ კვლავ მიხილოთ, ნუ დამიმალავთ, მითხარით, ეს მე დავიმსახურე. ვალდებულად ჩავთვალე თავი, გაგნაპირებოდით, რადგან მეგონა, თქვენც ასე გსურდათ. საკმაოდ ვიტანჯე ამის გამო, მაგრამ მოვერიე საკუთარ თავს. შემდეგ ისევ ეჭვებმა შემიპყრო, აღარ ვიცოდი, სწორად გაგიგეთ თუ არა. დანარჩენს ამ ცოტა ხნის წინ გამოგზავნილ წერილში წაიკითხავთ. მითხარით, რას ფიქრობთ, საყვარელო ჟოზეფინა, თქვენ ხომ არაფრით არა ხართ შებოჭილი. ამგვარ ვითარებაში რა გაგიბედოთ, რა გითხრათ. ნახვამდის, ძვირფასო, ძვირფასო ჟოზეფინა!

გთხოვთ, უკან გამომიგზავნოთ წიგნი ჩემი წარწერით, მჭირდება[166].

162. ჟ. დეიმს

ვენა, გვიანი შემოდგომა 1807 წლისა

ჩემო ძვირფასო ჟოზეფინა, ეს სონატა თქვენს ძმას გაუგზავნეთ[167]. გმადლობთ იმისთვისაც კი, რომ თავი ისე გიჭირავთ, თითქოს მთლად დავიწყებული არა ვარ თქვენგან. მაშინაც კი მადლობელი დაგირჩებით, თუ ამას სხვების წაქეზებით აკეთებთ. თქვენ გაინტერესებთ, როგორ ვცხოვრობ! ამაზე ძნელ კითხვას ვერ მომცემდით. მირჩევნია ამ კითხვაზე არ გიპასუხოთ, ვიდრე გიპასუხოთ გულმართლად. ნახვამდის, ძვირფასო ჟოზეფინა!

კვლავ თქვენი, მარადჟამს თქვენი ერთგული ბეთჰოვენი[168].

298. ბ. ბრენტანოს ბერლინში[169]

ვენა, 10 თებერვალი 1811 წლისა

ძვირფასო, ძვირფასო ბეტინა!

თქვენგან უკვე მეორე წერილი მივიღე. ტონისადმი მიწერილმა თქვენმა წერილმა დამარწმუნა, რომ არ მივიწყებთ. თქვენს პირველ წერილს მთელს ზაფხულს თან ვატარებდი. რამდენჯერ მოუნიჭებია ნეტარება. თუმცა არც ისე ხშირად გიგზავნით წერილებსა და

არც არაფერს, მაგრამ ფიქრებით ათასობით წერილს გწერთ. თქვენი წერილების წაუკითხავადაც ვხედები, როგორ გრძნობთ თავს ბერლინში, ამ მოყაყანე ბრბოში. ამას დიდებულად ამბობს შილერი შპრეეს პირით ლექსში „მდინარეები". თქვენ თხოვდებით, ძვირფასო ბეტინა, იქნებ გათხოვდით კიდეც. მე კი ვერ მიგინახულეთ გათხოვებამდე. განგებამ მოგანიჭოთ ბედნიერება თქვენა და თქვენს მეუღლეს, რასაც ცოლ-ქმრობა ანიჭებს ადამიანებს[170]. საკუთარ თავზე რა გითხრა?

„ო, მჭმუნვარე ბედო!" — წამოვიძახებ ხოლმე იოანასთან ერთად[171].

რამდენიმე წლის სიცოცხლე თუ მიწერია კიდევ, მადლს შევწირავ უზენაესს, ყოვლად ძლიერს, ვით სხვა მოწყალებისა თუ ულმობელობისათვის. გოეთეს თუ რამეს მისწერთ ჩემზე, ისეთი სიტყვები შეარჩიეთ, რომელნიც გადასცემენ მას ჩემს გულწრფელს პატივისცემასა და აღტაცებას[172]. წერილი მინდა მივწერო ეგმონტის თაობაზე. ეს ლექსი იმდენ სიხარულს მანიჭებს და აღმაფრთოვანებს, მუსიკა დამაწერინა, მაგრამ განა ვინმეს ძალა შესწევს სრულყოფილად გამოხატოს თავისი პატივისცემა დიდი პოეტისადმი, ერის უძვირფასესი მარგალიტისადმი! მეტი რა მოგწეროთ, ძვირფასო ბეტინა! ამ დილით ოთხ საათზე დავბრუნდი ერთი ვაკხანალიიდან. იქ იმდენი ვიცინე, რამდენიც უნდა მექვითინა. თავაწყვეტილ მხიარულებას ზოგჯერ იქამდე მივყავართ, რომ საკუთარ თავში ვიკეტებით. კლემენსს დიდი მადლობა გადაეცით თავაზიანობისათვის. კანტანტა ესოდენ მნიშვნელოვანი არ გახლავთ აქ, როგორც ბერლინში[173].

ესოდენ კეთილად ვარ განწყობილი თქვენდამი, თქვენს ძმას შეიძლება ცოტა მოაკლდეს, მაგრამ მას იქნებ ესეც ჰყოფნის?

ნახვამდის, ძვირფასო ბეტინა. გულდამძიმებული გეამბორები შუბლზე და ამ ამბორით, ვით ბეჭდით, მინდა ჩემი ფიქრები თქვენდამი აღვბეჭდო ზედ.

ჩქარა, ჩქარა და უფრო ხშირად მისწერეთ წერილი თქვენს მეგობარ ბეთჰოვენს.

304. ი. ვ. გოეთეს

ვენა, 12 აპრილი 1811 წლისა

თქვენო აღმატებულებავ!

სასწრაფო შემთხვევის წყალობით, თქვენი რიჭის ასევე ღრმად პატივისმცემელი ერთი ჩემი მეგობრის[174] აქედან გამგზავრების გამო, რამდენიმე წუთილა მრჩება, რომ მადლობა გადაგიხადოთ იმ ხანგრძლივი წლებისათვის, რაც გიცნობთ (გიცნობთ კი ბავშვობიდან). ეს ძალზე მცირეა იმ დიდი სიკეთისათვის.

ბეტინა ბრენტანო მარწმუნებდა, რომ თქვენ კეთილად, მეგობრულადაც კი მიმიღებდით. ამგვარი მიღების ფიქრს გულშიაც კი ვერ გავივლებ. თქვენთან მოახლოებას დიდის მოკრძალებითა და თქვენი მშვენიერი ნაწარმოებებისადმი ენით გამოუთქმელი გრძნობით გამსჭვალული თუ გავბედავ.

უახლოეს ხანში ლაიპციგიდან ბრაიტკოფისა და ჰერტელის ხელით გაახლებთ მუსიკას „ეგმონტისათვის". ამ დიდებული ნაწარმოებისათვის ისეთივე მგზნებარე გატაცებით ავაჟღერე ბგერები, როგორც ვკითხულობდი თქვენზე ფიქრებით გამსჭვალული. ძალიან მაინტერესებს თქვენი აზრი ამ მუსიკაზე. გაკიცხვაც კი სასარგებლო იქნება ჩემთვის, ჩემი ხელოვნებისათვის და მას ქებათა ქებასავით მივიღებ.

თქვენი უდიდებულესობის ღრმად პატივმცემელი
ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი

[1] შადენი იოზეფ ულრიხ იოჰანი (1754-1814) ადვოკატი და ჩინოვნიკი აუგსბურგში. ბეთჰოვენის ნაცნობი.

[2] 1787 წლის გაზაფხულზე თექვსმეტი წლის ბეთჰოვენი ბონიდან ვენაში გაემგზავრა, რათა კომპოზიციაში ევარჯიშნა ვ. ა. მოცარტთან. 7 აპრილს ჩავიდა დედაქალაქს. მოცარტმა მოწაფედ აიყვანა, მაგრამ 20 აპრილს ბონიდან წერილი მოუვიდა, რომელშიც დედის მძიმე ავადმყოფობასატყობინებდნენ. სხვა რა გზა ჰქონდა, ვენა უნდა დაეტოვებინა. ბონისა-

კენ მომავალი გზაში აუგსბურგში შეჩერდა, სადაც გაიცნო შტაინები და შტრაიხერები, აგრეთვე ნ. და ი. შადენები, რომელთა ოჯახებშიც ეწყობოდა მუსიკალური საღამოები.

[3] ბეთჰოვენის დედა გარდაიცვალა 1787 წლის 17 ივლისს ორმოცი წლისა, მის ავადმყოფობას ხელი შეუწყო განვლილმა მძიმე ცხოვრებამ. ცამეტი წლისას მამა მოუკვდა. ჯერ ცხრამეტისა არ შესრულებულიყო, რომ დაქვრივდა (იოჰან ვან ბეთჰოვენი მისი მეორე ქმარი იყო). ცეცილია ფიშერის თქმით, „ქალბატონ ვან ბეთჰოვენს ვერასოდეს ვნახავდით მომღიმარეს, სახე მუდამ ჩაფიქრებული და სერიოზული ჰქონდა.

[4] ქოშინს ბეთჰოვენი მოგვიანებითაც უჩიოდა ,რაზეც მეტყველებს მისი წერილი ფ. ბრენტანოსადმი 1822 წ. 19 მაისს: „ოთხი თვეა ქოშინი მტანჯავს და მუშაობის საშუალებას არ მაძლევს".

[5] სამი კაროლინი მაშინდელი კურსით 27 გულდენს ანუ მიახლოებით 25 მანეთს უდრიდა.

[6] ბეთჰოვენს დედის სიკვდილამდეც ძალზე მძიმე ცხოვრება ჰქონდა, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო დიდ გასაჭირში ჩავარდა. ოთხი თვის შემდეგ, 1787 წლის 26 ნოემბერს გარდაიცვალა უმცროსი და, წლინახევრის მარია მარგარეტა. ალკოჰოლიზმით დაავადებული მამა გამუდმებით სვამდა. ლუდვიგს ხშირად უხდებოდა მისი დაცვა, როცა ღამით, ბონის ქუჩებში აურზაურის ატეხვისათვის დაპატიმრებას დაუპირებდნენ. მალე ბეთჰოვენი ფაქტიურადაც და იურიდიულადაც ოჯახის უფროსი გახდა.

[7] კიოლნის კურფიურსტის რეზიდენციად ითვლებოდა ქალაქი ბონი. კურფიურსტის ბონის კაპელაში ბეთჰოვენი უკრავდა 1782 წლის ზაფხულში. 1784 წლის 27 ივნისს იგი ჩარიცხეს ორღანისტად.

[8] ელეონორა ბრაინინგი (1771-1841) ემანუილ ბრაინინგის უფროსი ქალიშვილი, მოწაფე და ყმაწვილკაცობის მეგობარი ბეთჰოვენისა. 1902 წელს ცოლად გაჰყვა ფ. ვეგელერს.

[9] ბრაინინგების სახლში ბეთჰოვენი ფ. ვეგელერმა მიიყვანა ჯერ კიდევ 1784 წელს, მაგრამ ამ ოჯახს განსაკუთრებით დაუახლოვდა დედის სიკვდილის შემდეგ. ახალგაზრდა კომპოზიტორი ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლიდა ელეონორა და ლენც ბრაინინგებს. მათმა დედამ, ელენე ბრაინინგმა ოჯახურ სითბოს მოკლებული ახალგაზრდა კომპოზიტორი მზრუნველობით გაათბო. შემონახულია მშვენიერი ღია ბარათები, რომლებიც ბეთჰოვენს ელეონორა ბრაინინგისათვის მიუძღვნია. ერთ-ერთ მათგანს ფრანგულად ასე აწერია: „გისურვებთ ისოდენ ბედნიერებას, რაოდენ საყვარელიცა ხართ".

[10] განშორების მიზეზები ცნობილი არ არის, თუმცა მას ნაწილობრივ ხსნიან 1793 წლის 2 ნოემბრის ბეთჰოვენის წერილები. ბეთჰოვენი ვენიდან გამგზავრების წინ, 1792 წლის 1 ნოემბერს ე. ბრაინინგმა ბეთჰოვენის პირად ალბომში ჩასწერა გამოსათხოვარი სიტყვები, რაც იმაზე მეტყველებენ, რომ განხეთქილება დიდხანს არ გაგრძელებულა. მრავალი წლის შემდეგ, როდესაც ბეთჰოვენი კობლენცში მიიწვია, ელეონორა თავის ქალიშვილზე წერდა: „ჩვენს ლენჰენს მრავალი სასიამოვნო წუთი მიაყენ. იგი დიდის სიამოვნებით უსმენს, როდესაც თქვენზე უყვებიან. მან იცის ყოველი წვრილმანი ბონში ჩვენს მიერ განცდილი წუთებისა. იცის ჩვენი ჩხუბისა და შერიგების ამბები. როგორ გააბედნიერებდით თქვენი ნახვით".

[11] რონდო ფორტეპიანოსა და ვიოლინოსათვის, ეძღვნება ე. ბრაინინგს.

[12] მსუბუქი სონატა (დო მაჟორი), ეძღვნება ე. ბრაინინგს.

[13] კერპენში (კიოლნსა და აახენს შორის), ე. ბრაინინგის ბიძას, ი. ბრაინინგს მამული ჰქონდა, სადაც ზაფხულობით მთელი ოჯახი ხუთ-ექვს კვირას ატარებდა. აქ ჩადიოდა ხოლმე ბეთჰოვენიც.

[14] მაქსიმილიან ფრანცი (1756-1801) ერცჰერცოგი, იმპერატორების იოზეფ II-ისა და ლეოპოლდ II-ის უმცროსი ძმა, 1784 წლის აპრილიდან კიოლნის კურფიურსტი და არქიეპისკოპოსი. ბონის კაპელის მფლობელი, სადაც მსახურობდა ახალგაზრდა ბეთჰოვენი.

[15] ბეთჰოვენის მამა სამსახურიდან დაითხოვეს 1789 წლის 20 ნოემბერს. 200 რაინული ტალერიდან, მისი ხელფასიდან ნახევარი შეუნარჩუნეს, როგორც პენსია. ასი ტალერი კი ლუდვიგის ჯამაგირს დაემატა. ამგვარად, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის ხელფასი წლიურად, რაც წინათ 100 ტალერს შეადგენდა, ორჯერ უნდა გაზრდილიყო. ერთი რაინტალერის ღირებულება ორ გულდენს უდრიდა.

[16] იოჰან ვან ბეთჰოვენი გარდაიცვალა 1792 წლის 18 დეკემბერს. ბიოგრაფიულ ლიტერატურაში ვრცლად არის შემონახული მისი მკაცრი დამოკიდებულების ამბავი შვილისად-

ში, მაგრამ მოგონებებიდან ჩანს, რომ ლუდვიგი მაინც პატივს სცემდა მის ხსოვნას. ასე მაგალითად, 1893 წელს ი. ბრამსმა ბეთჰოვენის სახლში ბონში მიიტანა იოჰანის ხელით გადაღებული ფ. ე. ბახის კანტანტის „მორგენზანგ"-ის პარტიტურის ბოლოს, ხელნაწერის ზემო კიდეზე ბეთჰოვენის წარწერაა: „ჩემი ძვირფასი მამის მიერაა გადაწერილი".

კურფიურსტის ბრძანების გაუქმების ამბავი ბეთჰოვენს, ეტყობა, კურფიურსტმა შეატყობინა.

[17] 1793 წ. მაისიდან ბეთჰოვენი კურფიურსტის ხაზინიდან კვარტალში ორმოცდაათორმოცდაათ რაინტალერს ღებულობდა, მაგრამ ეს გაგრძელდა ერთ წელიწადს.

1794 წ. იანვრიდან მ. ფრანცი ვენაში იმყოფებოდა და განკარგულება გასცა, ბეთჰოვენი უხელფასოდ დაეტოვებინათ, სანამ უკან არ გამოიწვევდნენ.

[18] ნიკოლაუს ცმესკალი (1759-1833) ვიოლონჩელისტი და კომპოზიტორი. თოთხმეტი (გამოუცემელი) ხემიანი კვარტეტის ავტორი. ბეთჰოვენის ერთ-ერთი ყველაზე უახლოესი მეგობარი და მისი შემოქმედების მხურვალე პატივისმცემელი. 1797 წ. ვენის კარის კანცელარიის მდივანი.

[19] ნოტებს რომ აანორებდა, ბეთჰოვენი ზოგჯერ მათ სახელწოდებებსაც აზუსტებდა ლათინური ასოებით.

[20] თორმეტი ვარიაცია ფორტეპიანოსათვის და ვიოლინოსათვის ვ. ა. მოცარტის თემაზე. ეს პირველი ნაწარმოებია ბეთჰოვენისა, რომელიც ვენაში გამოიცა. აღსანიშნავია, რომ ეს ნაწარმოები ელეონორა ბრაინინგს მიუძღვნა, მაგრამ მისი ბონში გაგზავნა დაუკავშირა მშობლიურ ქალაქიდან გამომგზავრების ერთი წლისთავს.

[21] კომპოზიტორის ოცნება ბონში გამგზავრებისა არ აღსრულებულა, იგი აღარ შეხვედრია ელეონორას.

[22] კარლ ავგუსტ მალხუსი (1760-1830) ბარონი, ბეთჰოვენის ბონელი ნაცნობი, შემდგომ ფინანსთა მინისტრი ვესტფალიის სამეფოში.

[23] ფ. ვეგელერის აზრით, ბეთჰოვენი აქ გელინეკს გულისხმობდა.

[24] იმდროინდელი ვენელი მუსიკოსები ძალიან მტრულად იყვნენ განწყობილნი ჩამოსული ვირტუოზებისადმი, რომელთაც ვენა მუდმივ საცხოვრებლად აირჩიეს. 1800 წელს მუსიკალური ვენის ეს თავისებურება სპეციალურად აღნიშნა ლაიფციგის გაზეთის ვენელმა კორესპონდენტმა: „ჩამოსულ არტისტს თავში თუ მოუვიდა აქ (ვენაში) დარჩენა, მთელი corpus musicum მისი მტერია".

[25] 1793 წლის 23 ნოემბერს ი. ჰაიდნმა ასეთი წერილი მისწერა მ. ფრანცს: „თქვენო კურფიურსტულო უბრწყინვალესობავ! ვბედავ და მოკრძალებით ვუგზავნი თქვენს კურფიურსტულ უბრწყინვალესობას რამდენიმე მუსიკალურ ნაწარმოებს, შექმნილს ჩემი საყვარელი და სანდო მოწაფის ბეთჰოვენის მიერ. სახელდობრ: კვინტეტს, რვახმიან პარტიას, კონცერტს ჰობოისათვის, ვარიაციებს ფორტეპიანოსათვის და ფუგას. ვიმედოვნებ, ამ პიესებს მოწყალებით მიიღებს თქვენი კურფიურსტული უბრწყინვალესობა, ვითარცა ჭეშმარიტ საბუთს მის მიერ გამოვლენილი გულმოდგინეობისა არა მარტო სწავლაში. საქმის მცოდნეთა და მის მოყვარულთ პირუთვნელად უნდა აღიარონ, რომ გავა დრო და ბეთჰოვენი ევროპის ერთ-ერთი უდიდესი კომპოზიტორი გახდება. მე კი ვიამაყებ, რომ მისი მასწავლებელი ვარ. ვისურვებდი, საკმაოდ დიდხანს დარჩენილიყოს ჩემთან.

ვინაიდან ბეთჰოვენზეა ლაპარაკი, ნება მიბოძეთ, თქვენო კურფიურსტულო უბრწყინვალესობავ, ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ მის მატერიალურ მდგომარეობაზე. გასულ წელს მას გადაეგზავნა 100 ტალერი. თქვენ თვითონ კარგად მოგეხსენებათ, თქვენო კურფიურსტულო უბრწყინვალესობავ, ამ თანხით არსებობაც კი შეუძლებელია, მით უმეტეს, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ თქვენ საჭიროდ მიგაჩნიათ მისი გამოსვლა საზოგადოებაში. ამ ვითარებაში მევახშეების ხელთ რომ არ ჩავარდნილიყო, მრავალგზის დავუდექი თავდებად, ბევრიც ვასესხე. 500 გულდენი მართებს ჩემი, აქედან ერთი კრეიცერიც კი არ დაუხარჯავს ფუჭად. გთხოვთ, ეს თანხა აუნაზღაუროთ, რახან ფულის სესხება მუდამ პროცენტების ზრდასთან არის დაკავშირებული, რაც მეტად მძიმე ტვირთად დააწვება ისეთ არტისტს, როგორიც ბეთჰოვენია. ჩემის ფიქრით, თქვენი კურფიურსტული უბრწყინვალესობა ახლაც მოწყალებას გამოიჩენს მისადმი და მომავალი წლისათვის 1000 გულდენს დაუნიშნავს, რითაც დაიხსნის გასაჭირიდან. მასწავლებლების გასამრჯელო, ურომლისობაც შეუძლებელია, და სხვადასხვა ოჯახებში სტუმრობის ხარჯები ისე დიდ თანხას შეადგენს, რომ 1000 გულდენიდან მას რჩება მთლად აუცილებელი.

შემიძლია დაგარწმუნოთ, თქვენო კურფიურსტულო უბრწყინვალესობავ, ფანტიაობის შიში არ უნდა გქონდეთ, რაც სხვა ყმაწვილკაცებს ახასიათებთ საზოგადოებაში გამოსვლისას, რადგან ასჯერ მქონია შემთხვევა, დავკვირვებოდი: მზადაა, ხელოვნებას შესწირის ყველაფერი. ვერარა აცდუნებს ესოდენ მრავალ ცდუნებათა შორის, რაც მაოცებს და თავდებია იმისა, რომ თქვენი კურფიურსტული უბრწყინვალესობის მიერ ბეთჰოვენზე მოღვრული მოწყალება ერთიორად ანაზღაურდება. ვიმედოვნებ რა, რომ ჩემს თხოვნას თქვენი კურფიურსტული უბრწყინვალესობა უყურადღებოდ არ დასტოვებს, რაც ხელს შეუწყობს ჩემი საყვარელი მოწაფისადმი მოწყალებას, ვრჩები თქვენი კურფიურსტული უბრწყინვალესობია უერთგულეს მონად, იოზეფ ჰაიდნი.

თავად ნიკოლაუს ესტერჰაზის კაპელმაისტერი.

26 გადაკრული პასუხი ბეთჰოვენის წერილზე მ. ფრანცის 1793 წლის 23 დეკემბრით დათარიღებულ ჰაიდნისადმი მიძღვნილ წერილშია მოცემული. მ. ფრანცი ფიქრობდა, რომ ბეთჰოვენის მთელი რიგი ნაწარმოებები, რომლებიც ჰაიდნმა გაუგზავნა, შექმნილი იყო ახალგაზრდა კომპოზიტორის მიერ ჯერ კიდევ მისი ბონიდან გამგზავრებამდე, ამიტომ დასძენდა: „მეტისმეტად ვეჭვობ, ახლანდელ სამყოფელში ბეთჰოვენმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიოს კომპოზიციასა და გემოვნების განვითარებაში. ამასთან ვშიშობ, როგორც პირველი გამგზავრების შემდეგ ვენაში, ვალების მეტს არაფერს ჩამოიტანს“.

ძნელი სათქმელია, ამ პასუხით კურფიურსტს ვისი წყენინება სურდა უფრო მეტად: მოწაფისა თუ მასწავლებლისა.

27 ნიკოლაუს ზიმროკი ვენის კაპელაში ვალტორნაზე უკრავდა, ჭაბუკ ბეთჰოვენთან ერთად მუშაობდა. 1790 წ. მუსიკალური გამომცემლობა დააარსა ბონში, რომელმაც პირველად დაბეჭდა ბეთჰოვენის მთელი რიგი ნაწარმოებები.

28 1794 წელს ვენაში იმყოფებოდა ბეთჰოვენის ერთ-ერთი ძმა — კარლი.

29 რვა ვარიაცია ფორტეპიანოსათვის ოთხი ხელით ვალდშტაინის თემაზე.

30 დომენიკო არტარია (1775-1842) — ვენელი ნოტების გამომცემელი.

31 ეტყობა, პირველად ზიმროკმა განიზრახა ვარიაციები გამოეცა ვალდშტაინის მიერ ბონიდან გამოგზავნილი ხელნაწერების მიხედვით, რაც ნაწარმოების პირველ რედაქციას წარმოადგენდა.

32 აქ ბეთჰოვენი გულისხმობს სამ ტრიოს ფორტეპიანოსათვის, ვიოლინოსა და ვიოლონჩელისათვის.

33 ცამეტი ვარიაცია ფორტეპიანოსათვის კ. დიტერსდორფის თემაზე.

34 თორმეტი ვარიაცია ფორტეპიანოსა და ვიოლინოსათვის ვ. ა. მოცარტის თემაზე.

35 ამ წერილის ისტორიულ ფონს კარგად ხსნიან ვენის ასახლისა და სახელმწიფო არქივის საბუთების უახლესი პუბლიკაციები. 1794 წლის ივლისის დასაწყისში ვენის უნივერსიტეტის შესასვლელ კარებთან გამოიკრა მიმართვა სტუდენტებისადმი, რომელიც მოუწოდებდა რევოლუციური დროშის ქვეშ მდგომებს დაეცვათ იგი იარაღით ხელში. 21 ივლისს ვენის ერთ-ერთ გარეუბანში საიდუმლო კრება ჩატარდა. ფ. ებენშტრაიტმა აუხსნა სტუდენტ აგიტატორებს, თუ ვენს ამოცანას ვენის მშრომელი ხალხის აჯანყება შეადგენდა. ვენის გარეუბნებში 1500 საიმედო კაცი უნდა შეეგროვებინათ, რომელნიც დანიშნულ ღამეს ორმოცი სამხედრო პირის მეთაურობით ქალაქში შეიჭრებოდნენ, ხელთ იგდებდნენ არსენალსა და იარაღს, იმპერატორს მოკლავდნენ, მეფის ოჯახსა და სამას არისტოკრატს ციხეში ჩასვამდნენ. შექმნიდნენ დროებით მთავრობას და მოიწვევდნენ სახალხო წარმომადგენელთა კრებას. ებენშტრაიტმა და მისმა ამხანაგებმა ახალი მთავრობის პირველი პროკლამაციაც კი მოამზადეს, რომელიც გლეხებს მიწათმფლობელთაგან ანთავისუფლებდა. მაგრამ პროვოკატორმა დეგენმა ეს იმავე დღესვე აცნობა პოლიციის სამინისტროს. გრაფმა მ. ზაურიემ მაშინვე შეატყობინა იმპერატორს და 23 ივლისს ებენშტრაიტი, მარტინოვიჩი და კიდევ შვიდი წევრი „ვენის თანასწორობისა და თავისუფლების საზოგადოებისა“ დააპატიმრეს. დაიწყო ხალხის დაპატიმრებები, 1795 წლის დასაწყისში ამას სასტიკი რეპრესიები და დახვრეტები მოჰყვა.

36 ნ. ზიმროკი მრავალშვილიანი მამა იყო. 1794 წლამდე მას სამი ვაჟიშვილი და შვიდი ქალიშვილი შეეძინა, 1795-დან 1802 წლამდე კიდევ ერთი ქალიშვილი და ორი ვაჟი გაუჩნდა. მაგრამ სამი ქალიშვილი ადრეულ ასაკში დაეხოცა. იმ დროს, როცა ბეთჰოვენმა ეს წერილი მისწერა, ცოცხალი ჰყავდა ოთხი: უფროსი ცამეტი წლისა, უმცროსი — შვიდის.

ბეთჰოვენის ხუმრობა ალბათ ეწყინებოდა ზიმროკს, რადგან წერილის მიღებამდე ორი დღით ადრე, 1794 წლის 30 ივლისს გარდაეცვალა ექვსი თვის გოგონა იოჰანა კატარინა. რაღა თქმა უნდა, ეს ბეთჰოვენმა არ იცოდა.

[37] იგულისხმება ოქტეტი ბონის სასულე ინსტრუმენტებისთვის, რომელშიც ნ. ზიმროკი მეორე ვალტორნის პარტიას ასრულებდა.

[38] ვარიაციები ფორტეპიანოსათვის დიტერსდორფის თემაზე.

[39] ფრანც კლემენტი (1780-1842) ავსტრიელი მევიოლინე. 1802 წლიდან თეატრის, „ან დერ ვინ"-ის დირიჟორი და კონცერტმეისტერი. ბეთჰოვენის სავიოლინო კონცერტის პირველი შემსრულებელი.

[40] ფ. კლემენტი, როგორც მევიოლინე ვირტუოზი პირველად გამოჩნდა ვენაში 1789 წ. ცხრა წლისა. 1789-1802 წლებში ხშირად მოგზაურობდა და მონაწილეობდა კონცერტებში. ეტყობა, ეს წერილი ბეთჰოვენმა მორიგ ტურნეში გამგზავრებია წინ მისწერა. შემდგომში ბეთჰოვენმა კლემენტისათვის დაწერა კონცერტი ვიოლინოსათვის ორკესტრთან ერთად. კლემენტის აკადემიაში 1805 წლის 7 თებერვალს პირველად შესრულდა ბეთჰოვენის გმირული სიმფონია.

[41] კიოლნის კურფიურსტის კარზე ბეთჰოვენი ფაქტიურად მსახურობდა 1794 წლის მარტამდე, რადგან ამის შემდეგ ჯამაგირი შეუწყდა 1794 წლის 3 ოქტომბერს, სანამ საფრანგეთის ჯარები ბონს აიღებდნენ, კურფიურსტმა მ. ფრანცმა დატოვა თავისი რეზიდენცია და გაქცევით უშველა თავს ჯერ მიუნსტერში, შემდგომ მერგენტაიმში. ამ დროიდან კიოლნის საკურფიურსტომ შეწყვიტა არსებობა.

[42] ფრანც ვეგელერი (1765-1848) მედიცინის პროფესორი, ბეთჰოვენის ყმაწვილკაცობის ერთ-ერთი ყველაზე უახლოესი მეგობარი, ბეთჰოვენზე „ბიოგრაფიული შენიშვნების" ავტორი.

[43] ფ. ვეგელერის ცნობით ბეთჰოვენი მას თორმეტი წლისა გაუცვნია.

[44] ვეგელერის წერილი, რომელსაც ბეთჰოვენი ასეთ საგონებელში ჩაუგდია. შემონახულია, მაგრამ მათ შორის მომხდარ ინციდენტზე მსჯელობა შეიძლება მხოლოდ ერთი წლის შემდეგ (1796 წ. 23 ნოემბერს) ბრაინინგის მიერ მერგენტაიმიდან გამოგზავნილი წერილის მიხედვით. „უნდა შეგატყობინოთ, — სწერდა ბრაინინგი ვეგელერს, — ბეთჰოვენი ვენაზე ვენაში, ახლა უფრო სერიოზული ჩანს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, უკეთ სცნობს ადამიანებს. ისწავლა ნამდვილი მეგობრების შეცნობა და დაფასება. სულ გიგონებთ, ძვირფასო ვეგელერ, და ძალიან ნანობს, რომ ყურად არ იღო ბევრი თქვენი კეთილი რჩევა".

ამ წერილის შედარება თვით ვეგელერის მოგონებებთან გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ ბეთჰოვენისადმი მიწერილ წერილში ვეგელერი საყვედურობს მას მკაცრი რეჟიმის უქონლობის, უყაირათობისა და მაღალ საზოგადოებაში არადელიკატურად მოქცევის გამო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისი დაწერიდან ორმოცზე მეტი წლის შემდეგ, როცა წერილის ნაწყვეტი გამოქვეყნდა, ვეგელერი დასძენდა, ბეთჰოვენის ბოდიში „ცოტათი აზვიადებდა მის მიერ დაშვებულ შეცდომებს".

[45] ანტონიო სალიერი (1750-1825) იტალიელი საოპერო კომპოზიტორი, დირიჟორი და პედაგოგი. 1788 წლიდან ვენის თეატრის კარის კაპელმაისტერი. ბეთჰოვენის ერთ-ერთი მასწავლებელი.

[46] წერილზე მისამართი ბეთჰოვენის ხელით არის დაწერილი: „ჩემს ძმას ნიკოლაუს ბეთჰოვენს. კერტნერტორთან აფთიაქში ჩააბარეთ. ბატონი ცმესკალი იმდენ თავაზიანობას გამოიჩენს, ამ წერილს პარიკმახერს გადასცემს, იგი კი დანიშნულებისამებრ მიიტანს".

[47] ჩეხი კომპოზიტორი ვაცლავ ტომაშეკი იგონებს, რომ ვენაში ბეთჰოვენის სამ კონცერტს დაესწრო. ბეთჰოვენმა დაუკრა კონცერტი ფორტეპიანოსათვის ორკესტრთან ერთად, მდოვრე ნაწილი და რონდო სონატიდან ლა მაჟორი, შეასრულა იმპროვიზაცია მოცარტის ოპერის „ტიტუსის გულმოწყალების" თემაზე... იმდროინდელი პრესა ერთსულოვნად როდი გამოეხმაურა ბეთჰოვენის გამოსვლებს. „იარბუს დერ ტონკუნსტ ფონ ვინ უნდ პრაღ"-ში დაბეჭდილ ერთ-ერთ რეცენზიაში ბეთჰოვენს მუსიკის გენიოსს უწოდებდნენ. აღიარებდნენ მის მდიდარ შემოქმედებით გამომგონებლობას, ხოლო ჟურნალ „პატრიოტიშეს ჟურნალ ფიურ დი კ. კ. შტეტენ" რეცენზენტის აზრით, ბეთჰოვენის დაკვრას აკლდა ჟღერადობა. „მან მოხიბლა ჩვენი სმენა და არა გულები, — წერდა რეცენზენტი, — ამიტომ იგი ვერასოდეს გაუტოლდება მოცარტს".

[48] სიტყვა „ამჯერად" გვაფიქრებინებს, რომ 1796 წელს ბეთჰოვენი პრაღაში პირველად

არ ყოფილა. ცნობილია, რომ 1796 წ. ნოემბერში თუ დეკემბერში იგი იმყოფებოდა ნიურნბერგში, ხოლო 15 დეკემბერს საფოსტო ცხენები შეუკვეთა რეგენსბურგში გასამგზავრებლად. ნიურნბერგში გამგზავრებას, ეტყობა, წინ უსწრებდა პირველი საკონცერტო მოგზაურობა პრაღაში.

[49] დრეზდენში ბეთჰოვენი ჩავიდა 1796 წ. 23 აპრილს და აქ იმყოფებოდა მაისის დასაწყისამდე. 21, 28 ივნისს კონცერტები გამართა ბერლინში, სადაც შექმნა და შეასრულა (ჟ. დიუპორთან ერთად) ორი სონატა ფორტეპიანოსა და ვიოლონჩელისათვის. ვენაში დაბრუნდა შუა ივლისში.

[50] იოჰან ნიკოლაუს ბეთჰოვენი ბონიდან ვენაში გადავიდა 1795 წელს, როცა უკვე ხელთ ჰქონდა ბონში საფრანგეთის ხელისუფალთა მიერ გაცემული ფარმაცევტის მოწმობა.

[51] კ. ლიხნოვსკი (1756-1814) თავადი, პოლონეთის არისტოკრატიული წრის წარმომადგენელი, მოცარტის მოწაფე და მეგობარი, მხურვალე პატივისმცემელი და მეცენატი ბეთჰოვენისა. 1789 წ. მოცარტთან ერთად ჩავიდა პრაღაში ,1796 წ. ბეთჰოვენთან ერთად. ბეთჰოვენის ვალი ლიხნოვსკის შესაძლოა იმიტომ ემართა, რომ მისგან შეიძინა 1795 წელს გამოცემული სამი ტრიოს ოცი ხელმოწერილი ეგზემპლარი, ბეთჰოვენისა და ლიხნოვსკის დამოკიდებულებაზე წარმოდგენას იძლევა ლორენცო ბრაინინგის მიერ თავისი დის, ელეონორასადმი მიწერილი წერილი 1795 წლისა: „ბეთჰოვენმა მრავალგზის დამავალა მოკითხვა გადმომეცა შენთვის. იგი შესანიშნავ მუსიკასა წერს და აქ (ვენაში) დიდ პატივს სცემენ. ერთ თავადთან (ლიხნოვსკისთან) ცხოვრობს. იგი მეგობრულად ექცევა. თავადთან ერთად სადილობს, მის განკარგულებაშია მსახურები, სამგზავრო ცხენი და ასე შემდეგ".

[52] ეს მინაწერი ავტოგრაფში ჯერ წაშლილია და შემდეგ ისევ აღდგენილი, რაც დასაეჭვებელს ხდის ბეთჰოვენის დამოკიდებულებას თავის ძმასთან—კასპართან (კარლთან).

[53] „ოქროს ვერძი" მაშინდელი პრაღის ერთ-ერთი დიდი სასტუმროს სახელწოდებაა. ეს შენობა დღემდეა შემონახული. ბეთჰოვენის იქ ყოფნის აღსანიშნავად, ზედ მემორიალური დაფაა მიკრული.

[54] იოჰან ანდრეას შტრაიხერი (1761-1833) გერმანელი პიანისტი, მუსიკის მასწავლებელი და ფორტეპიანოს ოსტატი. ფრიდრიჰ შილერის სიჭაბუკის მეგობარი და ბეთჰოვენის ახლო ნაცნობი.

[55] ი. ა. შტრაიხერის მოწაფემ, ცამეტი წლის ე. ი. კიზოვმა (გათხოვების შემდეგ ფონ ბერნჰარდი) მუსიკალური ნიჭი ადრეულ ასაკში გამოამჟღავნა. 1795 წ. მამამ იგი ვენაში გადაიყვანა მუსიკალური განათლების მისაღებად. 1796-1800 წ. იგი ცხოვრობდა ფ. ა. კლიუპფელის ოჯახში, სადაც შინაურ მუსიკალურ შეკრებებზე ხვდებოდა ჰაიდნსა და ბეთჰოვენს. მას როგორც პიანისტს გამოსვლა უხდებოდა მუსიკალურ შეკრებებზე კ. ლიხნოვსკისა და ა. რაზუმოვსკის სასახლეებში. 1800 წ. ფონ კიზოვი გაემგზავრა ვენიდან.

[56] ბეთჰოვენმა, ეტყობა, მოისმინა ამ პიანისტის შესრულებით არა მარტო საფორტეპიანო სონატები opus 2, არამედ საფორტეპიანო პარტია პირველი ტრიოდან (მი-ბემოლ-მაჟორ) opus 1.

[57] კ. ზაქსის მოწმობით შტრაიხერის „ვენური ფორტეპიანო" გამოირჩეოდა ტონის ძლიერადობით. როცა შტრაიხერს მიმართავდა, როგორც თავის თანამოაზრეს საფორტეპიანო-საშემსრულებლო საკითხებში, ბეთჰოვენს მხედველობაში ჰქონდა არა მარტო პედაგოგიური მეთოდი, რაც მისი მოწაფის დაკვრაში გამოჩნდა, არამედ მისი ინდუსტრიული მისწრაფებანიც.

[58] ე. ი. ბერნჰარდის მოგონებების მიხედვით, მისი ვენაში ყოფნის დროს ბეთჰოვენი უგზავნიდა ახალდაბეჭდილი ნაწარმოებების თითქმის ყველა ეგზემპლარს, რასაც თან ურთავდა მოკლე სახუმარო წერილებს, მაგრამ, როგორც თვითონ აღიარებს, არც ერთი წერილი არ შემოუნახავს.

[59] შტრაიხერმა 1794 წლის იანვარში ცოლად შეირთო ნანეტა შტაინი. დაქორწინების შემდეგ ისინი აუგსბურგიდან ვენაში გადასახლდნენ, სადაც საფორტეპიანო ფაბრიკა და მუსიკალური სალონი დააარსეს, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ვენის მუსიკალურ ცხოვრებაში.

[60] მისამართი წერილზე თვით ბეთჰოვენის ხელითაა დაწერილი. „ბატონ შტრაიხერს, ვენაში მეტად ცნობილ მუსიკოსს", ჩააბარეთ „წითელ ვარდში" ლანდშტრასეზე.

[61] ტაქტიკური ფორმა ბეთჰოვენის მიერ უარის თქმისა შტრაიხერის ინსტრუმენტზე („ინსტრუმენტი მეტისმეტად კარგია") განაპირობა იმან, რომ ბგერის ძლიერადობის გამო

შტრაიხერის „ვენის ფორტეპიანოებს" მეტისმეტად ადვილად მიმყოლი კლავიატურა და არა საკმაო ბგერათსიხანგრძლივე ჰქონდათ. ეტყობა, ეს უშლიდა ბეთჰოვენს „გამოემჟღავნებინა საკუთარი ტონი". კ. ზაქსი აღნიშნავს, რომ შტრაიხერის იმდროინდელი ინსტრუმენტები „რაც შეიძლება მეტად შეესაბამებოდნენ ჰუმელის (ავსტრიული კომპოზიტორია) პიანიზმის სტილს, მაგრამ ბეთჰოვენის სონატების ძალისა და მგზნებარების გადმოცემა მათზე შეუძლებელი იყო.

62 ეტყობა, შტრაიხერმა ისურვა, ვენიდან პრესბურგში საგანგებოდ ბეთჰოვენის კონცერტისათვის გამოგზავნილი ინსტრუმენტი გაეყიდათ. შედეგი თუ არა კონცერტი, ცნობები ამის თაობაზე არ შემონახულა.

63 ახალდაქორწინებულებში იგულისხმება მ. შტაინი და იმისი ცოლი. მათ იქორწინეს 1796 წლის 12 ნოემბერს.

64 კ. გერარდი (1798 წელს ცოლად გაჰყვა იოზეფ ფრანკს) მომღერალი-მოყვარული მეცო-სოპრანო. უმეტესად გამოდიოდა საქველმოქმედო კონცერტებზე.

65 ეს აზრი ბეთჰოვენმა ჩაწერა თავის სანოტო სამუშაო რვეულში: „დაე თითოეულმა აკეთოს რაც ხელეწიფების. ყოველი ღონით ისწრაფოს მიუღწეველი მიზნისაკენ. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ილტვოდეს შემოქმედის მიერ მინიჭებული ნიჭის გაფურჩქვნისაკენ. მარადჟამს ისწავლოს, ისწავლოს, რამეთუ „სიცოცხლე ხანმოკლეა, ხელოვნება კი მარადიული".

შემდგომში ბეთჰოვენი არაერთგზის დაბრუნებია ამ გამონათქვამს და მასზე სამი კანონი შეუქმნია.

66 ეჭვი არ არის, სახოტბო ლექსების ავტორი იყო თვით გერარდი. ლექსები არ არის შემონახული. თანამედროვეთა ცნობით, ახალგაზრდა გერარდი ნამდვილი ინტელიგენტი ყოფილა. თავისუფლად ფლობდა ფრანგულ და იტალიურ ენებს. მისი მშვენიერი ხმა აცვიფრებდა და აჯადოებდა მსმენელთ. მისი თაყვანისმცემლები ყოფილან ჰაიდნი და მარკეზი.

1798 წ. მარკეზის შუამდგომლობით გერარდის მიუღია ვენის ოპერის თეატრის მიწვევა, მაგრამ იმავე დროს მისთვის ი. ფრანკს ხელი უთხოვია და კ. გერარდის უარი განუცხადებია კონტრაქტის დადებაზე. იგი პირველი შემსრულებელი ყოფილა ევას პარტიისა ჰაიდნის ორატორიაში „სამყაროს შექმნა". ამ პარტიას რომ ქმნიდა, ჰაიდნი სპეციალურად ითვალისწინებდა გერარდის ვოკალურ-საშემსრულებლო მონაცემებს.

67 მუსიკის გრაფო. ცმესკალს „გრაფს" ხუმრობით უწოდებდა ბეთჰოვენი. სინამდვილეში მას არ ჰქონდა გრაფის ტიტული, ბარონი იყო.

68 მეგობარი.

69 შესაძლოა, აქ იგულისხმება ა. ვალტერი, რომლის ინსტრუმენტებითაც ვენაში ყოფნისას პირველ ხანებში სარგებლობდა ბეთჰოვენი (1803 წლამდე).

70 იგნაც იანი (1744-1810) მფლობელი რესტორნისა, რომელსაც საკონცერტო დარბაზიც ჰქონდა. ამ დარბაზში გამოდიოდა ბეთჰოვენი.

71 ა. კალიშერი ამ ფრაზაში კრისტინას მომავალი ქმრის იოზეფ ფრანკისადმი ეჭვიანობას ხედავს. მაგრამ საკმაო საბუთები არ არსებობს იმისა, რომ მართლა იოზეფ ფრანკი იგულისხმება. ფ. და ბ. დაუდგენელი პირებია.

72 ავტორი პორტრეტისა, რომელმაც მოახერხა ბეთჰოვენი ზურგიდან დაეხატა, უცნობია. მაგრამ ბეთჰოვენის ბიოგრაფიაში ეს პირველი შემთხვევა არ არის. ასე მაგალითად, მხატვარმა მ. ტეიჩკემ (1822) სეირნობისას ისე დახატა ბეთჰოვენი, რომ კომპოზიტორმა არ იცოდა.

73 ალბათ მ. ლიხნოვსკაია იგულისხმება. ის ორი წერილი, რასაც ბეთჰოვენი აქ იხსენებს, უცნობია.

74 არ არის დადგენილი, რა დანიშნულება ჰქონდა იმ ბილეთს, რაც ინციდენტის მიზეზი გამხდარა.

75 კარლ ფერდინანდ ამენდა (1771-1836) მევიოლინე, იენის უნივერსიტეტის აღზრდილი, განათლებით თეოლოგი. ბეთჰოვენის უახლოესი მეგობარი.

76 ა. კალიშერის აზრით, ბეთჰოვენის ნაღვლიანი განწყობილება განაპირობა მ. ვილმანის უარმა მასთან ქორწინებაზე. ეს ვერსია მტკიცედ დამკვიდრდა ბეთჰოვენის შესახებ არსებულ ბიოგრაფიულ ლიტერატურაში. თუმცა არც მთლად სარწმუნო შეიძლება იყოს. თვით ბეთჰოვენის წერილებიდან ვგებულობთ, რომ ცოლის შერთვის იდეა მას პირველად 1801 წელს გაუჩნდა.

77 ბეთჰოვენი პოლონეთში არ წასულა.

78 ეს ფრაზა გვაფიქრებინებს, რომ წერილი ამენდას გამგზავრების შემდეგ არის დაწერილი.

79 ბეთჰოვენის ფაქსიმილე.

80 ფრიდრიხ ფონ მატისონი (1761-1831) — გერმანელი პოეტი, ვისი მრავალი ლექსიც საფუძვლად დაედო ბეთჰოვენის მუსიკას.

81 ამ წერილთან ერთად ბეთჰოვენმა ფ. მატისონს გაუგზავნა [illegible] სიტყვებზე დაწერილი სიმღერა. იგი არტარიას გამომცემლობაში გამოვიდა 1797 წლის თებერვალში. opus-ის ნომერი საკმაო ხნის შემდეგ დაუსვეს, 1813 წ. სიმღერა ეძღვნება მატისონს.

82 მე-18 საუკუნის უკანასკნელ წლებში მატისონი ბევრს მოგზაურობდა და ხშირად იცვლიდა მისამართს.

83 ცნობილი არ არის, რა უპასუხა მატისონმა ამ წერილზე, მაგრამ როცა თავის ლექსთა კრებულში „ადელაიდა" შეიტანა, ასეთი შენიშვნა დაურთო: „მრავალმა კომპოზიტორმა დაუდო საფუძვლად მუსიკას ეს პატარა ლირიკული ფანტაზია. ჩემის გულწრფელი რწმენით, ტექსტს ისეთი სიღრმით ვერავინ მიუსადაგა მელოდია, როგორც გენიალურმა ვენელმა ლუდვიგ ვან ბეთჰოვენმა".

84 ფრანც ანტონ ჰოფმაისტერი (1754-1812) — კომპოზიტორი და მუსიკალური გამომცემელი, უამრავი კონცერტისა და სხვა ნაწარმოებების ავტორი.

85 ამ წერილის დაწერის დროისათვის ბეთჰოვენმა ვენაში ტ. მოლოს გამომცემლობას შესთავაზა ექვსი სიმებიანი კვარტეტი, opus 18; კონცერტი ფორტეპიანოსათვის ორკესტრთან ერთად, opus 15; კვინტეტი opus 16, და სონატა ფორტეპიანოსა და ვალტორნისათვის opus 17;

86 სიტყვების თამაშია: „შტეხენ" ყელის გამოჭრა, დაღუპვა, „შტეხერ" მეგრავიურე.

87 ნათესავების გადმოცემით, ბეთჰოვენი „პერანგში" დაბადებულა.

88 სეპტეტი opus 20; პირველად საჯაროდ შესრულებულ იქნა ბეთჰოვენის აკადემიაში, ვენის ბურგთეატრში 1800 წლის 2 აპრილს. მას დიდი წარმატება მოჰყოლია.

89 გარდა სეპტეტისა opus 20, ბეთჰოვენმა ჰოფმაისტერს შესთავაზა პირველი სიმფონია opus 21, კონცერტი ფორტეპიანოსათვის ორკესტრთან ერთად opus 19 და საფორტეპიანო სონატა opus 22. იმ კონცერტებში, რომლებიც საუკეთესოებად არ მიაჩნდა, იგულისხმება მეორე, opus 19 (შეთავაზებული ჰოფმაისტერისათვის) და პირველი, opus 15 (გამოცემული მოლოს მიერ), საუკეთესო კონცერტად, თავისთვის რომ შემოინახა, ითვლება მესამე საფორტეპიანო კონცერტი opus 37.

90 1800-1801 წლებში ბეთჰოვენმა შექმნა კვინტეტი opus 29, რომელიც შემდგომ შესთავაზა არა ჰოფმაისტერს, არამედ ბრაიტკოფისა და ჰერტელის გამომცემლობას.

91 ლაიპციგის ფირმის გახსნის შემდეგ ჰოფმაისტერმა და კიუნელმა გამოაცხადეს, რომ აპირებდნენ ი. ს. ბახის საფორტეპიანო და საორღანო ნაწარმოებების კრებულის გამოცემას ორ რვეულად, რომლებშიც შეტანილი იქნებოდა ტოკატა რე მინორი, ორ- და სამხმიანი ინვენციები, პრელუდიები და ფუგები „Wohltemperiertes Klavier"-დან. ბეთჰოვენის ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ 1801 წ. 4 თებერვალს ლაიფციგის „ალგემაინე მუზიკალიშე ცაიტუნგ" დაიბეჭდა შენიშვნა ამ გამოცემაზე. ბეთჰოვენის შენიშვნა ცოტათი გადააკეთეს. ბახს უწოდებენ გერმანული ჰარმონიის მამას.

92 ჰოჰენლინდენში ცნობილი ბრძოლის შემდეგ, 3 დეკემბერს 1800 წლისა ავსტრია გამოვიდა კოალიციიდან და შეწყვიტა ომი საფრანგეთის წინააღმდეგ. ზავი (წოდებული ლიუნევილისად) დადებულ იქნა 1801 წლის 9 თებერვალს. ამგვარად, ამ წერილის დაწერის დროს ვენაში საზავო ხელშეკრულებაზე ხელმოწერას მოელოდნენ.

93 ვენური დუკატი უდრიდა დაახლოებით 4,5 გულდენს.

94 გამოცემულ სეპტეტში მეორე მენუეტის მაგივრად არის სკერცო. ბოლო ნაწილს წინ უძღვის არა ადაჯიო, არამედ a Andante con moto. ეტყობა, ამ წერილის დაწერის შემდეგ ბეთჰოვენს პარტიტურაში რაღაც შესწორებები შეუტანია.

95 ერთი ვენური დუკატი ღირებულებით დაახლოებით სამ რაიხსტალერს უდრიდა.

96 იგულისხმება „რეცენზენტენ".

97 ბეთჰოვენის ამ სარკასტული ხუმრობის საბაბი გამხდარა ის ფაქტი, რომ 1799-1800 წლებში ლაიფციგის „ალგემაინე მუზიკალიშე ცაიტუნგ"-ში საქებარ რეცენზიებთან ერთად იბეჭდებოდა არაკეთილმოსურნე რეცენზიებიც მის შემოქმედებაზე.

98 ჰოჰენლინდენთან ბრძოლის შემდეგ ვენის ჰოსპიტლები დაჭრილი ჯარისკაცებით აივსო. მათთვის დახმარების გასაწევად ვენაში ორი დიდი საქველმოქმედო კონცერტი მოეწყო. პირველ კონცერტზე 1801 წლის 16 იანვარს შესრულდა ი. ჰაიდნის ორატორია „სამყაროს შექმნა", დირიჟორობდა ავტორი. მეორე კონცერტის აფიშაში გამოცხადებული იყო: „პარასკევს, 30 იანვარს, საღამოს ,ცნობილი სიმღერის მოყვარული' ქალბატონი ფონ ფრანკი (ქალიშვილობაში გერარდი) სამეფო-საიმპერატორო დარბაზში მოაწყობს დიდ მუსიკალურ აკადემიას სამეფო-საიმპერატორო არმიის დაჭრილ ჯარისკაცთა დასახმარებლად". სხვა მონაწილენი კონცერტისა, მათ შორის ბეთჰოვენიც, არ იყო დასახელებული.

99 პუნტო-ვენცელ შტიხი — ჩეხი ვალტორნისტი, ბეთჰოვენის სონატის opus 17 პირველი შემსრულებელი. იოზეფ სიმონი, ჩეხი მომღერალი (ტენორი). მაგდალენა გალვანი (ქალიშვილობაში ვილმანი) მომღერალი (სოპრანო). ბეთჰოვენთან ერთად მონაწილეობდა ბონის კაპელაში. 1800 წლიდან კონცერტებს მართავდა ვენაში.

100 თავისი მუქარა ბეთჰოვენს არ შეუსრულებია მიუხედავად იმისა, რომ მისი გვარი (ისევე, როგორც სხვა მონაწილეებისა, გარდა ფრანკ-გერარდისა) არ იყო მოხსენებული 24 და 28 იანვრის ანონსებში. ამ საქველმოქმედო კონცერტზე მან შეასრულა თავისი სონატა ფორტეპიანოსა და ვალტორნისათვის opus 17.

ეს უკანასკნელი წერილია ბეთჰოვენისა კრისტინა გერარდისადმი. 1804 წ. კ. ფრანკ-გერარდი ქმართან ერთად ვილნიუსში გადასახლდა და შემდგომ წარმატებით მღეროდა მ. ი. კუტუზოვის მიერ დაარსებულ ვილნიუსის საოპერო თეატრში.

101 გოტფრიდ კრისტოფ ჰერტელი (1763-1827) — ნოტების გამომცემელი და ფორტეპიანოს მეფაბრიკე ლაიფციგში.

102 პატივისცემით მისალმება (ლათ).

103 საპასუხო წერილში 1801 წ. 21 მაისს ჰერტელმა შეატყობინა ბეთჰოვენს, გამომცემლობა ყოველ ღონეს იხმარს თქვენი ნაწარმოებების გამოსაქვეყნებლადო. „თქვენ ისურვეთ, გვაცნოთ, — დასძენდა ამასთან ერთად, — რა ნაწარმოებების მიღებას ვისურვებდი თქვენგან პირველ რიგში. ეს გახლავთ საფორტეპიანო სონატები ვიოლინოს თანხლებით, ან მისი თანხლების გარეშე, ასევე ვიოლინოსა და ვიოლონჩელოსი. გთხოვთ, შეგვატყობინოთ, როდის გექნებათ რაიმე ამგვარი ნაწარმოებებიდან".

104 ვენის ერთ-ერთ გამომცემლობაში საბეჭდად მზადდებოდა ბეთჰოვენის ნაწარმოებები opus 15-18 და 23-24, ჰოფმაისტერთან opus 19-22.

105 გ. ჰერტელმა დააარსა ლაიფციგის „ალგემაინე მუზიკალიშე ცაიტუნგ".

106 ამ კომპოზიტორებში ბეთჰოვენი გულისხმობდა ფ. ა. ლიხტენშტაინს.

107 1800 წლის მაისში „ამც" რედაქტორმა ი. როხლიცმა გაზეთის მკითხველებს თხოვნით მიმართა, მატერიალური დახმარება გაეწიათ რეგინა სუსანა ბახისათვის. ამავე წლის დეკემბერში რ. ს. ბახმა გაზეთის საშუალებით მადლობა გადაუხადა მკითხველებს (16 ადამიანს), რომელნიც 96 რაიხსტალერით დაეხმარნენ, ხოლო 1801 წლის ივნისში ჰერტელმა, როხლიცმა და რ. ს. ბახმა მადლობა გადაუხადეს ი. შტრაიხერს და მ. ფრისს 307 გულდენის (ორასზე მეტი რაიხსტალერის) შენირულობისათვის. მალე ბეთჰოვენი იყო შტრაიხერთან და გაიგო, რა თანხა შეუგროვდა რ. ს. ბახს ლაიფციგში და მაშინ გადაწყდა, ვენიდან უფრო სოლიდური თანხა გაეგზავნათ.

108 აქ სიტყვების თამაშია: ბახ „ნაკადულსაც" ნიშნავს.

109 საპასუხო წერილში ჰერტელი 1801 წ. 21 მაისს სწერდა: „თქვენს წერილში წავიკითხე, რომ განზრახული გაქვთ გამოსცეთ ნაწარმოები მადმუაზელ ბახის — თითქმის ამოწყვეტილი დიდი მუსიკოსის უკანასკნელი ნაშიერის — სასარგებლოდ. თქვენმა ნიჭიერებამ საკმაოდ გაგითქვათ სახელი, ამ განზრახვის შესრულებით კი უკვდავჰყოფთ თქვენს კაცთმოყვარეობას.

ჩვენ სიამოვნებით მზადა ვართ, გამოვცეთ ხსენებული ნაწარმოები. ვეცდებით საქმე ისე წავიყვანოთ, საწყალმა ბახმა რაც შეიძლება დიდი სარგებელი ნახოს".

ბეთჰოვენს განზრახული ჰქონია ერთ-ერთი თავისი საფორტეპიანო სონატის გამოცემა, რაც ეტყობა, განუხორციელებელი დარჩა.

110 იოჰან პეტერ სალომონი (1745-1815) ბონელი მევიოლინე. 1781 წლიდან ცხოვრობდა ლონდონში და იყო ინიციატორი ი. ჰაიდნის ინგლისში მიწვევისა, ბეთჰოვენის ნაცნობი და მისი შემოქმედების პროპაგანდისტი ინგლისში.

111 სალომონს მართლაც არ გადაუცია სეპტეტი გრავირებისათვის. ეს ნაწარმოები ინგლისში გამოქვეყნდა ჰოფმაისტერის გამოცემიდან ხუთი წლის შემდეგ, 1807 წ.

112 სეპტეტის გამოცემაში სიტყვების—„მისი უდიდებულესობის" შემდეგ დამატებულია: „მარია ტერეზას, იმპერატრიცას რომისას, დედოფალს უნგრეთისა და ბოჰემიისას".

113 პირველი სიმფონიის გამოცემაში opus 21 მიძღვნა შეცვლილია: ეძღვნება არა მაქსიმილიან ფრანცს, არამედ ვან სვიტენს. ამის მიზეზი შეიძლება იყოს მ. ფრანცის სიკვდილი (27 ივლისს 1801 წლისა ჰეტცენდორფში, ვენის მახლობლად).

114 ვეგელერის საშუალებით ბეთჰოვენი თითქოს აქ მიმართავს ბრაინინგების ოჯახის ყველა წევრს და თავისი სიჭაბუკის ყველა მეგობარს.

115 ფ. ვეგელერი ბეთჰოვენის ამ ფრაზას უკავშირებდა იმას, რომ საფრანგეთის ჯარების მიერ ბონის დაკავების შემდეგ ქალაქის კულტურული და ეკონომიური ცხოვრება დაეცა, კერძოდ, დროებით დაიხურა უნივერსიტეტი, რომელშიც თვითონ ვეგელერი აქამდე მედიცინის პროფესორად მუშაობდა.

116 ბეთჰოვენი აქ მიგვანიშნებს, რომ მას გაუთვალისწინებია ვეგელერის რჩევა-დარიგებანი, რაც უარყო 1795 წ.

117 1801 წლამდე ბეთჰოვენმა ვენაში მხოლოდ ერთი დამოუკიდებელი აკადემია მოაწყო. ეტყობა, როცა რამდენიმე დამოუკიდებელ აკადემიაზე ლაპარაკობს, გულისხმობს არა მხოლოდ ვენას, პრაღასაც.

118 ვეგელერის აზრით, „ტონი" სარკასტული მნიშვნელობით არის ნახმარი.

119 მართლაც, 1802 წლის გაზაფხულზე ბეთჰოვენი სმენის განკურნების მიზნით რამდენიმე თვით სოფელში დასახლდა, მაგრამ არა ბონის მახლობლად, ვენის ახლოს ჰაილიგენშტადტში.

120 ეს წერილი ბეთჰოვენის ბიოგრაფებს საფუძველს აძლევს მისი ავადმყოფობის დადგენისა. არსებობს მოსაზრება, რომ ბეთჰოვენის დაყრუების მიზეზი გამხდარა ინფექციური დაავადება (შესაძლებელია ტიფი, რომელიც 1797 წელს გადაიტანა). მას დაუტოვებია ქრონიკული ენტერიტი და სმენითი ნევრიტი. ექიმების ვარაუდით, კუჭის მოქმედების დარღვევას გამოუწვევია ღვიძლის ციროზი, სმენით ნევრიტს კი — სიყრუე.

121 იგულისხმება მ. ფიუგერის სურათი „ანტიოხუმა და სტრატონიკე".

122 ბეთჰოვენის პაპის სურათი მხატვარ ლ. რადუს დაუხატავს 1773 წელს. ვეგელერს შეუსრულებია ბეთჰოვენის თხოვნა და მას შემდეგ გამუდმებით ეკიდა იგი კომპოზიტორის კაბინეტში. მოგვიანებით მისგან ასლი გადაუღიათ ბეთჰოვენის სახლ-მუზეუმისათვის ბონში, მაგრამ ვიღაც ბოროტგანმზრახველის მიერ გაჩენილი ხანძრის შედეგად იგი დამწვარა.

123 ბრაინინგი კარის მრჩევლის ქვრივი იყო.

124 ბეთჰოვენის სიჭაბუკეში, როცა იგი უგულვებელყოფდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, ე. ბრაინინგი იტყოდა ხოლმე: სისულელემ წამოუარაო. ეტყობა, ბეთჰოვენს ეს ღრმად ჩარჩა მეხსიერებაში.

125 ბარბარა კოხი ვენელი მეგობარი იყო ბეთჰოვენისა. იგი ოფიციალურად ცოლად გაჰყვა ა. ბელდერბუშს 1802 წ., მაგრამ ბელდერბუში პირველ ცოლს რომ ეყრებოდა და ბ. კოხს ირთავდა, ბონელებისათვის ადრე იყო ცნობილი. ეტყობა ვეგელერმა ეს მისწერა ბეთჰოვენს.

126 ვირბი, ადგილი კურლანდიის გუბერნიაში, რიგის დასავლეთით. ახლა შედის ლატვიის სსრ-ში. სამშობლოში ჩამოსულმა ამენდამ რამდენიმე ხანი დაჰყო რიგაში (მონაწილეობდა კონცერტებში, როგორც მევიოლინე), შემდეგ ვირბიში დასახლდა და მასწავლებლობდა, მერე გადასახლდა ქალაქ ტალსიში.

127 რასა თქმა უნდა, ბეთჰოვენი ამ წერილში მეტად უსამართლოდ ექცევა თავის ვენელ მეგობრებს. ამ სიმკაცრის მიზეზი შეიძლება წუთიერი განწყობილება ყოფილიყო ან ის, რომ ეჭვიანობის გრძნობა გაუფანტოს ამენდას.

128 ფრჩხილებში ჩასმული ფრაზა მიგვანიშნებს, რომ ბეთჰოვენი სრულიად დაყრუების შემდეგაც აპირებდა მუსიკის შექმნას. როგორც სამედიცინო გამოკვლევა ადასტურებს, ბეთჰოვენის სიყრუეს ის თავისებურება ჰქონდა, რომ გარესამყაროსაგან გამოთიშულს სასმენი ცენტრები მუდმივ აღგზნებული ჰქონდა.

129 კ. ამენდას ცხოვრების გზა ისე სულაც არ აეწყო, როგორც ბეთჰოვენს ჰქონდა წარმოდგენილი ამ წერილის დაწერის დროს. 1801 წლის 23 ოქტომბერს იგი არჩეულ იქნა კონდის ეპარქიის პასტორად ქ. ტალსიში და 1802 წლის 13 ივლისიდან შეუდგა პასტორის მოვალეობის შესრულებას. ცოტა ხნით ადრე კი ცოლად შეირთო შვეიცარიელი ჟანეტა ბენუა და 1803 წლის 22 მარტს შეეძინათ პირველი ვაჟიშვილი კარლ ფრიდრიხი. შემდგომ ამენდა ცამეტი შვილის მამა გახდა, თუმცა მათგან მხოლოდ ოთხიღა შერჩა.

130 1799 წ. 25 ივნისს ბეთჰოვენმა ამენდას აჩუქა პირველი რედაქცია თავისი კვარტეტისა, opus 18 № 1. ამ წერილის დაწერის დროს ვენაში გამოვიდა მეორე რედაქცია, არსებითად განსხვავებული პირველისაგან.

131 ფ. ვეგელერის მოწმობით ეს პლასტირი მზადდებოდა ძაღლყურძენას ქერქისაგან.

132 ბეთჰოვენმა მალე მართლაც ამოირჩია თავის მკურნალ ექიმად ი. ა. შმიდტი.

133 როგორც ცნობილია, ლ. გალვანის თეორიულმა აღმოჩენებმა საფუძველი ჩაუყარა ელექტროფიზიოლოგიას. იგი 1790-იან წლებში ცდილობდა ეს აღმოჩენები სამკურნალო პრაქტიკაში დაენერგა. ამ წერილის დაწერის დროს ანალოგიური ცდები წარმოებდა გერმანიაში. 1801 წ. გამოქვეყნდა გრაფენგისერის წიგნი გალვანიზმის გამოყენებაზე, სმენის დაქვეითების მკურნალობაზე ამ მეთოდით. მაგრამ ბეთჰოვენს არ გამოუყენებია იგი.

134 აქ იგულისხმება არა ი. ა. შმიდტი, არამედ ბონელი ექიმი შმიდტი, ვეგელერის მეგობარი.

135 ყველა ბიოგრაფის აზრით, ბეთჰოვენი აქ ლაპარაკობს ჯულიეტა გვიჩარდიზე. ჯულიეტათი ბეთჰოვენის გატაცება ფართოდ არის ასახული ლიტერატურაში. „მთვარის სონატა" გვიჩარდისათვის მიუძღვნია. ჯულიეტა გვიჩარდი (1784-1856) გრაფის ასული, მოწაფე და მეგობარი ბეთჰოვენისა. 1803 წლიდან ცოლი ვ. გალენბერგისა.

136 აქ იგულისხმება არა საზრუნავი ქორწინებაზე, არამედ ცოლის შერთვამდე ფართო და საყოველთაო არტისტული დიდების მოპოვება.

137 აქ ლაპარაკია ემანუილ ბრაინინგის ვაჟიშვილზე, პოეტსა და იურისტზე. ბრაინინგების ოჯახი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ტევტონის ორდენთან, რომელიც, როგორც ცნობილია, 1809 წლამდე არსებობდა. შტეფანის პაპა და ბიძა ორდენის კანცელარიაში მუშაობდნენ. თვით შტეფანიც 1797 წლიდან ორდენის ასესორად ითვლებოდა, მასთან იყო დაკავშირებული 1801 წ. მაისამდე გერგენტაიმში, ბეთჰოვენის რჩევის მიუხედავად, ბრაინინგი ტევტონის ორდენს აღარ დაბრუნებია, ვენაში მოეწყო სამხედრო უწყებაში.

138 ჰაილიგენშტადტის ანდერძი ბეთჰოვენის სიკვდილის შემდეგ იპოვა დ. არტარიამ მის ქაღალდებში. ავტოგრაფში უმცროსი ძმის სახელი გამოტოვებულია, მაგრამ ადგილია დატოვებული. მიულერ ფონ აზოვის აზრით, ეს იმით აიხსნება, რომ ბეთჰოვენი შეყოყმანებულა, როგორ ენოდებინა მისთვის — ნიკოლაუსი, როგორც შინაურობაში ეძახდნენ, თუ იოჰანი, როგორც ვენაში უწოდებდნენ.

139 ბეთჰოვენი ჰაილიგენშტადტში ი. ა. შმიდტის რჩევით დასახლდა.

140 აქ აღწერილი ეპიზოდი მოტანილი აქვს ფ. რისს თავის მოგონებებში: „სმენის ნაკლოვანებისაგან ბეთჰოვენი 1802 წლიდან იტანჯებოდა, მაგრამ მალავდა თავის უბედურებას. ამას ისე მძაფრად განიცდიდა, მასთან საუბარში ფრთხილად უნდა ყოფილიყავი, ხმისთვის არ აგეწია, რომ არ ეგრძნო, ნაკლი შეამჩნიეთ. თუ რაიმე არ ესმოდა, ამას დაბნეულობას მიაწერდა. დაბნეული კი იყო საოცრად. იგი დიდხანს ცხოვრობდა სოფელში, სადაც ხშირად დავდიოდი გაკვეთილებზე. საუზმის შემდეგ, ასე დილის რვა საათზე, ზოგჯერ

მეტყოდა: მოდი, ჯერ ცოტა გავისეირნოთ. მაგრამ ასეთი გასეირნების შემდეგ ხშირად შუაღამის სამ-ოთხ საათზე დავბრუნდებოდით. სადმე სოფელში ვისადილებდით.

ერთი ასეთი გასეირნების დროს ბეთჰოვენმა პირველად მაგრძნობინა სმენის ნაკლულობა, რასაც ადრე შეუმჩნევია შტეფან ბრაინინგი. ტყეში ვიყავით. მწყემსი დავინახეთ, მშვენივრად უკრავდა სალამურზე. ბეთჰოვენს მთელ ნახევარ საათს არაფერი გაუგონია. მერე ბევრი ვარწმუნე, არც მე გამიგონია-მეთქი, მაგრამ ძალიან [illegible] დანაღვლიანდა".

141 შმიდტი ცხრამეტი წლით ადრე გარდაიცვალა ბეთჰოვენზე, მისი ძმა კარლი — თორმეტი წლით ადრე. ამ ანდერძში მოხსენებულ პირთაგან ბეთჰოვენზე მეტი იცოცხლა მხოლოდ მისმა ძმამ იოჰანმა.

142 ლიხნოვსკიმ ბეთჰოვენს აჩუქა (როცა ბეთჰოვენი ქმნიდა კვარტეტს opus 18) ოთხი ხემებიანი ინსტრუმენტი: ჯუზეპე გვარნერის ვიოლინო, დამზადებული 1718 წ. ნიკოლო ამატის ვიოლინო, დამზადებული 1697 წ. ვინჩენცო რუჯიერის ალტი, დამზადებული 1690 წ. და ვიოლონჩელო ანდრეას გვარნერისა, დამზადებული 1712 წ. ახლა ეს ინსტრუმენტები ინახება ბეთჰოვენის სახლ-მუზეუმში ბონში.

143 ჟოზეფინა დეიმი — ქალიშვილობაში ბრუნსვიკი (1779-1821). გრაფის ასული, ბეთჰოვენის მოწაფე. (1799-1804) წლებში იოზეფ დეიმის ცოლი, 1810 წლიდან ქრისტოფორ შტაკელბერგისა.

144 ამ წერილის დაწერის ჟამს ჟ. დეიმის პირველი ქმარი იოზეფ დეიმი უკვე გარდაცვლილი იყო. იგი გარდაიცვალა 1804 წლის იანვარში და ოთხი შვილი დაუტოვა (მეოთხე ქვრივობაში შობა). ამ მწუხარების ჟამს ჟ. დეიმი გატაცებული იყო მუსიკით. ბრწყინვალე პიანისტი ქალი განსაკუთრებით აფასებდა თავისი მასწავლებლის, ბეთჰოვენის ნაწარმოებებს და მოუთმენლად ელოდა მისი ყოველი ნაწარმოების გამოქვეყნებას. ბეთჰოვენს ამ დროს მისთვის გაუგზავნია „კლავესინისტის რეპერტუარის" მეთერთმეტე გამოცემა, გამოქვეყნებული ციურიხში 1804 წლის ზაფხულში ნეგელის მიერ. შიგ შედიოდა „პათეტიური სონატაც", opus 13 და opus 31 № 3. მეორე ამ სონატათაგან პირველად იყო დაბეჭდილი.

145 ფრანც ბრუნსვიკი (1777-1849) გრაფი, მამულის მფლობელი მარტონვაშარში, მოყვარული მევიოლინე, ჟ. დეიმის ძმა და ბეთჰოვენის ახლო მეგობარი.

146 შარლოტა (კაროლინა) ტელეკი, ქალიშვილობაში ბრუნსვიკი. გრაფინია, ბეთჰოვენის მეგობარი. 1805 წელს ცოლად გაჰყვა გრაფ იმრე ტელეკის და მასთან ერთად გაემგზავრა ვენიდან. ამ წერილის დაწერის დროს შარლოტა არ იყო გათხოვილი. 1805 წლის 1 იანვარს ბეთჰოვენს მისთვის მეგობრული წარწერით მიუძღვნია გრავიურა ამურისა და ფსიქეას გამოსახულებით.

147 იგნაც შუპანციგი (1776-1830) ავსტრიელი მევიოლინე, დირიჟორი და კომპოზიტორი. ბეთჰოვენის მრავალი კამერულ-ანსამბლური ნაწარმოების შემსრულებელი 1790-იან წლებში მეთაურობდა ახალგაზრდულ კვარტეტს, რომელიც კ. ლიხნოვსკის მიერ პარასკეობით გამართულ მუსიკალურ საღამოებზე გამოდიოდა 1808-1815 წლებში. ა. რაზუმოვსკის კვარტეტის პირველი მევიოლინე იყო. 1816-1823 წ. წ. რუსეთში ცხოვრობდა და თავის კონცერტებში ასრულებდა ბეთჰოვენის ნაწარმოებებს.

148 მარტინ შლეზინგერი (1751-1820) ჩეხი მევიოლინე, გრაფ პეტრე ერდიოდის საშინაო ორკესტრის კონცერტმაისტერი.

149 კარლ ბეთჰოვენის მიერ გერტელისადმი 1804 წ. 10 ოქტომბერს მიწერილი წერილიდან ცნობილია, რომ 1804 წ. ზაფხულში და ადრეულ შემოდგომაზე იგი მრავალჯერ ჩასულა ვენაში სამსახურებრივ საქმეებზე.

150 ქმრის სიკვდილიდან ექვსი თვის შემდეგ ჟოზეფინა ფიზიკურად დაავადდა, რამაც ქრონიკული თავის ტკივილი დაუტოვა. 1804 წ. 16 სექტემბერს შ. ბრუნსვიკი თავის დას, ტერეზას, ატყობინებდა ჟოზეფინას მძიმე ნერვიული შეტევის ამბავს. ამ დროს „ხან იცინოდა, ხან ტიროდა" და ძალ-ღონე ეცლებოდა. 1804-1805 წლის ზამთარში ოდნავ მოიკეთა, მაგრამ ავადმყოფობა დრო და დრო მაინც გაუხსენებდა.

151 Andante-ს ხელნაწერთან ერთად გაუგზავნა ხელნაწერი სონატისა opus 53.

152 შ. ბრუნსვიკის ცნობით ამ პერიოდში ბეთჰოვენი ჟოზეფინას მუსიკის გაკვეთილებს უტარებდა თითქმის ყოველდღე.

153 ე. ანდერსონის აზრით, ბეთჰოვენი უცნობში გულისხმობდა ს. ნაიკომს, ან ი. ნაიგასს, ან ნ. ცმესკალს.

154 წერილი ხელმოწერილი არ არის, ეტყობა, ადგილი არ ეყო.

155 ი. შმიდტ-გეორგეს ვარაუდით, ბეთჰოვენმა ჟოზეფინას სთხოვა ხელნაწერები სიმღერებისა „Gedenke mein" და „An die Hoffnung", opus 32. ეტყობა, სიმღერა „An die Hoffnung" ბეთჰოვენმა საახალწლოდ მიუძღვნა ჟოზეფინას. ამის საფუძველს იძლევა შარლოტა ბრუნსვიკის წერილი ტერეზა ბრუნსვიკისადმი 1805 წ. დასაწყისში. შარლოტა დას სწერდა: „გიგზავნი სიმღერას, რომელიც ბეთჰოვენმა შექმნა პეპისათვის, მაგრამ გეთაყვა, არავის აჩვენო. ხოლო თუ ვინმესთან იმღერებ, არა თქვა, რომ ნოტები გაქვს დარწმუნებული ვარ, მოგეწონება".

20 იანვარს ტერეზამ უპასუხა შარლოტას: „აღფრთოვანებული ვარ შენი გამოგზავნილი სიმღერით. ორ დღეში ზეპირად ვიცოდი. ჩემმა სიმღერამ ფურორი მოახდინა, მაგრამ ნოტი არავის უნახავს. ოღონდ ის მაინტერესებს, რა გამოვა პეპისა და ბეთჰოვენის ურთიერთობიდან? პეპი ფრთხილად უნდა იყოს. იმისმა გულმა ძალა უნდა მოიკრიბოს და თქვას: — არა! ძნელი საქმეა, იქნებ ყველაზე ძნელიც".

საუბედუროდ, ხელნაწერი სიმღერისა „An die Hoffnung" არ შემონახულა, მაგრამ დების ბრუნსვიკების მიმოწერა მეტყველებს ბეთჰოვენის დამოკიდებულებაზე ჟოზეფინასადმი.

სიმღერა დაიბეჭდა მიძღვნიდან რვა თვის შემდეგ, მაგრამ დაბეჭდილში კომპოზიტორმა უარი თქვა ტიტულზე ჟ. დეიმის მოხსენიებაზე. ეტყობა, ამის მიზეზი იყო ბეთჰოვენსა და ჟ. დეიმის ნათესავებს შორის მომხდარი კონფლიქტი.

156 ამ წერილის დაწერის დროს პავლე I-ის ქვრივი მ. ფ. რომანოვა პეტერბურგში იმყოფებოდა. შესაძლებელია, ბეთჰოვენმა ეს სიმღერები მას გაუგზავნა ა. კ. რაზუმოვსკის საშუალებით.

157 ბეთჰოვენი და ჟოზეფინა ხშირად ათხოვებდნენ ერთმანეთს წიგნებსა და ნოტებს.

158 ჟან პიერ კლარის ფლორიანი (1755-1794) — ფრანგი მწერალი.

159 კრეიცერის სონატა გამოცემულ იქნა ბონში ზიმროკის მიერ 1805 წ. აპრილში. მაგრამ ბეთჰოვენმა დაბეჭდილი ეგზემპლარი მიიღო მხოლოდ ივლისში. ეტყობა, ამის გამო სთხოვა ჟოზეფინას, დაებრუნებინა სონატის ხელნაწერი.

160 ნაწყვეტებს ოპერა „ლეონორადან" ჟოზეფინა დეიმთან 1804 წლის შემოდგომიდან ასრულებდნენ. 20 ნოემბერს შარლოტა სწერდა ტერეზას: „ბეთჰოვენი მეტისმეტად თავაზიანია. იგი თითქმის ყოველდღიურად მოდის და პეპის ამეცადინებს. ოპერას წერს, საიდანაც რამდენიმე ნომერი უკვე დავუკარით. მშვენიერია".

161 ჟოზეფინას ნათესავები, კერძოდ სუსანა გვიჩარდი, ხელს უშლიდნენ მის დაახლოებას ბეთჰოვენთან და სიმღერის მიძღვნა „მამხილებელ" საბუთად გამოიყენეს.

162 ეს დამახასიათებელი დეტალია. ბეთჰოვენი ჟოზეფინას ხელის მოსაპოვებლად ლიხნოვსკის ავტორიტეტს იყენებდა, მაგრამ მაინც ძალზე ეჭვობდა ამ ბრძოლის მისდა სასიკეთოდ დასრულებაში.

163 აქ ბეთჰოვენი თვითკრიტიკულად ამბობს: „ისეთი აქტიური არა ვარ, როგორიც უნდა ვიყო". სინამდვილეში კი 1805 წლის 7 აპრილს ვენის თეატრში საჯაროდ პირველად შესრულდა მისი გმირული სიმფონია. ამავე პერიოდს ეკუთვნის ოპერა „ლეონორა", სონატა „აპასიონატა" და სხვა ნაწარმოებები.

164 წერილი ხელმოწერილი არ არის. ბეთჰოვენის სიტყვები: „როცა ჩემმა თქვენდამი სიყვარულმა" და „დაე, მარადიული იყოს ჩვენი სიყვარული", გვაფიქრებინებს, რომ ჟოზეფინას გულიც ბეთჰოვენის სიყვარულით ძგერდა. ამას გვიდასტურებს ჟოზეფინას წერილებიც: „სანამ თქვენ შეგხვდებოდით, თქვენმა მუსიკამ განმაწყო თქვენდამი და ეს გრძნობა კიდევ უფრო გამიორკეცდა, როცა თქვენი სიკეთე და თქვენი დამოკიდებულება ჩემდამი შევიცანი, ის უპირატესობა, თქვენ რომ მომაკუთვნეთ, შეიძლებოდა ჩემი ცხოვრების საუკეთესო თანამგზავრი გამხდარიყო, რომ თქვენ ასეთი გრძნობით არ გიყვარდეთ. თქვენ ჩემზე ბრაზობთ იმის გამო, რომ არ შემიძლია ვუპასუხო თქვენს გრძნობებს. თქვენს სურვილს ვემორჩილები. უნდა გაუფრთხილდეთ ამ წმინდა კავშირს. დამიჯერეთ, საშინლად მტანჯავს ჩემი მოვალეობის შესრულება". „თუ თქვენთვის ძვირფასია ჩემი სიცოცხლე, უფრო რბილად მომექეცით და რაც მთავარია, ეჭვი ნუ შეგეპარებათ ჩემში. ვერ ძალმიძს იმის გამოთქმა, რაოდენ მწუხარებას მანიჭებს შეგნება, რომ მოვალეობისა და სათნოების

გულისთვის გაწეული მსხვერპლის მიუხედავად, თქვენ მე, — თუნდაც ფიქრებში, — სულმდაბალ ადამიანთა გვერდით მაყენებთ. დამიჯერეთ, ძვირფასო, კეთილო ბეთჰოვენ, რომ მე ბევრად უფრო, ბევრად უფრო ვიტანჯები, ვიდრე თქვენ".

„მე თქვენ მიყვარხართ და ვაფასებ თქვენს მორალურ თვისებებს. თქვენ ჩემდამი და ჩემი ბავშვებისადმი დიდი სიკეთე გამოიჩინეთ. ამას არასოდეს დავივიწყებ, სანამ ცოცხალი ვარ. ყოველთვის დამაინტერესებს თქვენი ბედი და რამდენადაც შემეძლება, ყველს შევეუწყობ თქვენს ბედნიერებას. მაგრამ თქვენ არ უნდა გეწყინოთ, [illegible]

ამგვარად, ჟოზეფინა იზიარებდა ბეთჰოვენის გრძნობას, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა. მას ცოლად გაჰყოლოდა. ისმის კითხვა: რა წმინდა კავშირს უნდა გაფრთხილებოდა ოცდაექვსი წლის ქვრივი, ცოლად რომ გაჰყოლოდა მისთვის საყვარელ ბეთჰოვენს? ამ კითხვაზე რამდენიმე წლის შემდეგ უპასუხა მისმა დამ ტერეზამ თავის მემუარებში: „ჩემი და ჟოზეფინა რატომ არ გაჰყვა ცოლად ბეთჰოვენს, როცა დაქვრივდა დეიმის სიკვდილის შემდეგ? ბავშვების სიყვარულმა ხელი აალებინა საკუთარ ბედნიერებაზე".

მართლაც, ჟოზეფინას იმედი არ ჰქონდა, რომ ბეთჰოვენი მისი ოთხი შვილის აღზრდას ითავებდა. ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ ბეთჰოვენთან განხეთქილების შემდეგ, თუმცა არ უყვარდა, იგი ქრისტაფორ შტაკელბერგს გაჰყვა ცოლად, თავისი შვილების მასწავლებელს.

ეს მიზეზიც არ არის მთლად სარწმუნო. გარკვეული როლი ბეთჰოვენის სიყვარულის უარყოფაში ითამაშა მისმა არისტოკრატიულმა სიამაყემ.

165 აქ ალბათ ცმესკალი იგულისხმება.

166 ეტყობა, ჟოზეფინამ არ აუსრულა ბეთჰოვენს სურვილი, არ შეხვდა მას. რამდენიმე ხნის შემდეგ თანაგრძნობის წერილი მისწერა, მაგრამ მასში ერთი სიტყვაც კი არ იყო ნათქვამი მათ მომავალ შეხვედრაზე. „კარგა ხანია მინდა გავიგო, როგორ გრძნობთ თავს. მოკრძალება რომ არ გამომეჩინა, ალბათ გავიგებდი. მითხარით, როგორ ცხოვრობთ, რას აკეთებთ? ჯანმრთელობის საქმე როგორა გაქვთ, როგორ გუნებაზე ხართ? როგორ ცხოვრებას ეწევით? ყველაფერი, რაც თქვენ შეგეხებათ, მეტისმეტად მაღელვებს და ამაღელვებს, სანამ ცოცხალი ვარ. ამიტომ აუცილებელია თქვენი ამბის გაგება ჩემთვის. ჩემი მეგობარი ბეთჰოვენი ხომ არ ფიქრობს, რომ მე შევიცვალე? თუ ასეთი ეჭვი გაგიჩნდათ, ეს იმას მოწმობს, რომ თქვენ თვითონ აღარა ხართ ისეთი, როგორიც იყავით.

167 ბეთჰოვენმა ამ წერილთან ერთად გაუგზავნა ფ. ბრუნსვიკისადმი მიძღვნილი სონატა ფორტეპიანოსათვის opus 57 („აპასიონატა").

168 ეს ბოლო წერილია ჟოზეფინა დეიმისადმი. ი. შმიდტ-გეორგი ფიქრობს, რომ ამ წერილთან ერთად სამუდამოდ შეწყდა ინტიმური ურთიერთობა ბეთჰოვენსა და ჟოზეფინა დეიმს შორის. იგი გამოდიოდა იმ ჰიპოტეზის წინააღმდეგ, თითქოს 1812 წლის 6-7 ივლისს „უკვდავი სატრფოსადმი" გაგზავნილი წერილი ჟოზეფინა დეიმს ეკუთვნოდა და თითქოს ბეთჰოვენი მამა იყო ჟოზეფინას უმცროსი ქალიშვილის მინოლა შტაკელბერგისა, რომელიც 1813 წელს დაიბადა, იმ დროს, როცა ჟოზეფინას დროებით უთანხმოება ჰქონდა თავის მეორე ქმართან.

169 ბეტინა არნიმი, ქალიშვილობაში ბრენტანო (1780-1859) გერმანელი რომანტიკოსი მწერალი, ბეთჰოვენის მეგობარი.

170 ბეტინა არნიმზე დაინიშნა 1810 წლის 4 დეკემბერს, ცოლად გაჰყვა 1811 წ. 11 მარტს.

171 ბეთჰოვენს იოანას რეპლიკა მოაქვს ფ. შილერის „ორლეანელი ქალწულიდან" (მეხუთე მოქმედება, მეორე გამოსვლა).

172 ბეტინამ მართლაც შეუსრულა ბეთჰოვენს თხოვნა და ცოტა მოგვიანებით, 1811 წ. 11 მაისს გოეთეს მისწერა ბეთჰოვენის წერილის შინაარსი და თავის მხრივ დასძინა კიდეც: „ვიცი, ყველა შენ გეხვევა, უნდათ დაგიახლოვდნენ და მერე თავი მოიწონონ შენი თაყვანისცემით. დაცარიელებული სულით მოდიან და მიდიან შენი სახელით გაამაყებულნი. ბეთჰოვენი ასეთი არ არის, მისთვის უცხოა პირფერობა. იგი ჭეშმარიტი მოწმეა შენი დიდებისა".

173 კლემენს ბრენტანომ, გერმანელმა პოეტმა (1778-1842), ბეტინა ფონ არნიმის ძმამ, ტონი ბრენტანოს ხელით ლექსი კანტატა გამოუგზავნა დედოფალ ლუიზას გარდაცვალებაზე, მაგრამ კომპოზიტორმა არ ისურვა, მუსიკა დაეწერა ამ ტექსტზე

174 კ. ოლივას (ფილოლოგი, გოეთესა და ბეთჰოვენის მეგობარი) ბეთჰოვენის წერილი გოეთესათვის გადაუცია 1811 წლის 2 მაისს. 4 მაისს ოლივას გოეთეს წინაშე დაუკრავს ბეთჰოვენის ნაწარმოებები, მათ შორის კლერხენის მეორე სიმღერა „ეგმონტიდან". ამ საღამოს დასწრებია ს. ბუასერე (არქიტექტორი, ხელოვნების ისტორიკოსი). მისი ცნობით, გოეთეს არც თუ მთლად თანაგრძნობით მოუსმენია ეს მუსიკა. მაგრამ 1811 წ. 25 ივნისს კარლსბადში მყოფ გოეთეს თავაზიანი წერილით უპასუხნია ბეთჰოვენს: „თქვენმა წერილმა, ღრმად პატივცემულო, რომელიც ბატონმა ფონ ოლივამ გადმომცა, დიდი სიამოვნება მომანიჭა. გმადლობთ, ჩემზე ესოდენ დიდი აზრისათვის და მინდა გულწრფელად დაგარწმუნოთ, მეც ამასვე განვიცდი თქვენდამი და ყოველთვის, როცა კი თქვენს ნაწარმოებებს ვისმენ ნიჭიერი არტისტების ან მოყვარულთა შესრულებით, სურვილი მეუფლება, ერთხელ მაინც მოვისმინო თქვენი დაკვრა ფორტეპიანოზე და დავტკბე თქვენი დიდი ნიჭით... კეთილი ბეტინა ბრენტანო უეჭველად იმსახურებს თქვენს კეთილგანწყობილებას. თქვენზე დიდის აღტაცებითა და სიმპათიით ლაპარაკობს და თქვენთან გატარებული საათები უბედნიერესად მიაჩნია თავის ცხოვრებაში.

თქვენს მიერ გამოგზავნილ მუსიკას „ეგმონტისათვის" ალბათ მაშინ ვნახავ, როცა შინ დავბრუნდები. ახლა კი წინასწარ გმადლობთ, რადგან ბევრისაგან მასზე დიდი ქება მომისმენია და ვფიქრობ, ამ ზამთარს, როცა ზემოთ დასახელებულ პიესას ჩვენს თეატრში დადგამენ, შევძლებ, რომ მას თან ახლდეს თქვენი მუსიკა. ამით, ვიმედოვნებ, დიდ სიამოვნებას მივანიჭებ საკუთარ თავსაც და თქვენს მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელსაც ჩვენს ქალაქში.

მაგრამ ყველაზე მეტად ვისურვებდი იმ იმედის აღსრულებას, რაც ბატონმა ფონ ოლივამ ჩაგვისახა ერთ-ერთი მოგზაურობის დროს. იქნებ ეწვიოთ ვაიმარს. კარგი იქნება, თუ იმ დროს ჩამობრძანდით, როცა აქ იქნება სამეფო კარიცა და თქვენი მუსიკის მოყვარული საზოგადოებაც. რაღა თქმა უნდა, ისე შეგეგებებიან, როგორც თქვენს დამსახურებასა და აზრთა განწყობილებას შეეფერება. გისურვებთ ჯანმრთელობას. მიიღეთ ჩემი გულწრფელი პატივისცემა იმ ყოველივე კარგისათვის, რაც თქვენ განმაცდევინეთ".

ხელნაწერი პარტიტურა „ეგმონტის" მუსიკისა პერტელმა გოეთეს 1812 წ. 23 იანვარს გადასცა. ბოლო, როგორც ცნობილია, ბეთჰოვენი გოეთეს შეხვდა ტეპლიცაში 1812 წლის ივლისში.

ცნობები იმის შესახებ, ახლდა თუ არა ბეთჰოვენის მუსიკა ვაიმარის თეატრში დადგმულ „ეგმონტს", არ არსებობს (პირველ დადგმას 1796-1807 წ. წ. რაინჰარდტის მუსიკა ახლდა).

ერთი რამ კი არის აღსანიშნავი: 1816-1817 წლების სეზონში გოეთემ თავისი თეატრის რეპერტუარში შეიტანა ბეთჰოვენის ოპერა „ფიდელიო", რომლის დადგმაც ვაიმარში განხორციელდა 4, 9, 25 სექტემბერსა და 9 ნოემბერს 1816 წლისა, ასევე 1817 წლის 7 აპრილს.

როგორ შეაფასა გოეთემ ბეთჰოვენის მუსიკა „ეგმონტისათვის", ამაზე წარმოდგენას გვაძლევს მისი წერილი გერმანელი მსახიობისა და მოცეკვავის, მარიანა ვილემერისადმი 1821 წლის 12 ივლისს.

გოეთეს მხედველობაში ჰქონდა საკონცერტოდ დამუშავებული „ეგმონტი" ფ. მოზენჰაილემის შესრულებით: „ბედნიერი შემთხვევა მოგვცა ბეთჰოვენის „ეგმონტის" მუსიკის მოკლე-მოკლე დიალოგებთან შერწყმისა, რის წყალობითაც იგი შეიძლება შესრულებულ იქნას, როგორც ორატორია".

ასევე ცნობილია გოეთეს მსჯელობა „ეგმონტზე" 1820 წ. „მუსიკა უნდა ახლდეს გმირის სიზმარს. ბეთჰოვენი საოცარი გენიალობით ჩასწვდა ჩემს ჩანაფიქრს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

თომას მანი

ჰუმანიორა და ჰუმანიზმი

გერმანულიდან თარგმნა ლია თაქვარელიამ

ნება მიბოძეთ ამ თემასთან დაკავშირებით მოვიტანო გოეთეს სიტყვები რომანიდან „არჩევითი ნათესაობა", სახელდობრ, ოტილიეს ერთ-ერთი დღიურის ჩანაწერი: „მოწაფის სულზე ცხოველ კვალს უფრო ის მასწავლებელი აჩენს, ვისაც ნათელი გრძნობის აღძვრა ძალუძს, თუნდაც რაიმე კეთილი საქმისა ანდა კარგი ლექსის მიმართ, ვიდრე ის ყოფილი კაცი, რომელსაც ბუნების ნაკლებად საგულისხმო წარმონაშობთა მხოლოდ ფორმა — სახელწოდებების უსულგულო გადმოცემალა შეუძლია, ამით ბოლოს და ბოლოს ის ირკვევა, რაც იმდენად შეიძლება იცოდე: ადამიანი ღვთაების ჩინებული და განუმეორებელი ჯუფთია. დაე ყველა ჩვენგანმა როგორც ნებავს ისე აკეთოს მისთვის სანუკვარი, გასახარელი და სასარგებლო საქმე, ოღონდ მთავარი ახსოვდეს: კაცობრიობის საგულდაგულო ძიების საგანი ადამიანია".

საოცარია, რარიგ უთავსდება ამ გამონათქვამში ერთმანეთს ნიადაგ მართალი და გამძლე იდეა, რასაც დღეს, ტექნიკისა და ბუნებისმეტყველების მზარდი ალმავლობის ახალ საუკუნეში ჯერაც ყავლი არ გასვლია, იმ დამგვადასულ, დიახ, თვით გოეთესაც უკვე დამგვადასულ თვალსაზრისს. ხოლო ეს [illegible] ადამიანის ჰუმანურ თუ ჰუმანისტურ ძიებასა და „ბუნების ნაკლებად საგულისხმო წარმონაშობთა შორის უკიდურესად მძაფრი წინააღმდეგობის აღიარება გახლავთ.

გოეთესათვის, ვითარცა ყველა ჰუმანისტისათვის, კაცობრიობისადმი ნამეტნავად მაღალი და ცხოველი ინტერესი, ინტერესი ადამიანისადმი, ენისადმი ინტერესს, ხოლო „კეთილი საქმე" — „კარგ ლექსს" შეესატყვისება და ეს კანონიერიცაა. ჰუმანური საწყისი სრულიად ჩვეულებრივად ლიტერატურულ-ფილოლოგიურ საწყისს უკავშირდება. ეს სავსებით ბუნებრივია და მუდამ ასეც იქნება. მარადიული გამოუთქმელ საგანთა სამყარო და, ღმერთმაც ქნას, ოდესმე კარგადაც გამოითქვას იგი.

ჰუმანისტური საწყისებითა და ანტიკური ენებით დაინტერესების გარდა, ეს არის საკუთრივ ჰუმანური, სულის, გონის, მორალური და ფსიქოლოგიური კულტურის სამყარო, რომელიც თავისი ბუნებით ფორმალურ კულტურას ემსგავსება. იგი არსებითად მასში ერთიანდება. სწორედ ამ სამყაროს მიუძღვის წვლილი დიდი პოეტებისა და მწერლების ცხოვრებაში და იგი მუდამ დარჩება აღზრდის ღირსშესანიშნავ წესად, ურომლისოდაც, ალბათ, დაუჯერებელიცაა ადამიანთა განსაკუთრებული ყენის სიტყვის ოსტატებად და პოეტებად შექმნა.

არც შემთხვევითობაა და არც თვითნებობა იმის რწმუნება, რომ ამ ენობრივ-ჰუმანური განათლების საფუძველი, რაც კი ევროპა არსებობს, ანტიკური ენების შესწავლაა, უპირატესად კი ლათინურისა ,ასე რომ ამ სტატიის სათაური „ჰუმანიორა და ჰუმანიზმი" სხვას არას მიანიშნებს, თუ არ ანტიკურობის შესწავლას. ეს ცხადია სულ უბრალო მიზეზითაც, რამეთუ ბერძნულ-რომაული კულტურის რეცეპცია და ტრადიცია თითქმის იგივეს ნიშნავს, რასაც ევროპისა და მსოფლიოს ისტორიები. არა მგონია მტკიცებას საჭიროებდეს ის ფაქტი, რომ ევროპისა და ხმელთაშუა ზღვისპირა კონტინენტის რომაული სახელმწიფოს შემდეგდროინდელი ნაციონალური და ზენაციონალური ცივილიზაციები აზრობრივად და ფორმალურად ბერძენ-რომაულთან შეტაკების, დაპირისპირებისა და ამით საკუთარი თავის კვლავშობის გარეშე ჩამოყალიბებულიყვნენ. ფორმირებისა და წარმოქმნის ამგვარმა პროცესმა აღმოაცენა შემდეგში სქოლასტიკური ფილოსოფია, იტალიური რენესანსი, ფრანგული და გერმანული

ლიტერატურები რონსარიდან შენიემდე, კლოპშტოკიდან პლატენამდე, ერთობ ნაირფეროვანი, უაღრესად ორიგინალური ქმნილებები, რომლებშიც ეპოქის ხასიათი თუ ეროვნული გენია ძნელად თუ ემიჯნება ანტიკურობისგან ნამემკვიდრევ ელემენტს.

ორიოდ სიტყვა ამ საკითხის გერმანული ორიენტაციის შესახებ: შუა საუკუნეებში ეკლესია ანტიკურობის მხსნელად და განათლების მესვეურად მოგვევლინა. იგი სავსებით ანტიკური ტრადიციისა და რომაულ-უნივერსალური პრეტენზიების მქონე ფენომენია. ამ ზეგავლენის ხელყოფა არ ძალუძს თვით ტევტონური ყაიდის ფილოსოფოსსაც, ისეთი, როგორიცაა მაგისტროსი ეკჰარდუსი. მეორეს მხრივ კი, თავისი მოთხოვნილების მიხედვით, არანაკლებ უნივერსალურია რომაულ-კათოლიკურ-კაროლინგური რწმენის იტალიურ-გერმანული სამეფო. საკმარისია თუ არა ასეთ შემთხვევაში ეპოქის სულით ეგზომ ალსავსე, ფრიად რომაულ ქმნილებებზე ანტიკურობის „ზეგავლენის" შესახებ ლაპარაკი? ისინი წარმოუდგენელი არიან ანტიკურობის გარეშე. თუკი ამ ზეგავლენას უგულებელვყოფთ, ვერც ვწვდებით და ვერც აღვიქვამთ მას. ჩვენ გვნამს ურთიერთდამოკიდებულება ახალგაზრდა პროტესტანტიზმსა და ჰუმანიზმს შორის, ამათი გაერთება ისეთ პიროვნებებში, როგორებიც არიან მელანხტონი და ჰუტენი. სწორედ პროტესტანტებმა დააფუძნეს გერმანიაში ძველი ენების ახლებური შესწავლა, პირველად შემოიტანეს აქ ბერძნული ენა. ლათინური პოეზიისაგან წარმოიქმნა XVII საუკუნის გერმანული პოეზია. მას მეცნიერულ პოეზიას ეძახიან ხალხურის საპირისპიროდ. არ შეიძლება მეცნიერული პოეზიის თვალსაჩინო დამსახურების უარყოფა გერმანული პოეზიის შემდგომ აყვავებაში. ხომ არ ნიშნავს ფრანგული ე. წ. „grand siecle"-ის დამკვიდრება გერმანიაში ლათინური სულის აღორძინებას? მე მაგონდება შილერის დრამები, რომლებსაც ნაციონალურ საწყისზე მკაცრად ორიენტირებული კრიტიკოსები ხშირად უცხოურად, ფრანგულ კულტურას ნაზიარევად მიიჩნევენ. XVII საუკუნის შუა წლების გერმანიაში კვლავ შევხედით ბერძნულ ხელოვნებას, პოეზიასა და ფილოსოფიას, ურომლისოდაც ჩვენი კლასიკური ლიტერატურა არასდიდებით არ იქნებოდა ის, რაც დღეს არის. თან ესეცაა, რომ სასურველი იყო მას სხვა, წმინდა ხალხური გზა აერჩია, მაგრამ, როგორც ჩანს, ჭეშმარიტი გზა მისთვის მაინცდამაინც მეცნიერულისაკენ მიდრეკილი აღმოჩნდა. ამასთანავე აღმოცენდა ბერძნული სულის გერმანული გაგების უამრავი ნაირსახეობები.

ერთი მხრივ, ჩვენ გვყავხან ვინკელმანი, ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი, შილერი, გოეთე და ჰეგელი, მეორე მხრივ კი, ჰერდერი, ჰოლდერლინი, იაკობ ბურკჰარდტი და ნიცშე. ერთნი ფიქრობენ, რომ ბერძნული საწყისი კანონი და ნორმაა, ზედროული მარადისობა, მეორეთა მიხედვით, იგი ისტორიული ფენომენია, წარმავალი რაღაც. მაინც რა სწორად, გამჭრიახად, ძლიერად და მკაცრად მიიჩნევენ ისინი მოვლენებს ისტორიულად. წინააღმდეგობა უმაღლეს წერტილს აღწევს ნიცშეს „ტრაგედიის დაბადებაში", საერთოდ მის კრიტიკულ შემოქმედებაში და, შემთხვევითი არ არის, რომ დისკუსიას, რომელიც გერმანული სულის ისტორიისა და ფორმირების ერთიანობას იხილავს, საფუძვლად ედება ბერძნულ-ისტორიული პრობლემა, მისი ფილოლოგიური ინტერპრეტაციის საკითხი, და ყველაფერ ამის ღირსმყოფი არის ხალხი, რომელიც მეტწილად თავისი ორიგინალურობით ამაყობს, ლინგვისტურ ასპექტში კი, მართლაც რელატიურად გაუცხოვებია კლასიკურ წარსულს. ვგონებ ფუჭი გამოვა საკითხის ასე დაყენება: უკეთესი ხომ არ იქნებოდა იტალიელ ხუცესთ არასოდეს ექნათ პირი გერმანიისაკენ, ხოლო გერმანელ მეფეებსა და პოეტებს თავის დღეში არ ეხილათ იტალია.

ანტიკური სამყაროს რეზორპციის, კვლავაღდგინების, ნაირფეროვნებას, ობიექტურადაც აქვს თავისი საყრდენი. ბერძნულ-ჰელინისტურ-რომაული კულტურის მთლიანობა უთუოდ კონსტრუირებული მთლიანობაა. სპარტა და ათენი, რომი და ათენი, ჰორაციუსი და პლატონი, უფროსი კატონი და ოვიდიუსი — თუკი ამ სახელებში მთლიანობა იგულისხმება, მაშინ იგი უსათუოდ დაპირისპირებულ საწყისთა მთლიანობა ყოფილა. სწორედ ეს დაპირისპირებულობა და ნაირსახოვნებაა ადამიანის ყველანაირი შესაძლებლობების საზომი, როგორც დიდ, მაგრამ რელატიურად შეზღუდულ სივრცეში, ასევე უამრავ პატარა, მაგრამ კარგად შეკრულ მასშტაბებშიც, სოციალურ, პოლიტიკურ, მორალურ, ფილოსოფიურ ტიპთა ათასნაირი განსხვეულება, კლასიკური მიმოქცევა სამეფოდან იმპერიული დემოკრატიისაკენ და ნაიურ-უწყინარი რეალიზმიდან სკეპტიციზმისა და ნიჰილიზმისაკენ, რომელთა დიდ მოძღვრად ანტიკურობა ითვლება. გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ გვიანდელი ევროპის ცხოვრება და აზროვნება ანტიკურობის ნიშნით აღი-

ბუქდა ერისხელ და სამუდამოდ და ძნელია გაარჩიო რამდენად ამოწურავს იგი სულიერად და პოლიტიკურად ადამიანური თუ ევროპის პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების ფორმებს და მიესადაგება თუ არა იგი შემდგომ ეპოქათა განათლების საერთო დონეს. ეს თვალსაზრისი ეხება როგორც იმ სამყაროს, რომელიც არის, აგრეთვე იმასაც, რომელიც უნდა იყოს. თუკი დიდე და ტაციტუსი უკვე არსებულ სამყაროს გასწავლიან, სამაგიეროდ პლატონი, ციცერონი, მარკუს ავრელიუსი მორალისტები არიან და მოითხოვენ კარგისა და ცუდის გარჩევას, ადამიანის ღირსეული თუ უღირსი საქციელის გაცნობიერებას. ამაზე ისინი ბევრს ფიქრობენ, ლაპარაკობენ, წერენ. ამათი დიდებული ტრადიცია გააგრძელეს ფრანგმა მორალისტებმა და გერმანელმა განმანათლებლებმა. ვამბობ და კვლავაც ვიტყვი: სიცოცხლისუნარიანის აშკარა ცხოველმყოფელობა საკამათო არ არის. რაღა თქმა უნდა, არ შეიძლება კამათი იმაზეც, რომ დიდი ხნის წინ მომხდარი და უკვე ანულირებული შთანთქმა ანტიკური კულტურისა კვლავაც ბერძნულ-რომაული ლიტერატურის ოდინდელი საგანძურიდან მომდინარეობს, განსაკუთრებით კი ძველი ენების შესწავლა ჩვენი პედაგოგიკისა და ყმაწვილთა აღზრდის მთავარ შემადგენელ ნაწილად რჩება. ეს აზრი არ არის საფუძველს მოკლებული, რადგან კლასიკურ-ფილოლოგიური განსწავლულობა აუცილებელია ცხოვრების ანტიკური სულის დასანარჩუნებლად. ფრიდრიხ დიდი ფრანგულად კითხულობდა ბერძენ-რომაელ ავტორებს და შილერმა, „საბერძნეთის ღმერთთა" და „მესინას სასძლოს" ავტორმა ბერძნული არც კი იცოდა...

სხვა რომ არა იყოს რა, ანტიკური კულტურის დასაცავად ძალიან ბევრს ლაპარაკობენ სწავლების ოფიციალურ პროგრამებში; ანტიკურობის შტუდირება ნიშნავს უმაღლესად განვითარებული ხალხების თავის თავში ჩაკეტილი, მდიდარი და საოცრად დოკუმენტირებული ისტორიის შესწავლას, რაიც რალაცნაირი საწინდარიცაა მშობლიური ქვეყნის ისტორიის ღრმად წვდომისათვის. ბერძენ-რომაელთა ისტორია პოლიტიკისა და პოლიტიკური თეორიის სამაგალითო ნიმუშს გვთავაზობს: ის, ვინც შეისწავლა პელოპონესის ომი, დიდი რომაული რევოლუცია, ციცერონის სიტყვები და წერილები, შეიძლება ითქვას, პოლიტიკაში სამუდამოდ გაცნობიერდა, ათასწლეულის მანძილზე ლიტერატურის ისტორიაში იშვიათად თუ შეგვხვდება განსაკუთრებულად გამორჩეული შედევრები. მეტად ლამაზი და მკაცრი ლოგიკური სტრუქტურის ბერძნული და რომაული ენები, რომელთა შესწავლა დედა-ენისადმი მოკრძალებას გაგრძნობინებენ, შეცდომებისადმი სერიოზულ დამოკიდებულების, საფუძვლიანი ნაკითხვისა და კონცენტრირების უნარს გისერგავენ. როცა სხვა ენებზე ვლაპარაკობთ, საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ლათინური და ბერძნული. ლათინური იტალიელისათვის წინარე ენას ნიშნავს, ფრანგისათვის — დედა-ენას, გერმანელისათვის — ფუნდამენტს უცხო ენების შესასწავლად ანუ სხვა ენას. ამას ისიც ემატება, რომ ევროპის ხალხთა ისტორია, პოლიტიკა, სამართალი, ფილოსოფია, რელიგია მეთექვსმეტე საუკუნემდე სულაც ლათინურის ზეგავლენას განიცდის. სამაგიეროდ ბერძნული ენა გერმანულ ევროპაში ძალიან გვიან შემოვიდა, სწორედ მას შემდეგ, რაც ლათინურმა ნაციონალურ ენებს გზა უტია და მხოლოდ მეცნიერთა ვიწრო წრეში გადაინაცვლა. ბერძნული ენისა და ლიტერატურის სილამაზისა და ღირსაცნობობის გარდა კიდევ ისიც ითქმის, რომ ეს ენა, ლათინურისაგან განსხვავებით, უცხო და უჩვეულო ენაა, რომელიც ძნელად ისწავლება და სწრაფად გაეიწყდება და სავსებით მართებულად მას ოფიციალური სასწავლო პროგრამის დღევანდელი გადატვირთვის გამო მხოლოდ სპეციფიკური ჰუმანიტარულ-ფილოლოგიური ინტერესიღა შემორჩენია. რაღა თქმა უნდა, ლათინური ენის პრაქტიკული როლიც ერთიორ შემცირდა; კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ერაზმუსი ამ ინტერნაციონალური სამეცნიერო ენის მეშვეობით ყველგან მთელს მსოფლიოში თავს შინ გრძნობდა. და მაინც დღეს ლათინურის ცოდნა და საერთოდ ანტიკურობის შესწავლა მაღალი ფენის ევროპელი ხალხების საერთო განათლების ქვაკუთხედია, რომელიც ევროპული საყოველთაობის გრძნობას ემსახურება და სულიერი იზოლაციის წინააღმდეგ იბრძვის.

ვფიქრობ, ანტიკური კულტურის, უფრო კი ლათინური ენის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების დასაცავად აქ მოტანილი არგუმენტები, რომლებიც იოლად პოულობენ ფართო გავრცელებას, თანდათანობით სულ უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენენ, ვიდრე ყველაფერი ის, რაც მხოლოდ სოციალური და პრაქტიკული თვალსაზრისით შეიძლება განიხილებოდეს. მე სულ სხვანაირად მესმის ეს საკითხი. მე ნაკლებ მაწუხებს ანტიკური კულტურის უპირატესობა რეალისტური განათლების კატეგორიებთან

მიმართებაში როგორც აუცილებელი და პერსპექტიულად შენაყრძნობი განათლების ერთიანობა, რომელშიც განსწავლულობასა და ცხოვრების პროზას შორის წინააღმდეგობას ფასი უკარგავს და, მაშასადამე, იმ ერთიანობასაც, რომელიც, ჩემის გაგებით, დღევანდელობის უსერიოზულეს სწრაფვად ითვლება.

მკვეთრ განსხვავებულობას ენობრივ-ჰუმანისტური განათლების არსსა და „რეალიებს“ შორის, კაცმა რომ თქვას, არც არასოდეს ჰქონია მთლად პრინციპული გამართლება. იტალიური ანტიკურობის აღორძინებამ ერთდროულად წარმოშვა ჰუმანიზმიც და თანამედროვე ბუნებისმეტყველებაც, ე. წ. „nuove scienze“. ჰუმანიტარული და ბუნებისმეტყველური საწყისები ხშირად ერთიანდებიან დიდად ნაყოფიერ და ღირსსაცნობ შემოქმედებაში. არისტოტელე უბადლო ბუნებისმეტყველი იყო, შემდეგში კი ასეთი შოპენჰაუერი გახდა; ლაიბნიცსა და სპინოზაში ძლიერად წარმოჩინდა მათემატიკური ტალანტი. ლეონარდოს ინდივიდუალობაში ხელოვანისეული ზეგარდმო ნიჭი მეცნიერულ-ტექნიკურ გენიას შეუთვისდა, ბოლო გოეთეს ჰუმანიზმს, თუმცა არ მიუჩნევია საკუთარ მონაპოვრად პირველ მცენარის აღმოჩენა, მაგრამ გარკვეული წვლილი კი შეუტანია ცხოველური სხეულის მეტამორფოზის შესახებ ისეთ მნიშვნელოვან თვალსაზრისში, როგორიცაა ხერხემლის ძვლისაგან თავის ქალის ძვლის წარმოშობა.

აქ დასაწყისშივე ვთქვი: მკვეთრი წინააღმდეგობა, რაც, გოეთეს მიხედვით, ჰუმანისტურ სახელგანთქმულობასა და ადამიანის ძალთა მიღმა მიმალულ ბუნების საგნებით დაინტერესებას შორის არსებობს, ჟამგადასულია და თვითონ გოეთეშიც უკვე დაძლეული. არარეალისტურად და ეპოქის ნებისათვის შეუსაბამოდ მიჩანს მეცნიერებისა და განათლების ორ სფეროდ დაყოფა, რასაც დაახლოებით ნიცშე იზიარებს, როცა იგი სკოლებს ანაწევრებს „ცხოვრებისეული საჭიროებისა“ და ჭეშმარიტი განათლების დაწესებულებებად. ეპოქის ეს ნება-სურვილი კი უფრო იქითკენ ისწრაფვის, განათლების, მეცნიერებისა და პრაქტიკული ცხოვრების უშუალო ერთქმნა მოიხდინოს და, სულსა და ცხოვრებას, ლიტერატურულსა და აქტიურს შორის მწვავე ურთიერთობა ჰუმანიზმის იდეად და ხორცშესხმად აქციოს, როგორც ამას მოხუცი გოეთე თავის „მგზავრობის წლებში“ შესაშური მიხვედრილობით შთაგვაგონებს და რასაც დღეს ცნობილი კომუნისტი ავტორები გვიქადაგებენ. მგონი, ეს ჰუმანიზმი მოიცავს და შეისისხლხორცებს სულიერ საწყისს ცხოვრების დამოუკიდებელ საგანძურად უფრო მეტად, ვიდრე ადრეული პერიოდები, ნაცვლად იმისა, რომ ძველი დროის გაგებით ლიტერატურამ „bell lettres“-ის სახით წინამძღვილისა და აქტიური ცხოვრების ფორმით გასაკუთრებული მყოფობის [illegible] შეიძლოს.

არ დაიჯეროთ, რომ მე, როგორც მწერალმა, ვისაც სიტყვის ჯადოქრის უცვნია და თავისი ცხოვრების მრწამსად გაუხდია მისადმი ხელოვნებისმომხვრელი და ამავე დროს უსაზღვროდ მკაცრი სამსახური, და ვინც თავის ნაწერებში რაღაცნაირ მოწიწებას გამოხატავს ლიტერატურის არსისადმი, რაიც ჰუმანური ღირსების არსიცაა, დიახ, არ დაიჯეროთ, რომ გზა გაუხსნა იმ ტენდენციას, რაიც დღეს ლიტერატურაში შემოჭრას ლამობს: უსიგნურ, ტექნიკასა და სპორტში ჩლუნგ სამყაროს, რომლის ენობრივი დაკნინება მისსავე მორალური გაუხეშებისა და გაღატაკების ტოლფასად მიჩანს. მაგრამ, როგორც პოეტს და ხელოვანს, მე მომწონს ეპოქის მართალი და საუკეთესო ნება, რაიც მყობადმა უნდა შვას და ეს მყობადი, ჩემის შეგრძნებით, ეკუთვნის ჰუმანიზმს, რომელიც, თუმცა ლიტერატურულ-ჰუმანისტურ ღერძთან ვერ მოსწყვეტია, მაინც ზღვარი ამ სფეროსა და რეალურს შორის ძველებური სიმძაფრით როდი არსებობს. აშკარად ვხედავ, რომ ამ ბოლო წლების მიერ მოტანილი არეულობებითა და ვნებებით გამოწვეულმა ტკივილებმა შეაცინცხალი, უშუალო და ჯიქური ინტერესი ადამიანისა და მისი ხვედრისადმი, სამყაროში მისი ადგილისადმი, მისი წარმოშობისა და დანიშნულებისადმი. ეს ჰუმანური ინტერესი ახალ შეფერილობასა და განწყობილებას იძენს, რაიც დღეს ყველგან საუკეთესო მერმისის მოიმედე ადამიანთა სულსა და გულში ღვივის და ქმედებს და, რასაც მე ანინდელი ჰუმანიზმის მასაზრდოებელ ნიადაგად და კაცთა გრძნობისა და ღირსების საქმედ ვრაცხ.

ამჟამად ჩანასახის მდგომარეობაში მყოფი ეს ახალი მსოფლხედვა — მსოფლშეგრძნება, რაიც მომავალი ჰუმანიზმის დედაბურჯია, ფერისცვალებას განიცდის ბუნებისმეტყველების ისეთ მონაპოვრებში, როგორიცაა თანამედროვე ფიზიკა და კოსმოლოგია, აგრეთვე შემეცნების ისეთი შეჭრა ადამიანური ბუნების იდუმალებაში, როგორიცაა ფსიქოანალიზი, კიდევ პალეონტოლოგია, პრეისტორია და პრიმიტიულ სულთა კვლევა, და ყველა ესენი ისეთსავე მნიშვნელოვან როლს თამა-

შობენ, როგორსაც თავის დროზე ანტიკური კულტურა თამაშობდა, და იქნებ ეს ახალი მეცნიერებანი ცხოვრებას უფრო თანადროულსა და ცხოველმყოფელს ხდიდეს, ვიდრე ანტიკურობა.

მგონი, უკვე დროა, ჰუმანიზმის ცნებას ზედმეტად თეორიული კრიტერიუმები მოვაშოროთ და იგი „ჰუმანიორას" შევადაროთ მხოლოდ არა საქმეში ზერელე, ეგზამენატორული ჩახედულების დონეზე. თუ ჰუმანიზმს ნაციონალურ შეზღუდულობასა და ყველანაირ ფანატიზმთან დაპირისპირებად განვიხილავთ, მაშინ მას უშუალოდ არა ესაქმება რა ჩვეულებრივ განსწავლულობასთან. იგი უფრო ადამიანური რწმენა და განწყობაა, რომელიც სამართლიანობას, თავისუფლებას, ცოდნასა და ჭირთა თმენას გულისხმობს, განწყობაა, რომელსაც ეჭვი უყვარს, მაგრამ ეჭვი არა გაღიზიანებული, არამედ პირუთვნელი, წმინდა, ლაღი, სუბიექტური ინტერესებისა და ვნებების გარეშე. ასეთი ნიჭი და ხასიათი სახელწოდება „ჰუმანიზმს" ჯეროვნად იმიტომ წარმართავს, რომ იგი სულიერ განწყობად შეიცნობა, სულის განწყობად, რაიც ადამიანური გონის სიამაყეა, რაც ადამიანს სხვა ცოცხალი არსებებისაგან გამოარჩევს და მას უზომო წუხილს, მაგრამ მაღალ სიხარულსაც ანიჭებს. ამ ტანჯვასა და სიხარულს კი აურაცხელი [illegible] თანამოაზრე იმად მოუპოვებია, რომ ადამიანური სულის პატივი რაინდულად დაიცვას და სიკვდილამდე მისთვის იღვაწოს.

დღეს ჩვენთვის ესოდენ აუცილებელია მებრძოლი ჰუმანიზმი, რომელიც გამოძლერავს, რომ თავისუფლებისა და ჭირთა თმენის პრინციპს არ ხელეწიფება დათრგუნვა უსირცხვილო ფანატიზმის მიერ, რომ მისი უფლება და მოვალეობაა წინააღმდეგობის გაწევა. ევროპა არის ჰუმანისტურ იდეასთან მჭიდროდ დაკავშირებული არსი, მაგრამ ევროპა მხოლოდ მაშინ ისულდგმულებს, როცა ჰუმანიზმი თავის თავში ვაჟკაცურ სულს აღმოაჩენს, როცა მონასნორობის დაკარგავს ისნავლის და იმოქმედებს იმ მცნებით, რომლის მიხედვით, თავისუფლებას როდი მართებს იყოს სიგელ-გუჯარი მავანთათვის, უხამსად რომ აუხირებიათ მისი აღგვა პირისაგან მიწისა.

□

ნიკოლოზ კენჭოშვილი

ჰინდური ნოველის ისტორიიდან

ინდოეთში არსებობს გამოთქმა „ჰინდური ნოველა იმდენი ხნისაა, რამდენისაც კაცობრიობა", რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ინდური ლიტერატურის ამ ჟანრს, კერძოდ, ვედურ და სანსკრიტულ ლიტერატურაში შორეულ წარსულში უდგას ფესვები. ცნობილი ინდოელი მეცნიერის ჰიუმაიუნ კაბირის აზრით, სანსკრიტულ ენაზე არსებობდა იგავები, რომლებიც მოგვიანებით ძველი ბერძენი მეიგავის ეზოპეს (IV ს. ჩ. ერამდე) იგავების მოდელებად იქცნენ. ჰინდური ნოველის თვალსაჩინო პრეისტორიულ ლიტერატურულ ძეგლად შეიძლება მივიჩნიოთ XII-XIII საუკუნის ნაწარმოები „თუთიყუშის სამოცდაათი მოთხრობა" და ძველი ინდური იგავების კრებული „ჰიტოპადეშა" (სასარგებლო დარიგებანი), ასევე, გვიანდელ კლასიკურ სანსკრიტზე შექმნილი „ოცდათორმეტი ნოველა მონაზვნებზე", რომლის მთავარი გმირები ბჰარატაკები (მონაზვნები) სულმდაბლობითა და უმეცრებით ბოკაჩოს გმირებს არ მოუვარდებიან. თანამედროვე ინდოელი მეცნიერი შარმაშრიპათი („ჰინდი კაჰანი ვიკას აურ იტიჰას" — ბენარესი 1962 — ჰინდური ნოველის წარმოშობისა და განვითარების ისტორია – ჰინდზე) ჰინდური ნოველის წარმოშობის ფესვებს ძველ ინდურ ფოლკლორში ეძებს. ყოველ შემთხვევაში მოსაზრება ჰინდური ნოველის პრეისტორიულ ასაკისა მეტნაკლებად ანგარიშგასაწევია, რაც შეეხება ჰინდური ნოველის ახალი ფორმის ჩასახვას, უპირველეს ყოვლისა იგი უკავშირდება ჰინდი ენის ლიტერატურულ ენად ჩამოყალიბების პროცესს, რომელიც მოიცავს ძირითადად მე-18 საუკუნის დამლევსა და მე-19 საუკუნის მეორე ნახევარს. მაშინ ამ ენაზე პოეტურ ნაწარმოებებთან ერთად იქმნებოდა რომანები და პიესები. მაგრამ

ჰინდური ნოველის დღევანდელი ფორმის ჩამოყალიბება მომეტებულად განაპირობა ინდოეთში შექმნილმა კონკრეტულმა ისტორიულმა ვითარებამ, კერძოდ (1857-1859 წლების) სიპაების აჯანყებამ ინგლისელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ, რამაც გამოიწვია რადიკალური განახლება ჰინდურ ლიტერატურაში, ასევე სხვა ინდურ ლიტერატურებში. ეს პროცესი გაგრძელდა ჩვენი საუკუნის ათიან წლებამდე. ამავ პერიოდში ინდოეთში გაძლიერდა განმანათლებლური მოძრაობა, რომელიც მოამზადეს გასული საუკუნის დიდმა ინდოელმა რეფორმატორებმა სვამი ვივეკანანდამ, რომ მოჰონ რაიმ, ჰარი ნარაინ აპტემ და სხვებმა. ამავე დროს ძლიერდებოდა ნაციონალური ბურჟუაზიაც და ქვეყნის მასებში იღვიძებდა ეროვნული თვითმყოფობის შეგნება. ინდური ლიტერატურა და მათ შორის ჰინდური პროზა მდიდრდებოდა საზოგადოებრივი პრობლემებით და თანდათან ღრმად იჭრებოდა პოლიტიკის სფეროში. მე-19 საუკუნის დამლევსა და მე-20 საუკუნის დამდეგის ჰინდურ ლიტერატურაში აისახა ერთი მხრივ ძველი და შუასაუკუნეობრივი მავნე ტრადიციების წინააღმდეგ მებრძოლი იდეები, მეორე მხრივ ბრიტანელ კოლონიზატორთა ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის იდეები. ჰინდური პროზა მდიდრდება არა მარტო თემატურად, არამედ ჟანრობრივადაც. პრემჩანდი, ამბიკა პრასად ვაიასი, ბადრი ნარაიან ჩოდრი, ბალაკრიშნა ბჰატი და სხვები ქმნიან ეგრეთწოდებულ „დიდ მოთხრობებს“, იქმნება ფარსები, პიესები, რომლებიც კიცხავენ ბავშვთა ქორწინებას, იბრძვიან ქალთა უფლებების აღდგენისათვის. მწერლები ქმნიან აგრეთვე ზღაპრებს, სათავგადასავლო, დიდაქტიკურ და ისტორიულ რომანებს. ჰინდი ენის ძირითადი დიალექტის — ქჰარიბოლის საშუალებით ჰინდური პროზა და პოეზია იდეურად და თემატურად ერთმანეთს დაუახლოვდა. ასეთია ჰინდური ნოველის ჩასახვისა და განვითარების ერთგვარი პრეისტორიული ფონი, მაგრამ როდის შეიქმნა უშუალოდ ჰინდიზე პირველი ნოველა, ჯერ კიდევ დაუდგენელია. ამ საკითხზე მეცნიერები საპირისპირო მოსაზრებებს გამოთქვამენ. ზოგს მიაჩნია, რომ პირველ ჰინდურ ნოველად ითვლება გოსვამის მოთხრობა „ქორწილი სიყვარულით“, შექმნილი 1887 წელს, ან მისივე „ინდუ“, რომელიც 1900 წელს გამოქვეყნდა, ხოლო ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ პირველი ჰინდური ნოველა — „ქალმა თქვა“ (ვო კაჰი) ეკუთვნის ჩანდრა დჰარა შარმა გულერის. ეს ნოველა 1915 წელს ჟურნალ „სარასვატიში“ გამოქვეყნდა. თანამედროვე ინდოელი მეცნიერის შარმა შრიპათჰის აზრით, პირველი ჰინდური ნოველა „გურა ბადალი“ უცნობი ავტორის მიერ (იგულისხმება ჰინდი ენის დიალექტზე — ქჰარიბოლიზე დაწერილი ნაწარმოები) შეიქმნა 1620 წელს, ამ ნოველის ორიგინალი დაკარგულია. ინგლისელი მეცნიერის მ. დერეტის აზრით, პირველ ჰინდურ ნოველად უნდა მივიჩნიოთ „ამბავი რანი კელკისა“ (რანი კელკი კაჰანი), რომელიც 1800 წელს გამოქვეყნდა. ზოგი მეცნიერი პირველი ჰინდური ნოველის ავტორად მიიჩნევს ცნობილ ინდოელ პროზაიკოსს, ჰინდური ისტორიული რომანის „რანი ჯჰანსი დაემში ბაის“ ავტორს — ვრინდავანლალ ვარმას, რომელმაც 1909 წელს გამოაქვეყნა მოთხრობა: „ბედნიერების თასმა“ (რაქჰი ბანდ).

ამგვარად, თანამედროვე ჰინდური ნოველის „დაბადების“ თარიღი და მისი შემქმნელი დღემდე უცნობია. ჩვენი აზრით, თანამედროვე ჰინდური ნოველის წარმოშობის შედარებით ზუსტ ანალიზს გვთავაზობს საბჭოთა ინდოლოგი ი. სერებრიაკოვი, რომელიც 1958 წლის ტაშკენტში გამოცემული ინდური მოთხრობების კრებულის წინასიტყვაობაში აღნიშნავდა: „ჰინდური ნოველის წარმოშობის გენერალურ ხაზს წარმოადგენს პრემჩანდისა და თაგორის ტრადიცია“. „თაგორის ტრადიციაში“ მკვლევარი გულისხმობს იმ გარემოებას, რომ ჰინდური ნოველის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა არა მხოლოდ თაგორის ნაწარმოებებმა, არამედ მე-20 საუკუნის დამდეგს თარგმნილმა დასავლურმა და რუსულმა კლასიკურმა ლიტერატურამ, განსაკუთრებით გორკის, ჩეხოვის, დოსტოევსკისა და ტურგენევის ნაწარმოებებმა.

თანამედროვე ინდოელი მეცნიერის ჰიუმაინ კაბირის აზრით, ჰინდური ნოველის განვითარებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინეს ვალტერ სკოტმა და მოპასანმა, მოგვიანებით კი რუსულმა კლასიკურმა ლიტერატურამ. მიუხედავად იმისა, რომ ჰინდურმა ნოველამ თავისი განვითარების გზაზე უცხოური და სხვა ინდური ლიტერატურების ზეგავლენა განიცადა, მისი თანამედროვე ფორმის ჩამოყალიბება მჭიდროდ უკავშირდება ჰინდურ პროზაში კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებლის პრემჩანდის სახელს. მნიშვნელობა არა აქვს იმას, იგი ჰინდურ პროზაში მხოლოდ 1913 წელს რომ მოვიდა, მანამდე კი თავის ნაწარმოებებს ურდუზე ქმნიდა.

როგორც ცნობილია, 20-იან წლებში, ინდოეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელი

ბრძოლის ძირითად ლოზუნგად იქცა სწორედ პრემჩანდის მოთხრობის — „სამშობლოს სიყვარული" (სოზ ვატან) მთავარი გმირის სიტყვები: „გაუმარჯოს დედა ინდოეთს!" (ბჰარატმატა კი ჯაე). პრემჩანდის მხატვრული ასახვის მეთოდის ჩამოყალიბებასა და შემდგომ განვითარებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა დიდი ოქტომბრის რევოლუციამ და გორკის შემოქმედებამ. პრემჩანდის ნოველისტიკაში, ამასთან ბევრი ინდოელი მწერლის ნაწარმოებებში სათავე დაიდო სამოქალაქო თემატიკამ.

1936 წელს პრემჩანდის თაოსნობით შეიქმნა ინდოეთის პროგრესულ მწერალთა ასოციაცია. ინდოელ მწერალთა ეს ასოციაცია თანდათან გადაიქცა ერთგვარ ლიტერატურულ მიმდინარეობად და ეწოდა „პრაგატივადი" (პროგრესივიზმი), რომლის ერთგული წარმომადგენლები არიან თვალსაჩინო ჰინდი პროზაიკოსები: იაშპალი, უპენდრანათჰაშკი, ფ. რენუ, ვიშნუ პრაბჰაკარი, რაჰულ სანკრიტიაიანი, რანგჰეი რანგჰეო, ბჰიშამ საჰნი, მოჰან რაკეში, ვიდიალანკარი, კამლეშვარი, რაგჰუვირ საჰაი, სარვეშვარ დაიალ საქსენა და განგა პრასად ვიმალი. ჰინდური ნოველის განვითარების ხასიათი მნიშვნელოვნად განსაზღვრა ამ ასოციაციის შექმნამ.

ინდოეთის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, პირველივე წლებში ჰინდურ ლიტერატურაში და საერთოდ ინდურ ლიტერატურებში მიმდინარეობდა მწვავე იდეოლოგიური ბრძოლა. ცალ მხარეზე იყვნენ „პროგრესივისტები" (პრაგატივადელები) — დემოკრატიული და რეალისტური იდეურ-ესთეტიკური პრინციპების ერთგულნი, ხოლო მეორეზე ეგრეთ წოდებული „ექსპერიმენტალისტები" (პრაიოგვადელები), რომელთაც თავიანთ დევიზად გამოაცხადეს „თავისუფალი შემოქმედება". ისინი არ ცნობდნენ ლიტერატურის აქტიურ, აღმზრდელობით როლს; სამაგიეროდ „პროგრესივისტები" გამოხატავდნენ ინდოეთის მოწინავე, შემოქმედებითი ინტელიგენციის იდეოლოგიას. მათი შემოქმედებითი ინტერესების ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა ინდოეთის მშრომელი მასების ინტერესები.

ამ იდეოლოგიურმა ბრძოლამ, მიუხედავად იმისა, რომ (ექსპერიმენტალიზმმა) დაპირისპირებამ ფაქტიურად ახალ ჰინდურ პოეზიაში უფრო იჩინა თავი, ვიდრე პროზაში, დადებითი შედეგიც გამოიღო: მწერლები იძულებული შეიქნენ დაფიქრებულიყვნენ არა მარტო შემოქმედების თავისუფლებაზე, არამედ იმ მწვავე და ახალ პრობლემებზე, რომლებიც დამოუკიდებელი ინდოეთის წინაშე წამოიჭრა. ამავე დროს პროზაიკოსებმა, რომლებიც ილვწოდნენ შემოქმედებითი „თავისუფლებისათვის", უარყვეს მოძველებული იდეურ-ესთეტიკური პრინციპები, რამაც კიდევ უფრო გაამდიდრა ჰინდური პროზა, კერძოდ ჰინდური ნოველა. თემატურ სიმდიდრესთან ერთად ენობრივ-სტილისტურადაც დაიხვეწა იგი.

50-იანი წლების მიწურულსა და 60-იანი წლების დამდეგს ჰინდურ ლიტერატურაში გაჩნდა ტერმინი „ნაი კაჰანი" (ახალი მოთხრობა). ამჟამად ამ ტერმინს ბევრი რთული და სადავო საკითხი უკავშირდება. თუმცა „ახალ მოთხრობას" ჰინდურ პროზაში როგორც სხვადასხვა იდეურ-ესთეტიკურ თვისებათა ერთობლიობას, ჩვენი საუკუნის 30-იანი წლების დამდეგს ჩაეყარა საფუძველი, ეს ტერმინი დღეს განსაზღვრავს იმ ესთეტიკურ და შემოქმედებით პრინციპებს, რომელთა პროპაგანდასაც ეწევიან ძირითადად ჰინდური პროზის ახალგაზრდა და საშუალო თაობის წარმომადგენლები, ბოლო 20-30 წლის მანძილზე ჰინდურმა ნოველამ სრულიად განსხვავებული თვისებები შეიძინა. მისი ავტორები არ უარყოფენ სინამდვილის ასახვის რეალისტურ პრინციპებს, აქტიურად იცავენ ხელოვნების საზოგადოებრივ დანიშნულებას, თუმცა მხატვრული ასახვის მანერითა და ესთეტიკური პრინციპებით ხშირად რადიკალურად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან.

თანამედროვე ჰინდური პროზის თვალსაჩინო წარმომადგენელი, კამლეშვარი, რომლის შემოქმედებამაც, საბჭოთა ინდოლოგის ვ. ბალინის აზრით საფუძველი ჩაუყარა „ახალ ჰინდურ მოთხრობას", წერს: „ძველ ჰინდურ მოთხრობაში პერსონაჟი წარმოადგენდა ნაწარმოების ე. წ. გარსს, აზრის გამომხატველი კი თვით ავტორი იყო. „ახალ მოთხრობაში" (ჰინდურ ნოველაში — ნ. კ.) აზრი წარმოადგენს პერსონაჟის მხატვრული სახის ნაყოფს, რომელსაც გვიხატავს მწერალი", ე. ი. მწერალი გმირის ცხოვრების მონაწილეა და სინამდვილეს ასახავს გმირის პოზიციებიდან.

„ახალი" ჰინდური ნოველის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა ისიც, რომ მისი ფაბულა-სიუჟეტი გაშლილია არა მარტო სოფლის (როგორც ეს „ძველ მოთხრობაში" იყო), არამედ ინდური ქალაქის ინტელიგენციის ცხოვრების ფონზეც. თანამედროვე ინდოელი მწერლის ყურადღების ცენტრშია აგრეთვე უსამართლობით დაჩაგრული ახალი ინდოეთის საშუალო ფენის წარმომადგენელი, „პატარა ადამიანი", რომლის ბედსაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ინდოეთის მომავალი.



ანრი მატისი

ქალი სავარძელშ

ანრი მატისი

დეკორატიული ფიგურა
ორნამენტულ ფონზე

78132



ხაიმ სუტინი

პატარა ხაბაზი